

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა

ზაალ გოგენია

ესპანეთის სამოქალაქო ომის საერთაშორისო ასპექტები:
ომის ინტერნაციონალიზაცია (1936 წლის ივლისი-ნოემბერი)

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ისტორიის დოქტორი,
პროფ. თეიმურაზ პაპასქირი

ისტორიის დოქტორი
გივი ბოლოთაშვილი



უნივერსიტეტის
გამოცემა

თბილისი
2016

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
თავი I. გერმანიის და იტალიის ჩარევა ესპანეთის სამოქალაქო ომში	30
§1. ჩარევის წინაპირობები: ამბოხების მომზადებაში გერმანიის და იტალიის მონაწილეობის საკითხი	31
§2. სამოქალაქო ომში ჩარევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი	55
2.1. ჰიტლერის მიერ გადაწყვეტილების მიღება	55
2.2. მუსოლინის მიერ გადაწყვეტილების მიღება	74
§3. გერმანიის და იტალიის ესპანეთის სამოქალაქო ომში ჩარევის მოტივები	86
თავი II. ესპანეთის სამოქალაქო ომი და „ჩაურევლობის პოლიტიკა“	101
§1. ესპანეთში სამხედრო ამბოხების დაწყება და საფრანგეთის პოზიცია	101
§2. ესპანეთში სამხედრო ამბოხების დაწყება და ინგლისის მთავრობის პოზიცია	118
§3. ჩაურევლობის პოლიტიკის შემუშავება	141
თავი III. ესპანეთის სამოქალაქო ომი და საბჭოთა კავშირი	158
§1. საბჭოთა მთავრობის თავდაპირველი რეაქცია ესპანეთში სამოქალაქო ომის დაწყებაზე	158
§2. სსრკ-ესპანეთის ურთიერთობების დიპლომატიური ასპექტები	171
§3. სტალინის გადაწყვეტილება ესპანეთის რესპუბლიკისთვის სამხედრო დახმარების აღმოჩენის შესახებ (მიზეზები და შედეგები)	202
დასკვნა	224
გამოყენებული ლიტერატურის სია	233

შ ე ს ა ვ ა ლ ი

სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა საერთაშორისო სისტემის ფუნდამენტური პრინციპებია, თუმცა ისინი ხშირად ირღვევა, განსაკუთრებით სამოქალაქო ომების დროს. ამით ხდება სამოქალაქო კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია და ის საერთაშორისო განზომილებას იძენს. ამის ნათელი დადასტურებაა ესპანეთის 1936-1939 წლების სამოქალაქო ომი.

XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში ევროპაში შექმნილი რთული პოლიტიკური და იდეოლოგიური დაპირისპირების ფონზე ესპანეთის ომი ვერ შეინარჩუნებდა მხოლოდ შიდა კონფრონტაციულ ხასიათს. გაიარა რა ინტერნაციონალიზაციის რამდენიმე ეტაპი, ის ფაქტობრივად ევროპულ პრობლემად გადაიქცა. ომი სხვადასხვა ფორმით შეეხო ევროპის წამყვან ქვეყნებს და განაპირობა მათი შემდგომი ურთიერთობები. ამრიგად, საერთაშორისო კონტექსტმა განსაზღვრა ესპანეთის სამოქალაქო კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციის პროცესი.

აღნიშნული საკითხის შესწავლას მარტო მეცნიერული მნიშვნელობა არ აქვს. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ბევრი ტენდენციის ერთგვარი რეპროდუქცია მოხდა, ამდენად, მათი განხილვა შეიძლება სასარგებლო იყოს დღეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გასაანალიზებლად.

ინტერნაციონალიზაცია, თუ მას ყველაზე ზოგადი სიტყვებით განვმარტავთ, არის პროცესი, როდესაც მიიღება მკაფიო და გაცნობიერებული გადაწყვეტილება ერთი ქვეყნის საშინაო კონფლიქტში, საომარი მოქმედებების თუ მოლაპარაკებების ნებისმიერ ეტაპზე, უცხო სახელმწიფოების ან სხვა აქტორების ჩართვის შესახებ. მისი ალტერნატიული სტრატეგია არის იზოლაცია.

გადაწყვეტილება ინტერნაციონალიზაციის (ან იზოლაციის) შესახებ შეიძლება მიღებულ იქნას სხვადასხვა სუბიექტების (აქტორების) მიერ. ის ზოგჯერ შეიძლება ინიცირებული და თავს მოხვეული იყოს გარეშე აქტორის მიერ (დაინტერესებული სახელმწიფო) ან მიღებულ იქნას კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი (ან ორივე) მხარის მიერ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტერნაციონალიზაციის კონცეფციის ერთ მხარეს არის საგარეო აქტორი, როგორცაა მეზობელი სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაცია და გადაწყვეტს მონაწილეობა მიიღოს ცალმხრივი ფორმით. ამ სცენარით ინტერნაციონალიზაცია ხშირად ინტერვენციის ფორმას იღებს. მეორე მხარეს არიან შიდა კონფლიქტში მონაწილე ძალები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას და იწვევენ უცხო ძალებს მათ

კონფრონტაციაში მონაწილეობის მისაღებად. ამ შემთხვევაში გარეშე აქტორს ორი ალტერნატივა აქვს ჩარევა ან მისგან თავის შეკავება. რამდენადაც გარეშე აქტორების და კონფლიქტში მონაწილე მხარეების გადაწყვეტილებაზე უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას, ისინი არ არიან ამ მიმართულებით აბსოლუტურად თავისუფალნი. თითქმის ყველა შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება ხდება კონფლიქტში მონაწილე მხარეების და საგარეო აქტორებს შორის შეთანხმების შედეგად, ან უკიდურეს შემთხვევაში ის შეიძლება იყოს ინტერაქციის შედეგი.

რას ეძებენ მოწინააღმდეგე მხარეები, როცა ისინი ახდენენ საკუთარი კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციას? გამოიყოფა ორ ძირითადი ინტერესი: სამხედრო მხარდაჭერის მოპოვება (მატერიალური რესურსები ომის საწარმოებლად) და საერთაშორისო ლეგიტიმურობის უზრუნველყოფა. პირველს შეგვიძლია ვუწოდოთ სამხედრო ინტერნაციონალიზაცია. რაც შეეხება მეორეს, მას შეგვიძლია დავარქვათ პოლიტიკური ინტერნაციონალიზაცია. ამ შემთხვევაში კონფლიქტში მონაწილე მხარეების მიზანია მათი საქმისთვის პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვება. სახელმწიფოსთვის (კანონიერი ხელისუფლება) ეს არის მათი უფლებების საერთაშორისო დადასტურება, მემბოხე ორგანიზაციებისთვის ესაა საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება უფლებისთვის იბრძოლონ, მათი აზრით, „არალეგიტიმური“ სახელმწიფოს წინააღმდეგ. ლეგიტიმურობის თვალსაზრისით, სახელმწიფო აშკარად უფრო კომფორტულ მდგომარეობაშია, ვიდრე მემბოხე ორგანიზაციები.

ფაქტობრივად, ინტერნაციონალიზაცია არის გადაწყვეტილების მიღების პროცესი, გაკეთებული სპეციფიკური აგენტების მიერ სპეციფიკური მიზნებით და ინტერესებით. ამდენად, ესპანური კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციის შესწავლისას, ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ, რა სახით და რა ვითარებაში მიიღეს გადაწყვეტილება უცხოური ჩარევის სასარგებლოდ რესპუბლიკის კანონიერმა მთავრობამ და აჯანყებულებმა; რა მიზეზებმა და მოტივებმა განაპირობა ჰიტლერის და მუსოლინის ჩარევა ესპანეთის შიდა კონფლიქტში მემბოხეების მხარეს, ხოლო სტალინის – კანონიერი მთავრობის მხარეს; რითი იყო განპირობებული ევროპის წამყვანი დემოკრატიული სახელმწიფოების მიერ ჩაურევლობის პოლიტიკის არჩევა, რითაც ფაქტობრივად გაიწირა ესპანეთის რესპუბლიკა.

ქრონოლოგიური ჩარჩოები. კვლევა მოიცავს პერიოდს, რომელიც ქრონოლოგიურად შეესაბამება ესპანეთის სამოქალაქო ომის პირველ ეტაპს – 1936 წლის ივლისი-ნოემბერი, მაგრამ, საკვლევი თემიდან გამომდინარე, ზოგიერთი საკითხის შესწავლამ მოითხოვა უფრო ადრეული მოვლენების გაანალიზება.

ნაშრომის მეთოდოლოგიური ბაზა. სადისერტაციო ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველს წარმოადგენს ისტორიზმის პრინციპი, რომელიც საშუალებას იძლევა საკითხი შესწავლილ იქნას დინამიკაში, სხვა ისტორიულ მოვლენებთან ურთიერთკავშირში. ის გულისხმობს თითოეული მოვლენის შესწავლას კონკრეტული ისტორიული პირობების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია სამეცნიერო ობიექტურობის პრინციპიც, რომელიც ფაქტების შესწავლისას, წყაროების ანალიზის საფუძველზე, თავიდან აგვარიდებს სუბიექტურ შეფასებებს.

საკითხის კვლევისას გამოყენებულ იქნა ისტორიული შემეცნების მეთოდი, რეტროსპექტიული, კომპლექსური, კომპარატივისტული ანალიზი, რაც მოიცავს შესასწავლ მოვლენებს შორის მსგავსება-განსხვავებების გამოვლენას. ჩვენს შემთხვევაში ეს ნიშნავს საარქივო მასალების, გამოქვეყნებული დიპლომატიური დოკუმენტების, მემუარული ლიტერატურის ანალიზს, მათ შედარება-შეპირისპირებას, მეორადი წყაროების და მასში წარმოდგენილი კონცეფციების გადააზრებას.

ახალ საარქივო მასალებთან მუშაობისას ვიხელმძღვანელებთ ზოგადად მიღებული მეთოდიკით: მათი გამოვლენა, შერჩევა, სწორი წაკითხვა, მასში მოცემული ფაქტების ნამდვილობის დადგენა და გადამოწმება სხვა წყაროებით.

საკვლევი თემის სირთულიდან გამომდინარე, გამოვიყენეთ პოლიტიკურ მეცნიერებაში პოპულარული მეთოდები: კონტენტ-ანალიზი, ინტენტ-ანალიზი, ივენთ-ანალიზი, განსაკუთრებით კოგნიტური კარტირების მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს პოლიტიკური ტექსტებიდან, ლიდერთა გამოსვლებიდან გამოვავლინოთ მსჯელობის სტრუქტურა და მის საფუძველზე გამოვიტანოთ დასკვნა ტექსტის ავტორის აზროვნების და პოლიტიკური მდგომარეობის მისეული აღქმის შესახებ. ამ მეთოდით განისაზღვრება ფაქტორები, რომელთაც ითვალისწინებს პოლიტიკოსი გადაწყვეტილებების მიღებისას.

გადაწყვეტილების მიღების პროცესი ჩვენს მიერ შესწავლილია ხუთი ძირითადი მიმართულების ჩარჩოებში. ესენია: რაციონალური არჩევანის, ფსიქოლოგიური, ინსტიტუციონალური, ინტერაქციული და სისტემური მიმართულებები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. წინამდებარე ნაშრომში იტალიური, ფრანგული, ინგლისური და გერმანული დიპლომატიური დოკუმენტების და საბჭოთა საარქივო მასალების საფუძველზე სისტემატიზებული და გაანალიზებულია ესპანეთის სამოქალაქო ომის ინტერნაციონალიზაციის პროცესი მის საწყის ეტაპზე; შესწავლილია ჩარევის თუ ჩაურევლობის შესახებ წამყვანი ევროპული ქვეყნების და სსრკ-ს გადაწყვეტილების მიღების პრობლემები, შედარებულია გადაწ-

ყვეტილების მიღების პროცედურული და ინსტიტუციონალური საკითხები დემოკრატიულ და ტოტალიტარულ სახელმწიფოებში.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილის, სამი თავის (თითოეული იყოფა სამ პარაგრაფად) და დასკვნისგან. მას თან ერთვის გამოყენებული წყაროების და ლიტერატურის ჩამონათვალი.

ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. სადისერტაციო ნაშრომის წყაროთმცოდნეობით ბაზას წარმოადგენს:

- საარქივო მასალები რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის არქივიდან (АВП РФ);
- ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, აშშ-ს და სსრკ-ს გამოქვეყნებული საგარეოპოლიტიკური დოკუმენტები;
- დოკუმენტების და საარქივო მასალების კრებულები;
- პოლიტიკური მოღვაწეების, დიპლომატების, თვითმხილველების დღიურები და მემუარული ლიტერატურა.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღნიშნულ არქივში გამოკვლეულ იქნა მასალები, რომელიც მოიცავს დოკუმენტებს ესპანეთის რეფერენტურიდან (ფონდი 097), აგრეთვე საბჭოთა დიპლომატების, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელი პირების – ლიტვინოვის (ფონდი 05), კრესტინსკის (ფონდი 010), პოტიომკინის (ფონდი 011) რეფერენტურებს და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პრესის განყოფილების ფონდებს.

მოცემულ ფონდებში დაცული ოფიციალური დოკუმენტები, მათი პროექტები, სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელთა მიმოწერა საბჭოთა წარმომადგენლებთან ესპანეთსა და სხვა ქვეყნებში, სახალხო კომისრის და მისი მოადგილეების სსრკ-ში უცხოელ წარმომადგენლებთან საუბრის ჩანაწერები, დიპლომატთა დღიურები, – საშუალებას იძლევა, რიგ შემთხვევებში დავაზუსტოთ და სრულად ადვადგინოთ პრობლემის ფაქტოლოგია, განვიხილოთ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ნაკლებად ცნობილი მექანიზმები იმდროინდელ ორმხრივ საერთაშორისო ურთიერთობებში ესპანეთის პრობლემებთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტების ძირითადი ღირსება არის მოცემული ცნობების მაღალი დონით სანდოობა. მასალების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია ნაბეჭდი სახით, ავტორის ან სხვათა მიერ მასზე ხელით დატანებული შესწორებებით, ხშირია ფანქრით (წითელი და ლურჯი) ტექსტში გამოყოფილი ფრაგმენტები, ასევე ველზე შენიშვნები (ძირითადად მ. ლიტვინოვის მიერ).

ლიტვინოვის, პოტიომკინის, ნეიმანის, ვეინბერგის და სხვათა დღიურების ანალიზი (დღიურების წარმოება სავალდებულო იყო), ოფიციალურ დოკუმენტებთან ერთად, საშუალებას იძლევა, ობიექტურად აღვადგინოთ განსახილველი მოვლენების სრული სურათი. უნდა ითქვას, რომ ესპანეთის შესახებ რეფერენტურაში (097), ისევე როგორც სხვა ფონდებში, ესპანეთში საბჭოთა კავშირის პირველი სრულუფლებიანი წარმომადგენლის მ. როზენბერგის დღიურები (*როზენბერგის დღიურებთან დაკავშირებით, თავის დროზე კონსულტაციების დროს სვეტლანა პოჟარსკაიასგან ვიცოდით, რომ მათი პოვნა შეუძლებელი იყო – ზ.გ*) არაა წარმოდგენილი. მისი მიმოწერა ჩართულია 05 და 010 ფონდებში.

საბჭოთა კავშირის მიერ ესპანეთის რესპუბლიკის შიდაპოლიტიკურ საქმეებში ჩარევის მცდელობებს და ფორმებს ნათლად შეიძლება თვალი მოვადევნოთ 097-ე ფონდში დაცულ ვ. ანტონოვ-ოვსეენკოს დღიურებში.

ამრიგად, უკანასკნელ პერიოდში ჩვენთვის ხელმისაწვდომი ზოგიერთი ფონდის მასალები შესაძლებლობას იძლევა, თავიდან გავიაზროთ და დავაზუსტოთ რიგი დადგენილებები და დასკვნები ესპანეთის სამოქალაქო ომის საერთაშორისო ასპექტების შესახებ და, პირველყოვლისა, სსრკ-ს ჩარევის საქმესთან დაკავშირებით.

საარქივო მასალებთან ერთად, ძვირფას წყაროს წარმოადგენს გამოქვეყნებული საგარეოპოლიტიკური დოკუმენტები. უცხო სახელმწიფოების დოკუმენტების კრებულებს შორის ყველაზე საინტერესოა დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები. საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ვისარგებლეთ 1919-1939 წლების მეორე სერიის XVII ტომით (Documents on British Foreign Policy. 2nd Series, XVII. Western Pact Negotiations: Outbreak of Spanish Civil War, June 1936 – January 1937. London, 1979). ამ კრებულში მოცემულია ინგლისის ელჩების ძვირფასი ცნობები სხვადასხვა ქვეყნებიდან იქ არსებული პოლიტიკური მდგომარეობის, ესპანეთში ამბოხების დაწყებასთან დაკავშირებით მათი რეაქციის და მიზნების შესახებ, ჩაურევლობის კომიტეტის სხდომათა სტენოგრამები, ოქმები, ამონარიდები დიდი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის სხდომების ოქმებიდან და ა.შ. მათი ანალიზის შედეგად შეგვიძლია განვსაზღვროთ ბრიტანეთის პოლიტიკური კურსი, მისი სტრატეგია ესპანეთის საკითხში, დიპლომატიის ტაქტიკა და ა.შ.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ძალიან ბევრ კითხვაზე იძლევა პასუხებს გერმანიის საგარეო პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტები, კერძოდ, D სერიის მესამე ტომი (Documents on German Foreign Policy, serie D, vol 3. Germany and

the Spanish Civil War, 1936-1939. Washington, 1950), რომელიც უშუალოდ ესპანეთის საკითხს ეძღვნება. გარდა ამისა, რამდენიმე საინტერესო დოკუმენტი სხვა სერი-აშიც გვხვდება (Documents on German Foreign Policy 1918-1945: Series C (1933-1937): The Third Reich, First Phase: March 5 – October 31 1936, Volume 5. Washington, 1966).

ამ დოკუმენტებით შეგვიძლია ნათლად წარმოვიდგინოთ ნაცისტური გერმანიის, პირველ ყოვლისა, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია ესპანეთის სამოქალაქო ომთან დაკავშირებით, რთული პოლიტიკური თამაშები რომელსაც გერმანული დიპლომატია ესპანეთსა და ევროპაში ეწეოდა, მისი ტაქტიკა ჩაურევლობის კომიტეტში და ა.შ.

ფრანგულ დიპლომატიურ დოკუმენტებში (Documents diplomatiques français: 1932-1939. 2 serie (1936-1939). Tome II. 1er avril – 18 juillet 1936, 1964; Tome III. 19 juillet – 19 novembre 1936, 1966) დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგარეო საქმეთა მინისტრის დელბოსის მიმოწერას კორბენტან (ელჩი ლონდონში), ფრანსუა პონსესთან (ელჩი ბერლინში), კულონდრთან (ელჩი მოსკოვში). ამ მასალების ანალიზი აფართოებს ხედვას როგორც ფრანგული ისე ევროპული საგარეო პოლიტიკის შესახებ.

ფასდაუდებელი წყაროა იტალიური დიპლომატიური დოკუმენტები (Documenti Diplomatici Italiani. VIII, T. 4. 1993). აქ მოცემული დოკუმენტებით ადვილად დგინდება იტალიის ესპანეთის კონფლიქტში ჩარევის დეტალები, ასევე მუსოლინის სტრატეგია თუ ტაქტიკა ევროპასა და ხმელთაშუაზღვის რეგიონში ესპანეთის სამოქალაქო ომის ფონზე.

აშშ-ს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტებიდან ჩვენთვის საინტერესოა ესპანეთში აშშ-ს ელჩის კლოდ ბაუერსის საქმიანობის ამსახველი საბუთები. ეს უკანასკნელი რესპუბლიკის მიმართ სიმპათიით იყო გამსჭვალული და ამას არც მალავდა. მისი ცნობები ამერიკის სახელმწიფო მდივან კ. ჰალისადმი შეიცავს ძვირფას ინფორმაციას და ესპანეთის მიმართ დასავლეთის დიპლომატიის შეფასებებს (Foreign relations of the United States. Diplomatic Papers. Vol. II. 1936. Washington 1952-1955).

ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების შესწავლა-შეჯერება ბევრ კითხვაზე გვაძლევს პასუხს (ავსებს ერთმანეთს), თუმცა მაინც არის უამრავი საკითხები, რომელთა ბოლომდე გარკვევა დღემდე შეუძლებელია.

სსრკ-ში გამოქვეყნებული საგარეო პოლიტიკის დოკუმენტების კრებულები, სადაც დოკუმენტები ტენდენციურად და ზოგჯერ შეკვეცილი სახით არის წარმოდგენილი, არ იძლევა ესპანეთის ომის შედეგად გაჩენილი საერთაშორისო

კრიზისის ობიექტურ სურათს და ჩვენთვის სრულიად უსარგებლოა სსრკ-ს მიერ ესპანეთის კონფლიქტში ჩარევის გადაწყვეტილების მიღების საკითხის გარკვევის თვალსაზრისით. ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია XIX ტომი, რომელიც მოიცავს პერიოდს 1936 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე (ДВП, XIX, 1974), თუმცა სსრკ-ესპანეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების საკითხის გარკვევისას საკითხის კვლევა შორიდან დაიწყო და, შესაბამისად, კრებული სხვა ტომებიც გამოვიყენეთ (ДВП, XIV 1968; ДВП, XV 1969; ДВП, XVI 1970; ДВП, XVII 1971; ДВП, XVIII 1973). საარქივო მასალებისა და მოცემული კრების დოკუმენტების შედარებით რამდენიმე საკითხის გარკვევა გაადვილდა, ამასთან, ზოგიერთი უზუსტობის გამოვლენის შესაძლებლობაც მოგვეცა.

რუსული დოკუმენტებიდან განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს შემდეგი კრებულები: „პოლიტიბიურო და ევროპა გადაწყვეტილებები „განსაკუთრებულ საქმეთა საქაღალდიდან“. 1923-1939“ (Политбюро ЦК РКП(б)-ВКП(б) и Европа. Решения «особой папки». 1923-1939. 2001) და „პოლიტიბიურო, სხდომათა დღის წესრიგი, კატალოგი“ (Политбюро ЦК РКП(б) – ВКП(б). Повестки дня заседаний. 1919-1952. Каталог. Т. 2. 1930-1939. 2001). პირველი წარმოადგენს უნიკალურ გამოცემას, მაგრამ ესპანეთის პრობლემის გარშემო დოკუმენტების რაოდენობა მცირეა. ესაა ძირითადად ოქმების ამონარიდები, რომლებიც ირიბად ეხება საბჭოთა პოზიციას ესპანეთის საკითხებში. ამ კრებულში არ არის ოქმი (ან თუნდაც ფრაგმენტი) პოლიტიბიუროს იმ სხდომისა, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება საბჭოთა სამხედრო დახმარების დაწყების შესახებ (ამ პრობლემის, მათ შორის, სხენებული სხდომის თარიღის დაზუსტება შესაძლებელია მეორე კრებულით). წიგნში გამოქვეყნებულია პოლიტიბიუროს ძირითადი დადგენილებები, რომელთაც გააჩნდათ გრიფი „საიდუმლო“. „განსაკუთრებულ საქმეთა საქაღალდის“ დოკუმენტები ასახავენ არა მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას სსრკ-ს და წამყვან ევროპულ სახელმწიფოებს შორის, არამედ ომისწინა პერიოდში უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღების საბჭოთა საგარეოპოლიტიკურ მექანიზმებს. ბევრ სადაო საკითხს შუქს ჰფენს 2013 წელს მოცემული კრებული „სსრკ და ესპანეთის სამოქალაქო ომი: 1936-1939. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არქივი“ (СССР и гражданская война в Испании: 1936-1939 годы. Архив Президента Российской Федерации. Москва, 2013).

საინტერესოა სტალინის და კაგანოვიჩის მიმოწერა 1931-1936 წლებში, სადაც

უამრავი საყურადღებო მოვლენაა აღწერილი (Сталин и Каганович. Переписка. 1931-1936 гг 2001). რამდენიმე თვის განმავლობაში, როდესაც სტალინი სამხრეთში მიდიოდა დასასვენებლად, პოლიტიურის მუშაობის ხელმძღვანელობა პარტიაში მის მოადგილე ლ. კაგანოვიჩს ევალებოდა, თუმცა საბჭოთა ლიდერი ეცნობოდა სხდომების ყველა მასალას და ფაქტობრივად წარმართავდა პოლიტიურის საქმიანობას კაგანოვიჩის სახელზე გაგზავნილი წერილების და დეკრეტების გზით. კრებული შეიცავს უნიკალურ ინფორმაციას საბჭოთა ხელმძღვანელობის მიერ, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების შესახებ.

ესპანეთის მოვლენებში სსრკ-სა და კომინტერნის როლთან დაკავშირებით საინტერესო საარქივო მასალებს შეიცავს კრებული: „კომინტერნი და სამოქალაქო ომი ესპანეთში“ (Коминтерн и гражданская война в Испании: документы. 2001). მასში მოცემული საარქივო დოკუმენტები, შემდგენელთა სიტყვებით, ასახავს „კომინტერნის სტრატეგიულ ხაზს, მის მეთოდებს და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს ესპანეთის სამოქალაქო ომის წლებში“ (Коминтерн и гражданская война 2001: 19), თუმცა არამხოლოდ ამ წლებში.

მნიშვნელოვანი დოკუმენტებია შესული რონალდ რადოშის, მერი ჰებეკის და გრიგორი სევისტიანოვის რედაქტორობით გამოცემულ კრებულში „გაყიდული ესპანეთი“ (Spain Betrayed: The Soviet Union in the Spanish Civil War. Yale University Press, 2001). კრებულში შესულია აქამდე უცნობი საიდუმლო დოკუმენტები რუსეთის არქივებიდან (ძირითადად რუსეთის სახელმწიფო სამხედრო არქივიდან – РГВА). გამოქვეყნებული დოკუმენტები უდავოდ ძვირფასია, მაგრამ მისი გამომცემლები კომენტარებში ვერ გასცდნენ ცივი ომისდროინდელ იდეოლოგიურ შტამებს, ამდენად, წიგნის გაცნობისას ჩნდება ლოგიკური კითხვა: კრებულის შემდგენელთა კომენტარები რატომ მოდის წინააღმდეგობაში წიგნში მოცემულ დოკუმენტებთან? ერთი სიტყვით, გამომცემლები თავიანთი კომენტარებით ცდილობენ გაამართლონ წიგნის სათაური მაშინ, როცა დოკუმენტებით ეს ნაკლებადაა შესაძლებელი.

სხვადასხვა საკითხების გასარკვევად და ზოგიერთი დეტალის დასაზუსტებლად დაგვეხმარა ესპანურენოვანი დოკუმენტები, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ორივე კრებული ფრანკოს დროს არის გამოცემული, ძნელი წარმოსადგენი არაა, რომ ისინი ტენდენციურადაა შედგენილი (La historia de España en sus documentos. el siglo XX. La guerra 1936-1939 1963; Los documentos de la primera tragica. Analisis documental de los antecedentes inmediatos del 18 de Julio de 1936. 1967).

იმდროინდელი გერმანიის ზოგადად ევროპულ და კონკრეტულად ესპანურ პოლიტიკაში გასარკვევად საჭირო წყაროა ჰიტლერის გამოსვლათა სრული ნაკრები (Hitler Speeches and Proclamations: 1932-1945. Volume II. 1935-1938. Bolchazy-Carducci Publishers, 1990).

საკითხის შესასწავლად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ჩვენს მიერ ფართოდ გამოყენებული იმდროინდელი წამყვანი პოლიტიკოსების, დიპლომატების, კომინტერნის წევრების, ომში მონაწილე პირების და სხვათა მემუარები და დღიურები. ამ ტიპის ლიტერატურა სპეციფიკურია თავისი ტენდენციურობის გამო, ამიტომ მასთან მუშაობისას სიფრთხილეა საჭირო.

პირველ რიგში, გამოვეყოფთ ესპანელი პოლიტიკოსების და დიპლომატების მემუარებს. მათი შესწავლა ბევრ უცნობ პრობლემას ჰყენს შუქს, მართალია, ეს ძირითადად საშინაო პოლიტიკის საკითხებს ეხება, თუმცა საგარეო საკითხები და ომის ინტერნაციონალიზაციის თემაც არ არის დავიწყებული. აღსანიშნავია რესპუბლიკის პრეზიდენტის მანუელ ასანიას „ესპანეთის ომის მიზეზები“ (**Azaña 2002**). ეს არის სტატიების და წერილების კრებული, რომელიც სრული სახით პირველად გამოიცა 1986 წელს გაბრიელ ჯექსონის წინასიტყვაობით. ომის საერთაშორისო ასპექტებს ეხება მეორე, მესამე და მეოთხე სტატიები. მეგობართან წერილების სახით არის წარმოდგენილი ესპანეთის რესპუბლიკის სოციალისტი პრემიერ მინისტრის ფრანსისკო ლარგო კაბალიეროს მოგონებები (**Caballero Largo 1976**). წიგნში ძირითადად შიდაპოლიტიკური საკითხები, მათ შორის სოციალისტებს და კომუნისტებს შორის ბრძოლის პერიპეტეებია განხილული, მაგრამ ისეთი საკითხების გარკვევაშიც გვეხმარება, როგორცაა, ესპანეთის ოქროს სსრკ-ში გაგზავნა, საბჭოთა დახმარება, საბჭოთა ელჩთან ურთიერთობების საკითხები და ა.შ.

საკვლევე თემასთან დაკავშირებით ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ხულიო ალვარეს დელ ვაიოს ნაშრომები (**del Vaio 1940 ; 1950**). ეს მარტო მემუარები არაა და სერიოზულ სამეცნიერო ნაშრომზეც აცხადებს პრეტენზიას. მათში კარგად არის განხილული უცხო სახელწიფოების ინტერესები ესპანეთთან მიმართებაში, კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იტალიის ამბიციებს, მოცემულია ჩაურევლობის პოლიტიკის ანალიზი, ესპანეთის საკითხი ერთა ლიგაში და ბევრი სხვა საინტერესო დეტალი.

ამბოხების მომავალ ლიდერებთან ფაშისტური იტალიის ხელმძღვანელობის ადრინდელი კონტაქტების შესახებ, იმ ფაქტორების შესახებ, რომელმაც იქონია

გავლენა მუსოლინის გადაწყვეტილებაზე და ა.შ., – საუბარია ერთ-ერთი მონარქისტი ლიდერის საინს როდრიგესის მოგონებების წიგნში (**Sáinz Rodríguez 1978**), თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის, როგორც წყარო, სუსტია.

საყურადღებო წიგნია ინგლისში ესპანეთის ელჩის მანუელ ასკარატეს მემუარები სათაურით „ჩემი ელჩობა ლონდონში ესპანეთის სამოქალაქო ომის განმავლობაში“ (**Azcarate 1976**).

ესპანეთის კონფლიქტში ინგლისის პოზიციის, ჩაურევლობის პოლიტიკის წარმომავლობის საკითხის გასარკვევად და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების დასადგენად მნიშვნელოვანი წყაროა ინგლისის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ენტონი იდენის მემუარები (**Eden 1962**).

საფრანგეთის პოზიციას ესპანეთის სამოქალაქო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, ბლუმის პირველ გადაწყვეტილებას ჩარევის შესახებ, ამის გამო მინისტრთა კაბინეტში და საერთოდ საზოგადოებაში გაჩენილი წინააღმდეგობის, ჩაურევლობისკენ მიმავალ გზას და სხვა საკითხთა ფართო სპექტრს გადმოგვცემს თავის წიგნში „ღალატის ტრიუმფი“ იმ პერიოდში საფრანგეთის ავიაციის მინისტრი, ესპანეთის რესპუბლიკისთვის იარაღის გადაცემის აქტიური მომხრე პიერ კო (**Cot 1944**).

იტალიის პოლიტიკის და ევროპაში მიმდინარე პროცესების გარკვევაში გვეხმარება გალუაცო ჩიანოს „დიპლომატიური ქაღალდები 1936-1942“ (**Ciano 1948**) და მისი დღიურები (**Ciano 1952**). აქ მოცემული დოკუმენტები და საუბრის ჩანაწერები ბევრი ფაქტის გადამოწმების საშუალებას იძლევა.

ჰიტლერის მიერ ესპანეთის საქმეებში ჩარევის გადაწყვეტილების მიღებაზე, მის მოტივებზე, გერმანიის პოზიციაზე ჩაურევლობის პოლიტიკასთან დაკავშირებით და მის მუშაობას ჩაურევლობის კომიტეტში კარგად ასახავს მესამე რაიხის საგარეო საქმეთა მინისტრის იოახიმ ფონ რიბენტროპის მემუარები „ლონდონსა და მოსკოვს შორის. მოგონებები და ბოლო ჩანაწერები“ (**Риббентроп 1996**), რომელიც ნიურნბერგის პროცესის დროს დაიწერა და გამოიცა მისი ცოლის მიერ 1953 წელს. მიუხედავად წიგნში არსებული ზოგიერთი უზუსტობისა, ის დაწერილია ამ პროცესების უშუალო მონაწილის და თვითმხილველის მიერ და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

საბჭოთა პოლიტიკის და კომინტერნის როლის შესასწავლად დიდი დახმარება გაგვიწია ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის გეორგი დიმიტროვის დღიურებმა (**Dimitrov Diary 2012**). საინტერესო წყაროს ესპანეთში საბჭოთა პოლიტიკის

შესახებ წარმოადგენს ამერიკელი ჟურნალისტის და პუბლიცისტის ლუის ფიშერის წიგნი „ადამიანები და პოლიტიკა, ავტობიოგრაფია“ (Fisher 1941).

ლონდონის კომიტეტის საქმიანობა და ჩაურევლობის პოლიტიკის ანალიზი აქვს აღწერილი იმ დროს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს დიდ ბრიტანეთში ივან მაისკის თავის „ესპანურ რვეულებში“ (Майский 1962). მისი ნაშრომი შეუქს ჰფენს ზოგიერთ ნაკლებად ცნობილ ასპექტს. განსაკუთრებით კარგადაა აღწერილი ის თავები, რომლებსაც ავტორი საკუთარ დაკვირვებებზე დაყრდნობით იძლევა. მისი აზრით, ბოლდუინის მთავრობას ყველაზე ნაკლებად სურდა გერმანიასთან დავა, ამასთან, ის ესპანეთს კონუმისტურად განიხილავდა. ასეთ ვითარებაში საჭირო იყო რაღაცნაირი კომპრომისის მოძებნა, „რათა მგლებიც მაძღარნი ყოფილიყვნენ და ცხვრებიც მთელი“. ასე დაიბადა ჩაურევლობის იდეა. (Майский 1962: 25). მიუხედავად ზოგიერთი უზუსტობისა, წიგნი მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს წარმოადგენს.

ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა. ესპანეთის სამოქალაქო ომის შესახებ უამრავი წიგნი თუ სტატიაა დაწერილი, როგორც ომის მსვლელობისას, ისე მის შემდეგ და ამ საკითხისადმი ინტერესი უკანასკნელ დრომდე არ განელებულა. ესპანეთის ომზე წერდნენ თანამედროვეები, თვითმიხილველები, მომხრეები თუ მოწინააღმდეგეები, სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის მქონე ადამიანები და, შესაბამისად, უამრავი თვალსაზრისი დამკვიდრდა. საკითხი ასევე იდეოლოგიურ ბრძოლას ემსახურებოდა სხვადასხვა ბანაკის ისტორიკოსებს შორის.

საკვლევი საკითხის სირთულიდან გამომდინარე პრობლემის საკვლევი გზა, განურჩევლად იმისა, საუბარია ზოგადი ხასიათის ნაშრომზე თუ კონკრეტული საკითხის ამსახველი გამოკვლევაზე, თავისი ხასიათით და შინაარსით მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლაზე გადის.

ესპანეთის სამოქალაქო ომის შესწავლა ხდებოდა როგორც კონკრეტული საკითხის სახით, ისე მეორე მსოფლიო ომის წინა საერთაშორისო ურთიერთობათა კონტექსტში. ამ მხრივ საყურადღებოა ადამთვეითის, ბელის, ტეილორის, ბრენდონის, რაითის, ოვსიანის, სიპოლსის და სხვათა ნაშრომები (Adamthwaite 1992; Bell 2007; Taylor 1961; Brendon 2001; Wright 2007; Овсяный 1975; Сиполс 1989). ამ თვალსაზრისით უდავოდ გამორჩეულია ჩერჩილის ფუნდამენტური ნაშრომი „მეორე მსოფლიო ომი“, სადაც ესპანეთის ამბები განხილულია ექვსტომეულის პირველ ტომში, რომლის სათაურია „მოსალოდნელი ქარიშხალი“ (Черчилль 1997).

ყველაზე სრული გამოკვლევა საკუთრივ ესპანეთის სამოქალაქო ომის შესახებ

ხებ ეკუთვნის სხვადასხვა სამეცნიერო სკოლების ისეთ წარმომადგენლებს, როგორებიცაა: ჰ. თომასი, გ. ჯექსონი, ბ. ბოლოტენი, ს. პეინი, პ. პრესტონი, ხ. სალას-ლარასაბალი, ე. ბიგორი, ა. ვინიასი, ხ. კასანოვა, ე. დარგანი, ფ. რომერო-სალვადო ა. ფორესტი და ა.შ.

ზოგადი ხასიათის ნაშრომებიდან აღბათ ყველაზე საინტერესო არის ბრიტანელი ავტორის, ლეიბორისტული პარტიის წევრის ჰიუ თომასის წიგნი, რომელიც გამოქვეყნდა 1961 წელს და რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი სამოქალაქო ომის ეტაპები და რომელიც დღესაც ერთ-ერთ საუკეთესო წიგნად ითვლება ესპანეთის სამოქალაქო ომის შესახებ. იყენებს რა მდიდარ დოკუმენტურ მასალას, ავტორი ცდილობს, ობიექტურად შეაფასოს მოვლენები. წიგნის პოპულარობაზე ისიც მეტყველებს, რომ ის რამდენიმეჯერ გამოიცა და ბოლოს 2003 წელს რუსულადაც ითარგმნა. ავტორი კრიტიკულად უყურებს კომუნისტებს და მათ როლს ესპანეთის კონფლიქტში. ის სწორედ კომუნისტებს აკისრებს პასუხისმგებლობას რესპუბლიკის დამარცხებაში. თომასი დეტალურად აღწერს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აჯანყებამდე, საომარი მოქმედებების მსვლელობას, უცხოური ფაქტორების როლს და ადგილს ესპანეთის ომის შედეგებში. რუსული თარგმანი, რომლითაც ჩვენ ვისარგებლეთ, რამდენადმე შემცირებულია ორიგინალთან შედარებით, თუმცა ძირითადი დებულებები სრულადაა გადმოცემული (**Tomac 2003**).

ესპანეთის სამოქალაქო ომთან დაკავშირებით ფართოდ არის აღიარებული გაბრიელ ჯექსონის ნაშრომები. პირველ წიგნზე მუშაობისას ავტორმა ერთი წელი გაატარა ესპანეთში, სადაც ამუშავებდა საარქივო მასალებს და იწერდა ომში მონაწილეთა მოგონებებს (**Jackson 1965**). გ. ჯექსონი ასახავს ომის საერთაშორისო ასპექტებს და გმობს დიდი სახელმწიფოების პოზიციას ესპანეთის კონფლიქტში. რაც შეეხება სსრკ-ს, ავტორის აზრით, მას არ ჰქონდა პირდაპირი ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესები და მისი მიზანი იყო შეემოწმებინა სახალხო ფრონტის პოლიტიკის და კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის ეფექტურობა. საბჭოთა ლიდერები არ ვარაუდობდნენ ახლო მომავალში ესპანეთის სოციალისტურ ქვეყანად ქცევას, მაგრამ, ჯექსონის აზრით, ისინი განიხილავდნენ ესპანეთის მოვლენებს როგორც მსოფლიო რევოლუციური პროცესის ნაწილად.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ბრიტანელი ისტორიკოსის ენდი დარგანის ნაშრომი (**Durgan 2007**). ავტორი მიმოიხილავს და კრიტიკულად აფასებს ომთან დაკავშირებულ ყველა საკვანძო და სადისკუსიო საკითხს. წიგნში სა-

უბარია ომის მიზეზებზე, კონფლიქტის მსვლელობაზე, უცხოური სახელმწიფოების გავლენაზე, რესპუბლიკის დამარცხების მიზეზებზე და ა.შ. ავტორი მესამე თავში ამომწურავად ეხება ომის საერთაშორისო ასპექტებს.

ეროვნებით ესპანელი ისტორიკოსი ბრისტოლის უნივერსიტეტიდან ფრანსისკო რომერო საღვადო იკვლევს ომის წარმოშობას, მსვლელობას და შედეგებს. მესამე თავი, რომელიც ომის საერთაშორისო განზომილებას ეხება, საკმაოდ მოცულობითია და კარგადაა გადმოცემული ყველა ასპექტი (**Romero Salvadó 2005**).

სარაგოსას უნივერსიტეტის ერთ-ერთი წამყვანი ისტორიკოსი ხუან კასანოვა ესპანეთის ომს 1930-იან წლების არასტაბილური მსოფლიოს კონტექსტში განიხილავს (**Casanova J. 2010**).

ზოგადი ისტორია ესპანეთის სამოქალაქო ომის შესახებ აქტუალური თემაა თანამედროვე რუსი მკვლევრებისთვისაც. მიუხედავად რიგი ხარვეზებისა, საინტერესო ნაშრომს წარმოადგენს ს. დანილოვის წიგნი (**Данилов 2004**). უფრო მაღალ დონეზეა დაწერილი ნ. პლატოშკინის ნაშრომი (**Платошкин 2005**).

ესპანეთის სამოქალაქო ომის საერთაშორისო ასპექტები საკითხის კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა ჯერ ჟურნალისტების და პოლიტიკოსების, ხოლო შემდეგ ისტორიკოსების ნაშრომებში. მიუხედავად დიდი გამოცდილებისა, ზოგიერთ საკითხზე დღემდე არ არის დოკუმენტებით გამყარებული არგუმენტირებული პასუხი გაცემული.

ერთ-ერთი პირველი, რომელიც ეხება ომის საერთაშორისო ასპექტებს, არის პოლანდიელი მკვლევარი პატრისია ვან დერ ეში (**Esch 1951**). მოცემული გამოკვლევა კარგა ხანია მოძველდა როგორც კონცეპტუალურად, ისე დოკუმენტური ბაზის სიმწირის გამო. მიუხედავად ავტორის მცდელობისა, დაიცვას ობიექტურობა, ის ვერ ასცდა და იმ პერიოდში ვერც ასცდებოდა ცივი ომის გავლენას.

უდავოდ საინტერესოა ამერიკელი მეცნიერის დანტე პუცოს წიგნი, რომელიც ეხება დიდი სახელმწიფოების პოლიტიკას ესპანეთთან მიმართებაში 1936-1941 წლებში (**Puzzo 1962**). წიგნი ძირითადად ეხება ომის დიპლომატიურ მხარეს და მასში შემდეგი აზრია გატარებული: ესპანეთის კონფლიქტი არ ყოფილა არც ნაცისტების და არც კომინტერნის ინსინუაციების შედეგი. დადგნენ რა პოზიციის დაფიქსირების აუცილებლობის წინაშე, ყველა დიდი სახელმწიფო შიშობდა, რომ ეს კონფლიქტი არ გადაზრდილიყო საერთო ევროპულ ომში. ისინი იძულებული გახდნენ, ერთ-ერთი მხარის გვერდით დამდგარიყვნენ, თუმცა ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, არც წაეგოთ და არც სწრაფად გაემარჯვათ. პუცოს აზ-

რით, ამ მხრივ გამონაკლისი იყო ინგლისი. ნაშრომს აკრიტიკებს ისტორიკოსი ჰიუ თომასი, რომლის აზრითაც პუცო, მიუხედავად იმისა, რომ უამრავ დიპლომატიურ დოკუმენტს გაეცნო, წერს უფერულ, კლიშეებით შეზღუდულ პროზას. თომასი თვლის, რომ ავტორმა უამრავი მოვლენის, მნიშვნელოვანი მასალისა და სამეცნიერო ლიტერატურის, მათ შორის, მისი წიგნის იგნორირება მოახდინა, რომელიც ერთი წლით ადრე გამოიცა და, თომასის სიტყვებით, ხშირად პუცოს ნაშრომზე ბევრად შორს მიდიოდა (International Journal 1936: 391-392).

ომის საერთაშორისო ასპექტების შესახებ უკანასკნელი პერიოდის გამოცემებიდან გამორჩეულია ბრიტანელი ისტორიკოსის მაიკლ ალპერტის მონოგრაფია, რომელიც ემყარება აქამდე შეუსწავლელ საარქივო მასალებს (Alpert 1994). წიგნში მდიდარი ფაქტობრივი მასალაა მოცემული, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ავტორისეული შეფასებითი მხარე ნაკლებადაა წარმოდგენილი.

მ. ალპერტის ნაშრომი მიზნად ისახავს არსებული თვალსაზრისის და კონცეფციების გადასინჯვას. მის ნაშრომში გამოყენებულია უამრავი წყარო ექვს ევროპულ ენაზე. ამასთან, ავტორი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ მან თარჯიმნის დახმარებას მიმართა მხოლოდ რუსული და იტალიური მასალის დამუშავებისას. უნდა აღინიშნოს, რომ რუსული წყაროები ავტორს სუსტად აქვს გამოყენებული. თუ საარქივო მასალებთან დაკავშირებით ყველაფერი გასაგებია (ისინი პრაქტიკულად არ იყო ხელმისაწვდომი), უცნაურია, რატომ არ გამოიყენა გამოქვეყნებული დიპლომატიური დოკუმენტები. ალპერტის წიგნი სამი ნაწილისგან შედგება, რომელიც 15 თავადაა დაყოფილი. ნაშრომის 2/3 ეძღვნება სამოქალაქო ომის პირველ წლებს. პირველ ნაწილში განხილულია ივლის-აგვისტოს მოვლენები და ევროპული სახელმწიფოების მიერ პოზიციების განსაზღვრის საკითხი ესპანეთში განვითარებული მოვლენების მიმართ. ანალიზებს რა ევროპულ პოლიტიკას, რომელიც წინ უსწრებდა ესპანეთის ომს, ალპერტი ხაზს უსვამს ევროპული უსაფრთხოების შესახებ ინგლისურ და ფრანგულ ხედვებს შორის არსებულ განსხვავებას. თავისი დამოკიდებულება სსრკ-ს პოლიტიკის და კომინტერნის მიმართ ალპერტმა განიხილა თავში, რომელსაც საინტერესო სათაური დაარქვა – „კომუნიზმის საფრთხობელა“. ავტორის აზრით, შიში სსრკ-ს და მსოფლიო რევოლუციის წინაშე, რომელიც რუსეთის „ოსტრაკიზმის“ მიზეზს წარმოადგენდა, უსაფუძვლო იყო. გერმანიისა და იტალიის მიერ ჩარევის გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით ალპერტი იცავს იმ აზრს, რომ თავიდან კონკრეტული დაპირებები შეამბოხებთან ამ ქვეყნების ხელმძღვანელობას არ აკ-

ავშირებდა და გადაწყვეტილება იმპროვიზებულ სახეს ატარებდა. მიუხედავად ზოგიერთი ნაკლოვანებებისა, ჯამში ალპერტის ნაშრომი სერიოზულ კვლევას წარმოადგენს.

ბოლო პერიოდში აღინიშნება რუსი მეცნიერების დაინტერესება სამოქალაქო ომის საერთაშორისო ასპექტებით. ამ მხრივ აღსანიშნავია ბელგოროდის უნივერსიტეტის პროფესორის ვერა მალაის ნაშრომი (**Малай 2011**). მალაიმ ამ საკითხს კომპლექსური გამოკვლევა მიუძღვნა, რომელიც უამრავ საკითხს მოიცავს. ნაშრომის უდაო უპირატესობა არის დიდძალი დოკუმენტური მასალის გამოყენება რუსეთის არქივებიდან, პირველყოფლისა, საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის არქივის საიდუმლო ფონდებიდან (რომელიც გაიხსნა 1992 წელს), ასევე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივიდან და ა.შ. ავტორის თქმით, მოცემული მონოგრაფია არის ადრე გამოცემული წიგნის ლოგიკური გაგრძელება (**Малай 2009**). პირველ თავში ავტორი გლობალური ევროპული პოლიტიკის ფონზე განიხილავს ესპანეთის სამოქალაქო ომს, მის დასაწყისს და წამყვანი ევროპული სახელმწიფოების სტრატეგიულ ინტერესებს, ესპანური კონფლიქტის გავლენას მსოფლიო ომის წინა ევროპაში პოლიტიკური კავშირების ჩამოყალიბებაზე. მეორე თავში ამომწურავად, საარქივო მასალებზე დაყრდნობით, საუბარია ჩაურევლობის პოლიტიკის შემუშავებასა და მის იმპლემენტაციაზე. მესამე თავში მოცემულია ჩაურევლობის პოლიტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფა. სამხედრო შემადგენელს მეოთხე თავი ეხება და მეხუთე განიხილავს ხმელთაშუა ზღვის პრობლემებს. ავტორი ცდილობს, განთავისუფლდეს საბჭოური გავლენისგან და ობიექტურად წარმოაჩინოს საკვლევი საკითხები. უნდა ითქვას, მისი ეს მიზანი დიდწილად შესრულებულია.

გერმანიის ჩარევის საკითხი ესპანეთის სამოქალაქო ომში კარგად არის შესწავლილი ისეთ ავტორებთან, როგორებიცაა: ჰ. აბენდროთი, რ. უილი, კ. ლაიტცი, დ. სმითი, ა. ვინიასი, ჰ. ვეინ ბოუენი, პ. ბარბიერი და სხვ.

ჰანს ჰენინგ აბენდროთმა ბევრი გერმანული და ბრიტანული დოკუმენტი შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში. თავის ნაშრომებში (**Abendroth 1973; 1976; 1978**) ის ამტკიცებს, რომ ეკონომიკური ფაქტორი ჰიტლერისთვის არ წარმოადგენდა მთავარ მიზეზს ესპანეთის კონფლიქტში ჩასარევად. პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სამხედრო ასპექტები მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მხოლოდ როგორც დამატებითი მოტივები. მისი დასკვნით, ჰიტლერისთვის მთავარი იყო, არ დაეშვა ესპანეთში კომუნისტური „მთავრობის“ გამარჯვება და ამ იდე-

ოლოგიის გავრცელება ევროპულ კონტინენტზე. აბენდროთის წყალობით ჩვენ შეგვიძლია ბევრი დეტალი აღვადგინოთ ჰიტლერის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებით.

ესპანეთში ჰიტლერის ეკონომიკურ დაინტერესებაზე საუბრობს ამერიკელი მეცნიერი ოპიოს უნივერსიტეტიდან რობერტ უილი თავის ნაშრომში „ჰიტლერი და ესპანეთი: ნაცისტების როლი ესპანეთის სამოქალაქო ომში 1936-1939“ (**Whealey 1989**). წიგნი მცირე მოცულობისაა (142 გვერდი), მაგრამ მასში გადმოცემულია ავტორის 25-წლიანი კვლევის შედეგები. ნაშრომში გამოყენებულია როგორც გამოქვეყნებული დოკუმენტები, ისე მანამდე უცნობი საარქივო მასალა. მისი აზრით, ფიურერი იმედოვნებდა, და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ფრანკოს გამარჯვების შემდეგ რაიხის სამხედრო პოტენციალის გასაზრდელად შესაძლებელი იქნებოდა მასთან შეთანხმება ესპანეთის სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების საკითხზე.

ახალგაზრდა მკვლევრის პიერპაოლო ბარბიერის აზრით, ეკონომიკურმა ამბიციებმა, და არა იდეოლოგიურმა, აიძულა ჰიტლერი, ჩარეულიყო ესპანეთის ომში. ნაცისტები იმედოვნებდნენ ეკონომიკური იმპერიის შექმნას ევროპაში. ნაცისტები ფრანკოს ამარაგებდნენ თვითმფრინავებით, იარაღით, ტანკებით, მაგრამ ამ გულუხვობის უკან რეალურად იდგა გარიგება – იარაღის და ტექნიკის უზრუნველყოფით გერმანია თანდათან შთანთქავდა ესპანეთს არაფორმალურ იმპერიაში, აფართოებდა რა კონტროლს საკვანძო ესპანურ რესურსებზე, რათა გამოეყენებოდა თავისი სამხედრო დარგები. ეს გეგმა ხორციელდებოდა ჰიტლერის ეკონომიკის უგვირგვინო მეფის ჰ. შახტის მეშვეობით (**Barbieri 2015**).

კრისტიან ლაიტცის კვლევის სფერო არის ეკონომიკური ურთიერთობები ნაცისტურ გერმანიას და ფრანკისტულ ესპანეთს შორის 1936-1945 წლებში. ამ სათაურით გამოსცა მან თავისი მონოგრაფია (**Leitz 1996/a**), რომელშიც ჩვენთვის საინტერესოა პირველი თავი. იმავე წელს დაიბეჭდა მისი სტატია „ნაცისტური გერმანიის ჩარევა ესპანეთის სამოქალაქო ომში და ჰისმა/როვაკის დაარსება“. (**Leitz 1996/b**). ავტორს გამოყენებული აქვს ბევრი ახალი წყარო. სტატია იწყება იმის აღწერით, თუ როგორ შესთავაზა ფრანკოს მაროკოში მცხოვრებმა გერმანელმა კომერსანტმა ბერნჰარდტმა თავისი დახმარება, დაწერილებითაა განხილული ფრანკოს ემისრების ჰიტლერთან ჩასვლა და ა.შ. ავტორი სვამს ორ კითხვას, რომელიც მართლაც საკვანძოა პრობლემის გასაგებად: 1. იცოდა თუ არა ნაცისტურმა რეჟიმმა ესპანეთში აჯანყების მზადების შესახებ და იღებდა თუ არა მო-

ნაწილეობას მის მომზადებაში; 2. რა მოტივები ამოძრავებდა ჰიტლერს ესპანეთის კონფლიქტში ჩარევის გადაწყვეტილების მიღებისას. პირველ კითხვაზე პასუხის გასაცემად ლაიტცი აანალიზებს ცნობილ და უცნობ ფაქტებს და ასკვნის, რომ ადრე ისტორიკოსების მიერ გაკეთებული დასკვნები (განსაკუთრებით აღმოსავლეთ გერმანელი მკვლევრები) გერმანიის მონაწილეობის შესახებ სიმართლეს არ შეეფერება. რაც შეეხება მეორე საკითხს, ლაიტცის აზრით, მთავარი მოტივი იყო იდეოლოგიური და შემდეგ სტრატეგიული. ამავე დროს ის უარყოფს, რომ იმ მომენტში ეკონომიკური ხასიათის მოსაზრებები საერთოდ არსებობდა. მისი აზრით, რომელიც ეწინააღმდეგება, მაგალითად, რობერტ უილის აზრს, მატერიალურმა ფაქტორებმა უფრო გვიან შეასრულეს თავისი როლი. შემდეგ ლაიტცი ეხება ფირმების „ჰისმა“ და „როვაკის“ შექმნას, მათ საქმიანობას და ამტკიცებს, რომ ჰიტლერი არ ერეოდა ამ ფირმების საქმიანობაში. ჰიტლერი ესპანეთის საქმეებით სულ ორჯერ დაკავდა, 1936 წლის ბოლოდან ომის დასრულებამდე ესპანეთის საქმეებს კი წვევტდა გიორინგი (**Leitz 1996/b: 84-85**).

რატომ მიმართა გენერალმა ფრანკომ დახმარებისთვის ნაცისტურ გერმანიას, რა გარემოებებში მოხდა ეს, რატომ გადაწყვიტა ჰიტლერმა დათანხმებოდა თხოვნას, მაშინ როცა საგარეო საქმეთა სამინისტროს აზრი დიამეტრალურად განსხვავდებოდა, რა შედეგები მოჰყვა ჰიტლერის გადაწყვეტილებას და ა.შ. ამ საკითხებს დიდი ხანია სწავლობს ცნობილი ესპანელი მკვლევარი ანხელ ვინიასი. მან ჯერ კიდევ 1974 წელს გამოსცა წიგნი სათაურით „ნაცისტური გერმანია და 18 ივლისი“, სადაც დეტალურად, დღეების და საათების მიხედვით, ჰქონდა განხილული ჰიტლერის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების პროცესი, მისი წინაპირობები და შედეგები. ნაშრომი მალე გახდა სამაგიდლო წიგნი პრობლემით დაინტერესებული მკვლევრებისთვის. ახალი საარქივო მასალების აღმოჩენამ განაპირობა ამ წიგნის შევსებული და შესწორებული ვარიანტის გამოქვეყნება სათაურით „ფრანკო, ჰიტლერი და სამოქალაქო ომის გაჩაღება. წინაპირობები და შედეგები“ (**Viñas 2001**). ნაშრომის ისტორიოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი ბაზა შთამბეჭდავია. ის შედგება შვიდი თავისგან და ეხება პრაქტიკულად ყველა საკითხს, რომელიც ამ პრობლემას უკავშირდება, იქნება ეს ეკონომიკური კავშირები, გერმანია-ესპანეთის ურთიერთობები 20-იანი წლებიდან მოყოლებული, გერმანელ მზვერავთა, მათ შორის აბვერის მომავალი შეფის აღმირალ კანარისის საქმიანობა ესპანეთში, ნაცისტების მოსვლა ხელისუფლების სათავეში და ცვლილებები საგარეო პოლიტიკაში, ესპანეთის ადგილი და როლი

ჰიტლერის გეგმებში, სავაჭრო ურთიერთობები ნაცისტებსა და ესპანეთს შორის, უცხოური ინვესტიციების ოდენობა ესპანეთში და გერმანიის წილი, ესპანური რკინის მადნის როლი გერმანიის გადაიარაღების საქმეში და ა.შ. წიგნში დაწვრილებით და დოკუმენტურად არის საუბარი იმ ურთიერთობებზე, რაც შეთქმულების მომავალ ლიდერებს აკავშირებდა ნაცისტური გერმანიის სხვადასხვა უწყებებთან თუ კერძო პირებთან. ჩვენთვის საინტერესო საკითხები მოცემულია მეხუთე თავში. ვინიასი დაწვრილებით საუბრობს ფრანკოს მიერ დახმარების თხოვნაზე, ჰიტლერთან ემისრების გაგზავნაზე, განიხილავს და ერთმანეთს უპირისპირებს ორ ვერსიას ამ მოვლენებთან დაკავშირებით, კერძოდ, ი. ბერნჰარდტისა და ვ. ბურბახის ვერსიებს. ვინიასი დეტალებში აღწერს ბაიროიტში ჰიტლერთან შეხვედრას, ბაიროიტის თათბირს და მის შედეგებს. ჰიტლერის მოტივებზე საუბრისას ავტორი გამოყოფს სტრატეგიულ მოტივს, რომელსაც სარჩულად ედო იდეოლოგიური მოტივი.

ესპანეთის სამოქალაქო ომში იტალიის ჩარევის მიზეზებსა და შედეგებს უამრავი კვლევა მიეძღვნა, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ჯონ კოვერდეილის, ისმაელ სასის, ხოსე მიგელ კამპო რისოს, მორტენ ჰეიბერგის, პოლ პრესტონის და სხვათა ნაშრომები (**Coverdale 1975; Saz 1986/a, 1986/b; 1992; Campo Rizo 2009; Heiberg 2002, 2004, 2006; Preston 1996; 1999**).

პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორის ჯონ კოვერდეილის წიგნი „იტალიური ინტერვენცია ესპანეთის სამოქალაქო ომში“ (**Coverdale 1975**) ამ თემაზე შექმნილი ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული შრომაა. ის გამოირჩევა ფართო დოკუმენტური ბაზით (იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მასალები, დოკუმენტები მუსოლინის სამდივნოდან და ა.შ.). კოვერდეილი სამართლიანად თვლის, რომ იტალიის ინტერვენცია ესპანეთში ნაკარნახევი იყო მისი ტრადიციული საგარეოპოლიტიკური დადგენილებებით და სამხედრო სტრატეგიული მდგომარეობით ევროპასა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, განსაკუთრებით საფრანგეთთან ურთიერთობაში, სადაც სახალხო ფრონტის ხელისუფლების სათავეში მოსვლამ ამ ამოცანებს იდეოლოგიური შეფერილობა მისცა (388-389). კოვერდეილის მტკიცება, რომ მუსოლინი ცდილობდა უფრო რევოლუციის აღკვეთას, ვიდრე ფაშისტური ან პროფაშისტური რეჟიმის დამყარებას ესპანეთში, ჩვენი აზრით, სავსებით სწორია.

პოლ პრესტონის სტატია „მუსოლინის ესპანური ავანტიურა: შეზღუდული რისკიდან ომისკენ“ (**Preston 1996**) ემყარება იტალიელი პოლიტიკოსების, დიპლო-

მატების, სამხედრო პირების მემუარებს, გამოქვეყნებულ იტალიურ დიპლომატიურ დოკუმენტებს, საარქივო მასალებს. ქრონოლოგიურად ის მოიცავს 1936 წლის ზაფხულ-შემოდგომას. ნაშრომი გამოირჩევა ესპანეთის მოვლენებში იტალიის პოზიციის ფორმირების საკითხების დეტალიზაციით. ავტორი აანალიზებს იტალიის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესს. პ. პრესტონი არ ეთანხმება ტრადიციული თვალსაზრისის მიმდევრებს იმაში, რომ მუსოლინი ჩაერია ესპანეთის ომში მხოლოდ იმის შიშით, რომ მასში საფრანგეთი და საბჭოთა კავშირი აპირებდნენ ჩარევას. ავტორის აზრით, მიუხედავად ყოყმანისა, მუსოლინიმ ისე მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ იცოდა ჰიტლერის მიერ მიღებული ანალოგიური გადაწყვეტილების შესახებ. ჩამოთვლის რა ანტიფრანგულ, იდეოლოგიურ და ანტისაბჭოთა ვერსიებს იტალიის ჩარევისა ესპანეთის ომში, პრესტონი არცთუ უსაფუძვლოდ ხაზს უსვამს, რომ მათი უტრირება იწვევს პრობლემის ცალმხრივ შეფასებას.

ესპანეთის და ფაშისტური იტალიის ურთიერთობებს, იტალიის როლს ამბოხების მომზადებაში, ჩარევის წინაპირობებს, მუსოლინის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ჩარევის შედეგებს და სხვა საკითხებს საარქივო მასალების და მრავალფეროვანი დოკუმენტების საფუძველზე საინტერესოდ განიხილავს თავის ნაშრომებში ესპანელი ისტორიკოსი ვალენსიის უნივერსიტეტიდან ისმაილ სას კამპოსი (**Saz 1986/a; 1986/b; 1992**).

ბოლო პერიოდში დანიელმა მორტენ ჰეიბერგმა გამოაქვეყნა რამდენიმე წიგნი და სტატია, სადაც მაღალ დონეზე აქვს განხილული მუსოლინის პოლიტიკა ესპანეთის მიმართ. ხმელთაშუა ზღვასთან დაკავშირებული პრობლემები დაწვრილებითაა მოცემული წიგნში „ხმელთაშუა ზღვის იმპერატორები: ფრანკო, მუსოლინი და ესპანეთის სამოქალაქო ომი“ (**Heiberg 2004**). საინტერესოა მორტენ ჰეიბერგის და მანუელ როს აგუდოს თანაავტორობით გამოცემული წიგნი, რომელიც სამოქალაქო ომის ფარულ სიუჟეტებს ეხება. აქ დეტალურადაა განხილული ამბოხების მომზადების კულისებს მიღმა საკითხები (**Heiberg Ros Agudo 2006**). ესპანური და უცხოური საარქივო დოკუმენტების საფუძველზე ავტორები გეთავაზობენ ფრანკისტი, იტალიელი, გერმანელი აგენტების საქმიანობის ფართო პანორამას ესპანეთის სამოქალაქო ომამდე და ომის პერიოდში.

საფრანგეთის პოზიცია ესპანეთის სამოქალაქო ომში, ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობები, ჩაურევლობის პოლიტიკის შემუშავება, მისი იმპლემენტაციის პრობლემები განხილული ისეთ ავტორებთან, როგორებიც არიან ჯეფრი უორნერი (**Warner 1962**), არტურ ფარნია (**Furnia 1961**), უილიამ კლეინ-ალბრანდტი (**Kleine-**

Ahlbrandt 1962), მ. დ. გალაჰერი (Gallagher 1971), დევიდ კარლტონი (Carlton 1971), უილიამ უოტერსი (Watters 1971), მანუელ ტუნიონ დე ლარა (Tuñón de Lara 1991), ენტონი ადამთვაიტი (Adamthwaite 2009), ჟან ფრანსუა ბერდა (Berdah 2006), როსიო კომას ნავარო (Comas Navarro 1997), რიკარდო მირალესი (Mirales 2010), ხუან პერეირა კასტანიარესი (Pereira Castañares 2013), დევიდ უინგიტ პაიკი (Pike 2011) და ა.შ. საფრანგეთში ესპანეთის საელჩოს დესტრუქციულ საქმიანობაზე საინტერესო სტატია აქვს ისიდორო ხილ მონხეს (Monje Jil 2006).

ნაშრომებს შორის, რომელიც ეძღვნება ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკურ კურსს ესპანეთში, გამოვეყოფთ ჯილ ედვარდსის წიგნს (Edwards 1979), დუგლას ლითლის (Little 1985), ენრიკე მორადიელოსის (Moradiellos 1991; 1992; 1992; 1993, 1996) წიგნებს და სტატიებს. ამასთან, ჯ. ედვარდსის ნაშრომი შეიძლება ჩაითვალოს პრობლემის კომპლექსური კვლევის ფლაგმანად. წიგნში „ბრიტანეთის მთავრობა და ესპანეთის სამოქალაქო ომი“ ავტორი აანალიზებს ბრიტანეთის პოზიციებს ჩაურევლობის პოლიტიკის ჩამოყალიბება-რეალიზების პროცესში. ინგლისის პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებს შორის ის გამოყოფს ეკონომიკურ ასპექტებს (მესამე თავი), სანაოსნო საკითხებს (მეოთხე თავი), ფრანკოს აღიარების საკითხს (მეექვსე თავი). ედვარდსი ავითარებს თეზისს ბრიტანეთის მიერ ჩაურევლობის პოლიტიკის მიღების იდეოლოგიურ ქვეტექსტებზე (ანტიკომუნიზმი): „ვეროპის გაყოფის შიში ორ იდეოლოგიურად დაპირისპირებულ ბლოკებად იყო ბრიტანეთის პოლიტიკის მამოძრავებელი ძალა“ (Edwards 1979: 32). ჩვენ ვერ დავეთანხმებით ავტორის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის ე. იდენის განწყობა იყო პრორესპუბლიკური (Edwards 1979: 101). საკმაოდ ობიექტურად აანალიზებს რა ბევრ ასპექტს (მაგალითად, საზღვაო საკითხებს), ედვარდსი ცდილობს, გაამართლოს ბრიტანული კურსი. კონფლიქტის ისეთი არსებითი მომენტები, როგორცაა ინგლისის ურთიერთობების დინამიკა ფაშისტურ ქვეყნებთან, რა გაკვეთილები მიიღო ბრიტანეთის პოლიტიკურმა წრეებმა ესპანეთის მოვლენებით და ა.შ., საერთოდ არ განიხილება ან განიხილება მხოლოდ დამოკიდებულ კონტექსტში.

ანტირესპუბლიკური და პროფრანკისტული იდეოლოგიური სენტიმენტებით საკმაოდ კატეგორიულად წარმოაჩენს ბრიტანეთის პოზიციას ესპანეთის საკითხებში ისტორიკოსი გლენ სტოუნი (Stone 1989).

ამერიკელი ისტორიკოსი დუგლას ლითლი თავის წიგნში „არაკეთილსასურ-

ველი ნეიტრალიტეტი: აშშ, დიდი ბრიტანეთი და ესპანეთის სამოქალაქო ომის დასაწყისი“ (**Little 1985**) ცდილობს დაგვანახოს, თუ როგორ მოახდინა კომუნიზმის შიშის სტიმულირება ამერიკის და დიდ ბრიტანეთის სამთავრობო წრეებში ესპანეთის რესპუბლიკის არსებობის ხუთწლიანმა არეულმა პერიოდმა და როგორ აისახა ეს შიშები ბრიტანეთის მხრიდან ანტირესპუბლიკურ და ჩაურევლობის პოლიტიკაში, ხოლო ამერიკის მხრიდან მორალურ და შემდეგ ფორმალურ ემბარგოში. მის მოსაზრებებში მაინცდამაინც ახალი არაფერია შემოთავაზებული, თუმცა წიგნი საინტერესოა იმ კუთხით, რომ ემყარება როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის, ისე ფორინ ოფისის უცნობ საარქივო მასალებს, განსაკუთრებით 1931-1935 წლების გარკვევისას, რაც დაახლოებით წიგნის მესამედია. შემდგომში, როდესაც პოლიტიკის იმპლემენტაციაზე საუბარი, საარქივო მასალები მეორად წყაროებს უთმობენ ადგილს.

ესპანელი ისტორიკოსი ენრიკე მორადიელიოსი განეკუთვნება დემოკრატიული ორიენტაციის პროფესიონალ ისტორიკოსთა ახალ თაობას. მისი ნაშრომები, როგორც წესი, სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოტანილ საარქივო მასალებს ეფუძნება და ეძღვნება ბრიტანეთის პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებს ესპანეთის სამოქალაქო ომში. თავის ნაშრომებში ის ესპანეთში ბრიტანეთის მთავრობის პოლიტიკას მისი ეკონომიკური ინტერესების კონტექსტში განიხილავს. ავტორის აზრით, ესპანეთის ეკონომიკაში ჩადებულ იქნა არსებითი ბრიტანული ინვესტიციები, რომელთაც ესპანეთის რესპუბლიკის პირობებში ნაციონალიზაცია ემუქრებოდა. ამის საწინააღდგოდ ფრანკო განიხილებოდა როგორც სოციალური კონსერვატიზმის და ეკონომიკური სტაბილურობის გარანტი.

ესპანეთის სამოქალაქო ომის საერთაშორისო ასპექტების განხილვისას ყველაზე რთული და ამავე დროს მითოლოგიზირებული საკითხი არის საბჭოთა კავშირის მონაწილეობა ამ კონფლიქტში. ერთ-ერთი პირველი სერიოზული გამოკვლევა, რომელიც ეძღვნება სსრკ-ს, კომინტერნის და ესპანეთის კომუნისტური პარტიის საქმიანობას სამოქალაქო ომის პერიოდში გამოვიდა აშშ-ში 1956 წელს (**Cattel 1956; 1957**). მ. ნოვიკოვის შეფასებით, პროფესორ დ. ქეთელისგან ეს იყო გმირობა ასეთ რთულ პერიოდში გამოეცა წიგნი, რომლის ლაიტმოტივი გახდა საბჭოთა პოლიტიკის ერთგვარი გამართლება (**Новиков 1995: 91**).

საყურადღებო წიგნია ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის რ. კარის ნაშრომი „კომინტერნი და სამოქალაქო ომი ესპანეთში“ (**Carr 1984**). მონოგრაფიაში გამოყენებულია საბჭოთა წყაროები და ლიტერატურა, კერძოდ, სსრკ-ს საგარეო

პოლიტიკის დოკუმენტები, ომში მონაწილეების, მათ შორის, საბჭოთა სარდლები მემუარები, კოლცოვის „ესპანური დღიურები“, კომინტერნის წარმომადგენელთა ნაშრომები, საბჭოთა საგაზეთო სტატიები, ასევე საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურა. სწორედ ამან მისცა კარის ნაშრომს სიახლე და საშუალება, ობიექტურად შეეხედა სსრკ-ს და კომინტერნის საქმიანობისთვის. ავტორმა სცადა, საკითხი განეხილა არა ვარაუდებზე დაყრდნობით, არამედ ოფიციალურ დოკუმენტებსა და მასალებზე დაფუძნებით. ჯამში, სსრკ-ს ესპანური პოლიტიკის ძირითადი ეტაპების ანალიზისას ავტორი ბევრ დეტალში მართალია, მაგრამ შეცდომებსაც უშვებს, მაგალითად, ის ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ სამოქალაქო ომთან დაკავშირებით საბჭოთა ხელმძღვანელობა დაიყო ზომიერ და ექსტრემისტულ ჯგუფებად, რამაც დროში გაწელა ჩარევის გადაწყვეტილების მიღება. მისი აზრით, სტალინი ზომიერ ფრთას მიეკუთვნებოდა (**Carr 1984: 15-16**). კარის ნაშრომში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია კომინტერნის პოლიტიკაზე. ინგლისელმა ისტორიკოსმა პირველმა ჩამოაყალიბა მწყობრად კომინტერნის პოზიცია ესპანეთის კონფლიქტში. ადარებს რა ერთმანეთს კომინტერნის და საბჭოთა კავშირის ესპანურ პოლიტიკას, კარი ასკვნის, რომ იმ პერიოდში კომინტერნის მთელი საქმიანობა სრულად პასუხობდა სსრკ-ს საგარეო პოლიტიკურ მიზნებს (84-85), თუმცა ეს თეზისი ახალი არ არის. იგი ფართოდ იყო გავრცელებული დასავლურ ისტორიოგრაფიაში.

საბჭოთა კავშირის, კომინტერნის და ესპანეთის კომუნისტური პარტიის როლი ესპანეთის მოვლენებში შესწავლილი აქვს ამერიკელ ისტორიკოსს ბარნეტ ბოლოტენს, რომელიც ომის დროს იყო კორესპონდენტი რესპუბლიკური მთავრობის კონტროლირებად ტერიტორიაზე. შეაგროვა რა მნიშვნელოვანი მასალა, ბოლოტენი ცდილობდა დაეწერა ნამდვილი პრორესპუბლიკური ისტორია, მაგრამ 1961 წელს გამოსული მისი ნაშრომი სახასიათო სათაურით „გრანდიოზული კამუფლაჟი. კომუნისტების ფარული საქმიანობა ესპანეთის სამოქალაქო ომის პერიოდში“ (**Boloten 1961**) აშკარად ანტირესპუბლიკური გამოვიდა. ავტორი ცდილობს, დოკუმენტურად დაასაბუთოს ერთ-ერთი გავრცელებული ვერსია კომინტერნის და საბჭოთა კავშირის ფარულ მცდელობაზე სახალხო ფრონტის დემოკრატიულ ლოზუნგებს ამოფარებით ესპანეთში კომუნისტური რევოლუციის განხორციელების შესახებ. ბოლოტენი აზვიადებს ომის პერიოდში კომუნისტების ძალას და გავლენას, მაგრამ მის მიერ შემოთავაზებული კონცეფციები მაინც არ გამოიყურება დამაჯერებლად (საინტერესოა ის ფაქტი, რომ წიგნი 1967 წელს

გამოიცა ბარსელონაში ფრანკისტული ცენზურის სრული მოწონებით). ეს წიგნი ხელახლა გამოიცა 1979 წელს ოდნავ შეცვლილი სახით და ახალი სახელწოდებით, ამ წიგნის ხოლო მესამე გამოცემა კი მოხდა 1991 წელს ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის მიერ. წიგნი საკმაოდ მოცულობითია. ის შეადგენს ათას გვერდს, საიდანაც 250 გვერდი ძველი გამოცემიდანაა აღებული. შეცვლილია სათაურიც „სამოქალაქო ომი ესპანეთში: რევოლუცია და კონტრევოლუცია“ (**Bolton 1991**). ეს ბოლო ვარიანტი კონცეპტუალურად დიდად არ განსხვავდება პირველი გამოცემისგან.

ბოლო პერიოდში ესპანეთში საბჭოთა პოლიტიკას მიეძღვნა არაერთი ნაშრომი, რომელთაგან განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს სტენლი პეინის „ესპანეთის სამოქალაქო ომი, საბჭოთა კავშირი და კომუნიზმი“ (**Payne 2004**) და დანიელ კოვალსკის „სტალინი და ესპანეთის სამოქალაქო ომი“ (ჩვენ ვსარგებლობთ წიგნის ესპანური ვარიანტით, ოდნავ შეცვლილი სათაურით **Kowalsky 2004**). კოვალსკი იყო პეინის მოწაფე. ამ უკანასკნელმა თავისი წიგნი გამოაქვეყნა ერთი წლით ადრე, თუმცა კოვალსკის ნაშრომი უფრო ორიგინალურია. კოვალსკისთან ძირითადი ყურადღება გამახვილებულია საბჭოთა ჩარევის სამხედრო მხარეზე, მაგრამ მოიცავს სსრკ-ესპანეთის ურთიერთობების სხვა საინტერესო საკითხებსაც, მაგალითად, საბჭოთა კულტურის გავლენაზე. კოვალსკის კვლევაში რამდენიმე ხარვეზის პოვნაა შესაძლებელი. პირველ რიგში, მისი მიდგომა საკითხისადმი არ არის თანმიმდევრული. მაგალითად, ის მიზნად ისახავს სსრკ-ესპანეთს შორის დიპლომატიურ ურთიერთობებზე საუბარს და ამ დროს ძირითადად საუბრობს ესპანეთის ელჩის მ. პასკუას მოსკოვში ჩამოსვლის პერიპეტეებსა და მის აქ ცხოვრებაზე. ის რატომღაც არ იყენებს საარქივო მასალებს, რომლებიც 1992 წლიდან იყო ხელმისაწვდომი და ზედაპირულად იყენებს გამოქვეყნებულ საბჭოთა დიპლომატიურ დოკუმენტებს, რომელიც ეხება სსრკ-ესპანეთის ურთიერთობებს და ჩაურევლობის პოლიტიკას. ამრიგად, მისი ანალიზი მნიშვნელოვან ასპექტებს უვლის გვერდს. მართალია, ავტორი გვაწვდის ახალ და მნიშვნელოვან ინფორმაციას ესპანეთისთვის საბჭოთა იარაღის გაგზავნის შესახებ, მაგრამ არაფერს ამბობს სამხედრო პერსონალის მდგომარეობაზე. კომინტერნს ავტორი მხოლოდ სოლიდარობის კამპანიასთან დაკავშირებით ასყენებს. ამ კამპანიის ნაწილად მიაჩნია მას ესპანელი ბავშვების ევაკუაცია სსრკ-ში და ა.შ. საკმაოდ უცნაურია ისიც, რომ კოვალსკი არ ეხება დეტალურად ტერორის საკითხს, რომელიც სსრკ-ში ესპანეთის ომის პარალელურად მიმდინარეობ-

და და, რაც მთავარია, ის პრაქტიკულად არ საუბრობს საბჭოთა უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ ჩარევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

სტენლი პეინი დიდი ხანია ცნობილია როგორც ესპანეთის სამოქალაქო ომის სხვადასხვა საკითხების მკვლევარი. მის დასახელებულ ნაშრომში ასახვას პოულობს ბ. ბოლოტენის კონცეფციები. ის აგრძელებს ტრადიციას და ეყრდნობა ვ. კრივიცკის საექვო წყაროს (**Кривицкий 1991**). კრივიცკის არ მიუწვდებოდა ხელი პირველად ინფორმაციაზე, რა ხდებოდა კრემლის შიგნით, მაგრამ დაბეჭდვით საუბრობს ამაზე თავის მემუარებში. თავის ნაშრომში ს. პეინი არ იყენებს წყაროებს საბჭოთა არქივებიდან, არამედ ციტირებს თავისი მოწაფის კოვალსკის საღისერტაციო ნაშრომიდან.

საბჭოთა პოლიტიკის, სოლიდარობის კამპანიის და სხვა საკითხების გასარკვევად საინტერესოა დ. სმითის სტატია „ჩვენ თქვენთან ვართ“: სოლიდარობა და პირადი ინტერესი საბჭოთა პოლიტიკაში რესპუბლიკური ესპანეთის მიმართ 1936-1939 წლებში“ (**Smyth 1985**). სტატია საინტერესოა იმით, რომ მასში განხილულია, თუ როგორ იკვეთებოდა საბჭოთა პოლიტიკაში სოლიდარობის იდეა და სახელმწიფო ინტერესი, როგორ ესმოდა ის სტალინს. რაც შეეხება მასობრივი სოლიდარობის გამოვლენას, სმითი არ ეჭვობდა, რომ ეს კამპანია ზევიდან იყო ორგანიზებული.

სტალინის გადაწყვეტილების შესახებ ჩარეულიყო ესპანეთის სამოქალაქო ომში საინტერესო სტატია აქვს ჩვენს მიერ უკვე ნახსენებ ა. ვინიასს (**Viñas 2006/b**), თუმცა ეს პრობლემა უფრო ფართოდაა განხილული მის ტრილოგიაში ესპანეთის ომის შესახებ (**Viñas 2006/a; 2007; 2008**).

საკითხის გარკვევაში დიდი წვლილი შეიტანეს თანამედროვე რუსმა ავტორებმა. მათი ნაშრომები გამოირჩევა არა მხოლოდ ახალი კონცეპტუალური მიდგომებით, არამედ ახალი საარქივო მასალებით, დიდწილად ობიექტურობით და არგუმენტირებულობით. ასეთი გამოკვლევებია მ. ნოვიკოვის და ი. რიბალკინის მონოგრაფიები. მ. ნოვიკოვის ნაშრომი ეძღვნება სსრკ და კომინტერნის როლს ესპანეთის სამოქალაქო ომში (**Новиков 1995; 2000**). ის გამოირჩევა სოლიდური ისტორიოგრაფიული ნაწილით, რომელშიც დაწვრილებითაა გაანალიზებული სსრკ-სა და საზღვარგარეთ ესპანეთის ომის კვლევის ძირითადი მიმართულებები. ავტორმა მიზნად დაისახა, ხელახლა გაიაზროს დაყენებული პრობლემები, როგორც ადრე ხელმისაწვდომი დოკუმენტების, ისე ახალი საარქივო მასალების საფუძველზე. ნაშრომში არის ადგილები, სადაც ძნელია დაეთანხმო ავტორს, მა-

გაღივთად, იმ პუნქტში როცა აცხადებს, რომ ჩაურევლობის იდეა ჩაისახა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წიაღში და ა.შ. ასევე სადაოა ავტორის მიერ გამოყოფილი საბჭოთა ხელმძღვანელობის ზოგიერთი მოტივიც.

სამხედრო ისტორიკოსმა იური რიბალკინმა ფართო და სოლიდური დოკუმენტური ბაზის საფუძველზე, დაამუშავა რა მასალები საგარეო პოლიტიკის, სამხედრო, რუსეთის პრეზიდენტის და სხვა არქივებიდან, შესწავლა საბჭოთა სამხედრო დახმარება ესპანეთის რესპუბლიკის მიმართ. იდეოლოგიური მიკერძოების გარეშე მდიდარი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე მან პირველმა მოახდინა ესპანეთის კონფლიქტში საბჭოთა კავშირის სამხედრო მონაწილეობის კომპლექსური ანალიზი და განიხილა დახმარების საერთაშორისო ასპექტები, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური წანამძღვრები, ძირითადი მიმართულებები და ა.შ. ნაშრომი სერიოზულია და სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს ფუნდამენტურ გამოკვლევად ამ თემატიკაზე.

და ბოლოს, საკითხის ისტორიოგრაფიული შესწავლა არასრული იქნება საბჭოთა ისტორიოგრაფიის გარეშე. სსრ კავშირში ესპანეთის სამოქალაქო ომის შესწავლა შეიძლება შემდეგ ეტაპებად დავეოთ: 1. უშუალოდ ომის დროს გამოქვეყნებული უამრავი სააგიტაციო ინფორმაციული ხასიათის ბროშურა და სტატია. ეს პერიოდი ხასიათდებოდა არაპროფესიონალი ისტორიკოსების მიდგომით პრობლემისადმი. ჟურნალისტები, თვითმხილველები, მწერლები და ა.შ. თავიანთი შეხედულებებისამებრ აღწერდნენ მოვლენებს და თავისებურ შეფასებას აძლევდნენ. ისინი არც ისახავდნენ მიზნად ისტორიული ნაშრომის შექმნას. 2. 50-60-იან წლებში, განსაკუთრებით ცივი ომის დასაწყისში, ესპანეთის სამოქალაქო ომმა დიდი ადგილი დაიკავა ისტორიკოსთა ნაშრომებში. 50-იან წლებში ჩნდება სერიოზული გამოკვლევები. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ძირითადი კონცეფციები ომის გარშემო (საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ამაში დააგვიანა და ამან განაპირობა მისი შემტევი ხასიათი). ამ პერიოდის ნაშრომები ფაქტობრივი და დოკუმენტური მასალის სიჭარბით გამოირჩევა, თუმცა ხშირია ტენდენცია ფაქტების შერჩევით. 60-იან წლების ნაშრომები ისტორიული ღირებულებებით გამოირჩევიან. 3. 70-80-იან წლებში გამოქვეყნებული ნაშრომები, რომლებსაც შედარებით ლიბერალური ხასიათი აქვს.

საბჭოთა ლიტერატურიდან გამოვარჩევთ დ. პრიცკერის ნაშრომი, „ესპანეთის რესპუბლიკის გმირობა“ (Прицкер 1962). ავტორი არამარტო იკვლევს ისტორიას, არამედ თვითმხილველიცაა. გამოყენებულია დიდი დოკუმენტური მასალა

და პრიცკერს კარგად აქვს შესწავლილი და აღწერილი გერმანიის და იტალიის კონფლიქტში ჩარევა, აგრეთვე ჩაურევლობის პოლიტიკის დასაწყისი. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ინგლის-საფრანგეთის „არამეგობრულ პოზიციაზე“ ე.წ. ტანჟერის ინციდენტის დროს ამბოხების პირველ დღეებში და ა.შ. სახალხო ფრონტისადმი ინგლისის კონსერვატორთა მტრული დამოკიდებულების დახასიათებისას ავტორი ასკვნის: „გასაკვირი არ არის რომ ჩაურევლობის პოლიტიკა სწორედ ინგლისში ჩაისახა და მან არანაკლები ენერგია დახარჯა მის ცხოვრებაში გასატარებლად“ (Прицкер 1962: 101). ანალიზებს რა საფრანგეთის პოზიციას, მას ამ ქვეყნისთვის დამღუპველს უწოდებს და ა.შ. მიუხედავად ნაკლოვანებებისა, ეს ნაშრომი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო „შედარებითი ობიექტივიზმისკენ“.

საკმაოდ სერიოზული ნაშრომია ესპანელი კომუნისტი ისტორიკოსების კომისიის მიერ მომზადებული წიგნი „ომი და რევოლუცია ესპანეთში 1936-1939“ (Война и революция 1968). კომისიას ხელმძღვანელობდა ესპანეთის კომუნისტური პარტიის ლიდერი დოლორეს იბარური (კომისიის შემადგენლობა: მ. ასკარატე, ლ. ბალაგერი, ა. კორდონა, ხ. სანდოვალი, ი. ფალკონი). ავტორთა სიტყვებით, ისინი მიზნად ისახავდნენ ფრანკისტების მიერ დამახინჯებული და ფალსიფიცირებული ფაქტების და ვერსიების მხილვას, თუმცა რეალურად თვითონ ახდენენ იგივეს. ასე, მაგალითად, პირველი ტომის მესამე თავში საუბარია უცხოურ ჩარევაზე, დაწვრილებითაა განხილული თითოეული სახელმწიფოს როლი და პოლიტიკა ესპანეთის მიმართ. ჩაურევლობის პოლიტიკაზე საუბრისას ავტორები ამტკიცებენ, რომ ფრანკომ გაურკვეველი არსებით ზეწოლა მოახდინა ბლუმის მთავრობაზე (Война и революция 1968: 223), საფრანგეთის პოლიტიკას უწოდებენ „იურიდიული ნორმების საშინელ დარღვევას“ და „გაუგონარ პოლიტიკურ დალატს“ და აღნიშნავენ, რომ ინგლისმა მოქნილი მანევრი განახორციელა, როდესაც ჩაურევლობა სწორედ ფრანგი სოციალისტების მეშვეობით წამოწია. დაწვრილებით აღწერენ რა უცხოური სახელმწიფოების მოქმედებას, ავტორები ასკვნიან: „როცა ორი ბანდიტი თავს თავს დაესხმის გზად მიმავალს, ერთი სახეში ურტყამს – ასეთი იყო გერმანიის და იტალიის პოზიცია, ხოლო მეორე უკნიდან ხელებს უჭერს, რათა ვერ შეძლოს თავის დაცვა. ასეთი იყო საფრანგეთ ინგლისის და აშშ პოზიცია“ (Война и революция 1968: 238).

უშუალოდ ომის საერთაშორისო ასპექტებს და კერძოდ ჩაურევლობის პოლიტიკას ეხება რ. ოვინიკოვის წიგნი „ჩაურევლობის პოლიტიკის კულისებს მიღმა“ (Овинников 1959). სათაურიდან ჩანს, რომ ნაშრომში განხილულია ამ პოლი-

ტიკის „უხილავი“ მხარე. წიგნში მრავლადაა გამოყენებული უცხოელი ავტორების ნაშრომები, იმ დროს უცნობი დოკუმენტური მასალა და მემუარული ლიტერატურა. წიგნის მიზანია, შეუტოს „ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას“, თუმცა ის გარკვეულ ჩარჩოებში ჯდება და ინარჩუნებს მეცნიერულ ფასეულობას. პირველ თავში ჩაურევლობის ეკონომიკურ საფუძვლებზეა საუბარი. ავტორის დასკვნით, სწორედ ინგლის-საფრანგეთ-აშშ მონოპოლიათა პოზიციებმა და ინტერესებმა, უფრო სწორად, ამ ინტერესების და პოზიციების გამახატვამ მათ პოლიტიკაში, განაპირობა ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობა (**Овинников 1959: 5**). ამავე დროს, ჩაურევლობის წინაპირობების განხილვისას ავტორი დარწმუნებულია, რომ ამბოხება დაიწყო არა მხოლოდ გერმანია-იტალიის დახმარებით, არამედ ინგლისის იმპერიალიზმის უშუალო მხარდაჭერით (**Овинников 1959: 61**), რაც, რა თქმა უნდა, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და შედეგები, რომლებიც გარკვეულ დახმარებას გაუწევს საკითხით დაინტერესებულ მკვლევარებს. შესაძლებელია მისი გამოყენება დამატებითი ლიტერატურის სახით სასწავლო პროგრამებში.

ნაშრომის აპრობაცია: ნაშრომის ცალკეული ნაწილები გამოქვეყნებულია სტატიების სახით სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში. გარდა ამისა, თავის დროზე, ნაშრომის გარკვეული ნაწილები წარმოდგენილია სადოქტორო კოლოკვიუმების დროს და სამეცნიერო კონფერენციებზე.

თავი I

გერმანიის და იტალიის ჩარევა ესპანეთის სამოქალაქო ომში

1936 წლის 17 ივლისს მაროკოს ესპანურ ნაწილში დაწყებული ამბოხებით ესპანეთი სამოქალაქო ომის ცეცხლის ალში გაეხვია. ეს იყო ფართო კონსპირაციის ფინალური აქტი, რომელიც რესპუბლიკის გამოცხადების დღიდან (1931 წლის 14 აპრილი) იკვეთებოდა. ესპანური კონფლიქტი სერიოზულ ევროპულ პრობლემად გადაიქცა. შექმნა რა XX საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობებში ლოკალური კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციის პრეცედენტი, ამან შესაბამისად გადამწყვეტი როლი მიანიჭა მას იმ დიპლომატიურ პანორამაში, რომელიც წინ უძღოდა მეორე მსოფლიო ომს.

დღეს ისტორიკოსები თანხმდებიან, რომ ესპანეთის სამოქალაქო ომი თავიდანვე ქვეყანაში მიმდინარე შიდა პოლიტიკური პროცესებით იყო გამოწვეული და უცხოური ჩარევა 1936 წლის ივლისამდე უმნიშვნელო იყო (Stone 1989: 198), თუმცა შემდეგ უკვე გარეშე ფაქტორებმა უდიდესი როლი ითამაშა ომის მსვლელობასა და კვანძის გახსნაში.

მიუხედავად იმისა, რომ ამბოხება კარგად იყო მომზადებული, მისი სინქრონიზაცია მაინც ვერ მოხერხდა. მაროკოში ის 17 ივლისს, ხოლო საკუთრივ ესპანეთში 18 ივლისს დაიწყო. სამხედრო აჯანყების ორგანიზატორები ვარაუდობდნენ სწრაფ წარმატებას ესპანეთისთვის ჩვეული „პრონუნსიამენტოს“ ფარგლებში, მაგრამ აჯანყების პირველივე დღეს აშკარა გახდა, რომ ჩაფიქრებული გეგმა ჩავარდა და პროცესები გაჭიანურებული სამოქალაქო ომისკენ მიდიოდა. კონფლიქტში მონაწილე მხარეები მალე მიხვდნენ, რომ ხანგრძლივი ომის საწარმოებლად საკუთარი რესურსები არ გააჩნდათ. ამიტომ მათ დახმარებისთვის მიმართეს უცხო სახელმწიფოებს, საიდანაც თანაგრძნობას მოელოდნენ. მოწინააღმდეგეთა ძალები დაახლოებით ერთნაირი იყო და გასაკვირი არ არის, რომ აღნიშნული მიმართვა მოხდა ერთსა და იმავე დღეს (19 ივლისი). ადრესატების არჩევისას მთავარი როლი ითამაშა იდეოლოგიური სოლიდარობის ფაქტორმა, ამდენად, ამბოხებულმა გენერლებმა დახმარებისთვის გერმანიას და იტალიას მიმართეს. ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ მმართველობის ავტორიტარული ფორმა უკეთაა ადაპტირებული ისეთი ექტრემალური სიტუაციის მიმართ, როგორც ომია და თითქმის ყოველთვის პოულობს მასში სარგებელს. ასე იყო ესპანეთის ომში გერმანია-იტალიის ჩარევის შემთხვევაშიც. წინამდებარე თავში ჩვე-

ნი მიზანია, გავარკვიოთ, იყო თუ არა გერმანია-იტალიის ხელისუფლება ჩართული აჯანყების მომზადებაში, როდის და რა პირობებში მიიღეს ჰიტლერმა და მუსოლინიმ ესპანეთის კონფლიქტში ჩარევის გადაწყვეტილება და რა იყო ამ გადაწყვეტილების ძირითადი მოტივები.

§1. ჩარევის წინაპირობები:

ამბოხების მომზადებაში გერმანიის და იტალიის მონაწილეობის საკითხი

ესპანეთში, სამხედრო ამბოხების მომზადებაში ნაცისტური გერმანიის და ფაშისტური იტალიის მონაწილეობის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე საკამათოა. მტკიცება, რომ ესპანურ პრობლემას 1936 წლის ზაფხულისთვის პრიორიტეტული მნიშვნელობა ჰქონდა ჰიტლერის და მუსოლინის საგარეო პოლიტიკურ საქმიანობაში და ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ანტირესპუბლიკური ამბოხების ორგანიზებაში, დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა ერთ-ერთ ძირითად კონცეფციას ესპანეთის სამოქალაქო ომის ისტორიაში. ასეთი თვალსაზრისი უცხოურ ესპანისტიკაში, პირველყოვლისა, მარქსისტი ისტორიკოსებისთვის იყო დამახასიათებელი. აღმოსავლეთ გერმანელი ისტორიკოსის მ. აინჰორნის აზრით, გერმანიის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და საგარეო საქმეთა სამინისტრო დიდი ხნის განმავლობაში ამზადებდა სამხედრო ამბოხს სახალხო ფრონტის მთავრობის წინააღმდეგ (Leitz 1996:13). არსებობდა უფრო „კორექტული“ ვარაუდი, რომ გერმანია არ უწევდა მემამბოხეებს არსებით დახმარებას შეიარაღებული გამოსვლის ორგანიზებაში, მაგრამ წინასწარ, აჯანყებამდე მზად იყო მის მხარდასაჭერად (Bernecker 1998: 237-265)

თუ დასავლურ ისტორიოგრაფიაში ეს აზრი განიხილებოდა, როგორც ჰიპოთეზა, რომელსაც არ აქვს დადასტურება ხელმისაწვდომი დოკუმენტური წყაროებით, საბჭოთა და ნაწილობრივ პოსტსაბჭოთა მეცნიერებაში მოცემული მტკიცება დიდი ხნის განმავლობაში ურყევად ითვლებოდა, თუმცა საბჭოთა მეცნიერებაშიც არსებობდა შედარებით „გონივრული“ ვერსიები. მაგალითად ცნობილი საბჭოთა და რუსი ესპანისტის სვეტლანა პოჟარსკაიას აზრით, „...ესპანეთთან მიმართებაში ოფიციალურად, სახელმწიფო ხაზით პოლიტიკური გეგმები წინასწარ შემუშავებული არ ყოფილა, მაგრამ შესაბამისი გერმანული უწყებები, პირველყოვლისა, ნაცისტური პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაცია და დაზვერვა, ხელმძღვანელობდნენ რა იდეოლოგიური მოსაზრებებით, ამზადებდნენ ნიადაგს ესპანეთის საქმეებში ჩასარეგად. ამ ჯგუფების მოქმედებამ გამოიწვია ნაცისტუ-

რი გერმანიის ოფიციალური პოლიტიკა“ (Пожарская 1971: 48).

საბჭოურ და მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული აზრის თანახმად, აჯანყებისთვის მზადება დიდი ხნით ადრე დაიწყო და ესპანელ ფაშისტებს მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდათ გერმანია-იტალიასთან, მემარჯვენე ლიდერების და ამბოხების ორგანიზატორების გერმანიის და იტალიის ხელმძღვანელობასთან შეხვედრებისას განიხილებოდა კონკრეტული ნაბიჯები და დახმარების ფორმები დემოკრატიული რეჟიმის ჩამოსაგდებად; ჩარევის შესახებ გადაწყვეტილება ჰიტლერს და მუსოლინის თავიდანვე ჰქონდათ მიღებული; ამბოხების ხელმძღვანელებმა გერმანიასა და იტალიაში დააზუსტეს ყველა დეტალი და მიიღეს დაპირება აქტიურ დახმარებაზე, რაც აღმოუჩინეს კიდევ, მაგრამ არა უანგაროდ (Ибаррури 1962:252.) სამხედრო ამბოხება ინიცირებული და წარმართული იყო გარე ძალების მიერ და ა.შ.¹ უფრო მეტიც, აღნიშნული თვალსაზრისის მომხრეები ფრანკოს არ თვლიდნენ დამოუკიდებელ ფიგურად და მას წარმოაჩენდნენ ჰიტლერისა და მუსოლინის მარიონეტად. პოპულარული იყო ვერსია, თითქოს მომავალი კაუდილიო გერმანიის დახვეწვამ ჯერ კიდევ 1916 წელს გადაიბირა და ის გერმანიის მთავრობაზე მუშაობდა. ამ გარემოებების ძალით, ანტირესპუბლიკური აჯანყება საბჭოურ მეცნიერებაში შეფასებული იყო, როგორც მესამე რაიხის სპეცსამსახურების წარმატებული სპეცოპერაცია.² გერმანულ სპეცსამსახურებთან და კონკრეტულად აბვერის ხელმძღვანელ კანარისთან ფრანკოს ხანგრძლივი და მჭიდრო კავშირების შესახებ ეჭვი დასავლურ ლიტერატურაშიც გავრცელდა (Westerveld 2015: 10-11).

ამ მტკიცების წყარო საბჭოთა ესპანისტიკაში იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანელი პოლკოვნიკის ჰანს რემერის საბჭოთა პრესაში დაბეჭდილი თითქოსდა სენსაციური მხილება. ტყვეობაში მყოფი ჰანს რემერი აცხადებდა, რომ ტანჟერში გერმანიის სამხედრო ატაშედ მუშაობის პერიოდში მას ჰქონდა წვდომა ცნობებთან, რომელიც მოწმობდა, რომ ანტირესპუბლიკური შეიარაღებული აჯანყება დაგეგმვის მომენტიდან მის უშუალო დასაწყისამდე იყო აღმირალ

¹ ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: И. Гарсиа-Касалес. Из истории германско-итальянско-испанского фашистского альянса. // *Вопросы германской истории и историографии*. Днепропетровск, 1976.

² ახალგაზრდა რუსი ისტორიკოსი ალექსანდრე ბაბიცი თავის სადისერტაციო ნაშრომში აღნიშნული ვერსიის წამოყენებას ისტორიკოს დავიდ პრიცკერს მიაწერს და უთითებს 1962 წელს გამოცემულ მის წიგნს (Бабицкий 2009: 31), თუმცა ეს ვერსია ბევრად უფრო ადრეა მოცემული სხვა ავტორებთან, მაგალითად, რ. ვარფოლომეევასთან 1949 წელს (იხ.: Варфоломеева 1949: 21).

კანარისის „პირმშო“. რემერის სიტყვებით, ფრანკო თავიდანვე გერმანიის სამხედრო დაზვერვის აგენტი იყო (Heiberg, Ros Agudo 2006: 8). ამ მტკიცების ჭეშმარიტება სერიოზულ ეჭვს იწვევს. რემერი მართლაც იყო გერმანიის სამხედრო ატაშე ტანჟერში, მაგრამ მას ეს თანამდებობა ეკავა 1942 წლის გაზაფხულიდან 1944 წლის ზაფხულამდე. ქრონოლოგიურ სიშორესთან ერთად, რემერი ვერაფრით გაამყარებდა თავის სიტყვებს და გაიმეორა მხოლოდ ის მოარული ხმები, რაც იმ წლებში ვრცელდებოდა. ისტორიკოსებს მორტენ ჰეიბერგს და მანუელ როს აგუდოს, რა თქმა უნდა, არ სჯერათ რემერის მონათხრობის და თვლიან, რომ ეს ყველაფერი საბჭოთა საიდუმლო სამსახურების სცენარს წარმოადგენდა (Heiberg, Ros Agudo 2006: 8). მეორე, თითქმის იდენტურ წყაროს ასევე საბჭოთა ტყვე, აზვერის მესამე განყოფილების ყოფილი უფროსი გენერალი რუდოლფ ბამლერი წარმოადგენს. მისი განცხადებით, „კანარისი თვითონ ყვებოდა, რომ სწორედ 1916 წელს დაიწყო მისი საიდუმლო თანამშრომლობა ფრანკოსთან, რომელიც იმ დროს მაროკოში მსახურობდა... ფრანკომ თავისი კავშირები შესთავაზა კანარისს, რამაც ამ უკანასკნელს საშუალება მისცა მაროკოში გერმანული დაზვერვის მუშაობა გაეჩაღებინა. ამრიგად, ფრანკო გერმანული დაზვერვის სისტემაში მნიშვნელოვან როლად იქცა (Заявление Бамлера 1946: 5).

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ რამდენად სანდოა სამხედრო ტყვეების, ბამლერის და რემერის ეს განცხადებები. ორივემ ჩვენება მისცა მაშინ, როცა ფრანკოს საწინააღმდეგო კამპანიამ ზენიტს მიაღწია. სტალინი კატეგორიულად მოითხოვდა ფრანკოს იზოლაციას და მისი რეჟიმის ლიკვიდაციას. ასეთ პირობებში ფრანკოს წარმოჩენა გერმანიის დაზვერვის აგენტად ცნობილ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა. თუ ისევ ბამლერის განცხადებას დავუბრუნდებით, აღნიშნულ დროს კანარისი ესპანეთში განსაზღვრული მისიით იყო ჩასული, რაც მას სამხედრო-საზღვაო ფლოტმა დააკისრა და ეს ჯერ კიდევ არ იყო წმინდა სადაზვერვო სამუშაო. ვინაიდან ფლოტთან ფრანკოს შეხება არ ჰქონდა, მათ სავსებით ნაკლები ექნებოდათ. გარდა ამისა, ამ კონტაქტების შესახებ კონკრეტული დოკუმენტი არ არსებობს. კანარისმა შეიძლება მართლაც გააკეთა მსგავსი განცხადება, როგორც ამას ბამლერი ამბობდა, რათა ხაზი გაესვა ფრანკოსთან ხანგრძლივი საქმიანი და მეგობრული ურთიერთობისთვის, მაგრამ მარტო ეს არაფერს ნიშნავს³. ყველაზე სავარაუდოა, რომ ფრანკომ კანარისი პირადად გაიც-

³ არც ის არის გამორიცხული, რომ საბჭოთა მხარემ იცოდა, როდის იყო კანარისი ესპანეთში და ეს სიტყვები უბრალოდ ათქმევინა ბამლერს.

ნო 1935 წელს, როცა აღმირალი ჩამოსული იყო მადრიდში და ესპანეთის სამხედრო მინისტრ ხილ რობლესთან იარაღის ვაჭრობის საკითხებზე აწარმოებდა მოლაპარაკებებს (ფრანკო ამ დროს ხელმძღვანელობდა გენერალურ შტაბს). (Волков, Славин 1998: 232; Хармат 1987: 115). მიუხედავად ამისა, ზოგიერთი რუსი ისტორიკოსი დღესაც იზიარებს კანარის-ფრანკოს თანამშრომლობის ვერსიას (Данилов 2004: 61).

გასული საუკუნის 90-იან წლებში, განსაკუთრებით მის პირველ ნახევარში, რუსული ისტორიული სკოლა ამ საკითხზე ბოლომდე არ იყო ჩამოყალიბებული. ამან ნაწილობრივ განაპირობა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მკვლევარი ისე იზიარებს ე.წ. „ტრადიციულ“ თვალსაზრისს ამბოხების მომზადებაში გერმანიის უშუალო მონაწილეობის შესახებ ისე, რომ ამ საკითხზე ობიექტურ კვლევას არც ატარებს. ამასთან, ისინი ან პირდაპირ ეყრდნობიან საბჭოთა დროინდელ დადგენილებებს, ან საერთოდ არ უთითებენ წყაროს. მაგალითად ი. რიბალკინი აცხადებს, რომ ფაშისტური პარტია, ესპანური ფალანგა, „რეაქციული მხედრიონი“ პუტჩისტების გერმანიისა და იტალიის გენერალურ შტაბებთან ერთად ემზადებოდა და რომ სწორედ გერმანიის სამხედრო დახვედრამ განაპირობა შეთქმულების გაჩენა და, საბოლოო ჯამში, განსაზღვრა ამბოხების დაწყება (Рыбалкин 2000: 16). ავტორი არ უთითებს დოკუმენტს ან ისტორიულ გამოკვლევას, რის საფუძველზე აკეთებს ამ დასკვნას.

ბევრად ობიექტურია მეორე რუსი მკვლევრის მ. ნოვიკოვის შეფასება: „ამბოხების მზადების ეტაპზე ესპანელმა გენერლებმა შეძლეს მორალურ-პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვება გერმანიის და იტალიის მაღალი რანგის პარტიული ხელმძღვანელობის მხრიდან და, როგორც ჩანს, მიაღწიეს მათ თანხმობას კონკრეტული ფორმით დახმარების შესახებ. ამავე დროს, ნათელია, რომ არც გერმანიის და არც იტალიის სახელმწიფო სტრუქტურებს არ აუღიათ თავის თავზე რაიმე კონკრეტული დაპირებები (Новиков 1995: 17).

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოური ისტორიოგრაფიისა თუ თანამედროვე რუსი სპეციალისტების, ასევე ზოგიერთი სხვა მკვლევრის⁴ თვალსაზრისი ანტისამთავრობო ამბოხების მომზადებაში გერმანიისა და იტალიის მონაწილე-

⁴ საუბარია ძირითადად აღმოსავლეთგერმანელ ისტორიკოსებზე. ამასთან დაკავშირებით იხ. Berneker W. La historiografía alemana sobre la guerra civil española. // Historia y memoria de la guerra civil encuentro en Castilla y León. V. 1. Valladolid, 1988, გვ. 31-55. სხვა მკვლევრებიდან შეგვიძლია დავასახელოთ ნ. ფოლცი, ლ. ფარადო და ა.შ. (Foltz 1948; Farado 1972).

ობის შესახებ, საკითხის სამეცნიერო განხილვაზე მეტად იდეოლოგიური დაპირისპირების შედეგს წარმოადგენს. ის დამყარებულია ვარაუდებსა და ეჭვებზე, რომლებსაც დოკუმენტური წყაროები არ ადასტურებენ.

ახლა განვიხილოთ, კონკრეტულად რა კონტაქტები არსებობდა შეთქმულებსა და გერმანია-იტალიას შორის, რა როლი შეასრულა ამ კონტაქტებმა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, რა ინფორმაციას ფლობდნენ ბერლინი და რომი მოსალოდნელი ამბოხების შესახებ და ა.შ. დავიწყოთ გერმანიით.

სამოქალაქო ომის დაწყებამდე, გერმანიის ნაცისტურ ხელმძღვანელობას და ესპანეთში მემარჯვენე პოლიტიკური ძალების ლიდერებს შორის გარკვეული კონტაქტები ნამდვილად არსებობდა და ამაში არაფერია გასაკვირი. ამ კონტაქტების დამყარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მადრიდში გერმანიის ელჩმა ი. ველჩეკმა, რომელიც ცდილობდა თავისი ხელმძღვანელობის ყურადღების გამახვილებას რაიხისადმი და საერთაშორისო არენაზე მისი ქმედებებისადმი ლოიალურად განწყობილი ესპანელი პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური ძალებისადმი. სწორედ ი. ველჩეკის უშუალო მონაწილეობით 1933 წლის სექტემბერში კათოლიკური პოლიტიკური ძალის (სედა) ლიდერმა ხოსე მარია ხილ რობლესმა მოინახულა გერმანია და დაესწრო ნაცისტური პარტიის სხდომას ნიურნბერგში. ველჩეკის დეპეშა, რომელიც აანონსებდა ხილ რობლესის აღნიშნულ ვიზიტს გერმანიაში, საგარეო საქმეთა სამინისტროში (ვილჰელმშტრასე) გაიგზავნა 1933 წლის 31 აგვისტოს: „ცნობილი დეპუტატი ოპოზიციის რიგებიდან და მემარჯვენეთა მოძრაობის წარმატებული ლიდერი, რომელიც ახალი გერმანიის მიმართ დიდ სიმპათიას გამოხატავს და მომავალში შეუძლია გამორჩეული როლი ითამაშოს, 2 სექტემბერს ჩამოვა ნიურნბერგში, ოტელ ვიურტემბერგში. მას სურს გერმანიაში დარჩენა 2-3 კვირით, რათა გაეცნოს და შეისწავლოს ჩვენი მოძრაობა. „El Debate“-ს კორესპონდენტი ბერმუდეს კანიეტე ინფორმირებულია ვიზიტის დეტალების შესახებ. რეკომენდაციას ვუწევ ყურადღება მიექცეს მნიშვნელოვან პერსონას“ (Viñas 2001: 153; Westerveld: 21). ამ დეპეშაში გასაკვირია ის, რომ ველჩეკი ასახელებს მეორეხარისხოვან პიროვნებას და არ ახსენებს ხილ რობლესის სახელს.

ჰოლანდიელი მკვლევრის გ. ვესტერველდის აზრით, რეალურად ხილ რობლესის ვიზიტს გერმანიაში პასუხისმგებელი პირების განსაკუთრებული ყურადღება არ გამოუწვევია (Westerveld: 22). ნანახმა ხილ რობლესზე დიდი შთაბეჭდილება კი მოახდინა, მაგრამ ნაციზმი, საბოლოო ჯამში, მისი იდეებისთვის უცხო

აღმოჩნდა. ის თავის მოძრაობას ხშირად უპირისპირებდა გერმანულ ნაციზმს და იტალიურ ფაშიზმს. მაგალითად, 1934 წლის აპრილში, ესკორიალში გამოსვლისას ამბობდა: „მე არ მეშინია, რომ ესპანეთში ჩვენი ნაციონალური მოძრაობა დაადგება ძალადობის გზას. მე არ ვუშვებ, რომ ეროვნული გრძნობები, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სხვა ერებში, ეცდება ააღოძინოს წარმართული რომი ან დაიწყოს რასების განდიდება... ჩვენ ვართ მოქალაქეების არმია და არა არმია, რომელსაც სჭირდება ფორმები და სამხედრო აღლუმები“ (Pojárská 2007: 42).

ბერლინთან კონტაქტების თვალსაზრისით, ი. ველჩეკის თვალში უფრო პერსპექტიული იქნებოდა „ესპანური ფალანგის“ დამაარსებლის, ყოფილი დიქტატორის (მიგელ პრიმო დე რივერა) შვილის ხოსე ანტონიო პრიმო დე რივერას ვიზიტი. თუმცა არც პრიმო დე რივერას გერმანიაში 1934 წლის 1-7 მაისში ვიზიტის ფაქტი არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ ესპანელ მემარჯვენეებს და გერმანიის ნაცისტურ ხელმძღვანელობას შორის მტკიცე კავშირები დამყარდა. ხილ რობლესისგან განსხვავებით, პრიმო დე რივერას ჰქონდა შეხვედრები ნაცისტური პარტიის ელიტის წარმომადგენლებთან, მათ შორის ალფრედ როზენბერგთან და ჰიტლერთან. თუ როზენბერგთან საუბრისას ფალანგის ლიდერი ნამდვილად განიხილავდა თავისი ორგანიზაციის ნაცისტურ პარტიასთან ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს (შეხებოდა ძირითადად „სულიერი“ თანამშრომლობის მომენტებს და ხსენებაც არ ყოფილა ერთობლივ ანტირესპუბლიკურ საქმიანობაზე), ჰიტლერთან შეხვედრა სულ ხუთ წუთს გაგრძელდა და ატარებდა წმინდა პროტოკოლურ ხასიათს (Bowen 2000: 17).

ბერლინიდან დაბრუნების შემდეგ პრიმო დე რივერას ნაცისტებთან აქტიური კავშირების ქონა არც უცდია. ფალანგის ხელმძღვანელის შთაბეჭდილებები უფრო ნეგატიური იყო, ვიდრე პოზიტიური. ზოგი ისტორიკოსის აზრით (მაგალითად, აბენდროთი), პრიმო დე რივერას ვიზიტი დაემთხვა ნაცისტური პარტიის ხელმძღვანელობაში შიდა დაპირისპირების ზრდას, რომლის შედეგებიც 1934 წლის ივნისის ბოლოს (ვიზიტიდან ერთ თვეში) „გრძელი დანების ღამესა“ და ჰიტლერის მიერ ყველა პოტენციური კონკურენტის ჩამოშორებაში გამოვლინდა. შიდაპარტიული ბრძოლის გამოვლენამ ესპანელი ნაციონალისტის თვალში ნაცისტების მიმზიდველობა შეასუსტა (Abendroth H. 1976: 80). ჩვენი აზრით, ეს მიზეზი არგუმენტად არ გამოდგება. შიდა დაპირისპირება უცხო თვალისთვის შესამჩნევი არ იქნებოდა, ხოლო შიდაპარტიული ბრძოლის პერიპეტიებში პრიმო დე რივერას არავინ გაარკვევდა. მეორე მხრივ, გერმანული დისციპლინითა და

ნაციონალისტური სულისკვეთებით მოხიბლული პრიმო დე რივერა არ შეიძლება არ შეეშფოთებინა ჰიტლერის ურწმუნოებას და რასებზე და სისხლის სიწმინდეზე მის აკვიატებას. მისთვის უფრო მისაღები იტალიური გამოცდილება აღმოჩნდა. დუჩეთი ადფრთოვანებულმა ფალანგის მეთაურმა ბევრი რამ გადაიღო დუჩეს ტაქტიკიდან, თუმცა მტკიცედ იცავდა აზრს, რომ ფალანგა არ უნდა შეერთებოდა რომელიმე კონტინენტურ ფაშისტურ ორგანიზაციას და არც ალიანსში უნდა შესულიყო რომთან. მისი აზრით, „ესპანეთი საკმარისად დაიტანჯა სხვადასხვა მოძრაობების გამო: მასონების, კაპიტალიზმის, სოციალიზმის და კომუნიზმის“. მსგავს აზრზე იყო ფალანგისტების კიდევ ერთი ლიდერი ონესიმო რედონდო, რომელიც აცხადებდა: „იტალიური ფაშიზმის ფორმულის გადმოტანის ნებისმიერი მცდელობა ესპანეთში იქნებოდა სტერილური და კონტრპროდუქტული (Bowen 2000: 18).

ესპანეთის ამბოხების მომზადებაში გერმანიის აქტიური ჩარევის ვარაუდის მთავარ საფუძველს წარმოადგენს შეთქმულების მომავალი ხელმძღვანელის, გენერალ ხოსე სანხურხო საკანელის ვიზიტი გერმანიაში. 1932 წლის წარუმატებელი პუტჩის შემდეგ ხ. სანხურხო დევნილობაში იმყოფებოდა პორტუგალიაში, სადაც ოლივეირა სალაზარის მთავრობის სრული მხარდაჭერით სარგებლობდა. გერმანიასთან მისი კავშირების და ვიზიტის შესახებ ბევრი კითხვა ჩნდება.

დღეისათვის სერიოზულ ისტორიულ ლიტერატურაში ჩვეულებრივ გენერალ სანხურხოს ვიზიტი უგულებელყოფილია, რადგანაც მიჩნეულია, რომ მისი მნიშვნელობა არის გაზვიადებული. ჩვენი აზრითაც, ვიზიტს დიდი შედეგები არ მოჰყოლია, თუმცა იმასაც აღვნიშნავთ, რომ ის არც ისეთი უწყინარი იყო, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. ისეთი ცნობილი მკვლევრების აზრით, როგორებიცაა ჰოლანდიელი პ. ვან დერ ეში და ამერიკელი დ. პუცო, სანხურხომ თითქოს სწორედ ამ ვიზიტის დროს მიიღო ნაცისტური ხელმძღვანელობისგან დაპირება, რომ გერმანია ამბოხებულებს სატრანსპორტო ავიაციით დახმარებას აღმოუჩენდა, რათა აფრიკული ჯარები მაროკოდან პირინეის ნახევარკუნძულზე გადმოეყვანა, თუ ამის განხორციელება ზღვით შეუძლებელი იქნებოდა (Esch 1951: 25; Puzzo 1962: 46). თანამედროვე მკვლევარი კრისტიან ლაიტცი ამბობს, რომ აღნიშნული ვერსია ესპანელი გენერლების გეგმებთან დაკავშირებით ფაქტად ვერ გამოდგება. ისინი ვერ იწინასწარმეტყველებდნენ, რომ ესპანეთის სამხედრო საზღვაო ფლოტი ლოიალური დარჩებოდა კანონიერი მთავრობის მიმართ და არ ხედავდნენ გერმანული ავიაციის დახმარების საჭიროებას (Leitz 1996: 13). პირიქით, შეთქმუ-

ლები დარწმუნებული იყვნენ, რომ ფლოტი მათ მხარეს იქნებოდა. მიგვაჩნია, რომ ვან დერ ეშის და პუცოს მტკიცება ლოგიკური შეცდომის Post hoc ergo propter hoc⁵ კარგი მაგალითია, რაც ძალიან ხშირია ესპანეთის სამოქალაქო ომის სხვადასხვა ასპექტების შესწავლისას.

სანხურხოს ვიზიტის თარიღი არ არის ზუსტად ცნობილი. 1936 წლის 12 მარტს ბერლინში გაზეთ „Правда“-ს კორესპონდენტი სანხურხოს ვიზიტის შესახებ წერდა: „ბერლინში იმყოფება ესპანელი მონარქისტი გენერალი სანხურხო, მრავალრიცხოვანი კონტრევოლუციური შეთქმულების ორგანიზატორი... გენერალი სანხურხო აწარმოებს ბერლინში მოლაპარაკებებს კონტრევოლუციური სამხედრო ორგანიზაციების შესაძლო დახმარების თაობაზე, რომლებიც ამზადებენ ახალ შეთქმულებას ესპანეთის მთავრობის წინააღმდეგ, ნაწილობრივ სანხურხო ცდილობს გერმანული ფორმებისგან შეიძინოს სამხედრო მასალის დიდი პარტია“ (Война и революция в Испании 1968: 86).

დ. პუცო ამ ვიზიტს ვარაუდობს 1936 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დროს, რომელიც მიმდინარეობდა გარმიშ-პარტენკირხენში 6-დან 16 თებერვლამდე (Puzzo 1962: 46. ინგლისელი მზვერავი ქალი, როზალინდა პაუელ ფოქსი თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ „ზამთრის ოლიმპიური თამაშების დროს შეხვდა „რიფების ლომს“ (სანხურხო – ზ.გ), რომელსაც ახლდა ერთი კაბალიერი (ხუან ბეიგბედერ ატიენსა – ზ.გ). რ. პაუელ ფოქსის თქმით, სანხურხომ მოუყვა, რომ ჩამოვიდა გერმანიაში ოლიმპიურ თამაშებზე, მაგრამ სინამდვილეში სხვა ტიპის თამაშისთვის ემზადებოდა და ეს იყო ომი, უნდა მოენახულებინა იარაღის საწარმოები და ა.შ. ბეიგბედერმა სახით რაღაც ანიშნა, მაგრამ სანხურხომ დაამშვიდა, რომ ახალგაზრდა ინგლისელი ქალბატონი იყო მისი ოჯახის მეგობარი“ (R. Powell Fox 1997: 37-39, 45-47). პაუელ ფოქსის აღნიშნული მოგონებები ძალიან ბევრ შეუსაბამობას შეიცავს და როგორც წყარო სუსტია. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ ეპიზოდშიც ავტორს ყველაფერი კარგად არ ახსოვდა და მათ შორის ეს თარიღი.

ამ საკითხზე ყურადღება იმიტომ შევაჩერეთ, რომ სწორედ თარიღის გარკვევაა მნიშვნელოვანი. თუ ეს ვიზიტი შედგა თებერვალში, კერძოდ, 16 თებერვლამდე, ანუ სახალხო ფრონტის გამარჯვებამდე, მაშინ არჩევნები ჯერ კიდევ არ იყო ჩატარებული, ხელისუფლების სათავეში მემარჯვენე ძალები იდგნენ და

⁵ ამის შემდეგ, მაშასადამე, ამ მიზეზით.

სახელისუფლებო რესურსის გათვალისწინებით, მათ დამარცხებას წინასწარ ვერაზინ განსაზღვრავდა, შესაბამისად, არც გადატრიალების აუცილებლობა იდგა, ხოლო ესპანეთში მონარქიის აღდგენის მიზნით ჰიტლერი ნამდვილად თითს არ გაანძრევდა, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ გარემოებებს: 1) მის დამოკიდებულებას მონარქიისადმი; და 2) რაინის ზონის რემილიტარიზაციისთვის აქტიურ მზადებას. თუ ეს ვიზიტი მარტში შედგა, ასევე ნაკლებად სავარაუდოა, რომ გერმანიის ხელისუფლებას ძალიან დიდი ინტერესი გამოეკლინა დეკნილობაში მყოფი გენერლის მიმართ და რაინის პრობლემის დროს დამატებითი თავსატეხი გაეჩინა. ყველა ვარიანტში, არც ერთი თარიღი სანხურხოსთვის ხელსაყრელი არ იქნებოდა.

როგორც ითქვა, აღნიშნული ვიზიტის დროს სანხურხოს თან ახლდა ხუან ბეიგბედერ ატიენსა, რომელიც 1926-1935 წლებში ბერლინში ესპანეთის საელჩოს სამხედრო ატაშე იყო და, შესაბამისად, ბერლინში სერიოზული კავშირები ექნებოდა. მათთან ერთად არ ყოფილა ხოსე ანტონიო პრიმო დე რივერა, როგორც ამას ზოგიერთები ამტკიცებენ (Гарсиа-Кесалес: 95; Новиков 1995: 135; Esch 1951: 25). სანხურხოს ბერლინთან ადრინდელი კონტაქტები აკავშირებდა, დამყარებული ორმხრივ სამხედრო თანამშრომლობაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1921 დან 1930-იან წლების დასაწყისში. ის იცნობდა გიორინგის თანაშემწეს, გენერალ მილსს (დღესაც არაა ცნობილი, რამდენად ახლო იყო მათი ნაცნობობა), ჰქონდა ძველი კავშირები საავიაციო წრეებთან და ა.შ.

რეალურად, ამ ვიზიტის ფარგლებში ნაცისტური ხელისუფლების თანამდებობის პირებთან რაიმე კონტაქტის შესახებ მტკიცებულება არ არსებობს. გერმანულმა მისიამ ლისაბონში არ იცოდა ამ ვიზიტის შესახებ. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსაც, როგორც ჩანს, არ ჰქონდა ინფორმაცია, ყოველ შემთხვევაში, შემომავალი ცნობების ანალიზი არაფერს იძლევა.

სანხურხოს ყველაზე სავარაუდო ადრესატები ბერლინში იქნებოდა აბვერი, იარალის კომპანიები და იარალის დილერები. მას შეეძლო შეხვედრა იარალის დილერ იოზეფ ფელტიენსთან, რომელიც კარგად იცნობდა გიორინგს.⁶ ფელტიენსთან დაკავშირებით ვერაფრით მტკიცდება, რომ მოცემული კონტაქტები მეამბო-

⁶ იოზეფ ფელტიენსი – პირველი მსოფლიო ომის ასი, ნაცისტური პარტიის წევრი 1929 წლის აგვისტოში გახდა, მაგრამ 1931 წელს გარიცხეს იქიდან და შავ სიაში მოხვდა ჰიტლერის პირადი ბრძანებით. მიუხედავად გერინგის მცდელობისა, 1937 წლის ივლისში ის ჯერ კიდევ გარიცხული იყო პარტიიდან.

ხეებთან აღმატებოდა კერძო ინიციატივის მასშტაბებს და ჰქონდა რაიხის მხრიდან სახელმწიფო ხასიათი.

1936 წ. იენისის ბოლოსთვის კავშირები გაიბა შეთქმულებს და ჰერ ფელტიენსს შორის. ამ კავშირების არსებობას ადასტურებს 1936 წლის 6 ივლისით დათარიღებული (გაიგზავნა 14 ივლისს) საიდუმლო წერილი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროდან ესპანეთში გერმანიის საელჩოს მრჩევლის ფიოლკერსისთვის, რომელშიც საუბარია, რომ ესპანელმა ფაშისტებმა მოლაპარაკებას მიადვიეს ჰერ ფელტიენსთან გერმანიიდან იარაღის კონტრაბანდასთან დაკავშირებით და რომ აღნიშნულის მიმართ სამინისტროს უმცირესი ინტერესიც არ გააჩნდა (DGFP, C, V: 739).

პრინციპში საუბარია სულ 150 ერთეულ ავტომატურ იარაღზე. AFK-ს (Ausfuhrgemeinschaft für Kriegsgerät – საბრძოლო მასალების ექსპორტიორთა ფედერაცია) საიდუმლო სტატისტიკურ მონაცემებში ავტომატური იარაღი მოხსენიებულია როგორც აპრილ-მაისში ექსპორტირებული (Viñas, Seidel 2002: 194). შესაძლოა, რომ ეს იყო სანხურხოს ვიზიტის მთავარი მიღწევა და მეტი არაფერი.

ვერსია იმის შესახებ, რომ სანხურხოს ვიზიტს არ ჰქონია სერიოზული შედეგები შეთქმულებთან გერმანულ ვალდებულებების კუთხით, ძლიერდება მეორეხარისხოვანი გარემოებებითაც. სამხედრო დაზვერვა (აბვერი), პოლიტიკური პოლიცია (გესტაპო), საგარეო დაზვერვა (ესდე) და ნაცისტური პარტია არ ყოფილან ჩართული სამხედრო ამბოხების ორგანიზებაში.

მითები ანტირესპუბლიკურ ამბოხებაში აბვერის როლის შესახებ დაკავშირებულია პირადად აბვერის შეფის ადმირალ კანარისის მრავალმხრივ კონტაქტებთან ესპანეთში. კონტაქტების ერთ ასპექტზე უკვე გვქონდა საუბარი და, როგორც ითქვა, ისინი პირველი მსოფლიო ომის დროიდან მოდის. XX საუკუნის 20-30-იან წლებში მან ესპანეთში, ნებისთ თუ უნებლიედ გაიცნო, ადამიანები, რომელთაც მოგვიანებით რესპუბლიკის წინააღმდეგ აჯანყებაში დიდი როლი შეასრულეს. ესპანელი ისტორიკოსის ანხელ ვინიასის თქმით, კანარისის ჩართვა რამდენიმე ასპექტით იყო საინტერესო: ის იყო ესპანეთში გერმანიის სამხედრო საზღვაო ფლოტზე „პასუხისმგებელი“; მან გააფართოვა გერმანიის დაზვერვის მოქმედი ქსელი ესპანეთში; ის იყო მთავარი პირი კონფიდენციალური ხასიათის მაღალი დონის კონტაქტებში და მისი ნაცნობობის შედეგი გამოვლინდა ფართო კავშირებში როგორც სამთავრობო, ისე საზოგადოებრივ წრეებთან (Viñas, Seidel 2002: 195).

ესპანეთში კანარისი პირველად 1915 წლის 30 ნოემბერს ჩავიდა. სამხედრო საზღვაო ფლოტმა ის გაგზავნა მადრიდში გერმანიის საელჩოს ატაშე ჰ. კრონის თანაშემწედ. კანარისს დაევალა, სანდო პირებისგან შეექმნა ქსელი, რომელიც თვალყურს ადევნებდა მოკავშირე სახელმწიფოების გემების მოძრაობას. მას ასევე გარიგება უნდა დაედო ესპანურ ფირმებთან და ნავსადგურის მფლობელებთან გერმანული გემების და წყალქვეშა ნაგების საწვავითა და სურსათით მომარაგების თაობაზე. კანარისმა მალე შეძლო დაკისრებული მისიის შესრულება და 21 თებერვალს დატოვა ესპანეთი, მაგრამ გზაში ის იტალიის პოლიციამ დააკავა. 15 მარტს კანარისი იძულებული გახდა კვლავ მადრიდში დაბრუნებულიყო, მაგრამ მალევე მოახერხა გერმანიაში გამგზავრება (Волков, Славин 1998: 60-61). ამ მოკლე დროში კანარისმა შეძლო დილექტანტი მზვერავის დონეზე სუსტი ჯაშუშური ქსელის ჩამოყალიბება, რომელიც სამხედრო-საზღვაო ფლოტს ემსახურებოდა და უშუალოდ სამხედრო დაზვერვასთან კავშირი არ ჰქონდა.

ომის დამთავრებისა და ვერსალის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ კანარისს დაევალა წყალქვეშა ფლოტის მშენებლობის საკითხის მოგვარება ჯერ იაპონიაში და შემდეგ ესპანეთში. ეს ფარული სამუშაო იყო, მაგრამ ჯერ კიდევ არ ნიშნავდა საიდუმლო სამსახურს (Бухгайт 2003: 90). მან მალე მოძებნა თავისი ძველი ნაცნობები და მათი დახმარებით მოაწესრიგა გერმანული წყალქვეშა ნაგების მშენებლობის საქმე. ეს ხდება 1922 წლის 15 ივნისსა და 1 ივლისს შორის, პირველი დოკუმენტურად დადასტურებული მოგზაურობისას. მეორე ასევე დოკუმენტურად დადასტურებული ვიზიტის დროს, 1925 წლის იანვარ-თებერვალში, კანარისმა გააფართოვა თავისი აგენტურული ქსელი ესპანეთში, გადმოიბირა ოთხი აგენტი რომლებსაც უნდა ემუშავათ ბარსელონაში, ვალენსიაში, კარტახენასა და კადისში. კანარისმა ასევე მიადწია იმას, რომ ორი გერმანელი ოფიცერი: კაპიტანი ულრიხ გრაუერტი და ლეიტენანტი ჰანს იეხონეკი, – გაეგზავნათ მაროკოში სამხედრო დამკვირვებლების სახით. 1925 წლის მაისში კანარისმა ეს საკითხი წამოწია მიგელ პრიმო დე რივერას დიქტატურის დროს სამხედრო ხუნტის მოქმედ თავმჯდომარესთან ადმირალ ანტონიო მაგასთან შეხვედრისას (Viñas, Seidel 2002: 195).

თანამშრომლობის სფერო, სადაც კანარისმა თავისი ნიჭი გამოავლინა, თანაც, ესპანეთის მთავრობის თხოვნით, იყო ამ ქვეყნის საშინაო უსაფრთხოება. 1928 წელს ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, გენერალ სევერიანო მარტინეს ანიდომ სთხოვა კანარისს, დახმარებოდა გერმანიასთან შეთანხმების გაფორ-

მებაში, რომელიც მემარცხენეთა საექვო საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლას ითვალისწინებდა. კანარისი სიხარულით დასთანხმდა ასეთი სამსახურის გაწევას. ადმირალის ბოლო დოკუმენტირებული ვიზიტი 1931 წ. მარტში, რესპუბლიკის გამოცხადებამდე რამდენიმე კვირით ადრე შედგა. ეს ვიზიტი შეიძლება დაკავშირებული იყო იმ სიძნელეებთან, რომელსაც გერმანული პროექტები აწყდებოდა ტორპედოების წარმოებასა და წყალქვეშა ნაგებობების საქმეში. 1935 წლის 1 იანვარს კანარისი გახდა აბვერის მეთაური. დოკუმენტური მტკიცებულება, რომ კანარისმა მოინახულა ესპანეთი რესპუბლიკის გამოცხადებიდან 1936 წლის აჯანყებამდე პერიოდში, არ არის ნაპოვნი, თუმცა ამერიკელი ისტორიკოსი რობერტ უილი ამტკიცებს, რომ 1933-1936 წლებში კანარისი ორჯერ ეწვია ესპანეთს (Whealey 1989: 96).

1933 წლის ზაფხულში მადრიდში გერმანიის ელჩმა ი. ველჩეკმა ჰიტლერთან შეხვედრისას ამ უკანასკნელის ყურადღება გაამახვილა ესპანეთში კომუნიზმის საფრთხეზე და ითხოვა „საქმიანი ხალხის საფარქვეშ“ აბვერის აგენტების გამოგზავნა რადიკალური ელემენტებისთვის თვალყურის სადევნებლად (Whealey 1989: 33). ჰიტლერი, როგორც ჩანს, დასთანხმდა, მაგრამ უცნობია, მოჰყვა თუ არა ამას კონკრეტული შედეგი.

აბვერმა 1935 წლის იანვარს და 1936 წლის ივლისს შორის ესპანეთის მიმართ მხოლოდ ზერელე ყურადღება გამოიჩინა. ამას ვასკენით იმ პოზიციიდან, რომელიც ესპანეთს ეკავა აბვერის ზოგიერთ ტაქტიკურ და სტრატეგიულ დადგენილებებში. 1935 წლის 18 მაისს მან წარუდგინა საგარეო საქმეთა სამინისტროს იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა შესახებ გერმანულ დაზვერვას დამატებითი ინფორმაცია სჭირდებოდა. ესენია ალბანეთი, საბერძნეთი და თურქეთი. როგორც ჩანს, ამ დროისთვის არსებული ღონისძიებები ესპანეთთან მიმართებაში აბვერისთვის საკმარისი იყო. 1936 წლის თებერვალში კანარისმა დაიწყო კონსულტაციები ვილჰელმშტრასესთან. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ რამდენიმე გერმანულ დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობაში დიპლომატებს უნდა შეეთავსებინათ აბვერის ფუნქციები. ჩამონათვალში მადრიდში იყო ჩართული და ეს უკვე არის ფაქტი. მადრიდში ასეთი დიპლომატი გახდა ალბრეხტ ფონ კოსი (Viñas 2001: 303)

ამ მიმართულებით აბვერის ღირებულებები ითვალისწინებდა 5 პუნქტს: 1. მეტი ინფორმაციის მოპოვება საპარლამენტო სისტემისა და თავისუფალი პრესის მქონე ქვეყნების, პირველ რიგში, საფრანგეთის შესახებ; 2. ოპერატიული საქმი-

ანობის გაფართოება საფრანგეთში, იტალიაში, საბერძნეთში, თურქეთში, რუმინეთში, იუგოსლავიაში, ბულგარეთში, შვეიცარიაში, ნიდერლანდებში, სკანდინავიასა და სამხრეთ ამერიკაში; 3. აბვერის საქმიანობის რეორგანიზაცია საბერძნეთში, თურქეთში, ნიდერლანდებში, შვეიცარიაში, სკანდინავიასა და ესპანეთში; 4. ინფორმაციის გაცვლის გააქტიურება უნგრეთთან, ფინეთთან და იაპონიასთან, ხოლო დაწყება იტალიასთან და შვედეთთან; 5. რიგი ქვეყნების დედაქალაქებში გესტაპოსთან ერთად ერთობლივი ვიზიტები და შეხვედრების ორგანიზება (Viñas 2001: 304). აქედან ჩანს, რომ რამე განსაკუთრებული ინტერესი ესპანეთის მიმართ აბვერს არ ჰქონია.

აჯანყება მოულოდნელი აღმოჩნდა ესპანეთში აბვერის იმდროინდელი შეფის ფრანც ფონ გოსისთვის და მისი კოლეგის, დიპლომატ ალბრეხტ ფონ კოსისთვის. კადისში ჩანერგილი აბვერის აგენტი რიხარდ ქლასენი დასასვენებლად გერმანიაში იყო წასული, მისი კოლეგა და კონსული სევილიაში გუსტავ დრეგერი ასევე არ იმყოფებოდა ადგილზე. არსებობდა ეჭვები ლას პალმასში საპატიო კონსულის ზაუერმანის შესახებ, რომ ის იყო აბვერის აგენტი (ბამლერი და რემერი მას აბვერის აგენტად აცხადებენ). საკუთარი ვერსიით, ზაუერმანი შეეწინააღმდეგა ლას პალმასში გენერალ ორგასის მიერ ლუფტჰანზას თვითმფრინავის კონფისკაციას, რომელიც ბოლოს იძულებული გახდა ტეტუანში გაფრენილიყო (იქიდან ბედი მას სხვა მნიშვნელოვან მარშრუტს უმზადებდა). ხელის შეშლის შემთხვევაში აჯანყებულები ზაუერმანს დაკავებითაც კი დაემუქრნენ, მაგრამ ტანჯერში იტალიის სამხედრო ატაშე ჯუზეპე ლუკარდი, რომელსაც მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდა ფრანკოსთან, 27 ივლისს რომს ატყობინებდა, რომ ეს იყო ტყუილი და ზაუერმანს და ამბოხებულებს შორის არსებობდა ერთგვარი გარიგება, რაც ერთგვარად ადასტურებდა გერმანელების მონაწილეობას შეთქმულებაში (Heiberg, Ros Agudo 2006: 26). ჩვენი აზრით, ამ ინფორმაციის წყარო, შესაძლოა, თავად ფრანკო ყოფილიყო და გასაკვირი ამაში არაფერია, ფრანკოს მიეცა ხელსაყრელი მომენტი ლუკარდისთან მოვლენების გაზვიადებით და გერმანელების თანამონაწილეების შესახებ ინფორმაციის გავრცელებით დაეინტერესებინა მუსოლინი.

ბარსელონაში მოქმედმა აგენტმა ბრემენმა, მართალია, თავისი კონტაქტების წყალობით სამი დღით ადრე გაიგო გადატრიალების შესახებ, მაგრამ ვერ მოახერხა ხელმძღვანელობასთან დროულად ინფორმაციის გაგზავნა და როცა ეს მოახერხა, უკვე მოძველებული აღმოჩნდა (Heiberg, Ros Agudo 2006: 26).

თუ მივიღებთ ვერსიას, რომ სამხედრო ამბოხებამ აბვერის ხელმძღვანელობა გააკვირვა, მაშინ ჩნდება ლოგიკური კითხვა: როგორ მოხდა, რომ შედარებით მცირე და ნაკლებად ეფექტური იტალიური დაზვერვა, პირიქით, ფლობდა საკმარის ინფორმაციას გადატრიალების შესახებ? ერთ-ერთი მიზეზი ალბათ იმაში უნდა ვეძებოთ, რომ 1935 წლის იანვარიდან და 1936 წლის ზაფხულის პერიოდში ნაცისტური ხელმძღვანელობა და პირადად ჰიტლერი ესპანეთის მიმართ არ იჩენდა დიდ ინტერესს. ჰიტლერის აზრით, ესპანეთი იყო მარგინალური ქვეყანა, რომელსაც ძალიან მოკრძალებული ადგილი ეკავა გერმანიის სტრატეგიულ და ტაქტიკურ გათვლებში (ჰიტლერისთვის ესპანეთი მართლაც ნაკლებად საინტერესო იყო, რადგან ესპანეთი იმ დროისთვის ევროპაში თითქმის მესამეხარისხოვანი სახელმწიფოდ იქცა). გარდა ამისა, აბვერს არ ჰყავდა მუდმივი აგენტი მაროკოში (Bowen 2000: 18).

ამბოხების მომზადებაში არც გესტაპო და არც საგარეო დაზვერვა არ იყვნენ ჩართულები. მეტიც, ისინი ინფორმაციას არ ფლობდნენ და მათთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა აჯანყება ესპანეთში. დაზვერვის ოპერინსპექტორი პაულ ვინცერი, რომელიც 1936 წლის მაისში შეუდგა მუშაობას, აჯანყების დაწყებისას ბარსელონაში იმყოფებოდა (იქ იგეგმებოდა ბერლინის ოლიმპიურ თამაშების ალტერნატიული სახალხო ოლიმპიადა), საიდანაც უფულოდ და კონტაქტების გარეშე დარჩენილმა სასწრაფოდ დატოვა ესპანეთი. (Viñas, Seidel: 198)

სამხედრო ამბოხება ყველაზე მოულოდნელი მაინც ვილჰელმშტრასესთვის აღმოჩნდა. ეს ვერსია ფართოდაა აღიარებული ლიტერატურაში. გაცხადებულია, რომ გერმანიის საელჩო ესპანეთში და აქ მოქმედი ნაცისტური პარტიის ადგილობრივი ჯგუფები ერთმანეთთან რთულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ და, საბოლოო ჯამში, პარტიული ორგანიზაციები მეტად იყო ინფორმირებული. ეს აზრი დოკუმენტებით არ დასტურება. ესპანეთში ნაცისტური პარტიის ჯგუფებს არ ჰქონია მეტი ინფორმაცია. რაც შეეხება მათ ურთიერთობებს, სახალხო ფრონტის გამარჯვების შემდეგ, გერმანელი დიპლომატები დაკავდნენ ესპანეთში ნაცისტური პარტიის წევრთა დაცვით. შვეიცარიაში ნაცისტური პარტიის უფროსის ვილჰელმ გუსტლოფის მკვლელობის შემდეგ, 1936 წლის მარტში ყველა ნაცისტური არქივი შენახულ იქნა დიპლომატიური წარმომადგენლობებში, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა კომუნიკაცია პარტიის საზღვარგარეთულ ორგანიზაციასთან (AO – Auslands-Organisation) (Viñas, Seidel: 198). ლიტერატურაში არსებული მტკიცებულების საპირისპიროდ ესპანეთში ოფიციალურ გერმანულ წრეებს და ნაცისტურ

პარტიას კარგი ურთიერთობები ჰქონდათ, რისი მსგავსიც სხვა ქვეყნებში არ ყოფილა.

ნაციისტური პარტიის ამბოხების საქმეში ჩართულობის ვერსიის წყაროს, რომელმაც დროთა განმავლობაში მიიღო ისტორიული ფაქტის სახე, წარმოადგენს სამოქალაქო ომის დროს გამოქვეყნებული რიგი პროპაგანდისტული გამოცემები. მოცემული ბროშურები შეიცავდა მტკიცებას იმის შესახებ, რომ ნაციისტური პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაციის აგენტურა ესპანეთში 30-იანი წლების დასაწყისიდან ქსელებს ხლართავდა რესპუბლიკის წინააღმდეგ (Burns 1937).

სხვა ევროპული ქვეყნების მსგავსად იტალიას კორექტული ურთიერთობები ჰქონდა ესპანეთთან, მათ არ ჰქონდათ საერთო საზღვრები და მათი ეკონომიკა საკმაოდ სუსტი იყო რაიმე ფართომასშტაბიანი სავაჭრო ოპერაციების განსახორციელებლად. მუსოლინის ხელისუფლებაში მოსვლით იტალიის საგარეო პოლიტიკა ესპანეთთან მიმართებით დიდად არ შეცვლილა. იტალიური ფაშიზმის არსებობის პირველი წლები დაემთხვა ესპანეთში მიგელ პრიმო დე რივერას დიქტატურას (1923-1930). ორი ქვეყანა გარკვეულ დონემდე დაუახლოვდა ერთმანეთს, როგორც მინიმუმ, პროპაგანდისტული კუთხით. აქცენტი კეთდებოდა საერთო, ლათინურ წარმომავლობაზე, კათოლიკურ რწმენაზე. მათ შორის 1926 წლის აგვისტოში გაფორმდა შეთანხმება მეგობრობის შესახებ. ამ შეთანხმებით მუსოლინი და პრიმო დე რივერა, მესამე სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში ნეიტრალიტეტს უზრუნველყოფდნენ. კონკრეტული ტერმინებით თუ გამოვხატავთ, ხელშეკრულება გარანტირებდა, რომ ესპანეთი არ დაუშვებდა ფრანგული ჯარების აფრიკაში გატარებას (Alpert 1994: 35). საფრანგეთში და ინგლისში შიშობდნენ, რომ ესპანეთი შესთავაზებდა იტალიას ბალეარის კუნძულებს ბახებისთვის, თუმცა სინამდვილეში მსგავსი არაფერი მომხდარა. ესპანეთის სამხედრო სისუსტე, პრიმო დე რივერას რეჟიმის სიმყარეზე მუსოლინის ეჭვებთან ერთად, უზრუნველყოფდა „სტატუს კვოს“ შენარჩუნებას ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში.

1938 წლის 30 მაისს „Il Popolo d'Italia“-მ გამოაქვეყნა ფრანკოს პროპაგანდისტული მინისტრის მილიან ასტრაის სტატია სათაურით: „მუსოლინის დაპირება“. იგი იხსენებდა შეხვედრას დუჩესთან, კიჯის სასახლეში, 1926 წელს. ამ უკანასკნელმა საუბრის ბოლოს განაცხადა: „პოლკოვნიკო, თუ ერთ დღეს ესპანეთს დაუდგა გადამწყვეტი და ისტორიული მომენტი, დარწმუნებული იყავით, იტალია მას და-

ეხმარება“ (Vayo 1940: 48). როგორც ჩანს მუსოლინი უკვე იმ დროს ჭკვრეტდა, რომ მისი სისტემის სუსტი ესპანური იმიტაცია – პრიმო დე რივერას დიქტატურა – დაკნინდებოდა და დუხე დაეხმარებოდა მას, ვინც ესპანეთის შეცვლას შეეცდებოდა პროფაშისტური გზით. ეს კრიტიკული მომენტი დაიწყო რესპუბლიკის გამოცხადებიდან (1931 წლის 14 აპრილი).

ესპანელი ისტორიკოსის ისმაილ სასის სიტყვებით, 1929-1932 წლებს შორის საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი ეპოქა დაიწყო. ამ მომენტამდე „ვერსა-ლის ევროპა“ არსებითად ინარჩუნებდა სტაბილურობას, ტოვებდა რა მცირე სივრცეს დიდი ცვლილებებისთვის საერთაშორისო პანორამაში. ესპანეთში მომხდარი პოლიტიკური მოვლენები დროში სწორედ ახალი ეპოქის დადგომას დაემთხვა. „სტატიკურობის“ პერიოდში მუსოლინის შექმნილ პრიმო დე რივერას მეგობრობის იმედი ჰქონდა. ახალ ევროპულ კონტექსტში, რომელიც მეტი დინამიზმის საშუალებას იძლეოდა, მისი საგარეო პოლიტიკა შეხვდა ნაკლებად მეგობრულ რეჟიმს ესპანეთში (Saz 1986a: 155-156).

საგარეო საქმეთა მინისტრი (მომავალი ელჩი ლონდონში) გრაფი დინო გრანდი უკვე 14 აპრილს აცხადებდა: „რესპუბლიკა ესპანეთში ნიშნავს, რომ იტალიამ ხმელთაშუა ზღვაზე ბრძოლა წააგო ომის დაწყებამდე“ (Saz 1986a: 156; Alpert 1994: 35). თუმცა, რამდენიმე დღის შემდეგ, 26 აპრილს მანვე მისწერა მუსოლინის, რომ რესპუბლიკამ მოახდინა კონსოლიდირება და კომუნისტებს ესპანეთში დიდი მომავალი არ ჰქონდა. ბოლოს ღირდა ურთიერთობების განმტკიცებაც ახალ რეჟიმთან (Saz 1986a: 156). უნდა ითქვას, ორივე შემთხვევაში საუბარია ნაუცბათევი შთაბეჭდილებებით შექმნილ აზრზე.

ზოგადად, ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ ესპანეთში მოქმედი მემარჯვენე ძალები უფრო იყვნენ დაინტერესებული იტალიის რეჟიმთან ურთიერთობით და იტალიის ინტერესი უბრალოდ ოკაზიონალური იყო. რომი რეაგირებდა ესპანელი მემარჯვენეების სხვადასხვა ინიციატივებზე, მაგრამ ჰქონდა არსებითად კორექტული ურთიერთობები კანონიერ მთავრობასთან (ეს ურთიერთობები არ იყო მარტივი, თუნდაც იმიტომ, რომ ბევრი ლტოლვილი, რომელიც გამოექცა ფაშისტურ დიქტატურას, ესპანეთმა შეიფარა). მიუხედავად ამისა, სხვადასხვა დოკუმენტების და ლიტერატურის შესწავლა აჩვენებს, რომ ურთიერთობები იყო უფრო კომპლექსური და იტალია აქტიურად ცდილობდა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე საჭირო კონტაქტების დამყარებას ესპანეთში.

1932 წლის აპრილში გენერალ პონტემ იტალიაში გაგზავნა ცნობილი ავი-

ატორი და მონარქისტი ხუან ანტონიო ანსალოდო მოსალოდნელი სამხედრო გადატრიალებისთვის მხარდაჭერის მოსაპოვებლად (რომელსაც ამზადებდა გენერალი სანხურხო). ის შეხვდა იტალიის ავიაციის მინისტრს იტალო ბალბოს, რომელმაც, როგორც ჩანს, დიპლომატიური კუთხით დახმარება აღუთქვა და შეკპირდა 200 ტყვიამფრქვევს შესაბამისი ამუნიციით, როგორც კი „მოძრაობა დაიწყებოდა“. სანხურხოს შეთქმულება ჩავარდა და შესაბამისად არც იარაღი გაგზავნილა (Sánchez Asiain 2014: 80). აღნიშნულმა დაანახა მუსოლინის, რომ რესპუბლიკა არ იყო ისეთი სუსტი, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა. 1932 წლის ზაფხულის ბოლოს მან გადაწყვიტა ესპანეთში დაენიშნა ახალი ელჩი რაფაელე გუარილია. ამით რომმა გადაწყვიტა ოფიციალური ურთიერთობების გაუმჯობესება ესპანეთთან.

მუსოლინის პოლიტიკის ორმაგის სტანდარტის საუკეთესო მაგალითია რ. გუარილიასთვის განკუთვნილი ინსტრუქცია, რომელიც, ელჩის თქმით, ზედმიწევნით იქნა შესრულებული. აქ მოცემულია ქცევის ორი მიმართულება: პირველი, რომელსაც პირობითად ვუწოდებთ „ოფიციალურს“ და მოიცავდა კარგი ურთიერთობების შენარჩუნებას ესპანეთის მთავრობასთან; და მეორე, რომელსაც ვუწოდებთ „იატაკქეშას“. ის მოიცავდა კონტაქტების გაფართოებას რესპუბლიკის ოპოზიციასთან (Saz 1986a: 157).

კარგი ურთიერთობების დამყარება იტალიისა და ესპანეთის მთავრობებს შორის 1933 წლის ნოემბრიდან გახდა შესაძლებელი, იმ ცვლილებების წყალობით, რომელიც მოხდა საკუთრივ ესპანეთში (მემარჯვენე ძალების მოსვლა ხელისუფლების სათავეში) და საერთაშორისო არენაზე (ნაციისტური რეჟიმის კონსოლიდაცია გერმანიაში). ურთიერთობები უფრო მჭიდრო გახდა, თუმცა იდეალურისაგან ჯერ კიდევ შორს იყო.

ესპანეთის პოლიტიკურ ძალებს შორის, რომლებიც იტალიაში ეძებდნენ მხარდაჭერას და იტალიური ფაშიზმის გამოცდილებით იყვნენ დაინტერესებული, გამოიყოფა ორი: ესპანური ფალანგა და ნაციონალ-სინდიკალისტური შეტევის ხუნტა, ე.წ. „ხონსი“. ფალანგის მეთაურმა ხოსე ანტონიო პრიმო დე რივერამ იტალიის ელჩზე რ. გუარილიაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ამ უკანასკნელის ინიციატივით მოხდა ახალგაზრდა ესპანელი პოლიტიკოსის იტალიაში ვიზიტის ორგანიზება 1933 წლის ზაფხულში. პრიმო დე რივერა, თავის მხრივ, მოიხიბლა მუსოლინით, რომელსაც პირადად შეხვდა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უარი თქვა ფაშისტური გავლენის ქვეშ მოქცევაზე. მეორეს მხრივ, იტ-

აღიის ხელმძღვანელობამ სხვადასხვა ნაკადის მონარქისტებთან უფრო მნიშვნელოვანი კონტაქტები დაამყარა. ამ კონტაქტების დამყარება შესაძლებელი გახდა ესპანეთში მოქმედი იტალიელი აგენტის ერნესტო კარპის აქტიურობის შედეგად.⁷

ესპანეთის მთავრობამ კარპის საეჭვო საქმიანობის შესახებ უკვე 1933 წელს იცოდა, ვატიკანში ესპანეთის ელჩი ალომარი იტყობინებოდა, რომ კარპი კონტაქტში შევიდა რომში დაარსებულ ანტირესპუბლიკურ ცენტრთან⁸ და გენერალ ემილიო ბარერასთან (Heiberg, Ros Agudo: 31). ხსენებული კონტაქტები მალე კონკრეტულ შედეგებში გამოვლინდა და გენერალი ემილიო ბარერა სხვა მონარქისტებთან ერთად ეწვია რომს.

1934 წლის მარტის ბოლოს რესპუბლიკის წინააღმდეგ დახმარების საძებნელად რომში ჩავიდა მონარქისტთა ოთხკაციანი ჯგუფი. ჯგუფში შედიოდნენ: ანტონიო გოიკოენკა – მონარქისტული მოძრაობა „ესპანეთის განახლების“ ლიდერი, ანტონიო ლისარსა ირიბარენი – ნავარელ კარლისტთა ლიდერი, რაფაელ ოლასაბალი – ტრადიციონალისტი, გენერალი ემილიო ბარერა – ესპანეთის არმიის შტაბის ყოფილი უფროსი, ესპანეთის სამხედრო კავშირის (UME) წევრი. ამრიგად, რომში ჩავიდნენ მონარქისტების ყველა ჯგუფისა და არმიის წარმომადგენლები. ისინი შეხვდნენ იტალი ბალბოს და ბენიტო მუსოლინის. შეხვედრა იყო გულთბილი და გაგრძელდა 45 წუთს. ამ შეხვედრის ორგანიზებაში მონაწილეობდნენ ბარსელონაში მყოფი იტალიის სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი ლონგო და იეზუიტი პადრე სეგარა, რომელიც საქმიანობდა რომში (Sanchez Asiaín: 78).

ჩამოსულებმა დაარწმუნეს მუსოლინი, რომ უახლოეს მომავალში სურდათ რესპუბლიკის დამხობა და მონარქიის აღდგენა ესპანეთში. როდესაც მათ გამოთქვეს შიში ერთმანეთში შეუთანხმებელი მოქმედებების გამო, მუსოლინიმ ეს შიში გაფანტა შემდეგი განცხადებით: „შეთქმულების წარმატებისთვის აუცილებელია მოძრაობა ფლობდეს მონარქიზმის, კორპორაციულობის და წარმომადგენ-

⁷ ერნესტო კარპი 1914 წელს ჩავიდა ბარსელონაში, სადაც 1931 წლამდე ხელმძღვანელობდა კომერციულ ბანკს. ის მეგობრობდა ხუან ბურბონთან, ალფონსო XIII-ის მესამე შვილთან (ამჟამინდელი მეფის – ფელიპე VI-ის ბაბუა). 30-იან წლებში კარპი აქტიურად მოძრაობდა რომსა და ბარსელონას შორის და ამყარებდა კონტაქტებს პოლიტიკოსებთან და სხვა გავლენიან პირებთან. ის იტალიის საიდუმლო სამსახურების სამ სახვადასხვა სექტორზე მუშაობდა, ესენი იყო საჰაერო ძალების დაზვერვა (SIA), სამხედრო დაზვერვა (SIM) და პოლიტიკური პოლიცია (POLPOL).

⁸ სანსურხოს პუტჩის ჩავარდნის შემდეგ, შეთქმულების მონაწილეებმა რომში დააარსეს ცენტრი.

ლობით ტენდენციებს და ეს სავსებით საკმარისია“ (Tomac 2003: 77). შეხვედრაზე ბარერამ მადლობა გადაუხადა მუსოლინის 1932 წლის 10 აგვისტოს, სანხურხოს პუტჩის დროს მხარდაჭერისთვის, რომელიც, მართალია წარუმატებელი აღმოჩნდა, მაგრამ მდიდარი გამოცდილება დატოვა (Heiberg, Ros Agudo: 31)

მუსოლინი სწრაფად დასთანხმდა დახმარებას და დაჰპირდა, რომ, აჯანყების წარმატებით დასრულების და ახალი მთავრობის შექმნის შემთხვევაში, იტალია ესპანეთთან გააფორმებდა როგორც სავაჭრო შეთანხმებას, ასევე ხელშეკრულებას მეგობრობის და ნეიტრალიტეტის შესახებ. ტექსტი ახლო მომავალში დეტალურად შემუშავდებოდა, მასში უნდა დაფიქსირებულიყო ვალდებულება, რომ ორივე მხარე უზრუნველყოფდა „სტატუს კვოს“ შენარჩუნებას დასავლეთ ხმელთაშუა ზღვაზე. გაფორმდა წერილობითი შეთანხმება, რომლითაც იტალია ახალი რეჟიმს დიპლომატიურ აღიარებას ჰპირდებოდა და მას ხელი მოაწერეს აღნიშნულმა პირებმა და მარშალმა ბალბომ.⁹ შეთქმულებს მუსოლინი სიტყვიერად შეპირდა კონკრეტულ დახმარებასაც. იგი სთავაზობდა 10000 შაშხანას, 10000 ხელყუმბარას, 200 ტყვიამფრქვევს, 1500000 პესეტის ოდენობით ფინანსურ დახმარებას. იტალიელებმა ასევე შესთავაზეს მცირე სამხედრო ჯგუფების მომზადება. შემდგომ თვეებში სამ სხვადასხვა ჯგუფს (დაახლოებით 15-15 კაციანი) სპეციალური ინსტრუქტაჟი უტარდებოდა იტალიის სამხედრო აეროდრომებზე, სადაც ისინი ოფიციალურად პერუელ ოფიცრებად იყვნენ „გასაღებულები“ (Coverdale 1975: 52).

ამ შეხვედრაზე დუჩემ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით საინტერესო კომენტარები გააკეთა, მაგალითად: „მე როცა ვეხმარები, ნამდვილად ვეხმარები და ავსტრიელებმა იციან ეს კარგად. გარწმუნებთ, თქვენს მოძრაობას შეუძლია ჰქონდეს ჩემი მხარდაჭერის იმედი“. ფულის გამოყოფის შესახებ განაცხადა: „არსებობს ტექნიკური სირთულეები მოკლე დროში ამ რაოდენობის თანხის მიღებაზე. რადგან პესეტა ადვილად არ იშოვება საერთაშორისო ბაზარზე, ის უნდა იქნეს შესყიდული მცირე ოდენობით, რათა არ გააჩინოს ეჭვი. სახელმწიფო ვერ ჩაერევა პირდაპირ, რადგანაც იტალიური კანონების ძალით ვერაფერი გაექცევა სახალხო კონტროლს, თუმცა არსებობს სხვა ეკონომიკური ორგანიზმები, რომელიც ემორჩილება სახელმწიფოს და რომელთა მეშვეობით შერულდება ეს ოპერ-

⁹ აღნიშნული დოკუმენტი სამოქალაქო ომის დროს გოიკოენას პირად არქივში აღმოჩინეს 1937 წელს და მაშინათვე გამოქვეყნდა ბრიტანულ და ფრანგულ პრესაში. (How Mussolini provoked the Spanish Civil War Documentary Evidence. London, 1937).

აციები“ (Sanches Asiaín: 83). მომდევნო დღეს პირველი 500000 პესეტა გადაეცა შეთქმულებს, დანარჩენი კი ცოტა მოგვიანებით მიიღეს.

რაც შეეხება შეპირებულ იარაღს, ის გემით გაიგზავნა ლიბიაში, მაგრამ არ ჩასულა ესპანეთში სამოქალაქო ომამდე. ყოველ შემთხვევაში, იტალიელი ისტორიკოსი მაძეტის მიერ აღმოჩენილ დოკუმენტში, რომელიც 1936 წლის 21 ნოემბრითაა დათარიღებული, საუბარია, რომ ტრიპოლიში შენახულია, მაგრამ საბოლოოდ არ გაგზავნილა ესპანეთში ინგლისური და გერმანული წარმომავლობის 250 ცალი ტყვიამფრქვევი, 2942000 ვაზნა, 9540 ხელყუმბარა, 9984 შაშხანა (Sanches Asiaín: 86). 1935 წელს ოლასაბალი ჩავიდა რომში, რათა იარაღის გაგზავნა დაეჩქარებინა, მაგრამ მისი ეს ვიზიტი წარუმატებელი აღმოჩნდა. ამას მოწმობს ზემოთ ნახსენები დოკუმენტი.

აღნიშნულ შეიარაღებასთან დაკავშირებით დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა დავები, ესპანეთში გავრცელებული ხმებით, სწორედ იტალიური იარაღით მოხდა აჯანყების დაწყება რესპუბლიკის წინააღმდეგ, მაგრამ დღეს უკვე ნათელია, რომ შეთქმულებმა ფული მიიღეს, იარაღი კი ვერა. ისტორიკოსებიდან ამერიკელი გაბრიელ ჯექსონი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ამტკიცებდა: „არ ჩანს, რომ მუსოლინიმ მიაწოდა აჯანყებულებს იარაღი, სანამ ნამდვილი სამოქალაქო ომი არ გაჩაღდა“ (Jackson 1965: 247). თავის მხრივ, კოვერდეილი ამტკიცებდა, რომ ერთადერთი მასალა, რომელიც მართლაც გადაეცათ ამბოხებულებს იყო, 6 პატარა რადიო-სატელეფონო მიმღები“ (Coverdale 1975: 52).

1934 წლის 31 მარტს აღნიშნული შეთანხმების დადების დროს, ესპანეთში ხელისუფლების სათავეში მემარჯვენე ძალები იყვნენ. ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ მუსოლინი ზოგადად მტრულად იყო განწყობილი რესპუბლიკის მიმართ და ნაკლებ ანგარიშს უწევდა იდეოლოგიურ მოსაზრებებს. პოლიტიკური რეალიზმი კარნახობდა მას, რომ ესპანეთში მხარი უნდა დაეჭირა კონსერვატიული ჯგუფებისთვის, ახალბედა ფაშისტური ჯგუფების ნაცვლად. ამ უკანასკნელთა მიმართ იდეოლოგიური მსგავსება და, ბუნებრივია, სიმპათიებიც გააჩნდა, მაგრამ პრაგმატული თვალსაზრისით მონარქისტების მხარდაჭერა უფრო მომგებიანი იყო. კიდევ ერთი საყურადღებო მომენტი ის, რომ ესპანეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ მებრძოლებს მუსოლინიმ დახმარების შესახებ მზაობა ერთგვარი დათქმით დაუდასტურა: საუბარი იყო დახმარების შესაძლებლობაზე არა აჯანყების ორგანიზებასა და მომზადებაში, არამედ მხოლოდ მისი დაწყების შემდეგ. ფაშისტ დიქტატორს არ სურდა თავის თავზე აედო ვალდებულება ისეთ სარისკო ღონისძი-

ებაზე, როგორც იყო ესპანეთის მთავრობის ჩამოგდება. ამასთან, მოლაპარაკებების დროს ესპანელი მონარქისტები ვერ დაასახელებდნენ ვერც გამოსვლის სავარაუდო თარიღს, ვერც მომავალი მონარქის ერთიან კანდიდატს. მოცემულ პირობებში იტალიელი დიქტატორისთვის ხელსაყრელი იყო, არ ეჩქარა დახმარების აღმოჩენა, არამედ დალოდებოდა მოვლენათა განვითარებას.

1934 წლის შემოდგომას იტალიის ელჩი ესპანეთში გახდა ორაციო პედრაცი, რომელიც კრიტიკულად იყო განწყობილი აქ მოქმედი ფაშისტური ჯგუფების მიმართ. ის ხაზს უსვამდა მათ სისუსტეს, დაქსაქსულობას და გადაწყვეტილების მიღების უნარის არქონას (Miguel I. Campos 2012: 130).

1935 წელს პრიმო დე რივერა ხელახლა ეწვია იტალიას, მაგრამ ამჯერად შეუძლებელი გახდა მუსოლინისთან შეხვედრა. ამ მოგზაურობის შედეგი იყო ის, რომ გალვაცო ჩიანომ უბრძანა პარიზში იტალიის საელჩოს პრეს-ატაშეს ამადეო ლანდინის (და არა ესპანეთში საელჩოს რომელიმე წარმომადგენელს), ყოველთვიურად გადაეცა პრიმო დე რივერასთვის დახმარების სახით 50 000 ლირა (1935 წლის 3 ივნისი). ეს ფაქტი ისე იყო გასაიდუმლოებული, რომ პრიმო დე რივერა პირადად ჩადიოდა ორ თვეში ერთხელ პარიზში აღნიშნული თანხის მისაღებად, რომელიც მალე განახევრდა (Sanchez Asiain: 90). ამ სუბსიდიებმა, (გრძელდებოდა 1936 წლის თებერვლამდე) მუსოლინის დივიდენდები არ მოუტანა, ფალანგის მეთაური მალე ჩამოშორდა პოლიტიკურ ცხოვრებას, 1936 წლის მარტში კი ის დააპატიმრეს.

თანდათან მუსოლინიმ დაკარგა ინტერესი ესპანეთის მიმართ, ყოველ შემთხვევაში, როცა მოხდა დაახლოება საფრანგეთთან პიერ ლავალის დროს და ურთიერთობები იტალიას და საფრანგეთს შორის გაუმჯობესდა, მუსოლინი ნაკლებად ფიქრობდა ბალეარებზე და მეტს აბისინიაზე. ასეთ პირობებში არც ახალი გართულებები აინტერესებდა (Alpert 1994: 36).

1935 წელს ერნესტო კარპის საქმიანობაზეც არ გვაქვს ცნობები. როგორც ჩანს, იტალიის ინტერესი ამ კუთხითაც შესუსტდა და, თუ ზემოთ ნათქვამს გავითვალისწინებთ, ამაში გასაკვირი არაფერია. მუსოლინის პრიორიტეტები შეიცვალა. მოგვიანებით 1936 წლის გაზაფხულზე ესპანეთში პოლიტიკური მღელვარების ზრდასთან ერთად, ინტერესი ესპანური კონტაქტების მიმართ კვლავ გაიზარდა და შესაბამისად კარპიმაც აღიდგინა დაკარგული მნიშვნელობა. მისი გვარი კვლავ გამოჩნდა ამჯერად ერთ-ერთი ცნობილი მონარქისტის პედრო საინს როდრიგესის წიგნში. საინს როდრიგესი საუბრობს იტალიის ხელმძღვანელობას-

თან გამართულ მოლაპარაკებებზე, რომელშიც თვითონაც მონაწილეობდა და რომლის შედეგიც იყო შეთანხმება ხელმოწერილი კალვო სოტელოს, გოიკოჩი-ას და გრაფ რედოსნოს მიერ. თავის მემუარებში საინს როდრიგესი ყვება შემდეგს: „გრაფ გამასოს მეშვეობით გავიცანი ბანკის თანამშრომელი, სახელად ერნესტო კარპი, რომელიც, არ ვიცი, ბარსელონაში ცხოვრობდა თუ ხშირად დადიოდა აქ ფინანსურ საქმეებზე. კარპის ცოლი ადრე იყო მომღერალი და გათხოვებამდე ახლო მეგობრობა აკავშირებდა იტალო ბალბოსთან, რისი ძალითაც ერნესტო კარპის ჰქონდა დიდი მეგობრობა და ნდობა ამ უკანასკნელთან, რომელსაც თავის მხრივ დიდი გავლენა ჰქონდა მუსოლინისზე და ჩიანოზე.¹⁰ ამ არხით დაიწყო მოლაპარაკებები, რომელიც, რა თქმა უნდა, არ ყოფილა ერთადერთი. მე გავიგე ბარერას რომში მგზავრობის შესახებ ამბოხებულთათვის დახმარების მისაღებად“. მისი სიტყვებით, რომში ჩასულები შეთანხმდნენ, რომ ესპანეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით თუ მოხდებოდა აჯანყება რესპუბლიკის წინააღმდეგ, იტალიის მთავრობა დაეხმარებოდა აჯანყებულებს აუცილებლობის შემთხვევაში სამხედრო სფეროშიც. აქ დადებული ხელშეკრულებით რეგულირებული იყო სავაჭრო ურთიერთობები მომავალ ესპანეთს და იტალიის მთავრობას შორის და ორივე დიდ ინტერესს გამოხატავდა ხმელთაშუა ზღვაზე „სტატუს კვოს“ უზრუნველყოფაში (Sáinz Rodríguez 1978: 232-233).

როდრიგესის მსჯელობას თუ ვირწმუნებთ, ეს ნიშნავს, რომ 1936 წელს იტალიელები რეალურად მონაწილეობდნენ აჯანყების გეგმის შემუშავებაში და რომ არსებობდა ამ დახმარების კონკრეტული პოლიტიკური ფასიც. ჩვენი აზრით, იმის შესაძლებლობა, რომ 1936 წელს განიხილებოდა 1934 წლის მსგავსი ხელშეკრულება და მას ხელი მოეწერა, არის ძალიან საეჭვო, მით უმეტეს, რომ ეს დოკუმენტებით არ დასტურდება. ამ ვერსიის წინააღმდეგ ყველაზე კარგი არგუმენტი თავად ერნესტო კარპისგან მოდის. 1942 წლის 5 თებერვალს კარპი ითხოვდა მუსოლინისთან აუდიენციას. თავის ამ თხოვნას კარპი წარმოადგენდა დუჩეს სამდივნოში შეტანილ ვრცელ წერილში, რომელსაც თან ურთავდა სხვადასხვა საბუთებს. იგი წერილში ვრცლად საუბრობდა 1934 წლის პაქტზე, რომელიც, მისი აზრით, უზრუნველყოფდა იტალიის პრივილეგირებულ პოზიციას ხმელთაშუა ზღვაზე, მაგრამ არსად არ უთითებდა 1936 წლის შეთანხმებას რა-

¹⁰ ჩვენი აზრით, ერნესტო კარპის და იტალო ბალბოს მეგობრობა, ასევე რომში მონარქისტების ყველა შეხვედრა იტალო ბალბოსთან (ან მისი თანდასწრებით), ადასტურებს, რომ ყველა ეს ვიზიტი კარპის მიერ იყო ორგანიზებული.

ზედაც საინს როდრიგესი საუბრობს (Heiberg, Ros Agudo: 34). თუ კარპი იყო მთავარი ფიგურა მოლაპარაკებების ორგანიზების საქმეში და ასეთი მნიშვნელოვანი ხელშეკრულება გაფორმდა, მაშინ რატომ არ ახსენებს მას? ისტორიკოსებს ამაზე პასუხი არ აქვთ და პრეტენზიები უნდა წავუყენოთ ისევ საინს როდრიგესს, რომლის მემუარები ძალიან ბევრ შეცდომას შეიცავს.

არის კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც ნაკლებადაა შესწავლილი. საუბარია წერილზე, რომელიც 1936 წლის 20 მაისს ხოსე ანტონიო პრიმო დე რივერამ ციხიდან გაუგზავნა გოიკოეჩას და სთხოვა ემოქმედა, როგორც მის წარმომადგენელს შეთქმულების სამხედრო ხელმძღვანელობასთან და სხვა გარეშე პირებთან, მათ შორის მუსოლინისთან.

სხვათა შორის, ეს არ იყო პირველი მცდელობა. 1936 წლის მარტში პრიმო დე რივერა ცდილობდა თავისი ძმის მიგელის ხელით მუსოლინისთვის გადაეცა წერილი, სადაც აღწერდა მდგომარეობას ესპანეთში და ითხოვდა დახმარებას. ეს შეხვედრა ელჩი პედრაცის წინააღმდეგობის გამო არ შედგა (*Campo Rizo 2009*: 15). ამჯერად მან მიმართა გოიკოეჩას. ამ უკანასკნელმა 14 ივნისს ერნესტო კარპის შემდეგი შინაარსის წერილი¹¹ გაუგზავნა: „ჩემო ძვირფასო მეგობარო, გარდა ჩემი პარტიისა, ამ შემთხვევაში წარმოვადგენ ესპანურ ფალანგას, ასევე ნაციონალური ბლოკის ელემენტებს, რომელთაც ხელმძღვანელობს კალვო სოტელო და რომელთანაც ვართ მჭიდრო პოლიტიკურ ალიანსში“ (*Sanches Asiaín*: 105). „აუცილებელი დოკუმენტები“, რომელსაც გოიკოეჩა აღნიშნულ წერილს ურთავდა, იყო დეტალური მოხსენება, სადაც შეფასებული იყო სახალხო ფრონტის გამარჯვების ნამდვილი მნიშვნელობა და მითითებული იყო ქვეყნის ანარქიის მდგომარეობიდან გამოყვანის აუცილებლობაზე, თუნდაც ძალადობის გზით. აქვე იყო კონკრეტული თხოვნა მილიონი პესეტით ფინანსურ დახმარებაზე (*Sanches Asiaín*: 106).

23 ივნისს დოკუმენტი მიიღო იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, მაგრამ ჩიანომ მას დიდი ყურადღება არ მიაქცია. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია, რომ იტალიის ელჩი მადრიდში ამ დროს სკეპტიკურად იყო განწყობილი ძალადობრივი გადატრიალების შესაძლებლობის შესახებ. ამას ელჩი ასე ხსნიდა: „გენერლები, რომლებიც ამჟამად არიან არმიის სათავეში მემარცხენეთა მი-

¹¹ კოვერდეილისთვის ამ წერილის არსებობა უცნობია, ის მოგვიანებით შემოვიდა ისტორიულ მიმოქცევაში (*Saz 1986/b*: 166).

მართ სიმპათიით არიან გამსჭვალული“ (Saz 1986/a: 161). ჩიანოც, როგორც ჩანს, გულაცრუებული იყო, ვინაიდან ესპანელები უკვე ორი წელია საუბრობდნენ გარდაუვალ სამხედრო ამბოხებაზე, მაგრამ არაფერი ხდებოდა. ამრიგად, 1936 წლის გაზაფხულის განმავლობაში და ზაფხულის დასაწყისში იტალია იგნორირებდა დახმარების თხოვნას ესპანელი შეთქმულებისგან, „ალბათ იმიტომ, რომ განიხილავდნენ დახმარების საერთაშორისო რისკებს და ამბოხებულთა გამარჯვების შეზღუდულ შესაძლებლობებს“ (Heiberg 2004: 43).

ადგილი ჰქონდა სხვა თხოვნებსაც, განხორციელებულს 13 და 15 ივლისს. 13-ში ოლასაბალმა იმგზავრა რომში, სადაც ჩაიტანა თხოვნა კარლისტების სახელით, მაგრამ არ არის დოკუმენტები, რომელიც მის შეხვედრების დეტალებს ასახავდეს (მხოლოდ ფაქტია ცნობილი). კალვო სოტელოს მკვლევლობის შემდეგ შეთქმულებმა, როგორც ჩანს, გაგზავნეს წერილი მუსოლინისთან, სადაც ატყობინებდნენ სახელმწიფო გადატრიალების გარდაუვალობის შესახებ, მაგრამ ის ბარსელონას ვერ გასცდა (Whealey 1989: 12). 16 ივლისს შეთქმულების ერთ-ერთმა მონაწილემ ტანჟერში იტალიის კონსულ დე როსის შეატყობინა მოსალოდნელი ამბოხების შესახებ. ამ უკანასკნელმა ეს ინფორმაცია დაუყოვნებლივ გააგზავნა რომში (DDI, VIII, 4 : 607). ორ დღეში მართლაც დაიწყო აჯანყება.

გამოგზავნილი დეპეშებიდან ალბათ ყველაზე საინტერესო არის მარკიზ პატერნოს წერილი გამოგზავნილი სან სებასტიანიდან ჯერ კიდევ 22 ივნისს, სადაც ის საუბრობს გარდაუვალი რევოლუციური მოძრაობის შესახებ მემარჯვენეების მხრიდან, რომლებიც ცდილობდნენ ხელისუფლების ხელში ჩაგდებას, რომელიც „ტრადიციონალისტებს და ფონ რიბენტროპს შორის ახლახანს მიღწეული შეთანხმების თანახმად, გერმანიის მიერ იყო მხარდაჭერილი. მეფე ალფონსომ შესთავაზა მათ ხელმძღვანელობის თავის თავზე აღება, მაგრამ შემდგომში გადათქვა. მოძრაობას ხელმძღვანელობს სანხურსო და მისი მიზანია არა მონარქიის აღდგენა, არამედ მემარჯვენე მთავრობის შექმნა და კომუნისტების განადგურება“ (DDI, VIII, 4: 387-388). ამ დეპეშასთან დაკავშირებით 30 ივნისს პედრაცი წერდა ჩიანოს, რომ ის გადიოდა ჭორების კატეგორიაში, რომელიც ესპანეთში ყოველდღე ვრცელდება ხან მემარჯვენეების, ხანაც კომუნისტების მხრიდან. ანარქიის მდგომარეობაში ქვეყანაში გამორიცხული არაა ნებისმიერ მომენტში მთავრობის წინააღმდეგ მიმართული აქციები განხორციელდეს. ელჩის აზრით, უკეთესი იქნებოდა, პატერნოს საერთოდ შეეკავებინა თავი ალარმისტული და უკონტროლო ინფორმაციის მინისტრთან გამოგზავნისგან. მოცემულ სიტუაციაში

შეიძლება უკეთესიც ყოფილიყო „პატერნოს გაწვევა და მისი სხვა ადგილზე გადაყვანა, სადაც მეტ სარგებელს მოიტანდა“. (DDI, VIII, 4: 469). ეს ყველაზე კარგი კომენტარია პატერნოს აღნიშნულ დეპეშაზე და ჩვენ არაფერს დავამატებთ.

აჯანყების დაწყებამდე, როგორც ვნახეთ რომში ბევრი ინფორმაცია დაგროვდა, რომლის საფუძველზეც იქ უნდა ჰქონოდათ საკმარისი წარმოდგენა ესპანეთის მოვლენებთან დაკავშირებით. გოიკოენჩას და ოლასაბალის დეტალური ანგარიშები, სან სებასტიანში იტალიის კონსულის პატერნოს დეპეშა და დე როსის ორი დეპეშა ადასტურებს, რომ თუ რომისთვის მოულოდნელი იყო აჯანყების დაწყება, ეს იყო არა ინფორმაციის უკმარისობის ბრალი, არამედ იმის, რომ სხვადასხვა წყაროებიდან მოსულ ინფორმაციას ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ.

§2. სამოქალაქო ომში ჩარევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი

2.1. ჰიტლერის მიერ გადაწყვეტილების მიღება

როგორც ითქვა, აჯანყების ხელმძღვანელებმა გერმანიას და იტალიას მხოლოდ სირთულეების გაჩენის შემდეგ მიმართეს, რაც სამხედრო ნაწილების ესპანეთის მაროკოდან პირინეის ნახევარკუნძულზე გადაყვანასთან იყო დაკავშირებული. მათი მოლოდინის საწინააღმდეგოდ ესპანეთის საზღვაო ფლოტი კანონიერი მთავრობის ერთგული დარჩა. ასეთი მასშტაბური სატრანსპორტო ოპერაციისთვის საკუთარი სააეიაციო რესურსები მეამბოხეებს არ გააჩნდათ. რომის და ბერლინის ჩართულობა შიდა ესპანურ დაპირისპირებაში რომელმაც მიიღო სისხლისმღვრელი ბრძოლის ფორმა, მოხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაჩნდა ტექნიკური ხასიათის სირთულეები.

ისტორიკოსებს შორის გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, ანტირესპუბლიკური აჯანყების ლიდერებმა თავდაპირველად სხვადასხვა უწყებებს, შემდეგ კი რაიხის უმაღლეს ხელმძღვანელობას მიმართეს. მეამბოხეების პირველი კონტაქტი გერმანიის ოფიციალურ წარმომადგენლებთან 22 ივლისით თარიღდება. ფრანკომ თავიდან დახმარების მიღება დიპლომატიური არხებით სცადა. მაროკოში ჩაკეტილ გენერალს ერთადერთი ადამიანი ჰყავდა, რომელსაც სერიოზული კავშირები ჰქონდა გერმანიაში. ეს იყო ესპანეთის საელჩოს ყოფილი სამხედრო ატაშე ბერლინში 1926-1935 წლებში, ჩვენს მიერ უკვე ნახსენები ვიცეკონსული კონიკი ხუან ბეიგბედერ ატიენსა. ფრანკოს დავალებით, ბეიგბედერმა მიმართა

ტანჯერში იმ დროს გერმანიის კონსულის მოვალეობის შემსრულებელს ვეგენერს (კონსული ი. ბროში შევებულებაში იმყოფებოდა), რათა გადაეცა თხოვნა არა რომელიმე მაღალი თანამდებობის პირისთვის გერმანიაში ან კონკრეტულად დაზვერვის შეფის კანარისისთვის, არამედ გენერალ კიულენტალისთვის, რომელიც იყო გერმანიის საელჩოს სამხედრო ატაშე საფრანგეთში, ესპანეთსა და პორტუგალიაში და რომელსაც ბეიგბედერთან ძველი მეგობრობა აკავშირებდა. დეპეშაში ფრანკო ითხოვდა, რომ კიულენტალს „ახალი ნაციონალისტური მთავრობის“ წარმომადგენლებისთვის ეშუამდგომლა კერძო ფირმებთან მაქსიმალური ტევადობის 10 სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავის შესყიდვის საქმეში. სამხედრო ტექნიკის საფასური აუცილებლად იქნებოდა გადახდილი (DGFP, D, III: 3-4).

ესპანელ ისტორიკოს ანხელ ვინიასს უნდებოდა მიაჩნია ის ფაქტი, რომ ბეიგბედერმა არ შეატყობინა ფრანკოს იმ ნაბიჯების შესახებ, რომელიც გადადგა სანსურხომ ბერლინში რამდენიმე თვით ადრე (Viñas 2001: 327). მისი აზრით ეს კიდევ ერთხელ ამყარებს ვარაუდს, რომ ეს გახმაურებული მოგზაურობა უშედეგოდ დასრულდა. არსად არ ჩანს, რომ ფრანკო ან ბეიგბედერი სთხოვენ კიულენტალს ამ „მესიჯის“ გადაცემას სხვა პირისთვის.

აღნიშნული დეპეშა ბერლინში ჩავიდა 23 ივლისს და ცივად იქნა მიღებული. საგარეო საქმეთა სამინისტრომ 24 ივლისს ის გადაგზავნა თავდაცვის სამინისტროში და კომენტარში მიუთითა, რომ, საგარეო საქმეთა სამინისტროს აზრით, ესპანური თხოვნის დაკმაყოფილების საკითხი საერთოდ არ უნდა ყოფილიყო განხილული (DGFP, D, III: 7).

ფრანკოს ეს დახლართული კომბინაცია არ მოეწონა და გადაწყვიტა, პირადად მიემართა ჰიტლერისთვის. მ. ნოვიკოვის აზრით, ფრანკომ წინასწარ განჭვრიტა გერმანიის ოფიციალური ორგანოების მხრიდან უარის შესაძლებლობა, ამიტომ პარალელურად მოამზადა პირადი წერილი ჰიტლერთან. (Новиков 2000: 17). მ. ალპერტიც ფრანკოს ეჭვებზე საუბრობს. ნაცისტურ პარტიასთან ურთიერთობით ალბათ შესაძლებელი იქნებოდა იმ ბიუროკრატიული ჯაჭვისგან განთავისუფლება, რითაც, როგორც ფრანკო ეჭვობდა, ბერლინში გაგზავნილი მისი თხოვნა იბლოკებოდა (Alpert 1998: 40).

ვილჰელმშტრასეს უარყოფითი დამოკიდებულება ფრანკოს რთულ მდგომარეობაში აყენებდა. ასეთ სიტუაციაში მან ისარგებლა უკანასკნელი შანსით, მიეღო მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დახმარება. მუამბოხეების წარმატე-

ბას განაპირობებდა რაიხის პარტიულ სტრუქტურებში ერთი უწყების არსებობა რომელსაც პირდაპირი ურთიერთობა ჰქონდა საგარეო პოლიტიკასთან. ეს იყო ჩვენს მიერ უკვე ნახსენები ნაციონალ-სოციალისტური პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაცია „AO“. თავის დროზე, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი კონსტანტინ ფონ ნოირატი ჰიტლერის კაბინეტში მხოლოდ პრეზიდენტ ჰინდენბურგის დაჟინებული მოთხოვნით დარჩა და პოსტს იმ პირობით დასთანხმდა, რომ ექნებოდა მოქმედების თავისუფლება და საგარეო პოლიტიკაში ექსპერიმენტებს არ ექნებოდა ადგილი (Seabury 1954: 27). თუ გარკვეული დროის განმავლობაში რაღაც დოზით თავისუფლება მას მართლაც ჰქონდა, მალე ჰიტლერმა გამოამჟღავნა, რომ არ სურდა დიპლომატიის სფეროში მხოლოდ სამინისტროზე ყოფილიყო დამოკიდებული. ის თავიდანვე ქმნიდა პარალელურ ორგანოებს, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა უშუალოდ მის და პარტიის წინაშე, როგორც ვილჰელმშტრასეს საპირწონე ძალა. პარტიაში ასეთი ბირთვი ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლამდეც არსებობდა. ეს იყო 1931 წლის 1 მაისს ჰამბურგში შექმნილი პარტიის საგარეო განყოფილება (Auslandsabteilung der NSDAP). ამ ორგანიზაციამ სწრაფად დაიწყო პარტიული წევრების და ჯგუფების ინტეგრირება საზღვარგარეთულ ლოკალურ უჯრედებში (Stützpunkt) და ადგილობრივ ჯგუფებში (Ortsgruppen). საგარეო განყოფილება თანდათან გაიზარდა და ერთ წელიწადში მას მთელ მსოფლიოში 350 ასეთი ორგანიზაცია გააჩნდა. მისი მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ 1933 წლის ოქტომბერში ეს განყოფილება რუდოლფ ჰესის პირდაპირი ზედამხედველობის ქვეშ გადავიდა, 1934 წლის თებერვალში მიიღო ახალი სახელწოდება (Auslands-Organisation). ჰესმა გაულაიტერად დანიშნა ერნსტ ვილჰელმ ბოლე. 1937 წელს AO-ს შტაბი, 700-კაციანი ადმინისტრაციული აპარატით, გადავიდა ჰამბურგიდან ბერლინში (Seabury 1954: 32). რაც დრო გადიოდა, AO ფართოვდებოდა, მისმა ხელმძღვანელმა კი ოფიციალური თანამდებობა დაიკავა საგარეო საქმეთა სამინისტროში და პასუხისმგებელი გახდა საკითხებზე, რომელიც ეხებოდა გერმანელ მოქალაქეებს საზღვარგარეთ. როგორი ძვირფასიც არ უნდა ყოფილიყო მისი მუშაობა ნაციფიკაციის თვალსაზრისით, ბოლეს სამსახური მაინც დამხმარე ინსტრუმენტად ითვლებოდა. მას არ ჰქონდა ფართომასშტაბიანი პოლიტიკის „კეთების“ საშუალება. მისი ხელმძღვანელი არასდროს ყოფილა ჰიტლერთან დაახლოებული პირი, თუმცა კონკრეტულად ესპანეთის საკითხში AO-ს როლი განუზომელი გახდა.

ფრანკომ ისარგებლა ესპანეთის მაროკოში AO-ს წარმომადგენლობის დახმარებით. როგორც კ. ლაიტცი ამტკიცებს, 1936 წლის 21 ივლისს ტეტუანში მცხოვრებმა გერმანიის მოქალაქე იოჰანეს ბერნჰარდტმა გადადგა კადნიერი ნაბიჯი, შესთავაზა რა დახმარება გენერალ ფრანკოს. „ბერნჰარდტის ეს გადაწყვეტილება თავხედური ჩანდა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რა არარაობას („nonentity”) წარმოადგენდა იგი. ეს გახდა ესპანეთის სამოქალაქო ომში გერმანიის ჩარევის პირველი ნაბიჯი, ხოლო ტეტუანი ბერნჰარდტისთვის გახდა ერთგვარი ტრამპლინი, გამხდარიყო ყველაზე გავლენიანი გერმანელი ფრანკისტულ ესპანეთში სამოქალაქო ომის და მეორე მსოფლიო ომის დროს“ (Leitz 1996: 8). ზოგი მკვლევრის აზრით, ესპანელმა ფალანგისტებმა თავიდანვე შეატყობინეს ბერნჰარდტს შეთქმულების გეგმის შესახებ. ამერიკელი სტენლი პეინი თავის ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში ამტკიცებდა, რომ ბერნჰარდტმა 1936 წლის ივნისში ბერლინი იმ მიზნით მოინახულა, რომ დაერწმუნებინა ნაცისტური ოფიციალური წრეები ესპანეთში დაგეგმილი აჯანყების მხარდაჭერაში (Payne 1967: 355-6). თავის გამოკვლევებში ბერნჰარდტის ცხოვრების შესახებ არც კ. აბენდროთი და არც ა. ვინიასი არანაირ მინიშნებას არ აკეთებენ ამ კუთხით, კ. ლაიტცმა კი, როგორც თვითონ ამტკიცებს, მიუხედავად დიდი მცდელობისა, სტენლი პეინის ამ განცხადების დამამტკიცებელი ვერანაირი საბუთი ვერ იპოვა (Laitz 1996: 14). ყოველ შეთხვევაში, ვეთანხმებით ჟურნალისტის და ისტორიკოსის ხოსე მარია ირუხოს შენიშვნას, რომ „ბერნჰარდტი საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდა“ («En Domingo», 5.XI.2006, 2/3)

უფრო დაუჯერებელი ისტორიაა, რომელსაც „Associated Press“-ის ჟურნალისტი ჩარლზ ფოლცი ყვება, თუმცა აქედანვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო უფრო იმ დროს გავრცელებული ხმების ასახვა, ვიდრე დოკუმენტალისტური გამოკვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნა. ჟურნალისტი აღნიშნავდა, რომ გენერალი ფრანკო 19 ივლისს ჩაფრინდა ტეტუანში, სადაც მას დახვდა იოჰანეს ბერნჰარდტი და გადასცა ჰიტლერის პირადი წერილი, რომელშიც ფიურერი სიმპათიებს გამოხატავდა ესპანეთის გადასარჩენად მიმართული ფრანკოს ძალისხმევის მიმართ (Foltz 1948: 46). ამის რეალურობას თუ დავუშვებთ, მაშინ გამოდის, გერმანიის მთავრობა და თვითონ ჰიტლერი თავიდანვე მზად იყო მეამბოხეების დასახმარებლად, რაც არ დასტურდება არც ბერნჰარდტის მოგონებებით და არც მოვლენების შემდგომი განვითარებით.

ბერნჰარდტის ფრანკოსთან დაახლოების გადაწყვეტილება დამყარებული

იყო უფრო მის ბიზნეს კონტაქტებზე, ვიდრე ნაცისტური პარტიის ორგანიზაციაში მის პოზიციაზე.¹² ამ დროისთვის ის როგორც ჩანს ეკონომიკური სექციის ხელმძღვანელი იყო. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფრანკოს თავისი სამსახური შესთავაზა, ბერნჰარდტმა საქმის კურსში ჩააყენა თავისი უშუალო უფროსი ადოლფ ლანგენჰაიმი. ა. ლანგენჰაიმმა, მიუხედავად უფრო მაღალი პოზიციისა (ადამიანის, რომელიც ტეტუანში ბრიტანეთის გენერალური კონსულის მიერ აღწერილი იყო, როგორც „ვირტუალურად გერმანიის კონსული ესპანეთის მაროკოში“) (Leitz: 10) ბერნჰარდტს დაუთმო ინიციატივა.

23 ივლისს დილას ბერნჰარდტი და ლანგენჰაიმი შეხვდნენ ფრანკოს. ბერლინში მათ გამგზავრებას აადვილებდა ის ფაქტიც, რომ ფრანკოს განკარგულებაში იყო გერმანული თვითმფრინავი, რომლის კონფისკაციაც კანარის კუნძულებზე მოახდინა გენერალმა ლ. ორგასმა და დაფრინდა ტეტუანში. ეს იყო იუნკერის თვითმფრინავი D-APOK. პილოტ ი. ჰენკეს დაყოლიება ძნელი აღმოჩნდა. ის ეწინააღმდეგებოდა თავისი საფრენი აპარატის გამოყენებას იმ მიზნებისთვის რაც, საბოლოო ჯამში სამსახურს დააკარგვინებდა. აღნიშნული გერმანელების გარდა, მისიაში ჩართული იყო კაპიტანი ფრანსისკო არანს მონასტერიო, რომელიც ფრანკომ თავისი არარსებული საჰაერო ძალების უფროსად დანიშნა.¹³

საინტერესოა, ფრანკომ რატომ არ გააგზავნა ხ. ბეიგბედერი გერმანიაში და რატომ აარჩია უცნობი ესპანელი ოფიცერი ფ. არანსი. ჩვეულებრივ, ამ პრობლემის ასხნისას ხაზს უსვამენ, რომ არაბულად მოლაპარაკე ბეიგბედერს მაროკოში მეტის გაკეთება შეეძლო, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ბეიგბედერის კავშირებს ბერლინთან და მის ადრინდელ ვიზიტს გერმანიაში, ფრანკოს გადაწყვეტილება მაინც უცნაური ჩანს. ჩვენი აზრით, ბეიგბედერის გამოყენება უფრო დიპლომატიური და სამხედრო კუთხით შეიძლებოდა, ეს გზა კი ფრანკომ უკვე გაიარა და ჯერ კიდევ ელოდა პასუხს. ამჟამად ფრანკო პარტიული გზებით აპირებდა დახმარების მოპოვებას და აქ ბეიგბედერი ნაკლებად გამოადგებოდა.

მეორეს მხრივ, ასევე უცნაურია დაბალი დონის ოფიცრის არანსის არჩევა, რომელიც სრულიად უცნობი იყო გერმანიაში (და ბევრისთვის ალბათ ესპანეთშიც), ყოველ შემთხვევაში იმ ეშელონებში, საითკენაც ფრანკოს მზერა იყო მი-

¹² ესპანეთის მაროკოში ნაცისტური პარტიის ორგანიზაციის წევრების რაოდენობა ძალზე მცირე იყო და დაახლოებით 30-35 ადამიანს შეადგენდა (Viñas 2001: 314).

¹³ რობერტ უილი შეცდომით უთითებს, რომ ფრანკოს თხოვნა ოთხმა ემისარმა წაიღო: ორმა ესპანელმა ოფიცერმა და ორმა ნაცისტური პარტიის წევრმა (Whealey 1989: 6).

მართული.

ამ ამბებს სხვანაირად აღწერს ა. ბაბიცი თავის სადისერტაციო ნაშრომში. მისი თქმით, 22-23 ივლისის შეხვედრაზე ფრანკომ გერმანელებს შესთავაზა, ყოფილიყვნენ შუამავლები ამბოხების მეთაურებსა და გერმანიის უმაღლეს ხელმძღვანელობას შორის. ამასთან, გენერალი საუბრობდა კომუნისტურ საფრთხეზე, რომლის წინააღმდეგ იყო მიმართული ნაციონალისტების გამოსვლა და ხაზს უსვამდა სარგებელს გერმანიის სტრატეგიული ინტერესებისთვის. ავტორი აღნიშნავს, რომ ფრანკომ არაფერი უთხრა ბერნჰარდტს იმის შესახებ, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მისი თხოვნა სატრანსპორტო ავიაციის მიწოდების შესახებ უარყო (Бабицкий 2009: 60). ეს მტკიცება არასწორია და, რაც მთავარია, ქრონოლოგიურად არაზუსტი. ვეგენერის ზემოხსენებული დეკრემო, რომელიც ტანჟერიდან გაიგზავნა 22 ივლისს 20:58 სთ-ზე, ბერლინში ჩავიდა 23 ივლისს დილის 1:45 სთ-ზე. 24 ივლისს, როგორც ვიცით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადაუგზავნა იგი თავდაცვის სამინისტროს თავისი უარყოფითი პასუხით. 23 ივლისს 17:30 სთ-ზე, როცა ფრანკოს ემისრებით გერმანულმა თვითმფრინავმა დატოვა ტეტუანი, ფრანკოს შეუძლებელია სცოდნოდა უარის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალური პასუხი მას არ ექნებოდა.

ამრიგად, 23 ივლისს D-APOK გაფრინდა ტეტუანიდან. შესაძლო ინციდენტების და სხვა მოულოდნელობების თავიდან ასაცილებლად, ფრანკომ სპეციალური ბრძანება გამოუშვა, რომელიც უზრუნველყოფდა მემბოხეთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაადგილების თავისუფლებას და გაუთვალისწინებულ პრობლემებს აარიდებდა. დოკუმენტში გაწერილი იყო, თუ რა ტრაექტორიით უნდა ეფრინა თვითმფრინავს (სვეილია-მარსელი-ბერლინი) და კატეგორიულად უკრძალავდა კანარის კუნძულებზე დაბრუნებას. ამრიგად, საგანგებო სიტუაციაში ჰენკეს შეეძლო ემტკიცებინა, რომ „ბანდიტების გენერალმა“ აიძულა, გადაეხვია ჩვეული მარშრუტიდან და გაფრენილიყო გერმანიაში (Viñas 2001: 350).

სვეილიაში არანსი, ლანგენჰაიმი და ბერნჰარდტი ეწვივნენ გენერალ კეიპო დე ლიანოს და მისიის მიზნების შესახებ საქმის კურსში ჩააყენეს. სვეილიაში გაჩერება მნიშვნელოვანი მომენტია და იძლევა იმის ვარაუდის საშუალებას, რომ რაღაც დოზით არსებობდა კოორდინაცია ამბოხებულ გენერლებს – ფრანკოს და მოლას – შორის.¹⁴ ეჭვს არ იწვევს, რომ კეიპო დე ლიანოსთვის, რომელმაც

¹⁴ ემილიო მოლამ, რომელიც რეალურად აჯანყების ორგანიზატორი – „დირექტორი“ იყო და

23 ივლისს გაიგო ფრანკოს მისიის შესახებ, ბევრად უფრო ადვილი იქნებოდა მოლასთან კონტაქტი და აღნიშნული ფაქტის შეტყობინება.

თვითმფრინავი მომდევნო დღეს გაემართა მარსელისკენ, სადაც შეავსო საწვავი. მარსელის აეროპორტში ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. ფრანკოს ემისრები შემთხვევით შეხვდნენ გენერალ მოლას მიერ რომში გასაგზავნი მისიის წევრებს (Viñas 2001: 352). მართალია, ამ ხალხთან გერმანელები კონტაქტში არ შესულან, მაგრამ ეს დამატებითი ფაქტორი იქნებოდა ნაცისტური ხელმძღვანელობის დასარწმუნებლად (იტალიასა და გერმანიას შორის არსებული კონკურენციის გათვალისწინებით).

შტუტგარტში მცირე შეჩერების შემდეგ თვითმფრინავი დაფრინდა გატოვის აეროდრომზე, და არა ტემპელჰოფში, როგორც ამას ზოგიერთ ავტორთან ვხვდებით.¹⁵ აღნიშნული მისიის შესახებ ტეტუანის საკონსულოდან ვეგენერი ატყობინებდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს 24 ივლისს 16:15 სთ-ზე (მიღების დრო 20:05 სთ) მცირე უზუსტობის გარდა, ეს დეპეშა ერთ საგულისხმო ინფორმაციას შეიცავს. საუბარია ორ წერილზე, რომელიც ფრანკომ გამოუგზავნა ჰიტლერს და გიორინგს (DGFP, D, III: 7-8). წერილის არსებობა გიორინგის სახელზე არ დასტურდება არც ბერნჰარდტის მოგონებებით და არც სხვა რაიმე დოკუმენტებით. რაც შეეხება წერილს ჰიტლერის სახელზე, რომლის სტილიც, პ. ბარბიერის თქმით, „საკმაოდ ინფანტილური“ იყო (Barbieri 2015: 68), ის არ არის შემონახული, მაგრამ მისი შინაარსის აღდგენა შესაძლებელი გახდა კვლავ ბერნჰარდტის დახმარებით. წერილი იყო ხელით დაწერილი, სათაურის, წინასიტ-

ფრანსისკო ფრანკომ, ერთი შეხედვით, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გაგზავნეს ემისრები რაიხის სხვადასხვა ინსტანციებში დახმარების სათხოვნელად. მოგვიანებით იგივე გააკეთა გენერალმა კეიპო დე ლიანომაც. ვთვლით, რომ აღნიშნული ნაბიჯები მეტ-ნაკლებად კოორდინირებული და საერთო მიზნის მისაღწევად მიმართული იყო (ყოველ შემთხვევაში, საწყის ეტაპზე). სხვა საკითხია, გენერლებს შორის პირველობისთვის ბრძოლაში რა როლი შეასრულა უცხოურმა მხარდაჭერამ. თუ მოლას თხოვნა ჩაიკარგა რაიხის ბიუროკრატიულ ლაბირინთებში, ფრანკომ შეძლო დახმარების მიღება სხვადასხვა არხებიდან.

¹⁵ ალბათ ამას არ აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა, თუ სად დაფრინდა თვითმფრინავი, მაგრამ მაინც აღვნიშნავთ, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა დოკუმენტებში, დიკოფის შემორანდუმში ნახსენებია ტემპელჰოფის აეროდრომი (DGFP, D, III: 11). აბენდროთი ამბობს, რომ დაფრენა მოხდა ტემპელჰოფში და ამის შესახებ მას ბერნჰარდტმა განუცხადა (Abendroth 1978: 24). ვინაისი ამტიცებს, ჩემთან საუბარში ბერნჰარდტმა განაცხადა, რომ ისინი დაფრინდნენ გატოვის აეროდრომზე, რომელიც სამხედრო მიზნებისთვის გამოიყენებოდა (Viñas 352).

ყვობის გარეშე, ფურცლის ქვედა ნახევარი ცარიელი იყო, როგორც ჩანს, მასზე უნდა დატანილიყო თარგმანი, მაგრამ სიჩქარეში ეს არ გაკეთებულა. წერილს ერთვოდა ერთგვარი მონახაზი, რომელიც აღწერდა ესპანეთში შექმნილ მდგომარეობას. ერთი სიტყვით, წერილის შინაარსი იყო შემდეგი: „თქვენო ბრწყინვალე ბავ, ჩვენს ნაციონალისტურ და სამოქალაქო მოძრაობას აქვს მიზანი იბრძოლოს კორუმპირებული დემოკრატიის წინააღმდეგ ჩვენს ქვეყანაში და რუსეთის ხელმძღვანელობით ორგანიზებული კომუნიზმის დესტრუქციული ძალების წინააღმდეგ. ნება მიბოძეთ, მოგმართოთ თქვენ ამ წერილით, რომელიც ორი გერმანელი სენიორის ხელით გადმოგეცემათ და რომლებიც ჩვენთან ერთად იზიარებენ მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებს. ყველა ნამდვილმა ესპანელმა მტკიცედ გადაწყვიტა, დაიწყოს ეს დიდი ბრძოლა ესპანეთის და ევროპის საკეთილდღეოდ. არსებობს სერიოზული სიძნელები ნახევარკუნძულზე კარგად გამოცდილი სამხედრო ძალების სწრაფი ტრანსპორტირების საქმეში, ესპანეთის საზღვაო ძალების დალატის გამო. ჩემი, როგორც ამ ჯარების უმაღლესი მეთაურის თხოვნაა, გავვიადვილოთ ეს საქმე საჰაერო ტრანსპორტის დახმარებით: მაქსიმალური ტევადობის 10 სატრანსპორტო თვითმფრინავით. ამის გარდა, გთხოვთ ოც ცალ 20 მმ-იან საზენიტო იარაღს, 6 გამანადგურებელ „Heinkel“-ს, ტყვიამფრქვევებს და შაშხანებს თავისი საბრძოლო მასალით, საჰაერო ბომბებს სხვადასხვა ტიპის 500 კგ-მდე (La carta inédita de Franco a Hitler, 23 de julio de 1936).

ჰიტლერთან შესვლა არ იყო ადვილი საქმე. ჩვეულებრივ ფიურერი მხოლოდ მასთან უადრესად დაახლოებულ პირებს იღებდა. მთავრობის ყველა წევრსაც კი არ შეეძლო მასთან აუდიენციის მიღება. როგორც იან კერშოუ უთითებს, სოფლის მეურნეობის მინისტრი ვალტერ დარე, მიუხედავად სექტორში არსებული პრობლემებისა, ორი წელი ამაოდ ცდილობდა ჰიტლერთან შეხვედრას (Kershaw 2009: 324). ასეთ ვითარებაში ფიქრი იმაზე, რომ უცნობი გენერლის გამოგზავნილი მისია ჰიტლერთან იოლად მოახერხებდა შესვლას, მსუბუქად რომ ვთქვათ, უტოპია ჩანდა, თუმცა ეს შესაძლებელი აღმოჩნდა.

როგორ და რა ვითარებაში მოხდა ეს? საკითხი სხვადასხვა ავტორების მიერაა შესწავლილი. ის ემყარება მოქმედი პირების მოგონებებს, რომელიც ხშირად სუსტია მეცნიერული ღირებულების თვალსაზრისით. ზოგიერთი დეტალის რეკონსტრუქცია შესაძლებელია ირიბი მტკიცებულებების გზით.

პრობლემის გასაგებად ძირითადი მომენტი არის ის, რომ გერმანიაში ამ დროს ხდება ტრანზაქცია „სრული ნაციფიკაციისკენ“, ანუ საშინაო პოლიტიკაში

SS-ის გაძლიერებით, ხოლო საგარეო პოლიტიკაში ნაცისტური პარტიის ერთ-ერთ ინსტანციას – AO-სა და შედარებით კონსერვატიულ საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის აშკარა დაპირისპირებით. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, პარტიის პასუხისმგებლობა საგარეო პოლიტიკის სფეროში თანდათან იზრდება და ამას ხელს უწყობდნენ როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი ერნსტ ვილჰელმ ბოლვე, ისე რუდოლფ ჰესი. მათი მთავარი ამოცანა იყო ნაციონალ-სოციალისტური ორგანიზაციის აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში.

პირველი, ვინც ფრანკოს ემისრების ჰიტლერთან შეხვედრის საკითხი დეტალურად შეისწავლა, იყო გერმანელი მეცნიერი კ. აბენდროთი. ბერნჰარდტის მოგონებების მიხედვით, მან აღადგინა ჯაჭვი: **ემისრები**. აბენდროთის ვერსია მოკლედ ასეთია: არანსი დარჩა ბერლინში ესპანურ წრეებთან კონტაქტების დასამყარებლად, ბერნჰარდტი და ლანგენჰაიმი მომდევნო დღეს გაემართნენ AO-ს ოფისში. ერნსტ ბოლვეს თავიდან დიდი ენთუზიაზმი არ გამოუქვამია, რადგან კარგად ესმოდა საქმის სერიოზულობა და ერიდებოდა შეცდომის დაშვებას. ემისრების მოსმენის შემდეგ თავის კაბინეტში გავიდა და დაურეკა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს კ. დიკჰოფს, შემდეგ კი რუდოლფ ჰესს (თავის უშუალო უფროსს). ჰესმა გამოთქვა მზადყოფნა შეხვედროდა ფრანკოს ემისრებს. ბერნჰარდტი და ლანგენჰაიმი გატოვის აეროდრომიდან, ჰესის პირადი თვითმფინავით გადაფრინდნენ თიურინგიაში, სადაც ჰესი არდადაგებს ატარებდა. მათ თან ახლდათ AO-ს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვ. კრანეკი, მისი თანაშემწე რ. ფიშერი და ესპანეთში ნაცისტური პარტიის ორგანიზაციის ყოფილი მეთაური ფრიდჰელმ ბურბახი, თუმცა უშუალოდ შეხვედრას აღნიშნული პირებიდან ესწრებოდა მხოლოდ კრანეკი. ჰესმა მიიღო სტუმრები და დიდი ინტერესით მოუსმინა ბერნჰარდტის სიტყვას, რის შემდეგ ჰესმა რამდენიმე სატელეფონო ზარი განახორციელა და სტუმრებს განუცხადა, რომ ჰიტლერი მზად იყო მათთან შესახვედრად (Abendroth 1978: 25-27). ამ ვერსიით, მოქმედი პირების რიცხვი შეზღუდულია: ბერნჰარდტი, ლანგენჰაიმი და AO-ს სხვა წევრები ქრებიან სრულიად. პიროვნება, რომელმაც დაარწმუნა ბოლვე და ჰესი, არის ბერნჰარდტი.

მოვლენათა ამგვარი რეკონსტრუქცია საფუძვლიან ეჭვს იწვევს და უამრავ კითხვას ბადებს. თუნდაც რატომ არ მოუსმინეს ბოლვემ და ჰესმა ლანგენჰაიმს, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ბერნჰარდტის უშუალო უფროსი იყო? ან AO-ს სხვა წევრები რატომ იყვნენ უმოქმედოდ? რატომ შეხვდა ჰესი მხოლოდ ბერნ-

პარდტს? გასული საუკუნის 70-იან წლებში, როცა ეს ვერსია გავრცელდა, ამ კითხვებზე, ისევე როგორც სხვა უამრავ საკითხზე, პასუხი არ არსებობდა. ბერნჰარდტის მოგონებებით, ის იყო მისიის მამოძრავებელი ძალა და მოქმედებდა მხოლოდ პარტიული ხაზით, თუმცა უცნობია ერთი რამ, როგორც ამტკიცებენ, ბერნჰარდტი თანამშრომლობდა ტეტუანში ისეთ ელიტურ ორგანიზაციასთან, როგორც იყო საგარეო დაზვერვა (SD) (Leitz 1996: 9). თუ ეს მართლა ასეა, ბერლინში ჩასულმა ბერნჰარდტმა რატომ არ დაამყარა კონტაქტი ამ ორგანიზაციასთან? საგარეო დაზვერვასთან კავშირი ხომ სერიოზული კოზირი იქნებოდა მის ხელში? ეს კითხვები უპასუხოდ რჩება და, როგორც ანხელ ვინიასი, ამბობს ამ საკითხზე უკეთესია და, მით უმეტეს, ადვილია გაჩუმება მაშინ, როცა SD-ს არქივები პრაქტიკულად გამქრალია და რამის დამტკიცება დიდ სირთულეს წარმოადგენს (Viñas 2001: 358). დოკუმენტების არარსებობა არ გვაძლევს იმის საფუძველს ვიფიქროთ, რომ კავშირი ფრანკოს ემისრებს და SD-ს შორის არ ყოფილა. თუ ბერნჰარდტი დაკავშირებული იყო მასთან რაღაც ფორმით, წარმოდგენელია ამ კონტაქტებით არ ესარგებლა.

უნდა ითქვას, რომ ბერნჰარდტის მოგონებები ზუსტად არ ასახავს წარსულს და გარკვეული მიზეზების გამო (ავტორის სურვილი წარმოაჩინოს საკუთარი თავი და ა.შ.) შეიცავს სადაო საკითხებს. ახალმა მტკიცებულებებმა, რომელიც 2000-იან წლებში გამოჩნდა, ბერნჰარდტის ეს მტკიცებები თავდაყირა დააყენა. ახალი ვერსიები პირველად გაჩნდა ანხელ ვინიასის მიერ 2001 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ფრანკო, ჰიტლერი და ესპანეთის სამოქალაქო ომის დასაწყისი“. ამ და მოგვიანებით გამოცემულ სხვა გამოკვლევებში ავტორი ამბობს, რომ ბერნჰარდტმა, რომლისგანაც პირადად მოისმინა ისტორია, სხვების მსგავსად, ისიც „ბავშვივით გააცურა“ (Viñas 2013: 109).

ვერსია, რომელზედაც ჩვენ ვსაუბრობთ, ეკუთვნის ზემოთ უკვე ნახსენებ ფრიდჰელმ ბურბახს და მოცემულია ფრანკოს სახელზე 1946 წლის 12 აპრილს გაგზავნილ წერილში. წერილი დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში. ბურბახი ამტკიცებს, რომ წერილი ასახავს ჭეშმარიტებას და ეს არის „ესპანეთის ისტორიის ყველაზე საკვანძო მომენტის უცნობი ფურცელი, რომლის შესახებ ძალიან ცოტამ იცის“ (Viñas 2001: 359). შემდეგ ის საუბრობს ესპანეთთან მის კავშირებზე, რაც პრინციპში ემთხვევა ბურბახის ბიოგრაფიულ მონაცემებს, და ამაზე არ შევჩერდებით.

წერილიდან ვიგებთ, რომ აჯანყების დაწყებიდან რამდენიმე დღეში ბურბახ-

მა მიიღო დეკემბრის თვის მეგობრის ადოლფ ლანგენჰაიმისგან, რომელიც ატყობინებდა AO-ს შტაბში მისი მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ, თუმცა ზუსტად არ იცოდა, თუ რომელ დღეს ჩამოვიდოდა. ლანგენჰაიმს თან ახლდა ორი ადამიანი, რომელთაც ბურბახი არ იცნობდა. საუბარია ერთ გერმანელზე, ანუ ბერნჰარდტზე და ესპანელ ავიატორზე (ბურბახი მას ასახელებს როგორც კარანსა). ლანგენჰაიმმა აუხსნა მას მისიის მიზანი და აჩვენა ფრანკოს წერილი. ბურბახმა უპასუხა, რომ, მიუხედავად დიდი სიმპათიებისა, პარტია ვერ ჩაერეოდა უცხო ქვეყნის საშინაო საქმეებში, თუმცა დაპირდა, რომ ფრანკოს თხოვნის შესასრულებლად ყველაფერს გააკეთებდა. ბურბახი წავიდა თავის უფროსთან – ბოლესთან სასაუბროდ. ამ ეპიზოდს ბურბახი დიალოგის სახით გვთავაზობს: „ბატონო ბოლე, მე ვაპირებ, აგიხსნათ საქმის არაორდინალურობა. ჩემს კაბინეტში სხედან გენერალ ფრანკოს მიერ გამოგზავნილი ადამიანები, რომელთაც ჩამოიტანეს ფრანკოს წერილი ფიურერისადმი. ჩვენი პარტიის რეგლამენტის პირველი მუხლი კრძალავს ყველანაირ ჩარევას სხვა ერის საშინაო საქმეებში, მაგრამ ეს ომი ესპანეთში არის ნაციონალიზმის, კანონის და ცივილიზაციის იდეის ბრძოლის დასაწყისი კომუნიზმის წინააღმდეგ. შემძლია დაგიდასტუროთ, რომ ვიცნობ გენერალ ფრანკოს და მის წარსულს“. ბოლეს რეაქცია გადმოცემულია შემდეგი სახით: „ჩემო ძვირფასო ბურბახ, მათი განზრახვა ძალიან კარგია, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გავერთოთ ჩვენი სიმპათიებით მათ მიმართ, არ შეგვიძლია ჩავერიოთ სხვა ერების საქმეებში. გადაეცით, რომ ძალიან ვწუხვართ, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, ასევე ვწუხვარ, მაგრამ ვერ შევძლებ მათ მიღებას (Viñas 2001: 360-361). შემდეგ, როგორც წერილიდან ვიგებთ, ბურბახმა ბოლეს ურჩია, ეცნობებინა ეს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის. ბოლემ დარეკა ვილჰელმშტრასეში. მინისტრი ფონ ნოირატი არ იმყოფებოდა ბერლინში და ბურბახმა შესთავაზა, დალაპარაკებოდა ვაიცზეკერს (ბურბახი ვაიცზეკერს მინისტრის მოადგილედ მოიხსენიებს, რაც არასწორია, რადგანაც მან ეს თანამდებობა 1939 წლის აპრილში დაიკავა. 1936 წელს ამ ფუნქციას ასრულებდა დიკჰოფი – ზ.გ.). რამდენადაც ეს უკანასკნელიც არ აღმოჩნდა ადგილზე, AO-ს ხელმძღვანელმა დარეკა დიკჰოფთან, რომელთანაც მოკლე საუბარი შედგა. დიკჰოფის რჩევა ასეთი იყო: „გაფიცებთ, ბოლე, ნუ ჩაერევით ამ საქმეში“ (Viñas 2001: 361). სამინისტროს რეაქცია ბოლესთვის გასაკვირი არ იყო, რამდენადაც სამინისტროს არ სურდა უსიამოვნებებში გახვევა, ბოლეს არ აპირებდა ჩამოსულებთან შეხვედრას. ბურბახი ისევ დაჟინებით მოითხოვდა: „ბატონო ბოლე, პირველი შემთხვევა

არ არის, რომ ჩვენი აზრები სამინისტროს აზრებს არ ემთხვევა, გთხოვთ, შეატყობინოთ ალფრედ ჰესს, რათა მან გადასცეს თავს ძმას რუდოლფს, რომ გვსურს ჰიტლერთან შეხვედრა“ (Viñas 2001: 361). როგორც ვხედავთ, აქ ჩნდება ახალი მოქმედი პირი, რომლის ჩარევის შესახებ აქამდე არ იყო ცნობილი. ეს არის ალფრედ ჰესი, რომელმაც სწრაფად გაიაზრა საქმის მნიშვნელობა.

ბურბახი ბოლეს სთხოვდა, ნება მიეცა თავის მეგობართან, ბარონ გაბლენცთან (ლუფტჰანზას დირექტორი) დაერეკა, რომელიც მისცემდა თვითმფრინავს, თუ ფიურერი გადაწყვეტდა ემისრების მიღებას (Viñas 2001: 364). ბოლეს თანხმობის შემდეგ ლუფტჰანზას დირექტორი შეჰპირდა მათ მოთხოვნილი თვითმფრინავის ნახევარ საათში გამზადებას. ამ დეტალის წერილში მოყვანა და გაბლენცის ხსენება ბურბახს ალბათ იმისთვის დასჭირდა, რომ მეტი სანდოობა შეეძინა თხრობისთვის (სხვათა შორის, წერილში ასეთი პასაჟები მრავლად გვხვდება). სანამ ალფრედ ჰესი თავის ძმასთან აგვარებდა ამბებს, ისევ ბურბახის დაუნიებული თხოვნით, ბოლეს შეხვდა ემისრებს. ცოტა ხანში მოვიდა ცნობა, რომ ფიურერი მზად იყო ფრანკოს ემისრების მისაღებად ბაიროიტში.

ბურბახის ვერსიაში მოქმედი პირების რაოდენობა იზრდება და შემდეგ სახეს იღებს: ლანგენჰაიმი ჰესი ჰესი. ჩამოთვლილ პირებში არ არის ბერნჰარდტი.

სანამ ბურბახის ეს წერილი გამომჩნდებოდა, ბოლეს როლი წინ იყო წამოწეული. მ. ალპერტი ხაზს უსვამდა ბოლეს ამბიციურ სურვილს, აემაღლებინა AO-ს მნიშვნელობა. თუ ის შეძლებდა და დაარწმუნებდა ჰიტლერს ფრანკოს დახმარებაში, შედეგად ნაცისტური პარტია დაამარცხებდა დაჯანგებულ და „გაბურჟუბულ“ ვილჰელმშტრასეს (Alpert 1994: 29). ასევე ბოლეს მიეწერება რუდოლფ ჰესთან დაკავშირება.

ამ ორ ვერსიას შორის სხვაობა აშკარაა. გარდა მოქმედი პირების რაოდენობისა არის ეპიზოდები, რომლებიც ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის. ბერნჰარდტის ვერსიაში ფრანკოს ემისრები მიდიან რუდოლფ ჰესთან (ერთადერთ ადამიანთან რომელიც შენობით მიმართავდა ფიურერს) და ამ მიზნით ჰესმა პირადი თვითმფრინავი გამოუყო მათ თიურინგიაში ჩასაყვანად. (Proctor 1983: 18). ბურბახის ვერსიაში, ალფრედ ჰესის თავის ძმასთან საუბრის შემდეგ, სტუმრები სხვა თვითმფრინავით პირდაპირ ბაიროიტში ჩაფრინდნენ. თუმცა ამ კონკრეტულ ფაქტს ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს.

თხრობის ამ ნაწილში (ჰიტლერთან შეხვედრამდე) მიგვაჩნია, რომ ბერნჰარდტის ვერსია მოიკოჭლებს და არც იმის გარანტია არსებობს, რომ ის არ ამახ-

ინჯებს ჰიტლერთან შეხვედრის დეტალებს, რომელსაც ბურბახი არ ესწრებოდა და, შესაბამისად, ვერ დავუპირისპირებთ სხვა მტკიცებულებებს. ამ შეხვედრას მხოლოდ კრანეკი ესწრებოდა, რომელსაც, ბერნჰარდტის თქმით, საერთოდ არაფერი უთქვამს. ამრიგად, იმის აღსადგენად, თუ რა ხდებოდა ფიურერთან შეხვედრის დროს, გვაქვს ერთადერთი და ისიც არასანდო წყარო – ბერნჰარდტის მოგონებები. ბაიროიტის ეპიზოდში ბურბახი მეორეხარისხოვან პოზიციაზე გადადის. იგივე ითქმის ლანგენჰაიმზე, ბერნჰარდტი კი, პირიქით – გახდა უმთავრესი პირი.

1936 წლის ივლისში ერნსტ ბოლემ და ალფრედ ჰესმა, ხოლო შემდეგ რუდოლფ ჰესმა ვერ ნახეს მოტივი ბრმად გაჰყოლოდნენ ვილჰელმშტრასეს მითითებებს, მაგრამ იმ დროს საგარეო პოლიტიკაში სერიოზულ გადაწყვეტილებებს იღებდა პირადად ჰიტლერი (ხშირად თავისი მრჩეველების საწინააღმდეგოს). AO-ს მიეცა შანსი, გადაწყვეტილების მიღების სტიმულირებით, მნიშვნელოვანი როლი მოეპოვებინა, რისკენაც ასე მიისწრაფოდა.

ბაიროიტში ჩასული ემისრები ჰიტლერის ოპერიდან დაბრუნებას ელოდნენ. ჰიტლერის პირად თანაშემწეს ვილჰელმ ბრუკნერს დეველა მათი მიღება. სადღაც 22:00-დან 22:30 სთ-მდე ჰიტლერი დაბრუნდა ზიგფრიდ ვაგნერის სახლში, სადაც ის ცხოვრობდა. გათვალისწინებული იყო ვახშამი, მაგრამ ჰიტლერმა ბრძანა დაუყოვნებლივ ენახათ მაროკოდან ჩამოსული გერმანელები და მათთან ერთად კრანეკი, რომელმაც წარუდგინა ჩამოსულები.¹⁶

თათბირის მონაწილეთა მოქმედებების, საუბრების, აზრების შესახებ მხოლოდ სპეკულირებაა შესაძლებელი. ბერნჰარდტი თავის სტილში აღწერდა ამას, მას სურდა გამორჩეული ყოფილიყო, არ მაღავდა, რომ თუ სულ რაღაც 24 საათში მან და ლანგენჰაიმმა შეძლეს ჰიტლერთან მოხვედრა, გადაახტნენ რა ბიუროკრატიულ ბარიერებს, ეს ექსკლუზიურად მისი პარტიული კუთვნილების, კომუნიკაციური არსების და იმ დახმარების დამსახურებაა, რომელიც ბოლემ და რუდოლფ ჰესმა აღმოუჩინეს. მის მოგონებებში ბურბახი (ისევე როგორც ბურბახის მოგონებებში, ბერნჰარდტი) არანაირ როლს არ თამაშობს.

ყველა შემთხვევაში, შესაძლოა, ჰიტლერი დაინტერესდა თავისი პარტიის აქტიურობით. აქვე კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ ამის არანაირი დამამტკიცებელი საბუთი არ გაგვაჩნია, მაგრამ თუ SD ჩაერია, ჰიტლერი უდავოდ კეთილ-

¹⁶ ლაიტცი ამტკიცებს, რომ კრანეკი იგნორირებული იყო ჰიტლერის მხრიდან (Leitz: 12).

განწყობილი იქნებოდა ბერნჰარდტის მიმართ.

ფრანკოს წერილი, როგორც ითქვა, ესპანურად იყო დაწერილი და მონახაზი, რომელიც აღწერდა ესპანეთში შექმნილ მდგომარეობას, ისე შედგენილი იყო, როგორც სურდა ფრანკოს წარმოეჩინა.

დაუჯერებლად გვეჩვენება, რომ ლანგენჰაიმს ამ შეხვედრაზე არაფერი უთქვამს. ჰიტლერმა მოითხოვა ბოლო ინფორმაცია რომელსაც ისინი ფლობდნენ ესპანეთის მოვლენების შესახებ. საკმაოდ დამაჯერებლად უღერს, რომ ჰესის ზარის შემდეგ გერმანულ სამსახურებს ექნებოდათ საკმარისი დრო ესპანეთის მდგომარეობის შესახებ ერთგვარი დოსიეს მოსამზადებლად. ჰიტლერმა უბრალოდ გადაამოწმა ინფორმაცია რომელიც იმ საღამოს მისმა თანაშემწეებმა მოუშადას (Whealey: 28; Alpert 1994: 30).

ბერნჰარდტი ამბობს, რომ მან დაუყოვნებლივ გადასცა ფიურერს ინფორმაცია და თვითონ ჰიტლერმაც დააზუსტა, რომ ფრანკოს წერილში აღწერილი სიტუაცია მეტისმეტად ოპტიმისტური ჩანდა. ახალი ცნობებით, აჯანყებულთა პოზიციები უკანასკნელ დღეებში არც მთლად სახარბიელო იყო. (Viñas 2001: 369). ჰიტლერს ნებისმიერ შემთხვევაში ექნებოდა ინფორმაცია სხვადასხვა არხებიდან. აბენდროთი ამტკიცებს, რომ ჰიტლერმა ცნობა ისე მიიღო, რომ შეშფოთების ნიშანწყალი არ გამოუხატავს (Abendroth 1978: 31).

ბერნჰარდტის განცხადების მიხედვით, ჰიტლერმა დაიწყო ყველაფრის განხილვა, რაც ესპანეთზე იცოდა. მან გამოავლინა უკანასკნელი წლების მოვლენების დეტალური ცოდნა. გასაკვირია, თუ საიდან მოვიდა ესპანეთის შესახებ, რომელიც ფიურერის დიდ ყურადღებას არ იმსახურებოდა, ისეთი ცოდნა, რომელმაც ბერნჰარდტი გააკვირვა. თუ ეს მართლა ასე იყო, ადვილია ამოვიცნოთ ჰიტლერის, როგორც ა. ვინიასი ამბობს, „ჰიპერმნეზიური“ ქცევის ტიპური სტილი (Viñas 2001: 371).¹⁷ ბაიროიტში ფრანკოს ემისრები ჩუმად აკვირდებოდნენ გერმანელი დიქტატორის ეგზალტირებულ ქცევას, რომელიც დაუსრულებლად სცემდა ბოლთას და გართული იყო მონოლოგებით ესპანეთის სამხედრო შესაძლებლობების, ესპანელთა პატრიოტიზმის, პირველ მსოფლიო ომში ნეიტრალიტეტის, გერმანიას და ესპანეთს შორის უკონფლიქტო ურთიერთობების და იმ უსიამოვ-

¹⁷ ჰიტლერის ქცევაზე, მის მიერ გადაწყვეტილების მიღების სპეციფიკაზე, საერთოდ დიქტატორის ფსიქოლოგიაზე ბევრია დაწერილი. Shore Z. What Hitler Knew. Oxford University Press, 2003; Langer W. The mind of Adolf Hitler. The secret wartime report. United State office of Strategic Services, 1972; Rees L. Hitlers Charisma: Leading Millions into the Abyss. Ebury press N.Y, 2012.

ნებების შესახებ, რომელიც ამ ქვეყანას გაწითლების შემთხვევაში ელოდა (Abendroth 1978: 31-32).

დათქმების და უნდობლობის პოზიციიდან ფიურერი მალე გადავიდა ცნობისმოყვარეობაზე. ის დაინტერესდა ჯარების მომზადებისა თუ რესურსების შესახებ და როცა გაიგო, რომ ფრანკო ფლობდა მხოლოდ 12 მლნ პესეტას და მცირე ოდენობით ფრანგულ ვალუტას, აღშფოთება ვერ დამალა. „ასე ომებს არ იწყებენ“, – წამოიყვირა მან (Престон 1999: 129).

ჩვენი აზრით, ჰიტლერთან აუდიენციისას აუცილებლად იქნებოდა აღნიშნული მარსელში სხვა დელეგაციასთან შეხვედრის ფაქტი და, ამრიგად, დარწმუნებული ვართ, რომ 25 ივლისისთვის ჰიტლერმა იცოდა, რომ ესპანელი ამბოხებულები დახმარებისთვის მუსოლინის მიმართავენ.

როგორც ვნახეთ, სწორედ აღნიშნული შეხვედრის დროს გადაწყვიტა ჰიტლერმა ფრანკოსთვის დახმარების გაწევა, თუმცა სავსებით შესაძლებელია, მას ეს გადაწყვეტილება შეხვედრამდეც ჰქონოდა მიღებული. ცოტა ხანში ჰიტლერმა თავისთან გამოიძახა თავდაცვის მინისტრი ვერნერ ფონ ბლომბერგი და ავიაციის მინისტრი ჰერმან გიორინგი. ამ შეკრებას არ ესწრებოდა პროპაგანდის მინისტრი, რომელიც, ვინიასის შენიშვნით, ალბათ სურვილით იწვოდა, გაერკვია თუ რა ხდებოდა (Viñas 2001: 372). ჰიტლერმა მათ შეატყობინა თავისი განზრახვის შესახებ, რომ აპირებდა ამბოხებულების დახმარებას. ვ. ბლომბერგმა თავიდან გამოთქვა შიში, რომ ესპანეთის პრობლემებში ჩარევა ნიშნავდა სხვა სერიოზულ გართულებებს ვერმახტისთვის, თუმცა მალე დაეთანხმა ჰიტლერს. გიორინგი საერთაშორისო სკანდალის საფრთხეზე საუბრობდა, აპელირებდა ტერიტორიულ სიშორეზე და ა.შ. ბერნჰარდტს თუ დაეუფერებო, აქ მას ისევ მოუწია აჯანყების მიზნებზე და ბუნდოვან მომავალზე საუბარი, თუ გერმანია ამბოხებულებს არ დაეხმარებოდა. ასევე აქცენტი გაკეთდა საფრთხეებზე, რომელიც დაატყდებოდა გერმანიის მოქალაქეებს ესპანეთში. ფიურერმა მიუთითა, რომ თუ ფრთხილად იმოქმედებდნენ, საერთაშორისო სკანდალსაც აიცილებდნენ. ის, რაც ფრანკოს სჭირდებოდა, იყო არა ჯარისკაცები, არამედ იარაღი და თვითმფრინავები თავისი ძალების გადასასროლად ნახევარკუნძულზე. როცა გიორინგი მიხვდა, რომ ჰიტლერს გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა, შეცვალა თავისი თავდაპირველი პოზიცია და დიდი ენთუზიაზმით მოეკიდა ამ იდეას (Alpert 1994: 30; Viñas 2001: 373). ასეთია რეალური სურათი და ზოგიერთი ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ თათბირზე გადამწყვეტი გიორინგის აზრი იყო (Новиков 2000: 18), სი-

ნამდვილეს არ შეესაბამება.

თათბირის მსვლელობისას (მის მეორე ნაწილში) ჩნდება საზღვაო ძალების წარმომადგენელი. ახალი წევრი თათბირს შეემატა იმ დროს, როცა დისკუსია მიმდინარეობდა საზღვაო ფლოტთან დაკავშირებულ საკითხებზე. დიდი ხანია მიმდინარეობს დისკუსია იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო ეს პიროვნება. შესაძლო კანდიდატებს შორის ყველაზე ხშირად სახელდება ადმირალი კანარისი (Abshagen 1956: 112-113; Horton 1966: 30; Waller 1996: 17; Волков, Славин 1996: 235). აბენდროთი და ლაიტცი აცხადებენ, რომ ეს იყო კაპიტანი კარლ კუპეტი (Abendroth 1978: 33; Leitz: 12). ვინიასი არ იზიარებს მათ ამ მოსაზრებას (Viñas 2001: 373). კიდევ ერთი პიროვნება ვინც სახელდება და უფრო სავარაუდოა, ესაა ჰამბურგის საზღვაო ბაზის მეთაური ადმირალი ლინდაუ (Whealey 1989: 97; Viñas 2001: 373), მაგრამ ის უფრო გვიან ჩნდება, კერძოდ, თათბირის მეორე დღეს.

თათბირი ჯამში სამ საათს გაგრძელდა. აქ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ გერმანიაში მოვლენები თავბრუდამხვევი სიჩქარით განვითარდა. ჰამბურგის საზღვაო ფლოტის მეთაური სატელეფონო ზარით გააღვიძეს, რომ ზუსტად 7 საათზე ფულსბიუტელის აეროპორტში მას ელოდებოდა ჰიტლერის პირადი თვითმფინავი. კონტრადმირალი ერის ლინდაუ 9 საათზე უკვე ნიურნბერგში იყო. თავდაცვის მინისტრმა ფონ ბლომბერგმა პირადად შეატყობინა, რომ ჰიტლერს სურდა მასთან საუბარი ესპანეთში საბრძოლო მასალების გასაგზავნად გემების მომზადების შესახებ. 25-26 ივლისის დამეს ბაიროიტში დაუყოვნებლივ იქნა გამოძახებული გენერალი ე. მილხი, იმ დროს გიორინგის მარჯვენა ხელი. ე. მილხი ბერლინიდან გავიდა 8:20 სთ-ზე და ბაიროიტში 10:40 სთ-ზე ჩავიდა (Viñas 2001: 375).

მილხს და ლინდაუს ჰიტლერის პირადად აღიუტანტმა გადასცა ფიურერის სურვილი, რომ ტექნიკური პრობლემები მათ გიორინგთან განეხილათ. ეს უკანასკნელი და მილხი დიდი მზადების მთავარი მოქმედი პირები იყვნენ. 2 საათში მათ შეუერთდა ლინდაუ. კონტრადმირალი გაკვირვებული დარჩა გიორინგის მიერ საქმის ცოდნით და დასახულ პრობლემებზე მწყობრი საუბრით (ლინდაუს გამოუქვეყნებელი ჩანაწერები 1972 წლის 5 მაისს მისმა ცოლმა და ქალიშვილმა გადასცეს ანხელ ვინიასს. Viñas 2001: 375).

ყველაფერი გარკვეული იყო და ჰიტლერი არ ხედავდა აუცილებლობას, შეხვედროდა ლინდაუს. ბერლინში ლინდაუ და მილხი დაშორდნენ ერთმანეთს. იმავე დღეს მილხი 17:30-ზე თავმჯდომარეობდა ექსპერტთა თათბირს. გენერალ

ვილბერგს დაევალა ოპერატიული ჯგუფის შექმნა, რომელიც დაკავდებოდა ესპანელი მემბროსებისთვის დახმარების ორგანიზების საქმით. ამ თათბირზე საუბრობს ბურბახი თავის წერილში და ამტკიცებს, რომ მას ესწრებოდა. ძნელია შეფასება, თუ რა დამატებით დეტალებზე იყო საუბარი ექსპერტთა ამ თათბირზე, ასევე ძნელია დავადასტუროთ ბურბახის მტკიცება, რომ ვერმახტის გენერალური შტაბის მომავალმა უფროსმა გენერალმა კაიტელმა მას უთხრა თათბირის დასრულების შემდეგ: „ესპანელებს ბედი ჰქონიათ, რომ თქვენ შეგხვდნენ... ვერცერთი სამხედრო სარდალი ვერ გაბედავდა იმას, რაც თქვენ გააკეთეთ“ (Viñas 2001: 377). შესაძლებელია ასეც იყო.

იღუმალება, რომლითაც ბაიროიტის თათბირი პირველივე მომენტიდან იყო მოცული, საგულდაგულოდ იქნა დაცული. იმ პირებმაც კი, რომლებიც თავიდანვე მონაწილეობდნენ დახმარების ორგანიზების საქმეში, ზუსტად არ იცოდნენ, რა მოხდა სინამდვილეში. მათ არ შეეძლოთ ინფორმაციის ზუსტად გადმოცემა. პირველი, ვინც თავისი „უცოდინრობა“ გამოავლინა, იყო გენერალი მილხი. 1971 წლის სექტემბერში მილხი აბენდროთს წერდა, რომ ფრანკოს ემისრებმა ნახეს ბოლე, შემდეგ ბერნჰარდტმა და არანსმა ნახეს თვითონ მილხი და მან ისინი გაგზავნა ბლომბერგთან. თავდაცვის მინისტრი მომდევნო დღეს უყვებოდა, რომ ადმირალი კანარისიც შუამდგომლობდა ემისრებს, მაგრამ ბლომბერგს განზრახული ჰქონდა, არ დათანხმებოდა ფრანკოს სურვილებს. (Abendroth 1973: 28; 333). 1971 წელს შესაძლოა მილხს კარგად არ ახსოვდა ძველი ამბები, მაგრამ არის ასპექტები რომელსაც ხაზი უნდა გაეუსვათ. იყო თუ არა კონტაქტები სხვა ინსტანციებში? რა როლი ჰქონდა კანარისს? მილხი რიგითი აქტორი კი არ იყო, არამედ გიორინგის ნდობით აღჭურვილი პირი და კანარისთანაც და ესპანეთთანაც ჰქონდა კონტაქტები. ყველა შემთხვევაში, მილხის მონათხრობი მაინც იძლევა დათქმის საშუალებას ბაიროიტის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

მეორე ასევე სერიოზული პერსონაჟი, გერმანული ძალების პირველი წარმომადგენელი ფრანკოს შტაბში ვალტერ ვარლიმონტი 1945 წლის 26 ივლისს დაკითხვაზე აცხადებდა, რომ ჰიტლერმა გადაწყვეტილება მიიღო ოპერის ავანლოჟაში გიორინგთან ერთად (NA Conversation with General Warlimont).

ახლა უკვე, როცა მეტ-ნაკლები სიზუსტით ვიცით, რა მოხდა ბაიროიტის თათბირზე, ადვილი მისახვედრია, რა არის სწორი და რა არასწორი.

გიორინგის როლთან დაკავშირებით სხვადასხვა ავტორებთან არის მისი როლის გაზვიადების მცდელობა. ი. კერშოუს სიტყვებით, 1934-38 წლებში გიორ-

ინგის როლი საგარეო პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესი იყო, ნაწილობრივ სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებთან და იტალიასთან ურთიერთობებში და ესპანეთის სამოქალაქო ომში გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით (Kershaw 2009: 145), გადაწყვეტილების მიღების პროცესში გიორინგის როლის შესახებ მტკიცებულებას წარმოადგენს თავად გიორინგის განცხადება, რომელიც მან ნიურნბერგის პროცესის დროს გააკეთა, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ფრანკოს დახმარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებით ჰიტლერმა პირველად გადადგა ნაბიჯი, რომლითაც აშკარად გადაახტა პოლიტიკურ ხაზს, რომელსაც აქამდე მიჰყვებოდა გერმანული დიპლომატია. შესაძლოა, სწორედ ეს ნახტომი ნიშნავდა ახალი ეტაპის დაწყებას რაიხის საგარეო პოლიტიკაში. ნებისმიერ შემთხვევაში ჰიტლერის გადაწყვეტილებამ არა მხოლოდ დაარღვია აქამდე არსებული წესი, არამედ კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა საგარეო და თავდაცვის სამინისტროს აზრებს.

გადაწყვეტილება ისეთ ვითარებაში იქნა მიღებული, რომელიც არ შეიძლება საწყენი არ ყოფილიყო ფონ ნოირატი და მისი სამინისტროსთვის. ა. ვინიასს უჭირს იმის დადგენა, იყო თუ არა ბაიროიტში ნოირატი 25-26 ივლისის ღამეს. ზოგიერთი ავტორი დარწმუნებულია, რომ ის იყო იქ ჯერ კიდევ 21 ივლისს და ჰქონდა სამი ხანგრძლივი შეხვედრა ჰიტლერთან, რომელთანაც შეეძლო განეხილა მნიშვნელოვანი საკითხები და მათ შორის ესპანეთის საკითხიც (Viñas 2001: 381). რეალურად იყო თუ არა ფონ ნოირატი ბაიროიტში იმ ღამეს და გაიარა თუ არა ჰიტლერმა მასთან კონსულტაცია, არც ისე მნიშვნელოვანია. აქ უმთავრესია ის, რომ ნოირატის იგნორირება გაგრძელდა მომდევნო დღესაც, 26 ივლისს, როდესაც ნოირატი ჩავიდა მიუნხენთან ახლოს მდებარე პატარა სოფელ რიემში (ბაიროიტიდან არც ისე შორს), დაესწრო იქ ცხენების რბოლას და მასთან ერთად იყო თათბირის უშუალო მონაწილე თავდაცვის მინისტრი ბლომბერგიც. სავარაუდოდ, ამ უკანასკნელს არაფერი უთქვამს თათბირის შედეგების შესახებ, რადგან მომდევნო დღეს ბერლინში დაბრუნებულმა ნოირატმა ხელი მოაწერა და ვებზე კომენტარები დაურთო 25 ივლისის დიპლომატის მემორანდუმს. აღნიშნულ მემორანდუმში პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი საუბრობდა (შეცდომით) ორი ესპანელი ოფიცრის ბერლინში ჩამოსვლის შესახებ, რომლებსაც ფრანკოსგან დავალებული ჰქონდათ გერმანიის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების წარმოება თვითმფრინავების და საბრძოლო მასალის შექმნის თაობაზე. მისი აზრით, აუცილებელი იყო ამ ეტაპზე გერმანიის მთავრობას და პარტი-

ის ხელმძღვანელობას თავი შეეკავებინა მათთან ურთიერთობისგან. იარაღის გადაცემა ამბოხებულებისთვის მალე გახდებოდა ცნობილი და სერიოზული შედეგები ექნებოდა ესპანეთში მცხოვრები გერმანიის მოქალაქეებისთვის, გერმანული სავაჭრო და სამხედრო გემებისთვის და ა.შ (DGFP, D, III: 11). ამდენად, როგორც ჩანს, 25 ივლისის გადაწყვეტილების შესახებ ფონ ნოირატმა არაფერი იცოდა და თუ ბლომბერგმა 26 ივლისს ამ თემაზე არ ისაუბრა თავის კოლეგასთან (ამის დრო მას ნამდვილად ჰქონდა), ეს მხოლოდ ჰიტლერის ინსტრუქციით შეიძლებოდა მომხდარიყო.

ვაიცზეკერი მოგვიანებით აღიარებდა, რომ „საგარეო საქმეთა სამინისტრო გაკვირვებული იყო ცნობით, რომ ესპანეთის სამოქალაქო ომში გერმანია „ეთერებს“ ეხმარებოდა სამხედრო კუთხით. გავიგეთ, რომ AO-მ ჰიტლერს ინფორმაცია ესპანეთის მოვლენების შესახებ ისეთი სახით მიაწოდა, რომ დაუყოვნებლივ გადაწყდა ჩვენი ჩარევა“ (Viñas 2001: 382).

თათბირს ასევე არ ესწრებოდა იოახიმ ფონ რიბენტროპი, რომელიც იყო ჰიტლერის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკის საკითხებში და იმყოფებოდა ბაიროიტში 19 ივლისიდან. თავის მემუარებში, რომელიც რიბენტროპმა ნიურნბერგში, საპრობილემში ყოფნის დროს დაწერა, ის ცდილობდა გაემართლებიან თათბირზე არმიწვევა 25 ივლისის დამით. „1936 წ. ზაფხულის დასაწყისში ვიმყოფებოდი სამკურნალოდ ბად ვილდუნგენში, სადაც ფიურერისგან მივიღე მოწვევა ვაგნერის ფესტივალზე ბაიროიტში. მანდ არასდროს ვყოფილვარ და ძალიან გამიხარდა, რომ მომეცა საშუალება ამ ქალაქში გამეტარებინა რამდენიმე მშვენიერი დღე. სამწუხაროდ, ბაიროიტში ჩასვლა არ შემოფარგლულა მხოლოდ ჩემთვის ასე საყვარელი რიხარდ ვაგნერის მუსიკით მიღებული სიამოვნებით. ის ის იყო ჩავედი ბაიროიტში, მივიღე ცნობა ესპანეთში სერიოზული გართულებების შესახებ და გავიგე ჰიტლერის განზრახვის შესახებ მხარი დაეჭირა გენერალი ფრანკოსთვის, რომელიც აჯანყდა მადრიდის იმდროინდელი მემარცხენე მთავრობის წინააღმდეგ. მომდევნო დღეს მე ვეწვიე ფიურერს... მაშინვე დაიწყო ესპანეთზე საუბარი. მითხრა, რომ ფრანკომ ითხოვა თვითმფრინავები, რათა საჰაერო გზით გადაესროლა თავისი ჯარები აფრიკიდან ესპანეთში და დაეწყო საომარი მოქმედებები კომუნისტების წინააღმდეგ (Риббентроп 1996: 73). მართალია, როგორც ვხედავთ, თათბირში რიბენტროპი არ მონაწილეობდა, მაგრამ, ნოირატისგან განსხვავებით, მაინც მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა, მასთან აღნიშნულ თემაზე საუბარი მაინც ჰქონდათ.

ამრიგად, ბაიროტიცის თათბირს და აქ მიღებულ გადაწყვეტილებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. პარტიის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების გარკვეულ ეპიზოდში ჰესის მიერ არა მხოლოდ წაქეზებული იქნა, არამედ მიღებული და მოწონებული ჰიტლერის მიერ. ამით პარტია, AO-ს სახით, როგორც ადრე აღვნიშნეთ, შემოვიდა საგარეო პოლიტიკაში. ნოირატი სრულად იქნა იგნორირებული.

ბაიროტიში ჰიტლერის გადაწყვეტილებით დაიწყო გერმანიის სამხედრო ჩარევა ესპანეთის სამოქალაქო ომში. 27 ივლისს ბერნჰარდტმა გააგზავნა დეპეშა ბერლინიდან ტეტუანში, სადაც საუბარი იყო მისიის წარმატების შესახებ. ფრანკოს შეეძლო მხნედ ეგრძნო თავი. ის ოპტიმისტურად იყო განწყობილი, თან ნათხოვი ათის ნაცვლად ოც თვითმფრინავს ელოდა. ფრანკოს ოპტიმიზმი და გამარჯვებაზე მისი იმედები კარგად გამოჩნდა ინტერვიუში, რომელიც მან 27 ივლისს ტეტუანში ამერიკელ ჟურნალისტ ჯ. ალენს მისცა. ალენმა ჰკითხა ფრანკოს, თუ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა სისხლისღვრა მაშინ როცა პუტჩი ჩაგარდა ფრანკომ უპასუხა, რომ ის არ წავიდოდა არანაირ კომპრომისზე ან ზავზე, გააგრძელებდა მადრიდზე შეტევის მზადებას და აიღებდა დედაქალაქს. ის გადაარჩინდა ესპანეთს მარქსიზმისგან ნებისმიერ ფასად. ალენის კითხვაზე ნიშნავდა თუ არა ეს, რომ მოუწევდა ნახევარი ესპანეთის განადგურება, ფრანკომ ღიმილით უპასუხა: „ვიმეორებ, ნებისმიერ ფასად“ (Престон 1999: 125).

ჰიტლერის სამხედრო ჩარევას ესპანეთში მკვლევართა უმრავლესობა პირობითად სამ ეტაპად ჰყოფს: 1) 1936 წლის აგვისტო – საჰაერო ოპერაცია ჯარების მაროკოდან ესპანეთში გადასასროლად (ოპერაცია „მაგიური ცეცხლი“); 2) 1936 წლის 19 სექტემბერი – აგრესიის გაფართოება ესპანეთში ოპერაცია „ოტოს“ ჩარჩოებში; 3) 1936 წლის ოქტომბერ-ნოემბერი – ლეგიონ „კონდორის“ გაგზავნა ესპანეთში. გერმანია ომის ბოლომდე ესმარებოდა ფრანკოს.

პირველი იუნკერსები მაროკოში უკვე 28 ივლისს გაიგზავნა. როგორც მოგვიანებით ჰიტლერი აღნიშნავდა, „ფრანკომ Junkers-52-ს ძეგლი უნდა დაუდგას, ამ თვითმფრინავს უნდა უმაღლოდეს „ესპანური რევოლუცია“ თავის გამარჯვებას“ (Trevor-Roper 2000: 311).

2.2 მუსოლინის მიერ გადაწყვეტილების მიღება

სამოქალაქო ომის პირველ დღეებში ესპანეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ იტალიაში ჩასული ინფორმაცია მწირი და არასაიმედო იყო. იტალიის

ელჩი ორაციო პედრაცი და საელჩოს სხვა ოფიციალური პირები მადრიდიდან შორს სან სებასტიანში ისვენებდნენ. ამდენად, გავრცელებული ხმების გადამოწმების საშუალება ნაკლებად ჰქონდათ. 18 ივლისს პედრაციმ რომში გააგზავნა მოკლე დეპეშა, სადაც იტყობინებოდა მაროკოში აჯანყების დაწყების, ასევე პამპლონასა და მადრიდში უწყესრიგობების შესახებ გავრცელებული ხმების თაობაზე. იგი აღნიშნავდა, რომ სატელეფონო კომუნიკაციის გაწყვეტა ართულებდა ინფორმაციის დაზუსტებას (DDI, VIII, 4: 634). იმავე დღეს, ცოტა მოგვიანებით, პედრაციმ დიპლომატიური კურიერის მეშვეობით გააგზავნა მეორე, ვრცელი წერილი. მასში ელჩი საუბრობდა ამბოხების ხასიათზე, რომ ეს იყო სამხედრო და სამოქალაქო ხასიათის მოძრაობა ორგანიზებული გენერალ სანხურხოს მიერ, რომ მასში გაერთიანებული იყვნენ მონარქისტული ჯგუფები, ტრადიციონალისტები და ზომიერი რესპუბლიკელი მიგელ მაურაც კი... „რევოლუციური გეგმა შემდეგი სახისაა, – წერდა იგი, – სამხედრო გემების მეშვეობით, უცხოური ლეგიონის გადაყვანა მალაგაში, რაშიც მათ ორი დღე დასჭირდებათ, სხვა ამბოხებულებთან შეერთება, მადრიდზე შეტევის განხორციელება. პარალელურად ჩრდილოეთიდან დედაქალაქს შეუტევეს ბურგოსში, ვალიადოლიდსა და პამპლონაში ამბოხებულთა ჯგუფი გენერალ მოლას მეთაურობით, რომელიც არის სანხურხოს მოადგილე. თუ მთავრობა უკან დაიხევს, რაც სასურველია, მოძრაობა შემოიფარგლება ზემოთ აღნიშნული პროგრამით“ (DDI, VIII, 4: 635). როგორც ვხედავთ, ცნობა საკმაოდ ზოგადია. ერთ რამეს ელჩი გარკვევით ამბობდა: „როგორც არ უნდა იყოს ამბოხების შედეგი, ესპანეთი შედის სერიოზული და ძალიან დობრივი ძვრების ეპოქაში“ (DDI, VIII, 4: 636). 19 ივლისს პედრაცი კიდევ ერთ წერილს აგზავნის საგარეო საქმეთა სამინისტროში და მასში აჯამებს ადრე მოწოდებულ ცნობებს. მისი ინფორმაციით, „უცხოური ლეგიონის გადაყვანას მალაგაში ხელი შეუშალა ადგილობრივმა რეაქციამ და, როგორც ამბობენ, საფრანგეთის სამხედრო საზღვაო ფლოტმა“ (DDI, VIII, 4: 637).

პედრაციის წინამორბედი რაფაელე გუარილია, რომელიც საცოლის გამო იყო ჩასული სან სებასტიანში, ნეგატიურად იყო გამსჭვალული იმ სირთულეების გამო, რაც სამხედრო ამბოხების წინაშე იდგა. მან გააგზავნა პესიმისტური ცნობა რომში ისტერიული განცხადებით, რომ რესპუბლიკა დებულობდა მასიურ დახმარებას საფრანგეთიდან (Preston 1996: 25).

18-21 ივლისს იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ეყრდნობოდა რადიო სამსახურების მიერ მოწოდებულ ცნობებს, რომლებიც ხშირად ურთიერთგამომ-

რიცხავი იყო. ეს იყო ერთადერთი საინფორმაციო წყარო იტალიური პრესისთვისაც. სხვათა შორის, ცნობები ესპანეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ იტალიური გაზეთების უმრავლესობაში 21 ივლისამდე არ გამოჩენილა. ამრიგად, აჯანყებიდან მთელი ხუთი დღის განავლობაში, რომს ჯერაც არ ჰქონდა სანდო, დროული და ახალი ცნობები, თუ რა ხდებოდა ესპანეთში. ზოგადად კი ცნობებიდან ჩანდა, რომ ამბოხებულთა საქმე ძალიან ცუდად იყო.

პირველი კონკრეტული თხოვნა დახმარების შესახებ წამოვიდა გენერალ ფრანკოსგან. მან რომში მიავლინა ლუის ბოლინი, მონარქისტული გაზეთ „ABC“-ს ჟურნალისტი ინგლისში, რომელმაც განახორციელა ფრანკოს კანარის კუნძულებიდან მაროკოში გადმოყვანის ოპერაცია ინგლისური თვითმფრინავით „Dragon Rapide“. სწორედ ამ თვითმფრინავით 19 ივლისს ფრანკომ რომში გააგზავნა ის დახმარების სათხოვრად და სასწრაფოდ გაუფორმა ქაღალდის ნაგლეჯზე შემდეგი შინაარსის მქონე ე.წ. „მანდატი“: „მე ვანიჭებ უფლებამოსილებას დონ ლუის ანტონიო ბოლინს აწარმოოს მოლაპარაკებები ინგლისში, გერმანიაში ან იტალიაში ესპანეთის არამარქისტული არმიისთვის თვითმფრინავების და საბრძოლო მასალების შესაძენად“. როცა ბოლინმა იკითხა, თუ რა სახის დახმარებაზე იყო საუბარი, ფრანკომ ფანქრით მიაწერა: „12 ბომბდამშენი, 3 განმანადგურებელი, 1000 ცალი 50-100 კგ-იანი და 100 ცალი 500 კგ-იანი ბომბი“ (Bolin 1967: 152). ფრანკოს ამ წერილს დიდ ყურადღებას არ აქცევენ, არადა, ძალზე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ფრანკო ემისარს აგზავნის რომში და წერილში იტალიას ახსენებს ბოლოში, თანაც ალტერნატიულ ასპექტში („...ინგლისში, გერმანიაში ან იტალიაში“). ეს ან სინქარეზე და დაბნეულობაზე უთითებს, ან კიდევ იმაზე, რომ ფრანკო თავიდანვე ცდილობდა მუსოლინის დახმარების მიღწევას ერთგვარი ინტრიგით („ინტერაქციული ფაქტორი“ – მუსოლინის ხასიათიდან გამომდინარე, ეს მოსალოდნელი იყო). ფრანკოს არ ჰქონდა სპეციალური უფლებამოსილება, გარდა იმისა, რომ დაკისრებული ჰქონდა აფრიკული ჯარების სარდლობა. ამბოხების მეთაური ხოსე სანხურხო ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და პორტუგალიაში იმყოფებოდა (სანხურხო, ავიაკატასტროფის შედეგად, 20 ივლისს დაიღუპა). ამდენად, ფრანკოს რწმუნების დასადასტურებლად ბოლინი გაფრინდა ლისაბონში და ორი ხელმოწერით „შეიარაღებულმა“ გააგრძელა გზა. ის სადამო მან გაატარა ბიარიცში გრაფ დე ლოს ანდესის და „ABC“-ს მფლობელ მარკიზ ლუკა დე ტენასთან კამპანიაში. გრაფმა ანდესმა დაურეკა ესპანეთის ექს-მეფე ალფონსო XIII-ს, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში ისვენებდა. ყოფილი

მონარქი დასთანხმდა, რომ დაეხმარებოდა მუსოლინის დარწმუნებაში. მომდევნო დღეს ბოლინი გაფრინდა მარსელში, საიდანაც 21 ივლისს ჩავიდა რომში.

როგორც ბოლინი თავის წიგნში იხსენებს, მას არ ჰქონდა განსაზღვრული გეგმა, როგორ უნდა მოქცეულიყო. „რომში არავის ვიცნობდი, ვისაც ჩემი დახმარება შეეძლო“, წერს იგი. იმავე საღამოს ის პირდაპირ მუსოლინის რეზიდენციისკენ (პიაცა ვენეცია) გაემართა და დაცვას განუცხადა: „მე მინდა დუჩესთან შეხვედრა“. დაცვის წევრებს ჩაეცინათ მიხედნენ, რომ უცხოელთან ჰქონდათ საქმე და საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის მიმართვა ურჩიეს (Bolin 1967: 167). სასტუმროში დაბრუნებულ ბოლინს აღფონსო XIII-მ დაურეკა. მან დაწვრილებით გამოკითხა ესპანეთის ამბები, ბოლოს აცნობა, რომ მისი უახლოესი მეგობარი მარკიზი დე ვიანა დაეხმარებოდა მას. ბოლინის ვიზიტის შესახებ ყოფილმა მეფემ ყველაფერი იცოდა და ეს უკვე აღინიშნა. 20 ივლისს აღფონსო ბურბონმა წერილი გაუგზავნა მუსოლინის, რომელშიც ხაზს უსვამდა ესპანური მოძრაობის დიდ მნიშვნელობას. ის საუბრობდა, რომ თვითმფრინავების შესაძენად რომში ჩამოდიან ხუან დე ლა სიერვა და ლუის ბოლინი – „მისი სრული ნდობით აღჭურვილი პირები“, მარკიზი დე ვიანა დეტალებში გაარკვევდა დუჩეს და ა.შ. ბოლოს დიდ იმედს გამოთქვამდა, რომ მუსოლინი გამოიჩენდა გულისხმიერებას და დაეხმარებოდა ესპანელ ნაციონალისტებს (DDI, VIII, 4: 648). აღფონსო XIII-ს როლს ლიტერატურაში არ ექცევა დიდი ყურადღება, არადა, სწორედ რომ მნიშვნელოვანია ორი თვალსაზრისით: 1) მისი ავტორიტეტის გამო; და 2) როგორც ჩანს, ექს-მეფისთვის კონსპირაციის დეტალები უცხო არ იყო (გავიხსენოთ ჩიანოსთან გაგზავნილი მარკიზ პატერნოს დეპეშა).

ბოლინის ჩასვლამდე ფრანკომ თადარიგი დაიჭირა. ტანუერში იტალიის სამხედრო ატაშე ლუკარდი დაარწმუნა, გაეგზავნა დეპეშა რომში. 20 ივლისის დეპეშაში ფრანკო მოხსენიებულია, როგორც ესპანური მოძრაობის მეთაური, რომელიც ცდილობდა გარკვევას, იყო თუ არა მზად იტალიის მთავრობა, კერძო პირების გზით, სატრანსპორტო თვითმფრინავები შეეთავაზებინა მისთვის. ლუკარდი 24 საათში ითხოვდა პასუხს (DDI, VIII, 4: 640).

21 ივლისს იტალიის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა გენერალმა როატამ ლუკარდის ორი დეპეშა გაუგზავნა. პირველში მუხამბოხეთა მეთაურის თხოვნაზე როატას პასუხი უარყოფითი იყო, იმ მოტივით, რომ იტალიის სამხედრო საჰაერო ძალებს არ გააჩნდათ ნათხოვი მოდელის თვითმფრინავები, მეორეში რეკომენდაციას აძლევდა გადაეცა ფრანკოსთვის, რომ მოცემულ საკითხზე მიემ-

ართა ფაშისტური სახელმწიფოს უმაღლესი ინსტანციისთვის (DDI, VIII, 4: 651).

ამასობაში 21 ივლისს ფრანკომ ისევ ნახა ლუკარდი და მიმართა უფრო მოტივირებული თხოვნით. ფრანკოს განცხადებით, ის იყო სამხედრო ამბოხების ერთადერთი ლიდერი (ეს არ იყო მართალი – ზ.გ.) და მისი მიზანი იყო „ფაშისტური სტილის რესპუბლიკური მთავრობის დამყარება, რომელიც ესპანელი ხალხის ხასიათთან იქნებოდა ადაპტირებული“. გენერლის რწმენით, წარმატების უზრუნველყოფა შესაძლებელი იქნებოდა მისი მოკრძალებული თხოვნის (8 სატრანსპორტო თვითმფრინავი) დაკმაყოფილების შემთხვევაში. თუ იტალია ხელს გაუწვდიდა აჯანყებულებს, „მომავალი ურთიერთობები მეგობრულზე მეტი (*«più che amichevoli»*) იქნებოდა“ (DDI, VIII, 4: 652).

ამ წერილში მოცემული დაპირებები იტალიას რიგ პერსპექტივებს უსახავდა, მაგრამ მაინც მდგომარეობა იმდენად ბუნდოვანი იყო, რომ დუჩესგან ნაჩქარევი პასუხი არ იყო მოსალოდნელი.

ფრანკო, ლუკარდის მეშვეობით, დაჟინებით ითხოვდა დახმარებას და აქცენტებსაც სწორად აკეთებდა. ის ამტკიცებდა, რომ იტალიის მიერ გაწეული სამსახური დავიწყებული არ იქნებოდა. მისი სიტყვებით, „თვითმფრინავების არგაგზავნა იყო პოლიტიკური სიბეცე“ (*«miopia politica»*) და, რომ ეს დახმარება რომს „საშუალებას მისცემდა, ესპანეთის მომავალ პოლიტიკაში მისი გავლენა მეტი ყოფილიყო, ვიდრე ბერლინისა“ (DDI, VIII, 4: 659-660, 663).

ტანჟერში იტალიის კონსულის დე როსის სიმპათია ფრანკოს მიმართ უკვე აშკარა იყო. მან თავისი, როგორც ტანჟერის საკონტროლო კომიტეტის თავმჯდომარის პოზიცია ბოროტად გამოიყენა და ხელი შეუშალა რესპუბლიკის გემებს, საწვავი აეღოთ ტანჟერში. 23 ივლისს მან ფრანკოს საქმე კიდევ ერთხელ გააკეთა საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი დეკრეტებით (DDI, VIII, 4: 664-65). არგუმენტებმა, რომ ფრანკო აპირებდა ფაშისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ესპანეთში და ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ხმელთაშუა ზღვაზე, სიხარულით იქნა მიღებული საგარეო საქმეთა სამინისტროში, მაგრამ ამის მიუხედავად მუსოლინიმ, როდესაც ნახა დე როსის დეკრეტი, მას ლურჯი ფანქრით წააწერა ერთადერთი სიტყვა – „არა“, ხოლო მეორეს – „არქივში“.¹⁸

მიუხედავად მუსოლინის პოზიციისა, რომელიც უფრო ფრთხილი აღმოჩნდა,

¹⁸ აღნიშნულ დეკრეტებზე მუსოლინის ამ მოკლე წანაწერების შესახებ ჩიანომ მოუყვა კანტალუპოს სანამ ეს უკანასკნელი ჩავიდოდა ფრანკოსთან ელჩის რანგში (Preston 1996: 31).

ვიდრე მისი სიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი გალუაცო ჩიანო, ამ უკანასკნელმა მაინც მიიღო ლუის ბოლინი. ესპანეთის საქმეებთან ეს მისი პირველი კონტაქტი იყო და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი ითამაშა.

გრაფი გალუაცო ჩიანო მუსოლინის ერთ-ერთი თანამებრძოლის კონსტანცო ჩიანოს შვილი იყო. 1925 წელს მან დაამთავრა რომის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა და მიღებულ იქნა დიპლომატიურ სამსახურში. მუსოლინის ქალიშვილზე ქორწინებამ მას სწრაფად გაუკვალა გზა კარიერაში. 1932 წელს ის იყო დესპანი ჩინეთში, 1933 წელს მუსოლინის პრეს-სამსახურის უფროსი, 1935 წელს პრესის და პროპაგანდის მინისტრის მოადგილე და ბოლოს, 1936 წლის ივნისში გახდა საგარეო საქმეთა მინისტრი. პ. პრესტონი სამართლიანად აღნიშნავს: ესპანელებს გაუმართლათ, რომ მუსოლინიმ უარი თქვა, თვითონ დაეკავებინა მინისტრის პოსტი და სამოქალაქო კონფლიქტამდე 6 კვირით ადრე, 9 ივნისს თავისი სიძე დანიშნა (Preston 1996: 26). მიუხედავად მიღებული ფართო განათლებისა, ჩიანო ახალი თანამდებობისთვის შესაფერისი კანდიდატურა მაინც არ იყო. იგი იყო ქარაფშუტა ახალგაზრდა, რომლის მთავარ საზრუნავს საზოგადოებაში თვალსაჩინო ადგილის დამკვიდრება და მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნა წარმოადგენდა. თავისი პირადი იმიჯის შექმნაზე მეტ ენერჯიას ხარჯავდა, ვიდრე სახელწიფო საქმეებზე ფიქრში. მინისტრის პოსტის დაკავებიდან ერთი წლის შემდეგ გრაფი ტრაბახობდა რუდოლფ ჰესთან, რომ იტალიაში ყველაზე ფაშისტურად მოაზროვნე სამინისტრო იყო სწორედ საგარეო საქმეთა სამინისტრო. პირად საუბრებში ის ჩიოდა და მისტიროდა დროს, რომელიც დაკარგა „პალაცო კიჯის დასაპყრობად“, მისი სიტყვებით: „მხოლოდ მე ვუწყი, რა ბრძოლების გადახდამ მომიწია, ამ დოკლამენტებს რომ ფაშისტური მარშისთვის აეწყოთ ფეხი“ (Ciano's Diary 1952: 25, 35)

მინისტრად დანიშვნის მომენტში მისი მთავარი ამოცანა იყო ერთა ლიგის სანქციების მოხსნა. მოლაპარაკებები ამის თაობაზე დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა, მაგრამ ეს არ იყო წარმატების ის ფორმა, რომელიც ასე სწყუროდა მინისტრს. თავისი შესაძლებლობების და უნარების წარმოსაჩენად ფრანკოს თხოვნა მისთვის მისწრება იყო. ლ. ბოლინი დაწვრილებით ყვება ჩიანოსთან შეხვედრის დეტალებს. მინისტრმა სწრაფად გადაავლო თვალი „მანდატს“ და გულისყურით მოუსმინა სტუმარს. მისი რეაქცია ენთუზიაზმით სავსე და, ამავე დროს, არათანმიმდევრული იყო. ის უყოყმანოდ შეჰპირდა დახმარებას ამბოხებულებს. „ჩვენ უნდა ბოლო მოვუღოთ კომუნისტურ საფრთხეს ხმელთაშუა ზღვის

რეგიონში“, – გაჰყვიროდა ის. შემდეგ კონკრეტულად ჩაეძია ესპანეთის ამბებში, რა იყო მათი მიზანი, ვინ იყო მათი ლიდერი, იყო თუ არა ეს გენერალი ფრანკო? სანხურხოს გარდაცვალების შემდეგ სხვები თუ აცხადებდნენ ლიდერობაზე პრეტენზიებს? და ა.შ. ჩიანო კი დათანხმდა დახმარებას, მაგრამ შემდეგ ეტყობა გაიაზრა, რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული მუსოლინის აზრის შეცვლა და ფრანკოს ემისრებს განუცხადა „თქვენ, რა თქმა უნდა, გესმით, რომ მე უნდა დაველაპარაკო გარკვეულ პიროვნებას, სანამ განსაზღვრულ პასუხს მოგცემდეთ, იქნებ ხვალ მობრძანდეთ“ (Bolin 1967: 168).

მომდევნო დღეს ჩიანოს ნაცველად ბოლინს შეხვდა მისი მდივანი ფილიპო ანფუზო, რომელმაც გადასცა, რომ ფრანკოს თხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო. ბოლინის დაჟინებული მოთხოვნით, მინისტრთან მეორე შეხვედრა შედგა. ამჯერად ჩიანო უფრო „მოზომილი“ იყო. მან დაარწმუნა ესპანელები თავის პირად სიმპათიებში, მაგრამ განუცხადა, რომ თვითმფრინავების საკითხი სერიოზული იყო. „თქვენს ბრწყინვალეებას შეუძლია დარწმუნებული იყოს, – უთხრა მას ბოლინმა, – რომ ჩვენ სათანადოდ გადავიხდით მიღებული დახმარების საფასურს“. აქ ჩიანომ საუბარი გააწყვეტინა და განუცხადა, რომ გადახდის პრობლემა საერთოდ არ იდგა. „საქმე ფულში კი არ არის, არამედ საშიშ პასუხისმგებლობაში. თუ ჩვენ გავაკეთებთ იმას, რაც თქვენ გსურთ, გავხდებით ომში მონაწილე მხარე“ (Bolin 1967: 169). ამაზე ბოლინმა პათეტიკურად მიუგო: „თქვენ უკვე ხართ მონაწილე მხარე... ესპანეთში ჩვენ ვებრძვით კომუნიზმს, თვითმფრინავების გარეშე დავმარცხდებით. სხვა ქვეყნები რუსეთი და საფრანგეთი დაეხმარებიან რესპუბლიკელებს... ჩვენ თუ დავმარცხდებით, კომუნიზმი გავრცელდება სამხრეთ ევროპაში, გაიმარჯვებს იგი იტალიაშიც. ჩვენ ვითხოვთ დახმარებას, რადგან გეჭირდება იგი, მაგრამ ჩვენი ბრძოლა ამავედროულად თქვენი ბრძოლაა“ (Bolin 1967: 169). მიუხედავად ასეთი პათეტიკისა შეხვედრა, მაინც უშედეგოდ დასრულდა, თუმცა საგულისხმოა, რომ ამ შეხვედრის შემდეგ ჩიანომ ორი დეპეშა გაგზავნა ტანჟერში იტალიის კონსულთან და როსისთან (ორივე ერთდროულად გაიგზავნა 24 ივლისი 12:45 სთ). პირველში ის ითხოვდა დეტალურ ინფორმაციას ფრანკოს მდგომარეობის შესახებ, მეორეში კი ცდილობდა გაერკვია, იყო თუ არა მელილიის აეროდრომი მტკიცედ ფრანკოს ხელში (DDI, VIII, 4: 687). მ. ალპერტის აზრით, 24 ივლისს ჩიანო დარწმუნებული იყო, რომ დაიყოლიებდა მუსოლინის და ამიტომ გააგზავნა ეს დეპეშები (Alpert 1994: 37). პ. პრესტონს სჯერა, რომ ჩიანო, როგორც ჩანს, მოქმედებდა საკუთარი ინიციატივით

ით (Preston 1996: 32). ვფიქრობთ, მუსოლინი, მართალია, გარკვეულ ეტაპზე ჩარევის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ის აქტიურად აგროვებდა ინფორმაციას სხვადასხვა არხებიდან, ამდენად, ეს დეკემბერიც მისი დავალებით იქნებოდა გაგზავნილი დე როსისთან (აღნიშნულ დეკემბერზე პასუხი საგარეო საქმეთა სამინისტროში მოვიდა 25 ივლისს DDI, VIII, 4: 690-691).

ამ დროს ალფონსო ბურბონი ცდილობდა, პირადად შეხვედროდა მუსოლინის და ამას მიაღწია კიდევ. დუქესთან საუბარში ექს-მეფემ საფრანგეთი დაადანაშაულა ესპანეთის რესპუბლიკის დახმარებაში. მთელი საუბრის განმავლობაში მუსოლინის არ გაუკეთებია არანაირი შენიშვნა ან კომენტარი, არ აულია არავითარი ვალდებულება, მაგრამ დაარწმუნა ალფონსო, რომ იტალია არ დაუშვებდა ესპანეთში საბჭოთა რეჟიმის დამყარებას (Coverdale 1975: 72).

მუსოლინი ჯერ კიდევ არ ჩქარობდა ჩარევას პირინეის ნახევარკუნძულზე გაჩაღებულ კონფლიქტში. მიუხედავად ჩიანოს აქტიურობისა, საგარეო პოლიტიკა ფაშისტური სახელმწიფოს ცხოვრების ის სფერო იყო, სადაც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს პირადად მუსოლინი იღებდა.

დუქეს უნდა შეეფასებინა საერთაშორისო ვითარება ესპანეთის მოვლენების გარშემო, რომელიც უკვე კონფლიქტის პირველივე დღიდან გამოირჩეოდა სირთულით და გაურკვეველობით. 22-23 ივლისს ჯერაც უცნობი იყო დიდი ბრიტანეთის ოფიციალური პოზიცია ესპანეთთან დაკავშირებით; მაღალი იყო საფრანგეთის სახალხო ფრონტის მთავრობის მხრიდან პოლიტიკურად მონათესავე ესპანეთის მთავრობის აქტიური დახმარების ალბათობა; დუმილს ინარჩუნებდა ბერლინი; საბჭოთა მთავრობა არანაირ ინტერესს (ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად) არ გამოხატავდა. მუსოლინის გაუჩნდა შესაძლებლობა, ესარგებლა სიტუაციით და განემტკიცებინა თავისი სტრატეგიული პოზიცია ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, მაგრამ საერთაშორისო ფაქტორების გაუთვალისწინებლად, სხვა ქვეყნის შიდაპოლიტიკურ ბრძოლაში ჩარევას შეეძლო გაერთულებინა იტალიის მდგომარეობა რეგიონში ნაწილობრივ და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში მთლიანად. დუქემ არჩია, დალოდებოდა ესპანეთის კონფლიქტის შემდგომ განვითარებას და მერე მიეღო სერიოზული გადაწყვეტილება. 24-26 ივლისისთვის საერთაშორისო მდგომარეობა ესპანეთის გარშემო თანდათან გამოიკვეთა. ლონდონიდან მოსულმა ცნობებმა მუსოლინი დაარწმუნა, რომ ბრიტანეთის მთავრობა არ იყო დაინტერესებული ესპანეთის შეიარაღებული კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციით. ბრიტანეთის მთავრობამ გადაწყვიტა ფხიზლად ედევნებინა თვალყური ესპა-

ნეთში განვითარებული მოვლენებისთვის და აერიდებინა მასში მესამე ძალის ჩარევა. მალე გამოვლინდა, რომ ბრიტანეთის პოზიცია მეტნაკლებად გაიზიარა საფრანგეთმაც.

ლიტერატურაში გაგრძელებული თვალსაზრისის თანახმად, დახმარების შესახებ თხოვნა, რომელმაც საბოლოო ჯამში გადაწყვიტა იტალიის ჩარევა ესპანეთის ამბებში, მოვიდა ამობოხების მთავარი ორგანიზატორის ემილიო მოლასგან. მოლამ 22 ივლისს მოიწვია მონარქისტი ლიდერების შეხვედრა, სადაც განიხილა შექმნილი მდგომარეობა. მისი ძალები, რომლითაც ის ჩრდილოეთიდან აპირებდა მადრიდზე შეტევას, მწვავე წინააღმდეგობას შეეჩეხა ალტო დელ ლეონის და სომოსიერას მთებში. მოლამ აღნიშნა, რომ მდგომარეობა მეტად სერიოზული იყო, მაგრამ იწინასწარმეტყველა გამარჯვება, თუ საფრანგეთი არ დაეხმარებოდა მოწინააღმდეგე მხარეს. მოლას სურდა, მონარქისტ ლიდერებს გაეგოთ, მართლა აპირებდა თუ არა საფრანგეთი ჩარევას. მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა ლიდერმა განაცხადა, გონივრული იქნებოდა თუ ბერლინს და რომს გააფრთხილებდნენ საფრანგეთის მხრიდან დახმარების საშიშროების შესახებ. მოლამ გადაწყვიტა ანტონიო გოიკოეჩეა, ლუს სუნსუნეგი და პედრო საინს როდრიგესი გაეგზავნა რომში, ხოლო გრაფი ვალდიგლესიასი – ბერლინში. გოიკოეჩეას ვერსიით, მოლამ ეს შეხვედრა იმ განზრახვით მოიწვია, რომ ემისრები გაეგზავნა რომში დახმარების სათხოვნელად, ვალდიგლესიასი კი ამბობს, რომ მოლას სურდა, მხოლოდ მონარქისტებს ესარგებლათ თავიანთი კონტაქტებით და გამოერკვიათ საფრანგეთის ნამდვილი პოზიცია (Coverdale 1975: 73).

გოიკოეჩეა და მისი თანმხლები პირები 24 ივლისს ჩავიდნენ რომში. მეორე დღეს ისინი მიიღო ჩიანომ. მონარქისტმა მინისტრს აუხსნა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა, დაარწმუნა იგი, რომ მემამბოხეები ითხოვდნენ მხოლოდ თვითმფრინავებს და გარკვეულ შეიარაღებას სიტუაციის ხელში ასაყვანად. ისინი მალე შეძლებდნენ მადრიდის აღებას და შემდეგ უკვე დღეების ან, ყველაზე დიდი, კვირების საქმე იქნებოდა მთელი ქვეყნის მათ მიერ გაკონტროლება. ჩიანომ აუხსნა მას, რომ იტალიის მთავრობას მოქმედების არანაირი სურვილი და ხალისი არ ჰქონდა, რადგან ვერ გაერკვია, თუ რა ხდებოდა რეალურად ესპანეთში, ვინ იყო ამბოხების ნამდვილი ლიდერი, რა პოზიცია ჰქონდათ სამხედრო ლიდერებს, რჩებოდნენ თუ არა ისინი 1934 წლის პაქტის ერთგულნი (Coverdale 1975: 74). იტალიის მთავრობას ვერ წარმოედგინა, რა აკავშირებდა ფრანკოს მონარქისტ შეთქმულებთან, რომლებმაც აღნიშნული პაქტი გააფორმეს. როგორც ჩანს,

ფრანკო შეთანხმების დეტალებში გარკვეული არ იყო (Tomac 2003: 203). გოიკოეჩამ დაარწმუნა ჩიანო, რომ ამბოხებული ლიდერები პატივს სცემდნენ 1934 წლის შეთანხმების პუნქტებს. აღნიშნული საუბრებისა და მეტნაკლებად ამომწურავი ინფორმაციის მიღების შემდეგ ჩიანო შეხვდა ბოლინს და შეპირდა, რომ იტალია გაუგზავნიდა ფრანკოს 12 ცალ სავოია S-81-ს აგვისტოს პირველ რიცხვებში. გარდა აღნიშნული შეთანხმების „განახლებისა“, ჩიანომ განაცხადა, რომ თვითმფრინავების გადაცემამდე უნდა მომხდარიყო გადახდა ნაღდი ფულით. მათი ღირებულება დაახლოებით მილიონ ფუნტ გირვანქას შეადგენდა, მაგრამ გოიკოეჩასთვის პრობლემას არ წარმოადგენდა თანხის გადახდა, ვინაიდან მას ესპანელი მილიონერი ხუან მარჩი აფინანსებდა. 27-28 ივლისს თანხა გადახდილ იქნა და მხოლოდ შემდეგ გაგზავნა იტალიის მთავრობამ თვითმფრინავები მაროკოში (Coverdale 1975: 74, Preston 1996: 33).

გოიკოეჩას ამ ვერსიას ეჭვის თვალით უყურებს პ. პრესტონი და მიაჩნია, რომ ჩიანო არ მოიქცეოდა ისე უხეშად, რომ ფულზე ესაუბრა (Preston 1996: 35), მაშინ როდესაც რ. უილი, მაგალითად, მუსოლინის ყოყმანის მიზეზად სწორედ ფულს ასახელებს (Whealey 1989: 12). ფაქტობრივად, ჩიანოს ფინანსური საკითხი გვიანობამდე არ წამოუწვია.¹⁹ ი. სასი თვლის, რომ სხვა თანხებზე და სხვა თვითმფრინავების საფასურზე საუბარი, მაგრამ მონარქისტებმა მოგვიანებით იმ 12 თვითმფრინავს დაუკავშირეს და ამით გაამართლეს თავიანთი როლი მუსოლინის მიერ გადაწყვეტილების მიღებაში (Saz 1986/b: 189-190). თავის წარმონეხას კინამდვილად ყველა ცდილობდა. საინს როდრიგესი თავის მემუარებში საერთოდ ივიწყებს გოიკოეჩას როლს და ამბობს, რომ თვითონ მან დაარწმუნა ჩიანო ჩარევის აუცილებლობაში. ის ასევე ამტკიცებს, რომ დაარწმუნა ლუკა დე ტენა, საერთოდ არ შეხვედროდა ჩიანოს (Sainz Rodriguez 1978: 233-237). პრესტონის აზრით, მონარქისტების სხვადასხვა ვერსიებში ამდენი უზუსტობა ადასტურებს იმას, რომ სავარაუდოდ ჩიანოსთან უშედეგო საუბრების გარდა, არცერთი არაფერში ყოფილა ჩართული. ჩიანომ, დუჩეს მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, გახარებულმა მიაწოდა მათ უახლესი ინფორმაცია და თითოეულმა თავის საკუთარ წარმატებად ჩათვალა (Preston 1996: 35).

იყო თუ არა 1934 წლის შეთანხმება და ესპანელი მონარქისტების ვიზიტი ამოსავალი წერტილი, რომ მუსოლინის შეეცვალა თავისი ადრინდელი პოზიცია?

¹⁹ იხ.: ჩიანოსა და კანარისის 1936 წლის 28 აგვისტოს საუბარის ჩანაწერი (DDI, VIII, 4: 896).

მუსოლინის ერთ-ერთ გამორჩეულ ბიოგრაფი რენცო დე ფელიჩე ვიზიტს გადამწვევტ მნიშვნელობას ანიჭებს («Il passo decisivo», სიტყვასიტყვით, გადამწვევტი ნაბიჯი), იგივე აზრისაა კოვერდეილიც, რომელიც ამტკიცებს რომ, საბოლოო ჯამში, სწორედ ამან გამოიწვია იტალიის ჩარევა სამოქალაქო ომში (Coverdale 1975: 72-74). ზოგიერთი ავტორი ცდილობს გაფანტოს ეჭვი და აღნიშნავს, რომ აღნიშნული მონარქისტებიდან რომში არცერთი არ ჩასულა აგვისტომდე (Salas 1986: 23). მათი წვლილი ამ საქმეში ანხელ ვინიასსაც მოკრძალებულად მიაჩნია. მისი აზრით, ჩიანომ სავარაუდოდ, აუხსნა გოიკოეჩას, რომ იტალიის მთავრობა დაინტერესებული იყო მოძრაობის წარმატებაში და რომ უკვე პირდაპირი კონტაქტი ჰქონდათ ფრანკოსთან (Viñas 1985: 133). აღნიშნული შეთანხმების მნიშვნელობასთან დაკავშირებით ისტორიკოსი ბარნეტ ბოლოტენი ფიქრობს, რომ ერთადერთი დამსახურება, რაც მიუძღვის მას, ეს არის „ამბოხების მხარდაჭერისთვის რომში სასურველი კლიმატის შექმნა“ (Bolloten 1991: 101). თვითმფრინავების შეძენის თაობაზე ხოსე მარია ხილ რობლესს შემდეგი ვერსია ჰქონდა: როდესაც მოხდა აჯანყება და საჭირო გახდა საჰაერო ხიდის შექმნა, იტალიის მთავრობამ გაფრთხილა აჯანყებულები, რომ კონტრაქტს თვითმფრინავების შეძენაზე გააფორმებდა მხოლოდ 1934 წლის შეთანხმების ერთ-ერთ ხელმომწერთან. ნიშანდობლივია, რომ გოიკოეჩა, სანს როდრიგესი და სუნსუნეგი სასწრაფოდ ჩავიდნენ იტალიაში, მოლას კონკრეტული ბრძანებით. მათ წარმატებით აწარმოეს მოლაპარაკებები საბრძოლო მასალის შეძენის თაობაზე, მაშინ როცა ლუის ბოლინი დიდ სიძნელებებს შეხვდა (Bolloten 1991: 102).

ფრანკისტი ისტორიკოსი არარასი აცხადებს, რომ რადგან ბოლინის მოლაპარაკება სიძნელებებს შეხვდა, გენერალმა მოლამ სთხოვა გოიკოეჩას, წასულიყო იტალიის დედაქალაქში და დახმარებოდა ბოლინს (Bolloten 1991: 102).

ასეთ აზრთა სხვადასხვაობაში, არსებული დოკუმენტების, სხვადასხვა ვერსიების შეჯერების, სიტუაციური ანალიზის და ლოგიკური დასკვნების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი: მოლას მდგომარეობის გაუმჯობესება, რომელიც სომოსიერაში იყო ჩაკეტილი შესაძლებელი იქნებოდა სამხრეთიდან ფრანკოს გააქტიურებით და რესპუბლიკური ძალების მოწოლის ცენტრის გადატანით. ამიტომ საერთო საქმის ინტერესებში იყო ფრანკოს ჯარების სწრაფი გადმოსხმა ესპანეთში. ეს უცხოური ავიაციის დახმარების გარეშე წარმოუდგენელი იყო. თვითმფრინავების მოთხოვნა მონარქისტთა ჯგუფის მიერ (მით უმეტეს, თუ ამაში თანხაც გადაიხადეს, თუმცა, როგორც ვნახეთ, ბევრი მკვლევარი ამ აზრს

არ იზიარებს) ამ მიზეზით მოხდა და ეს ყველაფერი ბოლინის დასახმარებლად გაკეთდა. აქედან გამომდინარე, საუბარი იმის შესახებ, რომ დაკმაყოფილდა ბოლინის თხოვნა, ხოლო გოიკოეჩია უარით გამოისტუმრეს, არასწორად მიგვაჩნია. პირიქით, ამ უკანასკნელის ჩართვამ რომში პოზიტიური როლი ითამაშა. სხვა საკითხია, რამდენად შეუწყო ამან ხელი ფრანკოს აღზევებას. ისტორიკოსების დიდი ნაწილი ამას პირველობისთვის ბრძოლაში ფრანკოს სერიოზულ გამარჯვებად მიიჩნევს, თუმცა ვიზიარებთ ი. სასის აზრს, რომ მუსოლინიმ ფრანკო ორი მიზეზით „აირჩია“: 1) ის იყო აჯანყების ერთადერთი მეთაური, რომელთანაც ჰქონდა პირდაპირი კონტაქტი; და 2) მხოლოდ აფრიკულ ჯარებს შეეძლო სწრაფად და ეფექტურად გადაეწვიტა აჯანყების შემდგომი ბედი (Saz 1986/b: 192-193).

იტალიის ჩარევა ესპანეთის კონფლიქტში დაიწყო 30 ივლისს 12 იტალიური თვითმფრინავის გაგზავნით, თუმცა აქედან 9 ჩავიდა დანიშნულების ადგილამდე. იტალია მთელი ომის განმავლობაში ესმარებოდა ფრანკისტებს. მუსოლინის თავდაპირველი სიფრთხილე წარსულს ჩაბარდა და ის ჩაერთო უცხო ქვეყნის სამოქალაქო ომში. ამ თვალსაზრისით ჰიტლერი ბევრად უფრო ფრთხილად მოქმედებდა.

როგორც ვნახეთ, მუსოლინიმ და ჰიტლერმა თითქმის ერთდროულად მიიღეს გადაწყვეტილება ესპანეთის სამოქალაქო ომში ჩარევის შესახებ. ბუნებრივია, ჩნდება ლოგიკური კითხვა: მოითათბირეს თუ არა მათ ამის შესახებ ტელეფონით ან კურიერის მეშვეობით? გენერალი მილხი ამტკიცებს, რომ ეს ასეც მოხდა. მოგვიანებით, ჰიტლერი ლეგიონ „კონდორის“ სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით წარმოთქმულ სიტყვაში აცხადებდა, რომ გადაწყვეტილება ფრანკოს დახმარების თაობაზე მიღებულ იქნა „იტალიასთან სრული შეთანხმებით“ (Whealey 1989: 13). მიუხედავად ამისა, არ არსებობს არანაირი დოკუმენტი, ოფიციალური მტკიცებულება მათი მოქმედების კორდინაციის შესახებ აგვისტოს პირველ რიცხვებამდე.

25 ივლისს რამდენიმე საათით ადრე, სანამ ჰიტლერი ფრანკოს ემისრებს შეხვდებოდა, შედგა საუბარი იტალიაში გერმანიის ელჩ ულრიხ ფონ ჰასელს და ჩიანოს შორის. ელჩმა გამოხატა თავისი მთავრობის შეშფოთება ესპანეთში კომუნისტების შესაძლო გამარჯვების შესახებ. ჩიანომ მიუგო, რომ იტალია თვალყურს ადევნებდა მიმდინარე მოვლენებს და რომ იზიარებდა რაიხის ხელმძღვანელობის შეშფოთებას, თუმცა ესპანეთის საქმეებში ჩარევა დაუკავშირა საფრან-

გეთის მთავრობის დახმარების ესპანეთის მემარცხენე ხელისუფლებისადმი (DGFP, C, V: 829). ჩიანომ გამოთქვა მზაობა, რომ ბარსელონაში გერმანული გემების ჩასვლამდე გასცემდა შესაბამის ინსტრუქციებს და იტალიური გემები დაიცავდნენ ესპანეთში მცხოვრები გერმანიის მოქალაქეთა ინტერესებს და ქონებას, „რომლებიც იტალიელთა მსგავსად განსაკუთრებული დევნის ობიექტები არიან“ (DGFP, C, V: 829; Ciano 1948: 21). სულ ეს იყო, ივლისის ბოლოს სხვა კონტაქტების შესახებ უცნობია.

3 და 7 აგვისტოს შორის იტალიის პროპაგანდის ხელმძღვანელი (სახალხო კულტურის მინისტრი) დინო ალფიერი გაემგზავრა გერმანიაში, სადაც თავის გერმანულ კოლეგასთან ი. გიობელსთან ბოლშევიკური საფრთხის პირისპირ გერმანია-იტალიის პრესის პოლიტიკის საკითხები განიხილა. ალფიერმა ჩამოიტანა დუჩეს პირადი „მესიჯი“ და ამ თემაზე ფიურერთან ისაუბრა 25 წუთი. ესპანეთში გერმანია-იტალიის სამხედრო თანამშრომლობა დაიწყო 4 აგვისტოს საიდუმლო სამსახურის ხელმძღვანელების კანარისის და როატას შეხვედრაზე ბოლცანოში (Whealey 1989: 14).

§3. გერმანიის და იტალიის ესპანეთის სამოქალაქო ომში ჩარევის მოტივები

მიზეზების და მოტივების გარკვევა, რომლებმაც ჰიტლერი და მუსოლინი ჩარევის გადაწყვეტილებამდე მიიყვანა, დღემდე სპეკულაციების სფეროა. თუ დოკუმენტების და მემუარული ლიტერატურის კრიტიკული შედარებით, ბაიროიტის თათბირის დეტალების აღდგენის საშუალება არსებობს, ისტორიკოსები დიდი ხანია ცდილობენ ამის გარკვევას, რა იყო ჰიტლერისა და მუსოლინის ესპანეთში დაწყებულ კონფლიქტში ჩარევის თავდაპირველი მოტივები. ზოგიერთი ავტორი გამოყოფს სამხედრო მოტივს, იზიარებს რა გიორინგის ცნობილ სიტყვებს ნიურნბერგის ტრიბუნალზე. გიორინგმა განაცხადა, რომ ის მოითხოვდა ჩარევას, ერთის მხრივ, ამ რეგიონში კომუნიზმის ექსპანსიის შესაჩერებლად, მეორეს მხრივ, საომარ პირობებში ტექნიკური თვალსაზრისით ახალბედა ლიუფტვაფს გამოსაცდელად“ (Nuremberg Trials ...Blue Series, IX: 280-281).

ჩარევის პოლიტიკური და დიპლომატიური რისკების მიუხედავად, მცირე, მაგრამ ამბოხებულთათვის სასიცოცხლო გერმანული დახმარება არ ადასტურებს გიორინგის ამ განცხადებების სისწორეს. დახმარებაში მოიაზრებოდა 20 სატრანსპორტო თვითმფრინავი Junkers-52, რომელიც არანაირ ტექნიკურ ინოვაცი-

ას არ წარმოადგენდა და ამ ტიპის საფრენ აპარატს ჩვეულებრივ იყენებდა ლი-უფტჰანზას ავიასახეები. მართალია, მათთან ერთად გაიგზავნა 6 გამანადგურებელი Heinkel-51, მაგრამ მხოლოდ დაცვის მიზნით. ყოველ შემთხვევაში, პილოტებს კატეგორიულად აკრძალათ ბრძოლაში ჩაბმა, გარდა თავდაცვის შემთხვევისა (España Alemania 2002: 165). თუ ამას დავამატებთ პირველ ჯერზე გაგზავნილ მცირე რაოდენობის იარაღს და ამუნიციას, რა სამხედრო ტექნიკური ხასიათის გაკვეთილი და გამოცდილება უნდა მიეღო გერმანიას?

ფრანკო მოკრძალებული თხოვნით შემოიფარგლა და, როგორც ჩანს, გონივრულად მოიქცა. მას არ შეეძლო ეთხოვა იმაზე მეტი, რასაც სთხოვდა მუსოლინის და რომლისგანაც ალბათ მეტს მოელოდა. თუმცა, ფრანკოს გასაკვირად, 10 თვითმფრინავის ნაცვლად ჰიტლერმა გამოუგზავნა 20. გიორინგის ეს საკამათო მოტივი ახლოსაც ვერ მოვიდოდა ჰიტლერის მოტივებთან, რომელმაც გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღო. და მაინც, ეს არ გვაძლევს უფლებას, ვამტკიცოთ სამხედრო-ტექნიკური მოტივის არარსებობა პირველივე დღიდან და რომ ის არ თამაშობდა დიდ როლს გერმანიის ჩარევის დისკურსში. ამ ფაქტორის მნიშვნელობა თანდათან გაიზარდა, ომის გაჭიანურების და ჩარევის შემდგომი გაფართოების ფონზე. მოგვიანებით, მიღებულ გამოცდილებას უსვამდა ხაზს ფიურერიც, როცა 1938 წლის 6 აპრილს აცხადებდა: „ახლა უკვე, როცა ომი დასასრულს უახლოვდება, ჩვენი ჯარისკაცები მეტს ვერაფერს ისწავლიან“ (DGFP, D, III: 634). ჰიტლერს თავიდან სჯეროდა, რომ უმნიშვნელო ჩარევა საკმარისი იქნებოდა ომის სწრაფად დასასრულებლად, მაგრამ კონფლიქტის გახანგრძლივებამ მისცა დიდი უპირატესობა, რადგან მიეცა შესაძლებლობა, გამოეცადა ტექნიკა და საბრძოლო სტრატეგია (Durgan 2007: 65).

ამრიგად, გიორინგის მოტივის საწინააღმდეგოდ მეტყველებს სამი ფაქტი: 1) ფრანკომ ითხოვა მოძველებული თვითმფრინავები; 2) გამანადგურებლებს აკრძალათ ბრძოლაში შესვლა; და 3) იმედი, რომ გერმანიის მხრიდან მცირე დახმარებით აჯანყებულები მიაღწევდნენ წარმატებას მოკლე დროში.²⁰

გიორინგის ბაიროიტში ყოფნა 25 ივლისს მნიშვნელოვანი იყო კიდევ ერთი მომენტის გამო: ის იყო პასუხისმგებელი 4-წლიან ეკონომიკური გეგმაზე. ზოგი-

²⁰ ამ ბოლო პუნქტთან დაკავშირებით ე. ადამთვაითს სადაო საკითხად მიაჩნია ის, რომ ჰიტლერი დათანხმდა ჩარევაზე, რადგან იცოდა, რომ ომი იქნებოდა ხანმოკლე, რამდენადაც მადრიდში გერმანიის საელჩომ უკვე გააფრთხილა ბერლინი ხანგრძლივი ომის შესახებ (Adamthwaite 1992: 56).

ერთმა მკვლევარმა წინ სწორედ ეკონომიკური მოტივები წამოწია. ამ მოტივს ყურადღებას ძირითადად ამახვილებდნენ აღმოსავლეთ გერმანელი ისტორიკოსები (აინჰორნი, კიუნე, შიდერი, ნორდენი). შიდერი უთითებს, რომ ესპანეთში ჰიტლერს ამოძრავებდა, პირველ ყოვლისა, სამხედრო-ეკონომიკური მიზნები და, რომ ესპანეთის სამოქალაქო ომის დაწყება დაემთხვა ამ სფეროში კრიზისს (España Alemania: 166), თუმცა არსებული მონაცემები არ ადასტურებს რაიმე განსაკუთრებული პრობლემების არსებობას აღნიშნული მიმართულებით. ამავე დროს, არც გერმანიის ესპანეთთან სავაჭრო ურთიერთობების დინამიკა ადასტურებს ჩარევის შესაძლებლობას ნედლეულის და იგივე სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიღების მიზნით, რაც ისედაც მიიღებოდა, თანაც მზარდი სახით. უფრო მეტიც, რესპუბლიკის მთავრობამ სცადა საბრძოლო მასალების შექმნა ბერლინში და ამისთვის ოქროსაც არ იშურებდა. ამაში არაფერია გასაკვირი. გერმანიასთან ადრე დადებული კონტრაქტები ამის საშუალებას იძლეოდა. ესპანეთის ელჩი მადრიდში შვენდემანი 1 აგვისტოს გამოგზავნილ წერილში საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელზე იტყობინებოდა, რომ „გერმანული თვითმფრინავების მრეწველობის ასოციაციის დელეგატი შტურმი გამოძახებულ იქნა პრემიერ მინისტრის ოფისში, სადაც საგარეო საქმეთა მინისტრმა ბარსიამ შეატყობინა შემდეგი: მთავრობას სურს, საჩქაროდ შეიძინოს საშუალო სიმაღლის გამანადგურებლები და ბომბდამშენები, ასევე ბომბები. გადახდა შესაძლებელი იქნებოდა ოქროთი“ (DGFP, D, III: 20). მომდევნო დღეს ესპანეთის საელჩო ვილჰელმშტრასეს ურჩევდა, რომ მთავრობის თხოვნას იარაღის მოწოდებაზე მოპყრობოდნენ აუჩქარებლად, კატეგორიული უარის გარეშე (DGFP, D, III: 21). 4 აგვისტოს ესპანეთის მთავრობა აიძულებდა შტურმს, მკაფიო პასუხი გაეცა მის მოთხოვნაზე, თუ არა და იშუქებოდა ლუფტვანზას კომერციული თვითმფრინავების კონფისკაციით (DGFP, D, III: 28).

აქედან გამომდინარე, ფინანსური და ეკონომიკური თვალსაზრისით გერმანიისთვის ბევრად მომგებიანი იქნებოდა ესპანეთში არსებული მთავრობის დახმარება. იარაღის რესპუბლიკისთვის მიწოდების სანაცვლოდ ის ჭარბად მიიღებდა ესპანურ ნედლეულს და დიპლომატიურ-პოლიტიკურ რისკსაც აიცილებდა. მუამბოხეების სასარგებლოდ უმნიშვნელო ჩარევაც კი რესპუბლიკისთვის შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. მეტიც, კანონიერმა მთავრობამ ამას უმაღლ იგებდა. ჩარევის პარალელურად მცირდებოდა შესაძლებლობა იმისა, რომ თუ რესპუბლიკა გაიმარჯვებდა, გერმანიაში ესპანური ნედლეულის აქამდე თავისუფალი გადინება

აღმდგარიყო, ანუ მომხდარიყო დაბრუნება მდგომარეობამდე „ex-ante“, რასაც გერმანია აუცილებლად შეეცდებოდა. თუ გერმანიას უნდოდა იაფი ნედლეულის მიღება, უმჯობესი იქნებოდა მიეღო იგი კანონიერი მთავრობისგან, ვიდრე იმათგან, ვისი გამარჯვების პერსპექტივა საკმაოდ ბუნდოვანი იყო.

ამაზე საინტერესო დაკვირვებები ჰქონდათ ბრიტანეთის ფორინ ოფისში. 30 სექტემბერს ესპანეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხულო ალვარეს დელ ვაიომ გადასცა ერთა ლიგაში ინგლისის დელეგაციას „La Vanguardia“-ში გამოქვეყნებული თავისი სტატიის თარგმანი, რომელშიც ამტკიცებდა, ომი იმის გამო დაიწყო, რომ ამბოხებულები გერმანელებს დახმარების სანაცვლოდ შეპირდნენ მადანს, ტყვიას და ა.შ. ბრიტანეთის რეაქცია ამის თაობაზე იყო ასეთი: „შესანიშნავი მაგალითია არგუმენტისა ამის შემდეგ, მაშასადამე, ამის გამო“, ან „საეჭვოა გერმანია შეშფოთებული იყოს იმის შესაძლებლობით, რომ ესპანეთის მთავრობა ხელს შეუშლის მისთვის რკინის, ტყვიის, პირიტის მიწოდებას“ (Viñas 2001: 391).

ამრიგად, ეკონომიკური ფაქტორი ჰიტლერს ნაკლებად უბიძგებდა იმ კონკრეტულ მომენტში მიეღო გადაწყვეტილება ამბოხებულთა სასარგებლოდ, პირიქით, ეს ფაქტორი რომ უმთავრესი ყოფილიყო, ფიურერს საპირისპირო გადაწყვეტილებას მიაღებინებდა. ამას სხვა, უფრო სერიოზული მიზეზი უშლიდა ხელს და სწორედ ეს იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი და სწორედ აქეთკენ მივლივართ (უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურმა ასპექტებმა მალე წამოიწია წინა პლანზე და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა).

კიდევ ერთი საკითხი: კონკრეტულად გადაწყვეტილების მიღების მომენტში, მცირე ფინანსური დაინტერესებაც არ თამაშობდა არანაირ როლს. ბერნჰარდტი აბენდროთთან საუბარში იხსენებდა, რომ ბაიროიტის თათბირზე ჰიტლერმა არჩია თვითმფრინავების და იარაღის მიწოდება მომხდარიყო კრედიტით და, რომ მწირი ფონდები, რომელსაც ფრანკო ფლობდა, მისი ჯარისკაცების ხელფასს მოხმარებოდა. რა თქმა უნდა, ჰიტლერს ეცოდინებოდა კიულენტალის 22 ივლისის დეპეშის შინაარსი, სადაც ფრანკო და ბეიგბედერი უთითებდნენ, რომ კონტრაქტები თვითმფრინავების მიწოდებაზე მოგვიანებით გაფორმდებოდა. ფრანკოს არ უნდა ჰქონოდა რაიმე პრეტენზია, რომ ჰიტლერი მაშინვე გადაწყვეტდა დახმარებას და ამას გაკეთებდა უანგაროდ. თუმცა ეს ასე მოხდა.

რაზედაც აქამდე ვისაუბრეთ, ეს იყო ე.წ. დერივატიული მოტივები. ახლა განვიხილოთ იმპულსური და კაუზალური ფაქტორები.

ანტიკომუნიზმის ფაქტორი. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანი მოტივი, რომელიც ჩვეულებრივ მიღებულია ლიტერატურაში, არის კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ერთგვარი გასამართლებელი ფაქტორი, რომელსაც მესამე რაიხი იყენებდა სამოქალაქო ომში ჩარევისას. სანამ გერმანიას დახმარებისთვის მიმართავდნენ, გიობელსის პროპაგანდა მთელი ხმით გაჰყვიროდა ესპანეთში მოსკოვის დიად ჩარევის შესახებ. ი. რიბენტროპი თავის მემუარებში საუბრობს იმ აქცენტებზე, რომელიც ჰიტლერმა მასთან საუბარში გააკეთა გადაწყვეტილების მიღებიდან მეორე დღეს ანტიკომუნისტურ მოტივთან დაკავშირებით. არის მიზეზები კონკრეტულ პუნქტებში არ ვენდოთ მის თხრობას, რიბენტროპი ხშირად ურევს წარსულს. ასე, მაგალითად, როცა ის ამბობს, რომ „თვითმფრინავების მისაღებად ფრანკომ მიმართა პირველად გიორინგს“ (Риббентроп 1996: 75) და ა.შ., მაგრამ, მიუხედავად უხეში შეცდომებისა, მემუარები ჩვენთვის მაინც საინტერესო წყაროა.

26 ივლისს ჰიტლერმა რიბენტროპთან განაცხადა: „საბოლოო ჯამში, ესპანეთის სამოქალაქო ომში წყდება საკითხი, შეძლებს თუ არა საბჭოეთი ხელში ჩაიგდოს ერთ-ერთი დასავლური სახელმწიფო. მადრიდის მთავრობის მეტაური მოსკოვის კაცია... თუ კომუნისტური ესპანეთის შექმნა მართლაც შესაძლებელი გახდება, ახლანდელი მდგომარეობით საფრანგეთის ბოლშევიზაცია დროის საკითხია. აი, მაშინ გერმანიის საქმეები ცუდად იქნება. აღმოსავლეთით ძლიერი სსრკ-ს, ხოლო დასავლეთით საფრანგეთ-ესპანეთის ბლოკს შორის მოქცეული ჩვენ ვერაფერს ვიზამთ, თუ მოსკოვს ერთ დღესაც მოუნდება გერმანიის წინააღმდეგ გამოსვლა“ (Риббентроп 1996: 74).

რიბენტროპი სხვაგვარად ფიქრობდა, მან ეჭვები გამოთქვა საფრანგეთის ბოლშევიზაციის საფრთხესთან დაკავშირებით: „მე ვთვლიდი, რომ საფრანგეთის ბურჟუაზია არის ძლიერი გარანტი ამ ქვეყნის საბოლოო ბოლშევიზაციის წინააღმდეგ. მე ეს ვუთხარი ფიურერს, მაგრამ უკიდურესად გამიჭირდა მისი იდეოლოგიური პრინციპების ოპონირება, რომელთაც, როგორც ის თვლიდა, მე ვერ ვიგებდი. ჩემს შემფოთებაზე მისი რეაგირება იყო საკმაოდ ნევროზული და მკვეთრად გაწვიტა საუბარი. მან თქვა, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა და საუბარი იყო სრულიად პრინციპულ საკითხებზე, რომელშიც ჩემი წმინდა რეალისტურ-პოლიტიკური აზროვნება არასაკმარისი იყო“ (Риббентроп 1996: 74).

რიბენტროპის ვერსიით, რომელიც სხვადასხვა ავტორების მიერ განსხვავებულად შეფასდა, ჰიტლერმა ჩარევა წმინდა იდეოლოგიური მოსაზრებებით გა-

დაწვევითა, რომ გერმანია არ მოითმენდა არანაირი ფორმით კომუნისტურ ესპანეთის არსებობას. მისი, როგორც ნაციონალ-სოციალისტის ვალია, გააკეთოს ყველაფერი, რათა არ დაუშვას ეს. თუმცა ზემოთ ჩვენს მიერ მოყვანილი საუბრის პირველი ნაწილი ავლენს არა იმდენად ანტიკომუნისტურ ელემენტებს, რამდენადაც სტრატეგიულ პრობლემატიკას. ალბათ, მთლიანობაში, ორივე ფაქტორის კორელაცია შესაძლებელს ხდის, გონივრული ახსნა მოვუძებნოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

რ. უილი არის ერთ-ერთი ავტორი, რომელმაც აჩვენა, რომ ფრანკოს მისიის ჩამოსვლამდე ორი თუ სამი დღით ადრე ჰიტლერი დაკავებული იყო ანტიკომუნისმის თემით, რაც იყო ერთგვარი სატყუარა იაპონიის მოსახიდად. ალბათ იმაში უჩვეულო არაფერია, რომ ეს მოტივი ამ დროს ყოფილიყო გათვალისწინებული (Whealey 1989: 26-27).

უნდა გვახსოვდეს, რომ ფიურერის ყბადაღებულ ანტიკომუნისმს ინსტრუმენტალური როლი გააჩნდა. ეს მოტივი ასრულებდა ფუნქციას, რომელიც მისაღები იყო კონსერვატორი გერმანელებისთვის და პოულობდა მხარდაჭერას, თუნდაც რეალობასთან მას არანაირი კავშირი არ ჰქონოდა. ამ კამპანიით უცხო სახელმწიფოების თვალშიც ბევრი ნაბიჯის გამართლება შეიძლებოდა. ანტიკომუნისტური მოტივით, 1936 წლის მეორე ნახევარში ჰიტლერი ცდილობდა ინგლისის მოზიდვას. გერმანელი დიქტატორის თვალთახედვით, პერსპექტივაში ბრიტანეთთან გათანაბრების პოლიტიკა არ იყო რეალისტური. კომუნისტური საფრთხის წინაშე, ჰიტლერი თვლიდა, რომ ინგლისის „მოითმენდა“ უფრო ძლიერ გერმანიას.

ამერიკელი ისტორიკოსი ჯ. ლუკაჩი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ჰიტლერისთვის „Realpolitik“ იყო იდეოლოგიური მოსაზრებებისა და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე გათვლების ნარევი, რომელიც ბოლომდე შეინარჩუნა და რაშიც ვერაფერს საწინააღმდეგოს ვერ ხედავდა (Lukacs 1998: 140).

25 ივლისის გადაწყვეტილებაში ანტიკომუნისმი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა, თუმცა არსებობს ერთგვარი „საფრთხე“ გადაფასდეს იდეოლოგიური ასპექტები. მისი უკეთ გააზრებისთვის საჭიროა ხედვა გაფართოვდეს და გამოიყოს სხვა ელემენტები.

სტრატეგიულ-ტაქტიკური კომპონენტი. ჰიტლერის სიტყვები, რომელიც გადმოგვცა რიბენტროპმა გვახსენებს 23 ივლისის მადრიდში გერმანიის საელჩოს მრჩევლის კარლ შვენდემანის გამოგზავნილი დეპეშის ტექსტს. მასში მოცემულია ზოგადი ცნობები ესპანეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. რაც შეეხებ

ბა რესპუბლიკის შესაძლო გამარჯვებას, შევნიშნავთ ამბობდა: „მთავრობის გამარჯვების შედეგები იძლევა დაფიქრების საფუძველს. საშინაო კუთხით ესპანეთში განმტკიცდება მარქსისტა ბატონობა, იმ საფრთხით, რომ დამყარდება საბჭოთა ტიპის რეჟიმი. საგარეო კუთხით ესპანეთი იდეოლოგიურად და მატერიალურად საფრანგეთ-სსრკ-ს ბლოკს შეუერთდება (DGFP, D, III: 7).

მსგავსი ინტერპრეტაცია ამ დროს ჩვეულებრივი იყო. როცა შევნიშნავთ დეპეშას წერდა, ველჩევი პარიზიდან თითქმის იმავეს იტყობინებოდა. „ესპანეთის მოვლენები კვლავ დიდი ყურადღების და ინტერესის ცენტრშია, რაც გამომდინარეობს არა მხოლოდ გეოგრაფიული სიახლოვით არამედ მსგავსი საშინაო პრობლემატიკით... უმცირესი ეჭვი არ მაქვს, რომ საფრანგეთის მთავრობა და პარტიები რომლებიც მას მხარს უჭერენ ძალიან შეშფოთებული არიან ესპანეთში სამოქალაქო ომის გამო. ისინი სოლიდარული არიან ესპანეთის მთავრობის მიმართ და განწყობილი არიან არა მხოლოდ მორალურად, არამედ პრაქტიკულადაც დაუჭირონ მხარი. ამაში საშინაო ფაქტორები თამაშობს გადამწყვეტ როლს, მაგრამ ამას ემატება მოსაზრებები, რომ სხვა „ფაშისტი“ მეზობელი სამხრეთით საფრანგეთს საშიშ მდგომარეობაში ჩააყენებს“ (Viñas 2001: 392). ის, რომ ორი დეპეშის შინაარსი იდენტურია, არ არის შემთხვევითი. ასევე არა გამორიცხული შევნიშნავთ დეპეშის შესახებ იცოდნენ ბაიროტიში. მასში ხომ ავტორი საუბრობდა სამოქალაქო ომის დაწყებაზე შექმნილ მდგომარეობაზე და შემდგომ პერსპექტივებზე. ერთ-ერთი პუნქტი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს: „იმ შემთხვევაში, თუ ამბოხებულები შეძლებენ ჯარების დაძვრას მადრიდისკენ, ექნებათ რა ბრძოლის შემდგომი წარმოების საშუალება, შეიარაღებით და თვითმფრინავებით, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვლება... შესაძლოა, სამოქალაქო ომი დიდხანს გაგრძელდეს, შესაბამისად დიდი დანაკარგებით“ (DGFP, D, III: 6).

ჰიტლერისთვის, რომელიც ესპანეთის საქმეებით აქამდე არ ინტერესდებოდა, ყველაფერი აშკარა იყო. თუ სამხედრო ამბოხება გაიმარჯვებდა, დასავლეთ ევროპაში დაირღვეოდა ძალთა ბალანსი იმ სახით, რომ ფრანკოფილური რეჟიმი ესპანეთში შეიცვლებოდა საფრანგეთისადმი მტრული რეჟიმით. ამ სტრატეგიულ უპირატესობას უპირისპირდებოდა კომმარული პერსპექტივა მემარცხენეების გამარჯვების შემთხვევაში: ესპანეთი შექმნიდა ბლოკს საფრანგეთთან და საბჭოთა კავშირთან.

საფრანგეთი იყო მტერი, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა განეიტრალებულიყო. ის მზად იყო მადრიდის მთავრობის დასახმარებლად. 23 ივლისს ბერლინ-

ში ჩამოვიდა ველჩეკის დეპეშა, სადაც იტყობინებოდა, რომ „საფრანგეთის მთავრობამ ესპანეთისთვის შეიარაღების მნიშვნელოვანი ოდენობით მიწოდების მზადყოფნა გამოთქვა“ (DGFP, D, III: 4). ველჩეკს არც იმის მითითება დაეწყო, რომ მადრიდისთვის ბომბდამშენების მიწოდება მკვეთრად გააუარესებდა ამბოხებულთა მდგომარეობას. ამ დეპეშაში ასევე მოცემულია იმ ხმების შესახებ, რომ ფრანკო ცდილობდა 12 ბომბდამშენის შექმნას იტალიაში. ველჩეკის აღნიშნული წერილი, ასევე 23 ივლისის საღამოს მისი სატელეფონო საუბრის შინაარსი (ის იტყობინებოდა, რომ საფრანგეთის კაბინეტის წევრმა დაუდასტურა ცნობა მასალების მიწოდების შესახებ) გადაეცა მომდევნო დღეს თავდაცვის სამინისტროს. ჰიტლერი სრულად იყო ინფორმირებული ამ ხმების შესახებ.²¹

24 ივლისს 16:15 სთ-ზე ტეტუანის საკონსულოდან ვეგენერმა ბერლინში გამოავაზა დეპეშა (საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო იგი 20:05 სთ-ზე),²² სადაც ირწმუნებოდა, რომ საფრანგეთი დაჰპირდა მადრიდის მთავრობას 25 თვითმფრინავს და 12 000 ბომბის გადაცემას (DGFP, D, III: 8). ვეგელაფერი ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ 25 ივლისს საღამოს ბაიროიტში სჯეროდათ, რომ საფრანგეთმა გადაწყვიტა, დახმარებოდა რესპუბლიკის მთავრობას. რეალურად იმ დროს საფრანგეთს არაფერი გადაუცია და ამაზე მეორე თავში ვისაუბრებთ, მაგრამ ამ ცნობების არსებობა გერმანიაში ფორმას უცვლიდა დასავლეთ ევროპაში სტრატეგიული მდგომარეობის გააზრებას.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი. ადმირალ ე. რედერის მოგონებების თანახმად, 22 და 23 ივლისს „ძალზე რთული იყო ჰიტლერის დასტურის მიღება ესპანეთის წყლებში საზღვაო ფლოტის დანაყოფების გაგზავნაზე, რომლებიც დაიცავდნენ გერმანელი ქვეშევრდომების ინტერესებს. მსგავსი ოპერაცია განახორციელა ფრანგულმა და ბრიტანულმა ფლოტმა... ჰიტლერს ეშინოდა რაიმე ინციდენტი არ მომხდარიყო“ (Редер 2004: 270), მაგრამ ორ თუ სამ დღეში ეს შიშები ჰიტლერმა დაძლია და მიიღო გადაწყვეტილება ჩარევის შესახებ, რაც მთელი რიგი პოლიტიკურ-სტრატეგიული მოსაზრებების შედეგი იყო.

ჰიტლერის გადაწყვეტილება ეს იყო სტრატეგიული გათვლა, რომელსაც სარწმუნოდ ედო უფრო „მისაღები“ იდეოლოგიური მოტივი. გადაწყვეტილების

²¹ მით უმეტეს, გერმანული პრესა აჭრელებული იყო ამ ინფორმაციით (Viñas 2001: 393)

²² 24 ივლისს ვეგენერმა ერთდროულად ორი დეპეშა გამოავაზა საგარეო საქმეთა სამინისტროში. (გამოგზავნის დრო 16:15 მიღების დრო 20:05) ესენია დოკუმენტები №6 და № 7 (DGFP, D, III: 7-8), პირველ დოკუმენტზე საუბარი გვქონდა 31-ე გვერდზე.

სტრატეგიულ კომპონენტში, პირველყოფლისა, აღვნიშნავთ, რომ ჩარევა აგრძელებდა საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ ხაზს, რომელმაც მარტში რაინის ზონის რემილიტარიზაციით შთამბეჭდავ წარმატებას მიაღწია. 25 ივლისს ჰიტლერს შეეძლო ეფიქრა, რომ, ფრანკოს გამარჯვების შემთხვევაში, შეზღუდული დახმარების სანაცვლოდ, შეიცვლებოდა სტრატეგიული მდგომარეობა ხმელთაშუა ზღვის რეგიონში. ის, რომ ჰიტლერს სწორედ სტრატეგიულმა მოსაზრებებმა უბიძგა ესპანელი ამბოხებულების და განსაკუთრებით ფრანკოს დახმარებისკენ, დოკუმენტებითაც დასტურდება.

დიპლომატი ჰანს შტილი მოგვიანებით, 1942 წელს, იხსენებდა ჰიტლერის განცხადებას, რომელიც მან პირადად 6 წლით ადრე მოისმინა: „როცა ფიურერმა ობერზალცბერგში 1936 წლის ნოემბერში სალამანკაში გამგზავრებამდე მიიღო გენერალი ფაუპელი და მისი თანამშრომლები, მათ მისცა ინსტრუქციები, არ ჩარეულიყვნენ ესპანეთის საშინაო პოლიტიკაში. როგორც მახსოვს, ფიურერმა უთხრა მათ, რომ მისთვის სულერთი იყო პოლიტიკური სისტემა, რომელიც იქნებოდა ესპანეთში ომის ბოლოს... მისი მიზანი იყო, ხელი შეეშალა იმისთვის, რომ ესპანეთის საგარეო პოლიტიკა არ ყოფილიყო პარიზის, ლონდონის თუ მოსკოვის გავლენის ქვეშ, იმისთვის, რომ ევროპაში წესრიგის შეცვლისას ესპანეთი არ აღმოჩნდეს მტრების მხარეს, არამედ მხოლოდ გერმანიის მეგობრების რიგში” (Viñas 2001: 395, Smyth 1984: 255).

ჰიტლერის მიზნების გასაგებად უმნიშვნელოვანესია მისი განცხადება 1937 წლის 29 აპრილს ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრებთან შეხვედრისას ფოგელზანგში: „ყველამ კარგად უწყით, რომ ესპანეთში ჩვენ არ ვიმყოფებით როგორც უბრალო დამკვირებლები. ამას ჩვენ ვაკეთებთ იმიტომ, რომ ვერ ვიქნებით გულგრილი ეს ქვეყანა იქცეს ბოლშევიკურად და საფრანგეთის დანამატად. პირიქით, ჩვენ უნდა გვსურდეს, ესპანეთმა ნებისმიერ ფასად შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებლობა. ჩვენთვის სულერთია, ვინ მართავს მას, ისევე როგორც პრინციპები და იდეები, რომელიც იქ ბატონობს. ჩვენი მიზანი არ არის ესპანეთში ნაციონალ-სოციალიზმის გავრცელება, რაც ვთვლი, რომ, გარდა იმისა, რომ არის სრულიად ზედმეტი და აბსურდული, სრულიად შეუძლებელია. ჩვენი ერთადერთი სურვილია, იქ არ დამყარდეს ბოლშევიკური წყობა, სახელმწიფო, რომელიც იქნება სახმელეთო ხიდი საფრანგეთს და აფრიკას შორის. ასეთია ჩვენი სურვილი და ამ კუთხით გვაინტერესებს ჩვენ ის. ...ყველა თქვენგანმა იცის, რომ როცა გერმანიამ აღმოუჩინა დახმარება ესპანეთს, ეს მან გააკეთა მხოლოდ იმ-

იტომ, რომ ასე იყო საჭირო ჩვენი ქვეყნისთვის და როცა იქ გერმანელი ეცემა ბრძოლის ველზე, ის ეცემა გერმანიისთვის” (Hitler Speeches II 1990: 890).

რევოლუციის საფრთხემ ესპანეთში, ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ საფრანგეთის სახალხო ფრონტის მთავრობა ემზადებოდა სამხედრო დახმარების აღმოსაჩენად და ვარაუდმა, რომ ორივე ფაქტი საფრანგეთის მოკავშირე ესპანეთის გაჩენას გამოიწვევდა, განაპირობა ის, რომ ჰიტლერის პასუხი შექმნილ სიტუაციაში, რომელიც მოულოდნელად გაჩნდა, იყო ფარული და შეზღუდული ჩარევა.

წმინდა სტრატეგიულ მოსაზრებებს შეიძლება დაემატოს სხვა ტაქტიკური ხასიათის ელემენტები. უკვე ვიცით, რომ 25-26 ივლისის ღამეს, როცა ჰიტლერმა მიიღო გადაწყვეტილება იცოდა, რომ ამბოხებულები გაგზავნიდნენ დახმარების თხოვნას მუსოლინისთან. გერმანიის ჩარევა იტალიისგან დამოუკიდებლად გადაწყდა, მაგრამ ჰიტლერს არ შეეძლო, არ სცოდნოდა მუსოლინის შფოთის მიზეზი, იმ მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქმნა ხმელთაშუა ზღვაზე. რ. უილი ამტკიცებს, რომ ჰიტლერის მიზნები იყო უფრო დიპლომატიური, ვიდრე სამხედრო. ის ჩაერთა ესპანეთის საქმეებში რომის და პარიზის რეაქციის შესაბამისად. (Whealey 1989: 9).

ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: ჰიტლერის გადაწყვეტილება მოტივირებული იყო სტრატეგიული მოსაზრებებით, რომელთაგანაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული იდეოლოგიური ასპექტი (ცალ-ცალკე მათი განხილვა თითქმის შეუძლებელია) და არა იმდენად ეკონომიკური ან სამხედრო მოტივით. დახმარება აღმოჩენილ იქნა უპირობოდ და დაუყოვნებლივ. ყველა მოტივს (ტექნიკური, სამხედრო, ეკონომიკური, იდეოლოგიური, სტრატეგიული და ტაქტიკური) სამოქალაქო ომის სხვადასხვა ეტაპზე ცვალებადი ხასიათი და როლი ჰქონდა.

ბაიროიტში ჰიტლერმა გამოავლინა შემდეგი ტაქტიკა – საგარეო პოლიტიკაში შეზღუდული რისკის დაშვება, რომელიც უკან დახევის შესაძლებლობასთან იყო კომბინირებული, თუ დაინტერესებული ქვეყნებიდან იქნებოდა ნამდვილი წინააღმდეგობა. ფრანკოსთვის დახმარების გადაწყვეტილება წახალისდა პირველივე მომენტიდან, რადგან, რაინის კრიზისის მსგავსად, წინააღმდეგობა არ ყოფილა საფრანგეთ-ინგლისის მხრიდან.

მუსოლინის მოტივები. რა გახდა მუსოლინის თავდაპირველი პოზიციის შეცვლის მიზეზი და რა მოტივები ამოძრავებდა დუნეს? მ. ჰეიბერგი სწორად აღნიშნავს, რომ: „იტალიის მიერ ჩარევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება დოკუ-

მენტებითაა გამყარებული, და თუ საკმარისად კარგად ვიცით, როდის და ვის მიერ იქნა იგი მიღებული, ძნელია გარკვევა, თუ რა მოტივებმა უბიძგა მუსოლინის ეს ნაბიჯი გადაედგა (Heiberg 2004: 64). მისი რწმენით, შესაძლოა ჩარევის გადაწყვეტილებაში იყო დიდი დოზით იმპროვიზაცია და ოპორტუნიზმი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ გადაწყვეტილება მუსოლინის მუდამ აგრესიული პოლიტიკური ხაზის ნაწილი იყო (Heiberg 2004: 80).

დავიწყოთ იმით, რომ ამბობებულთა თხოვნამ, მიუხედავად დუქეს თავდაპირველი ყოყმანისა, ერთგვარად დააკმაყოფილა მისი პატივმოყვარეობა. დღეებში, რომელიც უსწრებდა ესპანეთის სამოქალაქო ომს, მუსოლინი უკიდურესად კმაყოფილი იყო, რადგან ეთიოპიის კამპანია წარმატებით დასრულდა. „მართალია, ეთიოპიის დაპყრობა იტალიას არ აძლევდა კონკრეტულ უპირატესობას, ამ აქციის მთელი პროზიტივი სახელმწიფოს და საკუთარი იმიჯის ამაღლებაში მდგომარეობდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება იტალიის, როგორც ძლიერი კოლონიური სახელმწიფოს შესახებ, რომელიც უკვე ფლობდა არა მხოლოდ „უდაბნოთა კოლექციას“ (როგორადაც იმ დროს ღიბია ითვლებოდა), არამედ იმპერიას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით“ (Нольчи 2003: 208). რეჟიმის ხასიათი და მუსოლინის ტემპერამენტი მეტყველებდა იმაზე, რომ იტალია ასე იოლად არ დამშვიდდებოდა და „დაპყრობების“ განვრცობას შეეცდებოდა. თავის ძველ თანამებრძოლთან ოტავიო დინალესთან საუბარში დუქემ განაცხადა, რომ „ეთიოპიის დაპყრობა წარმოადგენს არა თვითმიზანს, არამედ ნაბიჯს სხვა მიზნების მისაღწევად, რომელიც უკვე მომწიფდა ჩემს გონებაში“ (Смит 1995: 234). ამავე დროს, არ იყო აუცილებელი ახალი საგარეო წარმატების მოპოვება მაინცდამაინც ტერიტორიული შენაძენის ფორმით მომხდარიყო. იგი ფაშისტური იტალიის ძალაუფლების გამოვლენის და პრესტიჟის ამაღლების გზითაც იყო შესაძლებელი. ამის დამტკიცების საუკეთესო არეალი 1936 წელს იყო ხმელთაშუა ზღვა. ტრადიციულად, იტალიელი ნაციონალისტები ბალკანეთისა და დუნაის აუზისკენაც ხარბად იმზირებოდნენ. ამ მხრივ გამონაკლისს არც მუსოლინი წარმოადგენდა. ამ რეგიონში, ხმელთაშუა ზღვისგან განსხვავებით, დიდი ბრიტანეთის გავლენა სუსტი იყო, სამაგიეროდ საფრანგეთს და გერმანიას ჰქონდათ დიდი ინტერესები. ბალკანეთში ან აღმოსავლეთ ევროპაში „სტატუს ქვოს“ შეცვლის ნებისმიერი მცდელობა პარიზის და ბერლინის მწვავე რეაქციას გამოიწვევდა, სამაგიეროდ, ხმელთაშუა ზღვისადმი გერმანია სრულიად ინდიფერენტული იყო. სავარაუდოდ, იგი მხარს დაუჭერდა მუსოლინის მისწრაფებებს ამ რეგიონში. მოგვიანებით

გერმანიის იუსტიციის მინისტრი ჰანს ფრანკი ჩიანოსთან საუბარში აცხადებდა: „ფიურერი ხმელთაშუა ზღვას განიხილავს როგორც იტალიურ ტბას. იტალიას აქვს უფლება, პრივილეგირებული პოზიცია ეკავოს აქ... გერმანიის ინტერესები მიმართულია ბალტიის ზღვისკენ, რომელიც ჩვენი ხმელთაშუა ზღვაა“ (Ciano 1948: 44).

ამრიგად, ახალი ავანტიურისთვის მუსოლინი მზად იყო, მაგრამ ესპანეთის საშინაო კონფლიქტში ჩარევა, თუნდაც შეზღუდული რისკის ფასად, მაინც რთული გადასაწყვეტი აღმოჩნდა. ძნელია გარკვევა, კონკრეტულად რამ უბიძგა მუსოლინის თავდაპირველი პოზიციის შეცვლისთვის. ამ დროს ჩვეულებრივ გამოყოფენ რამდენიმე ფაქტორს, რომელთა შორის ყველაზე გამოკვეთილია საფრანგეთის ფაქტორი (სტრატეგიული) და ხმელთაშუა ზღვის რეგიონში კომუნიზმის გავრცელების შიში.

საფრანგეთის დახმარების შესახებ მუსოლინის საკმარისი ინფორმაცია ჰქონდა. მას კარგად ესმოდა, რას ნიშნავდა საფრანგეთის მთავრობის ეს გადაწყვეტილება, იარაღი მიეწოდებინა სახალხო ფრონტის მთავრობისთვის. გაწეული დახმარებისთვის ესპანეთის მთავრობა, მაღლიერების გრძნობიდან გამომდინარე, საფრანგეთთან მჭიდრო თანამშრომლობით უპასუხებდა, „რასაკვირველია, იტალიის ხარჯზე“ (Coverdale 1975: 74-75). 26 ივლისს იტალიის ელჩმა პედრაციმ ჩიანოს ყურადღება გაამახვილა ესპანეთის სოციალისტების ლიდერის ლარგო კაბალიეროს ინტერვიუზე. ამ უკანასკნელმა ფრანგ ჟურნალისტთან საუბარში განაცხადა, რომ ამბოხების ჩახშობის შემდეგ ესპანეთში ხელისუფლების სათავეში მოვიდოდა სოციალისტური მთავრობა, რომელიც უარს იტყვოდა ნეიტრალიტეტზე და თავის ადგილს დაიკავებდა სხვა დემოკრატიული მთავრობების გვერდით ანტიდემოკრატიული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში (DDI, VIII, 4: 704). ამის საპირისპიროდ, თუ ნაციონალისტები იტალიის დახმარების წყალობით გაიმარჯვებდნენ, ისინი ანტიფრანგულ პოლიტიკას გაატარებდნენ. მუსოლინის გადაწყვეტილებაში ამ მოტივის მნიშვნელობაზე უთითებს გოიკოენჩასთან შეხვედრის დროს ჩიანოს დაჟინებული მოთხოვნა 1934 წლის შეთანხმებით გათვალისწინებული პუნქტებისთვის დაემატებინათ შემდეგი ვალდებულება – 1935 წლის ესპანეთ-საფრანგეთის შეთანხმების დენონსირება.

ი. სასის და მ. ალპერტისთვის ეს მოტივი უმთავრესია (Saz 1986/a: 201 Alpert 1994: 38), მაგრამ, ჯ. კოვერდეილის და რ. დე ფელიჩესგან განსხვავებით, მათთვის გადაწყვეტილებას არ ჰქონდა თავდაცვითი ხასიათი (ანუ, რომ იტალიას

დაეცვა თავისი პოზიცია საფრანგეთის გადაწყვეტილების პირისპირ) და ისინი თვლიან, რომ მას უფრო შეტევითი ხასიათი ჰქონდა მიღებული მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა საფრანგეთის გადაწყვეტილება, აეკრძალა დახმარების გაგზავნა საპარლამენტო ოპოზიციის და ინგლისის პოზიციის გამო. ცნობამ იმის თაობაზე, რომ ესპანურმა გემმა „სიუდად დე ტარაგონამ“ ცარიელმა დატოვა მარსელი, აფიქრებინა დუჩეს, რომ საფრანგეთმა გამოავლინა სისუსტე და გადააწყვეტინა მას დახმარების აღმოჩენა. საფრანგეთის უკან დახევის პირისპირ, შეზღუდული რისკით და მცირე ფასად, იტალიას შეეძლო ეპოვნა მოკავშირე ხმელთაშუა ზღვის რეგიონში (Campo Rizo 2009: 19-20).

მთავარი ის არის, რომ საფრანგეთის პოზიცია მნიშვნელოვანი იყო მუსოლინის გადაწყვეტილებაში, თუმცა საფრანგეთიდან მოსული ინფორმაციები დახმარების თუ სისუსტის გამოვლენის შესახებ ამ მიმართებით თანაბრად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. მუსოლინის ორივე შემთხვევაში შეეძლო ჩარევის გადაწყვეტილება მიეღო.

ანტიკომუნიზმი სტრატეგიულ მოტივთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ი. სასი, გამოყოფს რა მუსოლინის გადაწყვეტილებაში 4 ძირითად ასპექტს, პირველ ადგილზე აყენებს იდეოლოგიურ მომენტს, რომელშიც ასევე გამოყოფს კომუნიზმის საფრთხისადმი შიშს, თუმცა იქვე დასძენს, რომ საეჭვოა ესპანეთში ანტიფაშისტების გამარჯვებას სერიოზული საფრთხე შეექმნა იტალიის ფაშისტური რეჟიმისთვის (Saz 1986/b: 229).

მუსოლინიმ თავის მეუღლესთან რაკელთან საუბრისას განაცხადა შემდეგი: „ბოლშევიზმი ესპანეთში ნიშნავს ბოლშევიზმს საფრანგეთში, ბოლშევიზმს იტალიის ზურგში და ევროპის ბოლშევიზაციას“ (Stone 1989: 201). ესპანეთიდან მოსული, აშკარად გაზვიადებული ცნობები საგანგაშო იყო ფაშისტებისთვის. ამ ცნობებში საუბარი იყო კომუნისტური გადატრიალების საფრთხის შესახებ და, შესაბამისად, იტალიის ჩარევა მართლდებოდა მოტივით: „იტალია ესპანეთს არ დაუთმობს ბოლშევიკებს“. მუსოლინის შიშები ესპანეთის გაწითლების გამო, (სხვა საქმეა, რამდენად საფუძვლიანი) სულ უფრო იზრდებოდა. ამ ასპექტში მის გულწრფელობაში უცხოელ ელჩებს ეჭვი არ ეპარებოდათ. იტალიაში გერმანიის საელჩო იტყობინებოდა: „ესპანეთის მთავრობის გამარჯვება რომში განიხილება როგორც კომუნიზმის გამარჯვება“ (DGFP, D, III: 38). თითქმის იგივეს ამბობდა ინგლისის ელჩიც. „მოსკოვის ხელზე“ მუსოლინი და ჩიანო ხმამაღლა გაჰყვიროდნენ, თუმცა შემფოთების საფუძველი ჯერჯერობით არ ჰქონდათ. საბჭოთა

კავშირი ჩარევას რომ არ აპირებდა, ეს მუსოლინიმ კარგად იცოდა. 27 ივლისს მას უკვე ჰქონდა მოსკოვში იტალიის ელჩის ვ. ბერარდისის დეპეშა (გამოიგზავნა ოთხი დღით ადრე), რომელიც, სანდო წყაროებზე დაყრდნობით, იტყობინებოდა: „საბჭოთა მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს, ჩათრეულ იქნას ესპანეთის შიდაპოლიტიკურ კრიზისში, სადაც შეუძლებელია რაიმე მოიგოს, სამაგიეროდ დასაკარგი ძალიან ბევრია“ (DDI, VIII, 4: 675-677). იმ გარემოებამ, რომ საბჭოთა კავშირი ნეიტრალიტეტის დაცვას აპირებდა, დაარწმუნა მუსოლინი, ამბოხებულებს დახმარებოდა.

იტალიის დახმარება ამბოხებულთათვის ხშირად განიხილება როგორც საკუთარი ფაშისტური რეჟიმის დაცვის სურვილი და ამას ღუჩე და ჩიანო ხშირად უსვამდნენ ხაზს (Stone 1989: 201). 1937 წლის ოქტომბერში ესპანეთში დაჭრილი ჯარისკაცების მედლებით დაჯილდოების ცერემონიაზე წარმოთქმულ სიტყვაში ჩიანომ დასვა კითხვა, იყო თუ არა გამართლებული იტალიის დანაკარგები და თვითონვე უპასუხა: „დიახ! პასუხი არის – დიახ! მაღაგაში, გვადალახარაში, სანტანდერში ჩვენ ვიბრძოდით ჩვენი ცივილიზაციის და ჩვენი რევოლუციის დასაცავად“ (Coverdale 1975: 83). ამ კონტექსტში ერთ-ერთი მოტივი, რომელიც სერიოზულ ლიტერატურაში უარყოფილია, ეს არის ფაშიზმის ექსპორტი, ანუ ის, რომ მუსოლინის ჩარევა ესპანეთის სამოქალაქო ომში ფაშიზმის გავრცელების მიზნით მოხდა. ჩიანოს ზემოთ მოყვანილი სიტყვები, სადაც ფაშიზმის დაცვაზე საუბარი და არა მის გავრცელებაზე, ერთგვარად აბათილებს მას. თუმცა არ უარყოფთ იმის შესაძლებლობასაც, რომ იტალიელებს ესარგებლათ დახმარების ნაყოფით და მოეხდინათ ესპანეთის ახალი რეჟიმის ფაშიზაცია. იდეოლოგიურად მუსოლინის ამის ნაკლები მოლოდინი შეიძლება ჰქონოდა. ესპანეთთან ყველა კონტაქტები და ინფორმაცია დაკავშირებული იყო არა ფაშისტურ ჯგუფებთან, არამედ კონსერვატიულ, მონარქისტულ ძალებთან. ამიტომ ესპანეთში ფაშისტური ან მსგავსი რეჟიმის დამყარებაზე მეტად მუსოლინის მიზანი იყო ფრანკოფილური და ანტიფაშისტური რეჟიმის დამხობა. ამ თვალსაზრისით, ეს მოტივი იყო ინსპირირებული ისევ და ისევ ფაშიზმის დაცვით, ვიდრე მისი ექსპორტით (Campo Rizo 2009: 21).

სტრატეგიული მოტივიდან კიდევ ერთი ასპექტის გამოყოფაა შესაძლებელი. მუსოლინიმ კარგად იცოდა ჰიტლერის გადაწყვეტილების შესახებ, დახმარება გაეწია აჯანყებულთათვის. ფრანკომ ხელსაყრელ მომენტში რამდენჯერმე გააკეთა მინიშნება, რომ გერმანიას შეეძლო მეტი სარგებელი ენახა. ამას თავისუფ-

ლად შექმნილი გარკვეული როლი ეთამაშა მუსოლინის გადაწყვეტილებაში.

მეორეხარისხოვანი მოტივებიდან გამოყოფთ ეკონომიკურ მოტივებს. რატომ უნდა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში რაღაც დოზით იქნებოდა ეს მოტივიც: ესპანურ ბაზარზე შეღწევა, ნედლეულის მოპოვება, სავაჭრო პრივილეგიების მიღება და ა.შ. ამას მიუთითებს 1934 წლის შეთანხმების პუნქტები ან, მოგვიანებით, 1936 ნოემბერში ფრანკოსთან დადებული შეთანხმება, მაგრამ იტალიის შემთხვევაში ეს ყოველთვის მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა.

სხვა მოტივი, რომელიც თანდათან გამოიკვეთა და არავითარი კავშირი თავდაპირველ გადაწყვეტილებასთან არ ჰქონდა, ეს არის გერმანიასთან დაახლოების გზების ძიება. მუსოლინის სურვილი, ჩარევის გზით ეჩვენებინა გერმანიისთვის თავისი, როგორც პოტენციური მოკავშირის მიმზიდველობა, უფრო გვიანდელ პერიოდს განეკუთვნება.

თავი II

ესპანეთის სამოქალაქო ომი და „ჩაურევლობის პოლიტიკა“

§1. ესპანეთში სამხედრო ამბოხების დაწყება და საფრანგეთის პოზიცია

ესპანეთის სამოქალაქო ომის ინტერნაციონალიზაციის საქმეში საფრანგეთს ცენტრალური ადგილი უკავია. საფრანგეთის სახალხო ფრონტის მთავრობისათვის, რომელსაც სოციალისტი ლეონ ბლუმი ხელმძღვანელობდა ესპანეთის კონფლიქტი პირველი სერიოზული გამოწვევა იყო.

ზოგადად ბლუმის პიროვნება მუდამ იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას. პოლიტიკური ოპონენტები მას რენეგატს უწოდებდნენ. საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანი მორის ტორესი ბლუმს „ეშმაკ პოლიტიკანს“, „ჭორების დიდოსტატს“ და „მოღალატეს“ ეძახდა, რომელმაც თავისი მეგობარი კაპიტალისტების გულის მოსაგებად სახალხო ფრონტის დიადი საქმე დაასამარა (Topez 1959: 461-481). კომუნისტები მას ესპანეთის რესპუბლიკის დალატს ბოლომდე ვერ პატიობდნენ. ულტრა-მემარჯვენეებისთვის ეროვნებით ებრაელი და პოლიტიკური მრწამსით სოციალისტი, ლეონ ბლუმი ორმაგ ბოროტებას წარმოადგენდა. 1936 წელს ფრანგული ნაციონალიზმის და ანტისემიტის სულის ჩამდგმელმა შარლ მორასმა, მისი ხელისუფლებაში მოსვლა შეაფასა, როგორც, არც მეტი, არც ნაკლები, ებრაული ბანდის გამარჯვება (Вершинин 2013: 132). დღეს ეს ადამიანი ოფიციალურად არის შეყვანილი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეების პანთეონში. მის პოლიტიკურ გამოცდილებაზე საუბრობენ როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე პოლიტიკური ძალები. 2007 წლის საპრეზიდენტო კამპანიის დროს ნიკოლა სარკოზიმ ერთ-ერთ გამოსვლაში განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა ბლუმის დამსახურებაზე კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე სიტყვაში მისთვის საამაყო პირების ჩამონათვალში ბლუმიც იყო დასახელებული.²³ ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა სოციალისტური პარტიის 100 წლისთავთან დაკავშირებით მიძღვნილ ღონისძიებაზე (2005 წლის 22-23 აპრილი)

²³ სრული ჩამონათვალი იყო ლუი IX, ვოლტერი, ჰიუგო, ჟორჟი, ბლუმი, დე გოლი, შუმანი და მონე. იხ.: Les discours des présidentiables. Nicolas Sarkozy, Réunion des Comités de soutiens locaux à la Mutualité (11/02/07). <http://sites.univ-provence.fr/veronis/Discours2007/transcript.php?n=Sarkozy&p=2007-02-11>.

განაცხადა, რომ ბლუმის პოლიტიკური გამოცდილება „დღემდე არის სამაგალითო და საორიენტაციო კომპასი“ («boussole»)²⁴

როგორც ითქვა, 1936 წლის ივლისში საფრანგეთის სახალხო ფრონტის მთავრობა სერიოზული დილემის წინაშე დადგა: ან უნდა გაეგზავნა იარაღი და დახმარებოდა ესპანეთის მთავრობას, ან მკაცრად დაეცვა ჩაურევლობის პრინციპი. ლეონ ბლუმი საკუთარი იდეების და პოლიტიკური აუცილებლობის გზასა-ყარზე აღმოჩნდა. სამოქალაქო მშვიდობისთვის ესპანეთის გაწირვა გახდა საჭირო. ის საკუთარი თავის წინააღმდეგ წავიდა, მაგრამ როგორც 1936 წლის ოქტომბრის ერთ ღამეს, იმ დროს პოლკოვნიკ შარლ დე გოლთან აცხადებდა, „როცა მთავრობის მეთაური ხდები, შეხედულებებიც გეცვლება“ (Вершинин 2013: 149).

ჩაურევლობის პოლიტიკის ოფიციალურ გაფორმებამდე საფრანგეთის სახალხო ფრონტის მთავრობამ ხუთი გადაწყვეტილება მიიღო: 1) 22 ივლისის გადაწყვეტილება ესპანეთის მთავრობისთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ; 2) 25 ივლისის გადაწყვეტილება ყველანაირი დახმარების აკრძალვის შესახებ; 3) 1 აგვისტოს გადაწყვეტილება დაინტერესებული ქვეყნებისთვის ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შეთანხმების შეთავაზების შესახებ 4) 1/2 აგვისტოს გადაწყვეტილება – იტალია-გერმანიის ჩარევის ფონზე – დახმარების განახლების შესახებ; და 5) 8/9 აგვისტოს გადაწყვეტილება მკაცრი ჩაურევლობის პოლიტიკის გატარების შესახებ.

ამ გადაწყვეტილებებიდან რეალურად მნიშვნელოვანია პირველი ორი, დანარჩენი კი ან პირველის განახლებაა, ან მეორის დაზუსტება. ისტორიკოსებს დიდი ხანია აწუხებს კითხვა, თუ რა მოხდა 22-დან 25 ივლისამდე და რამ გამოიწვია თავდაპირველი გადაწყვეტილების შეცვლა? შევეცდებით პირველწყარობის და კომპეტენტური ლიტერატურის შესწავლისა და მათი ანალიზის საფუძველზე მოვახდინოთ მოვლენების ზუსტი რეკონსტრუქცია და ადეკვატური შეფასება, თუმცა, აქედანვე უნდა განვაცხადოთ, რომ საფრანგეთის მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღების სრული ისტორია ალბათ არასდროს იქნება მოყოლილი. ლეონ ბლუმის პირადი არქივი ნაკლებ შუქს ჰფენს გადაწყვეტილების მიღების პროცესს და არც მესამე რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს შემოუნახავს ამ საკითხებზე გამართული დისკუსიების ჩანაწერი. ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში ჭარბობს ტენდენციური მემუარები და თავის გასამართლებელი მტკიცე-

²⁴ Le journal du centenaire Colloque «100 ans de socialisme». Discours de François Hollande. http://centenaire.parti-socialiste.fr/article.php3%3Fid_article=379.htm.

ბები, რომელიც გაკეთდა 1945 წლის შემდეგ.

ზუსტი სურათის აღსადგენად მიყვებით მოვლენების განვითარებას. ესპანეთის ახალმა მთავრობამ ხოსე ხირალის მეთაურობით ომის ინტერნაციონალიზაციის საქმეში პირველი ნაბიჯი გადადგა და 19-20 ივლისის ღამეს საფრანგეთის მთავრობის მეთაურის სახელზე გააგზავნა სასწრაფო, დაუშიფრავი დეპეშა: „გაოცებული²⁵ საშიში სამხედრო აჯანყებით, გთხოვთ დაგეგმართ იარაღით და თვითმფრინავებით. ძმური საღამით, თქვენი ხირალი“ (Les événements survenus en France ... 1947: 215). მართალია, დეპეშა მოკლე იყო, მაგრამ მრავლისმეტყველი. ისტორიკოსი ტუნიონ დე ლარას აზრით, ლეონ ბლუმმა აღნიშნული დეპეშიდან გაიგო, რომ ესპანეთში საქმე სერიოზულად იყო, მაშინ, როცა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ იცოდა თითქმის ყველაფერი მეზობელ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შესახებ (Tuñón de Lara 1991: 172). თუმცა ესპანეთში საფრანგეთის ელჩი ჟან ერბეტის მიერ გამოგზავნილი ოფიციალური დოკუმენტების შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ მოვლენებში დიდად გათვითცნობიერებული არც კე დ'ორსე იქნებოდა.

კერძოდ, რა ოფიციალურ ინფორმაციას ფლობდა საგარეო საქმეთა სამინისტრო? ჯერ კიდევ 17 ივლისს ჟან ერბეტმა პარიზში 16:15 სთ გაგზავნა კონფიდენციალური დეპეშა, სადაც ხაზს უსვამდა გაურკვეველ ვითარებას რომელმაც ქვეყანაში დაისადგურა გვარდიის ლეიტენანტ ასალტოს და მონარქისტთა ლიდერის კალვო სოტელოს მკვლელობების გამო: „გამეფებულია (ყრუ) შფოთის მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია არა საპარლამენტო შეხლა-შემოხლის პერსპექტივით, არამედ უფრო იმ ზოგადი განწყობით, რომ მიმდინარე გარემოებები ხელსაყრელია არსებული რეჟიმის ძალისმიერი დამხობისთვის... ასევე უწყვეტ რეჟიმში ვრცელდება ხმები სამხედრო გადატრიალების შესახებ. სოციალისტური მილიცია მიმართავს უსაფრთხოების ზომებს“ (DDF, II, 2: 483). 18 ივლისს დილით თვითონ ელჩმა, რომელიც, სხვა ელჩების მსგავსად, სან-სებასტიანში იმყოფებოდა, საფრანგეთის საელჩოს მდივან რენე ბონჟენისგან დეტალური ინფორმაცია მიიღო. დღის 14:20 სთ-ზე, ერბეტმა გადაწყვიტა პარიზში წერილის გაგზავნა, რომელშიც შექმნილი მდგომარეობის პირველ დიაგნოსტიკას ახდენდა.

²⁵ აღნიშნული დეპეშა არქივებში არ მოიპოვება და ზოგჯერ ოდნავ განსხვავებული სახითაც გვხვდება, მაგალითად, „გაკვირვებულის“ ნაცვლად „შეშფოთებული“ და ა.შ., თუმცა არსი უცვლელია. ამასთან დაკავშირებით იხ. Pereira Castañares J. Campos M. Francia ante el inicio de la Guerra Civil de la promesa de ayuda a «La no Intervención laxa», 2013: 146, note 4.

წერილი შედარებით დამამშვიდებელი იყო. „მადრიდში წინა დამეს ცნობილი გახდა მელილიაში სამხედრო აჯანყების შესახებ... დილისთვის დედაქალაქში მთავრობა აკონტროლებს სიტუაციას. სამხედრო აჯანყების კერები, რომლის გავრცელებაც ჯერ უცნობია, იქნება ესპანეთის მაროკო და, შესაძლოა, საზღვაო ფლოტი“ (DDF, II, 2: 483). შუალედურ ეტაპზე ისევ აგზავნიან ცნობას, მაგრამ ამჯერად უფრო ამბობენ: „ვრცელდება ხმები კანარის კუნძულებზე (გენ. ფრანკო) და ბალეარის კუნძულებზე (გენ. გოდელი) ამბოხების შესახებ, ასევე ხმები, რომლის მიხედვითაც ამბოხებული რაზმები მაროკოში სასტიკად გაუსწორდნენ მთავრობის მომხრეებს. არის ცნობები, რომ აჯანყებულთა სამხედრო ერთეულები მიიწვევენ მადრიდისკენ... რთული იქნება მისი /სამხედრო ამბოხება/ დამარცხება“ (Monje Gil 2006: 5).

ხირალის ცნობილი დეკემბრის მიღებიდან მომდევნო 72 საათში მოვლენები ელვისებურად განვითარდა. 20 ივლისის საღამოსვე ხირალმა ტელეფონით შეატყობინა ესპანეთის ელჩს პარიზში ხ. კარდენასს, რომ უმოკლეს დროში პარიზში ესპანეთის საპატიო ძალების ორი ოფიცერი ჩავიდოდა. მათ უნდა მოეგვარებინათ თვითმფრინავების გადაცემის საკითხი, ასევე დააკონკრეტა ტექნიკის და საბრძოლო მასალების რაოდენობა, რომელიც კანონიერ მთავრობას სასწრაფოდ სჭირდებოდა. ჩამონათვალი ასე გამოიყურებოდა: 20 ბომბდამშენი თავისი ეკიპირებით, 8 მმ კალიბრის 1000 „ლეგელის შაშხანა“ მილიონი ვაზნით, 50 ტყვიამფრქვევი „Hotchkiss“ 12 მილიონი ვაზნით, 8 ცალი 75 მმ ქვემეხი „Schneider“ თითო 2000 სარტილერიო ჭურვით (DDF, II, 3: 61). ამ ეტაპზე ეს შეიარაღება საკმარისი იქნებოდა ნახევარკუნძულზე აჯანყების ჩასახშობად. როგორც ა. ვინიასი სამართლიანად აღნიშნავს, ეს თხოვნა „არ ნიშნავდა ჩარევის მოთხოვნას“, „საუბარი იყო მხოლოდ ელემენტარულზე“ (Viñas 2006/a: 29). მეორე დღეს, 21 ივლისს ორი ესპანელი ოფიცერი კაპიტანი ისმაელ ვარლეტა დე კინტანა და მაიორი ხუან აბოალი აბოალი ჩავიდა პარიზში.

ერთი შეხედვით, არ არსებობდა მიზეზი, რომლის გამოც საფრანგეთს უარი უნდა ეთქვა ესპანეთის თხოვნაზე. ლეგიტიმური მთავრობა ითხოვდა მეგობარი მთავრობისგან დახმარებას. ამასთან, 1935 წლის დეკემბერში საფრანგეთ-ესპანეთს შორის გაფორმებული სავაჭრო შეთანხმების საიდუმლო მუხლი ითვალისწინებდა ვალდებულებას, რომლითაც ესპანეთს საფრანგეთისგან უნდა შეეძინა საბრძოლო მასალები 20 მლნ ფრანკის ოდენობით (Pereira Castañares 2013: 147). ორი მთავრობის იდეოლოგიური მსგავსება აადვილებდა საქმეს: ორივე იყო სა-

ხალხო ფრონტის იდეის პროდუქტი, რომლის კოალიციაში იყვნენ კომუნისტებიც. აჯანყებული გენერლების გამარჯვება, რომელთა სიმპათია იტალია-გერმანიისკენ იხრებოდა, სერიოზულად გაართულებდა საფრანგეთისთვის პირინეების დაცვას. თუ რაინის ზონის რემილიტარიზაციით საფრთხე შეექმნა მის აღმოსავლეთ საზღვრებს, ახლა უკვე დღის წესრიგში იდგა სამხრეთ-დასავლეთ საზღვრის უსაფრთხოება,²⁶ ანუ იდეოლოგიური და ეროვნული ინტერესები მოითხოვდა, რომ საფრანგეთს დახმარება გაეწია რესპუბლიკისთვის. ამასთან, ესპანელი მეამბოხეები საფრანგეთის მიმართ კეთილგანწყობილი არ იყვნენ. გენერალმა კეიპო დე ლიანომ გულახდილად განაცხადა, რომ მათი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე საფრანგეთთან ყველანაირი ურთიერთობები შეწყდებოდა.

ბლუმი მზად იყო ესპანეთის კანონიერი მთავრობის დასახმარებლად, მაგრამ კარგად ესმოდა, მისი ეს სურვილი რა საფრთხეებს მოიცავდა, როგორც საფრანგეთის, ისე ევროპისთვის. მოგვიანებით ის რიტორიკულ შეკითხვასაც კი სვამდა, „თუ იქნებოდა შესაძლებელი ესპანეთის კანონიერი მთავრობის დახმარება ამის საპასუხოდ ამბოხებულთათვის ჰიტლერის და მუსოლინის დახმარების გარეშე?“ (Gallagher 1971: 57). 20-22 ივლისს შორის საფრანგეთის პრემიერ მინისტრმა განიხილა დახმარების შესაძლებლობა მინისტრებთან, რომლებსაც უშუ-

²⁶ ამ პრობლემას საფრანგეთისთვის ყოველთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ეს თავის დროზე კარგად ესმოდა მაზარინის, როცა 1659 წელს დადო ესპანეთთან ცნობილი პირინეის ხელშეკრულება. მას შემდეგ, თუ არ ჩავთვლით ნაპოლეონის პერიოდს, პირინეის საზღვარი თითქმის არ დარღვეულა და ითვლებოდა ყველაზე საიმედო საზღვრად. ევროპის პოლიტიკური მოღვაწეებს ნათლად წარმოედგინათ, რომ პირინეის ნახევარკუნძულზე მიმდინარე მოვლენები მჭიდროდ იყო დაკავშირებული საფრანგეთის უსაფრთხოებასთან. XIX საუკუნის 30-იან წლებში კარლისტური ომების დროს ლორდი პალმერსტონი ამბობდა, რომ „უკიდურესი კარლისტური რეაქციის გამარჯვება ესპანეთში შეიძლება სერიოზულად აისახოს საფრანგეთის მდგომარეობაზე“ და „შეუთავსებელია საფრანგეთის დამოუკიდებლობას, უსაფრთხოებასა და სიმშვიდესთან“. ბისმარკის დროიდან პარიზის დიპლომატია იბრძოდა „ესპანური სამიზნის საფრანგეთის ზურგში დაყენების“ წინააღმდეგ. ცნობილია, რომ 1913 წელს ევროპული კონფლიქტის დროს რ. პუანკარემ მიაღწია აღფონსო XIII-გან ესპანეთის ნეიტრალიტეტს. ამან საფრანგეთს საშუალება მისცა პირველი მსოფლიო ომის დროს თავისი ჯარები მოეხსნა სამხრეთის საზღვრიდან. საფრანგეთის პოლიტიკური წრეები დოგმატურად თვლიდნენ შემდეგ დებულებას, რომ ნებისმიერი უცხო სახელმწიფოს დამკვიდრება პირინეის ნ-კ-ზე წარმოადგენდა მათთვის საფრთხეს. „ძველი წესი ჩვენი ტრადიციული პოლიტიკისა მდგომარეობს იმაში, – წერდა პოლ ბონკური, – რომ პირინეის ნახევარკუნძულზე არ იყოს არავითარი უცხო სახელმწიფო, გარდა ესპანეთისა“ (Белоусова, Кремер 1960: 115).

ალოდ ეხებოდა ეს საკითხი. ესენი იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ივონ დელბოსი, თავდაცვის მინისტრი ედუარდ დალადიე, ავიაციის მინისტრი პიერ კო (Cot 1944: 338)²⁷ და ფინანსთა მინისტრი ვენსან ორიოლი (Tuñon de Lara 1991: 172). ამ თათბირზე ბლუმმა განაცხადა, რომ მას სურდა ესპანეთის კანონიერი მთავრობის დახმარება. მისი მტკიცებით, ფარული დახმარება ხელს შეუშლიდა ესპანურ რეაქციას სამხედრო გადატრიალების განხორციელებაში, გარდა ამისა, თუ შეამბოხებები წარმატებას მიაღწევდნენ, ეს არა მარტო ფრანგ ფაშისტებს შეახამდა ფრთებს, არამედ სამი მხრიდან მტრული სახელმწიფოების რკალში მოქცეული საფრანგეთი დგებოდა რეალური საფრთხის წინაშე.

შექმნილი მდგომარეობა ფრანგებისგან მკვეთრ რეაქციას მოითხოვდა, რადგანაც ყოველი დაკარგული საათი ესპანეთის პრობლემის გართულებას ნიშნავდა. ერბეტიც საგანგაშო ცნობებს აგზავნიდა. 20 ივლისს მან პარიზს შეატყობინა: „რაც შეეხება მთავრობის შემდგომ ბედს, პროგნოზები მეტად პესიმისტურია... თუ ამბოხებულებმა გაიმარჯვეს, მოსალოდნელია რეაქციონერთა ძალადობა... ამიტომ უნდა ველოდოთ, რომ უამრავი ლტოლვილი შეეცდება საფრანგეთის საზღვრების გადალახვას და გონივრული იქნება, აქედანვე გაიცეს ინსტრუქციები მათთვის თავშესაფრის გამოყოფასთან დაკავშირებით... (Monje Gil 2006: 7). ბლუმთან შეკრებილებმა გადაწყვიტეს, რომ საფრანგეთის მთავრობის ვალი იყო, დახმარებოდა ესპანეთის მთავრობას და ავიაციის მინისტრმა მიიღო კონკრეტული დავალებები. გადაწყდა, რომ მკაცრად დაეცვათ საიდუმლოება, რაც, საბოლოო ჯამში, ყველაზე რთული საქმე აღმოჩნდა. საერთოდ, როგორც ამერიკელი ენტონი ადამთვეითი აღნიშნავს, განსაკუთრებით საბედისწერო ამ დროს იყო „საიდუმლოების სიმცირე“. მისთვის ისიც გასაკვირია, რომ ხირალის დეპეშა იყო «en clear», ანუ დაუშიფრავი. მას, რომ საიდუმლო ემისარი გამოეყენებინა, საელჩოს გვერდის ავლით, მოსალოდნელი შტორმის თავიდან აცილება თუ არა, შეკავება მაინც იქნებოდა შესაძლებელი (Adamthwaite 2009: 10-11). ჰიუ თომასი „ექსტრაორდინალურ ფაქტს“ უწოდებს იმას, რომ ხირალმა არჩია, უშუალოდ მიემართა თავისი ფრანგი კოლეგისთვის, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ლეონ ბლუმი უფრო მეტი სიმპათიითა და გავებით მოეკიდებოდა მას, ვიდრე ესპანეთის ელჩი პარიზში, ძველი სკოლის დიპლომატი კარდენასი (Tomac 2003: 200). ესპანელი ისტორიკოსი ხ. პერეირა კასტანიარესის აზრით, ხირალის პერსონალური წერილი, სა-

²⁷ ჰიუ თომასი მას პირველ შეხვედრაზე არ ახსენებს (Tomac 2003: 200).

ელჩოს გვერდის ავლით, ორ მნიშვნელოვან რამეზე მიუთითებს: ერთის მხრივ, ხირალს ძალიან ეჩქარებოდა ბლუმის მაგიდაზე მოხვედრილიყო აღნიშნული დეპეშა და, მეორეს მხრივ, არ სჯეროდა ხ. ფ. კარდენასის ლოიალობის. შესაძლოა, რომ ხირალის გადაწყვეტილება ორივე მიზეზმა განაპირობა (Pereira Castañares 2013: 147). კარდენასი თავიდანვე ნამდვილად დესტრუქციულ როლს თამაშობდა (ამას დაწვრილებით ქვემოთ შევხებით) და საიდუმლო ინფორმაციის პრესაში გაუონვაც სწორედ პარიზში ესპანეთის საელჩოდან მოხდა, მაგრამ გვეგონია, რომ ამ შემთხვევაში კარდენასისადმი უნდობლობით ხირალის ზემოაღნიშნული ნაბიჯის ახსნა არ არის მართებული და ამაზე ფაქტებიც მეტყველებს. დეპეშა ბლუმის სახელზე, შესაძლოა, ესპანეთის საელჩოს გვერდის ავლით გაიგზავნა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი წერილი, სადაც ესპანელი ოფიცრების ჩამოსვლა და აუცილებელი სამხედრო მასალის ჩამონათვალი იყო, სწორედ კარდენასის ხელით გადაეცა საფრანგეთის მთავრობას.

რაც შეეხება ინფორმაციის დაცულობას და უსაფრთხოებას, საელჩოში ამის უზრუნველყოფა ძნელი იყო, რადგან საელჩოს შენობა, ესპანელი დიპლომატის პაბლო ასკარატეს მოგონებით, დაემსგავსა აღმოსავლურ ბაზარს, სადაც ათასი ჯურის ადამიანი ირეოდა (Azcarate 1977: 21). ესპანეთის ელჩი საფრანგეთში ხუან ფრანსისკო კარდენასი ჯერ კიდევ 15 ივლისს გადადგა, მაგრამ მისი შემცველების აღვარო დე ალბორნოსოს ჩამოსვლამდე ასრულებდა ელჩის მოვალეობას. ამ პიროვნებას მადრიდში, როგორც ჩანს, მთლად ბოლომდე არ ენდობოდნენ, ამით უნდა აეხსნათ ის ფაქტი, რომ 20 ივლისს ჟენევაში ესპანეთის წარმომადგენლის პაბლო ასკარატეს სახლში, ესპანეთის მთავრობის ვაჭრობის მინისტრმა ინდალესიო პრიეტომ იქ მყოფ ფერნანდო დე ლოს რიოსს სთხოვა პარიზში ელჩის პასუხისმგებლობა აელო და ახალი ელჩის ჩასვლამდე სათავეში ჩადგომოდა სახელდახელოდ შექმნილ სამთავრობო კომისიას, რომელსაც ევალეებოდა იარალის შესყიდვა (Azcarate 1977: 21). როდესაც კარდენასმა ბლუმს გადასცა თავისი მთავრობის თხოვნა კონკრეტული დახმარების შესახებ, აბსოლუტურად დარწმუნებული იყო, რომ ეს მოთხოვნა არ შესრულდებოდა და როცა ეს ასე არ მოხდა, განცვიფრებული დარჩა. ტუნიონ დე ლარა ამტკიცებს, რომ პირველი, რაც გააკეთა კარდენასმა კე დ'ორსედან გამოსვლისას, გააფრთხილა ბრიტანეთის ელჩი, რომ საფრანგეთის მთავრობა აპირებდა მადრიდისთვის იარალის მიწოდებას. ამის შემდეგ მან ელჩის მოვალეობის შესრულებაც შეწყვიტა (Tuñon de Lara 1991: 172), თუმცა ფრანგი ისტორიკოსი ჟან ფრანსუა ბერდა ამბობს, რომ

ელჩის გადაწყვეტილება იარაღის მიწოდებაზე საფრანგეთის მთავრობის თანხმობით არ იყო გამოწვეული (Berdah 2006: 51).

კარდენასი, რომელიც ფერნანდო დე ლოს რიოსის მოსვლის შემდეგ ფუნქციას კარგავდა, გადადგა ისე, რომ ამ უკანასკნელის ჩამოსვლას არ დალოდებია და უფლებამოსილება პარიზში ესპანეთის საქმეთა რწმუნებულს კრისტობალ დელ კასტილიოს გადააბარა. უკვე მეორე დღეს (21 ივლისი) დელ კასტილიომ გადაწყვიტა, რომ მისმა „კომპრომისმა“ რესპუბლიკასთან ძალა დაკარგა. ის არასდროს მაღავედა ზიზღს მადრიდის მთავრობისა თუ მისი პოლიტიკისადმი და რასაც აქამდე მხოლოდ სიტყვებით გამოხატავდა, ახლა საქმით შეეძლო დაემტკიცებინა. მისი მიზანი იყო, არ დაეშვა რესპუბლიკის მიერ იარაღის შესყიდვა. საბოლოო ჯამში, ესპანეთის საქმეთა რწმუნებულმა პარიზში დელ კასტილიომ და სამხედრო ატაშე ბაროსომ, რომელთა მეშვეობითაც მიმდინარეობდა მთელი მოლაპარაკებები, გასცეს ინფორმაცია. ულტრა მემარჯვენე გაზეთებმა «L'Action Française»-მა და «L'Echo de Paris»-მა 23 ივლისს გამოაქვეყნეს ესპანეთის მთავრობის მოთხოვნა.²⁸ პარიზში გერმანიის ელჩმა ველჩეკმა იმავე დღეს აფრინა ინფორმაცია და საღამოს სატელეფონო საუბარში დაუდასტურა ბერლინს ინფორმაციის სინამდვილე (ამაზე პირველ თავში უკვე ვისაუბრეთ). იტალიის ხელისუფლებას ეს ინფორმაცია ერთი დღით ადრე ჰქონდა. ეს მნიშვნელოვანი დეტალია, მაგრამ ლიტერატურაში რატომღაც არ ექცევა დიდი ყურადღება. იტალიის ელჩი ჩერუტი საგარეო საქმეთა მინისტრ ჩიანოს ატყობინებდა „ზუსტ ინფორმაციას“ პარიზში ესპანელი ოფიცრების ჩასვლის შესახებ 25 თვითმფრინავის, 75 მმ ქვემეხების და სხვა შეიარაღების შესაძენად. ბლუმი და კო მზად იყვნენ ესპანეთის რესპუბლიკის დასახმარებლად, მაგრამ დელბოსი ყოყმანობდა საერთაშორისო გართულებების შიშით (DDI, VIII, 4: 656).

მემარჯვენე პრესაში არნახული ხმაური ატყდა. ამ კამპანიამ გახლიჩა საზოგადოებრივი აზრი. ივლის-აგვისტოში პრესაში ამტკიცებდნენ, რომ სახალხო ფრონტი ჩაითრევედა საფრანგეთს ომში რევოლუციური სოლიდარობის სასარგებლოდ და ურჩევდნენ მკაცრი ნეიტრალიტეტის დაცვას და ა.შ. ამ დროს ბლუმი და დელბოსი იმყოფებოდნენ ლონდონში ინგლის-საფრანგეთ-ბელგიის კონფერენციაზე, რომელიც რაინის ზონის რემილიტარიზაციის შემდეგ შექმნილი უსაფრთხოების პრობლემებზე მუშაობდა. ივონ დელბოსი გაფრინდა 22 ივლისს საღა-

²⁸ პიერ კომ ისტორიკოს უორნერთან საუბარში განაცხადა, რომ გაზეთებში „მონაცემები აკურატული სიზუსტით იყო გადმოცემული“ (Warner 1962: 204).

მოს, ბლუმი კი ლონდონში ჩავიდა 23 ივლისს შუადღეს. ამდენად, ფრანგი ჟურნალისტის შეხვედრის ტაბუის მტკიცება, რომ გზაში დელბოსი ბლუმს ჩასჩინებდა: „ესპანეთის რესპუბლიკის დახმარება ნიშნავდა ინგლისის უკმაყოფილებას, რომელიც განწყობილი იყო ყოველგვარი ჩარევის წინააღმდეგ, მით უმეტეს, ესპანური პრობლემა გაჩნდა მაშინ, როცა ლონდონი ეძებს გზებს გერმანია-იტალიასთან შესათანხმებლად“ (Табуи 1960: 350). ჩვენი აზრით, ეს, რბილად რომ ვთქვათ, ალოგიკურია. ამის „ჩინი“ დელბოსს ყველგან შეეძლო (მათ შორის უკანა გზაზე), მაგრამ არა ლონდონში გამგზავრებისას.

ბლუმის ვიზიტი ლონდონში ზემოთ აღნიშნულ კონფერენციას უკავშირდება, ის დიდი ხნით ადრე იყო ჩანიშნული და კონფერენციის დღის წესრიგში ესპანეთის საკითხი საერთოდ არ იყო შეტანილი. მიუხედავად ამისა, ისტორიკოს დევიდ პაიკს სჯერა, რომ, მართალია, ეს შეხვედრა არ იყო ესპანეთის მიზეზებით მოტივირებული, მაგრამ აშკარაა, რომ იქნებოდა დისკუსიების უმთავრესი საგანი (Pike 2011: 9). გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ ბლუმის გამგზავრების მიზეზი სწორედ ესპანეთის ამბები იყო (Tomac 2003: 204; Furnia 1960: 210; Kleine-Ahlbrandt 1962: 7). მსგავსი ინტერპრეტაციის წყაროა იმ დროს საფრანგეთში აშშ ელჩის სტრაუსის 27 ივლისის ცნობა სახელმწიფო დეპარტამენტში, რომ ბლუმის ვიზიტი იყო ლონდონში საფრანგეთის საელჩოდან განხორციელებული პერსონალური სატელეფონო ზარის შედეგი. ელჩი კორბენი პრემიერის ყურადღებას ამახვილებდა ბრიტანეთის შემფოთებაზე საფრანგეთის პოლიტიკის გამო, არწმუნებდა, ჩასულიყო და განეხილა საკითხი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრთან (FRUS, 1936, II: 448). მართალია, სტრაუსი აცხადებს, რომ მას ინფორმაცია სანდო წყაროებიდან ჰქონდა,²⁹ ეს ვერსია მაინც საეჭვოდ ითვლება. ამის დასამტკიცებლად ჯ. უორნერს სუსტი არგუმენტი მოჰყავს. მისი აზრით, ზუსტად არ არის ცნობილი, ბრიტანეთის მთავრობამ იცოდა თუ არა საფრანგეთის გადაწყვეტილება იარაღის მიწოდების შესახებ 22 ივლისს, როცა ეს სატელეფონო ზარი განხორციელდა (Warner 1962: 204, note 4). ტუნიონ დე ლარას თუ დაუფჯერებთ, ინგლისის ელჩს ეს ყველაფერი უნდა სცოდნოდა 21 ივლისს კარდენასისგან (Tuñon de Lara 1991: 172). მეორე უფრო მყარი არგუმენტი ჩერუტის ზემოთ ნახსენები დეპეშა, რომელიც 22 ივლისს

²⁹ სავარაუდოდ, ის ეყრდნობოდა სწორედ კარდენასს, რომელთანაც წერილის გაგზავნამდე მცირე ხნით ადრე ჰქონდა საუბარი (FRUS, 1936, II: 448).

14:40 სთ გაიგზავნა რომში (DDI, VIII, 4: 656). თუ იტალიის ელჩმა იცოდა ზუსტი ინფორმაცია, სავსებით ლოგიკურია, ვამტკიცოთ, რომ ეს ინფორმაცია (შესაძლოა, უფრო ადრეც) ინგლისის ელჩს და, შესაბამისად, ლონდონსაც ექნებოდა.

ბლუმის ვიზიტი ლონდონში შეიძლება მოულოდნელი იყო, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ კომუნიკე, რომელიც ამ კონფერენციას აანონსებდა, 21 ივლისამდე არ გამოქვეყნებულა. აქამდე თარიღი უცნობი იყო, მაგრამ ფაქტი, რომ ბლუმი უნდა წასულიყო ლონდონში, ღიად განიხილებოდა პრესაში.³⁰ შესაძლებელია მიმდინარე კრიზისმა ესპანეთში დააჩქარა კიდევ ეს შეხვედრა (Comas Navarro 1997: 156).

ინგლისში ვიზიტის დეტალებზე და განხორციელებულ ზეწოლაზე მომდევნო პარაგრაფში დაწვრილებით ვისაუბრებთ, აქ კი აღვნიშნავთ იმას, რომ ბლუმმა მალე გაარკვია ბრიტანეთის პოზიცია ესპანეთის მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც მისი პოზიციისგან მკვეთრად განსხვავებული იყო. შესაძლოა, ამას ელჩი კორბენიც დაეხმარა. როგორც ჟ. ტაბუი წერს, 23 ივლისს სასტუმროში „საგოია“-ში შედგა ბლუმის, დელბოსის და კორბენის საუბარი. კორბენმა განაცხადა, რომ ინგლისი აშკარად უკმაყოფილოა იმით, რაც ხდება საფრანგეთში, რომ ფორინ ოფისში არიან ადამიანები, რომლებიც მოითხოვენ საფრანგეთის, რომელიც რევოლუციისკენ მიექანება ბედის ანაბარად მიტოვებას და ა.შ. (Tabuy 1960: 349). შესაძლოა, ელჩმა ასეთი რამ მართლაც თქვა. ყველა შემთხვევაში, მან ბლუმს გააგებინა, რომ „ბრიტანეთის კაბინეტში ძლიერ თანაუგრძობდნენ ამბოხებულებს“ (Cot 1944: 339). აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ თვითონ კორბენს, რომელიც უკიდურესად მემარჯვენე შეხედულებებს იზიარებდა, ინგლისის სურვილების გახმოვანებისათვის ხანდახან მოიხსენიებდნენ, როგორც „ინგლისის ელჩს ლონდონში“ (Tomac 2003: 204).

კომას ნავაროს მიხედვით, ინგლისის პოზიციაზე პირველად ფრანგი ჟურნალისტი პერტინაქსი (ანდრე ჟერო) აღაპარაკდა და ის ეყრდნობა ლ. ბლუმის „ადიარებას“. ჟურნალისტი ლონდონში ჩასულ ბლუმს სასტუმროში ეწვია და საუბრისას ჰკითხა, მართლა აპირებდა თუ არა იარაღის გადაცემას ესპანეთისთვის. დადებითი პასუხის მიღების შემდეგ მან პრემიერს განუცხადა: „თქვენ იცით,

³⁰ დაახლოებითი თარიღი ადრევე იყო ცნობილი. 8 ივლისს ჩიანო წერდა მუსოლინის, რომ ბელგიის საქმეთა რწმუნებულმა გადასცა მოწვევა კონფერენციაზე და შემოთავაზებული თარიღი იყო 22 ივლისი, თუმცა რომს უფლებას უტოვებდა, აერჩია მისთვის სასურველი დღე (DDI: 538).

რომ ამას აქ არ უყურებენ კარგი თვალთ?“ „არაფერი ვიცი, მაგრამ ჩვენ ჩვენსას გავაკეთებთ“, – მიუგო ბლუმმა (Les événements survenus: 216; Comas Navarro 1997: 156).

ლ. ბლუმის ლონდონში ყოფნის დროს პარიზში მდებარეობამ პიკს მიაღწია. მემარჯვენე პრესის აღვირახსნილმა კამპანიამ პოლიტიკური ქარიშხალი გამოიწვია. რადიკალური პარტიის წევრი და ბლუმის მთავრობის ვიცეპრემიერი კამილ შოტანი ისტორიკოს ჯეფრი უორნერს 1960 წლის 27 მაისს წერდა, რომ სანამ ბლუმი და დელბოსი ლონდონში იმყოფებოდნენ, მას დაძაბული საუბრები ჰქონდა სენატის თავმჯდომარე ჟიულ ჟანანესთან, დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ედუარდ ერიოსთან, რესპუბლიკის პრეზიდენტ ალბერ ლებრენთან. ამ უკანასკნელის თხოვნით, შოტანი დახვდა პრემიერს ლე ბურჟეს აეროპორტში რათა შექმნილი ვითარების შესახებ ეცნობებინა (Warner 1962: 205).

ამის პარალელურად თავდაცვის მინისტრ, ასევე რადიკალ ედუარდ დალადიეს დეპუტატთა პალატის წევრები ჩააცივდნენ კითხვებით თვითმფრინავების გაგზავნის შესახებ. მინისტრი გაბრაზებული „იგერიებდა“ მათ შემდეგი სიტყვებით: „თქვენ ჩემთან არ გაქვთ საქმე, ჰკითხეთ ეს პრემიერ მინისტრს“ («Le Temps», 26 Juillet 1936).

რადიკალების პოზიციაზე ერთგვარი გავლენა მოახდინა მათმა თანაპარტიელმა და შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ლუი მალვიმ. მალვი ცხოვრობდა მადრიდში და მეგობრობდა ფრანკოსთან. „მე მინდა დაგარწმუნოთ, – ეუბნებოდა თავის მეგობარ რადიკალებს, – რომ ფრანკო არ არის არც ფაშისტი, არც კლერიკალი, არამედ რესპუბლიკელი გენერალი, რომელსაც უბრალოდ სურს თავის ქვეყანაში ბოლო მოუღოს უწესრიგობას და ანარქიას“ (Pike 2011: 10).

24 ივლისს, საღამოს 7 საათზე ბლუმის თვითმფრინავი დაფრინდა ლე ბურჟეში. შოტანმა აუხსნა პრემიერს, თუ რა ხდებოდა და რამდენად სერიოზულად იყო საქმე. მოგვიანებით ბლუმი იხსენებდა: „24 ივლისს, როგორც კი ლონდონიდან დავბრუნდი, მე შევეჩხე ღრმა განხეთქილებას მთავრობაში, უმწვავეს კამპანიას პრესაში და საპარლამენტო გადატრიალების მსგავს მდგომარეობას ქვეყანაში“ (Les événements survenus: 216).

იმავე დღეს ბლუმი შეხვდა ჟ. ჟანანეს ეს უკანასკნელი სერიოზულად იყო შეშფოთებული: „როგორ შეგიძლიათ ამის გაკეთება? აქ ეს არავის ესმის. თქვენი მცდელობა, ჩაერთოთ საქმეში, რომლის შედეგები გაურკვეველია, ჩვენ მიგვიყვანს ომამდე... რაინის ზონის რემილიტარიზაციის დროს, როცა საფრანგეთს

პირდაპირი საფრთხე ემუქრებოდა, არაფერი მოვიმოქმედეთ და ახლა ამ ქცევას ვერავინ გაიგებს“ (Les événements survenus: 216). მიუხედავად უანანესთან საუბრისა, ბლუმს მაინც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი საქმის ბოლომდე მიყვანა.

ამ დროისათვის პარიზში უკვე იმყოფებოდა ესპანეთის მთავრობის სპეციალური წარმომადგენელი ფერნანდო დე ლოს რიოსი, რათა ადგილზე მოეგვარებინა შეკვეთის და ტრანსპორტირების ტექნიკური და სამართლებრივი საკითხები. სხვათა შორის, მის ჩამოსვლას ისეთი ხმაური მოჰყვა პრესაში, რომ პრეფექტურის პოლიციამ ურჩია, საელჩოს შენობაში დაედო ბინა.

24 ივლისს დამის 10 საათზე, პიერ კო, დელბოსი, დალადიე და ორიოლი შეიკრიბნენ ბლუმის სახლში. მათ იქ დახვდათ ფერნანდო დე ლოს რიოსი (Cot 1944: 338-339). 1936 წლის 25 ივლისის წერილში ხოსე ხირალისადმი, ფერნანდო დე ლოს რიოსი ყვება ამ შეხვედრის დეტალებს.³¹ პირველყოფლისა მათ შეისწავლეს ესპანეთის კონფლიქტის ბუნება, დე ლოს რიოსი ცდილობდა დაენახებინა, რომ ეს იყო არა მხოლოდ ესპანური, არამედ ფრანგული პრობლემაც. გაანალიზებულ იქნა მისი მიზეზები, პირინეის საზღვრების პრობლემა, ბალეარის კუნძულების, გიბრალტარის, კანარის კუნძულების საკითხი, პოლიტიკური ერთიანობის დარღვევა დასავლეთ ევროპაში. შემდეგ დისკუსია გაგრძელდა ესპანეთის მთავრობის თხოვნასთან დაკავშირებით. როგორც პიერ კო წერს, „ოთხი მინისტრიდან მხოლოდ დელბოსი ენაძვირობდა, ითხოვდა უსაფრთხოების ზომების მიღებას, „სიფრთხილის გამოვლენას“ (Cot 1944: 339). შუაღამეს დე ლოს რიოსმა დატოვა შეხვედრა. დარჩენილ კოლეგებს ბლუმმა უთხრა, თუ რა ნახა და მოისმინა ლონდონში. დელბოსმა აქაც ხაზი გაუსვა სიფრთხილის აუცილებლობას, მაგრამ, როგორც კო აღნიშნავს, ჯერ კიდევ ორივეს (საუბარია ლ. ბლუმზე და ი. დელბოსზე ზ.გ.) მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ მოთხოვნილი იარაღი უნდა გაეგზავნათ. ი. დელბოსის პოზიციის შეფასებისას პიერ კო აშკარად შეცდა. მინისტრთა კაბინეტის სხდომა 25 ივლისს ჩაინიშნა.

რეალურად 25 ივლისისთვის გასაგზავნად ყველაფერი მზად იყო, მაგრამ ამ დროს სირთულეები წარმოიშვა ესპანეთის საელჩოში. რადგან დე ლოს რიოსს არ ჰქონდა ოფიციალური პოზიცია, ამ მიზეზით მან სთხოვა კრისტობალ დელ კასტილიოს, ხელი მოეწერა საჭირო დოკუმენტებისთვის და ქვითრისთვის, რომელიც დაფარავდა ხარჯებს პირველ ოთხ თვითმფინავზე (Pike 2011: 19). დელ კას-

³¹ ამ წერილის ნახვა შესაძლებელია წიგნში William Foss and Cecil Gerahty, *The Spanish Arena*. London, 1938, გვ. 372-375.

ტილიომ უარი თქვა და გადადგა თანამდებობიდან, ასევე მოიქცა სამხედრო ატა-შე ბაროსო. ორივე ოფიციალურმა პირმა ყველაფერი აცნობა პრესას, შედეგად, პარიზის საღამოს პრესაში დიდი აურზაური ატყდა. კრისტობალ დელ კასტილიომ, რომელიც 24 ივლისს გადადგა პოსტიდან, განაცხადა: „თუ მე დავტოვე ჩემი პოსტი მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი სინდისი მიკრძალავს მონაწილეობის მიღებაში იარაღის გადაცემაში, რომელიც ჩემი უბედური თანამემამულეების დასახოცად იქნება განკუთვნილი“ (ეს განცხადება გაკეთდა გაზეთისთვის «L'Express du Midi») (Pike 2011: 19).

პრესაში ვრცელდებოდა ცნობები მარსელში ესპანური გემების სავაჭრო გემის „სიუდად დე ტარაგონას“ და ტორპედოიანი წყალქვეშა ნავი „№17“ ჩამოსვლის შესახებ. სავაჭრო გემის კაპიტანი აღნიშნავდა, რომ ის საიდუმლო მისიით იყო ჩამოსული (თუმცა ცარიელი გაბრუნდა უკან). ბოლოს „აქსიონ ფრანსეზზე“ მომუშავე ინფორმატორებმა აღმოაჩინეს 20 თვითმფრინავი Potez-25 მონდუხიეს აეროდრომზე, რომელიც საწვავით ივსებოდა და ესპანეთში გასაფრენად მზადდებოდა და ა.შ. (Warner 1962: 207; Viñas 1985: 130).

ამ ისტორიებს პოლიტიკოსებს შორის სერიოზული გამოძახილი მოჰყვა. შეშფოთებულმა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ალბერ ლებრენმა ბლუმს დაიბარა და უთხრა: „ის, რასაც თქვენ აპირებთ, იარაღის გადაცემას ესპანეთისთვის, შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ომს ან რევოლუციას საფრანგეთში“ (Tuñon de Lara 1991: 175). ბლუმს ასევე პირადი საუბარი ჰქონდა დეპუტატთა პალატის თავმჯდომარესთან, რათა დაერწმუნებინა რადიკალები თავისი პოლიტიკის სისწორეში. „მე გთხოვთ თქვენ, ჩემო ბიჭო («mon petit»), ნუ ჩაერევით ამ საქმეში, – უთხრა მას ედუარდ ერიომ (Les événements survenus en France ... 1947: 217). უკვე ნახსენებ დე ლოს რიოსის წერილში ხირალისადმი ვკითხულობთ, თითქოს ერიომ დაამატა, რომ იარაღის გადაცემა გამოიწვევს გერმანიის, იტალიის ან მსგავსი რომელიმე სხვა მთავრობის მხრიდან აჯანყებულების დე ფაქტო ცნობას და ისინი მიაწვდიან იარაღს იმ ოდენობით, რასაც საფრანგეთი ვერასდროს შეძლებს (Foss, Gerahty 1938: 374).

პრესაში და ეროვნულ ასამბლეაში იმდენად ემოციური ფონი შეიქმნა, რომ ბლუმს ერთადერთ გამოსავალს გადადგომაში ხედავდა, თუმცა მისი გადადგომა სახალხო ფრონტის მთავრობის დასასრულსაც ნიშნავდა. ესპანეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ხიმენეს დე ასუამ და ფერნანდო დე ლოს რიოსმა დაარწმუნეს იმაში, რომ საფრანგეთის სახალხო ფრონტის მთავრობის დაცემა ესპანეთის

სახალხო ფრონტისთვის მატერიალური დახმარების დაკარგვით გამოწვეულ პრაქტიკულ ზიანზე მეტად მორალურად იქნებოდა დამანგრეველი (Gallagher 1971: 59).

25 ივლისს, მინისტრთა კაბინეტის შეხვედრამდე ორი საათით ადრე, დელოს რიოსმა ნახა ბლუმი, რომელიც აფორიაქებული და კუთხეში მიმწვდელი ჩანდა, მაგრამ ჯერაც ძველ აზრზე იდგა. „ჩემი სული ჩაწყვეტილია, მაგრამ შევინარჩუნებ პოზიციას ნებისმიერ ფასად, მიუხედავად ყველა რისკისა, ჩვენ უნდა დავეხმაროთ ესპანეთს, რომელიც ჩვენდამი მეგობრულადაა განწყობილი, როგორ? ვნახოთ“ (Foss, Gerahty 1938: 375-376).

კაბინეტის შეხვედრა დაიწყო 4 საათზე. როგორც განათლების მინისტრი ჟან ზე იხსენებდა: კამილ შოტანი ახალგაზრდა მინისტრებს ენერგიულად უმტკიცებდა, რომ სამხედრო აჯანყება რამდენიმე კვირაში გაიმარჯვებდა ესპანეთში და რომ ესპანეთის მთავრობა ბანქოს სახლივით დაიშლებოდა (Warner 1962: 208). პიერ კოს მიხედვით, თათბირზე ოპოზიცია აქტიურ ოპონირებაზე მეტად ფორმალურ დათქმებს აკეთებდა და სიფრთხილეზე აპელირებდა (Cot 1944: 340). დისკუსია გაიმართა 1935 წლის დეკემბრის შეთანხმების საილუმლო მუხლზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მარტინეს ველასკოს მიერ ხელმოწერილი ეს დოკუმენტი წინააღმდეგობაში მოდიოდა ესპანეთის კონსტიტუციასთან და, შესაბამისად, არც იურიდიული ძალა გააჩნდა (Pérez Gil 2001: 156). კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება იარაღის და თვითმფრინავების ექსპორტის აკრძალვის შესახებ, მაგრამ კერძო ფირმებს დარჩათ ეს უფლება. ოფიციალური კომუნიკე ადასტურებდა, რომ კაბინეტმა ერთსულოვნად გადაწყვიტა, ესპანეთის საშინაო კონფლიქტში არანაირი ფორმით არ ჩარეულიყო. 25 ივლისს ინგლისის ელჩი საფრანგეთში ჯორჯ კლერკი უთითებდა, რომ ეს მოხდა მხოლოდ „დაძაბული დისკუსიის შემდეგ და კე დ'ორსემ ყველა დონე იხმარა, რომ საპირისპირო გადაწყვეტილება არ ყოფილიყო მიღებული“ (Comas Navarro 1997: 154).

მას შემდეგ, რაც საფრანგეთში იარაღის წარმოების ნაციონალიზება მოხდა, კაბინეტის თანხმობა იყო საჭირო არა მხოლოდ მასალის ექსპორტისთვის, არამედ მის შესაძენადაც. თვითმფრინავებთან დაკავშირებით მკაცრი საქსპორტო რეგულაცია მდგომარეობდა ორი ლიცენზიის მოპოვებაში: ერთი – ავიაციის სამინისტროს და მეორე – საგარეო საქმეთა სამინისტროსი. თუ პირველი ამას სიხარულით გააკეთებდა, მეორე ამ შემთხვევაში აუცილებლად დაბლოკავდა. დელბოსი კერძო სექტორს არ მისცემდა იმის საშუალებას, რასაც სახელმწიფო დონეზე უშლიდა ხელს. საგარეო საქმეთა მინისტრი ფრთხილი მოქმედების მომ-

ხრე იყო. განსხვავება სამთავრობო და კერძო სექტორს შორის ამ კუთხით წმინდა აკადემიური იყო. ასეთმა ორაზროვნებამ და ასეთმა პირობებმა მისცა «Le Depeche»-ს მიზეზი აღენიშნა, რომ 25 ივლისის კომუნიკე კატეგორიულად არ უარყოფდა იარაღის შესაძლო გადაცემას ესპანეთის რესპუბლიკისთვის. «Le Journal de Toulouse»-ში არნო ბერნარი ამტკიცებდა, რომ კერძო საწარმოებმა უკვე გადასცეს არტილერია და ბომბები ესპანეთს შემოვლითი გზით და ა.შ. (Pike 2011: 20).

შექმნილ ურთულეს მდგომარეობაში ეს გადაწყვეტილება, ინგლისის ზეწოლაზე მეტად, კაბინეტში და მთლიანად ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით იყო განპირობებული. საბჭოური ისტორიოგრაფია ჩვეული პათეტიკით ამტკიცებდა, რომ „თავდაპირველ შეპირებაზე უარის თქმის მიზეზი იყო ის, რომ საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა ესპანეთის მოვლენებს განიხილავდა საფრანგეთის მუშათა კლასის მოძრაობის აღმავლობის პერსპექტივაში. მათ ეშინოდათ ფრანგი პროლეტარიატის ბრძოლის გაფართოების... ბლუმის უარი ნაკარნახევი იყო არა გარე ზეწოლით, ინგლისის მხრიდან, არამედ სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის უპრინციპობით და გაუბედაობით. მასების შიში – აი, საბოლოოდ რამაც განსაზღვრა საფრანგეთის პოზიცია“ (Овинников 1959: 61).

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ოპოზიციის გასაჩუმებლად და იმის იმედით, რომ საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი მალე თვითონ გამოთქვამდა ესპანეთის დახმარების სურვილს და მაშინ პარლამენტიც დათანხმდებოდა. ბლუმმა ფიქრობდა, რომ ეს მცირე დრო რესპუბლიკის სასარგებლოდ იმუშავებდა, მაგრამ სინამდვილეში ეს უკან გადადგმულ ნაბიჯს ნიშნავდა.

პრესაში ცეცხლი არ ჩამცხრალა არც მომდევნო დღეებში. ამ დროისთვის ცნობები გაჩნდა მემარცხენე გაზეთებშიც, რომ ფაშისტური სახელმწიფოები ესპანელ ამბოხებულებს იარაღით ამარაგებდნენ. „Le Populaire“-ს მიხედვით, ამბოხების მხარდამჭერებმა გააგზავნეს ოქრო ჰამბურგის ბანკიდან იტალიაში 24 თვითმფრინავის შესაძენად (25 ივლისის ნომერი). კომუნისტური „L’Humanité“ 25 ივლისს უფრო შორს წავიდა და ამტკიცებდა, რომ ჰიტლერმა და მუსოლინიმ ორივემ მიაწოდა 22 თვითმფრინავი ამბოხებულებს (Warner 1962: 208). 25 ივლისს თვითმფრინავების გაგზავნის შესახებ ინფორმაციის გავრცელება არასერიოზულია. როგორც პირველ თავში ვისაუბრეთ, 25 ივლისს ჰიტლერს და მუსოლინის ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გადაწყვეტილება მიღებული.³² მემარცხენეები აცხადებ-

³² სხვათა შორის 25 ივლისს ინგლისური “The Manchester Guardian”-იც ავრცელებდა მსგავს

დნენ, რომ აჯანყებულთათვის გერმანია-იტალიის დახმარება ამართლებდა ფრანგულ პოზიციას დახმარების შესახებ, მემარჯვენეები, პირიქით, ამტკიცებდნენ, რომ ეს იყო ფრანგების მიერ დახმარების საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯები.³³

30 ივლისს ბლუმი და დელბოსი სენატის და დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტების სხდომაზე აცხადებდნენ, რომ საფრანგეთიდან არანაირი დახმარება არ ყოფილა გაგზავნილი. ამავე დროს, მათ მიუთითეს, რომ მიმდინარე მოვლენები მთავრობას აიძულებდა, გადაესინჯა თავისი გადაწყვეტილება დაუხმარებლობის შესახებ. დელბოსმა განუცხადა დეპუტატთა პალატის კომიტეტს, რომ ის მოუწოდებდა დაინტერესებული ქვეყნების მთავრობებს დაეცვათ ნეიტრალიტეტი და თავი შეეკავებინათ საბრძოლო მასალის მიწოდებისგან მთავრობისთვის თუ ამბოხებულთათვის. ასე იძენდა კონტურებს ესპანეთის სამოქალაქო ომში ჩაურევლობის პოლიტიკა. უცნობი იყო, დელბოსს ჰქონდა თუ არა ბლუმის მხარდაჭერა ამ ინიციატივაზე (ბლუმი ამ შეხვედრას არ ესწრებოდა), მაგრამ აშკარაა, რომ დელბოსის ცნობიერებაში გადამწყვეტი საერთაშორისო გართულების შიში იყო. ეს შიში განმტკიცდა სხვადასხვა გარემოებებით. 30 ივლისს დილით ადრე იტალიური თვითმფრინავების ავარიულმა დაშვებამ ფრანგულ ტერიტორიაზე გაართულა სიტუაცია. გამოძიების შედეგებმა აჩვენა, რომ ისინი იტალიის მთავრობამ ამბოხებულ გენერლებთან გაგზავნა. ამ ფაქტმა მთელ ფრანგულ პრესაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. აღნიშნულმა ფაქტმა საფრანგეთის მთავრობის პირველი გადაწყვეტილების განახლების საჭიროება დააყენა.

1 აგვისტოს შედგა მინისტრთა კაბინეტის შეხვედრა. პიერ კოს მიხედვით, ამ სხდომაზე მთავრობის წევრები, მცირე გამონაკლისის გარდა, ჯერ კიდევ დადებითად იყვნენ განწყობილი ესპანეთის მთავრობის მხრდასაჭერად. „ყველა იყო აღშფოთებული იტალიის ინტერვენციით. არავის სურდა მსხვერპლად შეეწირა ესპანური დემოკრატია და საფრანგეთის უსაფრთხოება დაშოშმინების მირაჟისთვის“. ბლუმმა ისიც კი განაცხადა: „ჩვენი მოვალეობა გვაიძულებს, დავეხმაროთ ჩვენს ესპანელ მეგობრებს, როგორც არ უნდა იყოს ამ დახმარების შედეგები“. დელბოსმა კვლავ ახსენა ბრიტანეთის კაბინეტის პოზიცია და „ინგლის-საფრანგეთის მეგობრობის სახელით არაოფიციალურად მათ მკაცრი ნეიტრალიტეტის დაცვა ურჩია“. მან ისაუბრა საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივაზე ჩაურევლობის პოლიტიკის საერთო წესის შემუშავებისა და ევროპის ქვეყნებისთვის

ინფორმაციას (The Guardian Book of the Spanish Civil War, Wildwood House, 1987: 18).

³³ ამ საკითხზე დაწვრილებით საუბრობს დ. პაიკი თავისი წიგნის მესამე თავში (Pike 2011: 18-28).

მისი შეთავაზების შესახებ. მინისტრის მოსაზრებები მიღებულ იქნა დისკუსიების შემდეგ და მხოლოდ იმ ვითარებაში, „თუ ამბოხებულებმა მიიღეს იარაღი, საფრანგეთის საზღვარი დარჩება ღია ესპანეთის მთავრობისთვის“ (Cot 1944: 342-343). დისკუსია ბევრად უფრო მწვავე იყო, ვიდრე ამას კო გადმოგვცემს. შეხვედრა დასრულდა დღის 13:30 სთ-ზე, მაგრამ არაფორმალური დისკუსიები მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა და საღამომდე ვერ შეთანხმდა კომუნიკერომელშიც ძალზე ოსტატურად იყო დაბალანსებული ორი განსხვავებული თვალსაზრისი საფრანგეთის მთავრობაში. ასევე საეჭვოა ბრიტანეთის პოზიცია ყოფილიყო ერთადერთი მიზეზი, რომ კაბინეტმა მიიღო დელბოსის წინადადება, მიემართათ ევროპული ქვეყნებისთვის, როგორც კო ამტკიცებს. ბრიტანეთის მთავრობა ეწინააღმდეგებოდა ბლუმის პოლიტიკას, მაგრამ საფრანგეთის კაბინეტი თვითონ იყო გახლენილი. უკვე აღინიშნა, რომ მესამე რესპუბლიკის ისეთი გავლენიანი პოლიტიკოსები როგორებიც იყვნენ ჟანანე, ერიო და პრეზიდენტი ლებრენი ღრმად იყვნენ შეშფოთებული საფრანგეთის მიერ ესპანეთის რესპუბლიკისთვის დახმარების გამო, რაც განაპირობებდა გერმანიისა და იტალიის მხრიდან იარაღის მიწოდებას, რაც, თავის მხრივ, გადაიზრდებოდა საერთაშორისო დაძაბულობაში და, შესაძლოა, ევროპული ომიც გამოეწვია. ამ თვალსაზრისს თავისი მხარდამჭერები ჰყავდა კაბინეტის შიგნით (ნაწილობრივ დელბოსი და შოტანი) და რამდენადაც იტალია-გერმანიის ჩარევა აშკარა გახდა, ბევრიც მიიზიდა.

ივონ დელბოსი ცდილობდა, აემოქმედებინა თავისი ფორმულა ჩაურევლობის შეთანხმების შესახებ, ამ დროს ბლუმს და კო (ნაწილობრივ დალადიეც), ინტერვენციონისტების მხარდაჭერით, აკეთებდნენ ყველაფერს ესპანეთის მთავრობის დასახმარებლად, ვიდრე ასეთი შეთანხმება მიიღწეოდა (ამ დროს გაიგზავნა პირველად თვითმფრინავები). როგორც ჯ. უორნერი სამართლიანად აღნიშნავს: „იშვიათია რომელიმე მთავრობა ასეთი სიჯიუტით მისდევდეს ორ სრულიად საპირისპირო პოლიტიკას ერთსა და იმავე დროს“ (Warner 1962: 211). კურიოზული ისაა, რომ ეს ხდება იმ მომენტში, როცა ესპანეთის რესპუბლიკის ლიდერებმა გამოხატეს თავიანთი თითქოსდა ინდიფერენტულობა და თვითკმაყოფილი პოზიცია (Pike 2011: 33). შესაძლოა, ეს წინასწარ მოფიქრებული პოლიტიკა იყო მსგავსი პოზის დასაჭერად. ყოფილი პრემიერ მინისტრი მარტინეს ბარიო აცხადებდა: „ჩვენ ვთხოვთ ყველა ერს, დაიცვან აბსოლუტური ნეიტრალიტეტი“. ფერნანდო დე ლოს რიოსიც იგივეს გამოხატავდა: „ჩვენ არ ვეძებდით საფრანგეთის ჩარევას. მე ვთხოვდი საფრანგეთს მორალური მხარდაჭერის აღმოჩენას“.

როცა 8 აგვისტოს პოლიტიკა უკვე ოფიციალურად შეიცვალა დელბოსის ფორმულის სასარგებლოდ, ეს ტონი მაშინაც შენარჩუნდა. რესპუბლიკის პრეზიდენტი ასანია ფრანგ ჟურნალისტთან ინტერვიუში აცხადებდა: „ჩვენ არაფერს ვითხოვთ, გარდა თქვენი სიმპათიისა, მაგრამ ეს სიმპათია ჩვენ ნამდვილად დავიმსახურეთ“ (Pike 2011: 33).

ბლუმის პოლიტიკის მერყეობა ესპანური კრიზისის პირველი ორი კვირის განმავლობაში სამ დამოუკიდებელ ფაზას მოიცავს: 1. ბლუმი-კოს ფორმულა ხირალის მთავრობისთვის საბრძოლო მასალის მიწოდების შესახებ, თუმცა გადაწყვეტილების იმპლემენტაციის გარეშე; 2. იტალიური დახმარების გამოაშკარავება და ფრანგული მასალის აქტიური გადაცემა; 3. ბლუმი-კოს ფორმულის შეცვლა დელბოს-დალადიეს ფორმულით.

§2. ესპანეთში სამხედრო ამბოხების დაწყება და ინგლისის მთავრობის პოზიცია

18 ივლისს დაწყებული ანტირესპუბლიკური აჯანყება ესპანეთში სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში დაძაბულობის კერის გაჩენას ნიშნავდა. ინგლისის ხელმძღვანელობა, რომლის საგარეო პოლიტიკური ძალისხმევა 1930-იან წლებში, პირველ ყოვლისა, მიმართული იყო კონტინენტზე სტაბილურობის შენარჩუნებისკენ, იძულებული გახდა, სასწრაფოდ შეემუშაებინა ტაქტიკა. ამასთან დაკავშირებით პოლ პრესტონი სამართლიანად აღნიშნავს, რომ დიდი სახელმწიფოებიდან არცერთი არ იყო მზად ესპანეთის სამოქალაქო ომისთვის და ეს, პირველ რიგში, ეხებოდა დიდ ბრიტანეთს (Preston 1986: 71).

კონფლიქტის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, მთავარ მოტივს, რომელიც განსაზღვრავდა ინგლისის ყურადღებას პირინეის ნახევარკუნძულზე მიმდინარე მოვლენებისადმი, ესპანეთთან მისი მჭიდრო ეკონომიკური კავშირები წარმოადგენდა. ხუთი წლის განმავლობაში, რომელიც წინ უსწრებდა სამოქალაქო ომს, ინგლისი იყო ესპანური ექსპორტის მთავარი მიმღები (25%) და მეორე ქვეყანა მიწოდებული საქონლის მოცულობით (უზრუნველყოფდა მთელი იმპორტის 10%-ს). ესპანეთის ეკონომიკის ექსპორტის ძირითადი შემადგენელი იყო ნედლეული (15%) და სოფლის მეურნეობის პროდუქტები (11%). ესპანეთში ბრიტანეთის ინვესტიციის ხვედრითი წილი ყველაზე დიდი იყო სხვა უცხოურ კაპიტალდაბანდებებს შორის

და შეადგენდა 40%-ს. ის ძირითადად კონცენტრირებული იყო სამთო მრეწველობაში, ენერგეტიკას და რკინიგზის სფეროში, ასევე სოფლის მეურნეობაში.³⁴ ინგლისისთვის ესპანეთში ინვესტიციების დიდი მნიშვნელობა და ბრიტანელი პოლიტიკური და საქმიანი წრეების დაინტერესება ამ ქვეყნის სტაბილურობაში ერთსულლოვნადაა აღიარებული მკვლევრების მიერ და დოკუმენტების ანალიზი აღსტურებს მოცემულ თეზისს.

ფორინ ოფისის დასავლეთის განყოფილების ანალიტიკურ ჩანაწერში (1936 წლის 23 ივნისი), რომელშიც ასახული იყო ნახევარი წლის განმავლობაში ესპანეთში შექმნილი მდგომარეობა, ხაზი იყო გასმული პირინეებზე ინგლისის ეკონომიკური პოზიციის გაუარესებაზე. გამოიყოფოდა ორი ძირითადი ფაქტორი, რომელიც ემუქრებოდა ბრიტანეთის პოზიციებს ესპანეთის ეკონომიკაში: 1) სახალხო ფრონტის მთავრობა საკანონმდებლო სფეროში დგამდა ნაბიჯებს, რომლებიც პერსპექტივაში ინგლისური კომპანიების კუთვნილი საწარმოების (პირველ ყოვლისა, სამთამადნო) ნაციონალიზაციას გამოიწვევდა. გარდა ამისა, 1936 შუახანისთვის გაიზარდა ბაჟი ესპანეთში იმპორტირებულ საქონელზე, რაც ასევე ნეგატიურად აისახა ბრიტანელ მწარმოებლებზე, რომლებსაც ესპანეთის ბაზარზე მყარი პოზიციები ეკავათ. შედეგად, „საუკეთესო რისი გაკეთებაც ჩვენ შეგვიძლია მოცემულ სიტუაციაში, განვაგრძოთ ჩვენი პროტესტი და ვიმედოვნოთ, რომ ახალი კანონები არ შემოვა ძალაში უახლოეს მომავალში“; 2) ესპანეთში პოლიტიკური არასტაბილურობის ზრდაში იკვეთებოდა საფრთხე ბრიტანული ინტერესებისთვის და აღინიშნებოდა ასანიას მთავრობის უუნარობა, გაეკონტროლებინა ქვეყანაში სიტუაცია და აღეკვეთა ანარქია (DBFP, 2, XVII: 3).

ამრიგად, 1936 წლის ივლისის პირველ ნახევარში ფორინ ოფისი აღიარებდა რომ პოლიტიკური სიტუაცია ესპანეთში, რეგიონში დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური ინტერესებისთვის საშიში იყო. სამოქალაქო ომის დაწყებასთან ერთად ეს საფრთხე გაიზარდა. სახალხო ფრონტის გაძლიერების შემთხვევაში, ბრიტანული კაპიტალდაბანდებების შემდგომი ბედი ბუნდოვანი იყო. ამავდროულად, ინგლისი

³⁴ მორადიელიოსი 40%-ს ასახელებს. სხვა ავტორები, მაგალითად, ბივორი და ვან დერ ეში, სხვა ციფრებს უთითებენ. ისინი თვლიდნენ, რომ ესპანეთის ეკონომიკაში ბრიტანული კაპიტალდაბანდება შეადგენდა 20%-ს. მორადიელიოსის პოზიცია უფრო არგუმენტირებულია, რადგან ის ემყარება ინგლისის ვაჭრობის სამინისტროს ანგარიშებს, მაშინ როცა ვან დერ ეში უთითებს ზოგადი ხასიათის ლიტერატურას, ხოლო ბივორი საერთოდ არ უთითებს წყაროს (Moradiellos 1992: 124; Esch 1951: 17; Beevor 2006: 114).

წინასწარ ვერ განსაზღვრავდა ესპანეთთან ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივებს რესპუბლიკის დაცემის შემთხვევაში. შექმნილ სიტუაციაში ერთადერთი მისაღები პოზიცია ლონდონისთვის ნეიტრალიტეტი იყო, თუმცა ბრიტანეთის კონსერვატიული მთავრობისთვის არჩევანი ნათელი იყო და სიმპათია აშკარად მუამბოხეთა მხარეს იხრებოდა.

მიუხედავად საშინაო პრობლემებისა, 1936 წელს დიდი ბრიტანეთის მთავარი საზრუნავი მაინც საგარეო პოლიტიკა იყო. ესპანეთში ამბოხების დაწყებამდე, 17 ივლისს ბრიტანეთის კაბინეტი დაკავებული იყო ხუთი სახელმწიფოს კონფერენციის ორგანიზებით, რომელიც ლოკარნოს ხელშეკრულების გადასასინჯად იყო მიმართული. ეს კონფერენცია მნიშვნელოვანი იყო საფრანგეთის სისუსტის აღიარების და ზოგიერთ მეორეხარისხოვან სახელმწიფოში (მაგალითად, ესპანეთი) მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით. ამ კონტექსტში სისუსტეში იგულისხმებოდა არა მხოლოდ პოტენციური მოკავშირეების სამხედრო მოუმზადებლობა, არამედ ამ ქვეყნებში მიმდინარე იდეოლოგიური პოლარიზებაც. ესპანეთსა და საფრანგეთში სახალხო ფრონტის მთავრობის მოსვლა ხელისუფლების სათავეში ბრიტანეთს მოსვენებას უკარგავდა. კომუნიზმის გავრცელების საფრთხე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში ამ ქვეყნების მიმართ. ესპანეთის რესპუბლიკას ინგლისელ პოლიტიკოსთა უმრავლესობა არ აღიქვამდა როგორც ბურჟუაზიული დემოკრატიის ერთ-ერთ ფორმას, ისინი მას განიხილავდნენ, როგორც კომუნისტურ რეჟიმს. ასეთ პირობებში „ესპანური კომუნიზმი უფრო საშიშად იქნა მიჩნეული, ვიდრე ესპანური „ფაშიზმი“ და სხვა ალტერნატივას აშკარად ფრანკოს გამარჯვება სჯობდა (Малай 1999: 10).

ამრიგად, ანტიკომუნიზმი იყო მთავარი რგოლი ბრიტანეთის მთავრობის პოზიციაში ესპანეთის მიმართ. ცოტა მოგვიანებით ინგლისმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია და კაბინეტმა სრულად გათვალა ესპანეთის სამოქალაქო ომის სტრატეგიული მნიშვნელობა. ამ დროისთვის ჩაურევლობის შეთანხმება უკვე მოქმედებდა და ჩაურევლობის კომიტეტიც საქმიანობისთვის მზად იყო.

ახლა კონკრეტულად განვიხილოთ ბრიტანეთის მთავრობის პოზიციის წინაპირობები და პოლიტიკის შემუშავების დეტალები.

ესპანეთში მემარჯვენეების თუ მემარცხენეების მხრიდან გადატრიალების მოხდენის შესაძლებლობა კარგად იყო შეფასებული ფორინ ოფისში 1936 წლის დასაწყისიდან, მაგრამ ძირითადი საზრუნავი ამ წლის იანვარში იყო ინგლის-ესპანეთის 1935 წლის საგადახლო შეთანხმების მოქმედებაში მოყვანა და იმის გან-

ხილვა, თუ როგორ შეეხებოდა ამ შეთანხმებას 1936 წლის თებერვალში დანიშნული არჩევნები. მიანიშნებდა რა კომუნისტების აქტიურობაზე, „აქსიონ პოპულარის“ წევრი, „El Debate“-ს გამომცემელი და კათოლიკური პარტია სედას ლიდერ ხილ რობლესთან დახლოებული პირი ანხელ ერერა აფრთხილებდა ბრიტანეთის ელჩს ესპანეთში ჰენრი ჩილტონს, რომ მომავალ არჩევნებში მემარცხენეთა გამარჯვებას სერიოზული შედეგები ექნებოდა ბრიტანეთის სამთამადნო კომპანიებისთვის და, პირველ ყოვლისა, „რიო ტინტოსთვის“. ასევე გააფრთხილა მან აშშ-ს ელჩი ესპანეთში კლოდ ბაუერსი, მაგრამ მას არ გაუფრთხილებია საფრანგეთის ელჩი ჟან ერბეტი, რომელსაც სოციალისტს და მასონს უწოდებდა (Edwards 1979: 4).

ბრიტანეთის წარმომადგენლები ესპანეთში გარკვეული პერიოდის განმავლობაში პრესის, იეზუიტების თუ უცხოელი წარმომადგენლების დახმარებით ახდენდნენ ზონდირებას, იყო თუ არა მოსალოდნელი ამბოხება მემარცხენეების მხრიდან. იანვარში, როგორც ჩანს, საფრთხემ მათი მხრიდან იკლო. ალბათ ამიტომ იყო გაკვირვებული ჩილტონი, როცა სახალხო ფრონტის გამარჯვების გამო განმარტავდა: „ესპანეთი არის ქვეყანა, სადაც მოულოდნელობები ხშირია... ძნელია აიხსნას მემარჯვენეების ასეთი სასტიკი დამარცხება“. მას სჯეროდა, რომ პირველი ექვსი თვის განმავლობაში ზომიერ პრემიერ მანუელ ასანიას თავისუფლად მოქმედების საშუალება ექნებოდა, მაგრამ ადრე თუ გვიან „ესპანელი ლენინი“ ლარგო კაბალიერო მას უსიამოვნებას შეუქმნიდა (Edwards 1979: 4).

ამ ეტაპზე ჩილტონის ცნობები მთლიანობაში არ ადასტურებს მისი კოლეგების, განსაკუთრებით აშშ-ს ელჩის კლოდ ბაუერსის მხრიდან მისდამი გამოთქმულ ბრალდებებს, თითქოს ინგლისის ელჩი ესპანეთში იყო თავიდანვე ლოიალისტების მოწინააღმდეგე და მათ ჩვეულებრივ „წითლებს“ უწოდებდა (Bowers 1954: 291). პირიქით, თავიდან ჩილტონი ფრთხილ თანაგრძნობასაც კი გამოხატავდა ესპანეთის სახალხო ფრონტის მთავრობის მიმართ, მაგრამ მოგვიანებით მისი პოზიცია და შეფასებები მკვეთრად შეიცვალა.

მაღე ანხელ ერერას გაფრთხილება გამართლდა. ფორინ ოფისში სისტემატურად იზრდებოდა საჩივრები ესპანეთში ბრიტანული საზოგადოების ყველა სექტორიდან, სადაც აღწერილი ინციდენტებიდან გამომდინარე ესპანეთის მთავრობა ფასდებოდა, როგორც კომუნისტური რეჟიმი. ასეთი სახის ტიპური ცნობა მიღო ბრიტანეთის პრემიერმა სტენლი ბოლდუინმა 1936 წლის აპრილში დიდი ავტორიტეტის მქონე ართურ ბრაიანტისგან. „ესპანეთში მოვლენები უარესადაა,

ვიდრე ეს აქ ესმით. დიდ ქალაქებში ეს ფარულადაა, მაგრამ ყველგან რევოლუცია იწყება. მე გავიარე 5000 მილი ესპანეთში და, კატალონიის გამოკლებით, ყველა სოფლის კედელზე ვნახე უროსა და ნამგლის სიმბოლო, ქუჩებში კი აშკარა ზიზღი კლასებს შორის, გაღვივებული საბჭოთა აგენტების მზარდი აგიტაციის შედეგად“ (Little 1988: 296).

რასაკვირველია, ყველა ბრიტანული კომერციული ფირმა შეშინებული იყო სახალხო ფრონტის მთავრობის ახალი ეკონომიკური დეკრეტებით. საბაჟო ტარიფების აწვევა, დამატებითი გადასახადების დაწესება და, ზოგ შემთხვევაში, მიწების კონფისკაცია უკიდურესი შეშფოთების საგანი იყო. ასეთ პირობებში სამთამადნო კომპანიებს საბოლოო დარტყმა მიაღება ივნისის თვეში, როცა კორტესებს წარედგინა კანონპროექტი, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფო კონტროლს შახტებსა და მადაროებზე.

მაშინ, როცა ესპანეთიდან მოსულ ცნობებს ფორინ ოფისი ანალიზებდა და აზუსტებდა, სხვები კონკრეტულ ნაბიჯებს დგამდნენ. მაგალითად, სამეფო საავტომობილო კლუბმა გააფრთხილა თავისი წევრები, რომ ესპანეთის ტერიტორიაზე შესვლისას ვერანაირ გარანტიას ვერ მისცემდნენ. გამოხატავდა რა სირცხვილის გრძნობას ასეთი ცირკულარის გამოქვეყნების გამო, ესპანეთში ბრიტანეთის საელჩოს მრჩეველმა ოგილვი ფორბსმა დაარწმუნა საგარეო საქმეთა მინისტრი ენტონი იდენი, რომ საელჩოს სავაჭრო მდივანი სულ ახლახანს დაბრუნდა ესპანეთში საავტომობილო ტურიდან და არანაირი უკმაყოფილება არ გამოუთქვამს (მით უმეტეს, მისი მანქანა დიპლომატიური ნომრების გარეშე იყო). იმავე ტურიდან დაბრუნების შემდეგ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანაშემწემ ჯორჯ მაუნსიმ, შეიტყო რა ტურისტების გაფრთხილების შესახებ, აღშფოთებულმა იკითხა: „ვერ გავიგე, რატომ?“ (Edwards 1979: 5).

ბრიტანეთის მოქალაქეთა შიში უფრო გაღრმავდა 2 ივლისის ინციდენტის შემდეგ, როცა ბარსელონაში მოკლეს ერთ-ერთი ფაბრიკის ბრიტანელი მენეჯერი ჯოზეფ მიტჩელ ჰუდი. შიში იმდენად სერიოზული იყო, რომ მათ ესპანეთის მთავრობისგან გარანტიები მოითხოვეს. 13 ივლისს ლორდ ქრანბორნმა, ფორინ ოფისის ხელმძღვანელის საპარლამენტო მოადგილემ, თემთა პალატაში განაცხადა, რომ ბრიტანეთის ქვეშევრდომთა სიცოცხლის და ქონების დაცვის გარანტიის მოთხოვნით უკვე მიმართეს ესპანეთის მთავრობას (HC debates, Vol. 314, cols. 1643-4). იმავე დღეს მადრიდში მოკლეს მემარჯვენე მონარქისტი პოლიტიკოსი კალვო სოტელო და კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა ღია კონფრონტაციისკენ მთავრობას

და მემარჯვენე ძალებს შორის. ამ დაპირისპირებაზე ხმები ადრიდანვე ვრცელდებოდა, მაგრამ ინგლისის მთავრობა მაინც ეჭვის თვალთ უყურებდა მას.³⁵

ესპანეთის სამოქალაქო ომის დაწყებისთვის ურთიერთობები ესპანეთის რესპუბლიკას და ბრიტანეთის მთავრობას შორის გულისთადიდან შორს იყო და, ალბათ, ამაში ესპანეთის მთავრობაც შეიძლება გარკვეულწილად დავადანაშაულოთ. იყო რა მუდამ ჩაფლული რთულ საშინაო პრობლემებში, ის სრულად ვერ იცლიდა საგარეო ურთიერთობებისთვის, თუმცა ბრიტანეთის ოფიციალური წარმომადგენლების მხრიდანაც ნაკლები ძალისხმევა აღინიშნებოდა ამ მიმართულებით.

როგორი იყო ბრიტანეთის პირველი რეაქცია ესპანეთის შიდა პოლიტიკურ კონფლიქტზე? როგორც უკვე ითქვა, ფორინ ოფისის ძირითადი საზრუნავი 1936 წლის მთელი ზაფხულის განმავლობაში არაუგვიანეს შემოდგომისა ლოკარნოს ახალი პაქტის დადება იყო. ამასთან იდენის გადაუდებელ საზრუნავს წარმოადგენდა ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულება, რომელიც 26 აგვისტოს იქნა ხელმოწერილი. ამ ფონზე ესპანეთი თავიდან დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა. იმედი რჩებოდა, რომ იქ ყველაფერს საკუთარი ძალებით სწრაფად გადაწყვეტდნენ. რაც შეეხება პრემიერ სტენლი ბოლდუინს, ის არ იყო საგარეო საქმეებით დიდად დაინტერესებული. 1936 წლის შუა ზაფხულში ის ავლენდა გადაღლის ნიშნებს, ცდილობდა აეცილებინა პასუხისმგებლობა და საქმეები შეატოვა იდენს. ეს მიიმე ტვირთი იყო და შემდგომში იდენი ამის თაობაზე გარკვეულ უკმაყოფილებას გამოხატავდა (Eden 1962: 453)

თვითონ იდენისთვის ამოცანის შესრულება არ იყო ადვილი, იმ დროს კაბინეტში საგარეო პოლიტიკის დარგში პოტენციური მრჩეველების სიმრავლის გამო. იდენი იხსენებდა, რომ გარდა სემუელ ჰორისა, რომელიც იყო საადმირალოს პირველი ლორდი და, შესაბამისად, კაბინეტის საგარეო პოლიტიკის კომიტეტის წევრი (სწორედ ჰორი შეცვალა იდენმა 1935 წლის ბოლოს), კაბინეტში კიდევ სამი ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო და თითოეულს სურდა თავისი სიტყვა ეთქვა აღნიშნულ სფეროში. ბოლდუინი, რომელიც იდენის მიმართ სიმპათიებს გამოხატავდა, ამ მიმართულებით შემდეგ კომენტარს აკეთებდა: „საგარეო საქმეთა მინისტრის ოცი კოლეგიდან ალბათ მხოლოდ ერთი თვლის, რომ უნდა იყოს შრომის მინისტრი და დანარჩენი 19 ფიქრობს, რომ უნდა იყოს საგარეო

³⁵ სხვათა შორის, შეთქმულებმა 29 მაისს ფორინ ოფისს შეატყობინეს გადატრიალების განზრახვის შესახებ, რომელიც მიმართული იქნებოდა მხოლოდ წესრიგის აღდგენის და ხელისუფლების სათავეში სამოქალაქო, მემარჯვენე მთავრობის მოსვლისკენ (Moradiellos 1992: 124).

საქმეთა მინისტრი“. მოგვიანებით იდენი აღნიშნავდა: „უხუცესი წევრები სიხარულით არ შეხვედრიან ჩემს დანიშვნას კაბინეტში, სადაც ნამდვილად არ იყო ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრების ნაკლებობა (Eden 1962: 319; 383). იდენის მთავარი კონკურენტი იყო ლორდი ჰალიფაქსი – ბეჭდის მცველი ლორდი და უპორტფელო მინისტრი (აგვისტოში, როცა იდენი ისვენებდა იორქშირში, სწორედ ჰალიფაქსი ასრულებდა მის მოვალეობას (Eden 1962: 450). ამ ხალხის სურვილი, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში, ართულებდა გადაწყვეტილების მიღების პროცესს და თანმიმდევრული პოლიტიკის გატარებას.

ესპანეთის სამოქალაქო ომის პირველ ეტაპზე გადაწყვეტილების მიღებისას კიდევ ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორი იყო ხანგრძლივი საპარლამენტო შესვენება, რაც ნიშნავდა იმას, რომ 29 ივლისიდან 2 სექტემბრამდე არამხოლოდ საპარლამენტო სესია არ გაიმართებოდა, არამედ მინისტრთა კაბინეტის წევრებიც დაფანტული იქნებოდნენ. ამის გამო ფორინ ოფისის მაღალჩინოსანთა როლი ესპანური კრიზისის პირველ კვირებში ისე მნიშვნელოვანი იყო, როგორც არასდროს. შედეგად, მათი მემორანდუმები და ჩანაწერები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა. დიდ როლს თამაშობდნენ მინისტრის მუდმივი მოადგილე რობერტ ვანსიტარტი (მოცემულ პერიოდში ლონდონში არყოფნის მიუხედავად), მცირე ხნით ადრე პეკინიდან დაბრუნებული ალექსანდერ კადოგანი, მინისტრის მოადგილის ოთხი თანამშემწიდან ერთ-ერთი ჯორჯ მაუნსი, რომელიც კადოგანთან ერთად იყოფდა დასავლეთის და ერთა ლიგის განყოფილების მეთვალყურეობას. სხვა თანამშრომლები, რომლებმაც მოგვიანებით მონაწილეობა მიიღეს ესპანეთთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში, იყვნენ: ორმე სარჯენტი, უოლტერ რობერტსი, ოუენ კლერ ო'მელი, ჩარლზ ჰოვარდ სმითი. გარდა აღნიშნული მაღალჩინოსნებისა, ესპანეთის საქმეებზე უშუალოდ პასუხისმგებელი იყო ოთხი თანამშრომელი: ე. შუქბურგი, უ. მონტეგიუ პოლოკი, რ. მეკინსი, დ. მაკლინი (უკვე იმ დროს საბჭოთა ჯაშუში, ე.წ. „კემბრიჯის ხუთეულის“ წევრი).

17-18 ივლისის მოვლენებზე პირველი რეაქცია დაბნეულობა იყო. პირველი შეტყობინება ფორინ ოფისში 18 ივლისს ელჩი ჩილტონისგან მიიღეს. იგი სან სებასტიანიდან იტყობინებოდა: „...ცნობა მოვიდა, რომელსაც ადგილობრივი სამხედრო ხელისუფლებაც ადასტურებს, რომ მაროკოში რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყდა უცხოური ლეგიონი, ასევე გავიგე ხმები სამხედრო ამბოხების შესახებ ბურგოსში, მაგრამ არ მაქვს მტკიცებულებები, სატელეფონო კომუნიკაცია მადრიდთან

დროებით შეწყვეტილია (DBFP, 2, XVII: 7). კომუნიკაციის არქონა საქმეს ართულებდა, მაგრამ ბრიტანელმა დიპლომატებმა მალე შეძლეს ამ სიძნელის გადალახვა – დეპეშები იგზავნებოდა ესპანეთის წყლებსა და გიბრალტარში მყოფი გემების მეშვეობით. მიუხედავად ამისა, იდენის მტკიცება 20 ივლისს, რომ რთული იყო ზუსტი ინფორმაციის მიღება, საფუძვლიანი იყო (HC Debates, Vol. 315, Col. 41).

შემდეგი ცნობა ფორინ ოფისში მოვიდა ტანჟერიდან, საიდანაც ბრიტანეთის კონსული გაი ატყობინებდა იდენს 19 ივლისს ფრანკოს ტეტუანში დაფრენის შესახებ. იგი საუბრობდა ხმებზე, რომ ჯარები გადავიდნენ კადისში და რომ სევილია მათ ხელშია (DBFP, 2, XVII: 7). ეს და სხვა ინფორმაციები,³⁶ მართალია, ხშირად ჭორებზე დამყარებული, წინ უსწრებდა ბრიტანეთის მთავრობის პირველ გადაწყვეტილებას. დიპლომატიური ხაზებიდან მიღებულ ინფორმაციებს ადასტურებდნენ ესპანეთში მყოფი ბრიტანელი კორესპონდენტები. რა თქმა უნდა, მემარჯვენე პრესა გამოირჩეოდა თავისი რადიკალიზმით. 20 ივლისს “Morning Post”-ი აცხადებდა, რომ არმიამ განახორციელა „ანტიკომუნისტური გადატრიალება ესპანეთის მარქსისტული მთავრობის წინააღმდეგ. 21 ივლისს “The Daily Mail”-ი წერდა, რომ ბრძოლა ესპანეთში იყო „წითელი ესპანეთის ბრძოლა კონტრრევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ“. მნიშვნელოვანი იყო რევოლუციის პრევენციის თემა, რომელზეც საუბრობდა ზომიერი კონსერვატიული პრესა. მაგალითად, იმავე 21 ივლისს გავლენიანი “The Times” გამოხატავდა შიშს ხირალის მთავრობის გადაწყვეტილების გამო, გადაეცა იარაღი მუშებისთვის: „შესაძლოა, რომ მუშები იარაღს ადვილად არ დააბრუნებენ“. საინტერესო პროგნოზი კეთდებოდა 22 ივლისს “Evening Standard”-ში: „შეცდომაა ესპანური კონტრრევოლუციის ფაშისტურ რევოლუციად ჩათვლა, ეს არის სამხედრო მოძრაობა სახელმწიფო გადატრიალების მიზნით, შესაძლოა გაიმარჯვოს კიდევ, ყოველ შემთხვევაში გაჭირდება სწრაფად მისი ჩახშობა. შეიძლება მივიღოთ ხანგრძლივი სამოქალაქო ომი ძლიერი სისასტიკის თანხლებით, რაც წარსულში დამახასიათებელი იყო ესპანეთისთვის. ამ სისასტიკის სტიმული იქნება მთავრობის გადაწყვეტილება მუშებისთვის იარაღის მასიურად გაცემის შესახებ. ბრბოსთვის იარაღის გადაცე-

³⁶ ვიცუკონსული ბარსელონიდან 20 ივლისის დეპეშაში იტყობინებოდა, რომ „მთავრობისადმი ლოიალურმა მცირე რაზმებმა, შეიარაღებულ მუშებთან ერთად, რომელთა რიგებშიც ჭარბობენ ანარქისტები, ჩაახშვეს აჯანყება“ და ამატებდა „საშინელ“ პროგნოზს, რომ კატალონიაში შეიქმნებოდა მუშათა რევოლუციური მთავრობა. იმავე დღეს კონსული ვიგოდან იტყობინებოდა, რომ აღნიშნული მხარე „ვირტუალურად პროლეტარიატის ხელში იყო“ და ა.შ. (Moradiellos 1996: 41).

მა ადვილია, ძნელია მისი უკან დაბრუნება“ (Moradiellos 1996: 43).

აუცილებლობიდან გამომდინარე, ბრიტანეთის მთავრობის პირველი პასუხი იყო ესპანეთსა და მის სამფლობელოებში ყველა ბრიტანელი ქვეშევრდომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. 13 დღის განმავლობაში ბრიტანეთის სამხედრო გემები განლაგებული იყო ესპანეთის სანაპიროებთან³⁷. 27 ივლისისთვის 785 ადამიანის ევაკუაცია მოახდინეს ბარსელონიდან და სხვა პორტებიდან, აქედან 544 ბრიტანეთის მოქალაქე იყო, დანარჩენი კი – სხვა ქვეყნების (17 სხვადასხვა ეროვნების) (Edwards 1979: 13).

მაღე ტანჟერში შექმნილმა სიტუაციამ გამოიწვია ესპანეთის საკითხის უფრო ღრმა და სერიოზული განხილვა. ეს მომენტი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

საომარი მოქმედებების დაწყებისას რესპუბლიკის მთავრობამ საესკადრო ნაღმოსნები გაგზავნა მაროკოში ამბოხების ჩასახშობად. ოფიცრებმა გადაწყვიტეს ფრანკოსთვის მიმხრობა, მაგრამ ამაში ხელი შეუშალეს მეზღვაურებმა. უფროსობიდან ზოგი დააპატიმრეს, ზოგი ადგილზე დახვრიტეს (Alpert 1985: 93). ამრიგად, საზღვაო ფლოტი, მართალია, სუსტი, თავიდანვე კანონიერი მთავრობისადმი ლოიალური დარჩა. საწვავის უქონლობის გამო, რესპუბლიკის გემების ნაწილი ტანჟერის საერთაშორისო პორტში, ნაწილი კი გიბრალტარში უმოქმედოდ დადგა. გემების საწვავით მომარაგების შემთხვევაში ფრანკო იმუქრებოდა ტანჟერის და გიბრალტარის პორტების დაბომბვით. 20 ივლისს იგი ასევე არწმუნებდა ტანჟერში ბრიტანეთის კონსულ გაის, არ მიეცა უფლება გემებს აედოთ საწვავის მარაგი ტეტუანში. მომდევნო დღეს ესპანეთის რესპუბლიკის ელჩი ლონდონში ლოპეს ოლივანი ვიკონტ ქრანბორნს თხოვნით მიმართავდა, მიეყიდათ საწვავი გიბრალტარის პორტიდან: „თუ მისი უდიდებულესობის მთავრობა დაეხმარება ესპანეთის მთავრობას ამ მიმართებით, ეს კარგად იქნება ანაზღაურებული“. საგარეო საქმეთა მინისტრთან კონსულტაციის შემდეგ ქრანბორნმა განუცხადა, რომ რესპუბლიკას თავისუფლად შეეძლო მისი შექმნა კერძო კომპანიებისგან, რომლებიც ფლობდნენ გიბრალტარში საწვავის დიდ მარაგს და ამ მიმართულებით მისი უდიდებულესობის მთავრობა, რასაკვირველია, სიძნელეებს არ შექმნიდა (DBFP, 2, XVII: 8).

22 ივლისს მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე იდენმა განაცხადა, რომ ესპა-

³⁷ 27 ივლისისთვის 5000, 9000 ბრიტანელი და ფრანგი ლტოლვილი მოაწვდა საფრანგეთის და გიბრალტარის საზღვრებს (HC Debates, Vol. 315, Col. 1073).

ნეთის ელჩმა ითხოვა საწვავის მიწოდება ტანჟერში, რაზეც მან, საადმირალოსთან კონსულტაციების შემდეგ, ესპანეთის ელჩს კომერციულ წყაროებზე მიუთითა. დისკუსიაში, რომელიც ამ განცხადებას მოჰყვა მინიშნებული იყო, რომ თუ ესპანეთის გემებისთვის გიბრალტარში შესვლა და საწვავით შევსება არასასურველი იყო შესაძლო დაბომბვების მიზეზით, ასევე არახელსაყრელი იყო ბრიტანული ტანკერების ტანჟერში გაგზავნა, ისევე დაბომბვის რისკებიდან გამომდინარე. კაბინეტი შეთანხმდა, რომ დაუყოვნებლივი მოქმედებები აუცილებელი არ იყო, მაგრამ საჭირო იყო ვითარებისთვის ფრთხილად თვალყურის მიდევნება“ (DBFP, 2, XVII: 9). 22 ივლისს მემამბოხეებმა, როგორც ჩანს, შემთხვევით დაბომბეს ორი ბრიტანული გემი „ფაბიანი“ და „მაჰრათა“ (მეორე დღეს ლოპეს ოლივანი უმტკიცებდა ქრანბორნს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში გადამოწმებული ინფორმაციით ბრიტანული გემები მთავრობას არ დაუბოძავენ). ტანჟერში რთული სიტუაცია შეიქმნა. კონტროლის საერთაშორისო კომიტეტმა სასწრაფოდ შეკრიბა თავისი წევრები, რამდენადაც სახეზე იყო საშიში მდგომარეობის ყველა ელემენტი, რაც სახელმწიფოების კონფლიქტში ჩათრევას გამოიწვევდა. ამ შეხვედრის შემდეგ ფრანგებმა, რომლებიც განსაკუთრებით იყვნენ შეშფოთებული ესპანეთის სამხედრო გემების ტანჟერში ყოფნით, თავის ელჩს 21 ივლისს მისცეს ინსტრუქცია, გაემახვილებინა ესპანეთის მთავრობის ყურადღება მემამბოხეთა არმიის, ავიაციის და სხვა ერთეულების მხრიდან სადამსჯელო ღონისძიებათა განხორციელების საფრთხეზე და დაერწმუნებინა ესპანელები ტანჟერის, როგორც ბაზის გამოყენებაზე უარი ეთქვათ (Edwards 1979: 14). ბრიტანეთის და იტალიის ელჩებმაც იგივე ინსტრუქცია მიიღეს. 22 ივლისს იდენმა ჩილტონს გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც გააცნო საფრანგეთის მთავრობის ინსტრუქცია და მისცა შემდეგი დირექტივა: „დაუყოვნებლივ შეუთანხმდით ფრანგ კოლეგას და მიიღეთ მსგავსი ზომები. დაარწმუნეთ ესპანეთის მთავრობა, არ გამოიყენოს ტანჟერი ბაზად სამხედრო ოპერაციებისთვის (DBFP, 2, XVII: 10).

ეს მეტად საყურადღებო ფაქტია. სამოქალაქო ომის ადრეულ ეტაპზე ფრანგები მზად იყვნენ გადაეღათ ესპანეთის რესპუბლიკისთვის საზიანო ნაბიჯი. როგორც ჩანს, ფრანგებმა სათანადოდ შეაფასეს როგორც სტრატეგიული, ისე პოლიტიკური გართულებები, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ტანჟერში შექმნილ მდგომარეობას. ფრანგების აღნიშნული ნაბიჯი დიდ ინტერესს იწვევს, ვინაიდან ბრიტანეთის მთავრობის მხრიდან ზეწოლის საკითხი ჩაურევლობის პოლიტიკის მიღებაში იყო და რჩება დავის საგნად. უამრავი თეორიაა იმის შესახებ, რომ

საფრანგეთის მთავრობას სურდა პრაქტიკული დახმარება გაეწია ესპანეთის რესპუბლიკისთვის და ჩაურევლობა წამოიწია მხოლოდ ბრიტანეთის მთავრობის ზეწოლის შედეგად. აქ შეიძლება სამი ძირითადი მომენტის გამოყოფა, როდესაც ეს ზეწოლა შეიძლება მომხდარიყო: 1) ლონდონში სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა კონფერენციაზე 23-24 ივლისს, უშუალოდ ბოლდუინის მხრიდან; 2) ფრანგი ადმირალის დარლანის ლონდონში ვიზიტისას 5 აგვისტოს; და 3) 8 აგვისტოს ჩაურევლობის პოლიტიკის საბოლოოდ მიღების წინ.

აღნიშნული მომენტების დაზუსტება ორ ფაქტორით არის შესაძლებელი – საერთაშორისო მდგომარეობით (ნაწილობრივ ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობებით) და ორივე სახელმწიფოს, განსაკუთრებით კი საფრანგეთის საშინაო მდგომარეობით. რაც შეეხება ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობებს, მათ შორის ერთგვარი გაუცხოება დაიწყო საფრანგეთ-საბჭოთა კავშირს შორის ხელშეკრულების დადების გამო (1935 წლის 2 მაისი), რისი პასუხიც იყო ინგლის-გერმანიის 1935 წლის 18 ივნისის საზღვაო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებების დადებით მოკავშირე დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა, როგორც ჩანს, დიამეტრულად საწინააღმდეგო გზა აირჩიეს.³⁸ რაც შეეხება მეორე ფაქტორს, საფრანგეთში, ესპანეთის მსგავსად, მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს მძაფრი დაპირისპირება არსებობდა და ამით გამოწვეული პოლიტიკური მღელვარებები ხშირი იყო. საფრანგეთის სახალხო ფრონტის მთავრობისთვის სასურველი იყო მეგობარი მთავრობის მხარდაჭერა როგორც იდეოლოგიური, ისე სტრატეგიული თვალსაზრისით, მაგრამ, ამავე დროს, იმპერატივი იყო ის, რომ ფრთხილი ბალანსით, შინაგანი ზეწოლიდან გამომდინარე, საფრანგეთს საკუთარი სოციალისტური მთავრობა შეენარჩუნებინა.

როგორც ვიცით, 23 ივლისს ბლუმი და დეგლოსი ჩადიან ლონდონში სამი სახელმწიფოს კონფერენციაზე. რთულია იმის მტკიცება, რა სახის ზეწოლა მოახდინეს მასზე ლონდონში. ამბობენ, თითქოს სტენლი ბოლდუინმა უშუალოდ გააფრთხილა ბლუმი, რომ თუ საფრანგეთი ჩაერეოდა ესპანეთის სამოქალაქო ომში ეს გამოიწვევდა კონფლიქტს იტალიასთან და ასეთ შემთხვევაში ბრიტანეთი ნეიტრალური დარჩებოდა. თვითონ ბლუმი 1947 წელს პარლამენტის საგამოძიებო

³⁸ სსრკ-საფრანგეთის ალიანსი გაფორმდა ფლანდენის პრემიერობისას, თუმცა მას საფრანგეთის მთავრობაში თავისი მოწინააღმდეგეები ჰყავდა, მათ შორის, საგარეო საქმეთა მინისტრი პიერ ლავალი. მიუხედავად იმისა, რომ პაქტის დადება მხოლოდ აუცილებლობის პოლიტიკიდან იყო გამომდინარე, ლონდონი მას საფრანგეთში კომუნისტების მოძალეზად განიხილავდა.

კომისიის წინაშე იხსენებდა, რომ დამშვიდობებისას ენტონი იდენმა ჰკითხა მას:

- თქვენ აპირებთ იარაღის გაგზავნას ესპანეთის რესპუბლიკისთვის?
- დიახ, ეს მართალია, – ვუპასუხე მე.

- ეს თქვენი საქმეა, – თქვა იდენმა, – მაგრამ ერთ რამეს გთხოვთ, იყავით ფრთხილად (Les événements... 1947: 216). ამ დიალოგს მოგვიანებით დაერქვა „შემთხვევითი მინიშნება“ ესპანეთის შესახებ, თუმცა რთული წარმოსადგენია, ასეთ დროს ნებისმიერი მინიშნება შემთხვევითი ყოფილიყო. ჰ. თომასის აზრით, იდენის ეს რჩევა ზუსტად გამოხატავდა მშვიდობისკენ ძლიერ ლტოლვას, რომელსაც იმ დროს ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტი და ინგლისელი ხალხი განიცდიდა (Tomac 2003: 205). თავის მოგონებებში იდენი უარყოფს, რომ შეხვედრაზე საუბარი იყო ესპანეთის შესახებ და ბლუმთან ხსენებულ დიალოგს საერთოდ არ ახსენებს (Eden 1962: 451).

ბევრი ისტორიკოსი იმეორებს ბლუმის მიერ მოყვანილ ვერსიას, თუმცა ფრანგი ჟურნალისტი ჟან გრანმუჟენი გეთავაზობს სრულიად განსხვავებულ ვარიანტს, რომლის მიხედვითაც ეს კითხვა ბლუმს არა იდენმა, არამედ ბოლდუინმა დაუსვა და ბოლო რეპლიკა უფრო მძიმე იყო: „ეს თქვენი საქმეა, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენზე იმედებს ნუ დაამყარებთ“ (Gallagher 1971: 58). ბოლდუინს ახსენებს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი 1933-1944 წლებში კორდელ ჰალი თავის მემუარებში (The Memoirs of Cordell Hull, Vol.1, 1948: 476).

ერთ-ერთი პირველი ისტორიკოსი, რომელმაც ბრიტანეთის მთავრობის ერთგვარი რეაბილიტაცია სცადა, არის დევიდ კარლტონი. თავის ნაშრომში, რომელიც 1971 წელს გამოქვეყნდა (Journal of Contemporary History), ის ამბობს, რომ ბრიტანულ არქივებში არ არსებობს მასალა, რომელიც ადასტურებს ზეწოლას. უცნობია, ბრიტანეთმა გამოხატა თუ არა უკმაყოფილება საფრანგეთის პოლიტიკით და გაურკვეველია, რა სახის ზეწოლას მიმართა მან და მიმართა თუ არა საერთოდ. ერთი რამ ნათელია, დედაბოსი და თვითონ ბლუმიც იმ შთაბეჭდილებების ქვეშ იმყოფებოდნენ, რაც ნახეს და გაიგეს ლონდონში (Carlton 1971: 40-55).

აქამდე ესპანეთის მთავრობას ბრიტანეთის მთავრობისთვის იარაღის მიწოდება არ უთხოვია, ითხოვა მხოლოდ საწვავი, სამაგიეროდ, მუამბოხეები აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ოთხი მოძველებული თვითმფრინავის შესყიდვის შესახებ, რომელიც ბრიტანეთის იმპერიის ავიახაზებს ეკუთვნოდა. მათთვის ამ თვითმფრინავების მიყიდვის გამო ესპანეთის ელჩმა 28 ივლისს იდენტან პროტესტი გამოთქვა, ამასთან, სცადა, გაერკვია, როგორი იქნებოდა ბრიტანეთის მთავ-

რობის პოზიცია თუ თავისი მთავრობისგან მიიღებდა შესაბამის ინსტრუქციებს იარაღის შესყიდვის თაობაზე.³⁹ იდენმა უპასუხა, რომ ეს მოითხოვდა ლიცენზიას და თუ ესპანეთის მთავრობა ოფიციალურ მიმართვას გააკეთებდა, ის განხილული იქნებოდა (Eden 1962: 449).

შესაძლებელია, ბოლდუინმა ესპანეთიდან მოსული შემაშფოთებელი ცნობების გავლენით, უკვე მისცა ენტონი იდენს კონკრეტული, თუმცა არაოფიციალური დირექტივა: „არავითარ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რას გააკეთებს საფრანგეთი თუ სხვა ნებისმიერი ქვეყანა, ჩვენ არ უნდა ჩავერიოთ, რადგან ეს ნიშნავს რუსების მხარეზე ბრძოლას“ (Gallagher 1971: 60; Moradiellos 1992: 127; Little 1988: 300). ბოლდუინის პოლიტიკური დირექტივა, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი იყო. ლოპეს ოლივანის შეკითხვის შემდეგ ეს პრობლემა ჯეროვნად იქნა განხილული კაბინეტის სხდომაზე, თუმცა ოფიციალურად დღის წესრიგში არ ყოფილა შეტანილი და არც გამართული დისკუსიის ამსახველი რაიმე ჩანაწერი არსებობს. იდენმა კაბინეტს აცნობა ესპანეთის ელჩის გაფრთხილების შესახებ, რომ მალე ესპანეთის მთავრობა იარაღის შექმნის თხოვნით მიმართავდა მათ. მან შეახსენა კოლეგებს, რომ ესპანეთის კანონიერ მთავრობას წესით უარს ვერ ეტყოდნენ, მაგრამ თავდაცვის დეპარტამენტებს შეეძლოთ ამის გაკეთება და უარი ეთქვათ იმ მიზეზით, რომ ბრიტანეთს თვითონ სჭირდებოდა იარაღი. კაბინეტი შეთანხმდა თუ მომართვა იქნებოდა მას მოჰყოლოდა ჩვეულებრივი პროცედურები და რაიმე გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა არ იყო საჭირო (Edwards 1979: 18).

ცხადია, ნებისმიერი სახით ჩარევის საფრთხე იდენს მოსვენებას უკარგავდა. მალე პარლამენტში საზაფხულო არდადეგები დაიწყო. მან ზუსტი ინსტრუქციები დატოვა ფორინ ოფისში და დასასვენებლად წავიდა. აშკარა იყო, რომ ახლა ფორინ ოფისს უნდა შეემუშაებინა მასთან დაკავშირებული დეტალები, რაც ნამ-

³⁹ რამდენიმე დღით ადრე ელჩი ოლივანი ეწვია ენტონი იდენს და უთხრა, რომ მას სურდა საუბარი არა როგორც ესპანეთის ელჩს, არამედ როგორც მეგობარს. მდგომარეობა ესპანეთში იმდენად სერიოზული იყო, რომ ის იძულებული გახდა, თავისი პოზიცია გაერკვია. არსებულ სიტუაციაში სამი ვარიანტი იყო: ან ამბოხებულები გაიმარჯვებდნენ და ელჩი უნდა გადამღარიყო, ან კომუნისტები გაიმარჯვებდნენ, რა დროსაც სენიორ ოლივანი ვერ გააგრძელებდა სამსახურს, რადგან ის კომუნისტი არ იყო, მესამე ალტერნატივა კი იყო ახლანდელი ხელისუფლების დარჩენა. ოლივანი უფრო მეორე ალტერნატივას თვლიდა სავარაუდოდ, რა შემთხვევაშიც ის, საელჩოს ოთხ სხვა თანამშრომელთან ერთად გადადგებოდა. ელჩმა იდენს ჰკითხა, რამდენად იყო შესაძლებელი მისთვის და მისი კოლეგებისთვის ინგლისში დარჩენა რამდენიმე თვით და სამსახურის შოვნა. იდენმა უპასუხა, რომ მოხარული იქნებოდა, თუ რამით დაეხმარებოდა მათ (DBFP: 19).

დვილად არ იყო ადვილი საქმე.

მალე მნიშვნელოვანმა პრობლემებმა იჩინა თავი. საუბარია იტალიური თვითმფრინავების ჩამოვარდნაზე. პრესა მაშინათვე ჩაება ბრძოლაში „იტალიური ინტერვენციის“ გამო. როგორც უკვე ვნახეთ, საკითხის ფართოდ გახმაურება ბლუმს დაეხმარა, 31 ივლისს სენატის საგარეო პოლიტიკის კომიტეტის მორიგ შეხვედრაზე შეეცანა დეკლარაცია, რომ თუ იტალია და გერმანია აპირებდნენ ფრანკოსთვის იარაღის ღიად გადაცემას, მისი მთავრობა თავისუფლად ჩათვლიდა თავს, გადაედგა მსგავსი ნაბიჯები და დახმარებოდა რესპუბლიკის მთავრობას. ბრიტანეთის ელჩი პარიზში ჯორჯ კლერკი ფორინ ოფისს აფრთხილებდა, რომ ეს განცხადება არა მხოლოდ სიძნელეებს შეუქმნიდა საფრანგეთის მთავრობის იმ წევრებს, რომლებმაც ამ დრომდე წარმატებით შეაჩერეს პრემიერი და ავიაციის მინისტრი ესპანეთის მთავრობისთვის ბომბდამშენების და იარაღის მიწოდებისგან, არამედ სერიოზული შედეგები ექნებოდა საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობებზე და ირიბად ხუთი სახელმწიფოს კონფერენციაზე, რაც ბრიტანეთის პოლიტიკის ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენდა (Edwards 1979: 20).

იმავე დღეს ლონდინში საფრანგეთის საელჩოს მრჩეველმა რ. კამბონმა სამინისტროს მაღალჩინოსან ჯორჯ მაუნსისთან საუბარში განაცხადა, რომ მისი ქვეყანა შეშფოთებულია იტალიის მხრიდან ღია ინტერვენციის გამო და შეატყობინა, რომ განიხილებოდა საერთაშორისო კონფერენციის იდეა (სავარაუდოდ საფრანგეთის, ბრიტანეთისა და იტალიის შემადგენლობით), სადაც შეთანხმდებოდნენ ნებისმიერი სახით დახმარებისგან თავის შეკავებაზე. მაუნსი პრინციპში დათანხმდა, მაგრამ რაიმე კონკრეტული დაპირება არ მიუცია (Edwards 1979: 20).

1 აგვისტოს საფრანგეთის მინისტრთა კაბინეტის ქარიშხლიანი შეხვედრა როგორც ვიცით ოსტატური კომპრომისით დასრულდა გადაწყდა მიემართათ იტალიის და ინგლისისთვის, როგორც ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოებისთვის, ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შეთანხმება გაეფორმებინათ. ბრიტანეთს ამის თაობაზე ოფიციალურად 2 აგვისტოს აცნობეს. ინგლისი პასუხს არ ჩქარობდა, სანამ 4 აგვისტოს კამბონმა მაუნსის დაუყოვნებლივი პასუხი არ მოსთხოვა. ამ დეტალებზე შემდგომ პარაგრაფში დაწვრილებით ვისაუბრებთ.

იმ დღეებში დაიგეგმა ორი ფრანგი ადმირალის ვიზიტი ლონდონში თავის კოლეგებთან ხმელთაშუა ზღვაზე შექმნილი მდგომარეობის განსახილველად. ადმირალი დარლანი და კონტრადმირალი დეკო შეხვდნენ საადმირალოს ხელმძღვანელს ჩატფილდს. სემუელ ჰორისადმი ჩატფილდის მიერ გაგზავნილ წერილში

კვითხულობთ, რომ სტუმრები ესპანეთის მდგომარეობით და იქ სხვა სახელმწიფოების მოქმედების გამო შეშფოთებულნი იყვნენ. მათ განაცხადეს: „გაჭიანურებული ომი გამოფიტავს ესპანეთს და არ აქვს მნიშვნელობა, რომელი მხარე გაიმარჯვებს, იქ იქნება სუსტი მთავრობა. შესაბამისად, იგი ვერ შეძლებს წინააღმდეგობის გაწევას იტალიის და გერმანიის მხრიდან ნებისმიერ მძარცველურ მოქმედებაზე... მათ ეშინიათ, რომ იტალიელები ხელში ჩაიგდებენ ბალეარის კუნძულებს, ხოლო გერმანელები – კანარის კუნძულებს“ (DBFP, 2, XVII: 61). მიუხედავად ამისა, დარღანი დამოუკიდებელ მოქმედებაზე უარს ამბობდა და გამოხატა სურვილი ემოქმედა ბრიტანეთის საადმირალოს კურსის შესაბამისად. „თუ თქვენ აპირებთ დატოვოთ გემები ესპანეთის სანაპიროებთან, ჩვენც იგივეს გავაკეთებთ, თუ აპირებთ მათ გამოყვანას ჩვენც გამოვიყვანთ ჩვესას“ (DBFP, 2, XVII: 61).

ამ ვიზიტის თაობაზე სემუელ ჰორი აღნიშნავდა: „მე გაოცებული ვარ იმით, რომ განიხილება ამ სახის მოქმედებები (საბრძოლო გემების გაგზავნა ბალეარის კუნძულებისა და კანარის კუნძულებისკენ), მაშინ როცა ორივე მთავრობა შეთანხმდა, მონაწილეობა მიიღოს ახალი ლოკარნოს ხელშეკრულებაში და როცა იტალია დაინტერესებულია, ადადგინოს მეგობრული ურთიერთობები საფრანგეთსა და ჩვენს შორის“ (DBFP, 2, XVII: 61). შემდეგ ჰორი შეეხო ბრიტანეთის ნეიტრალიტეტს და აღნიშნა: „როცა მე ვამბობ ნეიტრალიტეტს, ვგულისხმობ მკაცრ ნეიტრალიტეტს... იმ ვითარებაში, როცა რუსები ოფიციალურად თუ არაოფიციალურად ეხმარებიან კომუნისტებს, ჩვენ ხელი არ უნდა გავანძრიოთ კომუნისტების მხარდასაჭერად ესპანეთში. განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნიზმი პორტუგალიაში, რომელიც ალბათ იქ მალე გავრცელდება, უდიდესი საფრთხე იქნება ბრიტანეთის იმპერიისთვის“ (DBFP, 2, XVII: 61). ჰორის ეს სიტყვები საყურადღებოა, რადგანაც აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ანტიკომუნიზმი ბრიტანეთის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. დარღანის მისია წარუმატებელი აღმოჩნდა და ბრიტანეთის სიმპათიები მეამბოხეებისადმი ოფიციალურად დაადასტურა. მართლაც, მოგვიანებით ჩატფილდი აცხადებდა, რომ ფრანკოს საქმე უფრო კეთილშობილური იყო, ვიდრე წითლების. მაგალითად, ის გამოხატავდა შემდეგ აზრს: „...ფრანკო არის კარგი ესპანელი პატრიოტი, რომელმაც იცის, როგორ დაიცვას თავი პიტლერის და მუსოლინის კონტროლისგან, როგორც კი ხელისუფლების სათავეში მოვა“ (Moradiellos 1996: 68-69; Warner 1962: 213). ეს, რასაკვირველია, ის თვალსაზრისი იყო, რომელიც ფართოდ მუსირებდა მთლიანად ფორინ ოფისში.

ზუსტად რა ხდებოდა კამბონის მიმართვისა და ფრანგი ადმირალების ვიზიტის შემდეგ, უცნობია, მაგრამ, სავარაუდოდ, 6-7 აგვისტოს პარიზში ბრიტანეთის საელჩომ ტელეფონით მიიღო ინსტრუქციები, რომლის მიხედვითაც ჯორჯ კლერკი უნდა დაახლოებოდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ დელბოსს და არაოფიციალურად მხარი დაეჭირა მისთვის კაბინეტში ესპანეთის კონფლიქტში ჩარევის მომხრეთა წინააღმდეგ. ამ მომენტიდან ჩანს, რომ ბრიტანეთის საელჩოსა და კე დ'ორსეს შორის მუდმივი კონტაქტი არსებობდა. მდგომარეობა იმდენად დელიკატური იყო, რომ ბრიტანეთის ელჩი მკაცრად გააფრთხილეს, ინსტრუქციების გარეშე არაფერი მოემოქმედა, ამიტომ საეჭვოა კლერკის დაუინფორმებული მტკიცება, დელბოსთან 7 აგვისტოს გამართულ საუბარში, რომ ფორინ ოფისის ინსტრუქციების გარეშე, მისი საკუთარი ინიციატივით ლაპარაკობდა.⁴⁰ ამ საუბარში კლერკი შეეხო მეამბოხეებისთვის მიყიდული ინგლისური თვითმფრინავების საკითხს, ასევე გამოთქვა იმედი, რომ საფრანგეთის მთავრობა მაქსიმალურად მცირე დროში შეაჩერებდა კერძო კომერციულ გარიგებებს ესპანეთთან: „მე ვთხოვე დელბოსს, მოეტყუებინა ჩემთვის ასე გულწრფელი საუბრის გამო და გავიმეორე, რომ საკუთარი ინიციატივით ვსაუბრობდი... ასეთ კრიტიკულ ვითარებაში საზი უნდა გავუსვა რეალურ საფრთხეს, რომ ესპანეთის კონფლიქტში ჩარევის მიზნით საფრანგეთის ნებისმიერი მოქმედება გაართულებდა მჭიდრო თანამშრომლობას ჩვენს ქვეყნებს შორის. დელბოსმა, პირიქით, მადლობა გადამიხადა ასეთი გულწრფელი საუბრისთვის და განაცხადა, რომ მას და მის კოლეგებს სხვა არაფერი სურთ, თუ არა ორი მთავრობის მჭიდრო თანამშრომლობა. ...მას შიშის ყველა საფუძველი აქვს, რომ გენერალმა ფრანკომ იტალიას სატყუარად ბაღეარის კუნძულები, ხოლო გერმანიას კანარის კუნძულები შესთავაზა და თუ ეს განხორციელდა, მშვიდობით საფრანგეთის თავისუფლება“ (DBFP, 2, XVII: 71-72). კლერკი ბოლომდე იმედს გამოთქვამდა, რომ მისი სიტყვები საფრანგეთის მინისტრთა კაბინეტში ზომიერების პოზიციას განამტკიცებდა და ექსტრემისტულ ელემენტებს გამოაფხიზლებდა.

მოვლენები, რომელიც წინ უსწრებდა ამ შეხვედრას, ნაწილობრივ შეგვიძლია აღვადგინოთ ალექსანდერ კადოგანის და პარიზში ბრიტანეთის საელჩოს მრჩევლის ჰიუ ლოიდ თომასის მიმოწერიდან. 11 აგვისტოს თომასი აგზავნის

⁴⁰ კომას ნაგარო თვლის, რომ, შესაძლოა, კლერკი მოქმედებდა ფორინ ოფისის ბრძანებით, ესაუბრა იმ სახით, რა სახითაც ეს ცნობილია, მაგრამ გამოსატყვის ფორმა მიუთითებს, რომ მისი ინიციატივა იყო პირადი (Comas Navarro 1997: 161).

კონფიდენციალურ ცნობას, სადაც მოცემულია ვერსიები კლერკის 7 აგვისტოს დემარშის ორიგინალურობაზე და შეფასებები მის ეფექტურობაზე. ჰ. თომასის მიხედვით, 7 აგვისტოს დილით კე დ'ორსეს ოფიციალური წარმომადგენელი ბარუეტონი ეწვია ბრიტანეთის საელჩოს და მასთან საუბარში განაცხადა, რომ დელბოსის, შოტანის და მთავრობის სხვა წევრთა პოზიცია უკიდურესად მერყევი იყო, ამდენად, „მათი პოზიციის მხარდასაჭერად ნებისმიერი ღონისძიება ძალზე სასურველი იქნებოდა. ბარუეტონის ვიზიტის შემდეგ, თომასი ყვება, რომ ჯორჯ კლერკმა მიმართა დელბოსს და უკმაყოფილება გამოთქვა ესპანეთში თვითმფრინავების გაგზავნის გამო, მაშინ როცა ოთხი ინგლისური თვითმფრინავი დაკავებული იყო ბორდოში. მან ჰკითხა მინისტრს, იყო თუ არა დარწმუნებული, რომ მადრიდის მთავრობა იყო რეალურად მთავრობა და არა შირმა, რომლის უკანაც უკიდურესი ანარქისტული ელემენტები მართავდნენ მოვლენებს“ (Comas Navarro 1997: 161). მისი საუბრის ფინალური პუნქტი ეხებოდა ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის მომავალ მჭიდრო თანამშრომლობაში შექმნილ სირთულეებს. ამასთან, მან ორჯერ გაუსვა ხაზი, რომ საუბრობდა ფორინ ოფისის ინსტრუქციების გარეშე (Comas Navarro 1997: 161; Edwards 1979: 25).

შესაძლებელია, ბარუეტონის ვიზიტის შესახებ ლოიდ თომასმა ფორინ ოფისს შეატყობინა ტელეფონით, მაგრამ ჯორჯ კლერკს მანამდე მისცეს ინსტრუქციები მიემართა დელბოსისთვის. ამასთან, როგორც ჩანს, ის გაფრთხილებული იყო, ხაზი გაესვა, რომ ეს ვიზიტი პირადული იყო. დელბოსის ცნობა ამის თაობაზე რამდენამდე განსხვავებულია. ის ამტკიცებდა, რომ კლერკმა ილაპარაკა „ცალსახად ესპანეთთან დაკავშირებით თავისი მთავრობის შეშფოთების შესახებ“ (Edwards 1979: 26) დელბოსი ასევე უთითებდა, რომ თუმცა ბრიტანეთის საადმირალთა ცივად მიიღო დარღვანი, ფორინ ოფისმა, როგორც ჩანს, მეტი დატვირთვა მისცა მის ვიზიტს, რამდენადაც კლერკი შეეხო იტალიურ საფრთხეს ბალეარის კუნძულების მიმართ და ასევე გიბრალტარის დაუცველობის საკითხს. ყოველ შემთხვევაში, კლერკის საუბარმა დელბოსთან თავისი როლი ითამაშა. როგორც დელბოსის მოადგილე ვიენომ ბრიტანეთის მრჩეველთან საუბარში განაცხადა, „ელჩის სიტყვები დროული და დიდად სასარგებლო იყო“ (Carlton 1971: 50-52). იგივეს იმეორებს კლერკი 8 აგვისტოს თავის მეორე წერილში: „როცა მიღება ვთხოვე საგარეო საქმეთა მინისტრს, არ ვიცოდი, რომ ამ შესვედრის შემდეგ

უნდა შეკრებილიყო კაბინეტის სხდომა, მაგრამ შეხვედრა აღმოჩნდა დროული“⁴¹ (Comas Navarro 1997: 162).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მართლაც ჩანს, რომ ბრიტანეთის მხრიდან საფრანგეთის მთავრობაზე მოხდა ფრთხილი ზეწოლა, მაგრამ ეს იყო თვითონ ფრანგების თხოვნით. რაც შეეხება ზოგიერთ ჭორს, შესაძლოა, საიდუმლოდ იყო ინსპირირებული თვითონ საფრანგეთის კაბინეტის ზოგიერთი წევრის მიერ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბრიტანეთის მხრიდან ზეწოლის ვერსია ყველაზე მისაღები ახსნა იყო, რომელიც შესთავაზეს მემარცხენეებს და შრომით ორგანიზაციებს. ამ მოვლენების შედეგად, 8 აგვისტოს საფრანგეთი იძულებული გახდა, განეხილავინა სამთავრობო განცხადება ჩაურევლობის შესახებ. ამჯერად, ბლუმის მთავრობის პოზიცია ესპანეთთან მიმართებაში საბოლოოდ განისაზღვრა.

ესპანელებმა სათანადოდ შეაფასეს ლონდონის გავლენა პარიზზე. როცა ესპანეთის პრემიერ მინისტრმა ხოსე ხირალმა გაიგო ამ საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ, განაცხადა: „არაფერია იმაზე დიდი შეცდომა, ვიდრე ესპანეთში ასე მტკიცედ მოკიდებული თვალსაზრისი, რომ ფორინ ოფისს არასდროს მოსდის შეცდომები და მუდამ ბრძნულად მოქმედებს. პარიზის ხელს ამოფარებულებმა მათ ჩაიდინეს დანაშაულზე მეტი, მათ გამოავლინეს სრული უნიათობა, რომლისთვისაც ადრე თუ გვიან ზღავენ... თავისი მოქმედებით ფორინ ოფისი მთლიანად ბრიტანეთის მთავრობასთან ერთად დასთანხმდა აელო პასუხისმგებლობა ისტორიის წინაშე და დაემუქრა საფრანგეთის სახალხო ფრონტის მთავრობას ლოკარნოს აქტის გაუქმებით, თუ ის ესპანეთში იარაღის ექსპორტს დაუშვებდა... ესპანელი ხალხი რესპუბლიკას საკუთარი სხეულით დაიცავს, ჩვენ დავამარცხებთ ამბოხებულ გენერლებს მიუხედავად ლონდონის სამარცხვინო ეგოისტობისა“ (Puzzo 1962: 90).

ბრიტანეთის ზეწოლის თაობაზე ინგლისშიც უამრავი ხმები ვრცელდებოდა. ბრიტანეთის პოლიტიკა საზოგადოებრივი აზრის უკმაყოფილებას იწვევდა. ერთის მხრივ, ინგლისს ადანაშაულებდნენ, რომ ფეხს ითრევდა პასუხზე მრავალმხრივი ჩაურევლობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ საფრანგეთის მიმართვაზე. მეორეს მხრივ, პირდაპირ იზრდებოდა პროტესტი ე.წ. რესპუბლიკის მიმართ „არაკეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტის“ გამო. აგვისტოს მეორე ნახევარში ფორინ ოფისში დაბრუნებულ იდენს ბევრ კითხვაზე მოუწია პასუხის გა-

⁴¹ სხვათა შორის, პირდაპირი მტკიცებულება საფრანგეთის 8 აგვისტოს გადაწყვეტილებას დაკლერკის დემარშს შორის კავშირის შესახებ არ არსებობს.

ცემამ. 16-ში მასთან შეხვედრა ითხოვა ლეიბორისტთა დეპუტაციამ არტურ გრინ-
ვუდის მეთაურობით, რომელშიც შედიოდნენ ტრედუნიონების წარმომადგენლები
უოლტერ საიტრინი და უილიამ ჯილისი. მათ აინტერესებდათ, როგორი იყო
ბრიტანეთის ოფიციალური პოზიცია ესპანეთის კონფლიქტში და გაიმეორეს პა-
რიზში მიღებული ინფორმაცია ბრიტანეთის მხრიდან ზეწოლის თაობაზე. 19 აგ-
ვისტოს ჩანაწერში იდენი ამბობდა: „მე ვუპასუხე მათ, რომ ამ საქმეში ინიციატ-
ივა თავიდანვე აიღო საფრანგეთის მთავრობამ, ერთადერთი, რაც ჩვენ შევთავა-
ზეთ, იყო ის, რომ, გარდა ფრანგების და ინგლისელების მონაწილეობისა, ხელ-
შეკრულება უნდა გაერცვლებულიყო გერმანიაზე და პორტუგალიაზე“ (DBFP, 2,
XVII: 120; Eden 1962: 455). იგივე დელეგაცია ერთი კვირის შემდეგ კვლავ ეწვია
იდენს. მინისტრმა კვლავ კატეგორიულად უარყო, რომ ჩაურევლობის ინიციატივა
ბრიტანეთიდან მოდიოდა (Eden 1962: 455) ასე მტკიცედ იცავდა იგი თავის პოზი-
ციას თემთა პალატაშიც, როცა ლეიბორისტმა დეპუტატმა ჩრდილო ლამბერიდან
ჯორჯ სტრაუსმა დააყენა აღნიშნული საკითხი (Edwards 1979: 30).

ფორინ ოფისი ყველაზე მეტად ცდილობდა, რომ ჩაურევლობის შეთანხმება
მაღლე გაფორმებულიყო, მაგრამ არ ჰქონდა სურვილი აეღო პირდაპირი ვალდებუ-
ლებები, სანამ გერმანია და იტალია არ გამოთქვამდნენ ამისთვის მზადყოფნას.
ავვისტოს პირველ ნახევარში არცერთი ეს ქვეყანა არ ხედავდა შეთანხმების
სასწრაფოდ მიღების აუცილებლობას. იტალია-გერმანიის მიზანს გაეჭიანურებინ-
ათ შეთანხმებაში მონაწილეობა, ემატებოდა ბრიტანეთის შიში და ორჭოფობა
ესპანეთის მოვლენებთან დაკავშირებით, სადაც კონფლიქტის შედეგები აბსოლუ-
ტურად ბუნდოვანი იყო. ფორინ ოფისში ძალიან მცირე სიმპათია ჰქონდათ ესპა-
ნეთის რესპუბლიკის მიმართ. მაუნსი იდენს მიუთითებდა: „თუმცა ზედაპირულად
ჩანს, რომ ესპანეთის ახლანდელი მთავრობა არის კონსტიტუციურად არჩეული
მთავრობა... არის შიშის საფუძველი, რომ ეს მთავრობა თვითონ არის ექსტრე-
მისტული ელემენტების გაელენის ქვეშ, რომელთა მიზანი, გამარჯვების შემ-
თხვევაში, არის მთავრობის ჩამოგდება და მის ადგილას ანარქიის გამეფება, რო-
მელიც ჰარმონიაში ვერ იქნება ინგლისის იდეებთან კონსტიტუციური დემოკრა-
ტიის შესახებ“ (Edwards 1979: 32).

ავვისტოს მეორე ნახევრისთვის ძირითადი მომენტი ბრიტანეთის პოლიტიკა-
ში ევროპის ორ დაპირისპირებულ ბლოკად დაყოფის პრობლემა იყო. იდეოლოგ-
იური ბლოკების წარმოქმნაზე საუბრობდა ო. სარჯენტი 12 ავისტოს. მისი სიტ-
ყებით, ეს იქნებოდა „განსხვავებული და ბევრად უფრო საშინელი, ვიდრე ნაცი-

ონალური და იმპერიალისტური ბლოკების შექმნა კმაყოფილებისა უკმაყოფილოთა წინააღმდეგ (satisfied versus dissatisfied), რისიც ჩვენ გვეშინოდა და ვწინასწარმეტყველებდით. იდეოლოგიური ბლოკების შექმნა ევროპას არა მხოლოდ ნებისმიერ პოლიტიკურ დისპუტზე მეტად გახლენს, არამედ ხელს შეუშლის საშინაო პოლიტიკის განხორციელებაში თითოეულ ქვეყანას“ (DBFP, 2, XVII: 90). იგი დარწმუნებული იყო, რომ ეს დაშორება უარყოფითად აისახებოდა მოლაპარაკებებზე ხუთი სახელმწიფოს კონფერენციის შესახებ და შეასუსტებდა წარმატებული გადაწყვეტილების მიღების პერსპექტივებს. „ჩვენი ბუნებრივი ინსტიქტი ცხადია, არის დაგრჩეთ ნეიტრალური ამ კონფლიქტში ფაშიზმსა და კომუნიზმს შორის. საპარლამენტო დემოკრატიისთვის ორივე სისტემა ერთნაირად საზიზღარია... ჩვენ უნდა მოვემზადოთ ინიციატივის ასაღებად, სანამ გვიანი არ იქნება და ხელი უნდა შევუშალოთ ამ ბლოკების კრისტალიზებას (DBFP, 2, XVII: 90). შემდეგ სარჯენტი საუბრობდა იმაზე, რომ გერმანია და იტალია თანამშრომლობდნენ არა იმდენად კომუნიზმის საფრთხის, რამდენადაც ევროპაში მათი იზოლაციის გამო. ამდენად, იგი ხაზს უსვამდა შემდეგს: 1. აღკვეთოთ საფრანგეთის სვლა ბოლშევიზმისკენ; და 2. გავათავისუფლოთ იტალია იზოლაციის გრძნობისგან, რაც მას აბისინიის ამბებმა დაუტოვა. თავის ჩანაწერში სარჯენტი საინტერესო (თუმცა იმ ვითარებაში მცდარ) ვარაუდს გამოთქვამს, რომ გერმანიას და იტალიას განსხვავებული მიზეზის გამო ეშინოდა საფრანგეთის დასუსტების და მისი „კომუნისტური ინფექციით პარალიზების“: გერმანიას ეშინოდა, რომ რუსეთი უფრო ეფექტურად მოაქცევდა მას ალყაში, იტალიას ეშინოდა იმის, რომ საფრანგეთის დასუსტება მას გერმანიის გავლენის ქვეშ მოაქცევდა (დაირღვეოდა ბალანსი) და შეუძლებელს გახდიდა გერმანიასთან ნებისმიერი თანაბარუფლებიანი შეთანხმების დადებას (DBFP, 2, XVII: 91).

სარჯენტის ზემოხსენებულ რეკომენდაციას კადოგანი იზიარებდა, თუმცა ის და მაუნსი გრძნობდნენ სიფრთხილის საჭიროებას, რადგან ნებისმიერი დაუფიქრებელი ნაბიჯი შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო განმარტებული და გამოიწვევდა ზუსტად საპირისპირო შედეგს.

ინგლის-საფრანგეთს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, რომ ჩაურევლობის შეთანხმება გაეფორმებინათ ნოტების გაცვლით შეთანხმების ინიციატორ საფრანგეთსა და თითოეულ მონაწილეს შორის. 15 აგვისტოს ინგლისმა და საფრანგეთმა გაცვალეს ნოტები, რომელიც კრძალავდა ესპანეთსა და მის სამფლობელოებში ყველანაირი იარაღის, ამუნიციისა და სამხედ-

რო მასალის, ასევე საპაერო ხომალდების მიწოდებას, როგორც აწყობილ, ისე დაშლილ მდგომარეობაში, სამხედრო გემების პირდაპირ თუ არაპირდაპირ ექსპორტს, რეექსპორტს და ტრანზიტს. ეს აკრძალვა ვრცელდებოდა იმ კონტრაქტებზეც, რომლებიც განხორციელების სტადიაში იყო და ა.შ. (Padelford 1939: Appendix I 205-207). მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, ბრიტანეთის პოლიტიკა ჯერაც შორს იყო საბოლოო განსაზღვრამდე. ამჯერად, უფრო ფართოდ დაიწყო პრობლემის სხვადასხვა ასპექტებზე ყურადღების გამახვილება. იტალია-გერმანიის მიერ ჩაურევლობის ხელშეკრულებაზე ფორმალური მიერთების გაჭიანურებამ ფორინ ოფისს უბიძგა, სერიოზულად განეხილა ბრიტანეთის პოლიტიკა ესპანეთთან მიმართებაში. მოლაპარაკებების სრული ჩაშლის და ფრანგული ინიციატივის ჩავარდნის შემთხვევაში მაუნსი გამოყოფდა რამდენიმე ალტერნატივას: 1. მიუკერძოებელი პოლიტიკის გაგრძელება; 2. იარაღის გატანაზე ლიცენზიების გაცემა იმ შემთხვევაში, როცა იარაღი ესპანეთის რესპუბლიკის მიერ გამოყენებული იქნებოდა მხოლოდ თავდაცვითი მიზნებისთვის; 3. იარაღის ექსპორტის ნებაართვა ესპანეთში ნებისმიერი დანიშნულებით (Edwards 1979: 34; Moradiellos 1996: 76). თითოეულ ამ ალტერნატივას, მაუნსის აზრით, თავისი წინააღმდეგობები ჰქონდა. პირველის მხარდაჭერა და გამართლება სულ უფრო რთული იქნებოდა, ამასთან, ეს პოზიცია ინტერპრეტირებული იქნებოდა, როგორც დისკრიმინაციული მოქმედება ესპანეთის მთავრობის მიმართ და აირეკლებოდა მის შემდგომ ურთიერთობაზე ბრიტანეთის მთავრობასთან. მეორე გამოიწვევდა ბრალდებებს, თუმცა უკანონოს ამბოხებულთა მხრიდან... ეს ბრიტანეთს საფრანგეთთან დაახლოებდა, მაგრამ იტალიასთან, გერმანიასა და პორტუგალიასთან დაპირისპირებდა. ამასთან ნეიტრალური პოზიცია მომავალში კარგი კოზირი იქნებოდა ურთიერთობების დასამყარებლად იმ მხარესთან, რომელიც ხელისუფლებაში აღმოჩნდებოდა ომის შემდეგ (Edwards 1979: 35; Moradiellos 1996: 76) მესამე გულისხმობდა, რომ ბრიტანეთი საერთოდ არ აღიარებდა ესპანეთის მთავრობას. აქედან გამომდინარე, ყველაზე მისაღებად მაუნსის პირველი ალტერნატივა მიაჩნდა (Moradiellos 1996: 76). მის აზრს იზიარებდნენ კალოგანი და იდენი, ანუ ბრიტანეთის პოლიტიკა ჩაურევლობის ხელშეკრულების ჩავარდნის შემთხვევაშიც დარჩებოდა უკვე დაფიქსირებულ პოზიციაზე.

ბრიტანეთში ჯერ პოლიტიკური მოსაზრებები სწონდა ყველაფერს, მაშინ როდესაც საფრანგეთში საფრთხე სასიცოცხლო ინტერესებს ეხებოდა. ამდენად, იქ სტრატეგიული ასპექტები იყო წინ წამოწეული. ბრიტანეთმა, რაც არ უნდა

უცნაურად ჟღერდეს, ოდნავ მოგვიანებით გაამახვილა ყურადღება სტრატეგიულ მნიშვნელობაზე. კადოგანმა იმპერიის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გენერალ ისმეის სთხოვა, მოემზადებინა დოკუმენტი, სადაც ჩამოყალიბებული იქნებოდა ესპანეთში შექმნილი მდგომარეობის სტრატეგიული მნიშვნელობა დიდი ბრიტანეთისთვის. ფორინ ოფისის სამხრეთ დეპარტამენტის მეთაური ოუენ კლერ ო'მოლი, რომელიც იტალიის საქმეებით იყო დაკავებული, განმარტავდა, რომ ხმელთაშუა ზღვაზე იტალიის გავლენის ნებისმიერი სახით გაფართოება გამოიწვევდა „უსერიოზულეს საფრთხეს“ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში განმტკიცებისთვის. ბრიტანეთის მიერ დახარჯული ძალისხმევის ფონზე (მონტრეს კონფერენცია, ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულება) უცნაურად ჩანს, რომ სტრატეგიული საკითხები, რომელიც წარმოშვა ესპანურმა კონფლიქტმა, არ ყოფილა აქამდე განხილული. ისეთი შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსიც კი, როგორც იყო უინსტონ ჩერჩილი, თვლიდა, რომ ესპანურ კონფლიქტს ინგლისისთვის სტრატეგიული თვალსაზრისით არანაირი მნიშვნელობა არ ექნებოდა“ (Tomac 2003: 205).

გენერალურ შტაბში 24 აგვისტოს მომზადდა მოხსენება, სადაც საუბარი იყო ბრიტანეთის ინტერესებზე დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, იტალიის შესაძლო მოქმედებებზე, იტალია-ესპანეთის ალიანსზე და ა.შ. დასკვნაში შემდეგი დებულებებია ჩამოყალიბებულია:

1. ესპანურ კრიზისში ჩვენი ინტერესი არის: (ა) ესპანეთის და მისი სამფლობელოების ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა და (ბ) ისეთი ურთიერთობის დამყარება ორივე მხარესთან, რაც ნებისმიერი მათგანის ხელისუფლებაში მოსვლისას უზრუნველყოფს კეთილგანწყობილ ნეიტრალიტეტს ინგლისის ევროპულ ომი ჩაბმის შემთხვევაში;
2. იტალიის ღია ჩარევა ამბოხებულთა მხარდასაჭერად ესპანეთში დააჩქარებს დიდ საერთაშორისო კრიზისს;
3. იტალიის მიერ ნებისმიერი ტერიტორიის ოკუპაცია ესპანეთში მავნე იქნება ბრიტანეთის ინტერესებისთვის;
4. იტალიის მიერ ესპანური მაროკოს ნებისმიერი ნაწილის და განსაკუთრებით სეუტის ოკუპაცია საფრთხეს შეუქმნის ბრიტანეთის სასიცოცხლო ინტერესებს;
5. იტალიის მიერ ბალეარის კუნძულების, კანარის კუნძულების ან რიო დე ორის ოკუპაცია არის არახელსაყრელი ბრიტანეთის ინტერესების თვალსაზრისით, მაგრამ არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც სასიცოცხლო საფრთხე;
6. მე-2 და მე-5 პუნქტებში მითითებული ნებისმიერი გარემოება ამა თუ იმ დონით საფრთხეს წარმოადგენს საფრანგეთის ინტერესებისთვის;
- 7.

იტალია-ესპანეთის ალიანსი ნებისმიერი სახით საფრთხეს წარმოადგენს ბრიტანეთის სასიცოცხლო ინტერესებისთვის; 8. იტალიის სურვილების ჩასაშლელად ნებისმიერი ეფექტური მოქმედება, გარდა დიპლომატიურ სფეროში განხორციელებული ძალისხმევისა, გაზრდის ომის რისკს; 9. იტალია არის ერთადერთი ქვეყანა, რომლის ძალები მობილიზებულია და მზადაა დაუყოვნებლივი მოქმედებებისთვის (DBFP, 2, XVII: 156).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გენერალური შტაბი რეკომენდაციას იძლეოდა: აერიდებინათ პოლიტიკური გაუცხოება იტალიასთან, დაუყოვნებლივ მოეთხოვათ ჩაურევლობის აქტის დადება, თუ საყოველთაო შეთანხმება ჩავარდებოდა, ფრანგები უნდა დაერწმუნებინათ, არ მიეცათ იტალიისთვის ჩარევის საბაბი, შეენარჩუნებინათ დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში სამხედრო-საზღვაო ძალები გარკვეული რაოდენობით და ა.შ. (DBFP, 2, XVII: 157).

აღნიშნულ დოკუმენტში საუბარია მხოლოდ იტალიის ფაქტორებზე და უტყობია გერმანიის საფრთხე, რაც ინგლისელების პოლიტიკურ და სტრატეგიულ სიბეცეზე მეტყველებს. მათი პოლიტიკური აზროვნება ჯერ კიდევ აბისინიის მოვლენების ეფექტის ქვეშ იმყოფებოდა.

აღნიშნული მოხსენების მომზადების დროისთვის ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიური ძალისხმევით ჩაურევლობის შეთანხმება საბოლოოდ გაფორმდა. შეთანხმება თავიდანვე მოჩვენებითი იყო. ჩაურევლობის პოლიტიკა ყველაზე მეტად აწეობდა ბრიტანეთს, რამდენადაც მასში საკუთარი ნეიტრალიტეტის დასაცავად იდეალურ მექანიზმს ხედავდა (ამასთან შესუსტდებოდა ლეიბორისტების კრიტიკა, რადგან ინიციატივა სოციალისტი პოლიტიკოსისგან მოდიოდა). აღბათ ამას გულისხმობდა ენტონი იდენი ფრანგ ჟურნალისტ ჟორჟ სორიასთან საუბრისას: „მე ვთვლი, რომ ეს გადაწყვეტილება იყო საუკეთესო, რისი მოფიქრებაც შეიძლებოდა შექმნილ გარემოებაში“ (Сориа, 1987: 110). ამას გარდა, ეს პოლიტიკა ოთხი დიპლომატიური მიზნის თანაბრად გარანტირებას უზრუნველყოფდა: მოეხდინა ესპანეთის ომის ლოკალიზება, აელაგმა ფრანგების ჩართვა რესპუბლიკის მხარეს, აეცილებინა სსრკ-ს აქტიურობა ესპანეთში და აეცილებინა იტალია-გერმანიასთან დაპირისპირება. რამდენად გამართლდა ეს ვარაუდები, ცალკე საკითხია.

და ბოლოს, ის, თუ რა დატვირთვას აძლევდნენ ინგლისელი კონსერვატორები ესპანეთის სამოქალაქო ომს, კიდევ ერთხელ კარგად ჩანს ბოლდუინის სიტყვებიდან: „ჩვენ, ინგლისელებს გეპუღს ფაშიზმი, მაგრამ ასევე გეპუღს კო-

მუნიზმი და თუ სადმე ფაშისტები და კომუნისტები ერთმანეთს დახოცავენ, მით უკეთესი“ (Edwards 1979: 38). ამ მიმართულებით კიდევ უფრო საინტერესოა უინსტონ ჩერჩილის სიტყვები: „როცა მე ვკითხულობ, რომ დიდი რაოდენობით გერმანელი ნაცისტები და იტალიელი ფაშისტები მიემგზავრებიან ესპანეთში რუსი ბოლშევიკების და ფრანგი კომუნისტების დასახოცად, მე ვწუხვარ ამ სისატიკის გამო, მაგრამ გულის სიღრმეში მე არ შემძლია არ ვადიარო, თუ ყველა ეს შეიარაღებული ტურისტი ესპანეთში ერთმანეთს ერთნაირი ევექტურობით ისე დახოცავს, რომ პრესის წარმომადგენლების გარდა არავინ დარჩეს ამბის გამომტანი, ბრიტანეთის ინტერესები და უსაფრთხოება დაცული იქნება“ (Churchill 1942: 84).

§3. ჩაურევლობის პოლიტიკის შემუშავება

მოცემულ პარაგრაფში საჭიროდ ჩავთვალეთ ცალკე გამოგვეტანა და დეტალურად განგვეხილა ჩაურევლობის შეთანხმების კონკრეტული საკითხები და ის სირთულეები, რომელიც მის გაფორმებას ახლდა.

ჩაურევლობის იდეის ავტორობა, როგორც ვიცით, დისკუსიის საგანს წარმოადგენს. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა დოკუმენტებში ყველგან ნახსენებია „ფრანგული წინადადება ესპანეთში ჩაურევლობის შესახებ“ (DBFP, 2, XVII: 14). ტრადიციული ისტორიული ინტერპრეტაცია და იმ დროის საზოგადოებრივი აზრის დიდი ნაწილი მიუთითებდა, რომ ჩაურევლობა იყო ბრიტანული იდეა და რომ საფრანგეთმა ის ინგლისის ზეწოლით შეიმუშავა. აშშ-ს ელჩი ესპანეთში კლოდ ბაუერსი წერდა: „დადგენილია, რომ (ჩაურევლობა) გამოყვანილ იქნა ლონდონში და რომ ბლუმბი პრაქტიკულად დააშანტაჟეს მის მისაღებად“ (Bowers 1954: 281). ყოველივე ეს არ არის გასაკვირი, რადგანაც ჩაურევლობის პოლიტიკა ორივე სახელმწიფოს ინტერესებს პასუხობდა, მართალია, სხვადასხვაგვარი მიზეზების გამო (საფრთხის განსხვავებული პერცეფცია). ჩაურევლობა, როგორც ევროპული ომის გადავადების და ესპანური ომის ლოკალიზების ინსტრუმენტი, ერთგვარი შვებით იქნა მიღებული.

1936 წლის აგვისტოს დასაწყისში შეგვიძლია ვისაუბროთ ესპანეთის საკითხზე ევროპული ქვეყნების ე.წ. მეორად რეაქციაზე. ის უფრო აწონ-დაწონილ და გააზრებულ ხასიათს ატარებდა. თავდაპირველი დაბნეულობიდან ისინი რამდენადმე გამოაფხიზლა ფრანგულმა ნოტამ ჩაურევლობის შეთანხმების დადების

წინადადებით.

1936 წლის 2 აგვისტოს საფრანგეთის ნოტა დიდი ბრიტანეთის და იტალიის მთავრობებისადმი გულისხმობდა წინადადებას ჩაურევლობის შეთანხმების გაფორმების შესახებ ამ სამ ქვეყანას შორის, იმ მიზეზით, რომ მათი ინტერესები ყველაზე მეტად იყო გამოკვეთილი ხმელთაშუა ზღვაზე (ანუ ხმელთაშუა ზღვის შეთანხმება). როცა ეს წინადადება მოვიდა ფორინ ოფისში ჯ. მაუნსმა წერილი მისწერა ლორდ ჰალიფაქსს, რომელიც აშკარად ასახავს ფორინ ოფისის პოზიციას და ყურადღებასაც ითხოვს. მაუნსი პრინციპში ეთანხმებოდა საფრანგეთის მთავრობას, თუმცა შიშს გამოთქვამდა საფრანგეთის ნამდვილ ზრახვებთან დაკავშირებით და უარყოფდა ნებისმიერი ტიპის კომპრომისს: „ეთვლი, რომ პასუხში ფრთხილი უნდა ვიყოთ, საფრანგეთის მთავრობას სურს ჩვენი ჩართვა ხელშეკრულებაში ესპანეთის მთავრობის დასახმარებლად, თუმცა მხოლოდ მორალურად და, ამრიგად, ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობის პირობებში სხვა მთავრობების მხრიდან ამბოხებულთათვის იარაღის გაგზავნა შეაკავოს. ჩვენც დაინტერესებული ვართ ბლოკადის დაცვით, მაგრამ ჩვენი მთავარი მიზანია, ვიყოთ თავისუფალი და მიუკერძოებელი, განვაგრძოთ ჩვენი ჩაურევლობის პოლიტიკა (Moradiellos 1996: 67; Comas Navarro 1997: 159).

იტალიამ რამდენიმე დღე დააყოვნა პასუხი. ინგლისმა ასეთი შეთანხმება არაპროდუქტიულად ჩათვალა და საპასუხო ნოტაში 4 აგვისტოს გამოხატა სურვილი, მასში ჩაერთოთ გერმანია და პორტუგალია (DBFP, 2, XVII: 49-50, 58-59). ბრიტანეთის ხელმძღვანელობის აზრით, გერმანიის შეთანხმებიდან გამორიცხვას შეეძლო გამოეწვია ჰიტლერის მკვეთრი რეაქცია. დათმო რა ბრიტანეთის მოთხოვნის სასარგებლოდ, რომელიც განმეორებულ იქნა ჰალიფაქსის მიერ ინგლისში საფრანგეთის საელჩოში 4 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სადამოს გაუგზავნა მოსაწვევი ამ ქვეყნებს. ბერლინიდან მაშინვე მოვიდა პასუხი, რომ გერმანია მზად იყო შეერთებოდა შეთანხმებას (DBFP, 2, XVII: 58-59; DDF, II, 3: 118-119). საბჭოთა დიპლომატიის მონაცემებით, გერმანიაში ზოგიერთი ლიდერი „მოითხოვდა სიფრთხილის გამოვლენას და ურჩევდნენ ხელმძღვანელობას, საფრანგეთის და, განსაკუთრებით, ინგლისისთვის ამ წინადადებაზე არ ეთქვათ უარი“, რაც გამოიწვევდა ბრალდებებს გერმანიის მისამართით და უბიძგებდა საფრანგეთსა და, შესაძლოა, ინგლისსაც მადრიდის პირდაპირი დახმარებისკენ (Малай 2011: 48).

ჩაურევლობაზე თავის პრინციპულ თანხმობას გერმანია მასში საბჭოთა

კავშირის მონაწილეობის შემთხვევაში მისცემდა. „საინტერესოა, – წერდა ამის თაობაზე საფრანგეთის ელჩი ბერლინში ა. ფრანსუა პონსე, – რომ ის (საუბარია ნორატზე – ზ.გ) ცდილობს, მოლაპარაკებებში ჩართოს რუსეთი. ამ დრომდე რაიხის ხელმძღვანელობა იმით იყო დაკავებული, გამოეთიშა საბჭოთა კავშირი ყველანაირი ერთობლივი მოლაპარაკებებიდან“ (DDF, II, 3: 113⁴²).

იღენის წერილში კამბონისადმი (4 აგვისტო) ჩამოთვლილია შეთანხმების პოტენციური მონაწილეები, კერძოდ: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, პორტუგალია და იტალია. ამ ქვეყნებზეა საუბარი ნოტაში, რომელიც ფორინ ოფისმა რომში თავისი ელჩს დრამონდს გაუგზავნა (DBFP, 2, XVII: 58). როგორც ვხედავთ, აქ საბჭოთა კავშირი ნახსენები არ არის. არ უხსენებია ის რომში ინგლისის დროებით საქმეთა რწმუნებულ ინგრემს გ. ჩიანოსთან 6 აგვისტოს ზეპირ მემორანდუმში (Ciano's Diplomatic Papers 1948: 27-28)

საბჭოთა მხარისთვის ინფორმაცია საფრანგეთის დემარშის შესახებ ცნობილი გახდა 4 აგვისტოს როდესაც, სსრკ-ში საფრანგეთის საქმეთა დროებით რწმუნებულმა პაიარმა საუბრის დროს გაუზიარა ის საბჭოთა დიპლომატ ჰ. ვეინბერგს (DDF, II, 3: 59; DBII, XIX: 392). მათი შეხვედრა არ შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციის რიგით გაცვლად ორ ქვეყანას შორის. ფრანგული დემარში მოსკოვში შეიძლება განხილულ იქნას, როგორც დამოუკიდებელი და გათვლილი ნაბიჯი. პარიზს აინტერესებდა საბჭოთა პოზიცია და ესპანეთის საკითხში საფრანგეთის მხარდაჭერის პერსპექტივა. გარდა ამისა „კე დ'ორსე“ შეშფოთებული იყო იმ დღეებში ვანსიტარტის ბერლინში ვიზიტის გამო. ინგლისის დამოკიდებულება საფრანგეთის სახალხო ფრონტის მთავრობისადმი როგორც ცნობილია არ გამოირჩეოდა დიდი კეთილგანწყობით, ამ დროს საბჭოთა კავშირი თავისუფლად და წარმატებით შეიძლებოდა გამოსულიყო როგორც საპირწონე ძალა.

ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შეთანხმების ფრანგული ვარიანტი მასში საბჭოთა მხარის მონაწილეობას თავიდანვე მოიაზრებდა, მაგრამ ამ საკითხის თავიდანვე წამოწევას საფრანგეთის დიპლომატია არ ჩქარობდა. მას ეს ვერ გადაეწყვიტა, სანამ არ მიიღებდა საბჭოთა კავშირის პრინციპულ თანხმობას და

⁴² ნორატის 4 აგვისტოს მემორანდუმის თანახმად, მინისტრმა უთხრა საფრანგეთის ელჩს, რომ რამდენადაც გერმანია არ ერეოდა ესპანეთში, ის არ ხედავდა საჭიროებას, შეერთებოდა ერთიან დეკლარაციას ჩაურევლობის შესახებ, რომელსაც საფრანგეთი სთავაზობდა, თუმცა გერმანია მზად იყო, სამოქალაქო ომის შემდგომი გაფართოების აღკვეთის მიზნით, დისკუსიებში მიეღო მონაწილეობა, თუ მასში ჩართული იქნებოდა საბჭოთა კავშირიც (DGFP, D, III: 29).

არ მიიღებდა პასუხებს ლონდონიდან, ბერლინიდან და რომიდან. საფრანგეთის შემდეგი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადაიდგა 5 აგვისტოს, როცა მოსკოვს გადაეცა უკვე ოფიციალური წინადადება ჩაურევლობის შეთანხმებაში მონაწილეობის მიღების შესახებ (ДВП, XIX: 393). დიდი ბრიტანეთი ფრანგული აქციის შესახებ არ ყოფილა ინფორმირებული. უფრო მეტიც, კამბონს ჯ. მაუნსისთან საუბარშიც არაფერი უთქვამს საბჭოთა პასუხზე (DBFP, 2, XVII: 68).

საბჭოთა კავშირი, როგორც 5 აგვისტოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ნ. კრესტინსკი აღნიშნავდა სტალინისადმი წერილში, პასუხის გაცემისას ფრთხილად უნდა მოქცეულიყო, რათა არავის (გერმანია, იტალია, საფრანგეთი) არ განემარტა ის ესპანეთში ამა თუ იმ მხარის სასარგებლოდ (АВП Ф. 010 Оп. 11 П. 71 Д. 53 Л. 19-20). 10 აგვისტოს ბრიტანეთის ელჩი მოსკოვში ლორდი ჩილსტონი იდენისადმი დეპეშაში ხაზს უსვამდა, რომ ესპანეთის ომის საწყის ეტაპზე საბჭოთა პრესა არაფერს გამოხატავდა, გარდა მადრიდის მთაწრობისადმი პლატონური სიყვარულისა (DBFP, 2, XVII: 49-50, 83).

8 აგვისტოსთვის საფრანგეთის წინადადებაზე კიდევ არ იყო პასუხი იტალიის, პოლონეთის (ჩართულ იქნა მოლაპარაკებებში როგორც იარაღის მწარმოებელი ქვეყანა – ზ.გ.) და პორტუგალიისგან. პირველი იმიზეზებდა მუსოლინის, პოლონეთი და პორტუგალია კი – საგარეო საქმეთა მინისტრების ადგილზე არყოფნას. მოგვიანებით, გერმანიის მსგავსად, იტალიას და პორტუგალიას, სსრკ-ს მხრიდან რესპუბლიკის ღია დახმარების შიშის გამო, სურდათ შეეზღუდათ იგი ჩაურევლობის შეთანხმებით. მათმა დემარშებმა და სხვა ფაქტორებმა უბიძგა ლონდონს, შერიგებოდა ამ ფაქტს.

ესპანეთის კონფლიქტში გერმანია-იტალიის ჩარევის ესკალაციამ დააჩქარა ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიის საქმიანობა. გააქტიურდა საბჭოთა მხარეც. თუ 1936 წლის ივლისში მოსკოვი ელოდებოდა მოვლენების განვითარებას, აგვისტოს დასაწყისში საბჭოთა დიპლომატიის აქტიურობა შესამჩნევად გაიზარდა. „პასუხის დაყოვნება არ შეიძლება“, – წერდა ნ. კრესტინსკი სტალინს უკვე ნახსენებ 5 აგვისტოს წერილში. სკპ(ბ) ცკ-ს დონეზე ესპანეთის საკითხზე პასუხისმგებელი იყო ცკ-ს მდივანი ლ. კაგანოვიჩი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში – სახკომის მოადგილე ნ. კრესტინსკი და მესამე, დასავლეთის განყოფილების უფროსის მოადგილე კ. ვეინბერგი. აგვისტოს განმავლობაში ვეინბერგი 16-ჯერ შეხვდა საფრანგეთის დროებით რწმუნებულს სსრკ-ში პაიარს. ორჯერ გაუგზავნა მას ნოტა მ. ლიტვინოვმა, ესპანეთის საკითხებზე სტალინისთვის 5 სამ-

სახურეობრივი ბარათი მოამზადა კრესტინსკიმ, რომ არაფერი ვთქვათ დეპეშების ინტენსიურ გაცვლაზე სახალხო კომისარიატსა და საბჭოთა წარმომადგენლებს შორის სხვადასხვა ქვეყნებში (Малай 2011: 50)

საფრანგეთის წინადადებაზე საბჭოთა პასუხის პროექტი, რომელიც კრესტინსკიმ 5 აგვისტოს გადასცა სტალინს დასამტკიცებლად, ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირის თანხმობის პირობად იტალიის, გერმანიის და პორტუგალიის დასტურს. მოგვიანებით გაირკვა იტალიის და გერმანიის პოზიცია (ДВП, XIX: 397) და დარჩა მხოლოდ პორტუგალია. კრესტინსკის სამსახურებრივ ბარათში მინიშნებული იყო ე.წ. „არაპირდაპირი ჩარევის“ პრობლემა, რომელიც შემდგომში დისკუსიების უმთავრესი საკითხი გახდება. ის საჭიროდ თვლიდა ხაზგასმას, რომ კანონიერი მთავრობის და მემბოხეების დახმარება არ იყო იდენტური აქცია, თუმცა საბჭოთა ხელმძღვანელობა არ იყო მზად მადრიდის დასახმარებლად. „...მე ვეცადე, ისე ჩამომეყალიბებინა აზრი, რომ ჩვენი პასუხიდან არ ჩანდეს, თითქოს თუ გერმანია და იტალია განაგრძობენ მემბოხეების მხარდაჭერას, ჩვენ უცილობლად დავეხმარებით ესპანეთის მთავრობას“ (АВП Ф. 010 Оп.11 П. 71 Д. 53 Л. 19-20). საბჭოთა მხარეს არ სურდა იმ მომენტში ვინმესთან გაერთულებინა ურთიერთობები ესპანეთის გამო და ცდილობდა, დაეტოვებინა განსაზღვრული თავისუფლება დიპლომატიური და პოლიტიკური მანევრებისთვის.

ამრიგად, აგვისტოს დასაწყისში ევროპული სახელმწიფოები და საბჭოთა კავშირი ერთსულოვანი იყვნენ თავიანთ სურვილში, შეეზღუდათ ერთმანეთი თუნდაც ფორმალური, მაგრამ ვალდებულებით არ ჩარეულიყვნენ ესპანეთის საქმეებში. მაგრამ იტალია და გერმანია უკვე ჩამოყალიბდნენ ესპანეთის ომთან დაკავშირებით და ეხმარებოდნენ ამბოხებულებს. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ 7 აგვისტოს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო ინგრემთან საუბარში მოითხოვდა ჩაურევლობის ნაცვლად ნეიტრალიტეტის გამოცხადებას (DBFP, 2, XVII: 75). ამის ილუზია, რომ ეს დახმარებები შეწყდებოდა ალბათ არავის ჰქონდა. „მე, – წერდა 7 აგვისტოს კრესტინსკი სსრკ-ს სრულუფლებიან წარმომადგენელს იტალიაში შტეინს, – ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი, რომ ესპანეთის ამბოხების საბოლოო განადგურებამდე იტალია და გერმანია დაეხმარებიან მას ყველაზე აქტიური ფორმით (ДВП, XIX: 396). აღსანიშნავია, რომ ამავე აზრს ატარებდა ფორინ ოფისის მაღალჩინოსნის შუქბურგი თავის კომენტარებში ინგრემის 7 აგვისტოს დეპეშაზე: „ასპროცენტიანი ნეიტრალიტეტი, რომელზედაც აპელირებს ჩიანო ძნელად თავსდება მემბოხეებისთვის თვითმფრინავების გაგზავნასთან

(DBFP, 2, XVII: 75). ინგლისი, საფრანგეთი და სსრკ უფრო იმედოვნებდნენ, რომ შეთანხმების შემთხვევაში საშინაო კონფლიქტი მასშტაბური არ იქნებოდა.

საბჭოთა მხარე უსიამოვნოდ გააოცა დეკლარაციის პროექტის პრეამბულამ, რომელიც 8 აგვისტოს გადასცა პაიარმა. კრესტინსკის აზრით, ის შედგენილი იყო იმ სახით, რომ მის ქვეშ ხელმოწერას შეძლებდა ყველა სახელმწიფო, უნდოდა მას მთავრობის გამარჯვება თუ თანაუგრძნობდა ფაშისტებს, რის წყალობითაც მთელი პროექტი ატარებდა დეკლარაციულ ხასიათს, რომელსაც ფაშისტები თანაბარუფლებიან მეომარ მხარედ გამოჰყავდა. კრესტინსკი თვლიდა, რომ უმჯობესი იყო, თუ დეკლარაციული ფორმულირება საერთოდ ამოვარდებოდა და შემოიფარგლებოდა ვალდებულებების ჩამონათვალით, რომელსაც ხელმოწერი ქვეყნები აღიარებდნენ (ABП Ф. 010 Оп.11 П. 71 Д.53 Л.28; ДВП, 2, XVII: 397). ამ აზრს არ ეთანხმებოდნენ ფრანგები. ეს აზრი ჟ. პაიარმა გამოთქვა ვეინბერგთან საუბარში 13 აგვისტოს. ფრანგულ მხარეს ეშინოდა, რომ ასეთი სახის კორექტირებით ისარგებლებდნენ სხვებიც და შეიტანდნენ უკვე არსობრივ შეწორებებს (ABП Ф. 010 Оп.11 П. 71 Д. 53 Л. 41).

ფრანგები გარკვეულწილად მართლები იყვნენ. პრაქტიკულად ყველას სურდა შეთანხმების ტექსტის ცვლილებების შეტანა. ინგლისი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფრანგული პროექტის შესავალი ნაწილის თავდაპირველი ვარიანტის შენარჩუნებას, თუმცა საჭიროდ თვლიდა, შეთანხმების პროექტი ყველა მოწვეული სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობასთან შეესაბამებინათ. ბრიტანეთს არ შეეძლო ტრანზიტის აკრძალვის შესახებ ვალდებულების სრულად აღება. იტალია მოითხოვდა დაემატებინათ დეკლარაციისთვის შემდეგი აკრძალვები: მოხალისეების გაგზავნის, ნებისმიერი მხარის სასარგებლოდ ჰუმანიტარული დახმარების, შეთანხმებაში ჩართულ ქვეყნებში სოლიდარობის მიტინგების გამართვის და სხვა (DDI, VIII, 4: 755). გერმანია საჭიროდ თვლიდა, შეთანხმებას შეერთებოდა აშშ, ხოლო პორტუგალია მოითხოვდა, რომ ინგლისსა და საფრანგეთს მიეცათ პორტუგალიის ტერიტორიის ხელშეუხებლობის გარანტიები ესპანეთში კომუნისტების გამარჯვების შემთხვევაში (DBFP, 2, XVII: 66, 74, 76).

ფაქტობრივად, შეთანხმების ტექსტის შეჯერების უკან მიმდინარეობდა ვაჭრობა, რომელიც, რომში ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებულის ინგრემის სიტყვებით, დოქტრინათა კონფლიქტში გადაზრდის რისკს მოიცავდა (DBFP, 2, XVII: 77) აცხადებდნენ რა პრინციპულ თანხმობას შეთანხმებაში მონაწილეობაზე, გერმანია, იტალია, დიდი ბრიტანეთი, პორტუგალია და საბჭოთა კავშირი, სხვადასხვა

დათქმებით, შეთანხმების ტექსტის კორექტირებას ახდენდნენ და ფაქტობრივად აჭიანურებდნენ მის მიღებას და რეალიზებას. ყველა ცდილობდა დროის მოგებას. შეთანხმების ტექსტის შემუშავების ანალიზისას ჩანს ინგლისური მხარის მცდელობა, ზეწოლა მოეხდინა საფრანგეთზე და სურვილი, თავის კონტროლზე აეყვანა მოვლენათა განვითარება. ინგლისელ პოლიტიკოსებს და დიპლომატებს აღიზიანებდა ის ფაქტი, რომ პარიზი დამოუკიდებლად მოქმედებდა და ლონდონთან არ ათანხმებდა შემდგომ ნაბიჯებს. ინგლისურმა დიპლომატიამ გაააქტიურა თავისი საქმიანობა ესპანეთის საკითხთან დაკავშირებით ლისაბონში, რომში და ბერლინში. 11-15 აგვისტოს იდენი და მისი თანაშემწეები ინტენსიურად ცვლიდნენ ინფორმაციას კლერკთან, ბრიტანეთის ელჩებთან იტალიასა და გერმანიაში, რა დროსაც ნათლად გამოჩნდა ფრანგული მოქმედებების კორექტირების მცდელობა, იმ დონემდეც კი, რომ გაჩნდა ინგლის-საფრანგეთის ტაქტიკური ხასიათის დროებითი უთანხმოება: ინგლისელები სთავაზობდნენ ესპანეთში თავდაპირველად იარაღის და ამუნიციის ექსპორტის აკრძალვას, ფრანგები იცავდნენ სრულმასშტაბიანი შეთანხმების დადების იდეას (DBFP, 2, XVII: 67-68, 85, 104). საბოლოო ჯამში, მოვლენები მაინც ინგლისური სცენარით წარიმართა.

14 აგვისტოს პაიარმა ვეინბერგს გადასცა წერილი, სადაც დელბოსი სთხოვდა საბჭოთა მხარეს, მოეხსნა შესწორებები პროექტის შესავალ ნაწილში და შესაძლებლობის ფარგლებში სასწრაფოდ გაეცა პასუხი. წერილში აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა მხარის პოზიცია პრეამბულის შინაარსთან დაკავშირებით აძლევდა საფუძველს ზოგიერთ ქვეყანას (ნაწილობრივ იტალიას) გაეჭიანურებინა დისკუსია სხვა პუნქტებზე, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა დასრულდეს. მოცემულ ნოტაში ხაზგასმული იყო ის აზრი, რომ „ბრიტანეთის მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ფრანგული პროექტის შესავალი ნაწილის სრულად შენარჩუნებას“ (АВП Ф. 010 Оп.11 П. 71 Д. 53 Л. 41, 38-39).

იმავე დღეს, აღნიშნულ ფრანგულ ნოტასთან ერთად, სტალინს გადაეცა ნ. კრესტინსკის სამსახურეობრივი ბარათი. კომისრის მოადგილე კატეგორიულად დარწმუნებული იყო, რომ შეთანხმების ხელმოწერის გაჭიანურება ნამდვილად არ ხდებოდა საბჭოთა მხარის გამო. ის შესწორების მოხსნას მხოლოდ იმ შემთხვევაში თვლიდა შესაძლებლად, თუ სხვა სახელმწიფოები ანალოგიურ ნაბიჯს გადადგამდნენ. ეს პირობა დაფიქსირებულ იქნა პოლიტბიუროს 17 აგვისტოს დადგენილებაშიც (ოქმი 42) (Политбюро и Европа ... : 339).

ისარგებლა რა ამ გაჭიანურებით, დიდმა ბრიტანეთმა ინიციატივა აიღო და

თანდათან დანარჩენებს თავისი თამაშის წესები მოახვია. ფრანგული გეგმა, როგორც ცნობილია, ითვალისწინებდა ჩაურევლობის პრინციპის მიღების თაობაზე ნოტების გაცვლას ერთდროულად არანაკლებ ექვსი ევროპული ქვეყნის ელჩების მიერ და მიღებული დეკლარაციის რეალიზაციის მიზნით ამ ქვეყნების წარმომადგენლებისგან კომიტეტის შექმნას. 14 აგვისტოს კლერკმა დელბოსს გადასცა ბრიტანული ნოტის პროექტი, რომელიც გადაუდებელი ზომების მიღების აუცილებლობის მიზეზით ორმხრივი წესით შეთანხმების ხელმოწერას ითვალისწინებდა. ნოტა უმნიშვნელო ცვლილებებით იმეორებდა პირველ ფრანგულ ვარიანტს. ზეპირად კლერკს დაევალა მითითება ბრიტანეთის მთავრობის დაინტერესებაზე, შეთანხმებაში ჩაერთოთ იარაღის მწარმოებელი ქვეყნები – ჩეხოსლოვაკია, ბელგია და შვედეთი (მოგვიანებით იგივე დაინტერესება გამოხატა გერმანიამ). ფრანგულმა მხარემ, რომელიც დათანხმდა ბრიტანეთის წინადადებას, ვერ დაინახა ამ დემარშში საკმაოდ ჭკვიანური სვლა. დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ მისი ძალაში შესვლა მოხდებოდა გერმანიის, იტალიის, პორტუგალიის და საბჭოთა კავშირის ჩართვის შემდეგ. 15 აგვისტოს პარიზში ხელი მოეწერა ორ ეკვივალენტურ დეკლარაციას (DBFP, 2, XVII: 101-102; DDF, II, 3: 221-223).

ვეინბერგის შეფასებით, რომელიც განიხილავდა ამ ფაქტს პაიართან, ფრანგი დიპლომატი რამდენადმე გააკვირვებული იყო ნოტების გაცვლის ორმხრივი ხასიათით. პარიზში პაიარის წერილში (17 აგვისტო) აღნიშნული იყო, რომ ინგლის-საფრანგეთის დემარშმა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა ლიდერებზე. ფრანგი დიპლომატი დარწმუნებული იყო, რომ საბჭოთა კავშირი საერთაშორისო პოლიტიკაში იტანჯებოდა არასრულფასოვნების კომპლექსით, რომელიც ხშირად განსაზღვრავდა მის განაწყენებულ მდგომარეობას (DDF, II, 3: 229).

მომდევნო დღეებში ბრიტანელი დიპლომატები რომსა და ბერლინს არწმუნებდნენ, უმოკლეს დროში, დეკლარაციის ტექსტში რაიმე კორექტივის შეტანის გარეშე, შეერთებოდნენ შეთანხმებას. გერმანიამ გამოთქვა პრინციპული თანხმობა 17 აგვისტოს, ხოლო შეთანხმებას შეუერთდა ერთი კვირის შემდეგ – 24 აგვისტოს. 21 აგვისტოს შეთანხმებას შეუერთდნენ იტალია და პორტუგალია.

23 აგვისტოს პოლიტბიურომ მოხსნა საბჭოთა შესწორებები ფრანგული დეკლარაციის შესავალ ნაწილთან დაკავშირებით და შესთავაზა მ. ლიტვინოვს ხელი მოეწერა დეკლარაციისთვის (Политбюро и Европа... 340). იმავე დღეს საფრანგეთის მთავრობას და საბჭოთა კავშირს შორის ნოტების გაცვლით, ეს უკანასკნელი შეუერთდა შეთანხმებას ჩაურევლობის შესახებ (АВП Ф. 010 Оп.11 П. 71 Д.

53 II. 52-53).

საბოლოო ჯამში, „შეთანხმებას“ შეუერთდა 27 ქვეყანა. პირველი ხუთი სახელმწიფო, რომელმაც ვერ შეძლო შეთანხმების ტექსტში არსებითი კორექტივების შეტანა, რჩებოდა საკუთარი გეგმით, „ჩაურევლობის“ თავისებური გაგებით, რითაც საგრძნობლად გაძნელდა შემდეგში ჩაურევლობის კომიტეტის მუშაობა. უკვე შეთანხმების ხელმოწერის ეტაპზე ნათლად აღინიშნა მისი დანიშნულების სხვადასხვაგვარი აღქმა, მისი პირობების თავისებური განმარტება, რაც განაპირობებდა განსხვავებულ მიდგომებს მის რეალიზაციაში და ამ დოკუმენტს კრაზისთვის წირავდა.

დეკლარაცია ორ ნაწილად იყოფოდა: პრეამბულა და სამი კონკრეტული მუხლი. პრეამბულაში საუბარი იყო მიზანზე და მოტივზე: „ესპანეთის მოვლენებით შეშფოთებულმა მთავრობებმა გადაწყვიტეს, თავი შეიკავონ ესპანეთის საშინაო საქმეებში ყოველგვარი პირდაპირი თუ ირიბი ჩარევისგან... სურვილით აცილებულ იქნას გართულებები, რომელიც ზიანს მიაყენებს ერებს შორის კარგ ურთიერთობებს“. პირველი მუხლი ითვალისწინებდა ესპანეთში ან მის სამფლობელოებში იარაღის, ამუნიციის, საბრძოლო მასალის, თვითმფრინავების (დაშლილი და აწყობილი სახით) პირდაპირი თუ ირიბი ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის აკრძალვას. მეორე მუხლით ეს ვრცელდებოდა შესრულების სტადიაში მყოფ კონტრაქტებზე და მესამე ადგენდა შეთანხმებაში მონაწილე მთავრობებს შორის გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გაცვლას. გაცვლილი ნოტების ანალიზი აჩვენებს, რომ 15 სახელმწიფო სიტყვასიტყვით იმეორებდა ზემოთ მოცემულ ფორმულირებას. 6 სახელმწიფომ: გერმანიამ, უნგრეთმა, იტალიამ, ლატვიამ, პოლონეთმა და თურქეთმა სრულად გამოტოვეს პრეამბულა (მოტივაცია). შესაბამისად, ისინი არ თანხმდებოდნენ „ყველანაირი ჩარევისგან პირდაპირი თუ ირიბი სახით“ თავის შეკავებაზე (დაიტოვეს ერთგვარი თავისუფლება) (Padelford 1939: 57).⁴³ ამრიგად, ჩაურევლობის ხელშეკრულება იყო ერთმანეთისგან განსხვავებული თანხმობების ნაკრები, რომელსაც ვერ ექნებოდა კანონიერი ძალა. რამდენადაც ერთიანი ხელშეკრულება არ დადებულა, რომელიც ყველაზე ერთნაირ პირობას განავრცობდა, ნებისმიერ ქვეყანას ნებისმიერ დროს შეეძლო გასულიყო ამ შეთანხმებიდან საერთაშორისო სამართლის დარღვევის გარეშე.

ჩაურევლობის შეთანხმება, როგორც ორმხრივი შეთანხმებების სერია, წარმოადგენდა უფრო დეკლარაციას განზრახვის შესახებ, ის არ იყო ლეგიტიმური

⁴³ ნოტები დანართის სახით მოცემულია პადელფორდის წიგნში (Padelford 1939: Appendix).

საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით და არ შეიცავდა რეალიზაციის მექანიზმებს, თუმცა არც ისე ძველი გამოცდილებიდან გამომდინარე (იტალიის მიმართ ერთა ლიგის სანქციები), პოლიტიკოსებს და კანონმდებლებს კონკრეტულად უნდა გაეწერათ როგორც შეთანხმების ძირითადი პირობები, ისე მისი გამოყენების ფორმები და, რასაკვირველია, დამრღვევთა მიმართ სანქციები. საერთაშორისო სამართლის დარღვევაზე მორალური გაკიცხვა, როგორც თანამედროვე ისტორია მოწმობდა (რაინის ზონა, აბისინია), მათ შესაჩერებლად ზემოქმედების ქმედით საშუალებას არ წარმოადგენდა.

შეთანხმების ამორფულობა თავის თავში მოიცავდა საცდურს და საფრთხეს, რომ ის ახლო მომავალში დაირღვეოდა. უფრო მეტიც, მისი დაცვა იტალიის და გერმანიის მიერ იქნებოდა პრობლემატური. შემთხვევითი არ არის რომ უკვე 29 აგვისტოს დიკპოფი ნოირატისადმი წერილში აღნიშნავდა: „მე მიჭირს დაჯერება, რომ გეგმა ჩვენთვის სერიოზულ საფრთხეს ატარებს. სიტყვა კონტროლი არ ყოფილა ფრანგულ ნოტაში. ფრანსუა პონსეს ახსნით, მაქსიმუმი, რაც მას შეუძლია გამოიწვიოს, ეს არის ინფორმაციის გაცვლა და კოორდინაცია (DGFP, D, III: 64).

1936 წ. აგვისტოს ბოლოს საფრანგეთმა მონაწილეებს შესთავაზა საერთაშორისო კომიტეტის შექმნა, რაც ერთა ლიგის წესდების სერიოზულ დარღვევას წარმოადგენდა. ბრიტანეთმა ამ კომიტეტის სამუშაო ადგილად შესთავაზა ლონდონი. ე. იდენი თავის მემუარებში ამბობს, რომ ფრანგებმა თვითონ ჩათვალეს, რომ ლონდონი იქნებოდა საუკეთესო ადგილი და იმედოვნებდნენ, რომ მისი უდიდებულესობის მთავრობა დათანხმდებოდა. როგორც მოგვიანებით კორბინმა განაცხადა, ჩვენი დედაქალაქი იყო უფრო ნეიტრალური, ვიდრე რომელიმე სხვა (Eden 1962: 454). ეს სრულად აწყობდა იტალიას და გერმანიას. განსაკუთრებულ სიმპათიებს ბლუმის მთავრობისადმი ისინი არ განიცდიდნენ და არც საფრანგეთის პოლიტიკურ სტაბილურობაში იყვნენ დარწმუნებული. 30 აგვისტოს დიკპოფი წერდა: „სიტუაცია ჩვენთვის შეიძლება მისაღები იყოს თუ მიზიდულობის ცენტრი... გადაინაცვლებს ლონდონში“ (DGFP, D, III: 64-65). და მაინც, ასეთი ამორფული საერთაშორისო სტრუქტურის არსებობის პერსპექტივაც ბერლინში სიფრთხილით იქნა მიღებული. 31 აგვისტოს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შესთავაზა, რომ კომიტეტის შექმნის ნაცვლად უბრალოდ დიპლომატიური წარმომადგენლების გზით ბრიტანეთის მთავრობისთვის წარედგინათ ანგარიში ქვეყნების მიერ შეთანხმების დაცვის შესახებ (DGFP, D, III: 65), მაგრამ ინ-

გლისელი და ფრანგი დიპლომატების გერმანიის საგარეო პოლიტიკურ უწყების წარმომადგენლებთან რიგი შეხვედრების შემდეგ (3-5 სექტემბერი), სადაც გერმანიამ მიაღწია გარანტიებს, რომ კომიტეტს არ ექნებოდა საკონტროლო უფლებამოსილებები, ბერლინმა თანხმობა განაცხადა საერთაშორისო ორგანოს მუშაობაზე (DGFP, D, III: 68-69, 74).

შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ესპანეთთან დაკავშირებით დეკლარაციის ხელმოწერისას და კომიტეტის შექმნისას საფრანგეთი ჯერ კიდევ უსიტყვოდ არ მიუვებოდა ლონდონს კუდში. ეს მოხდა მოგვიანებით, რიგი საშინაო და საგარო ფაქტორების გავლენით. ლონდონის, როგორც კომიტეტის სამუშაო ადგილის წარდგენა ამ კონტექსტში არ იყო შემთხვევითი, მაგრამ ბრიტანეთს ჯერ კიდევ არ სურდა ინიციატივის მთლიანად აღება და ტრადიციულად ცდილობდა, პრობლემები სხვისი ძალისხმევით გადაეწყვიტა, ანუ სხვისი ხელებით ეგლიჯა ნარი.

ჩაურევლობის შეთანხმების განხილვის პროცესმა დიდწილად მოახდინა შემდგომი მიმართულებების მოდელირება, განსაზღვრა კომიტეტში დიპლომატიური ბრძოლის ვექტორები, გამოკვეთა წევრ-სახელმწიფოთა დაჯგუფებები და პოზიციები. საერთაშორისო ინტერესები ესპანურ ომში, თუ ღიად არ იყო განსაზღვრული, შეთანხმების ხელმოწერის დროისთვის უკვე საბოლოოდ გაირკვა. სახელმწიფოები შეთანხმდნენ წინასწარ შეუსრულებად პირობებზე, იმ მოტივით, რომ აეცილებინათ მათ მიმართ ბრალდებები და არ გაერთულებინათ ურთიერთობები სხვებთან. ამავე დროს, ჩაურევლობის პოლიტიკის სისუსტის მიუხედავად, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ განხილულ პერიოდში მას ალტერნატივა არ ჰქონდა.

ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტის პირველი სხდომა ჩატარდა 9 სექტემბერს ლონდონში. შეხვედრაზე შეკრებილმა დიპლომატებმა ხმა მისცეს, რომ კომიტეტის ყველა სესია იქნებოდა დახურული, რაც აშკარად განსხვავებული იყო ერთა ლიგისგან. თითოეული შეხვედრის დასასრულს გამოქვეყნდებოდა კომუნიკე, რომელიც გამოხატავდა ყველა წევრის ერთსულოვან აზრს.

ასე დგამდა პირველ ნაბიჯებს ალბათ ყველაზე არაფექტური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ოდესმე შეკრებილა. მისი კრაზი იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ ი. რიბენტროპი, ადამიანი, რომელსაც ნამდვილად ვერ დავაბრალებთ გონებამახვილობას, მას „ჩარევის კომიტეტს“ უწოდებდა (Риббентроп 1996: 85). გერმანია და იტალია სულ უფრო უტიფარი მეთოდებით განაგრძობდნენ

ფრანკოს დახმარებას, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილება, აქტიურად ჩარეულიყო ესპანეთის სამოქალაქო ომში. პატარა ევროპულმა ქვეყნებმაც კი, რომლებიც უფრო ზრდილობისთვის იყვნენ მოწვეული, საბოლოო ჯამში, დაიწყეს კომიტეტის იგნორირება და იარაღის გაყიდვა. პოლონეთი, მიუხედავად კატეგორიული ანტისაბჭოთა პოზიციისა, სსრკ-ს შემდეგ მეორე იყო რესპუბლიკისთვის იარაღის მიწოდებაში, საბერძნეთმა და ესტონეთმაც გაგზავნეს დიდი რაოდენობით იარაღი (Howson 2000: 164; 277-278; 298). გერმანიის წარმომადგენელი კომიტეტში ფონ ბისმარკი (ის მალე შეცვალა რიხენტროპმა) ადრევე მიხვდა, რომ არც ფრანგები და არც ინგლისელები სერიოზულად არ მოეკიდებოდნენ ემბარგოს დაცვის უზრუნველყოფას: „საფრანგეთი და ინგლისი ძირითადად დაინტერესებულია კომიტეტის მუშაობით არა იმდენად, რომ გადაიდგას აქტიური ნაბიჯები, არამედ იმიტომ, რომ დაამშვიდოს მემარცხენე პარტიები თავიანთ ქვეყნებში (DGFP, D, III: 79).

* * *

ლონდონის კომიტეტის შექმნით და ესპანეთის პრობლემის „ცალკე გატანით“ ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს ერთა ლიგის შექანიზმების და ინსტიტუტების გამოყენებაზე, თუმცა კომიტეტს გარეთ დარჩენილ ესპანეთის კანონიერ მთავრობას მხოლოდ ეს გზა დარჩა.⁴⁴

1936 წელს ერთა ლიგა კრიტიკულ მდგომარეობაში იყო. ინგლის-საფრანგეთის დაყვავების პოლიტიკა პირდაპირ აისახებოდა ერთა ლიგაზე და მის უუნარობაზე, ანუ ლიგას დამოუკიდებლად არ შეეძლო „განსაზღვრული პოლიტიკის გატარება“.

⁴⁴ ერთ-ერთი პირველი, ვინც შეეხო ესპანეთის სამოქალაქო ომში ერთა ლიგის როლს, არის ამერიკელი ფ. უილკოქსი (Wilcox F. The League of Nations and Spanish civil war//American Academy of Political and Social Science, Annals, Vol. 198, 1938: 65-72). საკითხს ასევე განიხილავს ამერიკელი მეცნიერი ნ. პადელფორდი თავის წიგნის – „საერთაშორისო სამართალი და დიპლომატია ესპანეთის სამოქალაქო ომში“ – მეოთხე თავში (Padelford 1939: 121-140). პრობლემას შეეხნენ ისეთი ავტორები, როგორებიცაა: პ. ვან დერ ეში (მე-6, მე-8 თავები) (Esch: 62-72; 106-118), რ. ვიტჩი (R. Veatch “The League of Nations and the Spanish Civil War, 1936-1939“. *European History Quarterly* 20 (1990): 181-206) და სხვა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ის მაინც სუსტადაა შესწავლილი.

ერთა ლიგა არასდროს ყოფილა ადგილი, რომელიც დიდ იმედებს იძლეოდა. 1936 წლის ივლისში, ესპანეთში ომის დაწყებამდე, ლიგამ სანქციები მოუხსნა იტალიას ეთიოპიის გამო და კიდევ ერთხელ დაუმტკიცა მსოფლიოს მისი უსარგებლობა უცხოური აგრესიის შემთხვევაში. ფ. უილკოქსი ლიგას ადარებს დამკრძალავ პროცესიას, რომელიც ერთი წევრის დასაფლავებიდან მობრუნებული შოკირებული დარჩა, როცა გაიგო მეორე წევრის მძიმე ავადმყოფობის შესახებ (Wilcox 1938: 65.)

ესპანეთის ომში ლიგის ჩარევის კანონიერი საფუძველი ისეთი ძლიერი ვერ იქნებოდა, როგორც ეთიოპიის შემთხვევაში. ლიგის წესდების მე-15 მუხლი გამოირიცხავდა ამ ორგანიზაციას ნებისმიერი კონფლიქტისგან, რომელიც „შიდა იურისდიქციის ფარგლებში იყო“ (Версальский мирный договор 1925: 11), თუმცა ესპანეთის კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციის პირობებში მას მალე მიეცა მყარი სამართლებრივი საფუძველი ემოქმედა, თუ მონიდომებდა. პრობლემა სწორედ სურვილის უქონლობაში იყო.

გერმანია და იაპონია არ მონაწილეობდნენ ლიგის მუშაობაში. 51 წევრი ქვეყნიდან მხოლოდ 20 ქვეყნის მთავრობა შეგვიძლია დემოკრატიულად მივიჩნიოთ. ლათინური ამერიკის ქვეყნები, რომლებიც ფრანკოს გულშემატკივრობდნენ ერთა ლიგაში მნიშვნელოვან ჯგუფს ქმნიდა. რესპუბლიკას მხოლოდ საბჭოთა კავშირის და მექსიკის მხარდაჭერის იმედი თუ ექნებოდა (Veatch 1990: 188).

ურთიერთობა ესპანელ ნაციონალისტებსა და ერთა ლიგას შორის თავიდანვე გარკვეული იყო. გენერალი ფრანკო ვერ იქნებოდა აქ ოფიციალურად წარმოდგენილი, თუმცა მოგვიანებით გაგზავნა დამკვირვებელი. მან ლიგის სამდივნოში (1937 წლის მაისი) გააპროტესტა, რომ ვალენსიის მთავრობას არ ჰქონდა უფლება ესპანელი ხალხი წარმოედგინა, რადგან მხოლოდ ტერიტორიის 2/3 ეკავა. ფრანკომ ლიგას კიდევ ორჯერ გაუგზავნა ნოტა, სადაც მკვახე ტონით მიმართავდა მის ხელმძღვანელობას და შეურაცხყოფდა რესპუბლიკელებს (Esch 1951: 63). ესპანეთის კანონიერი მთავრობის პოზიციები ამ მიმართებით, რა თქმა უნდა, ძლიერი იყო, თუმცა ესპანეთის მთავრობის ერთა ლიგისადმი მიმართვის საკანონმდებლო ბაზა ყოველთვის არ იყო ნათლად განსაზღვრული. 1936 წლის სექტემბერში რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხულიო ალვარეს დელ ვაიომ პირველად დააყენა ესპანური კონფლიქტის საკითხი (თუმცა დღის წესრიგში არ ყოფილა). მისი განცხადებით, უცხოური დახმარება ამბოხებულთა სასარგებლოდ შეუთავსებელი იყო ერებს შორის ღია, სამართლიან ურთიერთობებთან და

ერთმანეთისადმი პატივისცემასთან. ფაქტობრივად, ეს იყო სიტყვები ლიგის წესდების პრეამბულიდან (Версальский мирный договор 1925: 7).

გასაჩივრება არ ყოფილა რომელიმე მუხლის საფუძველზე, იყო მხოლოდ ზოგადი შენიშვნები, სადაც აქცენტირებული იყო, რომ ომი ესპანეთში უკვე გახდა საერთაშორისო, რომ კოლექტიური უსაფრთხოების სისტემამ უნდა დაიცავს სახელმწიფოები ამბოხებებისგან, რომელიც მხარდაჭერილია გარედან, რომ ჩაურევლობის შეთანხმება ხელს უწყობდა უცხოურ ჩარევას მთავრობის წინააღმდეგ და ა.შ. ესპანეთის საკითხზე ისაუბრეს დელბოსმა, ლიტვინოვმა და მონტე-რომ (პორტუგალია) და მაშინ, როცა მათ დაიცვეს ჩაურევლობის შეთანხმება, როგორც ევროპაში მშვიდობის შენარჩუნების გარანტი, მექსიკის დელეგატმა შეუტია ამ პოლიტიკას, როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმებთან შეუთავსებელს და მოითხოვა სამართლებრივი და პოლიტიკური საკითხების გამიჯვნა. ხმათა უმრავლესობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ესპანეთის მთავრობის მომზადებული დოკუმენტი ხელშეკრულების დარღვევის ფაქტებზე გადაეცათ ლონდონის კომიტეტისთვის. წრე შეიკრა (Ходнев 1995: 150).

ლიგის ზოგიერთმა წევრმა გამოხატა ერთგვარი სიფრთხილე. მაგალითად, ნორვეგიის წარმომადგენელმა კოჰტმა ბრძნულად აღნიშნა: „ლიგის/ ჩავარდნა ხდებოდა მაშინ, როცა ის ცდილობდა ისეთ კონფლიქტში ჩარევას, რომელიც უკვე მწვავე სტადიაში იყო, მეორე მხრივ, წარმატებებს აღწევდა მაშინ, როცა მას ჰქონდა შესაძლებლობა, დროულად აღეკვეთა კონფლიქტი და შეერიგებინა დაპირისპირებული ერები, სანამ ისინი იარაღს მოკიდებდნენ ხელს. ამიტომ გონივრულია, გაეყვეთ იმ გზას, რომელიც წარმატებისკენ მიდის და არა პირიქით. თუ გაბედულად გაყვება იმ პოლიტიკას, რომელიც წარსულში წარმატებული იყო, ლიგა შეძლებს, ბოლო მოუღოს სხვადასხვა სახელმწიფოს ინტერვენციონისტულ მცდელობებს“ (Padelford 1939: 124).

როცა ნოემბერში ესპანეთის მთავრობამ ერთა ლიგის საბჭოს ოფიციალურად მიმართა (თუმცა მისი განხილვა დეკემბერში გახდა შესაძლებელი), ეს გაკეთდა წესდების მე-11 მუხლის საფუძველზე, რომელიც ადგენდა შემდეგს: „გარკვეულად ცხადდება, რომ ყველანაირი ომი ან ომის საფრთხე, ეხება ეს პირდაპირ ლიგის რომელიმე წევრს თუ არა, მთლიანად ლიგის ინტერესებშია და ამ უკანასკნელმა უნდა მიიღოს ზომები, რომელიც ქმედითი სახით დაიცავს მშვიდობას. მსგავს შემთხვევებში გენერალური მდივანი დაუყოვნებლივ იწვევს საბჭოს, ლიგის ნებისმიერი წევრის მოთხოვნით. გარდა ამისა ცხადდება, რომ ლი-

გის ყველა წევრს აქვს უფლება, მეგობრული სახით, კრების ან საბჭოს ყურადღება მიაპყროს ყველა გარემოებას, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებს შეეხება და შედეგად საფრთხეს უქმნის მშვიდობას ან ერებს შორის თანხმობას, რაზედაც დამოკიდებულია მშვიდობა“ (Версальский мирный договор 1925: 10)

ესპანეთის მთავრობას ასევე შეეძლო მიემართა მე-10 მუხლის საფუძველზე, რომელშიც ნათქვამია: „ლიგის წევრები ვალდებული არიან პატივი სცენ და დაიცვან ყველანაირი გარეშე თავდასხმისგან ყველა წევრის ტერიტორიული მთლიანობა და არსებული პოლიტიკური დამოუკიდებლობა. თავდასხმის ან თავდასხმის საფრთხის შემთხვევაში, საბჭო მიუთითებს ზომებს ამ ვალდებულებების უზრუნველსაყოფად“ (Версальский мирный договор 1925: 10).

რატომ გაკეთდა მიმართვა მე-11 მუხლის საფუძველზე? მე-10 მუხლის ტერმინოლოგია იყო კონკრეტული და პირდაპირ იყო მითითებული გარე აგრესიის შემთხვევა. ამასთან, მე-10 მუხლი ფორმალურად გამოიწვევდა ლიგის მიერ მე-16 და მე-17 მუხლების ამოქმედებას აგრესორი ქვეყნების მიმართ, მაგრამ აბისინიაში იტალიის აგრესიის დროს მე-16 მუხლით გათვალისწინებული პირობების არაეფექტურობის გამო, არც ლიგის წევრებს და არც ესპანეთის მთავრობას არ სურდათ მსგავსი პროცედურების ხელმეორედ გაგლა და დროის ფუჭად დაკარგვა. მიუხედავად ამისა, 1937 წლის მაისში ესპანეთის პრობლემა „შეუმჩნეველად“ მე-11 მუხლიდან ფაქტობრივად „გადაკვალიფიცირდა“ მე-10 მუხლზე. პირველად ესპანეთის „საბრალდებო დასკვნა“ გერმანიის და იტალიის მიმართ ემყარებოდა საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევას, რაც გამოიხატებოდა ამბოხებულთა დახმარებაში ლეგალური კონსტიტუციური მთავრობის წინააღმდეგ. გერმანია-იტალიის მიერ ბურგოსის მთავრობის ცნობამ და ფრანკოს სწრაფმა შეტევამ შეასუსტა ამ არგუმენტის ეფექტურობა. 1937 წლის დასაწყისიდან რესპუბლიკური მთავრობა იძულებული გახდა, ეცნო, რომ ესპანეთში მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი და ეს უკვე არ იყო ამბოხება კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ. ამავე დროს, უცხოურმა ჩარევამ, რასაც ახლდა ესპანეთში ორივე მხარის სტატუსის შეცვლა, ესპანეთის მთავრობას მისცა მიზეზი, მიმართვის ფორმულირება მე-10 მუხლის საფუძველზე მოეხდინა.

ლიგაში რესპუბლიკის მხარდამჭერების აზრით, სამოქალაქო ომის გაჩაღება ესპანეთში ვერ შეასუსტებდა მე-10 მუხლის მოქმედებას. „შეიძლება ითქვას, რომ ესპანეთის რესპუბლიკის არმია აწარმოებს შეიარაღებულ ბრძოლას არა იმდენად ამბოხებულთა წინააღმდეგ, რამდენადაც უცხოური ინტერვენციის წინააღმ-

დებ, რომლებმაც დაიპყრეს ქვეყანა. ამრიგად, ერთა ლიგის წევრი გახდა უცხოური თავდასხმის, მისი ტერიტორიული მთლიანობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დარღვევის ობიექტი“, – აცხადებდა საბჭოთა დელეგაცია (ДВП, XX 1976: 274-278). მეორეს მხრივ, რესპუბლიკის ოპონენტთა არგუმენტებით, სამოქალაქო ომი არ იყო ის შემთხვევა, რომელიც უნდა განხილულიყო როგორც ერთი წევრის აგრესია მეორის მიმართ.

ყველა შემთხვევაში, თვითონ ესპანეთის მთავრობას ოფიციალური მიმართვა მე-10 მუხლის საფუძველზე არ გაუკეთებია. არარეალური იყო სამოქალაქო ომში ლიგის ჩარევის თხოვნა. რისი თხოვნაც ესპანეთის მთავრობას ტერიტორიული მთლიანობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დასაცავად შეეძლო, იყო ის, რომ ლიგას ბოლო მოეღო ჩაურევლობის პოლიტიკისთვის, რომელიც ართმევდა მას ყველა უფლებას, შეეძინა იარაღი და დაეცვა თავი ჯერ სამხედრო ამბოხისგან და შემდეგ კი – უცხოური შემოტევისგან.

თვითონ ლიგას არ უსარგებლია წესდებაში ჩადებული მექანიზმით, განეგრძო ისეთი სერიოზული საკითხი, როგორც იყო ესპანეთის კრიზისი. მე-12 და მე-13 მუხლები, რომელიც უზრუნველყოფდა არბიტრაჟს და გამოძიებას ან დისპუტის იურიდიულ გადაწყვეტას (Версальский мирный договор 1925: 10), არ გამოყენებულა. მე-16 და მე-17 მუხლების ამოქმედებაც გამართლებული იყო, მაგრამ, როგორც ითქვა, არავის სურდა გარისკვა სანქციების შედეგების გამო. ესპანეთის მთავრობის მიერ გამოყენებულ იქნა მხოლოდ მე-15 მუხლის პუნქტები, რომელიც უზრუნველყოფდა საბჭოს დაქვემდებარების საკითხს, იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, რომელიც მე-13 მუხლით გათვალისწინებული პროცედურების ამოქმედებას ექვემდებარებოდა. (Версальский мирный договор 1925: 11). მე-15 მუხლის თანახმად, თუ ლიგის წევრებს შორის გაჩნდებოდა დავა, რომელსაც შეეძლო განხეთქილების გამოწვევა, საკმარისი იყო, რომ ერთ-ერთ მათგანს მიეთითებინა ამ დავაზე გენერალური მდივნისათვის, რომელიც სრული გამოძიების და განხილვისთვის ყველა ზომებს მიიღებს (Версальский мирный договор 1925: 11). არავის შეუძნევიდა ის, რომ აღნიშნული მუხლის მე-8 პუნქტს შეეძლო ლიგის უმოქმედობის გამართლება (Padelford 1939: 121).

ამრიგად, ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს ერთა ლიგას მიმართეს რამდენიმე შემთხვევაში: შეესრულებინა მედიატორის ფუნქცია, მოეხდინა საზოგადოებრივი აზრის გამახვილება ომთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემებზე ძირითადი აქცენტები კეთდებოდა საგარეო ჩარევის დაგმობაზე, ჩაურევლობის

სისტემის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, სხვადასხვა ტექნიკური საკითხებზე. ამავე დროს, არასდროს ყოფილა მოთხოვნილი, რომ ერთა ლიგას ბოლო მოეღო საომარი მოქმედებებისთვის, ჩარეულიყო ესპანეთის საქმეებში და შეეცვალა მოვლენათა სვლა ან გამოეყენებინა სანქციები ინტერვენტების წინააღმდეგ.

ესპანეთის სამოქალაქო უწყესრიგობების ისტორიამ და ერთა ლიგის მუშაობაში საკითხის ფიგურირების დონემ ნათლად აჩვენა, რომ ამბოხება და სამოქალაქო ომი არ არის მხოლოდ საშინაო პრობლემა. მან გადაკვეთა ევროპული პოლიტიკა. ბევრჯერ მომხდარა ასე, რადგანაც სამოქალაქო ომები ვერ იარსებებს პოლიტიკურ ვაკუუმში, ესაა პოლიტიკური ცხოვრების და სისტემის ნაწილი, რომელშიც ყველა სახელმწიფო დაკავშირებულია ერთმანეთთან, ესაა ფაქტორი, რომელიც, ადრე თუ გვიან, ბევრი ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციის პოლიტიკურ იდეოლოგიას და ინსტიტუციებს შეეხება.

თავი III

ესპანეთის სამოქალაქო ომი და საბჭოთა კავშირი

§1. საბჭოთა მთავრობის თავდაპირველი რეაქცია ესპანეთში სამოქალაქო ომის დაწყებაზე

ესპანეთის სამოქალაქო ომის ინტერნაციონალიზაციის ისტორიაში არსებობს მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის კარგად შესწავლილი. ერთ-ერთი ასეთია, თუ რატომ გადაწყვიტა სტალინმა ესპანეთის კანონიერი მთავრობის დახმარება და თუ რა იყო ამ გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები და მოტივები, თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ლიტერატურაში მოხდა ამ საკითხის იგნორირება.⁴⁵

⁴⁵ 1939 წლიდან მოყოლებული, როდესაც გამოჩნდა აშშ-ში გაქცეული საბჭოთა მზვერავის ვალტერ კრივიცკის წიგნი, ლიტერატურაში, პირდაპირი თუ ირიბი ფორმით, მისი ვერსია გაბატონდა (Кривицкий 1991). ის ასახულია როგორც ისეთ ნაშრომებში, რომელთა მეცნიერული ღირებულება ნულის ტოლია (ა. ვინიასი ასეთად მიიჩნევს თანამედროვე ესპანელი ისტორიკოსის სავალას ნაშრომებს. Viñas 2006/b: 65), ისე მაღალი დონის აკადემიურ ნაშრომებში. ეს ალბათ იმის ბრალიცაა, რომ ამერიკელმა ისტორიკოსმა ბ. ბოლოტენმა სხვადასხვა წელს გამოცემულ თავის ნაშრომებში მოახდინა კრივიცკის ერთგვარი კანონიზაცია (Bolloten 1961; 1991). მნიშვნელოვანია ბოლო პერიოდში გამოცემული დ. კოვალსკის და ფ. შაუფის მონოგრაფიები (Kowalsky 2004; Shauff 2008). მათში ბოლოტენის ბევრი იდეა და ინტერპრეტაცია უარყოფილია, მაგრამ მაინც სათანადო ყურადღებას არ ეთმობა სტალინის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ანალიზს. რუს ისტორიკოსს ი. რიბალკინს ეკუთვნის ნაშრომი, რომელიც შეიცავს ძვირფას საარქივო მასალებს და დასკვნებს, მაგრამ, ადვილად გასაგები მიზეზების გამო, მან ვერ მოახერხა რესპუბლიკის და საბჭოთა დოკუმენტების კომპარატიული ანალიზი (Рыбалкин 2000) ამის გამოსწორებას თითქოს ცდილობს ე. ბივორი, თუმცა ის იღებს რიბალკინის მონაცემებს (ზოგჯერ მითითების გარეშე) და მასში კარგად არ არის გაშუქებული გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები (Bevor 2006). უკვე რამდენიმე წელია ამერიკელი ისტორიკოსი რ. რადოში (მასთან ერთად მ. ჰებეკი და რუსი მკვლევარი ი. სევასტიანოვი) ცნობილი გახდა, როგორც კომინტერნის და რუსეთის სამხედრო არქივების საცავიდან ამოღებული დოკუმენტების კრებულის კომენტატორი. მის ვერსიებში ახალი არაფერია. ბევრი რამ აღებულია კრივიცკისგან, რომელიც ამტკიცებდა, რომ სტალინს სურდა, ესპანეთი თავის ორბიტაში ჩაერთო (Spain Betrayed 2001). ამ კომპილაციამ გამოიწვია ცნობილი ისტორიკოსების (რ. კონკესტი, ს. პეინი) და, რა თქმა უნდა, ზოგიერთი „ნეოფრანკისტი“ ავტორის (მაგ. ს. ვიდალი) დიდი მოწონება, რომლებმაც გამოიყენეს ეს დოკუმენტები, როგორც იარაღი კრიტიკული ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ.

ჩვენი მიზანია, სხვადასხვა რაკურსიდან დეტალურად შევისწავლოთ სტალინის გადაწყვეტილება. ამ თვალსაზრისით, ხაზი უნდა გავუსვათ იმ რისკებს, რომელიც კვლევის პროცესში იჩენს თავს. ეს არის ესპანურ და ზოგადად დასავლურ ბიბლიოგრაფიაში „ნეოფრანკისტული“ ტალღის ერთგვარი მომძლავრება. მართალია, მათი ისტორიული ფასეულობა ეჭვებს იწვევს, რადგან რეალურად ეს არის ძველი მითების შეფუთვა. ფრანკისტული მითები კი მოკლედ ასე გამოიყურება: სტალინის გადაწყვეტილება ჩარევის შესახებ იყო ესპანეთის სამოქალაქო ომის დაწყების თანადროული; სტალინი არასდროს აპირებდა ჩაურევლობის დაცვას, რომელსაც ის აგვისტოს ბოლოს შეუერთდა; კომინტერნი იდგა საბჭოთა ინტერვენციის ავანგარდში, ინტერბრიგადები უკვე სექტემბერიდან აქტიურობდნენ ესპანეთში; იარაღის და მრჩევლების გაგზავნა მოხდა პირდაპირი სამხედრო დახმარებამდე დიდი ხნით ადრე და ა.შ.

მოვლენების გასაგებად და იმ მიზეზების გასარკვევად, თუ რამ უბიძგა სტალინს მიეღო აღნიშნული გადაწყვეტილება, მოკლედ უნდა დავახასიათოთ სსრკ-ს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება საკვლევ პერიოდში.

ესპანეთში კონფლიქტის დასაწყისისთვის საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები ფორმულირებული იყო ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის გამოსვლებში. სკპ(ბ) XVII ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში იოსებ სტალინმა განაცხადა, რომ საგარეო პოლიტიკაში საბჭოთა ხელმძღვანელობა ორიენტირებულია „საბჭოთა კავშირზე და მხოლოდ საბჭოთა კავშირზე... და თუ სსრკ-ს ინტერესები მოითხოვს ნებისმიერ ქვეყანასთან დაახლოებას, რომელიც არ არის დაინტერესებული მშვიდობის დარღვევაში, ჩვენ ამაზე წავალთ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე“ (Сталин 1952: 472).⁴⁶

1936 წლის 10 თებერვალს, ცაკ-ის სესიაზე სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მ. მოლოტოვის მოხსენებაში ხაზი გაესვა, რომ ომი მსოფლიოს გადასანაწილებლად პრაქტიკულად დაწყებულია და მისი მთავარი გამჩაღებლები არიან იაპონია, გერმანია და იტალია. მიუხედავად ზოგიერთი განსხვავებისა, სხვა მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნები არსებითად იგივე პოლიტიკას ატარებენ. მომხსენებელმა მიუთითა სსრკ-ს განსაკუთრებულ როლზე მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, ვარაუდობდა, რომ დასავლეთის ქვეყნების მშრომელი მასები ასევე შეუშლიდნენ ხელს ომის გაჩაღებას. მოლოტოვი სსრკ-ს ერთა ლიგაში მონაწილე-

⁴⁶ ისტორიამ გვაჩვენა, რომ სტალინს არც ომის მსურველებთან მორიგებაზე უთქვამს უარი.

ობას დადებითად აფასებდა, აღნიშნა რა, რომ ეს საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც არ ძალუძს აგრესორის აღაგმვა იარაღის ძალით, მაინც თამაშობდა „შემაკავებელ როლს“ (ДВП XIX: 702-703).

საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ანტიფაშისტურმა მიმართულებამ ასახვა ჰპოვა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მაქსიმ ლიტვინოვის 1936 წლის 28 ნოემბრის სიტყვაში საბჭოების VIII საგანგებო ყრილობაზე: „ფაშიზმი არის არამხოლოდ განსაკუთრებული შიდაპოლიტიკური რეჟიმი, ის ამავე დროს ნიშნავს აგრესიას, ომის მომზადებას სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ. ფაშიზმი მთელი ძალით ყვირის თავისი აგრესიულობის შესახებ და არა მხოლოდ ყვირის, სადღაც განახორციელებს კიდევ მას“. განსაზღვრავდა რა მიზეზებს, რომელთა გამოც საბჭოთა კავშირი დაესმარა ესპანეთის რესპუბლიკას, მ. ლიტვინოვმა განაცხადა, რომ აქ მოხდა ფაშიზმის პირველი მსხვილი „გამოხტომა“ და თუ ეს წარმატებით დასრულდება, არ იქნება არანაირი გარანტია მისი განმეორებისგან სხვა სახელმწიფოების მიმართ. საუბარი რომ იყოს ფაშიზმზე, როგორც შიდაპოლიტიკურ რეჟიმზე მაშინ საბჭოთა ხელმძღვანელობის დამოკიდებულება მისდამი უფრო მშვიდი იქნებოდა, როგორც იყო ის ესპანეთის მონარქიის დროს პრიმოდე რივერას დიქტატურის შემთხვევაში, მაგრამ აქ საუბარია საერთაშორისო ხასიათის მოვლენაზე, მსოფლიო საფრთხეზე „და ეს... საკმარისია ჩვენი ინტერესების გასამართლებლად“ (ДВП XIX: 713).

საერთაშორისო არენაზე თავის პრაქტიკულ საქმიანობაში საბჭოთა ხელმძღვანელობა იმ პერიოდში გამოდიოდა მშვიდობისთვის ბრძოლის და კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნის ინიციატივით, მხარს უჭერდა აგრესიის მსხვერპლ ქვეყნებს. მან დაგმო რაინის ზონის რემილიტარიზაცია, იაპონიის აგრესია ჩინეთში, იტალიის აგრესია ეთიოპიაში, იტალია-გერმანიის ჩარევა ესპანეთში. საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ეს ოფიციალური მიმართულება ფართო რეკლამირების და აქტიური პროპაგანდის ქვეშ მიმდინარეობდა.

დასავლეთის ქვეყნებში საბჭოთა მოწოდებები მშვიდობისკენ არაერთგვაროვნად და, რაც მთავარია, დიდი სიფრთხილით მიიღებოდა, რადგან პარადოქლურად სსრკ ახორციელებდა (პირდაპირ თუ ირიბად) თავისი საგარეო პოლიტიკის მეორე სტრატეგიულ მიმართულებას მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის, კაპიტალიზმის დამხობის, საერთაშორისო დონეზე პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების გეგმის რეალიზაციას. მსოფლიო რევოლუციის შტაბი კომინტერნი ჯერ კიდევ 1920 წელს გამოქვეყნებულ მანიფესტში აცხადებდა, რომ

„საერთაშორისო პროლეტარიატი არ ჩააგებს ხმაღს ქარქაშში მანამ, სანამ საბჭოთა რუსეთი არ იქნება მთელი მსოფლიოს საბჭოთა რესპუბლიკების მთავარი რგოლი... სამოქალაქო ომი მთელს მსოფლიოში დღის წესრიგშია“ (Рыбалкин 2000: 13; Новиков 2000: 43). ამ მიმართულებით საბჭოთა პოლიტიკური საქმიანობა გულდასმით ინიღბებოდა როგორც საკუთარი ხალხის, ისე საერთაშორისო საზოგადოებრიობისგან. დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების ხელმძღვანელობა საკმარისად იყო ინფორმირებული და არ აგებდა ოცნების კოშკებს სსრკ-სთან მიმართებაში. სწორედ ამიტომ მათ ურთიერთობებში დიდი დოზით იყო უნდობლობა და ეჭვი. მოსკოვის მიერ ესპანეთის რესპუბლიკის დახმარება დასავლეთში განიხილებოდა როგორც ესპანეთის ბოლშევიზაციის მცდელობა, მიუხედავად საბჭოთა ხელმძღვანელობის მტკიცებისა, რომ ასეთი მიზანი მას არ ჰქონია.

აშკარაა, რომ სტალინი არ ისახავდა მიზნად ესპანეთის სოვეტიზაციას და იქ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას. ესპანეთის მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე სტალინი ამერიკელ საგაზეთო მაგნატ როი ჰოუარდთან ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირი არასდროს არ ამუშავებდა მსოფლიო რევოლუციის გეგმებს და, რომ ასეთი საუბრები არის „გაუგებრობის ნაყოფი“, „ტრაგიკომიკური მონაჩმასი“ (Сталин И.В. Беседа с председателем американского газетного объединения Скрипс-Говард Ньюспейперс господином Рой Говардом. 1936). სტალინი რომ ცრუობდა, ამაში ეჭვი არავის გვეპარება, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში მისთვის პოლიტიკურად წამგებიანი იყო „პროლეტარიატის რევოლუციის“ წინა პლანზე წამოწევა, რამდენადაც ეს დაასამარებდა დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებთან კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნის იმედებს. ფაქტები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ ესპანეთის საკითხში სტალინმა გამოავლინა მოქნილობა და კეთილგონიერება. ყოველ შემთხვევაში, ის არ უბიძგებდა ესპანელ კომუნისტებს იმ გზისკენ, რომელიც რესპუბლიკას უსწრაფეს კატასტროფამდე მიიყვანდა.

ესპანეთის კონფლიქტთან დაკავშირებით საბჭოთა პოლიტიკის სწორად განაღვივების მიზნით საჭიროა იმ როლის გარკვევა, რომელსაც სტალინი თამაშობდა. ამ დროისთვის მან ხელთ იგდო პრაქტიკულად მთელი ძალაუფლება პარტიასა თუ ქვეყანაში. ყველა საკითხი, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში, წყდებოდა არა საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ორგანოების ან პოლიტბიუროს და ცალკე ცკ-ის სამდივნოს, არამედ პირადად სტალინის მიერ. დასავლეთის ქვეყნებში საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მაქსიმ ლიტვინოვის რეპუტაცია სტალინის თვალში მეტად ღირებული იყო, მაგრამ ლიტვინოვი

არ ქმნიდა საბჭოთა საგარეო პოლიტიკას. უეჭველია, ლიტვინოვმა იცოდა აღნიშნულ სფეროში სტალინისთვის ჩვეული საიდუმლო ზონდაუების შესახებ. ვერ ვიტყვით, რომ იგი სავსებით ამართლებდა სტალინის ამ პოლიტიკას, მაგრამ მისი უარყოფა, ცნობილი მიზეზების გამო, არ შეეძლო. ზოგიერთი მკვლევარი ამაში ხედავდა სახალხო კომისრის დამოუკიდებელ პოლიტიკას ნაცისტურ გერმანიასთან მიმართებაში, მაგრამ საარქივო მასალები და წყაროები ამგვარ მტკიცებას არ ადასტურებენ. მ. ლიტვინოვი მოკლებული იყო რაიმე სახის დამოუკიდებლობას, პატარა ნიუნსიცი კი თანხმდებოდა პოლიტბიუროსთან, რომლის წევრიც იგი საერთოდ არ ყოფილა. ამიტომ მისი ე.წ. დამოუკიდებლობა ყოველთვის სანქცირებული იყო სტალინის მიერ. ამ აზრს იმეორებს ალან ბალოკი: „ლიტვინოვი არ ქმნიდა საბჭოთა საგარეო პოლიტიკას და იყო მხოლოდ ოფიციალური რუპორი იმ შეხედულებებისა და გადაწყვეტილებების, რომელიც, საბოლოო ჯამში, პოლიტბიუროში იყო მიღებული (Булик 1994: 117). სტალინს ჰქონდა ისეთი ინფორმაცია, რომელთანაც ლიტვინოვს ხელი არ მიუწვდებოდა. უფრო მკვეთრად გამოთქვამს თავის აზრს ამერიკელი მკვლევარი უოლტერ ლაკერი. მისი ინტერპრეტაციით, დიპლომატიის და მათ შორის ლიტვინოვის როლი ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში კურიერის დონემდე იყო დაყვანილი (Лакер 1991: 225).

ესპანეთის სამოქალაქო ომმა დაიკავა პრიორიტეტული ადგილი სტალინის საგარეო პოლიტიკურ გეგმებში, ყოველ შემთხვევაში, 1936-1937 წლებში. ის ყურადღებით აკვირდებოდა პოლიტიკურ, დიპლომატიურ და სამხედრო ვითარებას პირინეებსა და მის გარშემო, იღებდა უზარმაზარ საინფორმაციო ნაკადს სხვადასხვა არხებიდან, იყო მოვლენების საქმის კურსში და შეიმუშავებდა თავის მიდგომებს ამა თუ იმ პრობლემის მიმართ. მისი პოზიცია ესპანეთის საკითხში, როგორც ბევრი წყარო მოწმობს, არ იყო სტაბილური და იცვლებოდა ესპანეთსა და საერთაშორისო არენაზე ცვლილებების შესაბამისად.

სავსებით ნათელია, რომ ომის დასაწყისში, უკიდურეს შემთხვევაში, 1936 წლის აგვისტომდე ის არ გეგმავდა სერიოზულ ჩარევას ესპანეთის საქმეებში. პირიქით, საბჭოთა ელჩები (საფრანგეთში) იღებდნენ მკაცრ მითითებებს, უარი ეთქვათ ესპანეთის რესპუბლიკის წარმომადგენელთა თხოვნებზე დახმარების შესახებ. ასეთ თხოვნას კი ბევრჯერ ჰქონდა ადგილი.

ესპანეთის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრმა ხოსე ხირალმა 25 ივლისს საფრანგეთში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს გაუგზავნა დეპეშა, სადაც ითხოვდა დახმარებას: „ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობა საჭი-

როებს არმიის მომარაგებას თანამედროვე შეიარაღებით, მათთან საბრძოლველად, ვინც დაიწყო და აგრძელებს სამოქალაქო ომს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ და ვინც მარაგდება საზღვარგარეთიდან შეიარაღების და ამუნიციის დიდი რაოდენობით. მთავრობამ ჩემი მეთაურობით, უწყის რა იმ სახსრების და საბრძოლო მასალების შესახებ, რომელიც სსრკ-ს განკარგულებაშია, გადაწყვიტა, გთხოვოთ, რომ შეატყობინოთ თქვენს მთავრობას სურვილის და საჭიროების შესახებ, რომელსაც ჩვენ განვიცდით და მოგვაწოდოს ყველა კატეგორიის შეიარაღება და ამუნიცია დიდი რაოდენობით“ (РГВА Ф.33987 Оп.3 Д.991 Л.56-59).⁴⁷

ხირალმა დააყენა საკითხი სსრკ-ში მასალის შექმნის შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ არც რაოდენობა დაუზუსტებია და არც შემადგენლობა. ეს შეიძლება ყოფილიყო ერთგვარი ზონდაჟი. როგორც ვიცით, ხირალმა მსგავსი მოთხოვნები პარიზსა და ბერლინშიც გაუზავნა. რ. რადოში და მისი თანაავტორები პრემიერის ამ დეკრეტში ხედავენ რესპუბლიკის მთავრობის ერთგვარ „კეთილგანწყობას“ საბჭოთა კავშირისადმი. მათი კომენტარებით, ზოგი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ესპანეთის მთავრობამ სსრკ-ს მიმართა მას შემდეგ, რაც იგი ბედის ანაბარად დატოვა დასავლეთმა (პირველყოვლისა, საუბარია საფრანგეთზე), მაგრამ ხირალის აღნიშნული წერილი ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია და ეწინააღმდეგება მოცემულ მტკიცებებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავიდან საფრანგეთმა დახმარება აღუთქვა რესპუბლიკურ ესპანეთს და ქმედითი ნაბიჯიც გადადგა ამ მიმართულებით, თუმცა მალე, სხვადასხვა გარემოებების გავლენით, შეცვალა პოლიტიკა და 25 ივლისს, საღამოს 16 საათზე საფრანგეთის მინისტრთა კაბინეტმა გადაწყვიტა, არ ჩარეულიყო ესპანეთის სამოქალაქო ომში. ხირალმა წერილი საბჭოთა წარმომადგენელს გაუგზავნა მაშინ, როცა ჯერაც ელოდა სამხედრო დახმარებას საფრანგეთისგან, ანუ ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობის საბჭოეთისთვის მიმართვის მიზეზი დასავლეთის უმოქმედობა არ ყოფილა. რესპუბლიკას ეს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა (Spain Betrayed 2001: 20).

ესპანეთის მოვლენებისადმი საბჭოთა ხელმძღვანელობის მიერ ინტერესის გამოვლენის პირველი ნიშნები რატომღაც იგნორირებულია ლიტერატურაში. საუბარია 1936 წლის 22 ივლისს, ანუ ხირალის ცნობილი დეკრეტის გაგზავნამდე

⁴⁷ საარქივო მასალა მოყვანილია წიგნიდან Spain Betrayed 2001: 21. ა. ვინიასის თქმით, აღნიშნული დეკრეტი რ. რადოშის ჯგუფის მიერ იქნა აღმოჩენილი რუსეთის სამხედრო არქივში, თუმცა ის უფრო ადრე ფიგურირებს სხვა ნაშრომებში და მითითებულია დოკუმენტი საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან (АВП Ф. 048 Оп. 14-6 П.4 Д.7 Л.69 – Мешеряков 1993: 85)

სამი დღით ადრე, პოლიტბიუროს დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე. 22 ივლისს პოლიტბიუროს სხდომამ დაადგინა შემდეგი: „დაევალოს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, დაუყოვნებლივ მიჰყიდოს ესპანელებს მაზუთი დაბალ ფასებში, საჭირო ოდენობით და საშეღავათო პირობებში“. ეს დოკუმენტი ჩვენთვის ცნობილი გახდა რუსი მეცნიერის ი. რიბალკინის წყალობით და ითვლება ერთ-ერთ სერიოზულ აღმოჩენად (АП РФ Ф.3 оп.74 п.20 л.51. მოყვანილია წიგნიდან: Рыбалкин 2000: 37).⁴⁸

ა. ვინიასის მიხედვით, აღნიშნულ თემას, სამი თვალსაზრისით აქვს დიდი მნიშვნელობა: ისტორიული, ვინაიდან ის გაჩნდა სამხედრო აჯანყების დაწყებიდან ხუთ დღეში; პოლიტიკური, რადგანაც ის მიღებულ იქნა არა სუბორდინაციულ დონეზე, არამედ ყველაზე მაღალ ეშელონებში (თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ფორმალურად პოლიტბიურო 19 ივლისს და 1 სექტემბერს შორის არ შეკრებილა, შესაძლებელია, ის არაფორმალურად მიიღეს); საერთაშორისო, იმიტომ, რომ მანამდე რესპუბლიკის მთავრობამ სთხოვა ლონდონს მიეყიდა მისთვის საწვავი გიბრალტარში ან ტანჯერში (Viñas 2006/b: 69). ვიცით, რომ ბრიტანეთმა ამაზე უარი განაცხადა. თუ ყველაფერ ამას გამოვხატავთ ოპერაციონალური ტერმინოლოგიით, საბჭოთა კავშირმა შეისწავლა ეს თხოვნა და რეაგირება უსწრაფესად მოახდინა, რაც საოცარი რამ იყო იმ დროის კრემლის საგარეოპოლიტიკურ პრაქტიკაში. როგორ მოვიდა ეს ცნობები მოსკოვში, გაურკვეველია. თეორიულად უამრავი შესაძლებლობა არსებობს: ფორინ ოფისში სსრკ-ს ერთ-ერთი აგენტის, ასევე რესპუბლიკური მთავრობის მაღალი ეშელონებიდან რომელიმე მომავალი აგენტის ან მადრიდში მყოფი კომინტერნის აგენტისგან. ვინც არ უნდა ყოფილიყო საკონტაქტო პირი, შედეგი ერთნაირი იქნებოდა.

პოლიტბიურომ გადაწყვიტა, ხელი გაეწვდინა რესპუბლიკისთვის იმ დროს ყველაზე მგრძობიარე – საწვავის მიწოდების საკითხში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოსკოვმა შეატყობინა რესპუბლიკის მთავრობას ან უფრო ესპანეთის საელჩოს პარიზში, თავისი გადაწყვეტილების შესახებ, მაშინ ხირალის თხოვნა სხვა შეფერილობას იძენს. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ რეალურად ეს იყო ესპანეთის მთავრობის მეთაურის რეაგირება საბჭოთა მხრიდან პირველი ინტერესის გამოვლენაზე. სამწუხაროდ, დოკუმენტები, რომელიც ასეთი ვარაუდების დადას-

⁴⁸ რუსეთის პრეზიდენტის არქივთან წვდომა არ ჰქონია არცერთ დასავლელ მკვლევარს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ენტონი ბივორი თავის წიგნში ამ ფაქტის მოყვანისას მითითების გარეშე უთითებს აშკარად რიბალკინისგან აღებულ ამ წყაროს (Bevor 2006: 139).

ტურების საშუალებას მოგვცემდა, არ გვაქვს. არც ი. რიბალკინი და არც სხვა ავტორები (მაგალითად ფ. შაუფი. იხ.: Schauff 2008) დეტალებში არ უღრმავდებიან საკითხს. არაფერია ნაპოვნი პოლიტიკურს არქივებში და არც ახლახანს გამოცემულ კრებულში რუსეთის პრეზიდენტის არქივის საიდუმლო ფონდებიდან.⁴⁹ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისი პოვნა შეუძლებელია. სამაგიეროდ ცნობილია ის, რომ ესპანეთის მთავრობამ არ გაუშვა შანსი და ინდალესიო პრიეტოს ნდობით აღჭურვილი პირი ტორიბიო ეჩებერია გარკვეული ინსტრუქციებით გაგზავნა პარიზში (Viñas 2006/b: 70).

კვლავ ი. რიბალკინის წყალობით ვიცით, რომ რესპუბლიკური მთავრობა დაჟინებით ითხოვდა იარაღს. აგვისტოს დასაწყისში ჩვენთვის ცნობილია ფერნანდო დე ლოს რიოსმა პირდაპირ მიმართა პარიზში საბჭოთა წარმომადგენელს თხოვნით, ნებისმიერი გზით მიეწოდებინა იარაღი რესპუბლიკისთვის და განუცხადა, რომ მზად არის დაუყოვნებლივ გაემგზავროს მოსკოვში შესაბამისი კომერციული გარიგების დასადებად (Рыбалкин 2000: 28). ჩვენ გეჯერა, რომ ეს დემარშები პრემიერ მინისტრ ხირალისა და საგარეო საქმეთა მინისტრ აუგუსტო ბარსიას გარეშე არ გაკეთდებოდა. 6 აგვისტოს პარიზში ჩასულ „პრავდის“ ჟურნალისტს მ. კოლცოვს შეხვდა ხოსე ხირალის შვილი, რომელმაც სთხოვა ეცნობებინა მოსკოვისთვის რესპუბლიკის საჭიროებების შესახებ (Рыбалкин 2000: 28). გულისხმობს თუ არა ეს იმას, რომ პარიზში ორ საელჩოს (ესპანეთის და საბჭოთა) შორის არსებულმა კომუნიკაციებმა გახადა შესაძლებელი უმცროსი ხირალის მ. კოლცოვთან შეხვედრა? ამ კითხვაზე პასუხი ჩვენ არ გვაქვს.

საბჭოთა ხელმძღვანელობა, რომელსაც, უეჭველია, საფრანგეთში თავისი წარმომადგენლობა ამ კონტაქტების შესახებ ყველაფერს მოახსენებდა, ყრუ რჩებოდა რესპუბლიკის თხოვნების მიმართ. ერთი იყო საწვავის გაგზავნა და მეორე კი – იარაღის მიწოდება. 23 აგვისტოს მ. ლიტვინოვი საფრანგეთში საბჭოთა რწმუნებულს ე. პირშფელდს წერდა, გადაეცათ ესპანეთის ელჩისთვის: „საბჭოთა ხელმძღვანელობა არ თვლის შესაძლებლად, დაკმაყოფილებულ იქნეს თხოვნა იარაღის მიწოდების შესახებ ესპანეთთან გეოგრაფიული სიშორის მოტივაციით. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირი ჩაურევლობის შესახებ დეკლარაციითაა შეზღუდული და ვერ დაარღვევს მას“ (Мещеряков 1993/a: 85; Новиков 2000: 45).

⁴⁹ СССР и гражданская война в Испании: 1936-1939 годы. / Отв. ред.: Л. Макарова ; Вестник Архива Президента Российской Федерации. М., 2013.

საბჭოთა კავშირის პირველი რეაქციების გასარკვევად პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ბრიტანელი, ფრანგი, იტალიელი, ამერიკელი დიპლომატების მიერ თავიანთ მთავრობებთან გაგზავნილ ცნობებს. ზოგიერთ მათგანს მნიშვნელოვანი შედეგი ჰქონდა. მაგალითად, იტალიელი ელჩის ბერარდისის დეპეშამ⁵⁰ გარკვეული როლი ითამაშა მუსოლინის გადაწყვეტილებაში ჩარეულიყო ესპანეთის კონფლიქტში (DDI, VIII, 4: 675-677). არცერთი დიპლომატი არ ვარაუდობდა სსრკ-ს სწრაფ ჩართვას ესპანურ მოვლენებში და თითქმის ყველა აცხადებდა, რომ იყო დაბნეულობა და ღრმა შემოფოთება. ისინი ასევე საფუძვლიანად თვლიდნენ, რომ სახალხო მანიფესტაციები უფრო ასახავდა საბჭოთა კავშირის შფოთვის იმის თაობაზე, რომ მისი მხრიდან დუმილი ძნელი გასაგები იქნებოდა მემარცხენეებისთვის მსოფლიოს მასშტაბით (Viñas 2006/b: 72).

აღბათ, ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ დიპლომატთა ცნობები, როგორც დოკუმენტური ბაზა, არის ირიბი მტკიცებულება. რა იცოდნენ დიპლომატებმა რა ხდებოდა კრემლის ყრუ კედლებს მიღმა? პასუხი მარტივია არაფერი.

რეალობა ის არის, რომ აგვისტოს პირველ რიცხვებში მოსკოვში დაიწყო მწვავე დებატები რესპუბლიკისთვის დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობების შესახებ. აღნიშნული დებატები დაიწყო კომინტერნში. ეს ლოგიკურიც იყო რამდენადაც ესპანეთში კომინტერნს უამრავი აგენტი ჰყავდა. კომინტერნიდან განხილვა მალე გადავიდა სახალხო კომისართა საბჭოში, იქიდან კი უმაღლეს ინსტანციაში – პოლიტბიუროში და სტალინთან. ამ ყველაფერში იყო ლოგიკა. კომინტერნი კარგა ხანია საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად იყო ქცეული. ამ სფეროში ყველაფერს პოლიტბიურო განსაზღვრავდა, თუმცა გადაწყვეტილებას იღებდა სტალინი და ხშირად ერთპიროვნულად. გადაწყვეტილების იმპლემენტაციას ახდენდა სახალხო კომისართა საბჭო ღია თუ ფარული მეთოდებით. კომინტერნი უზრუნველყოფდა (და ეს ნამდვილად არ იყო მცირე) კრემლის კავშირებს ნაციონალურ კომპარტიებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ სტალინმა არა თუ დაუშვა, არამედ მოიწონა დებატების დაწყება კომინტერნში. ის ცდილობდა მეტი სიცხადე შეეტანა ბუნდოვან სიტუაციაში, სადაც ერთი არასწორი მოძრაობა დააზარალებდა საბჭოთა საგარეო პოლიტიკას და უსაფრთხოებას.

სამხედრო აჯანყების შედეგად კომინტერნიც რთულ მდგომარეობაში აღ-

⁵⁰ ამ დეპეშაზე პირველ თავში გვქონდა საუბარი – ზ.გ.

მოხდა. 1936 წლის 17 ივლისს მოსკოვიდან ესპანეთის კომუნისტური პარტიის ლიდერებისთვის გაგზავნილ წერილში მოცემული იყო რჩევები და ინსტრუქციები, ასევე პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც კომუნისტებს უნდა გაეტარებინათ მოახლოებული კრიზისის დროს. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ნებისმიერ ფასად სახალხო ფრონტის რიგებში დარჩენა, რამდენადაც ყველანაირი განხეთქილება გამოყენებული იქნებოდა ამბოხებულების მიერ. ინსტრუქციებში ნათქვამი იყო: გაეწმინდათ „ხალხის მტრებისგან“ ჯარი, პოლიცია და ის ორგანიზაციები, რომლებიც გადატრიალებაზე იყვნენ პასუხისმგებელი; მოეხდინათ არისტოკრატის ქონების კონფისკაცია, რომლებიც, კომინტერნელების სიტყვით, იმალებოდნენ ამბოხებულების უკან; მიეღოთ პრევენციული ზომები ანარქისტების საბოტაჟის წინააღმდეგ და ა.შ. (Spain Betrayed 2001: 8).

23 ივლისს კომინტერნის სამდივნოს სხდომაზე გამოსვლისას ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი გ. დიმიტროვი აცხადებდა, რომ მოცემულ ეტაპზე არ შეიძლებოდა საბჭოების შექმნის და ესპანეთში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების ამოცანის დასახვა. ეს იქნებოდა საბედისწერო შეცდომა, რის გამოც ის ესპანეთის კომპარტიას ურჩევდა: „იმოქმედეთ რესპუბლიკის დაცვის დროშის ქვეშ, არ გახვიდეთ დემოკრატიული რეჟიმის ჩარჩოებიდან“. აუცილებელი იყო ერთიანობის შენარჩუნება წვრილ ბურჟუაზიასთან, გლეხობასთან და რადიკალურ ინტელიგენციასთან, რათა ამ უკანასკნელთა მხარდაჭერა არ დაეკარგათ. გ. დიმიტროვი ურჩევდა ესპანელ კომუნისტებს, თავი აერიდებინათ ფაბრიკა საწარმოების, მიწების და ა.შ. კონფისკაციისგან. (Коминтерн и гражданская война...2001: 110-112; Spain Betrayed:11-12). როგორც ვხედავთ ეს დოკუმენტი არსებითად განსხვავდება წინა დოკუმენტისგან და თუ პირველში საუბარია ისეთ რადიკალურ ზომებზე, როგორცაა კონფისკაცია, მეორეში, პირიქით, ეს ზომა უარყოფილია.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა კომინტერნის აპარატის წევრის პ. შუბინის (ვილენსკი) 7 აგვისტოს წერილი: „გერმანია და იტალია არ იფარგლებიან მემბოხეებისთვის იარაღის და თვითმფრინავების გაგზავნით, ისინი უშუალოდ მონაწილეობენ სამხედრო ოპერაციებში... დამტკიცებულია, რომ იტალიური და გერმანული სამხედრო ძალების უშუალო მონაწილეობის გარეშე მემბოხეები ვერ გაძლებდნენ. ...იმ დროს, როცა ჰიტლერი და მუსოლინი ცდილობენ ჩაშალონ მორალურ-პოლიტიკური და მატერიალური დახმარება, რომელსაც მთელი დემოკრატიული სამყაროს მასები აღმოუჩენენ ესპანელ ხალხს და მის კანონიერ მთავრო-

ბას. ჩვენ უნდა ვიჩქაროთ ამ დახმარების გაწევაში, დრო არ ითმენს, საერთაშორისო ფაშიზმი მოქმედებს ველური ენერგიით“ (Коминтерн и гражданская война... 2001: 115-117). პრაქტიკულად, ეს იყო პირველი მოწოდება დახმარებისკენ. საბჭოთა მთავრობა ჯერაც დუმდნენ ამჯობინებდა

სტალინის გადამწყვეტი მდგომარეობა საბჭოთა პოლიტიკურ სისტემაში, როგორც ჩანს, იმ პერიოდში მთლად გასაგები არ იყო მოსკოვში აკრედიტებული დასავლელი დიპლომატებისთვის. ისინი თავიანთ მთავრობებს ატყობინებდნენ რაღაც სერიოზულ უთანხმოებაზე საბჭოთა ხელმძღვანელობაში. ასე, მაგალითად, საფრანგეთის სამხედრო ატაშე სიმონმა 1936 წლის 13 აგვისტოს გაუგზავნა თავდაცვის მინისტრ დალადიეს საიდუმლო დეპეშა, რომლის მიხედვითაც ესპანეთის მოვლენებთან დაკავშირებით კომინტერნის წარმომადგენელთა აზრი გაიყო. ზომიერ ფრაქციას, რომელსაც მიეკუთვნებოდა სტალინი, „სურს საერთოდ აიცილოს ინტერვენცია, რათა არ გამოიწვიოს გერმანიის და იტალიის ნეგატიური რეაქცია. ექსტრემისტების წარმომადგენლები კი, პირიქით, თვლიან, რომ სსრკ-მ უარი უნდა თქვას ნეიტრალიტეტზე, რადგან მისი ვალია, მხარი დაუჭიროს ესპანეთის კანონიერ მთავრობას. ასეთი თვალსაზრისის ადეპტებს ტროცკიზმში ადანაშაულებენ. შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ, რომ მათი შეურიგებელი პოზიცია გამოიწვევს რეპრესიულ ზომებს“ (DDF, II, 3: 208). 3 სექტემბერს იგივე ფაქტებზე საუბრობდა ელჩი პაიარი. მისი აზრით, „ერთის მხრივ, ევროპული სოლიდარობის და, მეორეს მხრივ, ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრების პრინციპებით განპირობებული სსრკ-ს დამოკიდებულება ესპანეთის საკითხში მოცემულ მომენტში, არის ოპოზიციის აზრზე სტალინის კონსტრუქციული იდეების გამარჯვების დადასტურება“ (DDF, II, 3: 338). 2 ოქტომბერს ზინოვიევი-კამენევის საქმეზე სხვადასხვა პირების დაპატიმრებასთან დაკავშირებით პაიარმა ი. დელობსს გაუგზავნა წერილი, რომელიც ძირითადად ეხებოდა გაზეთ „იზვესტიას“ ერთ-ერთი რედაქტორის კარლ რადეკის დაპატიმრებას: „სანდო წყაროებიდან ჩემთვის გახდა ცნობილი, რომ დისკუსიის მსვლელობისას, რომლის ცენტრიც საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის გახდა ესპანეთის მოვლენები, რადეკი საკმაოდ მკვეთრად გამოდიოდა ჩარევის სასარგებლოდ, არა იმდენად საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებისთვის, რამდენადაც რევოლუციის იდეის მხარდასაჭერად. ესპანეთში გაჩნდა რევოლუციური სიტუაცია და, მისი აზრით, საჭირო იყო ნებისმიერ ფასად მისი განვითარების ხელშეწყობა...“ (DDF, II, 3: 462-463). რა თქმა უნდა, ეს შეფასებები სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

საბჭოთა კავშირში ესპანეთის რესპუბლიკის დასაცავად თავდაპირველად გამოვიდნენ საზოგადოებრივი და ფორმალურად არასამთავრობო ორგანიზაციები (პროფკავშირი, კომკავშირი, მწერალთა კავშირი და ა.შ). იმ პერიოდში მათ არ შეეძლოთ ამის დამოუკიდებლად გაკეთება, ზევიდან მითითების გარეშე. უცხოელ დიპლომატებს და დამკვირვებლებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ეს წარმოადგენდა ოფიციალურ საბჭოთა პოზიციას. მართლაც, ესპანეთის ელჩი სსრკ-ში მ. პასკუა ხშირად ახსენებდა თავის მთავრობას, რომ საბჭოთა „საზოგადოებრივი აზრი“ იყო „აბსოლუტურად კონტროლირებადი“, რომ ის შეიძლება განხილულ იქნას, როგორც საბჭოთა რეჟიმის მიზნების უტყუარი ინდიკატორი ნებისმიერ მომენტში (Smyth 1985: 223).

ივლისის ბოლოს სტალინმა მიიღო გადაწყვეტილება ესპანეთის რესპუბლიკის მორალური და პუმანიტარული დახმარების შესახებ საზოგადოებრივი ორგანიზაციების გზით. სახელმწიფო ოფიციალური სტრუქტურები თითქოს გვერდზე იმყოფებოდნენ და რაიმე გართულების შემთხვევაში იტოვებდნენ მანევრირების თავისუფლებას.

ესპანეთში გარკვეული ჯგუფისთვის პუმანიტარული დახმარების გაწევა საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის ახალი მოვლენა არ იყო. 1934 წლის ოქტომბერში მემარჯვენე მთავრობამ სასტიკად ჩაახშო ასტურიის აჯანყება. 2 დეკემბერს პროფკავშირებმა განიხილა საკითხი „ესპანური ფაშიზმის ტერორის მსხვერპლთა დახმარების აღმოჩენის შესახებ“ და გადაწყვიტა აჯანყების ჩახშობის დროს დაზარალებულთა ფულადი დახმარება. რამდენიმე დღეში შეიკრიბა 700 ათასი ოქროს მანეთი (დაახლოებით 3 მლნ პესეტა). 1935 წლის გაზაფხულზე საბჭოთა ხელმძღვანელობამ შესთავაზა პოლიტიკური თავშესაფარი აჯანყების მონაწილე დაახლოებით ოცდაათამდე ასტურიელ ემიგრანტს, რომელთა შორის იყვნენ როგორც კომუნისტები, ისე სოციალისტები და ანარქისტები (სამშობლოში დაბრუნდნენ 1936 წლის აპრილში, ამნისტიის შედეგად) (Новиков 2000: 52).

ესპანეთის რესპუბლიკისთვის პუმანიტარული დახმარების აღმოჩენის შესახებ გადაწყვეტილებამ აამოქმედა პროპაგანდისტული აპარატი. სკპ(ბ) ცკ სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება: „ქალაქებში, სოფლებში, ყველა საწარმოში, კოლმეურნეობაში, დაწესებულებაში პროფკავშირული ორგანიზაციების სახელით მოწვეულ იქნას მიტინგები, გაკეთდეს მოკლე მოხსენებები, რომელიც ესპანეთის მოვლენებს გააშუქებს და მიღებულ იქნას რეზოლუციები“ (მიმართვა სოლიდარობის შესახებ); ფულის შეგროვება „მოხდეს დღიური გამომუშავების 1/4-

ის ფარგლებში“; პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს დაევალა გაზეთებში ინიციატივით გამოსვლა, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს „ახალგაზრდული მიტინგების ორგანიზება“, ბეჭდვით ორგანოებს – სოლიდარობის კამპანიის ფართოდ გაშუქება პრესაში (Новиков 2000: 52-53)

ზევიდან ორგანიზებულმა სოლიდარობის კამპანიამ თითქოს სპონტანური და სტიქიური ხასიათი მიიღო. 3 აგვისტოს 120 000 კაციანი მიტინგი შეიკრიბა წითელ მოედანზე (დ. სმიტი ასახელებს 150 000. იხ.: Smyth 1985: 223). ამ შეკრების მიზანი ყველაზე კარგად გამოხატა ფაბრიკა „წითელი განთიადი“-ს მუშამ ე. ბისტროვამ: „ჩვენი გულები მათთან არის, ვინც ამ მომენტში სიცოცხლეს სწირავს ესპანეთის მთებსა და ქუჩებში, იცავს რა თავისი ხალხის თავისუფლებას. ჩვენ ვუცხადებთ სოლიდარობას და ვუგზავნით ჩვენს ძმურ, პროლეტარულ სალამს ესპანელ მუშებს, მათ ცოლებს და დედებს, მთელ ესპანელ ხალხს. დაიხსომეთ, თქვენ არ ხართ მარტო, ჩვენ თქვენთან ვართ!“ (Кольцов 1957: 10). მიხაილ კოლცოვი, რომელიც ამ მიტინგს ესწრებოდა დარწმუნებული იყო, რომ ეს დემონსტრაცია წინასწარ არ იყო მომზადებული: „მხოლოდ დღეს დილით გადაწყვიტეს მისი ჩატარება და რამდენიმე საათში რამდენი რამ მოასწრეს“ (Кольцов 1957: 9).

მოსკოვში ინგლისის ელჩის ლორდ ჩილსტონის დაკვირვებით, თუ 1936 წლის 2 აგვისტოს სსრკ-ში ვერ გაიგებდით ვერცერთ სიტყვას დემონსტრაციებზე და სოლიდარობის გამომხატველ მიტინგებზე, მომდევნო დღეს ათასობით მიტინგი იქნა ორგანიზებული მთელი ქვეყნის მასშტაბით. დაიწყო სახსრების შეგროვება რესპუბლიკის მხარდასაჭერად. ამასთან ელჩი სარკასტულად აღნიშნავდა, რომ „საბჭოთა მუშები საკმარისად დარბები არიან, იმისთვის რომ რამდენიმე დღეში 12 მლნ 145 ათასი მანეთის შეკრება შეძლონ“ (DBFP, 2, XVII: 83-84).

მალე მატერიალური დახმარების მოძრაობამ ახალი იმპულსი შეიძინა. დაიწყო ესპანელი ქალებისა და ბავშვებისთვის სურსათ-სანოვავის შეგროვება და გაგზავნა. საბჭოთა კომანიტარული დახმარების ძირითადი მასა მოდის 1936 წლის აგვისტოდან 1937 წლის მიწურულამდე. შემდგომი მისი შემცირება აიხსნება რიგი სერიოზული მიზეზებით, როგორცაა საზღვაო მეკობრეობა, საერთაშორისო მდგომარეობის გართულება და ა.შ. ამ დახმარების ზომებზე და მასშტაბებზე ბევრია დაწერილი და ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს წიაღსვლები ამ მიმართულებით.

დახმარების ეს ფორმა არ იყო საკმარისი და ეს ზოგჯერ ესპანელების წყე-

ნასაც იწვევდა. მაგალითად, აღწერდა რა საბჭოთა გემი „ნევას“ ალიკანტეში ჩასვლის ამბავს, საფრანგეთში საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელი ბ. სოკოლინი, რომელიც ესპანეთში იყო მივლენილი, ნ. კრესტინსკისადმი წერილში წერდა: იგებენ რა მტვირთავებისგან, რომ გემის ძირითადი ტვირთი იყო არა სამხედრო მასალები, არამედ კონსერვი, ზეთი და შაქარი, „ესპანელები დაღონებული ტრიადლებიან, ალიკანტეში სურსათი ბევრია“ (АВП, Ф. 010 оп. 11 п. 71 д. 53 л. 113).

§2. სსრკ-ესპანეთის ურთიერთობების დიპლომატიური ასპექტები

კრემლს კარგად ესმოდა ის გართულებები, რომელსაც საერთაშორისო არენაზე ესპანეთის სამოქალაქო ომი ქმნიდა. ტერიტორიული სიშორეც დაფიქრების საფუძველს იძლეოდა. ამასთან, მოსკოვისთვის „სამწუხარო ესპანურ სიტუაციაში“ ბევრი რამ იყო გასარკვევი, რისთვისაც საჭირო იყო ლეგალური ბაზის არსებობა, რომელიც მას მისცემდა აუცილებელ ინფორმაციას. ის, რასაც კომინტერნი და სხვა წყაროები იძლეოდა, არასაკმარისი იყო. ამდენად, დღის წესრიგში დადგა ესპანეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების აუცილებლობა. დიპლომატიური კონტაქტების დამყარებით, საბჭოთა ხელმძღვანელობა ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადავიდა. მართალია, სტალინი ჯერ არ ჩქარობდა სამხედრო დახმარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ მალე ესეც მოსალოდნელი იყო. საკითხის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროდ ვთვლით, ჩავეუღრმავდეთ მას და ცოტა შორი პერიოდიდან დავიწყეთ.

1918 წლის თებერვლის დასაწყისში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გიორგი ჩინერიანმა მიმართა ესპანეთის მთავრობას, განეახლებინათ „გულითადი ურთიერთობები“, თუმცა ეს მოწოდება უპასუხოდ დარჩა.⁵¹

1924 წლის აპრილში, საბჭოთა ელჩმა გერმანიაში და მისმა ესპანელმა კო-

⁵¹ საბჭოთა რუსეთს და ესპანეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1917 წლის ბოლოს შეწყდა. სწორედ ესპანეთის საელჩო იყო პირველი, რომელთანაც გაუგებრობა შეხვდათ „ახალ დიპლომატებს“. საგარეო საქმეთა პირველი სახალხო კომისრის ლევ ტროცკის თანაშემწე ივან ზალკინდი იხსენებდა, როგორ მივიდა ესპანეთის საელჩოს მდივანი სამშობლოში გამგზავრების წინ და უმტიციებდა ტროცკის თანაშემწეს, რომ საბჭოთა მთავრობას ელჩი ორდენით უნდა დაეჯილდოებინა. ზალკინდმა მაგიდაზე დაახვავა ორდენები და „დიდსულოვნად“ შესთავაზა ესპანელს აერჩია ნებისმიერი, რომელიც მოეწონებოდა (Л. Млечин, *МИД – Министры Иностранных Дел. Тайная Дипломатия Кремля*. Москва, 2003, с. 23).

ლეგამ ერთ-ერთ მიღებაზე არაოფიციალურად ისაუბრეს გაუცხოებულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების აღდგენის საკითხებზე. რასაკვირველია, ამას არ შეუმსუბუქებია ესპანელების პოზიცია ბოლშევიკების მიმართ. უფრო მეტიც, ურთიერთობები გაუარესდა იმავე წლის მაისში, როდესაც ოფიციალურმა მადრიდმა, ესპანეთის დედაქალაქში გამართულ საფოსტო კონფერენციაზე დასასწრებად, საბჭოთა დელეგაციის წევრებს ვიზების გაცემაზე უარი განუცხადა.

ანალოგიურად მოიქცა ესპანეთის მთავრობა 1926 წელს, როცა ესპანეთი მასპინძლობდა აღხესირასის კონფერენციის პირობების გადასასინჯ შეხვედრებს. მხოლოდ ესპანეთის საჭიროებამ მიეღო იაფი საბჭოთა ნავთობი, აიძულა დიქტატორი მიგელ პრიმო დე რივერა შეხედული საგაჭრო შეთანხმება დაედო მოსკოვთან 1928 წელს.

1931 წლის 14 აპრილს, მეორე რესპუბლიკის გამოცხადებასთან ერთად, ესპანეთში დარწმუნებული იყვნენ, რომ ურთიერთობები მოსკოვთან სწრაფად აღდგებოდა. ეს ლოგიკურიც იყო და წინასწარ შეთანხმებულიც 1930 წლის აგვისტოს რესპუბლიკელ ლიდერთა შეხვედრაზე მიღებული ე.წ. „სან-სებასტიანის პაქტი“ (Casanova 1996: 67). იმავედროულად უნდა აღინიშნოს, რომ ესპანეთი იყო დასავლეთის იმ მცირერიცხოვანი ქვეყნების რიცხვში, რომელსაც ფორმალურად არ უღიარებია საბჭოთა რეჟიმი, მაშინ როდესაც დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, დანიამ, შვეიცარიამ და სხვებმა 1924 წელს აღადგინეს ურთიერთობები საბჭოთა რუსეთთან.

სრულად ითვალისწინებდა რა პოლიტიკურ ცვლილებებს მადრიდში, 1931 წლის ივნისში საბჭოთა მთავრობამ ურთიერთობების ნორმალიზაციის მიზნით მიმართა ესპანურ მხარეს. მართალია, ცვლილებები ესპანეთში ამის მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო, მაგრამ საქმეს ამუხრუჭებდა უთანხმოება რესპუბლიკური მთავრობის წევრებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების საკითხზე და მემარჯვენე პარტიების ანტისაბჭოთა პოზიცია. სამთავრობო კოალიციიდან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების მომხრეთა შორის აქტიურ როლს თამაშობდა მაშინდელი ფინანსთა მინისტრი, სოციალისტი ინდალესიო პრიეტო. მისი აქტიური მონაწილეობით 1931 წლის 31 მაისს ხელი მოეწერა სსრკ-სთან ახალ შეთანხმებას ესპანეთისთვის ნავთობის და სხვა ნავთობპროდუქტების მიწოდების შესახებ (თუმცა ამ ხელსაყრელმა შეთანხმებამაც დიდი ხმაური გამოიწვია მმართველ წრეებში). აღნიშნული შეთანხმების დადების შესახებ, მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი

ალექსანდრო ლერუ გამოვიდა ჟენევაში ანტისაბჭოთა განცხადებით, დაადანაშაულა რა მოსკოვი ქვეყანაში მიმდინარე სახალხო გამოსვლების ორგანიზებაში. ა. ლერუ წინააღმდეგი იყო მოლაპარაკებები ეწარმოებინა ესპანეთ-სსრკ-ს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის თაობაზე (ასევე იგი სანავთობო შეთანხმების დადების სასტიკი წინააღმდეგი იყო) (ДВП XIV: 800, შენიშვნა 134).

1931 წელს არაოფიციალური კონტაქტები საბჭოთა და ესპანეთის მთავრობებს შორის ხორციელდებოდა პარიზში მომუშავე სრულიად საკავშირო გაერთიანება „სოიუნფტექსპორტის“ წარმომადგენლის მ. ოსტროვსკის გზით, რომელიც აწარმოებდა მოლაპარაკებებს მადრიდში. 1931 წლის ივლისში პრიეტომ საბჭოთა მთავრობას, ესპანეთის მთავრობის სახელით, ეკონომიკური კავშირების გასაფართოებლად მადრიდში ოფიციალური წარმომადგენლის გაგზავნა შესთავაზა. ამ ნახევრად ოფიციალურ განცხადებაზე საბჭოთა მთავრობამ უპასუხა, რომ სავაჭრო ხელშეკრულების დადების წინაპირობა უნდა გამხდარიყო დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, რასაც ესპანეთის მთავრობა, ა. ლერუს ქცევებიდან გამომდინარე, დიდად არ ჩქარობდა. თავის მხრივ, საბჭოთა მთავრობამ შესთავაზა დიპლომატიური ურთიერთობების მოგვარებისთვის მოლაპარაკებების დაწყება ლონდონში, პარიზში ან ბერლინში სსრკ-სა და ესპანეთის ელჩების მეშვეობით (ДВП XIV: 402). ესპანეთის მთავრობა დასთანხმდა და ეს საკითხი დაევალა ინგლისში ესპანეთის ელჩს, მაგრამ კონტაქტები ელჩებს შორის ლონდონში ჩაიშალა (საბჭოთა მხარე, ამ შემთხვევაშიც, ლერუს საბოტაჟზე საუბრობდა) (ДВП XIV: 800, შენიშვნა 134).

საბოლოო ჯამში, საბჭოთა ინიციატივას გამოეხმაურა საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ლერუ, რომელიც დასთანხმდა შეხვედრას ნეიტრალურ შვეიცარიაში. აღნიშნული შეხვედრა სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ მ. ლიტვინოვს და ა. ლერუს შორის ჟენევაში 1931 წლის 8 სექტემბერს შედგა. მხარეებმა დათქვეს, რომ ეს შეხვედრა ჩათვლილიყო პირველ ოფიციალურ კონტაქტად, რამდენადაც საბჭოთა და ესპანეთის წარმომადგენლების ადრინდელი მოლაპარაკებები, მათ შორის ლიტვინოვ-ლერუსი 1931 წლის 3 მაისს, არაოფიციალურ ხასიათს ატარებდა (ДВП XIV: 517-518).

როგორც ლიტვინოვის წერილიდან ვიგებთ, ლერუ დაინტერესებული იყო არა მხოლოდ ოფიციალური ურთიერთობებით, არამედ ფართო სავაჭრო ხელშეკრულების დადებით, ნაწილობრივ ხილის და ღვინის გასაღებით საბჭოთა ბაზარზე და ა.შ. ამ დროს ის მიაწინებდა ჩაურევლობის გარანტიებზე. ლიტვინოვმა

უპასუხა, რომ „ჩაურევლობა არის ყველა სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობების წინაპირობა... რომ სავაჭრო მოლაპარაკებები დაიწყება ურთიერთალიარების შემდეგ“ (რაც შეეხება ხილს და ღვინოს, მათ ნაცვლად კომისარი საუბრობდა ლითონის მადანსა და სხვა პროდუქტებზე). (ДВП XIV: 518).

შეხვედრის დასასრულს ლერუ დასთანხმდა, მოსკოვში გაეგზავნა არაოფიციალური წარმომადგენელი, რომელიც ესპანეთის მიერ საბჭოთა მთავრობის ფორმალურ ცნობასთან და დიპლომატიური წარმომადგენლობის სტატუსის გარკვევასთან დაკავშირებით პირდაპირ კონტაქტებს დაამყარებდა. ლიტვინოვმა ურჩია, ისეთი ადამიანი გამოეგზავნათ, რომელიც პირადად გულშემატკივრობდა აღნიშნულ საქმეს (ДВП XIV: 518). მართალია, ორივე მხარისთვის ქენევის შეხვედრა პოზიტიური შედეგით დასრულდა, მას ესპანეთის ოფიციალური წრეების მხრიდან ქმედითი ნაბიჯები მაინც არ მოჰყოლია.

პარალელურად, არაოფიციალურ კონტაქტებს ესპანეთის მთავრობასთან განაგრძობდა მ. ოსტროვსკი, რომელიც პრიეტოს მიწვევით 17-24 სექტემბერს მადრიდში იმყოფებოდა (ДВП XIV: 801, შენიშვნა 134). 1931 წლის 31 ოქტომბერს სსრკ-ში ჩავიდა ესპანეთის სავაჭრო დელეგაცია. დელეგაციას კონკრეტული დავალება არ ჰქონდა, მაგრამ მისი მოხსენება ესპანეთის მთავრობის პოზიციის განსაზღვრის საქმეში მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. ნოემბრის განმავლობაში დელეგაციამ, მოსკოვის გარდა, მონახულა ლენინგრადი, ხარკოვი, დნეპროსტროი, გროზნო, ბაქო, თბილისი, ბათუმი, ტუაფსე, სადაც გაეცნო საბჭოთა მრეწველობას და ა.შ. ეს დელეგაცია მიიღო სსრკ საგარეო ვაჭრობის კომისარმა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ერთ-ერთმა მოადგილემ (ДВП XIV: 801, შენიშვნა 134). ამრიგად, 1931 წელს მიღწეულ იქნა რიგი წარმატებები სავაჭრო ურთიერთობების დამყარების საქმეში, დამყარდა კონტაქტები ესპანურ და საბჭოთა სამთავრობო ორგანოებთან და სხვა ორგანიზაციებთან, მაგრამ ესპანეთის მთავრობა მაინც არ ჩქარობდა ურთიერთობების დალაგებას. ამასთან, მემარცხენე კოალიცია დაკავებული იყო თავისი საშინაო რეფორმების გატარებით და საგარეო პოლიტიკას და კონკრეტულად აღნიშნულ საკითხს ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევდა. სსრკ, საფრანგეთში საბჭოთა საელჩოს გზით, განაგრძობდა რამდენიმე ესპანელი ჩინოვნიკის უშედეგო ლობირებას. ერთადერთი მიღწეული წარმატება შორს იყო იმ ამბიციური სავაჭრო შეთანხმებისგან, რომელზეც ისაუბრეს ლერუმ და ლიტვინოვმა. ეს „წარმატება“ იყო საბჭოთა დელეგაციის ჩართვა მადრიდში დანიშნულ სატელეგრაფო კონფერენციაზე 1932 წლის 3 სექტემბერს

(ДВП XV, 1969:404).⁵²

ოფიციალური დიპლომატიური კავშირების ჩავარდნამ ესპანეთში მოსკოვთან დაახლოების უამრავი მომხრე ააღელვა. ინტელექტუალთა ჯგუფებმა ჩამოაყალიბეს „საბჭოთა კავშირის მეგობართა ასოციაცია“ (Amigos de la Unión Soviética – AUS). დამფუძნებელი მანიფესტი ხელმოწერილ იქნა 1933 წლის აპრილში ისეთი ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების მიერ, როგორებიც იყვნენ: გრეგორიო მარანიონი, პიო ბაროხა, ვიქტორია კენტი, ხასინტო ბენავენტე, ვიქტორ მანო, ვალიე ინკლანი, აუგუსტო ბარსია, ლუის ხიმენეს დე ასუა და სხვები (Casanova 1996: 67).

დაარსებიდან სამი თვის შემდეგ ესპანურმა „სამეგობრომ“ განაცხადა, რომ ის აერთიანებდა 7 000 წევრს და გააჩნდა 14 უჯრედი. სამოქალაქო ომის წინ მსგავსი უჯრედი არსებობდა 30-ზე მეტ ესპანურ ქალაქში. შექმნის მომენტიდან ესპანური AUS ცდილობდა გაეგრძელებინა ინფორმაცია ყველა იმ კულტურული და სამეცნიერო მიღწევის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა სსრკ-ში. ამასთან, საბჭოთა ექსპერიმენტის ესპანელი გულშემატკივრები ხშირ მიმოწერაში იყვნენ ე.წ. „BOKC“-თან.⁵³

ესპანელების „BOKC“-თან კონტაქტებით წყალობით მოსკოვში, მიუხედავად ფორმალური ურთიერთობების არქონისა, ყოველთვის იცოდნენ, რა განწყობა იყო ესპანეთის სხვადასხვა წრეებში სსრკ-ს ოფიციალურ ცნობასთან დაკავშირებით და შესაძლებლობა ჰქონდათ, წინასწარ შეეფასებინათ ახალი ნაბიჯების ეფექტურობა.

1933 წლის ზაფხულში ესპანეთში საბჭოებთან ურთიერთობების მოგვარება საბოლოოდ გადაწყვიტეს, რასაც ოთხმა ფაქტორმა შეუწყო ხელი: 1. AUS-ის მზარდი პროპაგანდისტული აქტიურობა; 2. მ. ოსტროვსკის საქმიანობა, რომლის თავდაპირველი დანიშნულება, როგორც ვიცით, იყო საბჭოთა ნავთობის ესპანური „კამპსასთვის“ მიყიდვა, მაგრამ მალე გაფართოვდა და მოიცვა ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური კავშირების საკითხთა ლობირება; 3. საბჭოთა კულტურის აქტიური მეხობების ფერნანდო დე ლოს რიოსის დანიშვნა საგარეო საქ-

⁵² დოკუმენტი №283, ნ. კრესტინსკის ნოტა სსრკ-ში შევადეთის წარმომადგენელ იულენშერნასადმი, 1932 წლის 9 ივლისი. ამ უკანასკნელმა ესპანეთის მთავრობის სახელით საბჭოთა მთავრობას 15 ივნისს გადასცა მოწვევა აღნიშნულ კონფერენციაზე.

⁵³ საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობების საკავშირო საზოგადოება (Всесоюзное общество культурной связи с заграницей), რომელიც დაარსდა 1925 წელს ოლგა კამენევას მიერ.

მეთა მინისტრად; და 4. სოციალისტი მინისტრის ინდალესიო პრიეტოს აქტიურობა. 13 ივლისს დაინტერესებულმა მხარეებმა – AUS-ის მეთაურებმა, მ. ოსტროვსკიმ, ფ. დე ლოს რიოსმა და ი. პრიეტომ არაფორმალურ შეხვედრაზე განიხილეს ესპანეთის მიერ სსრკ-ს ოფიციალური ცნობის საკითხი (ДВП XVI, 1970: 444). უბრალო დამთხვევით ეს შეხვედრა მოხდა „პოტელ გეილორდის“ რესტორანში, ალფონსო XI-ის ქუჩაზე (დღეს უკვე არ არსებობს). ეს სასტუმრო მოგვიანებით იქცა საბჭოთა დიპლომატების და სამხედრო მრჩეველების ერთგვარ „ბუნაგად“ მთელი სამოქალაქო ომის განმავლობაში.

14 ივლისს მ. ოსტროვსკი პირადად შეხვდა ფერნანდო დე ლოს რიოსს, რათა დაესრულებინათ შეთანხმება ურთიერთცნობასთან და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენასთან დაკავშირებით. ფ. დე ლოს რიოსმა სურვილი გამოთქვა, რომ გასაგზავნი აქტები ყოფილიყო იდენტური და ერთდროული. ამასთან, როგორც ჩანს, არ ენდობოდა რა საღვადო მადარიაგას (ესპანეთის ელჩი საფრანგეთში), ესპანეთის მთავრობას სურდა ამ აქტების გაცვლა მომხდარიყო უშუალოდ მოსკოვსა და მადრიდს შორის (ДВП XVI, 1970: 444). ამრიგად, ბოლო წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა და დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება საბოლოოდ გადაწყდა. 1933 წლის 27 ივლისს დე ლოს რიოსმა დეპეშმა გააგზავნა კრემლში, რომელშიც დე იურე და დე ფაქტო ცნობდა ბოლშევიკურ მთავრობას, რაც იმავდროულად აკისრებდა ესპანეთს სრული დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების ვალდებულებას. მომდევნო დღეს საპასუხო დეპეშმა გააგზავნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ნ. კრესტინსკიმ (ДВП XVI: 464-465).

დიპლომატიური აღიარება მოხდა, მაგრამ ახლა დარჩა მთავარი საქმე – ელჩების დასახელება-დამტკიცება. მოსკოვს საკითხი გადაწყვეტილი ჰქონდა, ესპანეთში ელჩად დაინიშნა ანატოლი ლუნაჩარსკი. ლუნაჩარსკი იყო ერთ-ერთი პატივსაცემი და დიდი გამოცდილების მქონე ბოლშევიკი. რევოლუციის შემდეგ ლენინმა იგი დანიშნა სახალხო განათლების კომისრად და ამ პოზიციაზე რჩებოდა 1929 წლამდე, საფრანგეთში ელჩად გაგზავნამდე. ევროპაში ყოფნა იდეალურ შესაძლებლობას აძლევდა ლუნაჩარსკის, მეტი დრო დაეთმო დასავლური ლიტერატურისთვის. ამ დროისთვის უკვე მეორედ გამოიცა მისი ამბიციური ნაშრომი „დასავლეთევროპული ლიტერატურა“, რომელშიც საინტერესო აქცენტები გაკეთდა ესპანური ბელეტრისტიკის შესახებ. მისი შემდგომი თხზულება ეხებოდა დონ კიხოტს («Освобожденный Дон-Кихот»). ერთ-ერთი შეფასებით, ეს დრამა

საბჭოთა ხალხს ესპანურ იდეას და სუფს ნებისმიერ სხვა წიგნზე უკეთ აცნობდა (Луначарский А. Драматические произведения. Т. I. Москва, 1923). ამან ლუნაჩარსკი მადრიდში საბჭოთა ელჩობისთვის აშკარა ფავორიტად აქცია.

მადრიდში ცნობა ლუნაჩარსკის დანიშვნის შესახებ მოწონებულ იქნა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტათ, თუ ვინ უნდა გამხდარიყო ესპანეთის ელჩი საბჭოეთში. მთავარი კანდიდატები იყვნენ ისინი, რომლებსაც ჰქონდათ ძველი კავშირები სსრკ-სთან, ანუ იცოდნენ ენა და იცნობდნენ მის კულტურას. პოტენციური ელჩობის სიის სათავეში იდგნენ ხულიო ალვარეს დელ ვაიო და მარსელინო პასკუა. მემარცხენე სოციალისტი და ამ დროს რესპუბლიკის ელჩი მექსიკაში ხულიო ალვარეს დელ ვაიო იყო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი თვალსაჩინო გულშემატკივარი. მან სსრკ-ში რამდენჯერმე იმოგზაურა და 1933 წლისთვის იყო სამი წიგნის ავტორი საბჭოთა საზოგადოების შესახებ (Kowalsky 2004: 17).

დიდი იყო ალვარეს დელ ვაიოს დამსახურება იმაში, რომ 1920-იან წლებში ესპანეთის ქალაქებში პირველად იქნა ეკრანიზებული საბჭოთა ფილმები. ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაგრამ ალბათ უნდა აღინიშნოს, რომ დელ ვაიო იცნობდა ლუნაჩარსკის, შეხვდა რა მას ლევ ტოლსტოის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე 1928 წელს (del Vayo 1950: 310). მარსელინო პასკუა ასევე კარგად ფლობდა რუსულ ენას და გააჩნდა სსრკ-ში მოგზაურობის გამოცდილება (Kowalsky 2004: 17). საბოლოოდ, გარკვეული დებატების შემდეგ დელ ვაიომ მიიღო პრემიერ მინისტრ მანუელ ასანიას მიერ სათანადოდ დამტკიცებული დასტური და დაიწყო მზადება დიდი მოგზაურობისთვის მეხიკოდან მოსკოვში. სექტემბერში, სანამ ახალი ელჩი დაიკავებდა თავის პოსტს, ასანიას მთავრობა შეცვალა ალექსანდრო ლერუს მთავრობამ. ალვარეს დელ ვაიომაც უარი თქვა თავის მისიაზე და ესპანეთი კვლავ ელჩის გარეშე დარჩა (Casanova 1996: 68). ამასობაში, 1933 წლის 26 დეკემბერს ანატოლი ლუნაჩარსკი გარდაიცვალა მენტონში (საფრანგეთი) ისე, რომ ესპანეთში ჩასვლაც ვერ მოასწრო.⁵⁴

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, ესპანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის სრულფასოვანი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების საკითხი ისევ ჩიხში შევიდა. მიუხედავად მემარჯვენეთა მმართველობის, ანუ ე.წ. „შავი ორწლედის“ დროს (1933 დეკემბერი – 1936 თებერვალი) მთლიანობაში საბჭოთა კავ-

⁵⁴ საბჭოთა მთავრობას მიაჩნდა, რომ ლუნაჩარსკი იყო ერთადერთი ადამიანი, ვინც შეასრულებდა ამ „დიდ“ მისიას, რაზეც მოწმობს ლიტვინოვის სიტყვა პარტიის ყრილობაზე 1933 წლის 29 დეკემბერს, ელჩის გარდაცვალებიდან მესამე დღეს (*ДВП XVI*: 790).

შირსა და ესპანეთს შორის დაახლოებისთვის არასასურველი პირობებისა, ყველა იმედი მაინც არ იყო გადაწურული. 1934 წლის ზაფხულში მ. ლიტვინოვმა სცადა ხელახალი შეთანხმების მიღწევა ესპანეთის წარმომადგენელთან ერთა ლიგაში. ივლისში ჟენევიდან საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში მოდიოდა დეპეშები, რომელთა მიხედვითაც ურთიერთობებს არცთუ სახარბიელო პირი უჩანდა. ბოლოს, მ. ლიტვინოვმა და ს. მადარიაგამ მიაღწიეს წინასწარ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა ელჩების გაცვლას იმ პირობით, რომ არცერთი მხარე არ ჩაერეოდა მეორის საშინაო პოლიტიკაში (ДВП XVII: 400, 492-93, 503). შეიძლება ოფიციალური შეთანხმებაც შემდგარიყო, მაგრამ ამას სხვა გარემოებებმა შეუშალა ხელი. საუბარია 1934 წლის 4 ოქტომბერს ასტურიაში მემარცხენეთა აჯანყებაზე, რომელსაც მოსკოვი დიდად გულშემატკივრობდა. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა საბჭოთა მთავრობას ეკისრებოდა, რადგან მისმა პოზიციამ განსაზღვრა შედეგი. მართლაც, საშუალო დონეზეც კი შეწყდა დიალოგი ესპანეთსა და სსრკ-ს შორის.

1936 წლის თებერვალში სახალხო ფრონტის გამარჯვების შემდეგაც არ მომხდარა ელჩების გაცვლა. სსრკ-ესპანეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება დაახჩარა სამხედრო ამბოხმა, სამოქალაქო ომის დაწყებამ და „ჩაურევლობის პოლიტიკამ“. ყველა შემთხვევაში 1936 წლის თებერვალში მოსულ „სახალხო ფრონტს“ საკმარისი დრო ჰქონდა ამ პრობლემის გადასაწყვეტად.

ავვისტოში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად ესპანეთში გამოცდილი დიპლომატი მარსელ იზრაილის ძე როზენბერგი დაინიშნა. მართალია, ხოსე ხირალის მთავრობა მიესალმა საბჭოთა წარმომადგენლობის დაარსებას, მაგრამ მოსკოვში საელჩოს შექმნის საპასუხისმგებლო მისია წილად ერგო ახალ მთავრობას ლარგო კაბალიეროს მეთაურობით. 16 სექტემბერს დაარსდა საელჩო, ხოლო 21 სექტემბერს ელჩად დასახელდა ზომიერი სოციალისტი და მედიცინის პროფესორი მარსელინო პასკუა (Casanova 1996: 69).

მარსელინო პასკუას არ ჰქონდა დიპლომატიურ სამსახურში მუშაობის გამოცდილება. ესპანელმა მეცნიერმა ასპირანტურა გაიარა აშშ-სა და ბრიტანეთში, იყო როკფელერის სტიპენდიანტი და საქმიანობდა მედიცინის სფეროში სამხრეთ ამერიკაში. 1932 წელს პასკუა ვიზიტით იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში, სადაც ეცნობოდა საბჭოთა სახალხო ჯანდაცვის სფეროში არსებულ მდგომარეობას (ესპანეთში დაბრუნებულმა გაზეთ „El Socialista“-ში საბჭოთა მედიცინის მამებელი ორი სტატიაც გამოაქვეყნა).

ჩნდება ლოგიკური კითხვა: მოკრძალებული საერთაშორისო გამოცდილების მქონე, თუმცა რუსული ენის მცოდნე ესპანეთის სოციალისტური პარტიის წევრი იმსახურებდა თუ არა ასეთ საპასუხისმგებლო პოსტზე დანიშვნას. ერთ-ერთი, ვინც უარყოფითად გამოეხმაურა ამ საკითხს, იყო ანტიკომუნისტი ლუის არაკისტაინი, ესპანეთის რესპუბლიკის ელჩი საფრანგეთში 1936-37 წლებში. არაკისტაინი ამტკიცებდა, რომ პასკუა იყო „საეჭვო ლიცენზიის მქონე ექიმი“, და არჩეული ხუან ნეგრინის (ამ დროს ფინანსთა მინისტრი – ზ.გ.) ზეწოლის შედეგად. ის ასევე ამტკიცებდა, რომ ეს დანიშვნა იქნებოდა „ეფექტური ხელშემწყობი“ წითელი შეთქმულებისა, რომლის მიზანი იყო შეეცვალათ კაბალიერო ნეგრინით (Araquistain 1939: 28).

მართლაც, ნეგრინი პასკუას უკეთ იცნობდა, ვიდრე მოქმედი პრემიერი ლარგო კაბალიერო. უფრო მეტიც, ისინი კოლეგები და მეგობრები იყვნენ. ძნელია, არ დაეთანხმო არაკისტაინს, თუმცა, როგორც ამერიკელი ისტორიკოსი სტენლი პეინი თვლის, „უეჭველია ნეგრინი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, მაგრამ არსებობდა სხვა სერიოზული პრობლემებიც: დიპლომატიური რესურსის უკმარისობა და რიგი ესპანური პოლიტიკური პარტიების თავშეკავებული პოზიცია“ (Payne 2004: 189). ფაქტობრივად პასკუას რუსულის ცოდნა დიდი „კოზირი“ იყო დიპლომატიურ წრეებში. 1933 წელს ელჩების გაცვლის უშედეგო მცდელობისას, როგორც ვნახეთ, მისი სახელი უკვე იდგა პოტენციური ელჩობის სიის სათავეში, თუმცა ის, ასე თუ ისე, მაინც ითვლებოდა უბრალოდ „გაურკვეველი წარმომავლობის ექიმად“. პასკუა არ იყო გამოცდილი დიპლომატი, და მისი დანიშვნა ასეთ კრიტიკულ პოსტზე უნდა ჩაითვალოს საეჭვო და კონტრპროდუქტიულ არჩევნად.

პასკუას მისიის გაგზავნას, ესპანეთის რესპუბლიკის ურთულესი სამხედრო სიტუაციის გათვალისწინებით, როგორც სამთავრობო, ისე სამხედრო წრეებში დიდი მოლოდინი ახლდა. პასკუას გამგზავრებამდე ორი დღით ადრე სოციალისტი ჟურნალისტი ხულიან სუგასაგოიტია ესწრებოდა ახლად დანიშნული ელჩის გასაცვილებლად გამართულ სადილს. მისი სიტყვებით, მადრიდში იმ მომენტისთვის საოცრად პესიმისტური ატმოსფერო სუფევდა, მაგრამ პასკუას მისია იქ დამსწრეთა თვალში ნიშნავდა „დახმარებას, რომელიც უნდა მოსულიყო ევროპის სხვა ბოლოდან“. პასკუა და მისი მეგობრები დარწმუნებული იყვნენ, რომ ელჩის ჩასვლას უნდა მოჰყოლოდა „გარანტირებული და სწრაფი გამარჯვება, უზარმაზარი ტვირთების სახით, რომელიც თვალის დახამხამებაში შეავსებდა ჩვენს სა-

მოქალაქო და სამხედრო მოთხოვნებს“ (Zugazagoitia 1941: 170).

ეს რწმენა, უპირველეს ყოვლისა, ჰქონდა პრემიერ მინისტრს ლარგო კაბალიეროს, რომელსაც პასკუა წასვლის წინ ეწვია. შეხვედრა მოხდა პრემიერის ოფისში პალასიო დე ბუენავისტაში. პასკუამ გამოითხოვა სპეციალური ინსტრუქციები. მათი საუბარი და პრემიერის გულწრფელი სიტყვები შემონახულია მ. პასკუას ჩანაწერში: „აი, თქვენ იცით პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობა. თქვენ უნდა დაარწმუნოთ ისინი, დაუყოვნებლივ დაგვეხმარონ სამხედრო ტექნიკით, უპირველეს ყოვლისა, ავიაციით. არა მხოლოდ თვითმფრინავებით, არამედ მფრინავებითაც, რამდენადაც არ გვყავს და არც შეგვიძლია მოვამზადოთ სახელდახელოდ... ტექნიკა, რომელსაც ჩვენ ვფლობთ, გაიცვითა და დიდი დანაკარგებიც გვაქვს. აბა, შეხედეთ, რამდენად სწრაფად გამონახავთ საერთოს საბჭოთა მთავრობასთან, იმდენად სწრაფად დაგვეხმარებიან ისინი. იმავდროულად, აქ ჩვენ გვყავს როზენბეგი და ჩვენ ვიმუშავეთ მასთან. აბა, წარმატებები!“ (Kowalsky 2004: 44). (პარიზში გავლისას პასკუამ დაურეკა ალვარეს დელ ვაიოს, იმ დროს რესპუბლიკის ელჩს საფრანგეთში და იმავდროულად საგარეო საქმეთა მინისტრს. დელ ვაიოს რჩევაც კაბალიეროს მსგავსი იყო. როგორც პასკუა წერს, „მან მე მირჩია, დამემყარებინა რაც შეიძლება საუკეთესო ურთიერთობები საბჭოთა მთავრობასთან“ (Kowalsky 2004: note 162). მადრიდის ატოჩას სადგურზე პასკუას აცილებდა უამრავი ადამიანი დიდი იმედებით. ადგილზე იყვნენ საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებიც როზენბერგის ხელმძღვანელობით.

რამდენადაც მოსკოვსა და დასავლეთ ევროპას შორის რეგულარული ავიარეისები არ არსებობდა, პასკუას მარშრუტი შემდეგი იყო: ატოჩას სადგურიდან ის ჩავიდა FAI-ის (Federación Anarquista Ibérica – იბერიის ანარქისტთა ფედერაცია) მიერ კონტროლირებად პორტ ბოუში, საიდანაც პარიზისკენ მატარებლით გააგრძელა გზა. იქიდან ის გერმანიის გავლით კოპენჰაგენში გადაფრინდა, შემდეგ სტოკჰოლმში, საიდანაც მატარებლით ჩავიდა ჰელსინკიში. აქ მას ხანმოკლე შეხვედრა ჰქონდა ფინეთში საბჭოთა ელჩთან, რის შემდეგაც ის ჩავიდა ლენინგრადში (Kowalsky 2004: 45).

პასკუა საბჭოთა კავშირში 6 ოქტომბერს ჩავიდა და გაოცდა ხელისუფლების მიერ ორგანიზებული გულუხვი და საზეიმო მიღებით. მას შეხვდნენ არა მხოლოდ სამოქალაქო და სამხედრო ხელმძღვანელი პირები, არამედ დიდი რაოდენობით საბჭოთა მოქალაქე. 7 ოქტომბერს ის მოსკოვში ჩავიდა. მისი მიღების ასეთი პომპეზურობა და ბრწყინვალეობა დედაქალაქშიც გაგრძელდა. როგორც ს.

პეინი აღნიშნავდა, პასკუას გულუხვი მიღება საბჭოთა კავშირში მისთვის ყველაზე გაბედულ ოცნებებშიც კი წარმოუდგენელი იყო (Payne 2004: 190).

საბჭოთა პროტოკოლის მიხედვით დადგენილი იყო, რომ მისიის მეთაურს უნდა დახვედროდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საპროტოკოლო განყოფილების უფროსი, ზოგ შემთხვევაში შესაბამისი პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელი, მაგრამ 28 სექტემბერს ნ. კრესტინსკი ლ. კაგანოვიჩისადი წერილში წერდა: „ჩვენი საზოგადოების ესპანეთისადმი დამოკიდებულების და მადრიდში როზენბერგის დახვედრის გათვალისწინებით, გონივრული ხომ არ იქნება, ელჩის დახვედრას მივცეთ უფრო ფართო საზოგადოებრივი ხასიათი, რომ მას შეხვდნენ როგორც საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის, ასევე პროფკავშირის და სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები. ამასთან, ფართოდ უნდა იყოს წარმოდგენილი საბჭოთა პრესაც“ (АВП, Ф. 010, оп. 11, п. 71, д. 53, л. 119).

4 ოქტომბერს, როზენბერგისადმი წერილში კრესტინსკი წერდა: „...პასკუას ჩვენ კარგად დავხვდებით. მართალია დემონსტრაციებს ლენინგრადში (ის მოდის სკანდინავიით) და მოსკოვში ვერ მოვაწყოთ, მაგრამ დამატებული იქნება საზოგადოების წარმომადგენლების ფართო ფენა, კარგად გავაშუქებთ მის ჩამოსვლას გაზეთებში, მოვუწყოთ სადილს ან საუზმეს არა მხოლოდ კომისარიატის წარმომადგენლების, არამედ მთავრობის და საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ერთი სიტყვით, მოვეფერებით“ (АВП, Ф. 010, оп. 11, п. 71, д. 53, л. 122).

მ. პასკუას ხალხის უზარმაზარი მასა შეხვდა. დელეგაციას მეთაურობდა ნიკოლაი კრესტინსკი (რომელიც მალე დიდი წმენდის მსხვერპლი გახდა). მასში შედიოდა მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის ორი მოადგილე, „ВОК“-ის პრეზიდენტი ა. აროსევი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის დასავლეთის მესამე სექციის დირექტორი და მისი მოადგილე, საინფორმაციო სამსახურის უფროსი, მოსკოვის სამხედრო ოლქის კომენდანტის მოადგილე, ქვეითი ჯარების ორი მეთაური და ა.შ. (Casanova 1996: 69). საბჭოთა წარმომადგენლის ოფიციალური სიტყვის შემდეგ პასკუამ განაცხადა, რომ მას აქვს პატივი წარმოადგინოს ესპანეთის რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში და გამოხატა გულწრფელი მადლიერება საბჭოთა ხალხის მიმართ. ელჩის სიტყვა საბჭოთა რადიოთი მთელ საბჭოთა კავშირში ორ ენაზე – ესპანურად და რუსულად გადაიცა. პრესამ თავის მხრივ უპრეცედენტოდ ვრცლად გააშუქა პასკუას ჩამოსვლა.

9 ოქტომბერს მარსელინო პასკუამ გადასცა რწმუნებათა სიგელი ა. გ. ჩერ-

ვიაკოვს, ბელორუსიის ხელმძღვანელს და სსრკ ცკ-ს თავმჯდომარეს ბსსრ-დან.⁵⁵ საბჭოთა წესების თანახმად, შეხვედრა იყო მოკლე და მარტივი, სრულიად თავისუფალი პროტოკოლისგან, ცერემონიის თუ სიმბოლური რიტუალებისგან.

პასკუასადმი ასეთი მოპყრობა სრულიადაც არ იყო ტიპური და ამის კარგი ილუსტრაციაა იტალიის ახალი ელჩის აუგუსტო როსოს გამოცდილება, რომელიც იმავე დღეებში ჩავიდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა გაფრთხილებული იყო, იტალიელი მარტო აღმოჩნდა პლატფორმაზე და მცირერიცხოვანმა დამხვედრმა ჯგუფმა 15 წუთით დაიგვიანა (Casanova 1996:70). ჯერ კიდევ 26 სექტემბერს მარსელ როზენბერგი, საუბრობდა რა პირობებზე, რომელიც მას შეუქმნეს მადრიდში, კრესტინსკის წერდა: „ასეთ ვითარებაში გაუგონარი იქნება, ესპანეთის ელჩი პასკუა დავაყენოთ სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების მსგავს პირობებში. მაშინ მოსკოვში მისი ყოფნა საზიანო უფრო იქნება, ვიდრე სარგებლის მომტანი. ძალიან გთხოვთ... გასცეთ განკარგულება აპარატით და მოელაპარაკოთ შესაბამის ორგანოებს იმის შესახებ, რომ ესპანეთის საელჩო მოსკოვში განსაკუთრებულ მდგომარეობაში იყოს... პასკუასთან, რა თქმა უნდა, საუბარი ამხანაგური ტონითაა საჭირო“ (АВП, Ф. 010, оп. 11, п. 71, д. 53, л. 107).

პასკუასადმი გამოვლენილი უპრეცედენტო ყურადღება დიდხანს არ განელებულა. 8 ოქტომბერს ის მიწვეულ იქნა ვახტანგოვის სახელობის თეატრში, სადაც სპექტაკლის წინ პუბლიკამ დიდი ოვაცია მოუწყო და მას მოკლე სიტყვის წარმოთქმის საშუალებაც მიეცა. 10 ოქტომბერს, ჩამოსვლიდან მესამე დღეს, ის მიწვეულ იქნა კრემლში მოლოტოვთან, იმხანად, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარესთან, სადილზე. იმავე საღამოს, ელჩი იყო საპატიო სტუმარი მიღებაზე და ფორმალურ ვახშამზე (АВП, Ф. 010, оп. 11, п. 71, д.53, л.124). შემდგომ დღეებში პასკუამ მიიღო სპეციალური მოწვევა მოსკოვის დასათვალიერებლად. ის საზეიმოდ იქნა მიღებული საგარეო ვაჭრობის და განათლების კომისარიატებში, ასევე „БОК“-ში. მოსკოვში ყოფნის პირველი კვირის განმავლობაში პასკუა შეხვდა უამრავ ცნობილ ფიგურას პოლიტიკისა თუ კულტურის დარგში და ის დაუშვეს სახელმწიფოს ძირითად ინსტიტუტებში. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა მას „საჩუქარიც“ კი გადასცა – დიდი მანქანა, რათა გაადვილებო-

⁵⁵ ის უნდა მიეღო მ. ი. კალინინს, მაგრამ ეს უკანასკნელი დასასვენებლად იყო წასული (Kowalsky 2004: 45).

და საქმიანობა მოსკოვში⁵⁶ (Payne 2004: 190).

საეჭვოა, 30-იანი წლების განმავლობაში ვინმესთვის ასეთი მიღება მოეწყოთ როგორც პასკუას 1936 ოქტომბერში. არსად იმდენი შეღავათი არ გაწეულა, რამდენიც ესპანეთის რესპუბლიკის საელჩოსთვის კერძო შენობის ძიებისას გამოვლინდა. მოსკოვში პასკუას მისიის ნაჩქარევი ორგანიზაცია და ადრინდელი ურთიერთობების არარსებობა გამორიცხავდა ესპანეთის დელეგაციისთვის საკუთრების იჯარით პოვნას. მოსკოვში ჩასული ახალი ელჩი წერდა თავის ხელმძღვანელობას მადრიდში და წუწუნებდა იმ საშიშ პერსპექტივაზე, რომელიც გამოვლინდა ქალაქში მოსახერხებელი მუდმივი შენობის პოვნასთან დაკავშირებით. პასკუა წერდა, რომ შეეჯახა „საცხოვრებელი ფართის არსებობის სიმწირეს“ (Kowalsky 2004: 46).

საბჭოთა ხელისუფლება ვერ დაუშვებდა, რომ ესპანეთის ელჩს, როგორც მოსკოვის გამორჩეულ სტუმარს, შექმნოდა სირთულეები, რომელსაც ხშირად აწყდებოდა დიპლომატების უმრავლესობა, რომ არაფერი ვთქვათ ჩვეულებრივ ადამიანებზე. როზენბერგი წერდა კრესტინსკის: „...ძალიან გთხოვთ, იზრუნოთ იმაზე, რომ ჩვენს ამა თუ იმ დაწესებულებებთან ურთიერთობებისას ელჩმა არ იგრძნოს ბიუროკრატის სუსხი“ (АВП, Ф. 010, оп. 11, п. 71, л. 53, л. 106).

როგორც კი პასკუას მატარებელი მოუახლოვდა მოსკოვს, საბჭოთა მთავრობამ მიიღო ზომები მისი შეუფერხებელი დაბინავებისთვის. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა გაათავისუფლა ლუქსი სასტუმრო „ნაციონალში“ ესპანეთის დელეგაციის დროებით განთავსებისთვის. როცა სადღესასწაულო მიღება დასრულდა, პასკუა გააქანეს ამ 1903 წელს აგებულ საუკეთესო და ყველაზე პრესტიჟულ სასტუმროში.⁵⁷

„ნაციონალი“ ცოტა ხნით წარმოადგენდა რესპუბლიკის ელჩის რეზიდენციას, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერაც მისაღები იყო. გარდა კომფორტისა, პასკუა აღიარებდა, რომ, კონფიდენციალობის და უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ცალკე შენობა იყო საჭირო. იგივეს წერდა კრესტინსკი კაგანოვიჩს 15 ოქტომბრის წერილში: „ესპანეთის ელჩი, რომელიც დროებით მოვაწყვეთ სასტუმრო „ნაციონალში“, აყენებს საკითხს საელჩოსთვის კერძო შენობის გადა-

12 პეინი „საჩუქარზე“ არ საუბრობს, მისი თქმით სანამ საელჩოს ბიუჯეტი მწირი იყო მანამდე დროებით სარგებლობაში გადაეცა მას მანქანა.

⁵⁷ 1918 წლის მარტში კრემლში გადასვლამდე აქ ცხოვრობდა ლენინი (იხ.: Т. Николаевская. Искусство жить в Москве: история гостиницы «Националь», 1903-2003. Москва, 2003: 117).

ცემის შესახებ... ეს, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელიცაა, რათა სრულად იქნეს უზრუნველყოფილი საიდუმლო მიმოწერა და საელჩოს შიფრის დაცულობა, რისი გარანტიაც ძალიან რთულია სასტუმროში, სადაც მუდმივად იცვლება მოსახლეობა. მეორეც, წმინდა პრესტიჟული მოსაზრებებით, სასურველია, რომ ესპანეთის საელჩომ მიიღოს თუნდაც პატარა, მაგრამ კარგი სახლი, აუცილებლად წარმომადგენლობითი ოთახებით, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა საელჩოებს და მისიებს ესპანეთის ელჩისადმი რამდენადმე აგდებული დამოკიდებულება შეექმნებათ“ (АВП, Ф. 010, оп. 11, п. 71, д. 53, л. 125).

ესპანელებს შესთავაზეს შენობა, რომლის საელჩოდ გამოყენება გადაწყვეტილი ჰქონდა ურუგვაის მთავრობას, მაგრამ პასკუა გულგრილად შეხვდა ამ შემთავაზებას და განაცხადა, რომ სახლი ძალიან პატარა იყო ესპანეთის რესპუბლიკის საელჩოსთვის. როგორც ჩანს, პასკუა ელოდა საელჩოს სწრაფ გაფართოებას (Kowalsky 2004: 47).

23 ოქტომბერს ესპანელებისთვის სახლის ძიების საკითხი განსახილველად თავად პოლიტიურომ მიიღო. როგორც კრესტინსკის 15 ოქტომბრის წერილიდან ვიგებთ, რამდენადაც საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს არანაირი საცხოვრებელი რესურსი არ გააჩნდა, აუცილებელი იყო მოსკოვის საბჭოს დახმარება. „მოსკოვის საბჭო კი, როგორც ჩვენ ვიცით, ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე, არ წამოვა ჩვენს შესახვედრად და არ მოგვცემს სახლს, თუ ამის თაობაზე არ იქნება კატეგორიული მოთხოვნა პოლიტიურიდან“, – წერდა კრესტინსკი (АВП, Ф. 010, оп. 11, п. 71, д. 53, л. 125). მოკლედ, პოლიტიურის დადგენილებით, ესპანეთის დელეგაციას გადაეცა ცალკე სახლი მაღაია ნიკიტინსკაიას ქუჩის 18 ნომერში. ეს იყო დიდი ორსართულიანი სახლი, 8 საძინებლით და 4 აბაზანით. სახლს ჰქონდა 2 სამზარეულო, 2 სალონი, დიდი სასადილო ოთახი და შიდა ბაღი (Payne 2004: 190).

უნდა აღინიშნოს, რომ პასკუას განკარგულებაში გადაცემული საცხოვრებელი მაღაია ნიკიტინსკაიაზე სასწრაფოდ დაატოვებინეს იმდროინდელ დამჭირაგებელს, ბელორუსიის მისიას, მათ შორის, ბედის ირონიით ჩერვიაკოვს, კაცს, რომელსაც პასკუამ ადრე გადასცა რწმუნებათა სიგელი. ბელორუსიის დელეგაციას 5 დღით ადრე გაეცა განკარგულება, გადასულიყო მოშორებით შენობაში, რომელიც იმ დროს დაკავებული ჰქონდა თურქმენეთის დელეგაციას. ეს უკანასკნელიც ხელისუფლების მიერ სხვაგან იქნა გადასახლებული (Kowalsky 2004: 47), თუმცა არქივებში მითითებული არაა კონკრეტული მისამართი. მოკლედ, ოქტომ-

ბრის ბოლოს, ჩამოსვლიდან სამ კვირაში პასკუამ გახსნა თავისი საელჩო მაღა-
ია ნიკიტინსკაიაზე.

მარსელინო პასკუა იყო მუდმივი და სრულუფლებიანი ელჩი, რომელიც
წარმოადგენდა ესპანეთის რესპუბლიკას სამოქალაქო ომის დროს. ელჩობის პე-
რიოდში ის მოსკოვში იშვიათად იმყოფებოდა. 1937 აგვისტოში ის გაემგზავრა
ვალენსიაში მთავრობასთან საკონსულტაციოდ. იმავე წლის დეკემბერში ისევ
დატოვა მოსკოვი და დაბრუნდა რამდენიმე თვის მერე, მაგრამ პრაქტიკულად მა-
შინვე, 1938 წლის მარტში გაემგზავრა ესპანეთში, თავის მთავრობასთან კონ-
სულტაციების შედეგად კი ის დანიშნულ იქნა ელჩად საფრანგეთში (Viñas 1986:
161).

პასკუას ხშირ არყოფნას თავის პოსტზე ბევრი ფაქტორი განაპირობებდა.
პირველი, როგორც გამოვლინდა, პასკუას ჩანს ჰქონდა პრობლემები მისი დანიშ-
ვნის დიდ სირთულეებთან დაკავშირებით. ის ხშირად უჩიოდა იზოლაციას და
კონტაქტების უკმარისობას რესპუბლიკურ მთავრობასთან. მეორე – პასკუას ოჯ-
ახი თავიდანვე ტყვედ ჩაგარდა ნაციონალისტების (ფრანკისტების) ზონაში. რუ-
სეთში მყოფ ელჩს არ ჰქონდა საშუალება, გაეგო მათი მდგომარეობის შესახებ
და მისი დროის უმეტესი ნაწილი იხარჯებოდა მათთან კონტაქტების დამყარების
მცდელობაში. მესამე და მნიშვნელოვანი – კომუნიკაციის კრიზისი, რომელიც
არსებობდა საელჩოსა და მთავრობას შორის, მოითხოვდა პირისპირ შეხვედრებს
„მაღალი მგრძობელობის“ საკითხების განსახილველად. კომპეტენტური თანა-
შემწეების უკმარისობა ელჩს სხვა არჩევანს არ უტოვებდა, თუ არა პერსონალუ-
რად ჩასულიყო რესპუბლიკურ ზონაში ამ კონსულტაციებისთვის.

პასკუას არყოფნის დროს 1937 და 1938 ადრეულ თვეებში ესპანეთის მისია
იყო ვისენტე პოლოს კონტროლქვეშ. 1938 ივლისში დელ ვაიომ ახალ სავაჭრო
ატაშედ მოსკოვში მანუელ მარტინეს პედროსო დანიშნა. პასკუას მსგავსად, პედ-
როსოს პროსაბჭოთა რეპუტაცია ჰქონდა. რევოლუციის დღეებიდანვე ის ბოლშე-
ვიკების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ესპანელი მხარდამჭერი იყო და ისე
შორს წავიდა, რომ ამართლებდა ტერორის კამპანიას რუსეთის სამოქალაქო ომ-
ში.⁵⁸

უნდა აღინიშნოს, არც პოლოს და არც პედროსოს არ მიუღწევიათ ელჩის

⁵⁸ „El Sol“-ში 1919 წლის 25 იანვარს დაბეჭდილ სტატიაში პედროსო აცხადებდა: „რევოლუციები
არ კეთდება თეთრი ხელთათმანებით და მადრიგალებით“ (მადრიგალი – ქალისადმი მიძღვნილი
პატარა სასიყვარულო ლექსი).

სტატუსამდე. მარსელინო პასკუას ძალზე მარტივი ინსტრუქციები ჰქონდა: მას მჭიდრო კავშირები უნდა ჰქონოდა საბჭოთა ხელმძღვანელობასთან და მოეპოვებინა რესპუბლიკისთვის აუცილებელი სამხედრო დახმარება. ყველა შემთხვევაში, რესპუბლიკის საქმისადმი პასკუამ საბჭოთა ხელმძღვანელობის დიდი სიმპათია მოიპოვა. დასაწყისში ჩანდა, რომ მისი მისია აასრულებდა იმ უამრავი ადამიანის იმედს, რომელიც მას აცილებდა ატონას სადგურის ბაქანზე.

საბჭოთა ოფიციალურ პირებთან დაშვების თვალსაზრისით, განსხვავებით მოსკოვში მყოფი სხვა დიპლომატებისგან, რომლებიც წლობით ამაოდ ცდილობდნენ საბჭოთა ხელმძღვანელობასთან შეხვედრას, პასკუა პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. იგი სარგებლობდა შეუზღუდავი კონტაქტებით. პასკუა ხშირად სტუმრობდა სახალხო კომისარ მაქსიმ ლიტვინოვს, მის მოადგილე პოტიომკინს, თავდაცვის კომისარ ვოროშილოვს, ფინანსთა კომისარ გრინკოს, საგარეო ვაჭრობის კომისარ სუდინს. და ბოლოს, პასკუამ ორჯერ გამართა მოლაპარაკებები ე.წ. „სამეულთან“: სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი (Kowalsky 2004: 49). პასკუას სიახლოვე ამ მაღალ ოფიციალურ პირებთან ჩანს სტალინისადმი 1937 წლის 19 ოქტომბრის წერილში: „ჩემო ძვირფასო და პატივცემულო ამხანაგო სტალინ! ჩემი ბოლო ვიზიტის დროს კრემლში თქვენ საკმაოდ თავაზიანი იყავით, მიგელთ ჩემი მოპატიჟება, რათა ჩემთან გაგვესინჯა ძველი ესპანური ღვინოები. ეს იქნებოდა უდიდესი პატივი და სასიამოვნო როგორც ჩემთვის, ისე მთელი მისიისთვის. თუ თანახმა ხართ, იქნებ მიუთითოთ, რომელი თარიღი იქნება თქვენთვის მოსახერხებელი და რომელს აირჩევთ, სადილის თუ ვახშმის დროს. თქვენის ნებართვით, მოწვეულები იქნებოდნენ ამხანაგები მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი და სხვა პირები“ (Kowalsky 2004: 49).

პასკუას პირად არქივში არ არის დამადასტურებელი საბუთი, მივიდა თუ არა სტალინი ესპანეთის საელჩოში ესპანური ღვინის გასასინჯად. მიუხედავად ამისა, ეს და სხვა წერილები ავლენს ახლო ნაცნობობას ელჩსა და სტალინს შორის, რაც უჩვეულო იყო 1930-იანი წლების მოსკოვში. ამავე დროს, საყურადღებოა, რომ იმავე 1937 წლის ზაფხულში საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის პირველ მოადგილე ვ. პოტიომკინთან საუბარში (1937 წლის 25 ივლისი) მ. პასკუამ დაიჩივლა, რომ მასთან მიმართებაში ის გრძნობდა უყურადღებობას საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის და მთავრობის მხრიდან. ბოლოს ის სვამდა კითხვას, ხომ არაფერი დაუშავებია მას ან რაიმე შეცდომა დაუშვია, რომელიც გამოიწვევდა ასეთ შესამჩნევ ცვლილებებს ზემოხსენებულ უწყებებთან ურთიერ-

თობებში. მ. პოტიომკინის სიტყვებით, „მ. პასკუას მორალური მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ მზადაა დააყენოს თავისი შეცვლის საკითხი“.⁵⁹

როგორც ითქვა, ესპანეთში საბჭოთა ელჩად დაინიშნა დიდი გამოცდილების მქონე დიპლომატი მარსელ იზრაელის ძე როზენბერგი. 30-იანი წლების დასაწყისში ის ცნობილი იყო, როგორც არაფორმალური დიპლომატიის დიდოსტატი და გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ წარმოდგენდა კრემლის ყურებსა და თვალებს ევროპაში (Тайны разведки. Секретные миссии დოკ. ფილმი: 3:24-3:31; 14:43-15:00; 21:34-21:45). ესპანეთში დანიშვნამდე როზენბერგი იყო საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ერთა ლიგაში და ერთა ლიგის წესდების თანახმად გენერალური მდივნის მოადგილე.

ელჩთან ერთად, პოლიტბიურომ მადრიდის საელჩოს მრჩეველად დაამტკიცა ი. გაიკისი, სავაჭრო ატაშედ – ა. სტაშევსკი, სამხედრო ატაშედ – ვ. გორევი და სამხედრო-საზღვაო ატაშედ – ნ. კუზნეცოვი (Шарапов 2003: 47). მოგვიანებით უამრავი სამხედრო მრჩეველი და ინსტრუქტორი გაიგზავნა ესპანეთში.

საელჩოს თანამშრომლებთან ერთად ელჩი მადრიდში 27 აგვისტოს ჩავიდა. თავდაპირველად საბჭოთა მისია დასახლდა სასტუმრო „ალფონსოში“, მაგრამ მალევე გადავიდა სასტუმრო „პალასში“, რომელიც მდებარეობდა პლასა დე ლას კორტესის 7 ნომერში. იქ საბჭოთა საელჩო რვა კვირას დარჩა და აქედან გაპყვა კანონიერ მთავრობას ვალენსიაში 1936 წლის 7 ნოემბერს, სადაც მისი ახალი მისამართი გახდა სასტუმრო „მეტროპოლი“, კორიდის მოედანთან ახლოს (Kowalsky 2004: 29).

ესპანეთში დიპლომატების გაგზავნას წინ უსწრებდა კორესპონდენტების ჩასვლა. გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტი მიხეილ კოლცოვი – 8 აგვისტოს, „იზვესტიის“ ჟურნალისტი ილია ერენბურგი – აგვისტოს მეორე კვირაში, ხოლო ოპერატორები რომან კარშენი და ბორის მაკასეევი 23 აგვისტოს ჩავიდნენ ესპანეთში (Kowalsky 2004: 29). კომინტერნის აგენტებთან ერთად, დასახელებული პირები იყვნენ მოსკოვის პირველი ოფიციალური წარმომადგენლები ესპანეთში. სა-

⁵⁹ ამ საუბრისას ესპანეთის ელჩმა განაცხადა, რომ არც ისე დიდი ხნის წინ საზღვარზე საბაჟო შემოწმებას დაექვემდებარა ხ. ნეგრინის მეუღლე. მართალია, ის ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში გაფრთხილების გარეშე და საელჩომ არაფერი იცოდა მისი ვიზიტის შესახებ, მაგრამ მაინც მის დიპლომატიურ პასპორტში პირდაპირ იყო მითითებული, რომ ის გახლდათ ესპანეთის მთავრობის მეთაურის ცოლი. რა თქმა უნდა, საზღვარზე შეხვედრამ მასზე უმძიმესი შთაბეჭდილება დატოვა (АВП, Ф. 05, оп. 17, п. 131, д. 51, л. 4-5).

ერთაშორისო სოლიდარობის კამპანიის წარმოებასთან ერთად, მათი ამოცანა საკუთარი მთავრობის ბეჭდური თუ ვიზუალური მასალით უზრუნველყოფა იყო.

როზენბერგის ჩასვლას ესპანეთში დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ არა მხოლოდ რესპუბლიკური მთავრობის მესვეურები, არამედ რიგითი მოქალაქეებიც. მათი ღრმა რწმენით საბჭოეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება რესპუბლიკის სწრაფი გამარჯვების გარანტი იქნებოდა. ესპანეთში აშშ იმდროინდელი ელჩის კლოდ ბაუერსის სიტყვებით, „იგი (მ. როზენბერგი – ზ.გ) ჩამოვიდა ბნელ და დრამატულ დროს, იარაღის და ამუნიციის მიწოდების პირობით... ბუნებრივია, ქუჩაში ხალხი დიდი მღელვარებით, გულთადად და მადლიერების გრძნობით ესალმებოდა, მაგრამ ეს სრულიად ბუნებრივი მიღება გამოყენებულ იქნა იმის სამტკიცებლად, რომ ლოიალისტები კომუნისტები იყვნენ“.⁶⁰

წიგნში „ომი და რევოლუცია ესპანეთში“ ეს მოვლენა შემდეგნაირადაა შეფასებული: „ძნელია იმ მღელვარების და ენთუზიაზმის გადმოცემა, რომელიც გამოიწვია სხვადასხვა რწმენის ესპანელ ანტიფაშისტებს შორის საბჭოთა წარმომადგენლობის ჩამოსვლამ. ისინი იყვნენ ცოცხალი მოწმეები, რომ ესპანეთი მარტო არ დარჩენილა, რომ მის გვერდით იყო დიადი საბჭოთა ხალხი“ (Война и революция 1968: 423).

მარსელ როზენბერგის მადრიდში ჩასვლა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ესპანეთში აკრედიტებული სხვა ელჩები სან სებასტიანიდან, სადაც ჩვეულებრივ ატარებდნენ ზაფხულს, გადავიდნენ ენდაიში და საელჩოები უფრო დაბალი რანგის დიპლომატების ამარა დატოვეს. ყურადღების ცენტრში მყოფმა როზენბერგმა 29 აგვისტოს რწმუნებათა სიგელი გადასცა ქვეყნის პრეზიდენტ მანუელ ასან-იას. მოკლე საზეიმო სიტყვაში ელჩმა დაარწმუნა რესპუბლიკის მთავრობა, რომ მის პოლიტიკურ იდეებს და ინსტიტუტებს დელეგაცია დიდ პატივს სცემდა (ДВП XIX: 416).

სხვა პრობლემებთან ერთად, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების გაჭინურება განპირობებული იყო ესპანური მხარის, განსაკუთრებით „ბურჟუაზიულ“ პოლიტიკოსებს შორის არსებული ღრმა შიშით, რომ საბჭოთა დასწრება დაძაბავდა და ცუდ გავლენას მოახდენდა შიდაპოლიტიკურ ვითარებაზე და სახალხო ფრონტის, როგორც არარევოლუციური რეჟიმის სახელს ჩრდილს მიაყენ-

⁶⁰ ამავე დროს, ბაუერსი იქვე აღნიშნავს, რომ მოგვიანებით, როცა ინგლისმა და ამერიკამ თბილად მიიღეს რუსეთი, როგორც მოკავშირე იგივე ღერძის ქვეყნების წინააღმდეგ, არავის მიუნიშნებია, რომ ისინი კომუნისტები იყვნენ (Bowers 1954: 317).

ებდა⁶¹ (Haslam 1984: 109).

როზენბერგი ზედმიწევნით ზუსტად ჭვრეტდა წინააღმდეგობას და ესპანეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ წრეებში დავის საგანს, რაც ესპანეთში სსრკ „შემოსვლას“ უკავშირდებოდა. მან განაცხადა: „მე მშვენივრად ვიცი, რომ ესპანეთის მთავრობას არ სურს, თავს მოახვიოს საკუთარ ხალხს უცხოური პოლიტიკური და სოციალური იდეალები. ეს სურვილი სრულად შეესაბამება ჩემი მთავრობის სურვილს“ (ДВП XIX: 416).

საპასუხო სიტყვაში მანუელ ასანიამაც თავი აარიდა რაიმე ფორმით აღიარებას, რომ სსრკ და ესპანეთის რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემები მკვეთრად იყო განსხვავებული, მაგრამ აფასებდა რა საბჭოეთთან ალიანსის აუცილებლობას, განაცხადა, რომ მისთვის დიდი პატივი იყო და, ამავე დროს, ფრიად სასიამოვნო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისგან რწმუნებათა სიგელის მიღება და დასძინა, რომ ელჩების გაცვლა იქნებოდა „ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა მისი პრეზიდენტობის პერიოდში“ (ДВП XIX: 417).

იმ პერიოდში ესპანეთში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის დუაიენი იყო ჩილელი დიპლომატი ნუნიეს მორგადო, რომელსაც მაშინდელი ესპანეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ხულიო ალვარეს დელ ვაიო ასსიათებს, როგორც „ამბოხებულთა მგზნებარე მხარდამჭერს, რომლის საელჩოც იყო მეხუთე კოლონიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანი ციტადელი“ (del Vayo 1940: 240).

როგორც მ. როზენბერგის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგი-

⁶¹ სხვათა შორის, ეს შიში ყოველთვის არსებობდა და ამას აშშ-ს ელჩ კლოდ ბაუერსთან საუბარში ძალიან კარგად განმარტავდა ფერნანდო დე ლოს რიოსი, მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი. ბაუერსი წერდა: „ჩემი ესპანეთში ჩამოსვლის შემდეგ მცირე ხანში, როცა მთავრობა იყო რუსეთთან (ასეა ორიგინალში – ზ.გ.) დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების ზღვარზე, მე ვკითხე საგარეო საქმეთა მინისტრ დე ლოს რიოსს მიზეზი, რატომ შეფერხდა აღიარება ამდენ ხანს. მან მიპასუხა, რომ მონარქიის დაცემისას მოსკოვს ჰქონდა შთაბეჭდილება, რომ გლეხების და მუშებისა მდგომარეობის გამო ესპანეთში იყო ნაყოფიერი მიწა კომუნიზმისთვის და, შესაბამისად, გამოგზავნა ხალხი და ფული, მაგრამ... შემდეგ მან ან მოისაზრა, რომ კომუნიზმი ესპანური ხასიათისთვის უცხო იყო, ან ინტერესი დაკარგა. მინისტრმა თქვა, რომ მაშინ, როცა მოსკოვი აქტიურად პროპაგანდირებდა რეჟიმის წინააღმდეგ, მისი აღიარება გამორიცხული იყო, მაგრამ კამპანიის თავის დანებების შემდეგ მისი ცნობა გონივრულია და გარდაუვალი თუნდაც ვაჭრობის გამო“ (Bowers 1954: 317).

ლის ნ. კრესტინსკისადმი წერილიდან ვიგებთ, მან თავისი ჩამოსვლის შესახებ არ აცნობა „ამ კუდა დიპკორპუსის“ (Этого кудого дипкорпуса) დუაიენს. ამიტომ, შესაძლოა, ამ უკანასკნელს ეს გამოეყენებინა ფორმალურ მიზეზად და არ მიეწვია როზენბერგი დიპკორუსის სხდომებზე, თუმცა იგი ამას ნაკლებად განიცდიდა, ვინაიდან ამ სხდომებზე ძირითადად სამხრეთ ამერიკელები გამოდიან, რომელთა მისიებშიც ნახევრად ლეგალურად და მთელი დასტობით იმალებიან ფაშისტები... მე აქ ურთიერთობა მაქვს მხოლოდ ინგლისის საქმეთა რწმუნებულთან. დანარჩენებთან არც ღირს, რადგანაც ისინი ჩვენ მიმართ უარყოფითად არიან განწყობილი, ან კიდევ არიან II და III რანგის მდივნები“ (АВП, Ф. 010, оп. 11, п. 71, д. 53, л. 11).

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა როზენბერგს არ მოუწონა ეს საქციელი, მოსთხოვა შეცდომის გამოსწორება და ფორმალობების დაცვა. კრესტინსკი საპასუხო წერილში წერდა: „თქვენ არასწორად მოიქცით, რომ არ აცნობეთ დუაიენს, ამ შემთხვევაში ჩილელ ელჩს, თქვენი ჩამოსვლის შესახებ. ის გარემოება, რომ ჩვენ [მათთან] არ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა, არ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ საყოველთაოდ მიღებულ და დადგენილ წესებს გადავუხვიოთ. ჩვენი ამხანაგები ყველა ქვეყანაში ინფორმაციას აწვდიან დუაიენს, თუნდაც ეს იყოს პაპის ნუნციუსი... გამოასწორეთ ეს შეცდომა და საქმიან კონტაქტში შედით დუაიენტან“ (АВП, Ф. 010, оп. 11, п. 71, д. 53, л. 132).

მ. როზენბერგის შემდგომი საქმიანობის უკეთ გასაგებად, მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, რა მდგომარეობა იყო ამ დროს ესპანეთის მთავრობაში.

1936 წლის 3 სექტემბერს ტალავერა-დე-ლა-რეინას დაცემამ ნაციონალისტებს მადრიდისკენ გაუხსნა გზა. სამთავრობო კრიზისის პირობებში, სოციალისტების ლიდერმა ფრანსისკო ლარგო კაბალიერომ პრეზიდენტ ასანიას განუცხადა, რომ მზად იყო თავის თავზე აეღო „ისტორიული პასუხისმგებლობა“ იმ პირობით, თუ მთავრობაში უმრავლესობაში სოციალისტები იქნებოდნენ. ცენტრისტული ორიენტაციის სოციალისტი ინდალესიო პრეგო არა მხოლოდ ლარგო კაბალიეროს პრემიერ მინისტრად დანიშვნის, არამედ საერთოდ სახელმწიფო აპარატში სოციალისტების მონაწილეობის წინააღმდეგი იყო. ის თვლიდა, რომ ეს მოახდენდა რესპუბლიკის კომპრომეტირებას დასავლეთის თვალში. იგივე მოსაზრებები ჰქონდა კომინტერნის ხელმძღვანელობასაც. კომუნისტური პარტია მთავრობაში უნდა შესულიყო მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. ამას ადასტურებს კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნოს დირექტივები ესპანეთის

კომპარტიის მიმართ 1936 წლის 24 ივლისს. მას შემდეგ, რაც ესპანელი კომუნისტები გაკიცხული არიან არასაკმარისი, ბუნდოვანი და სენტიმენტალური ინფორმაციების მოწოდების გამო, მათ აძლევენ რეკომენდაციებს, რომ „მოახდინონ კონცენტრირება უმნიშვნელოვანეს ამოცანაზე, რომელიც გამოიხატება ფაშისტური ამბოხის საბოლოო ლიკვიდაციაში, და არ გაერთონ გამარჯვების შემდგომი გეგმებით ტკბობით... მთავრობაში კომუნისტების უშუალო მონაწილეობას თავი აარიდონ, ვინაიდან ასე უფრო მარტივია სახალხო ფრონტის შენარჩუნება. მთავრობაში მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელი იქნება ამბოხების ჩასახშობად...“ (Коминтерн и гражданская война 2001: 113).

როგორც ითქვა, კაბალიერომ მოითხოვა სოციალისტური უმრავლესობა და დასთანხმდა ი. პრიეტოს მთავრობაში შეყვანაზე. პრიეტომ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და სცადა კომუნისტების დაყოლიებაც. ესპანეთში პოლიტიკური სიტუაციის მიმოხილვისას კომინტერნის აგენტ კოდოვილიას მოჰყავს ი. პრიეტოს სიტყვები: „გულწრფელად გეტყვით, ახლანდელ სიტუაციაში არაფრის გაკეთება არ შეიძლება. მე ვიცნობ კაბალიეროს, ის ჯიუტი კაცია და მას რომ არ მიეცეს მთავრობის ჩამოყალიბების საშუალება, საბოტაჟზე წავა და კავშირს დადებს შრომის ეროვნულ კონფედერაციასთან (La Confederación Nacional del Trabajo – CNT, რომელიც ანარქისტულ ორგანიზაციასთან მჭიდრო კავშირში იყო – ზ.გ). ამიტომ მე გთხოვთ, შეხვიდეთ მთავრობაში... რა თქმა უნდა, თქვენ გინდათ დარჩეთ მთავრობის მიღმა, რათა არ მოახდინოთ საკუთარი თავის კომპრომეტირება, არა თქვენ შესვალთ მთავრობაში და ჩვენ ან ერთად გავიმარჯვებთ, ან ერთად დავიხოცებით“ (Коминтерн и гражданская война: 141-142).

კრემლი და, ბუნებრივია, კომინტერნი ამ ნაბიჯზე წავიდნენ. შექმნილ სიტუაციაში, როგორც ჩანს, როზენბერგს ჰქონდა მცდელობა, ჩარეულიყო და მთავრობის შემადგენლობაზე გავლენა მოეხდინა. მას აინტერესებდა რა როლი დაეკისრებოდა ამ შემთხვევაში და ითხოვდა ინსტრუქციებს. როზენბერგისადმი 1936 წლის 4 სექტემბრის წერილში სახალხო კომისარი მ. ლიტვინოვი უთითებდა: „არავითარ შემთხვევაში არ ჩაერიოთ საშინაო საქმეებში და თავი შეიკავეთ სამთავრობო კომბინაციებზე ყველანაირი სახის გავლენისგან“ (АВП, Ф. 010, оп. 11, п. 71, д. 53, л. 59). რუსი მკვლევარი ა. შუბინი სწორად აღნიშნავს, რომ როზენბერგის მსგავსი ქცევა ესპანეთის პოლიტიკურ წრეებში უკმაყოფილებას გამოიწვევდა. მოსკოვს შეეძლო, უფრო ფრთხილად ემოქმედა და სამთავრობო კომბინაციებზე კომინტერნის გზით მოეხდინა ზეგავლენა (Шубин 2011: 169).

4 სექტემბერს ჩამოყალიბებულ ლარგო კაბალიეროს კაბინეტში ორი კომუნისტი მინისტრი შედიოდა. ერთი იყო განათლების მინისტრი ერნანდესი და მეორე – შრომის მინისტრი ურიბე. ისტორიკოს ჰიუ თომასის თქმით, „ლარგო კაბალიეროს მთავრობა უცნაური ხასიათის იყო არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასში კომუნისტები მონაწილეობდნენ, არამედ იმიტომაც, რომ ერთ-ერთი მათგანი ერნანდესი 19 წლის წინ გასამართლებული იყო კაბინეტის მეორე მინისტრ (სამხედრო-საზღვაო ძალების და ავიაციის – ზ.გ) პრიეტოზე თავდასხმის გამო (Tomac 2003: 252).

აღნიშნული დროისათვის კატალონიაში, რომელიც პოლიტიკურად ყველაზე რთული რეგიონი იყო, ოფიციალური საბჭოთა წარმომადგენლობა ჯერაც არ არსებობდა. „იზვესტიას“ კორესპონდენტი ილია ერენბურგი იყენებდა ჟურნალისტის იმუნიტეტს და როზენბერგს ბარსელონაში შექმნილი პოლიტიკური და სამხედრო სიტუაციის შესახებ ცნობებს აწვდიდა. ეს ცნობები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ორ ეგზემპლარად იგზავნებოდა საბჭოთა ხელმძღვანელობასთან. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა 17-18 სექტემბრის ცნობა, რომელშიც ი. ერენბურგი აფრთხილებს როზენბერგს ორი ერთდროული კრიზისის შესახებ – ერთის მხრივ, კატალონიის რეგიონალურ მთავრობას და ანარქისტულ ფედერაციას შორის, მეორეს მხრივ, მადრიდის ცენტრალურ და კატალონიის ხელმძღვანელობას შორის. ჟურნალისტი აქვე უთითებდა, რომ კატალონიის პრეზიდენტი ლუის კომპანისი მიესალმებოდა საბჭოთა საკონსულოს დაარსებას ბარსელონაში (Spain Betrayed 2001: 23-32).

21 სექტემბერს პოლიტბიურომ დაამტკიცა ვ. ანტონოვ-ოვსეენკო გენერალურ კონსულად ბარსელონაში, სადაც ის ჩავიდა 1 ოქტომბერს, თუმცა კონსულის დანიშვნის და მის ესპანეთში ჩასვლის შესახებ სხვადასხვა თარიღი არსებობს. ჰიუ თომასი შეცდომით თვლიდა, რომ ანტონოვ-ოვსეენკო 25 აგვისტოს, ანუ როზენბერგამდე ორი დღით ადრე ჩავიდა ესპანეთში (Tomac 2003: 244). ამას სხვა ავტორებიც იმეორებენ, მათ შორის, ესპანელი მკვლევარი ანხელ ვინიასი თავის ადრინდელ შრომებში (Viñas 1985: 147) და რუსი მკვლევარი მ. ნოვიკოვი (Новиков Т. II, 1995: 4), რომელსაც წესით, მიუწვდებოდა რა ხელი შესაბამის წყაროებზე, უნდა შეესწორებინა ეს თარიღი. სხვები, მაგალითად, ალპერტი ამბობენ, რომ მადრიდსა და ბარსელონაში მისიების ჩამოსვლა მოხდა 27 აგვისტოს (Alpert 1994: 50). წყაროები და ისტორიკოსთა უმრავლესობა მოწმობს, რომ ანტონოვ-ოვ-

სვენკო ესპანეთში 1 ოქტომბერს ჩავიდა (Casanova 1996: 69).

ამ უზუსტობას მარტივად გამოასწორებს საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში არსებული 19 სექტემბრით დათარიღებული დოკუმენტი. ესაა კრესტინსკის წერილი როზენბერგისადმი, სადაც საუბარია იმაზე, რომ ბარსელონაში გენერალური კონსულის გაგზავნა უკვე გადაწყვეტილი იყო, თუმცა ჯერ ირჩეოდა კანდიდატურა. კრემლს სურდა სოლიდური, დიდი რეპოლუციური გამოცდილების მქონე ადამიანის გაგზავნა, რომელიც ბარსელონელ ანარქისტებთან ავტორიტეტის მოპოვებას შეძლებდა, თუმცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში ასეთი კანდიდატი ვერ მოიძებნა. წერილში კრესტინსკი საუბრობს ორ კანდიდატურაზე. პირველი იყო ი. თუმანოვი,⁶² რომლის მინუსი იყო ის, რომ არ იცოდა ესპანური ენა და კატალონიაში შექმნილ რთულ ვითარებაში ალბათ ვერ შეძლებდა ესპანელ ანარქისტებთან საჭირო ავტორიტეტის მოპოვებას. მეორე კანდიდატი იყო ამხ. მირნი, რომელმაც ენა კი იცოდა, მაგრამ მისი დამოუკიდებლად სამუშაოზე გაგზავნა არ შეიძლებოდა. კრესტინსკი როზენბერგს აზრს ეკითხებოდა და კიდევ ერთ გამოსავალს სთავაზობდა: „შეიძლება გავაგზავნოთ თუმანოვი მეორე მრჩევლად ან მირნი პირველ მდივნად, რომ თქვენ ის დატოვოთ მადრიდში, ხოლო ამხანაგი გაიკისი მიავლინოთ ბარსელონაში“ (АВН, Ф. 010, оп. 11, п. 71, д. 53, л. 78). ანუ 19 სექტემბერს ჯერ კიდევ ირჩეოდა კანდიდატურა და მოგვიანებით დასახელებული ვ. ანტონოვ-ოვსენკო აგვისტოს ბოლოს ვერანაირად ვერ მოხვდებოდა ესპანეთში გენერალური კონსულის რანგში.

კონსულის დანიშვნის და ჩასვლის ზუსტი დრო არაა იმდენად მნიშვნელოვანი, მთავარია, რომ ანტონოვ-ოვსენკოს მისია ესპანეთში არ ჰგავდა როზენბერგისას. ამასთან განსხვავებული იყო მათი მუშაობის სტილიც.

ცოტა ხანში გაჩნდა კიდევ ერთი საბჭოთა წარმომადგენლის გაგზავნის აუცილებლობა, ამჯერად ესპანეთის ჩრდილოეთში. თუმცა, როგორც ჩანს, თავიდან მოსკოვი უარს ამბობდა ახალი წარმომადგენლის გაგზავნაზე და უთითებდა რომელიმე პასუხისმგებელი მუშაკი გაეგზავნათ უკვე არსებული მისიებიდან, მაგრამ ეს გადაწყვეტილება წინააღმდეგობას აწყდებოდა. ამაზე საუბრობს ნ. კრესტინსკი ლ. კაგანოვიჩისადმი მიწერილ წერილში 1936 წლის 17 ოქტომბერს. წერილში ნათქვამია: „მადრიდში სსრკ წარმომადგენლობაში ორი პოლიტიკური მუშაკია: როზენბერგი და გაიკისი. ამათგან ვერცერთი დატოვებს მადრიდს, რამ-

⁶² იოსებ რაფაელის ძე თუმანოვ-როზენბლუმი (1896-1938).

დენადაც გაიკისი ერთადერთია, ვინც ენა იცის. იმისთვის, რომ ბილბაოში გაიგზავნოს წარმომადგენელი, საჭიროა როზენბერგის თხოვნის დაკმაყოფილება კიდევ ერთი პოლიტიკური მუშაკის გაგზავნის თაობაზე“ (АВП, Ф. 010, оп. 11, п. 71, д. 53, л. 127). წერილში შემოთავაზებულია ადრე ნახსენები თუმანოვის კანდიდატურა, რომელიც გაიგზავნა კიდევ ბილბაოში და რომელიც, ერთ-ერთი ახალგაზრდა ესპანელი მკვლევარის თქმით, „სხვა არავინ იყო თუ არა „НКВД-ს ხელმძღვანელი ამ ზონაში“ (Vázquez Liñán 2003: 56).

მ. როზენბერგი მალე აღმოჩნდა უხერხულ მდგომარეობაში. მისი ჩამოსვლა გაიგივებული იყო სწრაფ დახმარებასთან, რომელიც მოსკოვიდან უნდა წამოსულიყო, მაგრამ სტალინი ფეხს ითრევდა. როზენბერგის არაერთგზის გამოგზავნილ წერილებზე მ. ლიტვინოვის პასუხი შემდეგი იყო: „საკითხი ესპანეთის დახმარების შესახებ თქვენი გამგზავრების შემდეგ ბევრჯერ განიხილებოდა, მაგრამ ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ აქედან შეუძლებელია რამის გაგზავნა. აუცილებელია განემარტოს მეგობრებს, რომ ტერიტორიული სიშორის, მოთხოვნილი კალიბრის შაშხანების და ტყვიების არქონის, მეამბოხეების მიერ ტრანსპორტის დაჭერის საფრთხის გამო ჩვენი შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია. ამასთან, ჩვენი მხრიდან დახმარება გერმანიას და იტალიას მისცემდა საბაბს ღია ინტერვენციისა და მეამბოხეების იმ დოზით მომარაგებისთვის, რასაც ჩვენ ნამდვილად ვერ დავეწვეით“ (АВП, Ф. 010, оп. 11, п. 71, д. 53 л. 58).

ასეთ ვითარებაში როზენბერგს უხდებოდა ესპანეთის მთავრობისგან, განსაკუთრებით პრემიერ მინისტრისგან, პრეტენზიების მოსმენა. როგორც ამერიკელი ჟურნალისტი ლუის ფიშერი თავის წიგნში იხსენებს, „როცა მე გადავეცი ლარგო კაბალიეროს ურიცკის (სემიონ ურიცკი იმ დროს სამხედრო დაზვერვის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი – ზ.გ) ნათქვამი, რომ ესპანეთის მთავრობამ უნდა მოითხოვოს მეტი ამუნიცია, მან გაცემა გამოხატა. ჩვენ ვითხოვეთ ყველაფერი, მაგრამ ძალიან ძნელია როზენბერგთან საუბარი. ის გისმენს და არაფერს გეუბნება... როზენბერგის სიტყვაძვირობა ხშირად აღიზიანებდა ექსპანსიურ ესპანელებს“ (Fischer 1941: 412).

როზენბერგი ძალიან კარგად ხვდებოდა, რომ სტალინის პოლიტიკა ესპანეთში ჰიტლერის მსგავსი იყო, ანუ სტალინს რესპუბლიკის სწრაფი გამარჯვება არ აწყობდა, მაგრამ ამ საკითხში მისი კომპეტენცია ძალიან შეზღუდული იყო და რომც მოენდომებინა, ვერაფერს შეცვლიდა.

როზენბერგის და ანტონოვ-ოვსეენკოს ქცევა ესპანეთში იყო პრინციპულად

ინტერვენციონისტული, მაგრამ არსებითად განსხვავებული პიროვნული და მუშაობის სტილის თვალსაზრისით. ბრალდებები ძირითადად ისმოდა როზენბერგის მიმართ, კერძოდ, საკუთარი მნიშვნელობის გაზვიადება, რესპუბლიკური მთავრობისადმი უყურადღებობა და უპატივცემლობა, თვითნებობა და ა.შ. მისი ცხოვრების სტილიც კი განსხვავებული იყო იმ სტილისგან, როგორც ის ცხოვრობდა პარიზსა და ჟენევაში.

ლუის ფიშერი, რომელიც ხშირად სტუმრობდა როზენბერგს, იხსენებდა: „მას მე ვხვდებოდი თითქმის ყოველდღე, სანამ მადრიდს დატოვებდა. ჩვენ ვსაუბრობდით ან მის კაბინეტში, ან პარკში, სადაც მანქანით დაყვავდი, ან კიდევ მუშათა კვარტალში, სადაც ფეხით ვსეირნობდით. ის სუსტი და ავადმყოფი ადამიანი იყო და ყოველდღიურად გარკვეული დოზით ფიზიკურ დატვირთვას საჭიროებდა. როცა მანქანით ვმგზავრობდით, ერთი პიროვნება ესპანური დაზვერვის სამსახურიდან იჯდა მძღოლის გვერდით. ჩვენს მანქანას მოჰყვებოდა სხვა მანქანა, რომელშიც იჯდა ექვსამდე ახალგაზრდა დაცვის წევრი. როგორც კი როზენბერგის მანქანა გაჩერდებოდა, ისინი სწრაფად გადმოხტებოდნენ თავიანთი მანქანიდან, დაჰყვებოდნენ მას ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ზოგჯერ ის შემოტრიალდებოდა და დაუცავცხანებდა მათ, როცა შედიოდა საპირფარეშოში, გარშემოერთმებოდნენ კაბინის თხელ კედელს და ელოდებოდნენ“ (Fisher 1941: 361).

როზენბერგმა ესპანური ენა არ იცოდა და არც ესპანელების ხასიათს იცნობდა. საინტერესო ისაა, რომ ის არც ცდილობდა ესპანელების სულის სიდრმის გამოძიებას, რაც მისი პიროვნებისთვის უჩვეულოა (აღბათ ეს მას ზედმეტად მიაჩნდა – ზ.გ.). ისევ ფიშერს მოყვანილი აქვს ფაქტი, რომლის დროსაც საბჭოთა ელჩმა ელემენტარული უვიცობა ანაც გულგრილობა გამოავლინა. „ჩვენ გავვდით პარკში, სადაც ამ დროს ვარჯიშობდნენ მილიციელები. მათ მაშინვე იცნეს ელჩი, მიესალმნენ ზეაწეული მუშტებით და შეძახილით «Viva Rusia!».

«Viva España!» – უპასუხა ელჩმა. ამაზე ისინი შეცბნენ.

ეს ფაშისტური შეძახილია, ვუთხარი მე მას. თქვენ უნდა გეთქვათ «Viva La Republica!».

«Viva La Republica!» – გაიმეორა მან ხმამაღლა“ (Fisher 1941: 361).

ლუის არაკისტაინი როზენბერგის ქცევებს ესპანეთში შემდეგნაირად გადმოგვცემს: „მეტი, ვიდრე ელჩი, [როზენბერგი] იქცეოდა როგორც რუსეთის მეფისნაცვალის ესპანეთში. ის ყოველდღიურად სტუმრობდა ლარგო კაბალიეროს, ხშირად მაღალი რანგის რუსი სამხედრო თუ სამოქალაქო პირების თანხლებით. ამ

ვიზიტების დროს, რომელიც საათობით გრძელდებოდა, როზენბერგი ესპანეთის მთავრობის მეთაურისთვის ინსტრუქციების მიცემას ცდილობდა... მისი წინადადებები, რომელიც პრაქტიკულად ბრძანებები იყო, უკავშირდებოდა ძირითადად არმიის ოფიცრებს, რომელი გენერალი თუ პოლკოვნიკი იყო შესაცვლელი და ვინ უნდა დანიშნულიყო მათ ადგილას. ეს რეკომენდაციები ემყარებოდა არა ოფიცრების კომპეტენციას, არამედ მათ პოლიტიკურ მრწამსს და კომუნისტებისადმი მათ ლოიალობას“ (Araquistain 1939: 11).

როგორც ამბობდა კორტესების დეპუტატი მემარცხენე სოციალისტებიდან ხინეს განგა, როზენბერგი „ატარებდა ჯიბის ბლოკნოტს შენიშვნებით... მიზანშეწონილი იქნებოდა X-ის შეცვლა, ამა და ამ დივიზიის მეთაურის შეცვლა Z-თი. A – ამა და ამ სამინისტროს მუშაკი, ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, მიზანშეწონილი იქნებოდა მისი შეცვლა B-თი. აუცილებელია M-ის დაპატიმრება და მისი პასუხისგებაში მიცემა არალოიალობის გამო და დაუსრულებლად“ (Bolloten 1991: 319).

ამერიკელი ისტორიკოსი ბარნეტ ბოლოტენი ვარაუდობს, რომ მაღალი რანგის საბჭოთა ოფიცერი, რომელიც როზენბერგს თან ახლდა ლარგო კაბალიეროსთან ხშირი ვიზიტების დროს, იყო ალექსანდრე ორლოვი, რომელსაც, უეჭველია, საბჭოთა დიპლომატები მუდმივი თვალთვალის ქვეშ ჰყავდა. ამოცანა იმიტომაც მარტივდებოდა, რომ მისი შტაბი განთავსებული იყო საბჭოთა საელჩოში. აქედან გამომდინარე, ბოლოტენი ასკვნის: „თუ როზენბერგი კრემლის პოლიტიკას გადაუხვევდა ან გაბედავდა შინსახკომის მეთოდების გაკრიტიკებას, როგორც ეს გააკეთეს, მაგალითად, ბერზინმა და სტაშევსკიმ, მისი ეს ქცევა დაუყოვნებლივ ეცოდინებოდა კრემლს“ (Bolloten 1991: 319).

როზენბერგის ქცევები ეწინააღმდეგებოდა იმ დიპლომატის სიტყვებს, რომელიც ცოტა ხნით ადრე რესპუბლიკის პოლიტიკური ინსტიტუტების პატივისცემის ვადდებულებას იღებდა. თუ ბევრი ჩინოვნიკი ტოლერანტული იყო საბჭოთა ელჩის მიმართ, ეს დაკავშირებული იყო ომის მოთხოვნებთან და რუსული სამხედრო დახმარების მნიშვნელობასთან, მაგრამ პრემიერ მინისტრი ლარგო კაბალიერო დაიღალა როზენბერგის ხშირი ვიზიტებით, არაორაზროვანი მოთხოვნებით და უხეშობით.

როზენბერგს ვიზიტების დროს თარჯიმნობას უწევდა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ხულიო ალვარეს დელ ვაიო, რომლის შესახებაც ი. პრიეტო ამბობს: „ალვარეს დელ ვაიო, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, იყო

არა მხოლოდ თარჯიმანი როზენბერგის მთავრობის მეტაურთან ხშირი ვიზიტებისას, არამედ გადიოდა ელჩთან და რუს სამხედრო მრჩეველებთან კონსულტაციებს, თითქოს იყო მათი უპირობო მოკავშირე და თითქოს განსხვავებული მოტივი და ინტერესი ესპანეთის რესპუბლიკასთან მიმართებაში არ შეიძლებოდა ჰქონოდა“ (Vázquez Liñán 2003: 58).

როზენბერგის თავხედურმა, თავდაჯერებულმა და აბეზარმა ქცევამ რესპუბლიკური მთავრობიდან ბევრი მის საწინააღმდეგოდ განაწყო, ეს ეხებოდა საკუთარ თანამშრომლებსაც. სამხედრო არქივში არის დოკუმენტი, სადაც სამხედრო ატაშე ვ. გორევი ჩივის როზენბერგის ქცევებთან დაკავშირებით. 1936 წლის 16 ოქტომბერს ის ვოროშილოვისადმი მიწერილ წერილში საუბრობდა, რომ ელჩს ეშინოდა ძალუფლების დაკარგვის; რომ ვინმეს შეეძლო მასზე მეტი გაეკეთებინა; რომ ის უქმად ხარჯავდა ენერგიას ყველაფრის შემოწმება-ინსპექტირებაში და თავისუფალი მუშაობის საშუალებას არ აძლევდა თანამშრომლებს; ნერვიულობდა, როცა ვინმე ცდილობდა საკითხში ჩაღრმავებას და ა.შ. „...რა თქმა უნდა, ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ არაა კარგი აქაური საქმისთვის. მსუბუქი თვალთვალი მისი მხრიდან ნიშნავს, რომ მას ხეების თვლაში ტყე გამოჩნება. არ იქნებოდა ცუდი, მიგეწერათ მისთვის წერილი კარგი მეგობრული რჩევებით ამ პრობლემაზე, მაგრამ გთხოვთ, გააკეთოთ ეს ფრთხილად, ისე, რომ მე არ გამომაჩინოთ“ (PTBA, ფ. 33987, ოპ. 3, დ. 832, პ. 239. ციტირებულია წიგნიდან: Spain Betrayed 2001: 94-95).

ამ შეფასებას სხვებიც იზიარებდნენ. საბჭოთა საელჩოს პოლიტიკური მუშაკი ი. გაიკისი აცნობებდა მოსკოვს, რომ მადრიდში ჩამოსვლიდან მოკლე ხანში მას მოუვიდა პირველი წაკინკლავება როზენბერგთან. ელჩი მას ისე ელაპარაკა, „როგორც ბოლშევიკი არ უნდა ლაპარაკობდეს“ (Spain Betrayed 2001: 298).

ამასთან დაკავშირებით მ. ლიტვინოვი გაიკისს 1936 წლის 28 დეკემბერს წერდა: „რა თქმა უნდა, თქვენთვის ცნობილია, რომ ამხ. როზენბერგი ჯერ კიდევ მოსკოვში თავის ჩამოსვლამდე აყენებდა საკითხს თქვენთან თანამშრომლობის შეუძლებლობის შესახებ. ეს საკითხი მოსკოვში ჩამოსვლისას მან კვლავ დააყენა. როზენბერგი გაძლევთ თქვენ ბრწყინვალე დახასიათებას როგორც პოლიტიკურ მუშაკს, მაგრამ ჩივის თქვენი მხრიდან ღოიანობის ნაკლებობაზე, თვითნებურ მოქმედებებზე, მასთან შეუთანხმებლობაზე... ჩვენ როზენბერგის განცხადება არასაკმარისად მივიჩნიეთ და გადავარწმუნეთ იგი. მე გთხოვთ, გააკეთოთ ყველაფერი, რაც თქვენზეა დამოკიდებული, რათა დააღაგოთ მეგობრული, ამხანა-

გური ურთიერთობა როზენბერგთან. თქვენ არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ესპანეთში მუშაობაზე პასუხისმგებელი არის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, დანარჩენი მუშაკები მას უნდა დაემორჩილონ და მოვალენი არიან შეასრულონ მისი დირექტივები“ (АВП, ф. 010, оп. 11, п. 71, д. 53, л. 170).

მოკლედ რომ ვთქვათ, 1936 წლის დეკემბერში საუბრებმა როზენბერგის საეჭვო ქცევებთან დაკავშირებით სტალინის ყურამდე მიაღწია. შედეგად, საბჭოთა ლიდერმა ლარგო კაბალიეროს გაუგზავნა პირადი წერილი, რომელშიც, სხვათა შორის, ითხოვა როზენბერგის ესპანეთში საქმიანობის შეფასება. თუ ჰიუ თომასს დაუფჯერებთ, აღნიშნული წერილი კაბალიეროს ოფისში მოვიდა 21 დეკემბერს და ვერავინ ამოიკითხა, ვინ აწერდა ხელს, მოიწვიეს კომინტერნის აგენტი კოდოვილია, მაგრამ ვერც მან გაარჩია. მხოლოდ როზენბერგის თანამშრომლებმა საბჭოთა საელჩოდან გაშიფრეს სტალინის, მოლოტოვის და ვოროშილოვის გვარები (Томас 2003: 341).

აღნიშნული წერილი, რომელიც კონკრეტულ ინსტრუქციებს შეიცავს, ყოველმხრივ საინტერესოა. მასში სტალინი ვრცლად საუბრობს ესპანური რევოლუციის თავისებურებაზე, იმ სპეციფიკაზე, რითაც ის რუსული რევოლუციისგან განსხვავდება და ვარაუდობს, რომ ესპანური რევოლუციის განვითარებისთვის საპარლამენტო გზა უფრო ხელსაყრელი იქნებოდა და ა.შ. ის საუბრობს საბჭოთა სამხედრო ინსტრუქტორების ამოცანებზე და აღნიშნავს: „მათ კატეგორიულად უნდა გაითავისონ და მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ, მიუხედავად სრულად გაცნობიერებული სოლიდარობისა, რაც აკავშირებს ერთმანეთთან ესპანელ და საბჭოთა ხალხებს, ესპანეთში მყოფი საბჭოთა ამხანაგები შეიძლება ჭკუშმართად სასარგებლო იყონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მკაცრად შეასრულებენ მრჩევლის და მხოლოდ მრჩევლის როლს. ჩვენ ვფიქრობთ, ეს არის ზუსტად ის ფორმა, რომელშიც ჩვენს სამხედრო ამხანაგებს გამოიყენებთ. მეგობრულად გთხოვთ, შეგვატყობინოთ, რა ეფექტურობით შეასრულებენ ისინი მათთვის მინდობილ ამოცანებს; მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ სამსახურს პოზიტიურად მიიჩნევთ, შესაძლებელი იქნება მათი საქმიანობის გაგრძელება. ჩვენ ასევე გვინდოდა, გაგვეგო თქვენი აზრი ღიად და გულწრფელად ამხანაგ როზენბერგის შესახებ: არის ესპანეთის მთავრობა კმაყოფილი მისით თუ ის შესაცვლელია სხვა წარმომადგენლით?“ (History in Dispute: The Spanish Civil War, Volume 18 2005: 227; Война и революция: 420).

საპასუხო წერილში, რომელიც თარიღდება 12 იანვრით (და არა 2 იანვრით,

როგორც ეს არის პასლამთან, თუმცა არაა გამორიცხული, ეს ბეჭდვის დროს დაშვებული შეცდომა იყოს) (Haslam 1984: 130). კაბალიეროს პოზიცია კორექტული და კეთილგანწყობილი იყო როზენბერგის და სხვა რუსი სამხედრო მრჩეველების მიმართ: „ის ამხანაგები, რომლებიც მოვიდნენ ჩვენს დასახმარებლად, დიდ სამსახურს გვიწვევენ. მათი უზარმაზარი გამოცდილება სასარგებლოა ჩვენთვის... მე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ისინი თავიანთ მოვალეობებს უზადო ენთუზიაზმით და უჩვეულო სიმამაცით ასრულებენ. რაც შეეხება ამხანაგ როზენბერგს, მე შემიძლია მთელი გულწრფელობით ვთქვა, რომ ჩვენ კმაყოფილები ვართ მისი ქცევით და მოღვაწეობით. ის აქ ყველას უყვარს, ძალიან ბევრს მუშაობს და საფრთხის ქვეშ აყენებს თავის ისედაც სუსტ ჯანმრთელობას“ (Forrest 2000: 106; Война и революция: 421). წერილი თავისთავად საინტერესოა და ძნელი შესაფასებელია, რა აზრი დევს მასში. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ეჭვქვეშ დგება ელჩსა და პრემიერს შორის მომხდარი ცნობილი ისტორიები, თუ ეს არის პრემიერის მხრიდან საბჭოთა ხელმძღვანელობასთან საუკეთესო ურთიერთობის სურვილის მაჩვენებელი? ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ზუსტი ფორმულა მოცემულია ლუის არაკისტაინთან. ლარგო კაბალიეროს პასუხი იყო არაერთაზროვანი, მაგრამ მსუბუქად ნეგატიური, „ელჩის ჯანმრთელობაზე ყურადღების გამახვილებით. როგორც ჩანს, კაბალიერომ მიანიშნა, შესაძლოა, პაერის გამოცვლამ მასზე კარგად იმოქმედოს“ (Araquistain 1939: 11).

მალე პრემიერსა და ელჩს შორის ახალი და სერიოზული კონფლიქტი მომწიფდა. როზენბერგის ურთიერთობა ლარგო კაბალიეროსთან განსაკუთრებულად დაიძაბა გენერალ ასენსიოსთან დაკავშირებით. ლარგო კაბალიერომ, რომელიც ასევე თავდაცვის მინისტრი იყო, მოადგილედ დანიშნა გენერალი ხოსე ასენსიო. კომუნისტები მას განიხილავდნენ მთავარ წინააღმდეგობად არმიაში სრული კონტროლის დამყარების გზაზე. ამიტომაც ისინი მის მოსაშორებლად მიზეზს ეძებდნენ. მაღაგის დაცემის შემდეგ ასენსიო გახდა მთავარი სამიზნე. ამ კამპანიას ლარგო კაბალიერო თავის მოგონებებში ასე აღწერს: „კომუნისტური პარტიის მიერ გენერალ ასენსიოს წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას არ აქვს სახელი. ეს არის რუბიკონის გადალახვაზე უარის თქმა, სხვა ახსნა ამას არ აქვს... მე უნდა შემეცვალა ის არმიის მმართველობიდან და შემეცვალა გენერალ პოსასით. ...რატომ? – ვეკითხებოდი მათ. „იმიტომ რომ ის არის მოღალატე“. ...საბუთი, მტკიცებულება? პასუხობდნენ: „მოვიტანო“. ეს სცენა მეორდებოდა მუდმივად კომუნისტური პარტიის კომიტეტის, მათი მინისტრების, მათი ელჩის მიერ, მაგრამ არას-

დროს არაფერი მოუტანიათ“ (Largo Caballero 1976: 113).

ვერ მიადწიეს რა მიზანს, ბოლოს კომუნისტებმა, როგორც ჩანს, წამოაყენეს უმწეო არგუმენტები, რომ ის იყო ლოთი და მექალთანე. „ერთხელაც, არც მეტი, არც ნაკლები, რუსი ელჩი სენიორ როზენბერგი მეწვია ალვარეს დელ ვაიოს თანხლებით იგივე მოთხოვნით, რასაც ითხოვდა პარტიის კომიტეტი. ეს იყო ბოლო წვეთი, ავდექი სკამიდან და არადიპლომატიური ტონით მოვთხოვე მას გასულიყო და ამ თემაზე მეორედ არ ელაპარაკა“ (Largo Caballero 1976: 114).

ალვარეს დელ ვაიოსთან მარტო დარჩენილმა პრემიერმა უსაყვედურა მინისტრს კომუნისტებთან ახლო ურთიერთობების გამო, ასევე ის, რომ მტკიცებულებების გარეშე გენერალს დალატში სდებდნენ ბრალს მაშინ, როცა პრემიერს, პირიქით, კომუნისტების ლოიალობასა და პატიოსნებაში ეპარებოდა ეჭვი და ამის მტკიცებულებებიც გააჩნდა. მინისტრმა მიპასუხა „როცა ხალხი ამას ამბობს, თუნდაც უსამართლოდ, საჭიროა მისი დათხოვნა. კარგი თეორიაა! მაგრამ ვინ ხალხი ამბობს? მხოლოდ კომუნისტები და არავინ სხვა“, – წერს ლარგო კაბალიერო (Largo Caballero 1976: 114).

ეს შემთხვევა დასტურდება უამრავი თვითმხილველის მიერ. იგი ხატოვნად აქვს აღწერილი ზემოთ ნახსენებ ხინეს განგას, რომელიც ამტკიცებს, რომ როზენბერგი დაემუქრა საბჭოთა დახმარების შეწყვეტითაც კი, სანამ დაკმაყოფილებული არ იქნებოდა მისი მოთხოვნა. „ერთ დილას როზენბერგის ვიზიტი გაგრძელდა თითქმის ორი საათი, უცებ მოისმა მოხუცის [კაბალიეროს] ყვირილი, მდივნები შეგროვდნენ კარებთან, მაგრამ ვერავინ ბედავდა შესვლას. კაბალიეროს ყვირილი უფრო ინტენსიური ხდებოდა, შემდეგ ყველასთვის მოულოდნელად გაიღო კარები, ასაკოვანი პრემიერი იდგა თავისი მაგიდის წინ, ხელი გაშლილი ჰქონდა, თითოთ კარებისკენ უთითებდა და ათრთოლებული ხმით იმეორებდა: „მიბრძანდით, მიბრძანდით. თქვენ უნდა იცოდეთ, ამხანაგო ელჩო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, ესპანელები, ღარიბები ვართ და უცხოური დახმარება გვჭირდება, ჩვენ საკმაოდ ამაყები ვართ იმისთვის, რომ უცხოელს არ მივცეთ ნება, თავს მოახვიოს თავისი სურვილი მთავრობის მეთაურს! შემდეგ მიუბრუნდა საგარეო საქმეთა მინისტრს და უთხრა: უკეთესი იქნება, დაიხსომოთ, თქვენ ხართ ესპანელი და რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი და თქვენ არ უნდა შეითქვათ უცხოელ დიპლომატთან, რათა ზეწოლა მოახდინოთ საკუთარი ქვეყნის პრემიერ მინისტრზე“ (Bolloten 1961: 273; Alpert 1994: 72). მიუხედავად ამისა, საბოლოო ჯამში 1937 წლის 21 თებერვალს ასენსიო გადაყენებულ იქნა და მის ადგილას და-

ინიშნა კარლოს დე ბარაიბარი, ისევ ლარგო კაბალიეროს გარემოცვიდან.

ზემოთ მოყვანილი ფაქტებისა და მიღებული აზრის მიუხედავად, ზოგიერთი მკვლევარი, მათ შორის თანამედროვე რუსი ისტორიკოსი ნ. პლატოშკინი წერს, რომ არც როზენბერგი და არც ანტონოვ-ოვსენკო არ მონაწილეობდნენ ესპანეთის ხელმძღვანელობის მიერ საკადრო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და, მით უმეტეს, არ ახვედნენ ესპანელებს საკუთარ კანდიდატურებს თავს. მისი თქმით, როცა 1937 წ. მარტში ანტონოვ-ოვსენკო ჩაება საჯარო პოლემიკაში ანარქისტულ გაზეთთან «Solidaridad Obrera», როზენბერგმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში ითხოვა, მიეცათ მითითება გენერალური კონსულისთვის, შეეწყვიტა მსგავსი მოქმედება, რათა არ შელახულიყო ანარქისტი ლიდერების თავმოყვარეობა. ნ. პლატოშკინის აზრით, როზენბერგმა კაბალიეროს რისხვა გამოიწვია იმის გამო, რომ მოითხოვდა ომის უფრო ენერგიულად წარმოებას და სამხედრო დახმარების უფრო ეფექტურად და რაციონალურად გამოყენებას (Платошкин 2005: 313).

აფასებდა რა როზენბერგის მუშაობას, რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ალვარეს დელ ვაიო წერდა: „ნაციისტებისთვის ხელსაყრელ ატმოსფეროში ამბოხებულთა პროპაგანდამ წარმოადგინა იგი, როგორც „წითელი ესპანეთის“ ნამდვილი დიქტატორი. დევნილობაში მყოფი დიპლომატიური სამსახურის ყოფილი წევრების მიერ რიგი გაკეთებული „აღმოჩენები“ ემსახურებოდა ამ აზრის განმტკიცებას, რომ როზენბერგი თავისი ელჩობის განმავლობაში წარმართავდა ესპანეთის საგარეო პოლიტიკას. რომ არ იყოს თანაბრად ამო და უბადრუკი ამ სახის პოლემიკაში შესვლა, მე შემიძლია მოვიყვანო უამრავი ფაქტი ამის უსაფუძვლობის და აბსურდულობის დასამტკიცებლად. მათ პასუხი გაეცემათ და ამის დროც მალე მოვა“ (del Vayo: 242).

ბოლოს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ 1937 წლის თებერვალში როზენბერგი გაიწვიეს მოსკოვში. როგორც ფიშერი იხსენებს, ჭორები გავრცელდა მისი დასჯის შესახებ, მაგრამ „ავვისტოს თვეში მე მას შევხვდი კაფე მეტროპოლში, მოსკოვში ჩემი ვიზიტის დროს და მითხრა, რომ დაინიშნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლად თბილისში, თუმცა მას ეს ადგილი არასდროს დაუკავებია და ის დაიკარგა 1937 წლის შემდეგ. არის ის მკვდარი? ვინ იცის! არც მისმა ოჯახმა იცის რამე. გაურკვეველობა – აი, საბჭოთა წმენდის ერთ-ერთი ყველაზე საშინელი თავისებურება⁶³ (Fisher 1941: 437).

⁶³ დაპატიმრებამდე როზენბერგი ცხოვრობდა მისამართზე სტრომინსკის შესახვევი, სახლი 7/23

§3. სტალინის გადაწყვეტილება ესპანეთის რესპუბლიკისთვის სამხედრო დახმარების აღმოჩენის შესახებ (მიზეზები და შედეგები)

პოლიტბიუროს სხდომების დღის წესრიგის კატალოგის თანახმად, საბჭოთა ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება ესპანეთის კანონიერი მთავრობისთვის სამხედრო-ტექნიკური დახმარების აღმოჩენის შესახებ მიიღო 1936 წლის 28 სექტემბერს (*Политбюро. Повестки дня заседаний*. 2001: 808),⁶⁴ საწვავის მიწოდების შესახებ პირველი გადაწყვეტილების მიღებიდან (22 ივლისი) 67 დღეში. ამ ხნის განმავლობაში ხდებოდა მოვლენების მოსალოდნელი შედეგების გულდასმით შესწავლა და დახმარებისთვის დიპლომატიური სარჩულის შექმნა. საკითხი განიხილებოდა სხვადასხვა დონეზე, მუშავდებოდა გეგმები და ა.შ. სტალინის ერთ-ერთი უცხოელი ბიოგრაფი, საუბრობს რა საბჭოთა ლიდერის თვისებებზე, გამოყოფს მის სიღინჯეს, რა დროსაც ხდება კრიზისების და ცვლილებების მიმართ შეჩვევა-მისადაგება და მხოლოდ შემდეგ გადაწყვეტილების მიღება (Conquest 1991: 69). ეს კარგად გამოვლინდა ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს. ჰიუ თომასიც, რომლის ნაშრომს ზოგადად მსუბუქი ირონია დაჰკრავს, სტალინის რეაქციას ესპანეთის მოვლენებისადმი „კიბორჩხალას მოუქნელობას“ ადარებს (Томас 2003: 202).

მიუხედავად ჩაურევლობის წინადადებაზე დადებითი პასუხისა (6 აგვისტო), საბჭოთა ხელმძღვანელობა 1936 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში არ გამოირიცხავდა მადრიდის მთავრობისთვის სამხედრო დახმარების აღმოჩენის შესაძ-

ბ. 4. თავისი სახლის ფანჯრებიდან ის გაპყურებდა ციხე „მატროსსკაია ტიშინას“ და თავისი მომავალიც ძალიან ბუნდოვნად ესახებოდა. ბოლოს მან გადაწყვიტა წერილი მიეწერა სტალინისთვის. პასუხი ამ წერილზე, რა თქმა უნდა, არ ყოფილა. 1937 წლის 26 დეკემბერს როზენბერგი დააპატიმრეს, ჩხრეკა ჩაატარეს სწრაფად და ფორმალურად. წაყვანის წინ ცოლს დაუბარა, რომ მისი ბედით არ დაინტერესებულყო. 1955 წელს მოსკოვში ჩამოსულმა ცნობილმა ჟურნალისტმა და მ. როზენბერგის მეგობარმა ჟენევივ ტაბუიმ სცადა მისი ბედის გარკვევა. პასუხები იყო: „არ არის ცნობილი“, „არ ვიცი“, – თითქოს ასეთი აღამიანი არც არსებობდა. 1957 წელს მარსელის ცოლმა მარიანა იაროსლავკაიამ (გუბელმანი) მიიღო ცნობა, სადაც ეწერა: „1938 წლის 8 აპრილს დახვერტილი მარსელ იზრაელის ძე როზენბერგის მიმართ საქმე ახლად გამოვლენილი გარემოებების და დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო დახურულია, ხოლო როზენბერგი რეაბილიტირებულია სიკვდილის შემდეგ“ (Тайны разведки. Секретные миссии: 32:57 - 37:00).

⁶⁴ რიბალკინი, მეშერიაკოვი და სხვები ასახელებენ 29 სექტემბერს (Рыбалкин 2000: 28; Мещеряков 1993/a: 85)

ლებლობას. 9 აგვისტოს ნ. კრესტინსკი სტალინს წერდა, რომ პარიზში საბჭოთა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა, მოსკოვის ინსტრუქციების თანახმად, „უკვე ნაწილობრივ დააზუსტა საკითხი ესპანეთის მთავრობისთვის ინგლისში საბრძოლო მასალის სავარაუდო შესყიდვის თაობაზე“. ანუ ოპერაცია პროცედურულად რეექსპორტის სახით იგეგმებოდა (მესამე სახელმწიფოს მეშვეობით). თუ საბჭოთა მთავრობა დააკმაყოფილებდა ესპანელების თხოვნას, შემდგომი გარიგებებისთვის შესაძლებელი იქნებოდა საბჭოთა ფირმების გამოყენება, მაგრამ ამას კრესტინსკი სხვადასხვა რისკებს უკავშირებდა. ის თვლიდა, რომ ინგლისური ფირმები, რომლებიც მზად იყვნენ ევაჭრათ ნებისმიერ მესამე სახელმწიფოსთან, შეშინდებოდნენ, როცა მხარედ საბჭოთა კავშირს იხილავდნენ და ამით „ჩვენ არათუ დავეხმარებით, არამედ ვავნებთ ესპანელებს, ჩავშლით შესყიდვებს“. სახალხო კომისრის მოადგილის აზრით, გონივრული იქნებოდა, თუ მადრიდი მიმართავდა მექსიკას ან სხვა სამხრეთ ამერიკული ქვეყანას: „პატარა ამერიკული სახელმწიფოს ნებისმიერი კონსული თუ სამხედრო ატაშე დათანხმდება გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ შესთავაზოს თავისი ქვეყნის რომელიმე ფირმა“ (АВП Ф. 010 оп. 11 п. 71 д. 53 л. 29-30). ეს დოკუმენტი მნიშვნელოვანია, რამდენადაც შეიძლება ჩავთვალოთ როგორც საბჭოთა ხელმძღვანელობის მხრიდან პირველი ინტერესის გამოვლენა ესპანეთის რესპუბლიკისთვის იარაღის და საბრძოლო მასალის მიწოდებასთან დაკავშირებით. როგორც ვხედავთ, მოსკოვში ადრიდანვე განიხილებოდა რესპუბლიკის დახმარება სხვადასხვა აგენტების (ამ შემთხვევაში ფირმების) გზით დიდ ბრიტანეთში, თუმცა „ბრიტანული გზა“ მალე „დაიხურა“, კერძოდ, 15 აგვისტოს, როდესაც ინგლისი ოფიციალურად შეუერთდა ჩაურევლობის შეთანხმებას.

პირდაპირი ფორმით საბჭოთა მხარე ესპანეთზე მხოლოდ საწვავს ჰყიდდა, სტალინი მთლიანად ნავთობის მიწოდებაზე იყო ორიენტირებული. 14 აგვისტოს სოჭში დასასვენებლად წასვლამდე ის დაუკავშირდა ნ. კრესტინსკის და უბრძანა, მოეგვარებინა საკითხი ამ მიმართულებით. სამი დღის შემდეგ პოლიტბიურო შეუდგა ამ ბრძანების აღსრულებას. 17 აგვისტოს პოლიტბიურომ დაადგინა შემდეგი: „დაევალოს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, დაუყოვნებლივ მიჰყიდოს ესპანელებს მაზუთი... საჭირო რაოდენობით, ყველაზე შეღავათიან პირობებში“ (*Политбюро и Европа* 2001: 340). მომდევნო დღეს, 18 აგვისტოს, სოჭიდან სტალინმა წერილი გამოუგზავნა ლ. კაგანოვიჩს და ვ. ჩუბარს, სადაც იმეორებდა, რომ აუცილებლად თვლიდა ნავთობის ესპანელებისთვის შეღავათიან პირო-

ბებში მიყიდვას და განაგრძობდა: „თუ ესპანელებს სჭირდებათ პური და, ზოგადად, პროდუქტები, ყველაფერი ეს მათ უნდა მივიყიდოთ შეღავათიან პირობებში. შემატყობინეთ, უკვე რა რაოდენობით ნავთობი მივაწოდეთ ჩვენ ესპანელებს. დაავალეთ საგარეო ვაჭრობას, იმოქმედოს სწრაფად და აკურატულად“ (*Сталин и Каганович. Переписка* 2001: 633). სტალინმა პასუხი იმავე დღეს მიიღო: „დადგინდა, რომ 18.VIII მონაცემებით გაყიდულია 6 ტონა მაზუთი... რაც შეეხება პურს და სურსათს, გავეციოთ მითითებები, სასწრაფოდ გაირკვეს მოთხოვნილება მათზე. გარკვევის შემდეგ გაცნობებთ დამატებით“ (*Сталин и Каганович. Переписка* 2001: 634).

ამრიგად, როგორც ჩანს 22 ივლისიდან 18 აგვისტომდე ესპანეთის მთავრობის გემებმა მიიღეს 6 ათასი ტონა საწვავი. აშკარაა, რომ ეს ნაბიჯები მართალია, მნიშვნელოვანი, მაგრამ არასაკმარისი იყო. 26 აგვისტოს პოლიტიბუროში ჩატარდა თათბირი, რომლის შინაარსზეც ცოტა რამაა ცნობილი. ა. ვინიასი დარწმუნებულია, რომ იმ დროს გაჩნდა პირველად ესპანეთის რესპუბლიკის დახმარების იდეა მოხალისეთა რაზმების გზით (Viñas 2006/b: 80). ეს იყო ინტერნაციონალური ბრიგადების იდეის ჩანასახი, მაგრამ საკითხი მოითხოვდა კარგად გააზრებას და, საბოლოო ჯამში, ის კომინტერნის მიერ ცოტა მოგვიანებით იქნა ორგანიზებული.⁶⁵

1936 წლის სექტემბრის პირველ ნახევარში საბჭოთა პოზიცია ესპანეთის საკითხში შესამჩნევად შეიცვალა. საბჭოთა ხელმძღვანელობას საბოლოო გადაწყვეტილებამდე მისვლა ორმა გარემოებამ უბიძგა: პირველი იყო რესპუბლიკელების სამხედრო პოზიციის გაუარესება, მეორე მემამბოხეთა დახმარება გერმანიის მხრიდან, რომელიც არათუ შეწყდა, პირიქით, გაძლიერდა. სტალინის-

⁶⁵ ინტერბრიგადების შექმნის ისტორია ერთ-ერთი ჩახლართული საკითხია. ისტორიკოსები ან იფარგლებიან იმის კონსტატაციით, რომ ინტერბრიგადები ჩამოყალიბდა კომინტერნის ინიციატივით, ან ამტკიცებენ, რომ მათი შექმნის იდეა სამხედრო ამბოხების დაწყებიდან თითქმის ერთ კვირაში გაჩნდა, როცა 1936 წლის 27 ივლისს პრავდაში კომინტერნის და პროფინტერნის (პროფესიული კავშირების წითელი ინტერნაციონალი) წარმომადგენლებმა საიდუმლო თათბირზე მოილაპარაკეს, მოხალისეთა ინტერნაციონალური კორპუსი შეექმნათ და ის ესპანეთში გაეგზავნათ. მითითებული თათბირის კვალი კომინტერნის არქივებში არაა ნაპოვნი და სავარაუდოდ, ის შემოგდებულია ბერლინის რადიოს მიერ და შემდეგ აიტაცა მემარჯვენე პრესამ. სინამდვილეში ეს საკითხი კომინტერნში 16-17 სექტემბერს იქნა განხილული. საკითხი საარქივო მასალების საფუძველზე დეტალურად აქვს შესწავლილი რუს მეცნიერს მ. მეშჩერიაკოვს (М. Мещеряков, *Судьба Интербригад в Испании по новым документам.* // Новая и новейшая история, 1993, №5, გვ. 18-42).

თვის, რომელმაც ჩაურევლობის პროექტში საბჭოთა კავშირის ფორმალური ჩართვა დაუშვა, ფაშისტური სახელმწიფოების ქცევა ნიშნავდა, რომ მათ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების აბუნად აგდება ჰქონდათ გადაწყვეტილი. შესაძლოა, იტალიის ჩარევა მას ზედმეტად არ აღელვებდა, მაგრამ მესამე რაიხის სხვა საქმე იყო. ამ დროისთვის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს სჭირდებოდა უტყუარი ინფორმაცია უცხოურ დახმარებაზე. როგორც მ. ლიტვინოვი მ. როზენბერგს წერდა, „...თუ დამტკიცდება, რომ ჩაურევლობის დეკლარაციის გვერდის ავლით ამბოხებულთათვის დახმარება იქნა აღმოჩენილი, ჩვენ შეგვეძლება საკუთარი გადაწყვეტილების შეცვლა... საჭიროა უტყუარი მტკიცებულებები ან მიუკერძოებელი მოწმეები“ (АВП, Ф. 010, оп. 11, п. 71, д. 53, л. 58).

6 სექტემბერს სტალინმა ლ. კაგანოვიჩს დაავალა, სწრაფად შეესწავლა საკითხი მექსიკისთვის მაღალი სიჩქარის 50 ბომბდამშენის მიყიდვის შესაძლებლობის შესახებ, რათა შემდგომში ისინი ამ ქვეყნიდან ესპანეთის რესპუბლიკას შეეძინა. ამასთან, „კარგი იქნებოდა 20 საუკეთესო საბჭოთა მფრინავის შერჩევა, რომლებიც ესპანეთში შეასრულებდნენ საბრძოლო ფუნქციებს და ასევე ესპანელ პილოტებს ბომბდამშენებზე ფრენას შეასწავლიდნენ“ (*Сталин и Каганович. Переписка* 2001: 666). სოჭიდან გამოგზავნილი ეს დეპეშა უთითებს, რომ ნ. კრესტინსკის 9 სექტემბრის რჩევები სტალინს ჭკუაში ჩაუჯდა, თუმცა, თუ „ოპერაციონალური“ კუთხით ვიმსჯელებთ, ეს მთლად კარგი ჩანაფიქრი არ იყო. მექსიკისგან, რომელსაც თავისი თანამედროვე სამხედრო ავიაცია არ გააჩნდა, რესპუბლიკისთვის 50 ბომბდამშენის მიყიდვა, მსუბუქად რომ ვთქვათ, დამაჯერებლობას იქნებოდა მოკლებული. ასევე, თუ გავითვალისწინებთ, რა დრო დასჭირდებოდა ამ რთული, ორმაგი ოპერაციის განხორციელებას, გვაფიქრებს, რომ სტალინის მითითებების დიდი ნაწილი ისე ვერ შესრულდებოდა, როგორც ეს მას ჰქონდა გაცემული.

ამავე დროს, სამხედრო დაზვერვისგან მიღებული ახალი ცნობები რესპუბლიკის შესაძლებლობებზე ნეგატიურ სურათს იძლეოდა. დისციპლინის უკმარისობა (განსაკუთრებით ანარქისტებში), ერთიანი სარდლობის არქონა, ცუდი მომზადება და ა.შ., – იყო ის ფაქტორები, რომლითაც რესპუბლიკის წარუმატებლობა აიხსნებოდა. აშკარაა, რომ კონიუნქტურა საბჭოთა ჩარევისთვის შესაბამისი იყო. სწორედ ამ პერიოდში ბათუმში ჩავიდა ესპანური გემი 41 კომუნისტი და ანარქისტი მეზღვაურით, რომელთა შორის იყო კომუნისტი დეპუტატი მალაგიდან კაეტანო ბოლივარი და კიდევ ორი სხვა პირი. 12 სექტემბერს ისინი მოსკოვში,

კომინტერნის სამდივნოში შეხვდნენ პ. ტოლიატის და სთხოვეს 18-20 ათასი შაშხანა, 500 ტყვიამფრქვევი და ა.შ. (The Diary of Georgi Dimitrov 2003: 31-32). ვერაფრით ვამტკიცებთ, მოქმედებდნენ ისინი პირადი ინიციატივით, თუ ესპანეთის მთავრობის ახალი მეთაურის ლარგო კაბალიეროს ინსტრუქციების შესაბამისად.

ასეთ ვითარებაში, 14 სექტემბერს „ლუბიანკაში“ ჩატარდა თათბირი, სადაც ესპანეთის მთავრობის დახმარების საკითხი განიხილეს. ამაზე საუბრობს ვ. კრივიცი და აქედან გავრცელდა ლიტერატურაში (Payne 2004: 141). ვ. კრივიციის თანახმად, ამ თათბირზე მონაწილეობდნენ სამხედრო დაზვერვის მეთაური ს. ურიცი, შინსახკომის საზღვარგარეთული სამსახურის ხელმძღვანელი ა. სლუციკი. ეს ვერსია, რომელიც, ვ. კრივიციის თქმით, მას მოგვიანებით სლუციკიმ მოუყვა, სრული არ არის.⁶⁶ აღნიშნული საკითხის განხილვას ადგილი ჰქონდა უფრო მნიშვნელოვან ადგილას, კერძოდ, კრემლში. მას თავმჯდომარეობდა ვ. მოლოტოვი და მონაწილეობდნენ პოლიტიურს წევრები ა. ანდრეევი და ლ. კაგანოვიჩი, ასევე მ. მოსკვინი კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტიდან. ეს შემადგენლობა მიუთითებს, რომ შეკრებილი იყო საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები, პოლიტიურ და მთავრობა, უფრო დაბალ დონეზე მდგომი კომინტერნი, მასში ასევე მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გ. იაგოდა და ჩვენთვის უკვე ცნობილი ურიცი და სლუციკი (The Diary of Georgi Dimitrov 2003: 32).

შესაძლოა, ცნობები, რომელიც მიიღო კრივიციმ, არასრული იყო ან ის ერთმანეთში ურევს ორ თათბირს (სავსებით დასაშვებია, რომ თათბირი, კონკრეტული დავალებების შესასრულებლად, ლუბიანკაში გაგრძელებულიყო). მისი არგუმენტაციისთვის ალბათ მეტი წონა ექნებოდა თათბირს მოლოტოვის თავმჯდომარეობით. ნიშანდობლივია, რომ მისი ინფორმაციური საუბრობდა შედარებით ნაკლები დონის თათბირზე და არაფერს ამბობდა უფრო მნიშვნელოვანზე. ამ თათბირზე განხილული იქნა რესპუბლიკისთვის შესაძლო დახმარების აღმოჩენა კონტრაბანდული გზით. ალბათ ასევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მესამე ქვეყნებში დაეწყოთ მასალების შექმნა. ეს არის ზუსტად ის, რასაც ამტკიცებდა

⁶⁶ კრივიციის თქმით, ლუბიანკას თათბირზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ესპანეთში კომინტერნის მთელი საქმიანობა უნდა დამორჩილებოდა საბჭოთა პოლიტიკურ პოლიციას, ამ ორგანიზაციასთან უნდა მოეხდინა თავისი მუშაობის კოორდინაცია ესპანეთის კომპარტიას, მოხალისეთა გაგზავნის საკითხი ექვემდებარებოდა საიდუმლო პოლიციურ კონტროლს და ა.შ. (Кривицкий 1991: 134).

ვ. კრივიციკი, როცა საუბრობდა „არარსებული“ საწარმოების ქსელის გზით ოპერაციის განხორციელებაზე და რომელთა შექმნაც მის მიხედვით დაუყოვნებლივ დაიწყო (Кривицкий 1991: 135). ვ. კრივიციკის ვერსიას თუ მივეყვებით, „ლუბიანკაში გადაწვდა, რომ მიწოდებები ერთდროულად მოხდებოდა რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან. ამ საქმის საზღვარგარეთული ნაწილი დამევალა მე, რაც შეეხება სამამულო ნაწილს, ის თვით გ. იაგოდას ხელში იყო... იაგოდამ დაავალა კაპიტან ულანსკის კერძო ფირმების ორგანიზება. ...იაგოდამ უთხრა ულანსკის, რომ ოდესაში იმყოფებოდა სამი ესპანელი, რომელიც არაოფიციალურად ჩამოვიდა იარაღის შესაძენად. მათთან სამუშაოდ შექმენით კერძო, ნეიტრალური ფირმა და იმოქმედეთ“ (Кривицкий 1991: 135). სავსებით შესაძლებელია, ეს სამი ესპანელი სწორედ ზემოთ ნახსენები კაეტანო ბოლივარი და მისი თანმხლები პირები ყოფილიყვნენ.

სექტემბრის განმავლობაში საბჭოთა დიპლომატები და ჟურნალისტები (ძირითადად საფრანგეთში აკრედიტებული) ამოწმებდნენ და აზუსტებდნენ იარაღის გასაგზავნად პოტენციურ მარშრუტებს ესპანეთის რესპუბლიკას და საფრანგეთს შორის. ასე, 12 სექტემბერს საფრანგეთში საბჭოთა წარმომადგენელი ე. ჰირშფელდი ესპანეთში მგზავრობის შემდეგ ნ. კრესტინსკის წერდა შემდეგი სარკინიგზო მარშრუტის შესახებ: პარიზი – ტულუზა – პორტი ბოუ, იქიდან კი ბარსელონა და მადრიდი. 13-14 სექტემბერს 2-3 კაციანი ჯგუფი გაიგზავნა მითითებული მარშრუტის შესამოწმებლად (АВП Ф. 010 оп. 11 п. 71 д. 53 л. 73-74). ასევე შეთავაზებული იყო ორი ავიამარშრუტი: 1. პარიზი – მარსელი – ბარსელონა – მადრიდი; 2. პარიზი – ტულუზი – ბარსელონა – მადრიდი; მარშრუტების ხანგრძლივობა 4,5/5 საათი (АВП Ф. 010 оп. 11 п. 71 д. 53 л. 71-72).

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შესაბამისი მითითებები უკვე იყო გაცემული. ი. რიბალკინის წყალობით, ჩვენთვის ცნობილია სტალინის თავდაცვის სახალხო კომისარ კ. ვოროშილოვთან 26 სექტემბრის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი (დღის 15:45 წთ-ზე), სადაც შესთავაზა შემდეგი საკითხების განხილვა: „1) 80-100 ვიკერსის სისტემის ტანკის (Т-26), ყოველგვარი საბჭოთა ქარხნული ნიშნების გარეშე, მიყიდვა და საჭირო რაოდენობით მომსახურე პერსონალის გაგზავნა; 2) მექსიკის გზით 50-60 სწრაფი ბომბდამშენის გაყიდვა და მათი შეიარაღება უცხოური ტყვიამფრქვევებით“ (Рыбалкин 2000: 29). უკვე მეორე დღეს სახალხო კომისარი წერდა სტალინს: „გასაგზავნად გამზადებულია 100 ტანკი 387

სპეციალისტით; ვაგზავნით 30 თვითმფრინავს ტყვიამფრქვევების გარეშე, 15 თვითმფრინავს სრული ეკიპირებით, გემი ჩავა მექსიკაში და შემდეგ შევა კარტახენაში. ტანკებს ვაგზავნით 50 ცალს“ (Рыбалкин 2000: 29). „მექსიკის გზასთან“ დაკავშირებით ა. ვინიასი ფიქრობს, რომ ამ ეტაპზე მექსიკის ხსენება რეალობისგან შორს იყო და „მექსიკა“ წარმოადგენდა უბრალოდ ტერმინს, რომელიც ესპანეთთან მიმართებაში გამოიყენებოდა (Viñas 2006/b: 88).

ბოლო ნაბიჯი, როგორც უკვე ვთქვით, იყო პოლიტიკოსის (რეალურად სტალინის) 28 სექტემბრის ოფიციალური გადაწყვეტილება, რომელსაც საფუძვლად ედო სადაზვერვო სამსახურების მიერ 14 სექტემბერს შემუშავებული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა საზღვარგარეთ იარაღის შესაძენად და ესპანეთში გასაგზავნად სპეციალური ფორმების შექმნასთან ერთად სსრკ-დან სამხედრო ტექნიკის მიწოდების ორგანიზებას. ესპანეთის რესპუბლიკის სამხედრო-ტექნიკური დახმარებამ მიიღო კოდური სახელწოდება: ოპერაცია „X“.⁶⁷

როგორც რუსი მეცნიერები მ. მეშჩერიაკოვი და მ. ნოვიკოვი ამტკიცებენ (წყარო არცერთგან არ არის მითითებული), დახმარების გეგმის განხილვისას ესპანეთში წითელი არმიის რეგულარული დანაყოფების გაგზავნის საკითხი დადგა. ეს იდეა წამოაყენა სტალინმა, მას მხარი დაუჭირა კ. ვოროშილოვმა, მაგრამ მ. ტუხაჩევსკი და სხვა სამხედრო სპეციალისტები, რომლებიც მონაწილეობდნენ საკითხის განხილვაში, ამ იდეის წინააღმდეგ გამოვიდნენ და შესთავაზეს ესპანეთში მხოლოდ სამხედრო მრჩევლების გაგზავნა (Мещеряков 1993/a: 85; Новиков 2000: 47).

მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას სტალინი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს, ითხოვდა ყოველკვირეულ ინფორმაციას სამხედრო ტვირთიანი გემების მოძრაობის შესახებ და აქტიურად ერეოდა, თუ სიძნელეები იჩენდა. 1936 წლის 16 ოქტომბერს მან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, რომელსაც რესპუბლიკის დამცველთათვის და საერთაშორისო სოლიდარობის მოძრაობისთვის დიდი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა. სტალინმა ესპანეთის კომპარტიის გენერალურ მდივანს ხოსე დიასს გაუგზავნა სოლიდარობის გამომხატველი დეპეშა, სადაც ესპანელი ხალხის ბრძოლა მთელი პროგრესული კაცობრიობის

⁶⁷ ოპერაცია „X“-ის ძირითადი მიმართულებებიდან შეიძლება გამოიყოს: სამხედრო ტექნიკური დახმარება, საბჭოთა სამხედრო მრჩევლების და სპეციალისტების საქმიანობა ესპანეთში, უშუალო მონაწილეობა საომარ მოქმედებებში და ა.შ. (Гагин 1998: 12-17).

საერთო საქმე გამოაცხადა (ДВП XIX: 486). განმარტავდა რა აღნიშნულ დეპეშას და მის მნიშვნელობას, ბარსელონაში საბჭოთა კონსულმა ვ. ანტონოვ-ოვსენკომ 18 ოქტომბერს მიტინგზე განაცხადა: „ამხანაგი სტალინი არასდროს ამბობს ფუჭ სიტყვებს, მისი სიტყვები მუდამ რკინისებურ მოქმედებაში ვლინდება. საბჭოთა კავშირის მშრომელები თქვენ ბრძოლას საკუთარ ბრძოლად თვლიან, თქვენს ფრონტს კი – საკუთარ ფრონტად. მაშ, განვამტკიცოთ ჩვენი ერთობა, განვამტკიცოთ ერთიანი რესპუბლიკური ფრონტი – ეს გამარჯვების აუცილებელი პირობაა“ (АВП Ф.010 оп.11 п.71 д.54 л. 32).

საარქივო დოკუმენტების და ახალი გამოკვლევების (რიბალკინი, შაუფი, კოვალსკი) ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, როგორ მოხდა თანდათან გადახრა საბჭოთა ხელმძღვანელობის მოკრძალებული, მაგრამ მნიშვნელოვანი დასაწყისიდან სრულმასშტაბიან დახმარებამდე. ჩვენს მიერ აღწერილი მოვლენათა თანმიმდევრობა იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ სტალინის გადაწყვეტილება, პირველ რიგში, წარმოადგენს რეაქციას ფაშისტური სახელმწიფოების ჩარევაზე (ინტერაქციული კომპონენტი). ჰიტლერისგან განსხვავებით საბჭოთა დიქტატორს მაშინათვე არ მიუღია გადაწყვეტილება. მისი ქცევა თავიდანვე იყო უფრო ფრთხილი, ვიდრე მუსოლინის ქცევა, რომელიც რამდენიმე დღე ელოდა მოვლენათა განვითარებას. სტალინი თანდათან ამზადებდა ფუნდამენტს შესაძლო ჩარევისთვის და ამას აკეთებდა როგორც ღიად, ისე ფარულად.

შეუძლებელია, არ ვიფიქროთ, რომ სტალინმა საბჭოთა დახმარებას მწვანე შუქი მისცა მაშინ, როცა სრულად გაიაზრა: ამ დახმარების გარეშე რესპუბლიკა განწირული იყო სწრაფი განადგურებისთვის, როგორც ფრანკოსთვის წინააღმდეგობის გაწევის შეუძლებლობის, ისე რესპუბლიკაში არსებულ ჰეტეროგენულ ძალებს შორის უთანხმოების გამო. მუსოლინის და ჰიტლერის მსგავსად, სტალინის ჩარევა ესპანეთის ამბებში მოხდა რესპუბლიკის (ჰიტლერ-მუსოლინის შემთხვევაში, ამბოხებულების) მდგომარეობის გაუარესების შესახებ სრული ინფორმაციის მიღების შემდგომ. მიუხედავად ამისა, თუ ფაშისტი დიქტატორების მოტივები ზუსტად შეიძლება განისაზღვროს, მათი საბჭოთა კოლეგის მოტივები ჩასაწვდომად უფრო რთულია.

ეს თემა არაერთგაროვანი შეფასებების ობიექტი იყო. კომუნისტურ ისტორიოგრაფიაში ამ მხრივ არასდროს შექმნილა კონცეპტუალური სირთულეები. ის იზიარებდა ტრადიციას, რომელიც ჯერ კიდევ სამოქალაქო ომიდან მოდიოდა და მათთვის საბჭოთა ნაბიჯი იყო ფაშისტის წინააღმდეგ ბრძოლაში სოლიდარობის

გამოვლინება. საპირისპირო მხარეს იდგა სხვა ტიპის ლიტერატურა, რომელიც სხვა იდეოლოგიური დადგენილებებით იყო გაჯერებული და რომელიც იძლეოდა სრულიად განსხვავებულ ინტერპრეტაციას. ანარქისტების, ტროცკისტებისა და პოუმისტების აზრით, სტალინს სურდა სისხლში ჩაეხშო ესპანეთის ადგილობრივი პროლეტარიატის ერთგვარი ემანსიპაცია და აღეკვეთა რევოლუცია (ა. სანტილიანი, ფ. ოლაია, რ. ალექსანდერი, ვ. სოლანო, ვ. ალბა). დანარჩენების აზრით, საბჭოთა დიქტატორს სურდა მიეღო ესპანეთში რაღაც მომავალი სახალხო დემოკრატიის არქეტიპი, რომლის მსგავსიც მოგვიანებით შეიქმნა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ორ ბლოკს შორის იდეოლოგიური და პოლიტიკური კონფრონტაციის დროს ეს ფორმულა პოპულარული იყო და დღესაც ბევრი მომხრე ჰყავს მას (ბ. ბოლოტენი, ს. პეინი, რ. რადოში და სხვები).

მიიღო რა გადაწყვეტილება სამხედრო ჩარევის შესახებ, საბჭოთა ხელმძღვანელობა ცდილობდა, ეს ფაქტი რაც შეიძლება დიდხანს საიდუმლოდ შეენახა საკუთარი ხალხის, მსოფლიო საზოგადოებრიობის და, რაც მთავარია, ჩაურევლობის კომიტეტში შემავალი სხვა სახელმწიფოებისაგან.

1936 წლის 25 სექტემბერს ინგლისში საბჭოთა კავშირის დროებით საქმეთა რწმუნებულმა ს. კაგანმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში გამოგზავნა დეპეშა, სადაც საუბრობდა საპასუხო ზომებზე იტალიურ მემორანდუმთან დაკავშირებით, რომელშიც მოცემული იყო სსრკ-ს მიერ ესპანეთის რესპუბლიკისადმი ჰუმანიტარული დახმარების ფაქტები.⁶⁸ ამასთან დაკავშირებით, როგორც კაგანის დეპეშიდან ვიგებთ, ის საფრანგეთის ელჩმა კორბენმა თავისთან მიიწვია და საუბარში ცდილობდა, დაეყოლიებინა იტალიური მემორანდუმის განხილვაზე, რასაც მოტივირებდა სურვილით, არ მიეცათ იტალიისთვის დემაგოგიის და საბოტაჟის მიზეზი. ამაზე კაგანმა განუცხადა, რომ სწორედ დათმობები და ყველაფრის განხილვა, რასაც გრანდი შემოიტანს, აძლევს ამ უკანასკნელს შესაძლებლობას, განახორციელოს საბოტაჟის ტაქტიკა. კაგანი წერდა: „მე მომიხდა განმე-მარტა, რომ მომდევნო სხდომაზე ალბათ იძულებული ვიქნები, ადრინდელი პოზიცია დავიცვა. კორბენმა გამოთქვა იმედი, რომ სხვა ინსტრუქციას მივიღებდი

⁶⁸ გრანდის მემორანდუმი ქვეკომისიაში შეტანილ იქნა 18 სექტემბერს. მასში საუბარი იყო, რომ რაც შეეხება ჩაურევლობის პრინციპს ესპანეთის საქმეებში იტალიის მთავრობამ „უკვე გამოხატა და ახლა ადასტურებს თავის აზრს, რომ ეს პრინციპი არ შეიძლება დაყვანილ იქნას იარაღის და სამხედრო მასალის ექსპორტის საკითხამდე მხოლოდ, არამედ უნდა მოიცვას ყველა ფორმა ჩარევის, მათ შორის არაპირდაპირი“.

მთავრობისგან, სხვა შემთხვევაში მარტო აღმოვჩნდებოდი, რაზედაც მე მივუგე: არ მეშინია მარტო დარჩენის იქ, სადაც მე მართალი ვარ“ (ДВП, XIX: 436-437). მიუხედავად კაგანის ასეთი პათეტიკისა, 4 ოქტომბერს, როცა რესპუბლიკისთვის სამხედრო დახმარების საკითხი რეალიზაციის სტადიაში იყო, მან მიიღო დაწვრილებითი ინსტრუქციები იტალიურ მემორანდუმთან დაკავშირებით ქცევის ტაქტიკის შესახებ. ნ. კრესტინსკი კაგანს ავალებდა, უარი ეთქვა იტალიური მემორანდუმის ბოიკოტზე და დასთანხმებოდა მის განხილვას შეთანხმების მონაწილეთა მხრიდან რაიმე დამატებითი ვალდებულების აღების გარეშე. კრესტინსკის აზრით, კაგანს, „ისეთი ფორმით, რომელიც ეჭვებს არ დატოვებდა“, უნდა განეცხადებინა, რომ „იტალიის საკითხის განხილვა წარმოადგენს მხოლოდ წინასწარ აზრთა გაცვლას და მოითხოვს შეთანხმებას მთავრობასთან“. პოზიციის შეცვლას იმ გარემოებით ხსნიდა კრესტინსკი, რომ „სსრკ-ს მიერ რაიმე ახალი შეზღუდვის ხელმოწერა ძალიან მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენდა მთავრობის უკან მდგარ ძალებზე და შეასუსტებს მათ სიმტკიცეს და ბრძოლისუნარიანობას“. (ДВП, XIX: 459-460; АВП Ф.010 оп.11 п.71 д.55⁶⁹). რა თქმა უნდა, კრესტინსკი ბოლომდე არ უხსნიდა კაგანს იმ მიზეზებს, თუ რატომ არ სურდა საბჭოთა ხელმძღვანელობას რაიმე დამატებითი ვალდებულებების აღება იმ მომენტში, როცა უკვე გადაწყვეტილი იყო იარაღის გაგზავნა ესპანეთის რესპუბლიკისთვის. კომისიის წევრების ყურადღების გადასატანად ნ. კრესტინსკი ს. კაგანს უთითებდა, დაჟინებით მოეთხოვა პორტუგალიის ქმედებების განხილვა, რომელიც არღვევდა ჩაურევლობის შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ამ დროს ის უნდა გამოსულიყო როგორც მომჩივანი მხარე (ДВП, XIX: 460).

1936 წლის ოქტომბერში ფრანკოს ძალები მადრიდს მიუახლოვდნენ და დასავლეთის ქვეყნები ელოდნენ ომის სწრაფად დასრულებას. ჩაურევლობის კომიტეტში მათი წარმომადგენლების მხრიდან ეს განწყობა აშკარად ჩანდა. ამ დროს საბჭოთა იარაღით დატვირთული გემები შედიოდა ესპანურ პორტებში და ამის დამალვა ცნობისმოყვარე ჟურნალისტებისგან ძალიან ძნელი იყო.

საბჭოთა წარმომადგენლებმა კომიტეტში (თავდაპირველად, ს. კაგანმა, ხოლო 14 ოქტომბრიდან – ი. მაისკიმ) მოსკოვის დირექტივების შესაბამისად გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა. 7, 12 და 23 ოქტომბერს მათ მიერ გაკეთებულმა

⁶⁹ აღნიშნული დოკუმენტის 1-2 გვერდზე არის კრესტინსკის წერილი კაგანოვიჩისადმი, სადაც საუბარია ზოგიერთ საკითხზე, თუ რა მითითებებია კაგანისთვის მისაცემი, ხოლო 4-6 გვერდებზე მოცემულია უშუალოდ ინსტრუქციები – ზ.გ.

განცხადებებმა კომიტეტის მუშაობას სიმძაფრე შემატა და ჩაურევლობის შეთანხმებაში სსრკ-ს დარჩენა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა (ДВП, XIX: 463-64, 470-71, 513-14). იმ დროს საბჭოთა ხელმძღვანელობას არ ჰქონდა ილუზია იმის თაობაზე, რომ ამ ხერხებით იტალია-გერმანიის დახმარებას შეაჩერებდა. ეს უფრო ერთგვარი მანევრი იყო. ნიშანდობლივია, რომ ჩამოთვლილი დოკუმენტებით საბჭოთა ხელმძღვანელობამ ფაქტობრივად დიპლომატიური ენით გააკეთა განცხადება ესპანეთის კონფლიქტში მისი ჩარევის დაწყების შესახებ.

ს. კაგანის 7 ოქტომბრის დემარშის მიხედვით. „...საბჭოთა მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება იქცეს ჩაურევლობის შეთანხმება შირმად რომელიც დაფარავს მეამბოხეებისთვის სამხედრო დახმარებას ესპანეთის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობა იძულებულია განაცხადოს, რომ თუ დაუყოვნებლივ არ შეწყდება შეთანხმების დარღვევა, ის თავს ჩათვლის თავისუფლად იმ ვალდებულებების შესრულებისგან რომელიც შეთანხმებიდან გამომდინარეობს“ (ДВП, XIX: 464).

როგორც კრესტინსკის კაგანოვიჩისადმი 8 ოქტომბრის წერილიდან ვიგებთ, ჟენევაში მყოფი მ. ლიტვინოვისთვისაც მთლად ნათელი არ იყო კაგანის განცხადების მიზნები და ამ განცხადების დაჩქარებული წესით გამოქვეყნების მოტივები (АВП, ф. 010, оп. 11, п. 71, д. 55, л. 19).⁷⁰ სახალხო კომისრის კრესტინსკისთან სატელეფონო საუბარს წინ უსწრებდა მისი საუბრები ჟენევაში საფრანგეთის წარმომადგენელ ვიენოსა და ინგლისელ ქრანბორნთან. ვიენომ 7 ოქტომბერს საღამოს განუცხადა ლიტვინოვს, რომ ლ. ბლუმის ძლიერ შემფოთებულია საბჭოთა დეკლარაციით და მისი პუბლიკაცია დროზე ადრე გაგებულ იქნებოდა როგორც ულტიმატუმი, ამიტომ ვიენო ითხოვდა, როგორც მინიმუმ, შეეჩერებინათ ბოლო აბზაცის გასაჯაროება მაინც. ქრანბორნიც ითხოვდა, არ გამოექვეყნებინათ ნოტა და აპელირებდა იმაზე, რომ მისი პუბლიკაცია ეწინააღმდეგებოდა დადგენილ წესებს (АВП, ф. 010, оп. 11, п. 71, д. 55, л. 38). მიუხედავად ამისა, კაგანის 7 ოქტომბრის დემარში მომდევნო დღეს გამოქვეყნდა პრესაში და ცნობილი გახდა ფართო საზოგადოებისთვის. ამ ფაქტს ალბათ ყველაზე სწორი შეფასება მისცა შვეიცარულმა გაზეთმა «Journal de Genève»-მა, როცა შეაფასა სსრკ-ს განცხადება, როგორც „საფუძველი ესპანეთის საქმეებში ჩასარევად“ (АВП, ф. 010, оп. 11, п. 71,

⁷⁰ როგორც ჩანს, ლიტვინოვს სრული ინფორმაცია არ გააჩნდა ამ საკითხთან დაკავშირებით, რაც მოსკოვში მისი არყოფით უნდა ყოფილიყო გამოწვეული – ზ.გ.

დ. 55, პ. 32).

9 ოქტომბერს ლონდონის კომიტეტის მიერ ამ ფაქტის განხილვამ იტალიელი დ. გრანდის მეკეთრი გამოსვლა გამოიწვია. მან განაცხადა, რომ საბჭოთა წარმომადგენლის სინქარე ეჭვს ბადებს, რომ ეს უკანასკნელი ცდილობს შეთანხმების ჩაშლას. მან ასევე გამოხატა პროტესტი ამ დეკლარაციის „უპრეცედენტო და გამომწვევი ფორმით“ გამოქვეყნების გამო. „პასუხისმგებლობა შედეგებზე, რასაც შეთანხმების ცალმხრივი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება გამოიწვევს, მთლიანად დაეკისრება იმ მთავრობას, რომელიც ჩაშლის მას“, – განაცხადა იტალიის წარმომადგენელმა (ABII, ფ. 010, ოპ. 11, პ. 71, დ. 55, პ. 36).

კაგანის 12 ოქტომბრის განცხადებაში მოყვანილი იყო პორტუგალიის პორტებიდან მუამბოხეებისთვის იარაღის მიწოდების ფაქტები და შეიცავდა მოწოდებას საზღვაო ბლოკადის შემოღების შესახებ (ДВП, XIX: 470-71). ამ მოწოდებების საპასუხოდ, პლიმუთმა, მუამბოხეების გამარჯვების მოლოდინში, გასცა ტიპური, ოფიციალური პასუხი. ის წერდა ს. კაგანს: „რამდენადაც პორტუგალიის მთავრობისგან პასუხი ჯერაც არ მიუღიათ და, ამას გარდა, თქვენს მიერ წარმოდგენილ 12 ოქტომბრის ნოტაში არ არის დამატებითი მტკიცება, რომელიც მოწმობს, რომ შეთანხმება ნამდვილად ირღვევა, მე არ ვთვლი გონივრულად, ამ ეტაპზე ჩემი მხრიდან მოწვეულ იქნას კომიტეტის ახალი სხდომა ამ საკითხების განსახილველად“ (ДВП, XIX: 470-71).

დადგა საკითხი 12 ოქტომბრის წერილის პრესაში გაშვების შესახებ. ამის თაობაზე 13 ოქტომბერს ნ. კრესტინსკი დ. კაგანოვიჩს წერდა: „ჩვენს წინაშე დგას საკითხი, გამოვაქვეყნოთ თუ არა ეს წერილი. თუ თვითონ ინგლისელებმა მის შესახებ ცნობა გაზეთში არ გაუშვეს და თუ კომიტეტის სხდომა დანიშნულ იქნა ხვალ-ზეგ მე მზად ვარ ეს წერილი არ გამოვაქვეყნო“ სხვა შემთხვევაში საქმის დაჩქარების მიზნით მეორე დღეს აპირებდნენ მის გასაჯაროებას (ABII, ფ. 010, ოპ. 11, პ. 71, დ. 55, პ. 67). კაგანთან სატელეფონო საუბრისას გაირკვა, რომ ლონდონის კომიტეტის თავმჯდომარე ლორდი პლიმუთი აჭიანურებდა საკითხს. კრესტინსკიმ დაავალა ახალ ელჩს დიდ ბრიტანეთში ი. მაისკის, დაკავებულყოფილ ამ საკითხით და გაერკვია, დადგინდა თუ არა სხდომის თარიღი. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, საბჭოთა მხარე სადამოს უკვე პრესაში მისცემდა 12 ოქტომბრის განცხადებას. ამასთან, განიხილებოდა საკითხიც, შემოფარგლულიყვნენ ამ წერილის გამოქვეყნებით, თუ კიდევ რაიმე ახალი განცხადება მოემზადებინათ

(ABII, ფ. 010, ოპ. 11, პ. 71, დ. 55, პ. 71).

ლორდ პლიმუთთან შეხვედრისას ი. მაისკიმ ზეპირად გაიმეორა ს. კაგანის მიერ გაკეთებული განცხადება კომიტეტის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ, თუმცა პლიმუთმა ეს არ ჩათვალა საჭიროდ და გადასცა საპასუხო წერილი, რომლის შინაარსიც ზემოთ არის მოყვანილი. ასეთ ვითარებაში ი. მაისკის დაეგადა, კვლავ სწვეოდა პლიმუთს აღნიშნული მოთხოვით. ამის პარალელურად ი. მაისკი – ე. იდენს, ხოლო ვ. პოტიომკინი ი. დელბოსს უნდა შეხვედროდნენ და გაეპროტესტებინათ კომიტეტის თავმჯდომარის ქცევა. კრესტინსკის აზრით, ეს დემარში აუცილებელი იყო იმისთვის, რომ ჰქონოდათ საფუძველი იმის მტკიცების, რომ საბჭოთა მხარემ ამოწურა ყველა შესაძლებლობა კომიტეტის სხდომის მოსაწვევად (ABII, ფ. 010, ოპ. 11, პ. 71, დ. 55, პ. 75, 83).

23 ოქტომბრის განცხადება გულდასმით მზადდებოდა. ამასთან დაკავშირებით 19 ოქტომბერს ნ. კრესტინსკი წერდა ი. მაისკის: „არაფერს გწერთ ჩვენი ტაქტიკის შესახებ ჩაურევლობის კომიტეტში, ჯერ ერთი, თქვენ ახლახან იყავით მოსკოვში და პირადად მიიღეთ დირექტივები ხელმძღვანელი ამხანაგებისგან; მეორეც, თქვენი გამგზავრებიდან მეორე დღეს მე გაცნობეთ ტელეგრაფით განცხადების ტექსტი, რომელიც უნდა გააკეთოთ იმ მომენტში, როცა საბოლოოდ გაირკვევა ჩაურევლობის პოლიტიკის კრახი; და მესამე – თქვენი გამოსვლის დრო და ფორმა ამ განცხადებით დამატებით მიგეთითებათ... კიდევ ერთხელ გიმეორებთ, არ უნდა გამოხვიდეთ ამ განცხადებით ახალი დადასტურების გარეშე, რომ ამის გაკეთება შესაძლებელია“ (ABII, ფ. 010, ოპ. 11, პ. 71, დ. 55, პ. 97).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსკოვში ასევე განიხილებოდა ამ განცხადების შემდგომი ნაბიჯები. სწორედ ამ საკითხს ეხებოდა ნეიმანის წერილი კრესტინსკისადმი 19 ოქტომბერს, სადაც აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა მხარის მიერ ოფიციალური განცხადების გაკეთების შემდეგ დადგებოდა ლონდონის კომიტეტში მისი დარჩენა-არდარჩენის საკითხი. სხვადასხვა რისკების გათვალისწინებით, ნეიმანი ამბობდა: „გონივრული იქნება, განცხადებას დავამატოთ დაახლოებით შემდეგი სახის რაიმე დამამთავრებელი ფრაზა: თუ თქვენ, ბატონო თავმჯდომარე, საჭიროდ ჩათვლით კიდევ ერთი სხდომის მოწვევას, მე დავიტოვებ უფლებას ამ სხდომაზე უფრო დაწვრილებით ჩამოვაყალიბო ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები. ამრიგად, ჩვენ გვექნება შესაძლებლობა დეკლარაციის წარდგენის შემდეგაც მივიღოთ მონაწილეობა კომიტეტის სხდომის მუშაობაში“ (ABII, ფ. 010, ოპ. 11, პ. 71, დ. 55, პ. 100). ი. მაისკის 23 ოქტომბრის დეკლარაციაში ნეიმანის ეს

სიტყვები არ ყოფილა ჩამატებული, თუმცა სხდომის მუშაობაში მონაწილეობის აღნიშნული სურვილი დარჩა.

23 ოქტომბრის დეკლარაციაში საბჭოთა მხარე აცხადებდა, რომ „შეთანხმება იქცა ფარატინა ქაღალდად და მან ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა... საბჭოთა მთავრობას არ სურს, შემდგომშიც გაიზიაროს პასუხისმგებლობა შექმნილ მდგომარეობაზე, რომელიც აშკარად უსამართლოა ესპანეთის კანონიერი მთავრობის და ესპანელი ხალხის მიმართ. ის იძულებულია განაცხადოს, რომ, 7 ოქტომბრის განცხადების შესაბამისად, ვერ ჩათვლის თავს ჩაურევლობის შეთანხმებით შეკრულად იმაზე მეტად, ვიდრე დანარჩენი მონაწილეები“ (ДВП, XIX: 513-514).⁷¹ აღნიშნულმა განცხადებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია. 24 ოქტომბერს ფრანგული «L'Écho de Paris» წერდა: „საბჭოთა დოკუმენტი გაურკვეველია, პაქტის დარღვევა გამოსვლის გარეშე იურიდიულად დაუშვებელია. ფაქტობრივად არავინ ფიქრობდა ნეიტრალიტეტის მკაცრად დაცვას, პაქტის მიზანი იყო ომის ევროპაში გავრცელების აღკვეთა“ (АВП, ф. 010, оп. 11, п. 71, д. 55, л. 147).⁷² იგივე გაზეთი 26 ოქტომბერს საუბრობდა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ცვლილებებზე და აცხადებდა, რომ საბჭოთა დიპლომატია მოქმედებს ისე, რომ ცდილობს ომის გამოწვევას, მიზეზი ალბათ იმაშია, რომ ესპანეთის რევოლუციამ გამოადგინა სსრკ-ში მიმქარალი რევოლუციური სული. «Le Jour»-ის აზრით, სსრკ ცდილობდა ევროპის დაშანტაჟებას: „მომავალი ბუნდოვანია, შესაძლოა სსრკ იზოლაციის შიშით გაჩერდეს“; «L'Action Française» წერდა, რომ სსრკ-ს ერთდროულად სურდა დახმარებოდა მადრიდს და ხელი შეეშალა ლონდონის კომიტეტისთვის“ (АВП, Ф.010 оп.11 п.71 д.55 л. 162).⁷³

26 ოქტომბერს მოსკოვში საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენელი ჟ. პაიარი შეხვდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-3, დასავლეთის განყოფილების უფროსს ა. ნეიმანს და ზეპირად გააცნო მ. ლიტვინოვისთვის გადასაცემი საფრანგეთის მთავრობის განცხადება ჩაურევლობის და მაისკის დეკლარაციის გამო. ფრანგი დიპლომატი ცდილობდა გაერკვია, რა იქნებოდა საბჭოთა მთავრობის შემდგომი ნაბიჯი. ა. ნეიმანმა ზოგიერთ პასუხს თავი აარიდა იმ მო-

⁷¹ განცხადების ტექსტი, მისი წარდგენა, სხდომის მსვლელობა და კომუნიკე მოცემულია АВП, ф. 010, оп. 11, п. 71, д. 55, л. 137-140.

⁷² Вечерняя сводка НПО 24/Х. Материалы о невмешательстве.

⁷³ Утренняя сводка НПО 26/Х. Отклики на выступления Майского.

ტივით, რომ არ თვლიდა გონივრულად საკუთარი აზრის დაფიქსირებას მაშინ, როცა ჟ. პაიარს ამ საკითხებზე ლიტვინოვთან უნდა ესაუბრა. ნეიმანის რეპლიკაზე, რომ აქამდე ლონდონის კომიტეტში საბჭოთა მხარეს საფრანგეთის წარმომადგენლის მხრიდან არანაირი მხარდაჭერა არ უგრძობია, პაიარმა იმედი გამოთქვა, რომ აწი შესაძლებელი იქნებოდა მათ შორის დაახლოება: „მე არ ვიცი, დაარღვევთ თუ არა თქვენ ხელშეკრულებას და არც მინდა ვიცოდეთ, მე არ ვიცი, დაარღვევს თუ არა მას ჩემი მთავრობა, მაგრამ ის, რაც მნიშვნელოვნად მიმანინია, ეს არის კომიტეტის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა“. წასვლის წინ, კითხვაზე, თვლიდა თუ არა საბჭოთა მთავრობა თავს შეთანხმებით შეკრულად, ა. ნეიმანმა განუცხადა: „ჩვენ შეთანხმებით შეკრული ვართ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ეს შეთანხმება სრულდება სხვების მიერ“ (ABII, ფ. 010, იმ. 11, პ. 71, დ. 55, პ. 174-176).

მ. ლიტვინოვთან შეხვედრის შემდეგაც ჟ. პაიარისთვის ბევრი რამე მაინც გაუგებარი იყო. როგორც მან განუცხადა ა. ნეიმანს, მას ვერ გაეგო კომიტეტის მიერ ეფექტური ზომების მიღებამდე დაარღვევდა თუ არა საბჭოთა მხარე ჩაურევლობის შეთანხმებას. ნეიმანმა ჰკითხა, რომ მთლად კარგად არ ესმოდა, რატომ აინტერესებდა მას ეს საკითხი ასე ძალიან. პაიარმა უპასუხა, რომ ეს ინტერესი იყო წმინდა თეორიული, რაზედაც ნეიმანმა მიუგო: „ასეთ შემთხვევაში ჩვენ პრაქტიკული საკითხებით დავკავდებით“ (ABII, ფ. 010, იმ. 11, პ. 71, დ. 55, პ. 192).

მაშინ, როცა ფრანგი დიპლომატი ადგილზე არკვევდა საბჭოთა პოზიციას, საბჭოთა ხელმძღვანელობა, როგორც ჩანს, განგაშით ელოდა რეაქციას დასავლურ პრესაში გამოქვეყნებულ ესპანეთში საბჭოთა იარაღის გამოჩენის ფაქტებზე და სსრკ-ს წარმომადგენლის განცხადებაზე. შემთხვევითი არ არის, რომ უკვე 25 ოქტომბერს ლიტვინოვი უგზავნის მაისკის რიგგარეშე დეპეშას და ავადებს მას, წარმოადგინოს ის კომიტეტში როგორც საბჭოთა მთავრობის ახსნა-განმარტება და კიდევ ერთხელ აყალიბებს მასში თავის პოზიციას ესპანეთის საკითხებზე, კერძოდ, აქცენტს აკეთებს საერთაშორისო სამართალზე, რომელიც რესპუბლიკას იარაღის ყიდვის უფლებას აძლევს. ცდილობდა რა საზოგადოებრივი აზრის დამშვიდებას, ლიტვინოვი ამ ახსნა-განმარტებაში არც ახსენებდა სსრკ-ს განზრახვას, რესპუბლიკისთვის იარაღის მიწოდებით დაერღვია შეთანხმება. იმავე დღეს ი. მაისკიმ მიიღო კიდევ ერთი დეპეშა ლიტვინოვისგან, რომელშიც მოცემული იყო ახალი ინსტრუქციები. პირველყოვლისა, სახალხო კომი-

სარი შემდეგ რჩევას იძლეოდა: ახსნა-განმარტების გაცნობის შემდეგ „...არ დაიცვათ თავი, არამედ თავს დაესხით და გრანდის ხულიგნური გამოსტომები არ დატოვოთ პასუხის გარეშე“. მაგრამ, რაც მთავარია, 7 და 23 ოქტომბრის განცხადებები უნდა განიმარტოს, როგორც „მხოლოდ მორალური დასკვნების დაზუსტება“ (ДВП, XIX: 516). ფაქტობრივად ლიტვინოვის ინსტრუქცია ავალებდა ი. მაისკის, უარყოფა ფაქტი იარაღის გაგზავნის შესახებ და გამოეყენებინა ამისთვის დემაგოგიური და აგრესიული ქცევა.⁷⁴ ანალოგიური ინსტრუქციები მიიღეს სსრკ-ს ელჩებმა სხვა ევროპულ ქვეყნებში. საბჭოთა პოზიცია საბოლოოდ ჩამოყალიბდა. ფაშისტური ქვეყნების მსგავსად, იგი განაგრძობდა ჩაურევლობის კომიტეტში მუშაობას და პარალელურად არღვევდა შეთანხმებას ესპანეთის კანონიერი მთავრობისთვის აქტიური სამხედრო დახმარების აღმოჩენით. საბჭოთა იარაღმა და თვითმფრინავებმა ლარგო კაბალიეროს მთავრობას შესაძლებლობა მისცა, მოეგერიებინა ამბოხებულთა შეტევა მადრიდზე 1936 წლის ნოემბერში და ესპანეთის რესპუბლიკას და ამით, მართალია, ცოტა ხნით, მაგრამ სიცოცხლე გაეხანგრძლივებინა.

* * * * *

საბჭოთა დახმარება უანგარო არ ყოფილა, თუ გერმანია-იტალია ფრანკოს კრედიტით ან ზოგჯერ უსასყიდლოდაც აძლევდნენ იარაღს, სსრკ მხოლოდ 100%-იანი გადახდის შემდეგ ამარაგებდა რესპუბლიკას. მისი ანაზღაურება კი ხდებოდა სსრკ-ს სახელმწიფო ბანკში დეპონირებული ესპანური ოქროთი. ეს გარემოება დღემდე იძლევა სსრკ დადანაშაულებების საბაბს, თითქოს მან მიითვისა ესპანური ოქრო. სწორედ ესპანური ოქროს ისტორიამ დაბადა უამრავი ჭორი, ლეგენდა ზოგჯერ ღიმილის მომგვრელიც კი. ასე მაგალითად თუ ერთი ლეგენდით ესპანური ოქრო გაზიდული იქნა საიდუმლოდ წყალქვეშა გემებით, სხვა ლეგენდის მიხედვით იგი რუსეთში ჩაიტანეს ესპანელმა ბავშვებმა ჯიბით და ა. შ. (Рыбалкин 2000: 90).

სამოქალაქო ომის დაწყებამდე ესპანეთს ოქროს მარაგის რაოდენობით მსოფლიოში ეკავა მეოთხე ადგილი აშშ, ინგლისის და საფრანგეთის შემდეგ.

⁷⁴ რაც შეეხება აღნიშნულ ტაქტიკას, მაისკი იხსენებს, რომ გამგზავრების წინ მისგან მოითხოვეს, კომიტეტში შემტევი ტაქტიკა აერჩია, „რადგან თავდაცვა მხოლოდ ჩავარდნას გამოიწვევდა“ (Майский 1962: 17).

სხვადასხვა შეფასებებით, ესპანეთის ბანკის ოქროს რეზერვი 718 მილიონი აშშ დოლარით ანუ 5,24 მილიარდი ესპანური პესეტით ფასდებოდა. ა. ვინიასის გამოთვლით, იმ დროს 718 მილიონი აშშ დოლარი 2005 წლის მონაცემებით (ინფლაციის გათვალისწინებით) იქნებოდა 9,725 მილიარდი (Viñas 2006/a: 112).

ესპანეთის ოქროს მარაგის დედაქალაქიდან დაცულ ადგილას გადატანის საკითხი ჯერ კიდევ ხოსე ხირალის კაბინეტში განიხილებოდა, თუმცა მაშინ ეს ვერ განხორციელდა (Salas: 139). ამ ამოცანის შესრულება ლარგო კაბალიეროს მთავრობას ერგო წილად, რომლის ფინანსთა მინისტრი ხუან ნეგრინი გახლდათ.

13 სექტემბერს პრეზიდენტ მანუელ ასანიას მიერ ხელმოწერილი სპეციალური დეკრეტით (Decreto reservado) ნეგრინმა კაბინეტისგან მოიპოვა უფლებამოსილება, გაეტანა ოქრო „ისეთ ადგილას, სადაც უზრუნველყოფილი იქნებოდა მისი მაქსიმალური უსაფრთხოება“. დეკრეტის მეორე მუხლში საუბარი იყო, რომ იგი დროულად უნდა გადასცემოდა კორტესებს დასამტკიცებლად, რაც არასდროს გაკეთებულა (Bolloten 1991: 145). რამდენიმე დღეში 10,000 ყუთი ოქროს მონეტა და ზოდი გატანილ იქნა კარტახენაში, ერთ-ერთ მღვიმეში შესანახად. ის, რომ ოქროს შესანახად კარტახენა იქნა არჩეული, არაა გასაკვირი, რადგანაც იგი იყო დიდი საზღვაო ბაზა, შესაბამისად, შეიარაღებული და დაცული, მეტნაკლებად მოშორებული საომარი მოქმედებების თეატრს და, რაც მთავარია, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ძვირფასი ლითონის გემებით სხვა ადგილას გადატანა (Jackson 2010: 57; Largo Caballero: 120). სავარაუდოდ, კაბინეტს არ ჰქონდა წინასწარ განსაზღვრული ადგილი, სადაც ოქრო დაიდებდა საბოლოო ბინას.

1936 წლის ოქტომბერში, როცა ტოლედო დაეცა და ვითარება ფრონტზე სერიოზული გახდა, კაბალიერომ და ნეგრინმა გადაწყვიტეს ესპანური ოქროს სსრკ-ში გადატანა, სადაც უსაფრთხოდ იქნებოდა დეპონირებული. 15 ოქტომბერს მათ ოფიციალურად მიმართეს საბჭოთა კავშირს თხოვნით, რათა დაახლოებით 510 ტონა ოქრო მიეღო (Jackson 2010: 56). ამ ფაქტის დასამტკიცებლად პოლიტბიუროს „განსაკუთრებულ საქალაქში“ არის 17 და 19 ოქტომბრით დათარიღებული შესაბამისი ოქმები. პირველში საუბარია: „დაევალოს ამხანაგ როზენბერგს, უპასუხოს ესპანეთის მთავრობას, რომ ჩვენ მზად ვართ შესანახად მივიღოთ ესპანეთის ოქროს მარაგი და რომ თანახმა ვართ, გადახიდე მოხდეს ჩვენივე გემებით“. მეორეში იგივე მეორდება და დამატებულია, რომ გადახიდე მოხდება შემდეგი პირობით: „ოქროს თან უნდა ახლდეს ესპანეთის მთავრობის

რწმუნებული ან ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი და რომ ჩვენი პასუხისმგებლობა ოქროს შენახვაზე იწყება მისი ჩვენს პორტში სსრკ ფინსახკომისათვის გადაცემის მომენტიდან“ (*Политбюро и Европа* 2001: 342). აქ ერთი რამე იწვევს ეჭვს – ცკ პოლიტიურის დონეზე დადებითი პასუხი ძალიან სწრაფად, უკვე 17 ოქტომბერს (2 დღეში) იქნა მიღებული, მაშინ როცა რესპუბლიკის თხოვნა დახმარების შესახებ 2 თვის შემდეგ დაკმაყოფილდა. სავარაუდოდ, ოქროს გადმოგზავნასთან დაკავშირებით წინასწარი კონსულტაციები სექტემბრის დასაწყისიდან მიმდინარეობდა.

ესპანური ოქროს სსრკ-ში გამოგზავნასთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთ-ერთი, რომელსაც გვთავაზობს ვ. კრივიცკი, ასეთია: „საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენელი არტურ სტაშევსკი ყველა დონეს ხმარობდა, რომ ხელში ჩაეგდო ესპანეთის რესპუბლიკის ფინანსებზე კონტროლი. ფინანსთა მინისტრის ხუან ნეგრინის სახით მან იპოვა ნებაყოფლობითი თანამზრახველი თავისი გეგმების განსახორციელებლად. ...სტაშევსკიმ შესთავაზა ესპანეთს ოქროს რუსეთში გატანა (რესპუბლიკამ თავისი ოქროს მარაგის ნაწილის დეპონირება პარიზის ბანკში მოახდინა, იმედი ჰქონდა საფრანგეთიდან სამხედრო შეირადების იმპორტირებისა, მაგრამ ჩაურევლობის ხელშეკრულების შემდეგ საფრანგეთმა გაყინა დეპოზიტი), სამაგიეროდ, მადრიდს აღმოუჩენდნენ დახმარებას იარაღით და საბრძოლო მასალებით. ნეგრინის მეოხებით, მან მიადწია გარიგებას კაბალიეროს მთავრობასთან...“ (*Кривицкий* 1991: 148). ე. ბივორიც გამოყოფს სტაშევსკის როლს (*Beavor* 2006: 153), თუმცა იმის გარკვევა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ა. სტაშევსკის როლი ამ საქმეში, საარქივო დოკუმენტებით შეუძლებელია.

ყოველ შემთხვევაში, გადაწყვეტილება ოქროს გაგზავნის ოპერაციის შესახებ მიღებულ იქნა 20 ოქტომბერს. ნკვდ-ს წარმომადგენელმა ა. ორლოვმა პირადად სტალინისგან მიიღო შემდეგი შინაარსის დაშიფრული დეკემა: „ელჩ როზენბერგთან ერთად მოელაპარაკეთ ესპანეთის მთავრობის მეთაურს კაბალიეროს ესპანეთის ოქროს მარაგის სსრკ-ში გაგზავნის თაობაზე, ამ მიზნისათვის გამოიყენეთ საბჭოთა გემები. ოპერაცია უნდა შესრულდეს აბსოლუტურად საიდუმლო ვითარებაში. თუ ესპანელები მოითხოვენ ოფიციალურ დოკუმენტებს (ქვითრებს), უარი განუცხადეთ, გიმეორებთ, უარი თქვით რაიმეს ხელმოწერაზე. დაარწმუნეთ, რომ ფორმალური მხარის მოგვარება მოხდება მოსკოვში სახელმწიფო ბანკის

მიერ. ოპერაციაზე პირადად ხართ პასუხისმგებელი, ივან ვასილიევიჩი“⁷⁵ (Scope of soviet activity: Part 51 1957: 3430).

სტალინის ამ ინსტრუქციაში უცნაური ალბათ არაფერია. გადაზიდვის სირთულიდან გამომდინარე, ქვითრების გაცემაზე უჩვეულო უარი არ იყო. ვერცერთი სადაზღვევო კომპანია ვერ უზრუნველყოფდა იმას, რომ საიდუმლო არ გამჟღავნდებოდა და მტერი ოქროს ხელთ არ იგდებდა (ანუ არ არსებობდა გარანტია); მეორეს მხრივ, საბჭოთა ბანკს არ შეეძლო რაიმე რისკზე წასვლა და ოფიციალური დოკუმენტის გაცემა მართლაც შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ტვირთი დანიშნულების ადგილას ჩავიდოდა და, მეტიც, მოხდებოდა მისი ინვენტარიზაცია, რაც საკმაოდ დეტალური და ხანგრძლივი პროცესი იყო. სხვაგვარად, სტალინს საიდან უნდა სცოდნოდა, რას იღებდა შესანახად, ხოლო 10,000 ყუთის ადგილზე გასინჯვის არც დრო იყო და არც საშუალება. ამრიგად, მოცემულ მომენტში ესპანეთის მთავრობისთვის ერთადერთი, ასე ვთქვათ, გარანტი იყო ფაქტობრივად ის, რომ თითოეულ გემზე იქნებოდა ესპანეთის ბანკის თითო წარმომადგენელი.

ორლოვი შეუდგა დაკისრებული ამოცანის შესრულებას. ნეგრინთან შეხვედრისას ამ უკანასკნელმა ჰკითხა, რამდენი ადამიანი დასჭირდებოდა ოპერაციის განსახორციელებლად, მაგრამ ორლოვმა უპასუხა, რომ ოპერაცია შესრულდებოდა საბჭოთა ტანკისტების ჯგუფის დახმარებით, რომლებიც ესპანეთში ახალი ჩასული იყვნენ (Scope of soviet activity: 3431). მოგვიანებით ა. ორლოვი აშშ სენატის ქვეკომიტეტში აცხადებდა: „მე მეგობრულად ვუთხარი ნეგრინს, რომ თუ ვინმე იყნოსავდა ამ ამბავს, თუ ანარქისტები შეიპყრობდნენ რუსებს ოქროთი, ამას უზარმაზარი პოლიტიკური სკანდალი მოყვებოდა მთელ მსოფლიოში. ...ამდენად, მე მას ვთხოვე, რომ ესპანეთის მთავრობას ჩემთვის მოეცა ყალბი დოკუმენტები ინგლისის ან ამერიკის ბანკის წარმომადგენლის სახელზე. ნეგრინს ეს იდეა მოეწონა... მან გამიფორმა დოკუმენტი ბლექსტონის სახელზე და მე გავხდი ამერიკის ბანკის წარმომადგენელი“ (Scope of soviet activity: 3431-32). ესპანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი აღვარეს დელ ვაიო თავის ერთ-ერთ წიგნში აღნიშნავს ამ ამბავს, მაგრამ მან ან არ იცოდა, ან კიდევ შეგნებულად მალავდა ბლექსტონის იდენტობას (del Vayo 1950: 285-286).

რაც შეეხება ორლოვის შიშს ანარქისტებთან დაკავშირებით, ის უსაფუძ-

⁷⁵ საიდუმლო ცნობებს სტალინი „ივან ვასილიევიჩის“ ფსევდონიმით აწერდა ხელს – ზ.გ.

ვლო არ იყო. ანარქისტები თავიდანვე ოქროს მარაგის ბარსელონაში გადატანის დიდ ინტერესს ამჟღავნებდნენ, თანაც, არა მხოლოდ შესანახად, არამედ მასალების შესაძენად. ანარქისტების (FAI) ერთ-ერთი ლიდერი დიეგო აბად დე სანტილიანი 1936 წლის აგვისტოში ხირალთან შეხვედრის შესახებ ამბობს: „ჩვენ მას აგუხსენით, რომ თუ ის დაგვეხმარებოდა საჭირო ფინანსური რესურსების მოპოვებაში, ჩვენივე ძალებით დავამარცხებდით მტერს. ჩვენ გამოვხატეთ გულისწყრომა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ცენტრალური ხელისუფლების კატალონიისადმი უაზრო ზიზღს და სახალხო რევოლუციის შიშს შეუძლია დაბლოკოს ჩვენი საქმე, რაზედაც დამოკიდებულია გამარჯვება და ყველას გადარჩენა... ვისაუბრეთ ესპანეთის ბანკში არსებულ ოქროზე, რომელიც საფრთხეში იყო და ვურჩიეთ, გადაეტანათ იგი ბარსელონაში“ (Abad de Santillan 1940: თავი VII). მოგვიანებით, აბად დე სანტილიანმა შეიმუშავა ესპანეთის ბანკზე თავდასხმის გეგმა ოქროს ძალისმიერი მეთოდებით გატანის მიზნით, თუმცა ამაზე საბოლოოდ თვითონ ანარქისტებმა თქვეს უარი. მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ ასეთი ქმედება ცენტრალურ ხელისუფლებასთან მტრობას საბოლოოდ გააღრმავებდა (Abad de Santillan 1940: თავი VII).

21 ოქტომბერს ორლოვი ჩავიდა კარტახენაში. მან 60 ესპანელ მეზღვაურს სთხოვა საბჭოთა გემებზე ტვირთის გადაზიდვა. მოგვარდა ოქროს ტრანსპორტირებაც მღვიმიდან დამბამდე. საბჭოთა სატანკო ბრიგადის სარდალმა კრივოშენინმა გადასცა 20 სატვირთო მანქანა და საუკეთესო ტანკისტების ჯგუფი. ოპერაცია 22 ოქტომბერს დამით დაიწყო. გადაზიდვა და გემებზე დატვირთვა სამი დღე დამის განმავლობაში მიმდინარეობდა. როგორც ორლოვი აცხადებს, მეორე თუ მესამე დღეს დაიწყო დაბომბვები. ნეგრინის ნდობით აღჭურვილმა პირმა და ხაზინის უფროსმა მენდეს ასპემ (ორლოვი მასზე ამბობს, რომ ნერვიული ადამიანი იყო) ოპერაციის შეწყვეტა ითხოვა, რაზეც ორლოვმა იმ მოტივით განუცხადა უარი, რომ დაბომბვები მაინც გაგრძელდებოდა და თუ გემები დროულად არ დაიტვირთებოდა, მათ ჩაძირავდნენ (Scope of soviet activity: 3432).

25 ოქტომბერს უკვე 7800 ყუთში ჩაწყობილი 510 ტონა ოქრო (ზუსტად 510, 079,529.3 გრამი, თითოეული ყუთი 65 კილოგრამს იწონიდა) განაწილდა ოთხ საბჭოთა გემზე, აქედან ნევაზე – 2697 ყუთი, კიმზე – 2100, ყუბანზე – 2020, ვოლგოლესზე – 963 (Рыбалкин 2000: 93).

დატვირთვის ოპერაციის თანადროულად წყდებოდა მარშრუტის უსაფრთხოების საკითხი. ხმელთაშუა ზღვაზე იტალიური წყალქვეშა ნაგების მეკობრეობის

გამო რესპუბლიკის სამხედროს საზღვაო ფლოტი განლაგდა ყველაზე საშიშ ადგილებში. კაპიტნებმა მიიღეს ბრძანება, თუ SOS სიგნალი მოვიდოდა, დაუყოვნებლივ დახმარებოდნენ საბჭოთა გემებს (Scope of soviet activity: 3433). გარდა ამისა, სამხედრო-საზღვაო ატაშე კუზნეცოვის წინადადებით, გემები გავიდნენ კარტახენადან ერთი მეორეს მიყოლებით დღე-ღამის ინტერვალით, ამასთან თითოეული მათგანი დანიშნულების ადგილზე, ოდესაში დამოუკიდებელი მარშრუტით მიცურავდა (Прохоров Д. Испанское золото⁷⁶).

გემები ოდესაში მშვიდობიანად ჩავიდნენ. აქ გადმოტვირთვა სპეციალურად ჩასული ნკვდ თანამშრომლების მიერ დამით ხორციელდებოდა. ოდესიდან ოქროს ეშელონები გაემართა მოსკოვისკენ, 1000 წითელარმიელის დაცვის ქვეშ. მათ თან ახლდა ყირიმის ნკვდ სამმართველოს უფროსი (1937 წლის თებერვლიდან ყირიმის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი – ზ.გ.) და იმავდროულად შავი და აზოვის საზღვაო ძალების უშიშროების მთავარი სამმართველოს განსაკუთრებული განყოფილების უფროსი დავით (ტიტე) ლორთქიფანიძე, რათა პირადად ეპატაკებინა ეჟოვისთვის ოპერაციის წარმატებით დასრულების შესახებ (Прохоров Д. Испанское золото).

ოდესაში ესპანეთის ოქროს ჩატანის სცენას აღწერს ვ. კრივიცკი. იგი ამას თავისი თანამშრომლის მონაყოლის საფუძველზე აღწერს, თუ როგორ მიმდინარეობდა ყუთების გადატანა გაძლიერებული დაცვის ქვეშ და ა.შ. „ის ცდილობდა, შეეფასებინა ოქროს რაოდენობა და ჩვენ ამ დროს წითელ მოედანზე მივაბიჯებდით. მიუთითა რა ჩვენს გარშემო არსებულ ღია სივრცეზე, მან თქვა, რომ თუ ყველა ყუთს ოქროთი, რომელიც ჩვენ ოდესაში გადმოვტვირთეთ, ერთმანეთის მიყოლებით წითელ მოედანზე დავაწყობთ, ის მას მთლიანად დაფარავდა“ (Кривицкий 1991: 156).

6 ნოემბერს ოქრო მოსკოვში იქნა ჩატანილი.⁷⁷ მოგვიანებით შედგა აქტი ოქროს მიღების შესახებ, რომელსაც ხელს აწერდა სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარი გრინკო, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე კ. კრესტინსკი და ესპანეთის რესპუბლიკის ელჩი სსრკ-ში მ. პასკუა. აქტის ერთი ეგზემპლარი გადაეცა ესპანეთის მთავრობას. სამოქალაქო ომის დასრულების შემ-

⁷⁶ სტატია მოცემულია ვებგვერდზე: http://mail.howtolinux.ru/spalex.narod.ru/biblio/zoloto_1.html.

⁷⁷ როგორც ა. ორლოვი იხსენებდა, კრემლში ერთ-ერთი ბანკეტის დროს სტალინმა განაცხადა: „ესპანელები ამ ოქროს ისე ვერ იხილავენ, როგორც საკუთარ ყურებს“ (Scope of soviet activity: 3434).

დღე იგი ნეგრინთან ინახებოდა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, მისივე ანდერძით, ფრანკოს მთავრობას გადაეცა.

7800 ყუთი ოქროდანი მხოლოდ 13 შეიცავდა ზოდებს, მაშინ როცა 7787-ში ეწყო მონეტები, მილიონობით ოქროს ნაჭერი (60 მლნ), აშშ-ს დოლარები, არგენტინის, ჩილეს, მექსიკის, პერუს, ავსტრიის, ბელგიის, საფრანგეთის, შვედეთის, გერმანიის, ინგლისის, იტალიის, პორტუგალიის, რუსეთის და ა.შ. ფულის ერთეულები. ბევრი მათგანი ანტიკვარული იყო და დიდი ნუმისმატური ღირებულება გააჩნდა. განსაკუთრებით რარიტეტული იყო პორტუგალიური მონეტები, რომელიც 318,603,3 გრამს იწონიდა. ისინი სპეციალურად იქნა სიაში შეტანილი ასევე საბჭოთა ქვითრებში. ამ მონეტის ნუმისმატური ღირებულება უფრო მეტი იყო, ვიდრე მასში ოქროს შემცველობა (286,743 გრამი) (Bolloten 1991: 151).

რა ბედი ეწია ამ მონეტებს? რუსებმა ისინი ზოდებად გადაადნეს თუ შეინახეს და შეცვალეს საკუთარი რეზერვით, უცნობია. ოქროს დათვლა-აწონვის პროცესს ესპანეთის ბანკის 4 წარმომადგენელი ესწრებოდა. საინტერესოა, რომ მათ ესპანეთში დაბრუნების უფლება არ მისცეს. შესაძლოა, ამით ნეგრინმა და მენდეს ასევე გადაწყვიტეს, რომ ბანკის წარმომადგენლების მოსკოვში დარჩენით საიდუმლო ოქროს შესახებ დაცული იქნებოდა. მათ მოსკოვში თავიანთი ოჯახის წევრებიც შეუერთდნენ, მაგრამ ისინი ყველანაირად ცდილობდნენ ესპანეთში დაბრუნებას. ბოლოს, მათ, როგორც იქნა, 1938 წლის 27 ოქტომბერს მიეცათ ეს საშუალება (Bolloten 1991: 152).

ზემოთ აღნიშნული საპასუხისმგებლო ოპერაციის მონაწილეები თავდაპირველად დააჯილდოვეს, მაგრამ შემდეგ მათი უმრავლესობა რეპრესირებულ იქნა. 1937 წლის 17 აგვისტოს დაიჭირეს, 1938 წლის 13 მარტს კი დახვრიტეს ფინანსთა სახალხო კომისარი გ. გრინკო, რომლის მიმართ წაყენებული ერთ-ერთი ბრალდება, ბედის ირონიით, იყო „სსრკ ფინანსური ძლიერების ძირგამომთხრელი საქმიანობა“. ასევე დახვრიტეს ნ. კრესტინსკი, მ. როზენბერგი, ვ. ანტონოვი-ოვსეენკო, ა. სტაშევსკი და ა.შ. ა. ორლოვმა მოასწრო უცხოეთში გაქცევა.

დ ა ს კ ვ ნ ა

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ესპანეთის სამოქალაქო ომის საერთაშორისო ასპექტები, კერძოდ, ომის ინტერნაციონალიზაცია მის პირველ ეტაპზე. დასკვნის სახით წარმოვადგენთ იმ ძირითად მომენტებს და დებულებებს, რომელიც კვლევის პროცესში გამოიკვეთა.

30-იანი წლების საერთაშორისო ურთიერთობათა რთულ და დინამიურ კომპლექსში დიდი ადგილი უკავია ესპანეთის სამოქალაქო ომს, რომლის მსგავსობა და შედეგები განსაზღვრა დიდი სახელმწიფოების პოზიციამ. ესპანეთის სამოქალაქო ომის ინტერნაციონალიზაციის პროცესში გამოიყოფა შემდეგი ეტაპები:

- კონფლიქტში მონაწილე მხარეთა გადაწყვეტილება, ეთხოვათ უცხოური დახმარება (1936 წლის ივლისი);
- გერმანიის და იტალიის ჩარევის დასაწყისი მეამბოხეების სასარგებლოდ (1936 წლის ივლისის მიწურული);
- ევროპული სახელმწიფოების მიერ ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკის გამოცხადება (1936 წლის აგვისტო);
- საბჭოთა კავშირის ჩარევა ესპანურ კონფლიქტში (გადაწყვეტილება საბჭოთა სამხედრო დახმარების დაწყების შესახებ 1936 წლის 28 სექტემბერს).

საერთაშორისო კონტექსტმა განსაზღვრა ესპანეთის სამოქალაქო კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციის პროცესი, თუმცა ამას თვითონ შიდა აქტორებმა შეუწყვეს ხელი. უცხო სახელმწიფოებს არ გამოუხატავთ სურვილი, ჩარეულიყვნენ ამ ომში. პირიქით, პირველ ეტაპზე ისინი თავს იკავებდნენ ამ ქმედებისგან. პირველობა ესპანეთის რესპუბლიკის კანონიერ მთავრობას ეკუთვნის. მან დახმარებისთვის მიმართა საფრანგეთს, საბჭოთა კავშირს და გერმანიას (აღნიშნული თანმიმდევრობით), მაგრამ ომის შედეგები განსაზღვრა ფაშისტური სახელმწიფოების ჩარევამ ამბოხებულთა მხარეზე. ამდენად, პირველად სწორედ მათი პოზიციის გარკვევაა ჩვენთვის საინტერესო.

აჯანყება სტიქიურად არ დაწყებულა, თუმცა მოვლენათა ასეთი განვითარებაც არ ყოფილა ესპანეთისთვის უცხო (ამის ნათელი დადასტურებაა XIX საუკუნის ესპანეთის ისტორია, როდესაც ქვეყანაში ხუთი რევოლუცია და უამრავი გამოსვლა აღინიშნა). ის დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა. ასეთ ვითარებაში კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო იმის გარკვევა, თუ რა როლი ითამაშეს

ამბოხების მომზადებაში გერმანიამ და იტალიამ.

1936 წლის შუახანებამდე თავისი საგარეო პოლიტიკურ საქმიანობაში გერმანია პირინეის ნ-კ-ს პრიორიტეტულ მიმართულებად არ განიხილავდა. გეოპოლიტიკური, ეკონომიკური ან სტრატეგიული ასპექტით ომი ესპანეთში პირდაპირ არ ეხებოდა მესამე რაიხის სასიცოცხლო ინტერესებს. იტალიისთვის, პირიქით, თუ გავითვალისწინებთ მუსოლინის დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთზე, ხოლო პერსპექტივაში – მთლიანად რეგიონში გაბატონების მცდელობას, ესპანეთი, თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, განაპირობებდა რომის გამორჩეულ ყურადღებას ამ ქვეყნის და აქ მიმდინარე მოვლენების მიმართ. მადრიდთან ახლო ურთიერთობები დუჩეს მისცემდა საშუალებას, განემტკიცებინა თავისი პოზიციები მოცემულ რეგიონში. ესპანეთის შესაძლო დაახლოება იტალიის პოტენციურ მოწინააღმდეგეებთან ნიშნავდა იტალიის გეოსტრატეგიული მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუარესებას.

ესპანეთის ომში გერმანია-იტალიის ჩარევის მიზეზების შედარებითი ანალიზი მოწმობს, რომ ფაშისტურმა რეჟიმებმა კონფლიქტში მონაწილეობა თავიანთი ინტერესების გამიჯვნის ფონზე მიიღეს. ბერლინს და რომს სწორედ ამან მისცა საშუალება, დაეთბოთ ურთიერთობები. ესპანეთში მათმა ერთობლივმა მოქმედებამ დიდწილად განსაზღვრა პოზიციების დაახლოება, რაც მოგვიანებით „დერძის“ ხელშეკრულებაში გამოვლინდა. დოკუმენტები მოწმობენ, რომ არც გერმანია და არც იტალია ანტისამთავრობო აჯანყების ორგანიზებაში უშუალო მონაწილეობას არ იღებდნენ. ბერლინს არ ჰქონდა კავშირები შეთქმულების ხელმძღვანელობასთან, რომი კი, მიუხედავად გარკვეული კავშირებისა 1935-1936 წლებში, პრიორიტეტს ჯერ კიდევ აბისინიურ მიმართულებას ანიჭებდა.

ფრანკოსთვის ტექნიკური დახმარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, გერმანიას და იტალიას არ სურდათ ამ ნაბიჯით საერთოევროპული კონფლიქტის პროვოცირება მოეხდინათ. აღნიშნული დახმარებით ჰიტლერი და მუსოლინი ცდილობდნენ თავიანთი სტრატეგიული ამოცანების შესრულებას. გერმანიისთვის სტრატეგიული მოტივი მოცემულ სიტუაციაში იყო საფრანგეთის, როგორც დასავლეთ ევროპაში თავისი მთავარი პოტენციური მოწინააღმდეგის გაძლიერების დაუშვებლობა. სასიცოცხლო სივრცისთვის მომავალ ბრძოლაში მას ზურგის უზრუნველყოფა სურდა.

ესპანეთში იტალიის აქტიურობის მოტივები (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მაგალითად, ბერლინთან დაახლოება) ძირითადად ფორმირებული იყო ჯერ

კიდევ ამბოხების დაწყებამდე და ფრანკოს მიერ დახმარების თხოვნამდე, მაშინ როცა გერმანიამ თავისი ჩარევის შედეგების და მოსალოდნელი სარგებლის განალიზება, მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების მომენტში და მისი იმპლიმენტაციის პროცესში დაიწყო.

გერმანიის და იტალიის პოლიტიკა ესპანეთში (ორივე ქვეყნის შემთხვევაში) არ იყო გუნდის ან ინდივიდუალური ჯგუფების ერთობლივი მუშაობის პროდუქტი და არსებითად იყო ერთი ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგი. ინსტიტუციონალური თვალსაზრისით, ორგანო, რომელსაც უნდა შეემუშავებინა საგარეოპოლიტიკური ნაბიჯები, სრულად იქნა გამოთიშული გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან. პირველყოფლისა, ეს ეხება გერმანიას. ამ თვალსაზრისით გალუაცო ჩიანო, კონსტანტინ ფონ ნოირატისგან განსხვავებით, უფრო მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა. მართალია, ის არ იყო გადაწყვეტილების მიმღები, მაგრამ ამ პროცესთან ძალზე ახლოს იდგა და მასზე გარკვეულ გავლენასაც ახდენდა (აქ ნათესაური კავშირიც დიდ როლს თამაშობდა). ინფორმაციული უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ჰიტლერმა ესპანეთის შესახებ მონაცემები მოითხოვა ფრანკოს ემისრებთან შეხვედრამდე და საკმარისი ცოდნით შეხვდა მათ. მან მყისიერად, ყოყმანის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება, რაც აშკარად უთითებს იმაზე, რომ ჰიტლერს ამ თემაზე უკვე ნაფიქრი ჰქონდა. მუსოლინის შემთხვევაში აღინიშნა ხანგრძლივი ყოყმანი. დროის ამ მონაკვეთში ხდებოდა დამატებითი ინფორმაციის შეგროვება როგორც ამბოხებულთა მდგომარეობის, ისე დიდი სახელმწიფოების რეაქციის შესახებ. მუსოლინის ერთგვარი სიფრთხილე მალე გაიფანტა და ის ბოლომდე ჩაება კონფლიქტში, რითაც იტალია პრაქტიკულად ესპანეთის რესპუბლიკასთან გამოუცხადებელი ომის მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ადამიანები, რომელთაც ბერლინსა და რომში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდათ, საკმაოდ გონიერნი იყვნენ, მაგრამ მათ არ რჩებოდათ (ან იშვიათად რჩებოდათ) დრო სიტუაციის საფუძვლიანად განსახილველად და სხვადასხვა ალტერნატივების დასასახად. გრძნობები და ემოციები, ანუ ფსიქოლოგიური მხარე მათ ჩანაფიქრებში დიდ როლს თამაშობდა. წლების შემდეგ ეს პერსონალური ასპექტები სულ უფრო დომინანტური გახდა.

ჰიტლერის გადაწყვეტილებაში, ზოგადად და ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, დიდ როლს თამაშობდა პიროვნული თვისებები. სპეციფიკური იყო გადაწყვეტილების მიღების მანერაც. ყველაფრის მიუხედავად, მისი მიდგომა აღნიშნული სა-

კითხისადმი ზედაპირული იყო ესპანეთის პრობლემებში გადაწყვეტილების მიღებისას მას არ გაუკეთებია მოვლენათა ღრმა ანალიზი და, შესაძლოა, თავისი სიტყვა თქვა რიხარდ ვაგნერის ოპერა „ვალკირის“ ეფექტმაც, რომელსაც ჰიტლერი გადაწყვეტილების მიღებამდე ესწრებოდა. ამის ეჭვს ბადებს ის საყურადღებო ფაქტი, რომ ფრანკოსთვის თვითმფრინავების გაგზავნის შესახებ ოპერაციას მიენიჭა კოდური სახელწოდება „მაგიური ცეცხლი“, რომელიც სწორედ ვაგნერის აღნიშნული ოპერიდან იქნა აღებული.

ეთიოპიაში მიღწეულმა წარმატებებმა მუსოლინის ბუნებრივი იმპულსურობა გააძლიერა და ის საგარეო პოლიტიკაში კიდევ უფრო თავდაჯერებული გახდა. მას სულ უფრო მეტად სურდა, ემოქმედა ინტუიციით, ფრთხილი დაგეგმვის გარეშე. მას აკლდა მოთმინების უნარი, ღრმად ჩაძიებოდა პრობლემას. მუსოლინი იშვიათად აყალიბებდა სისტემური სახით მიზნებს და ინტერესებს, ნაკლებად მოითხოვდა შესაბამისი უწყებებისგან საერთო სიტუაციის დეტალური ანალიზის მომზადებას. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ხშირად მიიღებოდა რამდენიმე წუთში, ზეპირი დისკუსიის შედეგად.

ლონდონის კომიტეტში გერმანიისა და იტალიის საქმიანობა წარმოადგენდა ესპანეთის პრობლემაში მათი ინტერესების სრული ჰარმონიზაციის გამოვლენას. ფაქტობრივად, „ღერძის“ შექმნამდე კომიტეტი იქცა მათი ერთობლივი საქმიანობის პირველი არენად. უკვე ჩაურევლობის შეთანხმებაში მონაწილეობის საკითხების გარკვევისას, ნათელი გახდა ბერლინისა და რომის ტაქტიკის ერთგვაროვნება, რომლის არსიც მოლაპარაკებების და შეთანხმების მიღწევის გაჭიანურებაში გამოიხატებოდა.

ესპანეთის სამოქალაქო ომის ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საფრანგეთის პოზიციის გარკვევა. შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთის ფაქტორმა დიდწილად განაპირობა ფაშისტური სახელმწიფოების ქცევა (ინტერაქციული ფაქტორი გადაწყვეტილების მიღებისას). ესპანეთის სახალხო ფრონტის მთავრობამ პირველად საფრანგეთს მიმართა. ამისთვის მას მრავალი მიზეზი ჰქონდა. საფრანგეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკისთვის ესპანეთის კონფლიქტი პირველი სერიოზული გამოწვევა იყო. ბლუმის მთავრობის მერყეობა სხვადასხვა ფაქტორებმა გამოიწვია, რისი შედეგიც იყო ხუთი სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღება საბოლოო პოზიციის ჩამოყალიბებამდე.

დემოკრატიული რეჟიმის პირობებში გადაწყვეტილების მიღება შედარებით გართულებულ პროცედურებს ითვალისწინებს, ამდენად, ეს პროცესი ღროში გა-

წელილია და ხშირად პოპულისტური. ესპანეთის საკითხში ბლუმის და მისი მინისტრების ქცევა ამ ჩარჩოებს გასცდა. საკითხი არ გატანილა განსახილველად მინისტრთა კაბინეტში ან თუნდაც საკანონმდებლო ორგანოში და დახმარების გაწევა რამდენიმე დაინტერესებული მინისტრის თათბირის საფუძველზე გადაწყდა. ამ ფაქტის საიდუმლოდ შენახვა შეუძლებელი გახდა, რასაც მოჰყვა დიდი ხმაური და მინისტრთა კაბინეტის თუ მთლიანად საზოგადოების ორად გახლეჩა. საფრანგეთის კაბინეტში რადიკალთა პარტიის გავლენიანი წარმომადგენლები – ე. დალადიე (თავდაცვის მინისტრი) და ი. დელბოსი (საგარეო საქმეთა მინისტრი) ჩაურევლობის პოლიტიკის მთავარი დამცველები იყვნენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ესპანეთის საქმეებში რადიკალური პარტია ობსტრუქციულ ძალას წარმოადგენდა.

შიდა და გარეშე ფაქტორებმა ბლუმში აიძულა, შეეცვალა თავისი პირვანდელი პოზიცია დახმარების აღმოჩენის შესახებ. ლონდონში ვიზიტის დროს ბლუმმა გაარკვია, რომ ინგლისის მთავრობის დამოკიდებულება მისი პოზიციისგან მკვეთრად განსხვავდებოდა. ამავე დროს, ბრიტანეთის მთავრობის პოზიციის გავლენა ბლუმის გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ არა გადამწყვეტი იყო. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელსაც ნაკლები ყურადღება ექცევა ლიტერატურაში, არის თვითონ ლეონ ბლუმის პიროვნული თვისებები, რამაც დიდწილად განსაზღვრა მისი ქცევები. ბლუმს ესპანეთის რესპუბლიკის დახმარებასთან დაკავშირებით მტკიცე პოზიციის დაკავებაში ხელი შეუშალა ზოგადად გარისკვის შიშმა და არა გერმანიასთან შესაძლო დაპირისპირების საფრთხემ, რომელსაც მისი გადაწყვეტილების მიღებაში არანაირი როლი არ უთამაშია.

ბრიტანეთში პოლიტიკური ძალების განლაგებამ და მთავრობის შემადგენლობამ ვიწრო ჯგუფური და არა ეროვნული ინტერესების დომინირება განაპირობა. ომის დასაწყისშივე ინგლისის მთავრობის სიმპათიები ფრანკოს მხარეს იყო, ვინაიდან ესპანეთში არსებული სახალხო ფრონტის მთავრობა უკიდურესად მემარცხენედ მიაჩნდათ. პოზიციის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობდა ევროპული ომის თავიდან აცილების, ბრიტანეთის სასიცოცხლო ინტერესებისა თუ ზოგადად დასავლურ ცივილიზაციაში ჩამოყალიბებული ფასეულობების დაცვის ფაქტორები და ა.შ. უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მაინც კომუნიზმის გავრცელების საფრთხე იყო. ბრიტანეთის მთავრობამ გადაწყვიტა, დამდგარიყო მკაცრი ნეიტრალიტეტის პოზიციაზე, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, სანამ საფრანგეთი აპირებდა დახმარების გაწევას ესპანეთის რესპუბლიკისთვის. ბრიტანეთის მთავრო-

ბის ფრთხილი ზეწოლის შედეგად, საფრანგეთის მთავრობა იძულებული გახდა, გადაესინჯა თავდაპირველი გადაწყვეტილება დახმარების შესახებ. მან წამოაყენა ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის ხელშეკრულების გაფორმების იდეა. ბრიტანეთის მთავრობა მიესალმა და მხარი დაუჭირა საფრანგეთის ინიციატივას. ჩაურევლობაში ის ხელავდა იდეალურ მექანიზმს საკუთარი ნეიტრალიტეტის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, სოციალისტ ლეონ ბლუმის მხრიდან მისი წამოწევა შეასუსტებდა ინგლისის მთავრობის კრიტიკას ლეიბორისტების მხრიდან.

ესპანეთის ამბოხებიდან რამდენიმე კვირაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა პოზიცია და ბრიტანეთის კაბინეტმაც სრულად გათვალა ესპანეთის სამოქალაქო ომის სტრატეგიული მნიშვნელობა.

ომისწინა პოლიტიკური კრიზისის გამწვავებასთან ერთად დიდი ბრიტანეთის საგარეოპოლიტიკურ დოქტრინაში ევროპული მიმართულების როლი გაიზარდა. ესპანეთის ომის ინტერნაციონალიზაცია კონფლიქტის ლოკალიზაციის აუცილებლობას აყენებდა. მართალია, ამაში ყველა ევროპული ქვეყანა იყო დაინტერესებული, ესპანეთის საქმეში ჩაურევლობის პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობების ომისწინა პერიოდის ფუნდამენტურ ინგლის-საფრანგეთის ინიციატივის შედეგად იქცა. ჩაურევლობის პოლიტიკაში რამდენადმე ტრანსფორმირებული სახით განხორციელდა ძალთა ბალანსის ტრადიციული ბრიტანული საგარეოპოლიტიკური კონცეფცია

ჩაურევლობის კომიტეტის მუშაობის ადგილად ლონდონის შეთავაზებით დიდი ბრიტანეთის მთავრობა ცდილობდა არა მხოლოდ მიეცა ტონი ამ ორგანოს მუშაობისთვის, არამედ საჭირო მიმართულებით წარემართა მისი გადაწყვეტილებები. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ დიპლომატიური ბრძოლის სიმწვავე კომიტეტში ყოველთვის არ იძლეოდა გადაწყვეტილების ბრიტანული ვარიანტის მიღების შესაძლებლობას.

თანხმდებოდნენ რა ჩაურევლობის პრინციპზე, კომიტეტის თითოეული მონაწილე აყენებდა სხვადასხვა პირობას, რომელსაც ესპანეთის ინტერესებთან არანაირი შეხება არ ჰქონდა. აქ საუბარი მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე იყო.

საბჭოთა კავშირის მიერ ესპანეთის სამოქალაქო კონფლიქტში სამხედრო ჩარევის გადაწყვეტილების მიღების პროცესი ყველაზე ხანგრძლივი და გააზრებული იყო. მასში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე პერიოდი:

- 18 ივლისიდან 2 აგვისტომდე საბჭოთა მთავრობა ცდილობს, შეაფასოს სიტუაცია ესპანეთთან დაკავშირებით იქ მყოფ კომინტერნის აგენტებთან

კონსულტაციების შედეგად, მაგრამ რეჟიმი არ დგამს არანაირ ნაბიჯს არც ქვეყნის შიგნით და არც საერთაშორისო არენაზე.

- 3 აგვისტოდან 20 აგვისტომდე მოსკოვი იყენებს ესპანეთის მოვლენებს პროპაგანდისტული კამპანიისთვის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.
- 21 აგვისტოდან 1 ოქტომბრამდე საბჭოთა კავშირი ააქტიურებს თავის საქმიანობას დიპლომატიურ და ჰუმანიტარულ ფრონტზე და ამზადებს ნიადაგს პირდაპირი სამხედრო ჩარევისთვის.

სტალინის პოზიცია ესპანეთის საკითხებში არ ყოფილა სტაბილური. იგი იცვლებოდა ესპანეთსა და საერთაშორისო არენაზე მოვლენათა მიმდინარეობის შესაბამისად. საბჭოთა მთავრობამ გადაწყვეტილება პირდაპირი ჩარევის შესახებ ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ მიიღო. თავიდან იგი უარყოფდა მრავალრიცხოვან მოთხოვნებს ესპანეთის მთავრობის მხრიდან და მხოლოდ მორალური თუ ჰუმანიტარული დახმარებით იფარგლებოდა. ესპანეთის რესპუბლიკის დასაცავად ხმა პირველად აღიმადღეს საზოგადოებრივმა და ფორმალურად არასამთავრობო ორგანიზაციებმა. იმ დროს მათ ამის გაკეთება დამოუკიდებლად, ზევიდან მითითების გარეშე, არ შეეძლოთ. ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურები თითქოს ამის მიღმა იმყოფებოდნენ და რაიმე საერთაშორისო გართულების შემთხვევაში თავისუფალი მანევრირების საშუალებას იტოვებდნენ. ესპანეთის კონფლიქტს ამ დროს სტალინი განიხილავდა, როგორც კოლექტიური უსაფრთხოების ჩარჩოებში დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის კიდევ ერთ შესაძლებლობას. ამიტომ იგი შეუერთდა შეთანხმებას ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შეთანხმებას, მაგრამ ძალიან ძალე (აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის შუა რიცხვებში) სტალინმა რადიკალურად შეცვალა თავისი პოლიტიკა და პირდაპირი ჩარევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ზუსტად უცნობია, რამ გამოიწვია სსრკ პოლიტიკის შეცვლა, თუმცა რამდენიმე მიზეზის გამოყოფა შესაძლებელია.

აშკარაა, რომ სტალინი არ ისახავდა მიზნად ესპანეთის სოვეტიზაციას და იქ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას. შექმნილ სიტუაციაში მისთვის პოლიტიკურად წამგებიანი იყო რევოლუციის საკითხის წინა პლანზე წამოწევა, რამდენადაც ეს დაასამარებდა დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებთან დაახლოების იმედებს. ფაქტები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ ესპანეთის საკითხში ამ კუთხით სტალინმა მოქნილობა და გონიერება გამოავლინა.

1936 წლის 28 სექტემბერს პოლიტბიუროს სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ოპერაცია „X“-ის განხორციელების შესახებ, რაც რესპუბლიკური ესპანეთის აქტიურ სამხედრო დახმარებას მოიცავდა. ცოტა ადრე, სსრკ-სა და ესპანეთს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობებიც, რაც მდგომარეობის უკეთ გაკონტროლების საშუალებას იძლეოდა. ესპანეთში საბჭოთა ელჩად დაინიშნა გამოცდილი დიპლომატი მარსელ როზენბერგი, რომლის ესპანეთში ჩასვლასაც რესპუბლიკური მთავრობის მომხრეები დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ. მათთვის საბჭოეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება რესპუბლიკის სწრაფი მარჯვების საწინდარი იყო.

დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების და კერძოდ საბჭოთა დიპლომატების გაგზავნის საკითხის კვლევისას საარქივო დოკუმენტების წყალობით ბევრი უზუსტობის აღმოჩენა და შესწორება გახდა შესაძლებელი. ერთ-ერთი ასეთი საკითხია ვ. ანტონოვ-ოვსეენკოს ბარსელონაში გენერალურ კონსულად გაგზავნის თარიღის დადგენა. აღნიშნული პიროვნება კატალონიაში ჩავიდა 1 ოქტომბერს, თუმცა ხშირად მითითებულია ადრეული თარიღი, კერძოდ, 25 აგვისტო, რაც ძირეულად ცვლის მოვლენების არსს და სხვა დასკვნების გაკეთების აუცილებლობას ითხოვს. ეს უზუსტობა მარტივად დავადგინეთ 19 სექტემბრით დათარიღებული საარქივო დოკუმენტის წყალობით, რომელშიც საუბარია ბარსელონაში გენერალური კონსულის თანამდებობაზე გასაგზავნ კანდიდატებზე (სხვათა შორის, აქ ანტონოვ-ოვსეენკო არაა ნახსენები). კრემლს სურდა სოლიდური, დიდი რეპოლუციური გამოცდილების მქონე ადამიანის გაგზავნა, რომელიც ბარსელონელ ანარქისტებთან ავტორიტეტის მოპოვებას შეძლებდა, თუმცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში ასეთი კანდიდატი ვერ მოიძებნა. ამრიგად, თუ 19 სექტემბერს ჯერ კიდევ ირჩეოდა კანდიდატურა, მოგვიანებით დასახელებული ვ. ანტონოვ-ოვსეენკო აგვისტოს ბოლოს ვერანაირად ვერ მოხვედებოდა ესპანეთში გენერალური კონსულის რანგში.

საბჭოთა დახმარებას ომის პირველ ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი წყალობით ესპანეთის კანონიერმა მთავრობამ მოიგერია შეტევა მადრიდზე და გაიხანგრძლივა არსებობა. ამავე დროს, დახმარება უანგარო არ ყოფილა. მისი ანაზღაურება ხდებოდა ესპანური ოქროთი, რომელიც 1936 წლის ოქტომბრის ბოლოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში იქნა დეპონირებული.

საბჭოთა დახმარების მეორე მხარე იყო დიპლომატიური მხარდაჭერა ჩაურევლობის კომიტეტში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დიპლომატიური დე-

მარშები 1936 წლის ოქტომბერში. ამავე დროს, ესპანეთის სამოქალაქო ომში ჩარევამ სსრკ-ს საერთაშორისო მდგომარეობა სერიოზულად გაუფუჭა. ეს ადრე აღებული ვალდებულებების დარღვევას ნიშნავდა, თუმცა ჩაურევლობის შეთანხმების ეფექტური მოქმედებისთვის აუცილებელი იყო ყველა მონაწილის მიერ მისი კეთილსინდისიერად შესრულება. ბუნებრივია, ეს შეუძლებელი იყო, რადგანაც გერმანია და იტალია აქტიურად ეხმარებოდნენ ამბოხებულებს, რასაც ინგლისი და საფრანგეთი განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდნენ. ამ შეთანხმების შესრულებისთვის საჭირო პოლიტიკური ნება დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებში უბრალოდ არ არსებობდა.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

საარქივო წყაროები და დოკუმენტები:

1. АВП РФ. Ф 010. Секретариат Крестинского. Оп. 11. П. 71. Д. 53.
2. АВП РФ. Ф 010. Секретариат Крестинского. Оп. 11. П. 71. Д. 54.
3. АВП РФ. Ф 010. Секретариат Крестинского. Оп. 11. П. 71. Д. 55.
4. АВП РФ. Ф 011. Секретариат Потемкина. Оп. 1. П. 4. Д. 37.
5. АВП РФ. Ф 011. Секретариат Потемкина. Оп. 2. П. 13. Д. 63.
6. АВП РФ. Ф 011. Секретариат Потемкина. Оп. 4. П. 28. Д. 88.
7. АВП РФ. Ф 05. Секретариат Литвинова. Оп. 16. П. 119. Д. 62.
8. АВП РФ. Ф 05. Секретариат Литвинова. Оп. 16. П. 119. Д. 63.
9. АВП РФ. Ф 05. Секретариат Литвинова. Оп. 16. П. 119. Д. 64.
10. АВП РФ. Ф 05. Секретариат Литвинова. Оп. 17. П. 131. Д. 50.
11. АВП РФ. Ф 05. Секретариат Литвинова. Оп. 17. П. 131. Д. 51.
12. АВП РФ. Ф 05. Секретариат Литвинова. Оп. 18. П. 144. Д. 86.
13. АВП РФ. Ф 097. Референтура по Испании. Оп. 13. П. 2. Д. 1.
14. АВП РФ. Ф 097. Референтура по Испании. Оп. 13. П. 2. Д. 2.
15. АВП РФ. Ф 097. Референтура по Испании. Оп. 14. П. 3. Д. 1.
16. АВП РФ. Ф 097. Референтура по Испании. Оп. 14. П. 3. Д. 10.
17. АВП РФ. Ф 097. Референтура по Испании. Оп. 14. П. 3. Д. 2.
18. АВП РФ. Ф 097. Референтура по Испании. Оп. 14. П. 3. Д. 3.
19. АВП РФ. Ф 097. Референтура по Испании. Оп. 14. П. 3. Д. 5.
20. АВП РФ. Ф 097. Референтура по Испании. Оп. 14. П. 3. Д. 7.
21. АВП РФ. Ф 097. Референтура по Испании. Оп. 14. П. 3. Д. 8.
22. АВП РФ. Ф 097. Референтура по Испании. Оп. 14. П. 3. Д. 9.
23. АВП РФ. Фонд отдела печати НКВД СССР (054). Оп. 16. П. 150/а. Д. 1.
24. АВП РФ. Фонд отдела печати НКВД СССР (054). Оп. 16. П. 150/а. Д. 2.
25. АВП РФ. Фонд отдела печати НКВД СССР (054). Оп. 16. П. 150/а. Д. 3.
26. АВП РФ. Фонд отдела печати НКВД СССР (054). Оп. 16. П. 150/а. Д. 5.
27. Версальский мирный договор. Москва, 1925.
28. **ДВП, XIV:** Документы внешней политики СССР. Т. 14. Москва, 1968.
29. **ДВП, XV:** Документы внешней политики СССР. Т. 15. Москва, 1969.
30. **ДВП, XVI:** Документы внешней политики СССР. Т. 16. Москва, 1970.

31. **ДВП, XVII:** Документы внешней политики СССР. Т. 17. Москва, 1971.
32. **ДВП, XVIII:** Документы внешней политики СССР. Т. 18. Москва, 1973.
33. **ДВП, XIX:** Документы внешней политики СССР. Т. 19. Москва, 1974.
34. **ДВП, XX:** Документы внешней политики СССР. Т. 20. Москва, 1976.
35. Документы министерства иностранных дел Германии. Вып. 3. Германская политика и Испания. 1936-1943. Москва, 1946.
36. **Заявление Бамлера 1946:** Заявление бывшего генерал-лейтенанта германской армии Р. Бамлера о Франко как агенте немецкой разведки. // Новая Время. 1946, 1 июля, №13, приложения, ст. 5-7.
37. **Коминтерн и гражданская война 2001:** Коминтерн и гражданская война в Испании. Документы. Москва, 2001.
38. **Кудряшов 2013:** Кудряшов С. «Самолёты покупаются за наличный расчет». Документы Архива Президента РФ о Гражданской войне в Испании. // Родина, 8, 2013, сс. 120-126.
39. **Политбюро и Европа 2001:** Политбюро ЦК РКП(б) ВКП(б) и Европа. Решения «особой папки». 1923-1939. Москва, 2001.
40. **Политбюро. Повестки дня заседаний 2001:** Политбюро ЦК РКП (б) ВКП (б). Повестки дня заседаний. Каталог. Т. 2. 1930-1939. Москва, 2001.
41. СССР и гражданская война в Испании: 1936-1939 годы / Отв. ред.: Л. Макарова. Вестник Архива Президента Российской Федерации. Москва, 2013.
42. **Сталин 1936: Сталин И. В.** Беседа с председателем американского газетного объединения Скрипс-Говард Ньюспейперс господином Рой Говардом. Москва, 1936.
43. **Сталин 1952:** Отчетный доклад XVII съезду партии о работе ЦК ВКП (б) //Сталин И. Вопросы Ленинизма. Издание одиннадцатое. Госполитиздат, 1952 ст. 459-523.
44. **Сталин и Каганович. Переписка 2001:** Сталин и Каганович. Переписка. 1931-1936 гг. / Сост. О. В. Хлевнюк, Р. У. Дэвис, Л. П. Кошелева, Э. А. Рис, Л. А. Роговая. Москва, 2001.
45. **Burns 1937:** Burns E. The Nazi Conspiracy in Spain. London, 1937.
46. **DBFP, 2, XVII:** Documents on British Foreign Policy. 2nd Ser. Vol. 17. Western Pact Negotiations: Outbreak of Spanish Civil War. June 1936 – Jan. 1937. London, 1979.
47. **DDF, II, 2:** Documents diplomatiques français 1932-1939., 2e série, 1936-1939. Tome II, 1er avril à 18 juillet 1936. Paris, 1964.
48. **DDF, II, 3:** Documents Diplomatiques français (1932-1939). 2e ser. Т. III. 19 juill. 1936 – 19 nov. 1936. Paris, 1966.

49. **DDI, VIII, 4:** Documenti Diplomatici Italiani. 8 ser.: 1935-1939. Vol. IV. Roma, 1993.
50. **DGFP, C, V:** Documents on German Foreign Policy. 1918-1945. Ser. C. (1933-1937). The Third Reich: First Phase. Vol V. March 5 – Oct. 31, 1936. London, 1966.
51. **DGFP, D, III:** Documents on German Foreign Policy. 1918-1945. Ser. D. Vol. III. Germany and the Spanish Civil War. 1936-1939. Washington, 1950.
52. **Fernando Diaz-Plaja 1963:** La historia de España en sus documentos. El siglo XX La guerra (1936-1939). Por Fernando Diaz-Plaja. Madrid, 1963.
53. **FRUS, II 1936:** Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. 1936. Vol. II. Europe. Washington, 1954.
54. **HC Debates Vol 314:** House of Commons. Debates Vol. 314, cols. 1643-4. <http://hansard.millbanksystems.com/commons/1936/jul/13/spain-british-subjects-protection>.
55. **HC Debates Vol 315:** House of Commons. Debate Vol. 315, col 41. <http://hansard.millbanksystems.com/commons/1936/jul/20/spain-situation>.
56. **Hitler, Speeches 1990:** Hitler, Speeches and Proclamations 1932 - 1945: The Chronicle of a Dictatorship /Max Domarus/. Vol II. Tauris, 1990.
57. How Mussolini provoked the Spanish Civil War. Documentary Evidence. London, 1937. <http://images.library.wisc.edu/FRUS/EFacs/1936v02/reference/frus.frus1936v02.i0022.pdf>.
58. La carta inédita de Franco a Hitler, 23 de julio de 1936. <http://www.buscameenelciclodela vida.com/2015/07/johannes-bernhardt-y-la-carta-de-franco.html>.
59. **Les événements survenus... 1947:** Les événements survenus en France de 1933 à 1945: rapport de M. Charles Serre, député au mom de la Commission d'enquête parlementaire chargée d'enquêter sur les événements survenue en France de 1933 à 1945. Paris, Presses Universitaires de France, 1947.
60. **Los documentos de la primavera ... 1967:** Los documentos de la primavera tragica. Analisis documental de los antecedentes inmediatos del 18 de Julio de 1936 de Ricardo de la Cierva. Madrid, 1967.
61. NA conversation with General Warlimont, 26 July 1945. <http://lawcollections.library.cornell.edu/bookreader/nur:01925/#page/1/mode/1up>.
62. **Nuremberg Trials 1947:** Trial of the Major War Criminals before the International Military Tribunal. Blue Series. Nuremberg, 14 November 1945 – 1 October 1946. Vol. IX. Proceedings, 8 March 1946 – 23 March 1946. Nuremberg, 1947.
63. **Scope of Soviet activity in the United States.** Hearing before the Subcommittee to investigate the Administration of the internal security act and other Internal Security Laws of the Committee on the Judiciary United States Senate. Eighty-fifth Congress. First

session on Scope of Soviet activity in the United States. February 14 and 15 1957. Part 51. US Government print office, Washington, 1957.

64. **Spain Betrayed 2001:** Spain Betrayed The Soviet Union in the Spanish Civil War Edited by Ronald Radosh, Mary R. Habeck, and Grigory Sevostianov, Yale University Press, 2001.

მემუარები:

65. **Abad de Santillan 1940:** Abad de Santillan D. Por qué perdimos la guerra. Buenos Aires, 1940. [http://www.enxarxa.com/biblioteca/ABAD DE SANTILLAN Por-que-perdimos-la-guerra.pdf](http://www.enxarxa.com/biblioteca/ABAD_DE_SANTILLAN_Por-que-perdimos-la-guerra.pdf).
66. **Araquistain 1939:** Araquistain L. La intervención de Rusia en el conflicto Español: Revelaciones de un Ex-Embajador de la República Española. San José, Costa Rica, 1939.
67. **Azaña 2002:** Azaña M. Causas de la guerra de España. Barcelona, 2002.
68. **Azcarate 1976:** Azcárate de P. Mi Embajada en Londres Durante la Guerra Civil Española. Barcelona, 1976.
69. **Bowers 1954:** Bowers C. My Mission to Spain. Watching the Rehearsal for World War II. N.Y., 1954.
70. **Caballero Largo 1976:** Caballero Largo F. Mis recuerdos. Cartas a un amigo, Mexico, 1976, <http://bataillesocialiste.files.wordpress.com/2007/07/largo-caballero-recuerdos.pdf>.
71. **Churchill 1948:** Churchill W. Step by step 1936-1939. London, 1948.
72. **Ciano 1948:** Ciano G. Diplomatic Papers. 1936-1942. Odhams press, 1948.
73. **Ciano 1952:** Ciano's Diary. Translated by Andreas Mayor. London 1952.
74. **Cot 1944:** Cot P. Triumph of treason. Ziff-Davis Publishing Company, 1944.
75. **Del Vayo 1940:** Vayo Álvarez del J. Freedom's Battle, New York, 1940.
76. **Del Vayo 1950:** Vayo Álvarez del J. The Last Optimist. Putnam, 1950.
77. **Dimitrov Diary 2012:** The Diary of Georgi Dimitrov. Ed. I. Banac. Yale University Press, 2012.
78. **Eden 1962:** Eden A. Facing the Dictators: The memoirs of Anthony Eden. Earl of Avon. Boston, 1962.
79. **Fischer 1941:** Men and politics, An autobiography Louis Fischer. New York, 1941.
80. **Hitler's Second book 2003:** Hitler's Second book the Unpublished sequel to Mein Kampf. N.Y. 2003.

81. **Hull 1948:** The Memoirs of Cordell Hull. Macmillan Co. 1948.
82. **Powell Fox 1997:** Powell Fox R. The Grass and the Asphalt. J.S. Harter and Associates, 1997.
83. **Sáinz Rodríguez 1978:** Sáinz Rodríguez P. Testimonio y Recuerdos. Barcelona, 1978.
84. **Zugazagoitia 1941:** Zugazagoitia J. Guerra y vicisitudes de los españoles. Paris, 1941.

სამეცნიერო ლიტერატურა:

85. **Аскарате, Сандоваль 1964:** Аскарате М., Сандоваль Х. 986 дней борьбы. Национально-революционная война испанского народа. Москва, 1964.
86. **Афанасьева 2009:** Афанасьева О. Международные аспекты Гражданской войны в Испании (1936-1939 гг.) в контексте внешней политики Великобритании. диссертация на соискание научной степени кандидата исторических наук. Тамбов, 2009.
87. **Бабицкий 2009:** Бабицкий А. Международные аспекты Гражданской войны в Испании (1936-1939) в контексте внешней политики Германии и Италии. диссертация на соискание научной степени кандидата исторических наук. Тамбов, 2009.
88. **Белоусова 1976:** Белоусова З. Франция и европейская безопасность. Москва, 1976.
89. **Белоусова 1984:** Белоусова З. Начало гражданской войны в Испании и дипломатия Парижа. В кн.: Из истории Европы в новое и новейшее время. К 100-летию со дня рождения акад. И. М. Майского. Москва, 1984. С. 191-207.
90. **Белоусова 1992/а:** Белоусова З. Европейская политика Великобритании и Франции: противоречия и сотрудничество. В кн.: Европа между миром и войной. 1918-1939. Москва, 1992. С. 57-101.
91. **Белоусова 1992/б:** Белоусова З. СССР в контексте международных отношении 30-х годов. В кн.: Советская внешняя политика 1917-1945 поиски новых подходов. Москва, 1992.
92. **Белоусова, Кремер 1960:** Белоусова З. Кремер И. Политика окружения Франции: К истории германо-итальянской интервенции в Испании 1936-1939 гг. // Международная жизнь, 1960, № 7. С. 113-120.
93. **Буллок 1994:** Буллок А. Гитлер и Сталин: Жизнь и власть: Сравнительное жизнеописание: В 2-х т. Смоленск, 1994.
94. **Бухгайт 2003:** Бухгайт Г. АБВЕР - щит и меч III рейха. Москва, 2003.

95. **Варфоломеева 1949:** Варфоломеева Р. С. Реакционная внешняя политика французских правых социалистов (1936-1939 гг.). Москва, 1949.
96. **Вершинин 2013:** Вершинин А. Леон Блюм: штрихи к политическому портрету. // Новая и Новейшая история. №4, 2013.
97. **Война и революция 1968:** Война и революция в Испании 1936-1939 гг. В 2 т. Т. 1. Москва, 1968.
98. **Волков, Славин 1999:** Волков А., Славин С. Адмирал Канарис – Железный адмирал. Москва, 1999.
99. **Вышельский 2003:** Вышельский Л. Мадрид, 1936-1937. Москва, 2003.
100. **Гагин 1998:** Гагин В. Воздушная война в Испании (1936-1939). Воронеж, 1998.
101. **Галин 2007:** Галин В. Политэкономия войны Заговор Европы. Москва, 2007.
102. **Гарсиа 1957:** Гарсиа Х. Испания Народного фронта. Москва, 1957.
103. **Гарсиа 1967:** Гарсиа Х. Испания XX в. Москва, 1967.
104. **Гарсиа-Касалес 1976:** Гарсиа-Касалес И. Из истории германско-итальянско-испанского фашистского альянса. // *Вопросы германской истории и историографии*. Днепропетровск, 1976.
105. **Горбик 1991:** Горбик И. Роль Великобритании в формировании политики невмешательства по отношению к национально-революционной войне испанского народа. // Вопросы новой и новейшей истории. Киев, 1991. Вып. 37. С. 45-53.
106. **Данилов 2004:** Данилов С. Гражданская война в Испании (1936-1939). Москва, 2004.
107. **Демидов 2000:** Демидов С. Англо-французские отношения накануне второй мировой войны 1936-1939. Рязань, 2000.
108. **Демидов 2001:** Демидов С. Международные отношения в Европе 1919-1939. Москва, 2001.
109. **Европа в международных отношениях 1979:** Европа в международных отношениях, 1917-1939. Москва, 1979.
110. **Европа между миром... 1992:** Европа между миром и войной. 1918-1939. Москва, 1992.
111. **Елпатьевский 2002:** Елпатьевский А. Испанская эмиграция в СССР. Историография и источники, попытка интерпретации. Тверь, 2002.
112. **Ибаррури 1953:** Ибаррури Д. Национально-революционная война испанского народа против итало-германских интервентов и фашистских мятежников (1936-1939). // Вопросы истории, 1953, № 11. С. 28-47.
113. **Ибаррури 1962:** Ибаррури Д. Единственный путь. Москва, 1962.

114. **Испания 1918... 1975:** Испания 1918-1972. Ист. очерк. Под ред. И. М. Майского, Х. Винсенса, С. П. Пожарской и др. Москва, 1975.
115. История внешней политики СССР. 1917-1985: В 2-х т. Т. 1. Москва, 1986.
116. История фашизма в Западной Европе. Москва, 1978.
117. История дипломатии: В 5 т. 2-е изд. Т.3. Москва, 1965.
118. **Кессельринг 2003:** Кессельринг А. Люфтваффе: триумф и поражение. Воспоминания фельдмаршала третьего рейха. 1933-1947. Москва, 2003.
119. **Кольцов 1957:** Кольцов М. Испанский дневник. Москва, 1957.
120. **Комшуков 1982:** Комшуков А. А. Разоблачение в советской печати политики «невмешательства» западных держав в Испании. // Вопросы новой и новейшей истории. Вып. 28. Киев, 1982. С. 70-79.
121. **Красиков 1989:** Красиков А. А. Испания и мировая политика. Полвека дипломатической истории. Москва, 1989.
122. **Кривицкий 1991:** Кривицкий В. Я был агентом Сталина. Москва, 1991.
123. **Кузнецов 1962:** Кузнецов Н. Г. Испанский флот в борьбе за республику. // Военно-исторический журнал, 1962, № 3. С. 53-72.
124. **Кузнецов 1988:** Кузнецов Н. Г. На далеком меридиане. Мемуары, 3-е изд. Москва, 1988.
125. **Лакер 1991:** Лакер У. Россия и Германия наставники Гитлера. Москва, 1991.
126. **Листер 1969:** Листер Э. Наша война. (Из истории национально-революционной войны испанского народа 1936-1939 гг). Мемуары. Москва, 1969.
127. **Луначарский 1923:** Луначарский А. Драматические произведения, т. I. Москва, 1923.
128. **Майский 1962:** Майский И. Испанские тетради. Москва, 1962.
129. **Майский 1964:** Майский И. Воспоминания советского посла. Кн. 2. Мир или война? Москва, 1964.
130. **Малай 2003:** Малай В. Испанский «вектор» европейской политики (июль-август 1936 г.): рождение политики «невмешательства». // Ярославский педагогический вестник, 2003, № 4.
131. **Малай 1999:** Малай В. Судьба республики решалась не в Мадриде: из истории англо-советских дипломатических отношений в канун второй мировой войны. Белгород, 1999.
132. **Малай 2000:** Малай В. Проблемы итальянской интервенции в Испании (1936-1939) в работах зарубежных историков // Проблемы историографии всеобщей истории. Белгород, 2000. С. 44-53.

133. **Малай 2011:** Малай В. Гражданская война в Испании 1936-1939 годов и Европа: международные аспекты конфликта. Москва, 2011.
134. **Малай, Новиков 1996:** Малай В. Новиков М.В. Британский историк о международных аспектах гражданской войны в Испании// Ярославский педагогический вестник, №3(6). Ярославль, 1996. С. 50-53.
135. **Малай, Новиков 1998:** Малай В., Новиков М. В., Алперт М. Новая международная история гражданской войны в Испании. Лондон, 1994. // Новая и новейшая история. № 4, 1998. С. 190-191.
136. **Матвеев 1999:** Матвеев А. Советско-германские отношения 1933-1938 (политические аспекты). Диссертация на соискание научной степени кандидата исторических наук. Москва, 1999.
137. **Мешкова 1982:** Мешкова Н. Советская историография итало-германской интервенции в Испании в 1936-1939 гг. В кн.: Проблемы историографии международных отношений и национального движения в странах Западной Европы. Москва, 1982. С. 91-110.
138. **Мещеряков 1971:** Мещеряков М. Испания в огне. Москва, 1971.
139. **Мещеряков 1993/а:** Мещеряков М.Т. СССР и Гражданская война в Испании. // Отечественная история, 1993, №3. С. 83-95.
140. **Мещеряков 1993/б:** Мещеряков М. Т. Судьба интербригад в Испании по новым документам. // Новая и новейшая история, 1993, №5. С. 18-41.
141. **Мещеряков 1981:** Мещеряков М. Испанская республика и Коминтерн (Национально-революционная война испанского народа и политика Коммунистического Интернационала 1936-1939 гг.). Москва, 1981.
142. **Млечин 2003:** Млечин Л. МИД – Министры Иностранных Дел. Тайная Дипломатия Кремля. Москва, 2003.
143. **Новиков 1995:** Новиков М. СССР, Коминтерн и гражданская война в Испании 1936-1939 гг. В 2 ч. Ярославль, 1995.
144. **Новиков 2000:** Новиков М.В. Война в Испании и Советский Союз. 1936-1939. Ярославль, 2000.
145. **Новиков 1992:** Новиков М. Советские и зарубежные историки и мемуаристы о национально-революционной войне испанского народа 1936-1939 гг. Ярославль, 1992.
146. **Нольфо 2003:** Нольфо Э. История международных отношений. 1918-1999. Москва, 2003.
147. **Овинников 1957:** Овинников Р. Как рождалась политика «невмешательства» в ис-

- панские дела (июль-август 1936 г.). В кн.: История международных отношений, история зарубежных стран. Сб. статей. Москва, 1957. С. 93-136.
148. **Овинников 1959:** Овинников Р. За кулисами политики «невмешательства». Испанский вопрос в политике империалистов Англии, Франции и США. Москва, 1959.
149. **Овсяный 1975:** Овсяный И. Тайна, в которой война рождалась. Как империалисты подготовили и развязали вторую мировую войну. Изд. 2-е, Москва, 1975.
150. **Орехова 2004:** Орехова М. Германо-советские отношения в контексте международных аспектов Гражданской войны в Испании: 1936-1939 гг. Диссертация на соискание научной степени кандидата исторических наук. Ярославль. 2004
151. **Платошкин 2005:** Платошкин Н. Н. Гражданская война в Испании. 1936-1939 гг. Москва, 2005. <http://read24.ru/pdf/nikolay-platoshkin-grajdanskaya-voyna-v-ispanii-1936-1939-gg.html>.
152. **Пожарская 1971:** Пожарская С. Тайная дипломатия Мадрида. Внешняя политика Испании в годы второй мировой войны. Москва, 1971.
153. **Пожарская 1977:** Пожарская С. От 18 июля 1936 долгий путь. Москва, 1977.
154. **Пожарская 1982:** Пожарская С. Испания и США. Внешняя политика и общество. 1936-1976. Москва, 1982.
155. **Пожарская 1986:** Пожарская С. Гражданская война в Испании и проблемы Средиземноморья. В кн.: Средиземноморье и Европа: исторические традиции и современные проблемы. Москва, 1986. С. 60-70.
156. **Пожарская 1987:** Пожарская С. Советская историография антифашистской войны в Испании (1936-1939 гг.). //Новая и новейшая история, 1987, №2. С. 200-211.
157. **Пожарская 2007:** Пожарская С. Франсиско Франко и его время. Москва, 2007.
158. **Пожарская 1992:** Пожарская С. Гражданская война в Испании в контексте международных отношений в канун второй мировой войны. В кн.: Европа между миром и войной. Москва, 1992. С. 152-172.
159. **Попова 1990:** Попова Е. СССР и Гражданская война в Испании 1936-1939 гг. // Вестник военной истории, 1990, №1. С. 64-102.
160. **Постернак 1998:** Постернак А. Внешняя политика Франции в связи с гражданской войной в Испании (1936-1939). Диссертация на соискание научной степени кандидата исторических наук. Ярославль, 1998.
161. **Престон 1999:** Престон П. Франко: Биография. Москва, 1999.
162. **Прицкер 1962:** Прицкер Д. Подвиг Испанской республики. Москва, 1962.
163. **Редер 2004:** Редер Э. Гросс-адмирал. Воспоминания командующего ВМФ Третьего

- рейха. 1935-1943. Москва, 2004.
164. **Риббентроп 1996:** Риббентроп И., фон. Между Лондоном и Москвой: Воспоминания и последние записи. Москва, 1996.
 165. **Рыбалкин 2000:** Рыбалкин Ю. Операция «Х». Советская военная помощь республиканской Испании (1936-1939). Москва, 2000.
 166. **Рыжиков 1973:** Рыжиков В. Зигзаги дипломатии Лондона. (Из истории советско-английских отношений). Москва, 1973.
 167. **Савинов 1983:** Савинов А. Англо-итальянские отношения в период средиземноморского кризиса 1935-1936. В кн.: Проблемы итальянской истории. 1982. Москва, 1983. С. 100-127.
 168. **Сиполс 1987:** Сиполс В. Внешняя политика Советского Союза. 1936-1939. Москва, 1987.
 169. **Сиполс 1989:** Сиполс В. Дипломатическая борьба накануне второй мировой войны: 2-е изд. Москва, 1989.
 170. **Смит 1995:** Смит Д. Муссолини. Москва, 1995.
 171. **Солидарность... 1972:** Солидарность народов с Испанской республикой 1936-1939 гг. Москва, 1972.
 172. **Сория 1987:** Сория Ж. Война и революция в Испании 1936-1939: В 2-х т. Москва, 1987.
 173. **Стегарь 1965:** Стегарь С. Политика французского правительства в испанском вопросе в 1936-1939 годах // Вопросы истории, 1965, № 1. С. 45-54.
 174. **Стегарь 1990:** Стегарь С. Дипломатия Франции перед второй мировой войной. Москва, 1990.
 175. **Табуи 1960:** Табуи Ж. Двадцать лет дипломатической борьбы. Москва, 1960.
 176. **Томас 2003:** Томас Х. Гражданская война в Испании. 1931-1939 гг. Москва, 2003.
 177. **Торез 1959:** Торез М. Избранные произведения, т. 1. Москва, 1959.
 178. **Трухановский 1983:** Трухановский В. Антони Иден. Москва, 1983.
 179. **Фест 2006:** Фест И. Гитлер Биография. Триумф и падения в бездну. Москва, 2006.
 180. **Фомин 1963:** Фомин В. Агрессия Германии в Европе 1933-1939 гг. Москва, 1963.
 181. **Хармат 1987:** Хармат Э. Палачи со скрипкой. Ужгород, 1987.
 182. **Хаслэм 1993:** Хаслэм Дж. Литвинов, Сталин и путь, по которому не пошли. // Советская внешняя политика в перспективе. Под ред. Чубарьяна А. Москва, 1993. С. 80-86.
 183. **Хибберт 1996:** Хибберт К. Бенито Муссолини. Биография. Москва, 1996.
 184. **Ходнев 1995:** Ходнев А. Международная организация в ожидании приговора? Лига

- Наций в мировой политике. 1919-1946: Очерки истории. Ярославль, 1995.
185. **Хормач 1995:** Хормач И. СССР-Италия. 1924-1939 гг. (дипломатические и экономические отношения). Москва, 1995.
 186. **Чёрная книга 2001:** Чёрная книга коммунизма. Преступления, терор, репрессии. Куртуа С., Верт Н., Бартошек К., Марголен Ж. Л. Москва, 2001.
 187. **Черчилль 1997:** Черчилль У. Вторая мировая война: В 6 т. Москва, 1997-1998. Т.1. Надвигающаяся буря. Москва, 1997.
 188. **Шарапов 2003:** Шарапов Э. Наум Эйтингон – Карающий меч Сталина. Санкт-Петербург, 2003.
 189. **Ширер 1993:** Ширер У. Взлет и падение третьего Рейха. В 2 т. Москва, 1993.
 190. **Шубин 2011:** Шубин А. Великая испанская революция, Москва, 2011.
 191. **Эренбург 1986:** Эренбург И. Испанские репортажи, 1931-1939. Москва, 1986.
 192. **Abendroth 1976:** Abendroth H. H. Hitlers Entscheidung Der Spanische Bürgerkrieg in der internationalen Politik (1936-1939). München , 1976.
 193. **Abendroth 1978:** Abendroth H. H. Mittelsmann zwischen Franco und Hitler: Johannes Bernhardt erinnert 1936. W. Schleunung, 1978.
 194. **Abendroth 1973:** Abendroth H.-H. Hitler in der Spanischen Arena: Die deutschspanischen Beziehungen im Spannungsfeld der europäischen Interessenpolitik bis zum Ausbruch des Weltkrieges 1936-1939. Paderborn, 1973.
 195. **Abshagen 1956:** Abshagen K. H. Canaris. London, 1956.
 196. **Adamthwaite 1992:** Adamthwaite A. The making of the Second World War. London 1992.
 197. **Adamthwaite 2009:** Adamthwaite A. The Spanish Civil War Revisited: The French Connection. // The International Context of the Spanish Civil War, Ed. by Gaynor Johnson. Cambridge Scholars Publishing, 2009, pp. 1-14.
 198. **Alba 1983:** Alba V. The Communist Party in Spain. New Jersey, 1983.
 199. **Alpert 1987/a:** Alpert M. Gibraltar y la guerra civil Española. Salamanca. Studia Histórica. Historia Contemporánea. Edicional Universidad Salamanca, V. 3, 1985, pp. 91-101.
 200. **Alpert 1987/b:** Alpert M. La guerra civil Española en el mer. Madrid, 1987.
 201. **Alpert 1994:** Alpert M. A New International History of the Spanish Civil War. Macmillan Press LTD, 1994.
 202. **Alpert 1998:** Alpert M. Aguas peligrosas. Nueva Historia internacional de la Guerra Civil Española. Madrid, 1998
 203. **Alpert 2013:** Alpert M. The Republican Army in the Spanish Civil War, 1936-1939.

Cambridge University Press, 2013

204. **Avilés 2006:** Avilés J. Las potencias democráticas y la política de No Intervención. // Historia del presente, Nº 7. 2006, págs. 11-27.
205. **Barbieri 2015:** Barbieri P. Hitler's Shadow Empire. Nazi economics and Spanish Civil war. Harvard University Press, 2015.
206. **Barrio 1985:** Barrio M. A. La mediación internacional en la guerra civil española. // Cuenta y razón, 1985, Nº21, pp. 163-178.
207. **Beevor 2006:** Beevor A. The Battle for Spain: The Spanish Civil War. London, 2006.
208. **Bell 2007:** Bell P. M. H. The origins of the Second World War in Europe (Third edition). Routledge, London and New York, 2007.
209. **Berdah 2006:** Berdah J. F. De la solidaridad republicana al cobarde abandono. Francia y la Guerra de España. // La República aislada. ¿Por qué la no intervención? Historia del presente, nº7. Madrid, 2006, pp. 43-70
210. **Berneker 1992:** Berneker W. La intervención alemana en la guerra civil española. // Espacio, tiempo y forma. Servie V. Historia contemporánea, 1992, nº5, pp. 77-104.
211. **Berneker 1998:** Berneker W. La historiografía alemana sobre la Guerra Civil y el Franquismo. // Ayer, nº31, 1998.
212. **Bolloten 1961:** Bolloten B. The Grand Camouflage: The Communist Conspiracy in the Spanish Civil War. 1936-1939 . N.Y. 1961.
213. **Bolloten 1991:** Bolloten B. The Spanish Civil War: Revolution and Counterrevolution. Chapel Hill: University of Carolina Press. 1991.
214. **Bowen 2000:** Bowen Wayne H. Spaniards and Nazi Germany: Collaboration in the New Order. University of Missouri Press, 2000.
215. **Brendon 2001:** Brendon P. The dark valley: A panorama of the 1930's. London, 2001.
216. **Broué, Témime 1962:** Broué P., Témime E. La revolución e la guerre de España. México-Buenos Aires, 1962.
217. **Buchanan 1997:** Buchanan T. Britain and the Spanish Civil War. Cambridge, 1997.
218. **Buchanan 1997:** Buchanan T. Edge of darkness: British front-line Diplomacy in the Spanish civil War 1936-1937. // Contemporary European History, vol. 12, Nº3, 2003, pp. 279-303.
219. **Campo Rizo 2009:** Campo Rizo M. La ayuda de Mussolini a Franco en la Guerra Civil española. Madrid, 2009.
220. **Campos 2011/a:** Campos, Miguel I. La historiografía alemana en torno a la internacionalización de la Guerra Civil (1936-1939). // Ab Initio, Núm. 2, 2011, pp. 155-179.
221. **Campos 2011/b:** Campos, Miguel I. La historiografía en torno a la internacionalización de

- la Guerra Civil (1936-1939): el caso italiano. // *Ab Initio*, Núm. 3, 2011, pp. 119- 141.
222. **Campos 2011/c:** Campos, Miguel I. La historiografía en torno a la internacionalización de la Guerra Civil (1936-1939): El caso soviético. // *Ab Initio*, Núm. 4, 2011, pp. 93-110.
223. **Campos 2012:** Campos, Miguel I. La historiografía española y la internacionalización de la Guerra Civil (1936-1939): un estado de la cuestión. // *Ab Initio*, Núm. 5, 2012, pp. 59-79
224. **Carlton 1971:** Carlton D. Eden, Blum and the Origins of Non-intervention. // *Journal of Contemporary History*. Vol. 6. No.3, 1971, pp.40-55.
225. **Carr 1939:** Carr E. H. Britain: A Study of Foreign Policy from the Versailles Treaty to the Outbreak of War. London–New York, 1939.
226. **Carr 1984:** Carr E.H. The Comintern and the Spanish Civil War. London, 1984.
227. **Casanova M. 1996:** Casanova M. La diplomacia Espanola durante la Guerra Civil. Madrid, Ministerio de Asuntos Exteriores, 1996.
228. **Casanova J. 2010:** Casanova J. The Spanish republic and Civil War. Cambridge University Press, 2010.
229. **Cattel 1956:** Cattel D. Communism and the Spanish Civil War. Bercley and Los Angeles. 1956.
230. **Cattel 1957:** Cattel D. Soviet Diplomacy and the Spanish Civil War. Berkeley and Los Angeles, 1957.
231. **Cattel 1967:** Cattel D. Soviet Military Aid to the Republic. / The Spanish Civil War. Domestic Crisis or International Conspiracy? Ed. by G. Jackson. Boston, 1967, pp. 72-79.
232. **Comas Navarro 1997:** Comas Navarro R. La política Anglo-Francesa durante la Guerra Civil Española: Análisis del Acuerdo de No–Intervención. // *Studia Zamorensia*. Zamora. 1997, n°. 4, pp.149-186.
233. **Coverdale 1975:** Coverdale J. Italian Intervention in the Spanish Civil War. Princeton, 1975.
234. **Domestic Crisis or... 1972:** The Spanish Civil War. Domestic Crisis or International Conspiracy? Ed. by G.Jackson. Chicago, 1972.
235. **Durgan 2007:** Durgan A. The Spanish Civil war. Palgrave Macmillan, 2007.
236. **Dzelepy 1949:** Dzelepy E. N. Britain in Spain. A Study of the National Government's Spanish Policy. London, 1949.
237. **Edwards 1979:** Edwards J. The British Government and the Spanish Civil War, 1936-1939. London, 1979.
238. **Esch 1951:** Esch P. A. M. Prelude to War: The International Repercussions of the Spanish Civil War, 1936-1939. The Hague, 1951.

239. **Esenwein, Shubert 1995:** Esenwein G., Shubert A. Spain at War. The Spanish Civil War in Context, 1931-1939. London–New York, 1995.
240. **España y Alemania 2002:** España y Alemania: percepciones mutuas de cinco siglos de historia. Editores: M. A. Vega Cernuda, H. Wegener. Madrid, 2002.
241. **Farado 1972:** Farado L. The game of the foxes. London, 1972.
242. **Foltz 1948:** Foltz Ch. The masquerade in Spain. Houghton Mifflin Co., 1948.
243. **Forrest 2000:** Forrest A. The Spanish Civil War. London–New York, 2000.
244. **Foss, Gerahty 1938:** Foss W, Gerahty C. The Spanish Arena. London, 1938.
245. **Furnia 1961:** Furnia A. H. The Diplomacy of Appeasement: Anglo-French Relations and the Prelude to World War II, 1931- 1938. Washington, 1961.
246. **Gallagher 1971:** Gallagher M. D. Leon Blum and the Spanish Civil War. // Journal of Contemporary History, vol. 6, No. 3, 1971, pp. 56-64.
247. **Haslam 1984:** Haslam J. The Soviet Union and the Struggle for Collective Security in Europe 1933-39. New York, 1984.
248. **Heiberg 2002:** Heiberg M. Mussolini, Franco and the Spanish civil War: An Afterthought. // International Fascism 1919-1945. Ed. G. Sorensen, R. Mallett. London, 2002, pp. 55-68.
249. **Heiberg 2004:** Heiberg M. Emperadores del Mediterráneo: Franco, Mussolini y la guerra civil española. Barcelona, 2004.
250. **Heiberg, Ros Agudo 2006:** Heiberg M. Ros Agudo M. La trama oculta de la Guerra Civil. Los servicios secretos de Franco. Barcelona, 2006.
251. **Hidden 1993:** Hidden J. Germany and Europe 1919-1939. New York, 1993.
252. **Hildebrand 1973:** Hildebrand K. The Foreign Policy of the Third Reich. Berkeley–Los Angeles, 1973.
253. **History in Dispute 2005:** History in Dispute. The Spanish Civil War, Volume 18, Ed. Kenneth W. Estes and Daniel Kowalsky. Detroit–New York–San Francisco, 2005.
254. **Horton 1966:** Horton A. Germany and the Spanish civil War. Ph.D. dissertation. Columbia university, 1966.
255. **Howson 2000:** Howson G. Armas para España: La historia no contada de la Guerra Civil Española. Ediciones Península, 2000.
256. **Jackson 1965:** Jackson G. A. The Spanish Republic and the Civil War, 1931-1939. Princeton, 1965.
257. **Jackson 1999:** Jackson P. French strategy and the Spanish Civil War. // Spain in an international context 1936-1959. Ed. by C. Leitz, D. J. Dunthorn. Berghahn Books, 1999, pp. 55-79.

258. **Jackson 2010:** Jackson G. A. Juan Negrin: physiologist, socialist and republican war leader. Cornwall, 2010.
259. **Kennan 1960:** Kennan J.F. Soviet Foreign Policy, 1917-1941. New York, 1960.
260. **Kershaw 2009:** Kershaw I. Hitler. Penguin books, London, 2009.
261. **Kleine-Ahlbrandt 1962:** Kleine-Ahlbrandt. Wm. L. The Policy of Simmering. A Study of British Policy during the Spanish Civil War, 1936-1939. Nijoff, 1962.
262. **Kowalsky 2004:** Kowalsky D. La Unión Soviética y la Guerra civil española: una revisión crítica. Barcelona, 2004.
263. La Guerra Civil Española: 50 años después. /M. Tuñón de Lara, J. Aróstegui, Á. Viñas, G.Cardona J. M. Bricall/. Barcelona, 1985.
264. **Langer 1972:** Langer W. The Mind of Adolf Hitler. The Secret Wartime Report. United State office of Strategic Services, 1972.
265. **Leitz 1996/a:** Leitz C. Nazy Germany's Intervention in the Spanish Civil War and the Foundation of HISMA/ROWAC. // The Republic Besieged: Civil War in Spain 1936-1939. Ed. by P. Preston and A. L. Mackenzie. Edinburg, 1996, pp. 54-85.
266. **Leitz 1996/b:** Leitz C. Economic Relations Between Nazi Germany and Franco's Spain: 1936-1945. Clarendon Press Oxford, 1996.
267. **Leitz 1999:** Leitz C. Nazi Germany and Francoist Spain 1936-1939. // Spain and Great Powers in the Twentieth Century. 1999, pp. 128-149.
268. **León 1985:** León E. A. Relaciones internacionales de los dos bandos: La intervención extranjera en la guerra civil Española. // Cuenta y razón, 1985, №21, pp. 265-280.
269. **Little 1985:** Little D. Malevolent Neutrality: The United States, Great Britain and the Origins of the Spanish Civil War. Ithaca-London, 1985.
270. **Little 1988:** Little D. Red Scare, 1936: Anti-Bolshevism and the Origins of British Non-intervention in the Spanish Civil War. // Journal of Contemporary History. London, 1988, Vol. 23, №2, pp. 291-313.
271. **Lukacs 1998:** Lukacs J. The Hitler of History. New York, 1998.
272. **Mirales 2010:** Mirales R. El duro forcejeo de la diplomacia republicana en París. / Al servicio de la Republica: Diplomáticos y Guerra Civil. Ed. J. Aróstegui. Madrid, 2010, pp. 121-152.
273. **Monje Gil 2006:** Monje Gil I. La Embajada de España en París y el inicio de la Guerra Civil. / Congreso La Guerra Civil Española 1936 – 1939. Sociedad Estatal de Conmemoraciones Culturales [edición electrónica CD+], 2006.
274. **Moradiellos 1991:** Moradiellos E. The Origins of British Non-intervention in the Spanish

- Civil War: Anglo-Spanish Relations in Early 1936. // *European History Quarterly*, XXI (1991), No. 3, pp. 339-364.
275. **Moradiellos 1992/a:** Moradiellos E. La política Británica ante la guerra civil Española. // *Espacio. Tiempo y Forma. Serie V. H. Contemporánea. T. V*, 1992, pp. 185-210.
276. **Moradiellos 1992/b:** Moradiellos E. British Political Strategy in Face of the Military Rising of 1936 in Spain. // *Central European History*, I (1992), No. 2, pp. 123-137.
277. **Moradiellos 1993:** Moradiellos E. Appeasement and Non-intervention: British Policy during the Spanish Civil War. / *Britain and the Threat to Stability in Europe, 1918-1945*. London, 1993, pp. 94-104.
278. **Moradiellos 1996:** Moradiellos E. La perfidia de Albión. El gobierno británico y la guerra civil española. Madrid, 1996.
279. **Mueller 2007:** Mueller M. Canaris. The life and death of Hitler's spymaster. Berlin, 2007.
280. **Padelford 1939:** Padelford N.J. International Law and Diplomacy in the Spanish Civil Strife. New York, 1939.
281. **Payne 1967:** Payne S. Politics and the Military in Modern Spain. Stanford University Press, 1967.
282. **Payne 2004:** Payne S. The Spanish Civil War, the Soviet Union, and Communism. Yale University Press, 2004.
283. **Paz 2007:** Paz A. Durruti in the Spanish Revolution. AK Press, Edinburg, 2007.
284. **Peláez 2009:** Peláez Vaquero D. La intervención de la Italia fascista en la Guerra Civil Española: Su aportación a la conspiración apoyo material y humano posterior y los negocios con la República. / *El Pacto de la No Intervención la internacionalización de la Guerra Civil española*. Ed. J. Sánchez Cervelló. Universitat Rovira i Virgili, 2009, pp. 60-78.
285. **Pereira Castañares 2013:** Pereira Castañares J. C., Campos Miguel I. Francia ante el inicio de la guerra civil: De la promesa de ayuda a "la no intervención laxa" (Julio-Septiembre de 1936). / *Guerra y paz. La Sociedad Internacional entre el conflicto y la Cooperación*. Ed. A. Pastor, J. Manuel, Re Matteo. Madrid, 2013.
286. **Pérez Gil 2001:** Pérez Gil L. Análisis de los principios constitucionales y las competencias en las relaciones exteriores en la Constitución española de diciembre de 1931. // *Revista española de derecho constitucional*, nº21, Nº 63, 2001, pp. 129-168.
287. **Pike 2011:** Pike Wingeate D. France Divided: The French and the Civil War in Spain. Brighton Portland, OR Sussex Academic Press, 2011.
288. **Podmore 1998:** Podmore W. Britain, Italy, Germany and the Spanish Civil War. Edwin Mellen Press, 1998.

289. **Pozarskaya 2003:** Pozarskaya S. Comintern and the Spanish civil war in Spain. // Ebre 38, №1, 2003, pp. 47-56.
290. **Preston 1978:** Preston P. The Coming of the Spanish Civil War: Reform, Reaction and Revolution in the Second Republic 1931-1936. London, 1978.
291. **Preston 1986:** Preston P. The Spanish Civil War, 1936-1939. London, 1986.
292. **Preston 1996:** Preston P. Mussolini's Spanish Adventure: From Limited Risk to War. / The Republic Besieged: Civil War in Spain 1936-1939. Ed. by P. Preston a. A.L. Mackenzie. Edinburg, 1996, pp. 21-51
293. **Preston 1999:** Preston P. Italy and Spain in Civil War and World War 1936-1943. / Spain and Great Powers in the Twentieth Century. Routledge, 1999, pp. 151-184.
294. **Preston 2006:** Preston P. The Spanish Civil War: Reaction, Revolution and Revenge. London, 2006.
295. **Proctor 1983:** Proctor R. L. Hitler's Luftwaffe in the Spanish Civil War. London, 1983.
296. **Puzzo 1962:** Puzzo D. Spain and the Great Powers, 1936-1941. New York, 1962.
297. **Rees 2012:** Rees L. Hitler's Charisma: Leading Millions into the Abyss. Ebury press New York, 2012.
298. **Roberts 1999:** Roberts G. Soviet foreign Policy and the Spanish Civil War 1936-1939. / Spain in an international context 1936-1959. Ed. by C. Leitz, D. J. Dunthorn. Berghahn Books, 1999.
299. **Romero Salvadó 2005:** Romero Salvadó F. The Spanish Civil War: Origins, Course and Outcomes. New York, 2005.
300. **Salas Larrazabal 1986:** Salas Larrazabal R., Salas Larrazabal J. Historia general de la guerra de España. Madrid, 1986.
301. **Sánchez Hernández 2010:** Sánchez Hernández F. El PCE en la Guerra Civil. Universidad Nacional de Educación a Distancia UNED. Tesis doctoral. 2010. <http://e-spacio.uned.es/fez/eserv/tesisuned:GeoHis-Fhernandez/Documento.pdf>.
302. **Sánchez Asiaín 2014:** Sánchez Asiaín J. A. La financiación de la Guerra Civil española: una aproximación histórica. Barcelona, 2014.
303. **Saz 1999:** Saz I. The Second Republic in the International Arena. / Spain and the Great Powers in the XX Century. Ed. by S. Balfour & P. Preston. London–New York, 1999, pp. 73-95.
304. **Saz 1986/a:** Saz Campos I. Mussolini contra la II república hostilidad, conspiraciones, intervención, 1931-1936. Valencia, 1986.
305. **Saz 1986/b:** Saz Campo I. Antecedentes y primera ayuda material de la Italia fascista a

- los sublevados en España en julio de 1936 Italia y la Guerra Civil española: (Simposio celebrado en la Escuela Española de Historia y Arqueología de Roma). Madrid, 1986.
306. **Saz 1992:** Saz I. El fracaso del éxito: Italia en la guerra de España. / Espacio, Tiempo y Forma. Serie V. H. Contemporánea. T. V, 1992, pp. 105-128.
307. **Schauff 2008:** Schauff F. La victoria frustrada: la Unión Soviética, la Internacional Comunista y la Guerra Civil española. Barcelona, 2008.
308. **Seabury 1954:** Seabury P. The Wilhelmstrasse: A Study of German Diplomats Under the Nazi Regime. Berkeley and Los Angeles, 1954.
309. **Shore 2003:** Shore Z. What Hitler Knew: The Battle for Information in Nazi Foreign Policy. Oxford University Press, 2003.
310. **Smyth 1984:** Smyth D. Reflex Reaction Germany and the Onset of the Spanish Civil War. / Revolution and War in Spain 1931-1939. By P. Preston. Menten–London–New York, 1984, pp. 243-284.
311. **Smyth 1985:** Smyth D. “We are with you.” Solidarity and self interest in Soviet policy towards Republican Spain 1936-1939. // Radicals, Rebels and Establishments. Ed P. J. Corish. Historical studies, XV. Belfast, 1985.
312. **Spain and the Great Powers 1999:** Spain and the Great Powers in the XX century. Ed. by S. Balfour, P. Preston. London–New York, 1999.
313. **Spain and the Mediterranean 1999:** Spain and the Mediterranean since 1898. Routledge, 1999.
314. **Stone 1989:** Stone G. The European Great Powers and the Origins of Non-intervention. / Parts to War: New Essays on the Origins of the Second World War. Ed. by R. Boyce and E. M. Robertson. London, 1989, pp. 199-232.
315. **Stone 2005:** Stone G. Britain, France and the Spanish problem 1936-1939. / Decisions and diplomacy Essays in Twentieth Century International History. Ed. D. Richardson, G. Stone. London–New York, 2005.
316. **Taylor 1961:** Taylor A. J. P. The Origins of the Second World War. New York, 1961.
317. **The Guardian Book... 1987:** The Guardian Book of the Spanish Civil War. Wildwood House, 1987.
318. **The Popular Front... 1987:** The Popular Front in Europe. / Ed. by H. Graham and P. Preston. London, 1987.
319. **Thornton 1985:** Thornton M. J. El Nazismo. Barcelona, 1985.
320. **Trevor Roper 2000:** Trevor Roper H.R; Weinberg G. Hitler’s Table Talk 1941-1944: Secret Conversations. London, 2000.

321. **Tuñón de Lara 1991:** Tuñón de Lara M. ¡Todavía la No Intervención! (Julio-Agosto, 1936). // Historia contemporánea (5). Sevilla, 1991.
322. **Vázquez Liñán 2003:** Vázquez Liñán M. Propaganda y política de la Unión Soviética en la Guerra Civil Española (1936-1939). Ph.D Tesis. Universidad Complutense de Madrid (2003). <http://biblioteca.ucm.es/tesis/19972000/S/3/S3042601.pdf>.
323. **Veatch 1990:** Veatch R. The League of Nations and the Spanish Civil War, 1936-1939. // European Historical Quarterly. Vol. 20, No. 2, April 1990, pp. 181-209.
324. **Vidal 1998:** Vidal C. Las Brigadas Internacionales. Madrid, 1998.
325. **Viñas 1985:** Viñas A. «Los condicionantes internacionales». // La guerra civil española, cincuenta años después (M.Tuñón de Lara, J. Aróstegui, G. Cardona y J. M. Bricall). Barcelona, 1985.
326. **Viñas 1986:** Viñas A. Las relaciones Hispani-Francesas, El Gobierno Daladier y la crisis de Munich. / Españoles y Franceses en la primera mitad del siglo XX. Madrid, 1986.
327. **Viñas 2001:** Viñas Á. Franco, Hitler y estallido de la guerra civil, antecedentes y consecuencias. Madrid, 2001.
328. **Viñas 2002:** Viñas A. Seidel Collado C. Franco's Request to the Third Reich for Military Assistance. // Contemporary European History, Vol. 11, No. 2 (May, 2002), pp. 191-210.
329. **Viñas 2006/a:** Viñas A. La Soledad de la Republica. El abandono de las democracias y el viraje hacia la Union Sovietica. Barcelona, 2006.
330. **Viñas 2006/b:** Viñas A. La decisión de Stalin de ayudar a la República: un aspecto controvertido en la historiografía de la Guerra Civil historia y política, núm. 16, 2006, págs. 65-108.
331. **Viñas 2007:** Viñas A. El escudo de la Republica. El oro de Espana, la apuesta sovietica y los hechos de mayo de 1937. Barcelona, 2007.
332. **Viñas 2008:** Viñas A. El honor de la República: entre el acoso fascista, la hostilidad británica y la política de Stalin. Barcelona, 2008.
333. **Viñas 2011:** Viñas A. La conspiración del general Franco y otras revelaciones acerca de una guerra civil desfigurada. Barcelona, 2011.
334. **Viñas 2013:** Viñas A. Las armas y el oro. Palancas de la guerra, mitos del franquismo. Editorial: Pasado & Presente, 2013.
335. **Waller 1996:** Waller J. The Unseen War in Europe: Espionage and Conspiracy in the Second World War. London, 1996.
336. **Warner 1962:** Warner G. France and non-intervention in Spain, July-August 1936. // International Affairs, Vol. 38, no. 2, 1962, pp. 203-220.

337. **Watkins 1963:** Watkins K.W. Britain Divided. The Effect of the Spanish Civil War on British Political Opinion. London–Edinburg–Paris–Melbourne–Toronto–New York, 1963.
338. **Watters 1971:** Watters W. International Affairs: Non-intervention in the Spanish Civil War 1936-1939. New York, 1971.
339. **Weber 2006:** Weber H. Denía, refugio del hombre del “Füerer” en España. Johannes Bernhardt trajo la legion Cóndor a España. En Domingo. 5 Noviembre, 2006.
340. **Westerveld 2015:** Westerveld G. El complot para el golpe de Franco. Murcia, 2015.
341. **Whealey 1989:** Whealey R. H. Hitler and Spain. The Nazy Role in the Spanish Civil War, 1936-1939. Lexington, 1989.
342. **Wilcox 1938:** Wilcox F. The League of nations and spanish civil War // Annals of the American Academy of Political and Social Science. 198(1). 1938. pp. 65-72
343. **Wright 2007:** Wright J. Germany and the Origins of the Second World War. New York, 2007.

დოკუმენტური ფილმები:

344. Живая История – Специальный советник Сталина. Телекомпания ООО Бегининг. По заказу ТРК Петербург Пятый канал. <http://www.youtube.com/watch?v=WRwS5xtjANo>.
345. Золото Испании. Как СССР получил золотой запас Испании. Рассекреченная история. <https://www.youtube.com/watch?v=rHcobBLxyTA>.
346. Тайны разведки. Секретные миссии. <https://www.youtube.com/watch?v=NeScZe2UIa8>.